


აკაკი  
გაწერელა  
სახელწოდება

სამ  
გოგად



აკაკი  
გაწერელია  
სრული ნაწილები

ტოპი

II

ბ  $\frac{70202-53}{M 604(08) - 78}$  6-78 © გამომცემლობა „მერანი“ 1978

## რამდენიმე სიტყვა პოეზიაზე

რა არის ლექსი? რა არის პოეზია?

თუ მეცნიერულ კეშმარიტებათა ფორმულებით ან ზუსტი ცნებებით გადმოცემა შეიძლება, ზემოთ დასმულ კითხვებზე სწრაფად პასუხის გაცემა მოუხერხებელია. გონების უჩვეულო დაძაბვა საჭირო ისეთი ფენომენის წვდომისათვის, როგორც უმაღლესი პოეზიაა.

რით აიხსნება ეს მოვლენა?

არ მოიპოვება სულიერი მოღვაწეობის სხვა სფერო, რომელიც ნიუანსირებულ ბგერათა იმდენ ვიბრაციას გამოსცემდეს ან საღაც ემოციურ სახეთა იმდენი სპექტრი ლივლივებდეს, როგორც ლექსში, რამდენიც პოეზიაში საერთოდ.

ადამიანის უღრმეს, ქვეცნობიერ თუ ცნობიერ პლასტიკიდან მომდინარეობენ ისინი და მათი ენა იმდენად თავისებურია, რომ პუშკინი იძულებული იყო პოეზიის მისამართით ეთქვა:

Я понять тебя хочу,  
Темный твой язык учу.

ამიტომ, რომ მხოლოდ პოეტებს ეპატიებათ უზომო თვითგანდიდებანი და ისინი არავის გაუციხხავს ამ თვისებათა გამო, რუსთაველი ამბობს თავის ლექსზე:

საღმთო საღმთოდ გასაგონი-ო.

დიდი რომაელი ლირიკოსის „მონუმენტუმ“-ის ექვსი ვანგორდა პუშკინის განთქმულ „ქეგლში“, ხოლო თვითტკბობა პირდაპირ ჰიპერტროფირებულა შესანიშნავი არაბი პეტრის ალ-მუთანაბის (915—965) შემოქმედებაში:

მე ის ვარ, ვისი ლექსის დანახვა ბრმასაც შეუძლია.

\* \*

თუ ლექსს წარმოვთქვამ, თვითონ მარადისობა დაიწყებს მის დეკლამირებას.

ყველაზე უკეთესი ვარ მათ შორის, ვისაც ფერხნი დაატარებენ.

\* \*

ასეთი გიგანტომანიის გვერდით პოეზიაში ხშირად მეზობლობს ღრმა სკეპტიციზმი პოეტური გამოთქმის სრულყოფილობის მიმართ, რასაც ნაგრძნობსა და მის მხატვრულ რეალიზაციას შორის არსებული ზღვარის შეგნება კბადებს პოეტში:

მოკვდავსა ენას არ ძალუძს  
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა  
(ნ. ბარათაშვილი).

ტოტჩევი კი აცხადებდა:  
Мысль изреченная есть ложь.

და მინც: არ მოიპოვება უფრო სრულყოფილი ინსტრუმენტი ადამიანის გრძნობებისა და ფიქრების, ხშიერ თუ ვიზუალურ შთაბეჭდილებათა გამოსახატავად, ვიდრე ლექსი.

„პოეტის ცნობიერება მუდმივად პულისირებს კოსმოსსა და მიკროკოსმოსს შორის“ (გ. ბაშლიარი).

ნ. ბარათაშვილის ლექსის საყურეს ჩრდილის რხევა ისევე მომხიბლავია, როგორც პოეტის ვარსკვლავებისაკენ მსრბოლი ფიქრები („მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“). არწივი შთაგონების სიმბოლოა ეპეას ლირიკაში ან ის გამირულად დაცემის მაუწყებელია („არწივი ვნახე დაკრილი...“); ყორანი კი ფატალური სახეებაა ედგარ პოსა და ბარათაშვილისათვის; ბუღბუღი გალობს ჰაფეზისა და აკაკის ლექსებში და ამ ფრინველის მელოდია ბეთჰოვენის ერთ რაფსოდიაშიც აირეკლა. მგლის სიკვდილი იქცა ალფრედ დე ვინის რომანტიკული სტოიციზმის პროგრამად... ასე, პოეტური დიაპაზონი გადაკიმულია ღმერთის სადგომიდან (გაიხსენეთ რუსთაველის „ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“, დანტეს ეპირიუმი და სხვ.) — მდინარის ჰეაღის ციმციმამდე:

რა წყალი ნახის, გარდახდის, უკვერტდის ქ ა ე ლ ს ა წყლისასა.

ნათქვამია აეთანდილზე, რომელსაც სხვა შემთხვევაში შეუძლია ზეცის მნათობებს შეუდარებელი ლოცვა აღუვლინოს. მოტანილ ტაეპში კი ერთი სიტყვა („ჰეაღი“) კარგად ხატავს თავდახრილი რაინდის დაფიქრებასა და თვითონ მდინარეს.

მაგრამ პოეზიაში გამოთქმის მინიმუმამდე დაყვანას ხშირად ცელის ბუნების მოვლენათა, მაგ. ქარიშხლის სტიქიონის ან ზღვის ტალღათა მიმოქცევის ვრცელი პასაჟებით გამოსახვაც. ვის არ ახსოვს ბ. პასტერნაკის შესანიშნავი სტრიქონები მისი პოემიდან „ცხრაას ხუთი წელი“? აქ მოგვაქვს ეს მორეასის ერთი ლირიკული მონოლოგის რუსული თარგმანი:

Когда на край скалы усядусь я во мгле.  
Внимая буре, океану;  
Стук сердца моего на сумрачной земле  
Когда я слышать перестану,  
Не пеной легкой тогда меня покрой,  
Разбушевавшееся море,  
Возьми, умчи меня с отхлынувшей волной  
И в скорбном усыпи просторе.

XX საუკუნის უდიდესი პოეტი პოლ ვალერი წერს ღმერთებრივ „ზღვის სასაფლაოს“ (საუკეთესო ლექსს, ზღვაზე თუ ოკეანეზე დაწერილ შედევერთა შორის, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე), რომლის ფინალში თქმულია:

О, Гидра, пьян твоим лазурным телом,  
Кусящим свой хвост в сияньи белом  
В смятении, подобном тишине.

შეიძლება თუ არა ამიერიდან ზღვის წარმოდგენა პიდრასთან ანალოგიის გარეშე, რომლის მსგავსად ზღვა მართლა ჰებენს უკუმქიტეულ თეთრქაფიან ტალღას, ვითარცა

თვის კულს? ან ხის ტოტებისა, თუ არა მცენარის მკლავებად, ამ სტრიქონების შემდეგ (იმავე პოეტის სხვა ლექსიდან):

Одевшись в чешую, набухшие деревья —  
Зачем им столько рук и овидней дано?

მოულოდნელი შევითხვა რომ არა, შედარება ტრივიალური იქნებოდა.

შეუმჩნეველის აღმოჩენა, ირაციონალურის გადაქცევა სინამდვილის ფაქტად, დაუჭერებელის გადატანა ინტელექტუალური შემოწმების მიღმა — მხოლოდ პოეზიის შესაძლებლობათა სფეროს განეუთვნება. მაგ. არც ერთ ასტრონომს არ აქვს უფლება შეედავოს დანტეს, რომელიც სიყვარულს აღიარებდა მნათობთა და ვარსკვლავთა მამობრავებელ ძალად. პოეტური ქვეშარიტება — მხატვრული აბსოლუტია. ამიტომ მხოლოდ პოეტს შეეფერება ზეცის ტატნობის ან უდაბნოს მღუმარების აპელაცია საკუთარი არსების მიმართ:

და განანათლე კვლავ ცა ჩ ე მ ი, ე ს რ ე თ ს ა ზ ა რ ი.

ან:

განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემღა მღუმარებს (ბარათ).

არც რუსთაველს ედავებთან, როცა მისი alter ego ადამიანის ცხოვრების ამათუიმ აქტს ზღაპრად მიიჩნევს და ამგვარ რეზინიაციას უმაღლესი სიბრძნის გამოვლენად თვლის:

ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,  
არცა კირი კირად უჩანს, არცა ლხინი ზედა-ზედი;  
ვით ზღაპარი ასე ისმის, უბედობა თუნდა ბედი,  
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი.

მაგრამ ასევე ფიქრობს ფრივოლური ფატმანიც:

რას აქნევ ჩემსა ამბავსა,  
ზღაპარი არის ყბელისა.

და ყოველივე ეს თქმულია რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე შექსპირის პროსბერო ადამიანის ცხოვრებასა და საერთოდ ყველაფერ ხილულს შეადარებდა სიზმარს, ერთ მშვენიერ დღეს ანაზღაფულად რომ შეიძლება გაქრეს. პოეტური აპოკალიპსი ზოგჯერ არაფრით დაუვარდება ბიბლიური მეორედ მოსვლის ფონოშენს.

უჩვეულო მხატვრულ მიგნებებს იცნობს პროზაც (სტერნი, ლ. ტოლსტოი, თ. მაინი, დ. კლდიაშვილი, ჯ. ჯოისი...), მაგრამ პროზაში ისინი საქმებარია, ლექსში კი განუმეორებელი მხატვრული შტრიხები რიტმის მეშვეობით და სისტემატური თანმიმდევრობით აღნიშვლებთან ზოლზე მკითხველის ცნობიერებაში ან მისი სულის სარკეზე.

პოეზიის „ბნელი ენის“ შესწავლა და გაგება საჭირო ასეთ აღმოჩენათა დაფასებისათვის. რაც მხატვრული აბსოლუტის ფარგლებს სცილდება — მხოლოდ ვალიმათია ან პრიმიტიული ბეუტურია.

ზემოთ ჩვენ არ მოვრიდებთარა ზოგი რუსული თარგმანის მოტანას, რადგან პოეტური ქმნილება კარგ თარგმანშიაც იგრძნობა. გოეთეს „ტყის მეფე“ და „ღამეული მგზავრის სიმღერა“ ეუკოესკიმ და ლერმონტოვმა აქციეს რუსული პოეზიის კეთვნილებად. ჩვენს დროში ქართული პოეზიისათვის ასევე მშობლიური გახადა შანდორ პეტეფი პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ.

ვეფხისტყაოსანზე ყველაზე კარგი კრიტიკული ეტიუდი ეკუთვნის სერ მორის ბაუ-რას, რომელიც ქართულ პოემას ინგლისურ პროზაულ თარგმანში გაეცნო.

არც მარტო გერმანული ენის ცოდნა კმარა ჰაინრიხ ჰაინეს „ინტერმეცოს“ ციკლის ლექსების ღრმად ათვისებისათვის ან ინგლისური გრამატიკის ფლობა — კიტსის თუ

სუინებურნის ლირიკის გასაგებად. პოეზიაზე მსჯელობა — პოეზიის მცოდნეს შეფერის. მარტოოდენ პრეფიქსებითა და აბლაუტებით გამოშვრალი თავისათვის იგი სრულად მიუწვდომელია.

\* \*

ისიც გასათვალისწინებელია, რომ უმაღლეს პოეტურ კმნილებებში არაერთი ფრაზა თუ მეტაფორა სხვა ეპოქის უცხო ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ძეგლებიდანაა აღებული და მოდიფიცირებული სახით გამოყენებული. რუსთაველის ტაჰპი —

იგი კიირი არ უნახავს არ რამინსა არცა ვისსა —

მარტოოდენ უბრალო რემინისცენცია როდია. მკითხველისათვის ხომ უნდა დადგინდეს (წყაროსთან ერთად) მისი სიუჟეტური ფუნქცია მოცემულ კონტექსტში? მუსიკაშიც ხშირად ასეა: ბახის „პასიონების“ ან ბეთჰოვენის „საზვიმო მესის“ სრულყოფილი გაგება ევანგელიეს ცოდნის გარეშე თითქმის შეუძლებელია.

ვ. როზანოვი წერდა:

«Голос нужно слушать и в чтении. Потому не всякий «читающий Пушкина» имеет что-либо общее с Пушкиным, а лишь кто вслушивается в голос говорящего Пушкина, угадывая интонацию, какая была у живого. Кто «живого Пушкина не слушает» в перелистываемых страницах, тот как-бы все равно и не читает его, а читает кого-то взамен его» («Опавшие листья», СПб, 1913, II, 98—99).

დაიპირო ავტორის (თუნდაც საუკუნეებით დაშორებულის) ხმის ტემბრი, თვალნათლივ წარმოიდგინო პოეტი-იმპროვიზატორის პოზა და ექსტიცი კი, თვით უინტიმესი მოდულაცია ბერათა რხევისა აზრობრივ ნიუანსთა თანხლებში — უსაშველოდ ძნელი საქმეა. უამისოდ კი გენიალური პოეტი — მარტოოდენ ანთოლოგიების, კრესტომათიებისა და სხვადასხვა უნათო მონოგრაფიებისა თუ მიმოხილვათა კუთვნილებაა, — მის ხმას მარადისობის ექო არ იმეორებს, არც მსმენელი, არც მკითხველი. რუსთაველი კი ამბობდა აუდიტორიის მისამართით პოეზიაზე:

...მსმენელთათვის დიდი მარგაი-ო.

ავტორის ხმის გავონების უმთავრესი პირობა ლექსის რიტმული სისტემის აღქმაა. „სასაუბრო და სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით პოეტური მეტყველება ისეა აგებული, რომ მისი ყველა ელემენტი აქტუალიზებულია“, რაც პროზას არ ახასიათებს. საკუთრივ ქართული ლექსის მოსმენა (ზეპირი წარმოთქმის გარეშეც, შინაგანად) მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა სწორად განვიციდით მისი საზომის, როგორც ძირითადი რიტმული ნორმის ანუ მოდელის ფაქტობრივ მ ა ქ ე ნ ტ უ რ მ ა ვ თ უ ლ ს, მასში ძლიერი და სუსტი მომენტების ზუსტ განლაგებას, რასაც ამ ლექსის რიტმი ეყრდნობა და მისი მარეგულირებელია. ქართული პროზოდის ხასიათის გასაგებად კმარა, მაგალითად, რუსთაველის ე. წ. დაბალი შაირის რიტმული სტრუქტურის გათვალისწინება — იგი გარკვეული რაოდენობის (6 აქცენტის) ს ტ ა ბ ი ლ უ რ განაწილებას ავლენს და ნორმიდან ყოველგვარი გადახვევა რიტმულ ვარიაციებში შედის, ე. ი. ისინი ისევედასევე ნორმის სტაბილურობის ბაზაზეა წარმოშობილი და წინასწარ მოცემულ ფარგლებს ვერ გადალახავს. რამდენიმე მაგალითი:

მოვა შემყრელი ყოველთა // ერთგან დღისა და ღამისა.

მაგრამ არ შეიძლება ამ საზომის აქცენტური კონფიგურაციის შეცვლა კონსტრუქციით:

შემყრელი ყოველთა მოვა...

ეს უკვე პროზაა, რადგან პოემის დაბალი შაირით დაწერილ სტროფებში ცეზურის წინ აქცენტი მუდამ მესამე მარცვალს მოუდის ბოლოდან (ასევე კადენციაშიც), რის გამოც მეტრის გავლენით ორმარცვლიანს არ შეიძლება სამმარცვლიანი სიტყვა წინ უსწრებდეს. ამიტომ ცეზურის წინ და ტაქსის ბოლოს ორმარცვლიანს მხოლოდ ერთმარცვლიანი სიტყვა უნდა უძლოდეს წინ და მაშინ იგი მიიტაცებს ორმარცვლიანი სიტყვის აქცენტს, ან კიდევ ორმარცვლიანს ერთმარცვლიანი უმახვილო სიტყვა უნდა ერწყმოდეს ბოლოში. მაგალითები:

არა-თქვამ, ცოდნა რას-თამარგებს // ფილოსოფოსთა ბრძნობისა.

ან:

აწ-მოდო, ასრე პატივ-თქვე // ვითა ძმამან და მშობელმან.

უფრო რთულია მაღალი შაირის რიტმული სტრუქტურის საკითხი, რასაც სხვაგან ვრცლად ვეხებით. ამჟამად ზემოთ მოტანილი მაგალითი კმარა იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ ლექსის ყოველი სიტყვა რიტმული ელემენტია და მისი წაყითხვა „ბუნებრივი მახვილით“ ყოველთვის არ ხდება (მაშინ საზომი ფიქცია აღმოჩნდებოდა და ლექსი პროზად გადაიქცეოდა, რაც წარმოუდგენელია). პოეტური ენა ავტონომიურია სასაუბრო მეტყველება სთან შედარებით. როცა ოთხტერფიანი იამბის მისაღებად პუშკინი *Сурьяна* სიტყვაში მახვილს გადასვამს ბოლო მარცვალზე *Сурьяна* (რეფორმისტკი) იგი იქცევაჲ როგორც პოეტი და არა როგორც ამბის მომყოლა..

რუსთაველის ლექსი მაშინაა „წყობილი მარგალიტი“, და „მსმენელთათვის დიდი მარგი“, როცა მის აქცენტურ რიტმს უცდომლად განვიციდით. ქართული ლექსის (და სხვათა ლექსის) კონსტრუქცია არაა აგებული დისკრეტულად (წყვეტილად), იგი არც „მუხლებითაა რეგულირებული“ და არც „ინტერვალებით“. პოეზია დროში მიმდინარე დინამიკური პროცესია და მისი ნაწილების „გეომეტრიული ვაზომვა“ ისევე არ შეიძლება, როგორც ზღვის მიმოქცევის ან ქარიშხლის მძვინვარების ვიზუალურ „პროპორციებსა“ და „სიმეტრიებში“ წარმოდგენა. ასეთი რამ ხელოვნების სხვა დარგების (მატერობა, ქანდაკება, ხელომოდერება) სფეროს ეკუთვნის.

ვისაც ქართული ლექსის პროსოდიული ბუნება ვერ გაუგია, სჯობია თავი დაანებოს მასზე მსჯელობას.

იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ ვის ხმას ვისმენთ. ყველას როდი აქვს უფლება თავის დემონს მიმართოს ამგვარად: „სულა ბოროტო, ვინ მოგიხმო...“ პოეზიაში ხშირად ან უზენაესს ესაუბრებიან („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ...“) ან ლიუციფერს. არც თუ იშვიათად ამ ორი მეტაფიზიკური არსების ურთიერთადაძახილი ჰბადებს იმ პოლიფონიზმს, რომელსაც მხოლოდ დიადი ხელოვნების შინაგანი სამყარო გამოსცემს. ამ პოლიფონიის წვდომა უსაშველოდ ძნელია, რადგან მხოლოდ პოეზიაში გვხვდება „ჯოკონდას“ ღმილის მარადი განუმეკვირვებლობა და ანტინომია. სწრაფად გასაგები—სწრაფადაა დაწერილი, პოეზია კი არავითარ ორდინალურს არ ითმენს. მართალია, „ღამეული მგზავრის სიმღერა“ შეგარძნებთა ელვისებური ვიბრაციის შედეგია, მაგრამ როგორი შემოქმედის სულიერმა მარაგმა განაპირობა მისი სწრაფი წარმოშობა? პოეზიაში ნაფიქრისა და ნაგრძნობის უმაღლესი გამოვლინებანი („ეთანდლის ან დერძი“, ბეატრიჩეს პირველი გამოცხადება „პურგატორიოში“, პეტრარკას ამოძახილი „როდის და!“, გოეთეს „დაყოფიებული იქამი“, ვალერის „ღმერთების მყუდროება“ და მისთ.) ხანგრძლივი და ურთულესი სულიერი და გონებრივი ცხოვრების პროექტირება გარემყარისაზმი.

ყველაზე მეტად პოეზია აშვენებს ჩვენს პლანეტას.



და ყველაზე მეტად იგი კვებავს სხვა დარგის გიგანტთა სულსა და ჰკუას. მონტენის სამაგიდო წიგნი ჰორაციუსის ლექსები იყო. ტოლსტოი ამბობდა: „უტიუტჩევილ ცხოვრება შეუძლებელია-ო“ და მისი ლექსის „ბ ი ნ დ ი -ს“ კითხვისას ცრემლები წასცდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით ერთი ტაეპის **Все во мне — я во всем** წარმოთქმისას. აკი ბუნებასა და ღვთაებაში გაღზობის ანალოგიური აზრი გამსჭვალავს მთელს ირანულ და არაბულ სუფიურ პოეზიას: „იგი (ღმერთი) ჩემშია და მე მასში“

როგორია ჩვენს დროში ლექსის და საერთოდ პოეზიის დანიშნულება?

რავინდ რთული არ იყოს პოეტური ნაწარმოები, იგი ადრესატის გარეშე არ არსებობს:

ჩვენი მკითხველი ყველაზე ცნობიერი მსმენელი-ადრესატია პოეტური მეტყველები-სა და მას შეუძლია მხოლოდ ჰემმარიტად ამალღებულის მიღება და გაზიარება. თუ საზღვრების გადაღმა ტოტალური ცინიზმი, კაცთმოძულეობა და ზნეობრივი რელატივიზმი სუფევს. პოეზიას ჩვენში უშთაფრესად ადამიანის სულიერი და გონებრივი გაფაქიზება და გამღიდრება ევალება. ოდითგანვე ეს დანიშნულება ჰქონდა მას.

იაფფასიანი ოპტიმიზმი არაფრის მთქმელია (ვალერი: „ენტუზიაზმი არაა მწერლის სულიერი ვითარება“ და „ოპტიმისტები ცუდად წერენ“). არც ცარიელი რიტორიკა ან უპასუხისმგებლო ნიაღვარი **ა რ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ის ა**

**ს უ რ ო გ ა ტ ს ჩ ე ე ნ ი დ რ ო ვ ე რ ი თ მ ე ნ ს.**

მხოლოდ ისეთი ლექსი თუ პოეტია საჭირო, ურომლისოდაც ცხოვრება გაძნელდებოდა. ეს აზრი ზოგმა ჩვენს დროშიაც დაამტკიცა, მაგ. საქართველოში — გალაკტიონმა.

ს.ქტ. 1977



მონოგრაფიები



## გრიგოლ ორბელიანი

გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წლის 2 ოქტომბერს ქ. თბილისში.

პოეტის საგვარეულო ხაზი აღწევს ორბელ ბარათაშვილის სახელამდე (XVI ს.). ამ შტოს ეკუთვნოდა ყაფლან ორბელიშვილი, განთქმული ქართველი მწერლის სულხან-საბას პაპა, მე-17 საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი და გავლენიანი ფეოდალი. გრიგოლ ორბელიანი ამიტომ უწოდებდა თავის თავს „ყაფლანიშვილს“. მთელი ორი საუკუნის მანძილზე მისი წინაპრები დიდ როლს თამაშობდნენ ქართველი მეფეების კარზე.

გრ. ორბელიანის ბავშვობამ და ყრმობამ განვლო საქართველოს ისტორიის იმ პერიოდში, როცა „ქედმოუხრელი ივერია“ მხოლოდ პოეტის ახლო ნათესავების წარმოდგენებში ცოცხლობდა. ჯერ კიდევ მწვავე იყო მოგონება ალა-შაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებისა, ხოლო პატარა კახის გმირულ ღვაწლზე ყრმა გრიგოლს ბევრი რამ უნდა სმენოდა ხანდაზმულ თანამედროვეთაგან.

გრიგოლის მამას, დიმიტრის (იგივე ზურაბ) საქართველოს უკანასკნელ მეფეებთან უმსახურნია და კახთ ბატონთან კი ნათესაური კავშირითაც ყოფილა შეკრული. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ დიმიტრი ჯერ სამხედრო სამსახურში შესულა, მონაწილეობა მიუღია მთავარმართებელ პავლე ციციშვილის მიერ ქ. ერევნის აღებაში 1804 წელს, ხოლო შემდეგ უზენაეს სასამართლოში დაუნიშნავთ „ზასედატლად“. პოეტის მამას შინაური განათლება ჰქონია მიღებული.

გრ. ორბელიანის დედა ხორეშანი ერეკლეს ქალის ელენეს ასული იყო. ამრიგად, დედის მხრივ პოეტი ბაგრატიონთა გვარს ენათესავებოდა. ხორეშანი დევიათი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით შემკული არსება ყოფილა. როგორც პოეტის ბიოგრაფი გადმოგვცემს, „ამ კეთილმა დედამ ჩაუნერგა გულში გრიგოლ ორბელიანს მისგან განუშორებელი ღვთის შიში, ერთგულება მამულისა, განუზომელი პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა“, ხოლო „პოეტიც ცრემლით და კრძალვით მოიგონებდა ზოლმე კეთილსა, ნაზსა, ღვთის მოშიშსა და

ჰკვიან დედას, რომელმაც გზა სიკეთისა ასწავლა მას და სული აღუე-  
სო მარადქამ გამოუღეველი სიყვარულითა და სათნოებით. მისი პა-  
ტივისცემა ძვირფასი მშობლისადმი აღმატებოდა ჩვეულებრივს  
შვილობრივს სიყვარულსა“<sup>1</sup>.

დიმიტრი და ხორეშან ორბელიანებს გრიგოლის გარდა კიდევ სამი  
შვილი ჰყავდათ: ზაქარია, ილია და ეფემია, — შემდეგში დედა ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილისა.

გრიგოლ ორბელიანისათვის წერა-კითხვა უსწავლებია ანჩისხა-  
ტის დეკანოზს დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს, რომელიც თავისი დრო-  
ის ცნობილი მწიგნობარი იყო. შემდეგ პატარა გრიგოლი მშობლებს  
შეუყვანიათ ახალი მმართველობის მიერ დაარსებულ კეთილშობილთა  
სასწავლებელში, სადაც მომავალ პოეტს ქართულს ასწავლიდა  
მღვდელი ხელაშვილი, აგრეთვე ჩინებული მცოდნე ენისა. სასწავლებ-  
ლის დამთავრებამდე გრ. ორბელიანი გადასულა ახლად გახსნილ სა-  
არტილერიო სკოლაში. 1816 წელს მომავალი ოფიცერი შედის იუნკ-  
რად 21-ე საარტილერიო ბრიგადაში, სადაც მან 1820 წლამდე დაჰყო,  
იმავე წელს პარტუბეი-იუნკრის ჩინით გადადის საქართველოს გრენა-  
დერის პოლკში. 1821 წელს გრ. ორბელიანი პრაპორშჩიკია.

გრ. ორბელიანის დიდი სამხედრო კარიერის დასაწყისი ემთხვე-  
ვა საქართველოში პროკონსულ ა. პ. ერმოლოვის მმართველობის  
წლებს (1816—1827). გვიან, 1855 წელს, მოსკოვში უსაქმოდ მცხოვ-  
რები და მთავრობის მიერ სამუდამოდ „დამკავებული“ ერმოლოვი  
ერთ თავის წერილში გულთბილად იგონებს მაშინ უკვე სახელმოხვე-  
ჭილ ქართველ სარდალს და დასძენს: „მე მიყვარდა ეს ბელადი, ვიც-  
ნობდი მას პოლკში გრიშას სახელით“. 1822 წელს გრ. ორბელიანი  
ქარელი ლეკების დამარცხების მონაწილეა ალაზნთან. 1826 წელს  
მამაცურად ებრძვის სპარსელებს შამქორთან და განჯაში, რისთვისაც  
ღირსეულად იქნა დაჯილდოებული. ერმოლოვის ატესტაციიდანაც  
ჩანს, რომ ოფიცრის სამხედრო გამოცდა გრ. ორბელიანს კარგად ჩა-  
უბარებია.

გრ. ორბელიანის ბედის ვარსკვლავი არანაკლები ძალით ანათებ-  
და გრაფ პასკევიჩის მმართველობის დროსაც. „ტოლუბაშის“ ავტორს  
დიდ სიხარულს ჰკვირიდა საქართველოს დაუძინებელი მტრების და-  
მარცხება რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში 1826—  
1829 წწ. და არც ისე ძნელია წარმოდგენა ქართველი ოფიცრის სიამა-  
ყისა იმ დროს, როცა კავკასიის მხედრობის მიერ ძლეული ირანელი  
და თურქი სერასკირები თავიანთ ბაირალებს ჰხრიდნენ აბას-აბადთან  
და ირაკლი-თაფასთან, ერევანსა და ხერთვისში, ახალქალაქსა, ყარსსა

<sup>1</sup> ი. მუხნარგია, ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა. თბ., 1904.

და ახალციხეში. ამ ადგილების იერიშით ალებისას გრ. ორბელიანს მამაცობით უსახელებია თავი.

1829 წელს გრ. ორბელიანი კახეთში ახლდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც სამხედრო საზღვრების უფროსად იყო დანიშნული. მეორე წელს იგი მონაწილეობას იღებს გრაფ პასკევიჩის ექსპედიციაში და ჭარ-ბელაქნის ლეკებს ამოშინებს. იმავე წელს მონაწილეობს გენ. სტრეკალოვის მიერ ზაქათალის აღებაში.

1831 წელს გრ. ორბელიანმა ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით (კავკასიის აქეთა მხარის მთავარსარდლის გენ. პანკრატიევი ბრძანებით) რუსეთს წაიყვანა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები ნოვგოროდში დაბანაკებულ საგანგებო ქვეითი პოლკისათვის. გზად რამდენიმე ხანს მოსკოვსა და პეტერბურგში დაჰყო. თავის დღურაში პოეტი იგონებს შეხვედრებს რუსეთს გადასახლებულ მარიამ დედოფალთან და ქართველ უფლისწულებთან, ვრცლად აგვიწერს ლირსშესანიშნავ ადგილებს, გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს თეატრებში ნახულ სპექტაკლებზე. ასე, მაგალითად გრ. ორბელიანი იგონებს მცირე თეატრის ერთ წარმოდგენას: „წივედით თეატრში, ხალხი არ იყო ისე მრავალ, ვითა უწინარეს. წარმოდგენა იყო ქალღმერთის მოთამაშების ცხოვრება, საუცხოვოდ ითამაშეს, უფრო მაჩაღოვმა, ასე რომ, დავსწყევლე ყოველი მოთამაშე“<sup>1</sup> ფრანგი დრამატურგის დიუჟანეს მელოდრამაში მოჩალოვი ასრულებდა ახირებულ მარკიზ ჟორჟ დე ერემონის როლს და გრ. ორბელიანის აღტაცება სავსებით ემთხვევა თანამედროვეთა ცნობებზე გამოჩენილი რუსი მსახიობის თამაშზე.

პეტერბურგი, იმპერიის იმდროინდელი ცენტრი, დიდს შთაბეჭდილებას ახდენს ქართველ ოფიცერზე. გრ. ორბელიანი აღწერს პეტერბურგის, ცარსკოე სელოსა და პეტერგოვის შესანიშნავ სასახლეებს. პოეტი, რომელსაც უკვე ეგემნა სამხედრო ცხოვრების სუსხი, ღია მიტური აღტაცებით ათვალიერებს ხელოვნების ძეგლებს, გულდასმით ეცნობა პეტრე პირველის მიერ დაარსებულ კუნსტაკამერის რარიტეტებსა და ერმიტაჟის დარბაზებს, მოხიბლულია „რაფაელის ლოჟითა“ და „ძვირფასი ბიბლიოთეკით, რომელსაც შიდა ეწყობთ ხულებანი ფილოსოფოსთა დაღამბერისა, ვოლტერისა და დიდეროტისა“. გრ. ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავს აგრეთვე საქართველოდან გადასახლებულ ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილებთან შეხვედრებს. უსაუბრნია მათთან „პირველ მუსიკოსებზე“ — მოცარტზე, ვებერზე, როსინზე და კერუბინზე. ამასთან — სოფელ გრუზინოში პირადად გა-

<sup>1</sup> „წერილები“, I, 219.

ცნობია ცნობილ რეაქციონერ გრაფ პასკევიჩს, უშუალოდ მოუსმენია ნიკოლოზ I მისალმება არმიისადმი...

1831 წლის ნოემბერში გრ. ორბელიანი ჩადის ქ. ნოვგოროდს. აქ მან ერთი წელიწადი დაჰყო. და აი, მისი გარეგნული ცხოვრების მწყობრი რიტმი ერთბაშად იცვლება: 1833 წლის მარტში გრ. ორბელიანს აპატიმრებენ ნოვგოროდში და სასწრაფოდ გზავნიან თბილისში. პოეტს ბრალდებოდა კავშირი თავადაზნაურთა იმ შეთქმულებასთან, რომელიც 1829 წლიდან მზადდებოდა საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ ნაციონალურ-ფეოდალური მონარქიის აღდგენის მიზნით (როგორც ცნობილია, ეს შეთქმულება 1832 წლის დეკემბერში გაცემულ იქნა). გარკვეული კვლევა-ძიების საფუძველზე კავკასიის სამხედრო ხელისუფალთა თვალში გრ. ორბელიანი სრულიად მოულოდნელად მტრული ფიზიონომიის ოფიცერი აღმოჩნდა: პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებთან მას არა მარტო მოცარტსა და როსინზე უსაუბრნია, არამედ (და უმთავრესად) ძველი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებზე. ჯიბით უტარებია არა მარტო ჯარისკაცის წესდება, არამედ ქართული თარგმანიც ცნობილი დეკაბრისტი პოეტის რილევის ნაწარმოებისა „ნალივაიკოს აღსარება“ (რომლის დედანი გრ. ორბელიანს ნოვგოროდში გაჩხრეკისას უპოვეს). ჩვეულებრივ დღიურებს გარდა ფარულად უწერია პატრიოტული ლექსები (ნოვგოროდშია დაწერილი, მაგალითად, „იარალის“) და დღიური „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“, რომელშიაც ავტორი აშკარად იცავს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა და ეროვნული რეგულარული ჯარის შექმნის იდეას.

როგორც ჩანს, გრ. ორბელიანი აქტიურად არ ყოფილა ჩაბმული შეთქმულთა ორგანიზაციაში. სხვათა შორის ეს უნდა აიხსნას 1827—1832 წლებში მისი ზშირი ადგილმონაცვლეობითაც, რაც სამსახურებრივი საჭიროებით იყო გამოწვეული, მაგრამ შეთქმულებთან პოეტის მჭიდრო იდეური კავშირი სადაო არაა. მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანს აშკარა დანაშაული არ დაუმტკიცდა და გაანთავისუფლეს საქმის საბოლოო გამოძიების დამთავრებისთანავე. ავლაბრის ყაზარმებში სამი თვის პატიმრობის შემდეგ იგი, როგორც მეშვიდე კატეგორიის მცირე დამნაშავე, „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში გაგზავნეს. აქედან გრ. ორბელიანი 1833 წლის მიწურულს გაამწესეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელიც ვილნოში იყო დაბანაკებული. დიდი ვაი-ვაგლახითა და გზაზე სხვადასხვა ფათერაკის გამოვლით გრიგოლ ორბელიანმა თავის პოლკს 1834 წლის 2 მაისს მიაღწია.

პოლიტიკური რომანტიზმის ბურჟუასი გაიფანტა. ოფიცერი გრ. ორბელიანი ისევ დაუბრუნდა სამხედრო მოღვაწეობის ასპარეზს. აქე-

დან იწყება პოეტის ცხოვრების მეორე პერიოდი (1833—1858).

ხუთი წელი გაატარა გრიგოლმა აჯანყებულ და შემდეგ დამარცხებულ პოლონეთში, სადაც მოსახლეობას მკაცრი რეპრესიებით ამომშინებდა გენერალი პასკევიჩი, მისი ყოფილი უფროსი კავკასიაში. ბალტიისპირა ქალაქებში ყოფნისას პოეტი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა მშობლიურ თბილისს, ნათესალებსა და მეგობრებს. ყაზარმული ცხოვრება ან საკლუბო გართობები არ ავიწყებდნენ მას გამოვლილ ჭირ-ვარამს, ქართულ ნაღიმს, მანანა ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონებს. „ყოველთვის ახალის სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დალისტნელ ლექსავით ლექურს თამაშობდა და იმღეროდა: ბროლის ფიცარი, აფიცარი, გულს დაგეკონოს“ — სწერდა პოეტი სალომე ჭავჭავაძეს 1835 წელს კრიგიდან. აქ დასწერა, სხვათა შორის, პოეტმა თავისი ლირიკული შედევრი „ჩემს დას ეფემიას“ (1835).

1837 წელს გრ. ორბელიანმა აიღო შვებულება და სამშობლოსაკენ გამოემშურა. 1838 წლის აგვისტოში ის შტაბს-კაპიტნის ჩინით ხელმეორედ ჩაირიცხა საქართველოს გრენადერის პოლკში, რომელაც ქ. გორში იღვა. ამიერიდან მომავალი გენერალი ფრთხილი და გარეგნულად პირობებს შეგუებული ოფიცერია. არც ერთი ხმამაღალი სიტყვა არ წასტდენია იმ გატაცებებზე, რომელთაც ავლაბრის ყაზარმებში პატიმრობა არგუნეს წილად, არც ერთი პირდაპირი საყვედური არ გამოუთქვამს გადასახლებულ შეთქმულთა მკაცრი ბედის გამო, ან მოსკოვსა და პეტერბურგში უქმად ნახდომ ბატონიშვილებზე. რომელიც 1832 წლის შეთქმულების სულის ჩამდგმელნი იყვნენ. მხოლოდ ზოგიერთ მის ლექსში ისმის ყრუ გმინვა „რ ა ყ ი ფ კ ა ც თ ა“ ბედის გამო.

1839 წელს გრ. ორბელიანი გენერალ სიმბორსკის რაზმშია, რომელსაც დაკალებული ჰქონდა დივიზიის მოხდენა შეეცეს პროვინციიდან რუთულამდე — ამ წელს ჩრდილოეთ და სამხრეთ დალისტანში კავკასიის ჯარებს ლაშქრობა უნდა ჩაეტარებინათ მეამბოხე მთიელთა მეთაურის შამილის ძლიერებასა და გავლენის აღმოფხვრის მიზნით. სიმბორსკის რაზმს მთიელებთან ბრძოლა მოუხდა მდინარე სამურის გასწვრივ მდებარე მხარეებში და გრ. ორბელიანი მონაწილე იყო ამ ექსპედიციისა.

1841 წელს გრ. ორბელიანი მონაწილეობს პოლკოვნიკ მოსე არლუთინსკის რაზმის მიერ გურიის გლეხობის აჯანყების ჩაქრობაში. გურია „დააწყნარეს“ იმავე წლის სექტემბერში.

1842 წლის აგვისტოში გრ. ორბელიანი დაინიშნა საქართველოს პოლკის ერთ-ერთი ბატალიონის უფროსად. ამ ნაწილში იმყოფებოდა ალექსანდროპოლში ვხედავთ.



1842 წელს გრ. ორბელიანი ავარიის (დალისტანი) მიწებს იცავდა შამილის ჯარებისაგან. ენერგიულმა მოქმედებამ და ადმინისტრაციულმა ნიჭმა ის ჩქარა დააწინაურა. 1843 წელს გრ. ორბელიანი დაინერწა ავარიის მმართველად. ან, როგორც ის თავის თავს ხუმრობით უწოდებდა, „ავარიის ხანად“. ამ წლის 2 ივნისს გრ. ორბელიანი ჩავადა ხუნძახში, ავარიის ყოფილი ხანების რეზიდენციაში.

გრ. ორბელიანი დიპლომატიური უნარით აღჭურვილი მმართველი და იმავე დროს უღმობელი ოფიცერი იყო მთიელებთან ბრძოლაში. შუა აზიის საშუალო საუკუნეთა მუსულმანური სექტის, ნაქშბენდიეს ორდენის მისტიკური მოძღვრების მიმდევარ მ უ რ ი დ ე ბ ი ს წინააღმდეგ გრ. ორბელიანი მოქმედებდა როგორც მეფის რუსეთის კოლონიალისტური არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი. მთიელთა ნაციონალურ-რელიგიური მოძრაობა, მურიდიზმის სახელით ცნობილი (1826—1859), ქართველი სარდლის სახით უდიდეს მტერს წააწყდა.

თხუთმეტი წელიწადი იმსახურა გრ. ორბელიანმა დალისტანში, ჯერ როგორც სხვადასხვა ოლქების მმართველმა და პოლიკის უფროსმა, შემდეგ — როგორც მთელი დალისტნის ჯარების სარდალმა. იშვიათად ჰყოლია ჰაზავეთს მასავით დაუბინებელი მტერი. გრ. ორბელიანი მონაწილე ან უშუალო ხელმძღვანელი იყო მთელი რიგი აულები ალებისა შამილის დალისტანში. იბრძოდა ქუთიშასთან (1846), და სალთან (1847), გერგებილთან (1848) და ქუხთან (1849), ტაბასარანსა და ყაითალში (1854—1855), ქურისა და სალათაუს სოფლებში... ვის არ შეხვედრია და ვისთან არ უსაუბრნია — იმპერატორიდან მოყოლებული უბრალო დენშჩიკამდე. „გამოვიარეთ ამაღათ ბეგის სოფელი და აწ ვზივარ სულთანეთის ოთახში“, — ატყობინებს იგი 1842 წ. 5 მაისს ილია ორბელიანს და მკითხველს აგონდება პერსონაჟი მარლინსკის ცნობილი რომანისა „ამაღათ ბეგი“. „ჰაჯი-მურატი აქ მოვიდა ჩემთან სტუმრად; მაგრამ ყოველ დღე ავდარია და ვერაით წავედი, მხოლოდ ვინადირეთ კი მწევრებითა“, — წერს იგი სხვა ადგილას (1852 წ. 13 თებერ. წერილი ზაქათალიდან). გრ. ორბელიანის „წერილების“ ორი ტომი ბრწყინვალე ანალებია ავტორის მრავალფეროვანი და მდიდარი ოფიცრული ცხოვრებისა. ისინი მოგვითხრობენ ხმლისა და კალმის თავგადასავალს: სარდალი ღამით ანთებს ჩირალდნებს დალისტნის ბნელ ხეობებში, ხოლო გამთენიისას იერიშზე მიჰყავს თავისი პოლკი; ომის დაცხრომისა და ზარბაზნების ქუხილის შეწყვეტის უშუალო კარავშივე მიუჯდება მაგიდას და მზიარულ ბარათებში ნათესავ-მეგობრებს აუწყებს მემამოხეთა აულების დალაშქვრის, მურიდიების ამოხოცვისა, ათასწლოვანი ტყეების გაკაფვისა და თოვლით დაფარული ბილიკების ქვეითად გადალახვის ეპიზოდებს. გრ. ორბელიანს

ხმაღდახმაღ უბრალოდნია მთიელებთან და მისი დარტყმის ძალა უგემ-  
ნით შამილის განთქმულ ნაიბებს. თვითონ შამილი ბრახმოარეული  
ამბობდა ხოლმე: „ევდოკიმოვი და ორბელიანი ჩემი ყველაზე დიდი  
მტრები არიან დაღისტანში... ხელში თუ ჩამივარდა ორბელიანი, მე  
მას გავგლეჯ, ალბათ ისიც ასე მომექცევა“.

1857 წელს გრ. ორბელიანმა იერიშით აიღო უალრესად მნიშვნე-  
ლოვანი სტრატეგიული პუნქტები სალათაუში — ძველი და ახალი  
ბურთუანი. პოეტის კერძო ბარათები და სამხედრო რედაქციები სავ-  
სეა დაწვრილებითი ცნობებით სისხლისმღვრელ შეტაკებათა შესახებ,  
ხოლო დაღისტნელი ისტორიკოსი კატეგორიულად მოგვითხრობს:  
„ჩაღხი ამბობდა, რომ ეს წელიწადი ეკუთვნის თავად ორბელიანს და  
უნაყოფოა მასთან ბრძოლა... მოკლული იქნა სამი გულადი ნაიბი:  
გიტინაუ-ნაიბი ჰიდატლისა, შამხალი — ნაიბი ტინდალალისა და ბო-  
ლულალისა, და ისმაილი — ნაიბი ტეხნუცალისა. არც ერთი ლაშქრო-  
ბის დროს არ დაღუპულა ამდენი ნაიბი. ბურთუნიში ციხესიმაგრის  
აღების შემდეგ შამილი მიაგავდა ცხვარს, რომელსაც მგელი კიჟერში  
დაწვდა და რომელსაც ხსნის იმედი დაჰკარგვია“<sup>1</sup>.

სალათაუს დაპყრობა უკანასკნელი ფურცელი იყო გრ. ორბე-  
ლიანის ოფიცრული კარიერის მრავალწლიან მატინეში. 1858 წელს  
იგი მრავალი ორდენით დაჯილდოებული და გამოჩენილი გმირი, თბი-  
ლისში გადმოყავთ კავკასიის მთავარმართებელ ბარიატინსკისთან. გრ.  
ორბელიანი ს ცხოვრებ ის მეორე პერიოდი (1833—  
1858) ამით დასრულდა.

1859 წელს გრ. ორბელიანი დაინიშნა მთავარმართებლის საბჭოს  
თავმჯდომარედ. იმავე წელს მცირე ხნით გაემგზავრა პეტერბურგს,  
სადაც სხვათა შორის პირადად შეხვდა ყოფილ იმამ შამილს. იმპერი-  
ის სატახტო ქალაქში ძველი მტრების ასეთი გამოცნაურება თითქოს  
ფინალია როგორც მათი ურთიერთობისა, ისე მთლიანად კავკასიის  
ომის ხანგრძლივი ისტორიისა. და ეს ფინალი ძალზე ლირიკულად  
ქდვრს: „შამილა გავიციან პეტერბურღში; კარგი დარბაისელი კაცი ყო-  
ფილა. მაგრამ გაოცებული იყო ყოვლითა მით, რასაც ჰხედავდა... დი-  
დის სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინც იყვნენ  
დაახლოებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობის ქვეშე და ჩემის  
მოწყალეობით ჰსცხოვრებდნენო. იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე  
რომ, ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო. და ამგვარი მრავა-  
ლი მელაპარაკა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. Сказание очевидца о Шамиле, пер. с арабского. („Сборник сведений о кавк. горцах“ I, стр. 51. Тиф., 1873).

<sup>2</sup> „წერილები“, II, 277-278.

ვრიგოლ ორბელიანის ლირიული ლექსების, პოემის ვარიანტების, დღიურებისა და თარგმანების უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოუღის პოეტის ცხოვრების პირველსა და მესამე პერიოდებს (1824—1832 და 1860—1883 წწ.). მეორე პერიოდში გრ. ორბელიანს მხოლოდ 14 ლექსი დაუწერია და ისიც სპორადულად (1833 წლიდან 1851 წლამდე).

ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ ყველა ამ პერიოდის ნაწარმოებს.

ჯერ ზოგადი შენიშვნები.

ვრიგოლ ორბელიანის მხატვრული მემკვიდრეობის განხილვას ჩვეულებრივ იწყებენ რომანტიკულ სკოლასთან დაკავშირებით. ქართული რომანტიზმი თავისებურ მოვლენას წარმოადგენს იდეური და მხატვრული თვალსაზრისით. განსაკუთრებით ეს ითქმის გრ. ორბელიანის მაგალითზე, რომლის შემოქმედება-სპეციფიკური ქართული სინამდვილითაა ნაკვები. ამავე დროს „სადღეგრძელოს“ ავტორის პოეტური მეთოდი ჩინებულად ითავსებს რეალიზმის ელემენტებს. ჩვენი პოეტის მსოფლმხედველობისათვის უცნობია აგრეთვე ევროპელ რომანტიკოსთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი მისტიციზმი, გრ. ორბელიანს ბუნების ყოველ აქტში არასოდეს არ უძებნია გამოვლინება ღვთაების ნებისა. სუბიექტური დუალიზმი, ძიება უნივერსალისა და სიკვდილის ფილოსოფია ძალიან შორსაა „იარაღის“ ავტორის მსოფლმხედველობისაგან.

სასაოწარკვეთილებისა და იმედგაცრუების მოტივები, რომელიც გრ. ორბელიანის პოეზიაში ისმის (უმთავრესად მეორე და მესამე პერიოდებში, 1833—1883 წწ.) მოკლებულია იმ თანმიმდევრულ და რეაქციონურ შინაარსს, რომელიც დასავლეთის ბევრი რომანტიკოსის პესიმიზმს ჰკვებავდა. გრ. ორბელიანისათვის სრულიად უცხოა აგრეთვე ფრ. შლეგელის მიერ პოეტის აუცილებელ თვისებად აღიარებული უნარი „ტრანსცენდენტური დაცივისა“, ე. ი. ისეთი სულიერი განწყობილება, როცა შემოქმედს თავისი იდეალის სიმაღლიდან უაზრო თამაშად მიაჩნია ცხოვრება და თვითონ სამყაროც. „სოფლის წარმავლობაზე“ კმუნვა გრ. ორბელიანის ლირიკაში მისტიკურ ელფერს არ ატარებს, იგი გარემომცველი სინამდვილით არის ნაკარნახევი და კონკრეტულ შინაარსს შეიცავს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს გრ. ორბელიანისათვის უცნობი იყო რომანტიკოსების ესთეტიკური პრინციპები, პირიქით, იგი ზოგჯერ ცდილობდა კიდევ ამ უკანასკნელის დამოწმებით გაემართლებინა, მაგალითად, საკუთარი მიდრეკილება პოეტური ფსალმუნებისადმი: „ფსალმუნის არს თავი-

სუფლებითი ამალღება სულისა ღვთისადმი. ნახე  
ისტორია ლიტერატურისა შლეღელის მიერ“ —  
წერდა პოეტი ერთ ადგილას<sup>1</sup>.

რასაკვირველია, გრ. ორბელიანის პოეზიაში მკაფიოდაა გამოჭა-  
ტული რამდენიმე ძირითადი რომანტიკული ტენდენცია, უწინარეს  
ყოვლისა — გონების წინაშე გრძნობისა და ფანტაზიისათვის უპირა-  
ტესობის მინიჭება, რაინდული წარსულის იდეალიზაცია, სულის ამაღ-  
ლებულ განწყობილებად სიყვარულის აღიარება, ბუნების კულტი და  
სხვ. მაგრამ ყოველივე ეს პოეტისათვის წარმოადგენს ცხოვრების მიმ-  
ღეობის ფორმებს და არა სინამღვილიდან გაქცევის საშუალებებს.  
სილამაზის კულტიც გრ. ორბელიანის ლირიკაში ოდნავადაც არ გუ-  
ლისხმობს სინამღვილის მიღმა მისი არსებობის ვარაუდს. მშვენიე-  
რება და ადამიანური ნეტარება საქართველოს გარეშე არ წარმოედგი-  
ნა და სხვაგან არ უძებნია იგი. აკი ველურ ტომებში ან შორეულ აღ-  
მოსავლეთში, უმთავრესად ინდოეთში, ეზმანებოდათ შემოქმედისათ-  
ვის შესაფერი ქვეყანა გერმანელ რომანტიკოსებს, ფრანგ შატობრი-  
ანს, ინგლისური „ტბის სკოლის“ წარმომადგენელ კოლრიჯს? გრ. ორ-  
ბელიანს კი ფიქრადაც არ მოსვლია, თითქოს ქართულ ლხინსა და  
„კოჭრით ნიაღის შუბლის გაგრილებას“ რომელიმე ინდოელი ფაკირის  
რელიგიური ნირვანა ემჯობინებოდა.

გრ. ორბელიანი ორგანიულად ახამებდა ერთმანეთთან სინამღვი-  
ლის მძაფრ შეგრძნობასა და წარსულის იდეალიზაციას, მაგრამ არა-  
სოდეს არ მიუმართავს ძველი საქართველოს დიადი სურათებისა და  
გულის მომკვლელი აწმყოს ისეთი დაპირისპირებისათვის, რომ ეს  
უქანასკნელი მახინჯ სასაცილო და გროტესკულ ფორმაში გამოეხატა.  
მიუღებელი სინამღვილევც მისი ღრმა და სერიოზული დაკვირვების  
საგანი იყო. გოფმანისეული გაორებისა და კონტრასტის ხერხი ჩვენს  
პოეტს არსად გამოუყენებია და თანამედროვეობასთან მისი დავა სულ  
სხვა რიგის მოვლენაა, ვიდრე რომანტიკულ პოეტიკაში პრინციპუ-  
ლად ფეხმოკიდებული მეთოდი ფანტაზიისა და სინამღვილის ანტა-  
გონისტური დაპირისპირებისა. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ  
მსოფლიო რომანტიკულ მწერლობაში გრ. ორბელიანის საყვარელი  
ავტორი ყოფილა რაინდული წარსულის მხატვარი, რეალისტური ტენ-  
დენციის ვალტერ სკოტი და არა ამ უქანასკნელის წინამორბედნი ის-  
ტორიულ პროზაში (ე. წ. „პოერომატიკოსების“ რომანები გრ. ორ-

<sup>1</sup> საქართველოს არქივში: „1832 წლის საქმე“, რეველი XXI. გრ. ორბელიანი გუ-  
ლისხმობს ფრ. შლეღელის ლექციების კურსს „ძველი და ახალი ლიტერატურის ისტო-  
რია“, რომლის რუსული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1826 წელს პეტერბურგში, მეო-  
რედ — 1834 წელს (შდრ. ამ გამოცემის გვ. 179—184. შლეღელის აზრი ძველ აღთქმაში  
შეტანილი დავითის ფსალმუნების შესახებ).

ბელციანს „სისულელედ“ მიაჩნდა და მათ „წაკითხვის ღირსად“ არ სთვლიდა)<sup>1</sup>.

გრ. ორბელიანის ლირიკა, ისევე როგორც მისი გენიალური დიასწულის ნიკ. ბარათაშვილისა, აგრეთვე ორგანიულად ითავსებდა სახეების რეალისტურ სისტემას, პლასტიკურ ელემენტს და მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ტრადიციით ნაკარნახევ ჯანმრთელ სენსუალიზმს, რაც საერთოდ უჩვეულო მოვლენაა ევროპული რომანტიზმის რეაქციული ფრთის ტიპური წარმომადგენლებისათვის. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელთა შემოქმედებას (განსაკუთრებით გერმანულ ლიტერატურაში) სახეების ბუნდოვანებასთან ერთად ახასიათებდა სიყვარულის სპირიტუალისტური გაგება (ნოვალისი) ან მისი ავადმყოფური ინტერპრეტაცია (ბრენტანო და სხვ.).

ქართული რომანტიზმის მთავარი ფესვები თვითონ საქართველოს ისტორიულ სინამდვილეშია და ნაკვებია ეროვნული სოციალ-პოლიტიკური ვითარებით, ეთიკური და მხატვრული ტრადიციებით. განსაკუთრებით ეს ითქმის გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის მაგალითზე.



პოეტური ნაწარმოებების გარდა, 1824—1858 წლების მანძილზე გრ. ორბელიანს დაუწერია (და ზოგის გადათეთრება მოუსწრია) შემდეგი ორიგინალური პროზაული თხზულებანი: „მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა ჩ ე მ ი ტ ფ ი ლ ის ი დ ა მ პ ე ტ ე რ ბ უ ლ ა მ დ ის“ (1831), რომელიც მოსკოვსა და პეტერბურგის პერიოდის „დღიურების“ (1831—1832) გადათეთრებული ნაწილია, „ამბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი“ (1835), სხვადასხვა ეტიუდები და შენიშვნები: „ენ... ღმ ი“ (1824), „ზამთრისა ქარი გრიალებს“ (1829), „ნ. ე. მ.“ (1832), „ჰაზრნი მსწავლულთა ჩვენი სპლანეტის შექმნისათვის, ანუ მიწისა“, „ცობა ლეკების შესახებ“ და კონსპექტი „საქართველო ჩემის დროისა“. პოეტის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პროზაული თარგმანები „ალელორია“ (1824), „სამნი მეგობარნი“ (1832) ჰერდერიდან, „მაცთუნებელი“ (მოთხრობა შვეიცარიელი მწერლის ცმოკესი) (1832) და „საღამოს ჩაიხედ“.

ჩამოთვლილ თხზულებათაგან, რასაკვირველია, ყველას ერთნაირი იდეური და მხატვრული ღირებულება არა აქვს. ბევრ მათგანს გრ. ორბელიანის შემოქმედების ანალიზის დროს მხოლოდ დაჰხმარე

<sup>1</sup> იხ. „წერილები“, I, 12.

მასალის მნიშვნელობა ენიჭება. უწინარეს ყოვლისა ცალკე უნდა გამოიყოს გრ. ორბელიანის პატრიოტული ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოს რაინდული წარსულის ხოტბას შეიცავენ და გვაცნობენ ავტორის სულისკვეთებასა და პოლიტიკურ მრწამსს. 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში. ესენია: პოემა „ტოლუბაში“ („სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი), „ასარება“ (მიბაძვა რილევისა), „ჭეი, ივერიავ“, „მისი სახელი კი ცხვითა“, „იარაღის“ და „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. სამშობლოს სიყვარულის მოთავე ამ ნაწარმოებებში გაშლილია ივერიის წარსული დიდებისა და მისი აწმყოს დაპირისპირების ფონზე. ეს მომენტი განსაკუთრებით ხაზგასმულია პოეტის ლირიკულ ლექსებში. გრ. ორბელიანს ეზმანება თავისუფალი და განახლებული საქართველო, იგი მტერზე შურისძიების გრძნობითაა გამსჭვალული და მზადაა სიცოცხლე შესწიროს მამულის დახსნის საქმეს.

პოემა „სადღეგრძელოს“ ტექსტის ისტორია ასეთია. ნაწარმოებში თავდაპირველი სათაურია: „ტოლუბაში ანუ ომის შემდეგ ლხინა და სადღეგრძელო, 1827 წელსა“. ეს არის პოემის პირველი, მოკლე ვარიანტი, ჩვენამდე ავტოგრაფის სახით მოღწეული. არსებობს მეორე ვარიანტი (ავრთვეე მოკლე), სხვისი ხელით გადაწერილი, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „ტოლუბაში“ (მიბაძვა ყუქოვსკისა). (ესე ლექსნი 1826 წელს სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც ირაკლის თავაზედ იყვნენ ჯარნი დაბანაკებულნი)“. პოემის საბოლოო რედაქცია მოხდა 1870 და 1879 წლებში, იგი ამჟამად „სადღეგრძელოს“ სახითაა ცნობილი და პირველ და მეორე ვარიანტებთან შედარებით გავრცობილია (ამ უკანასკნელს ვეზებით პოეტის შემოქმედების მესამე პერიოდის დანახათებისას).

მეორე (არა ავტოგრაფული)<sup>1</sup> ვარიანტის ცნობას, თითქოს „ეს ლექსნი 1826 წელსა სპარსეთის ომში არის ნათქვამი, როდესაც ირაკლის თავაზედ იყვნენ ჯარნი დაბანაკებულნი“ ავტოგრაფული ხელნაწერის სათანადო ადგილს ზუსტად არ უნდა იმეორებდეს, რადგან თარიღი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება. საქმე იმაშია, რომ 1826 წელს რუსის ჯარი „ირაკლის თავასთან“ (ერევანთან) ჯერ კიდევ არ იყო დაბანაკებული, ერევანი პასკევიჩის სარდლობით კავკასიის ჯარმა მხოლოდ 1827 წლის 1 ოქტომბერს აიღო. უფრო სწორია პირველი ვარიანტის ავტოგრაფული თარიღი — 1827 წელი. უნდა გა-

<sup>1</sup> იგი რომ უეჭველად პოემის მეორე ვარიანტია იქიდანაც კარგად ჩანს, რომ შეიცავს ერეკლე II, დავით სარდლისა და ზაქარია [ანდრონიკაშვილის] და თამარ მეფის ხოტბას, რომელიც პირველ ვარიანტში არაა. მაშასადამე, ამ ვარიანტის ავტოგრაფულ (ამჟამად უცნობ) დედანში თარიღი „1826“ შეუძლებელია ყოფილიყო.

ვითვალისწინოთ აგრეთვე ისიც, რომ ეს თარიღიც „ტოლუბაშის“ დაწერის ქრონოლოგიას არ განსაზღვრავს: პირველი ვარიანტი მუშავდებოდა 1832 წლამდეც და თარიღი უმთავრესად ნაწარმოებში გამოხატულ ისტორიულ მომენტსა და ნაწარმოებზე მუშაობის დაწყების წელზე მიუთითებს.

სანდო და მნიშვნელოვანია მეორე ვარიანტის ცნობა, რომ „ტოლუბაში“ არის მიბაძვა უუკოვსკისა“. გრ. ორბელიანს მოეპოვება სხვა „მიბაძვა უუკოვსკისა“. მაშასადამე, იგი ავტორის განმარტებად უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, გრ. ორბელიანის „ტოლუბაში“, ისევე, როგორც პოემის საბოლოო რედაქცია („სადღეგრძელო“), უეჭველად დაწერილია ცნობილი რუსი რომანტიკოსი პოეტის ვ. უუკოვსკის ნაწარმოების «Певец во стане русских воинов» (1812) მიბაძვით; მაგრამ „ტოლუბაში“ არაა უბრალო ვარიაცია აღნიშნული ნაწარმოებისა. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დიდი ხანია გამოთქმულია ანალოგიური მოსაზრება. ამჟამად ეს საკითხი სპეციალურად არის შესწავლილი<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ვ. უუკოვსკის პოემაც არაა მთლად ორიგინალური—იგი მიბაძვაა ინგლისელი პერე რომანტიკოსის თომას გრეის (1716—1771) პატრიოტული ოდისა «The Bard», რომელშიაც ავტორი ინგლისის ეროვნული დიდების მთავარ ეპოქებს მიმოიხილავს. გრეის ნაწარმოების ცენტრშია ბარდი, სახე იმ ძველი პროფესიონალი მომღერლებისა, რომლებიც ხოტბებს ასხამდნენ გმირებს, ან სხვადასხვა ისტორიულ თუ ლეგენდარულ ამბებს ჰყვებოდნენ ზეპირად. უუკოვსკის პოემაშიც მომღერალი (Певец) წარმოსთქვამს სადღეგრძელოებს და რუსეთის ისტორიის გმირებს იგონებს.

უუკოვსკის „მომღერალი“ ეძღვნება 1812 წლის სამამულო ომს. პოემაში ამ ომის გმირებია შექმებული (კუტუზოვი, რაევსკი, ერმოლოვი, მილორადოვიჩი, კონოვნიცინი, ორლოვი, კაისაროვი, კუტაიხოვი, ბაგრატიონი და სხვები). პოემის დასაწყისში (მეორე სადღეგრძელოში) მოხსენებულია სვიატოსლავი, დონსკოი, პეტრე პირველი და სუვოროვი, სხვა ადგილას—სახალხო მომღერალი ბოიანი, ლომონოსოვი, დერჟავინი და სხვ.

„ტოლუბაში“ ისევე, როგორც „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქცია, კომპოზიციურად და ცალკეული მოტივების მხრივ ხშირად უმუშაოდ მისდევს ვ. უუკოვსკის პოემას. ამ ნაწარმოებთა შორის ბევრი თემატიკური მომენტია საერთო, ხშირად ამა თუ იმ თემის გაშლის მხრივაც სრულს დამთხვევას აქვს ადგილი. მიუხედავად ამისა, „ტო-

<sup>1</sup> ჟ. კუმბურიძე. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ვ. უუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანკში“ (სახ. უნივ. შრომები, ტ. 53, გვ. 179, 204, 1954).

ლუბაში“ (და „სადღეგრძელოც“) არაა უბრალო ვარიაცია, იგი მართლაც მიბაძვია და არა განმეორება. უმთავრესი განსხვავება ამ ორ პოემას შორის ისაა, რომ ვ. ჟუკოვსკის ნაწარმოების ცენტრშია ავტორის თანამედროვენი, 1812 წლის მონაწილე გმირები, რომელთაც პოეტი კონკრეტულად ასახელებს და შესაფერისად ამკობს მათ; გრ. ორბელიანის წინაშე კი ეს ამოცანა არა დგას. ჟუკოვსკის პოემაში შექებულა რუსი გენერლების გმირული თვისებანი, რომელნიც მათ გამოიჩინეს ბოროდინოს ბრძოლაში. სხვა მოტივებს (ისტორიული წარსულის მოგონება, სიყვარულისა და მეგობრობის ხოტბა და სხვ.) ვ. ჟუკოვსკის პოემაში დამატებითი მნიშვნელობა აქვთ. „ტოლუბაში“ კი (და პოემის ბოლო რედაქცია) მკითხველს არ უქმნის დროის, ეპოქის სრულილ უზიანს. ყველა სადღეგრძელო, რომელსაც ტოლუბაში წარმოთქვამს, შეიძლებოდა წარმოთქმულიყო არა მარტო რუსეთ-ირანის ომში 1827 წელს, არამედ სხვა დროსაც და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მეომართა შორის. ნაწარმოების არც ერთი ტაეპი არ გვანაშნებს, რომ პოეტი პასკევიჩის არმიის მიმართ იმეორებდა. პირიქით — პოემის მიხედვით ჩანს, რომ „ირაკლის თაფასთან“ მხოლოდ ქართველები არიან დაბანაკებულნი. ტოლუბაში ასე მიმართავს მეომრებს:

მზანო! აღვასოთ ფილა წინაპართ მოსახსენებლად,  
რომელთაც მამულისათვის სისხლი შეჰსწირეს აქ მსხვერპლად:  
თვით გორი ესე წითელი არს მათ მხნეობის მაჩვენებლად,  
რომელიც მტერთა შემუსვრით შეიქმნა სამარად ვრცელად.

გრ. ორბელიანი შემდეგს კომენტარს ურთავს სქოლიოში ამ ადგილს: „გარნიჩაის მდინარეს და ერევანს შუა მეფე ირაკლიმ დაამარცხა და შეიპყრნა აზათ-ხან. ამავე ადგილს ორმა ჩვენმა როტამ დაამარცხა ასანხანი და ნალიხანი, რომლისა შემდგომ მივედით მეგობრები ქართველნი და ირაკლის თაფზე, საიდანაც აიღო ამა მეფემან ერევანი, იმ გორაზე ვლხინობდით“. — როგორც ვხედავთ, ეს შენიშვნა არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მინიშნებას რუსული მხედრობის შესახებ. თვითონ ტექსტში კი ამაზე კრიტიც არაა დაძრული — არც ერთი მხედართმთავარი ან ომის უშუალო მონაწილე პოემაში დასახელებული არაა. „ირაკლის თაფასთან“ ქართველი მეომრების მისვლა და ლხინი კი მხოლოდ და მხოლოდ წარსულის მოგონებებს აღძრავს პოეტში:

მიწასთან გასწორებულან ძველთ დროთა სადგურნი!  
ქარმან აღვაუ მათნიცა მიწისა პირით საფლავნი  
წინაპართაგან რაღა გეშთა? — დიდებისა მოედანი!  
მათი სახელი, მათ ხრმალი და დიღნი მათი საქმენი.



„ტოლუბაშის“ პირველ ვარიანტში ამ წინაპართაგან მოხსენებულ-  
ლია მხოლოდ ვახტანგ გორგასალი. საქართველოს სხვა ისტორიული  
გმირები თანდათან გამოჩნდნენ პოემის მეორე ვარიანტში და განსა-  
ჯუარებით „სადღეგრძელოს“ ბოლო რედაქციაში.

„ტოლუბაში“ მამულისადმი სიყვარულის ჰიმნს  
წარმოადგენს. პოემის ამ ვარიანტში ტოლუბაშის პირით პოე-  
ტი მიმართავს თავის სამშობლოს.

ჰე, მამულო, სასურველო! ვინ გახსენოს, რომ მის გული  
არ აღპოროდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?  
ვინ გიხილოს დროსა საშინის, არ დაქსთხიოს  
თვისი სისხლი,  
არა დაკლას თავი თვისი შენდა დახსნად,  
ვითა მსხვერპლი!

სამაგიეროდ პოემაში ერთი სიტყვით არაა აღნიშნული მნიშვნე-  
ლობა იმ საომარი ექსპედიციისა, რომლის მონაწილეც პოეტი იყო.  
ამრიგად, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი  
(ისევე, როგორც მეორე ვარიანტი და საბოლოო რედაქცია) ვ. ყუ-  
კოვსკის პოემის ერთგვარ ანტიპოდს წარმოადგენს ძირითადი თემა-  
შერჩევის თვალსაზრისით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“  
ეს თავისებურება — რუსული მილიტარისტული ჭარის მოუხსენებ-  
ლობა და ამ ჭარის მხოლოდ ქართულ ნაწილზე ყურადღების გადატა-  
ნა (თანაც ქართველი მეომრის მარტოოდენ ისტორიულ მოგონებათა  
ბურუსით შემოსვა) — ახასიათებს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ლექსში:  
„ომი საქართველოს თავად-აზნაურ გლეხთა პი-  
რისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა 1844-ს, მძღვა-  
ნელობასა ქვეშეღუბერნიის მარშლის თავადის  
დიმიტრი თამაზისა ძის ორბელიანისა“ (1844). ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილიც კავკასიის ომში ქართველებს მონაწილეობას ისე  
აგვიწერს, თითქოს მხოლოდ ესენი ეწვევიან ბრძოლას დაღისტანში.  
პოეტი იგონებს საქართველოს ისტორიულ გმირებს — ერეკლე II.  
დავით სარდალს — და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთი-  
ელთა წინააღმდეგ „ქართლის ძეთა“ ერთობლივ გამოსვლას იმ-  
პერატორის ნება კი არ მართავს, არამედ ერეკლე II აჩრდილი. პო-  
ეტის მზერა დანისლულია პატარა კახის, მისი სარდლების და საერ-  
თოდ ფეოდალური საქართველოს სპათა ზმანებით. ამიტომაც აღნიშ-  
ნული ლექსის პირველ ვარიანტს აქვს ბუნებრივი დასასრული: „მე-  
ფესა (ე. ი. ერეკლეს) თავი შესწირეთ, ვაგლახი ეციო წარმართა“  
(გვიან პოეტმა ცენზურისათვის შემდეგნაირად გაასწორა ეს ტაეპა:

„იმპერატორსა ემსხვერპლეთ...“, თუმცა ეს ტიტული სრულიად არ შეეფერება ლექსში ასახული ისტორიული სახეების ანსამბლს<sup>1</sup>.

ნ. ბარათაშვილი რომ იცნობდა „ტოლუბაშის“ რომელიღაც ვარიანტს — საეჭვო არ უნდა იყოს. ნიკ. ბარათაშვილი რომ კარგად იცნობდა თავის ბიძის ნაწერებს, ჩანს მისი ბარათებიდან გრ. ორბელიანისადმი. 1833 წელს კეთილშობილთა სასწავლებლის შეგირდების მიერ შედგენილ აღმანახში შეტანილია გრ. ორბელიანის „იარალის“, ზოლო ამ აღმანახის მონაწილე სხვებთან ერთად ნიკ. ბარათაშვილიც იყო. ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ გრ. ორბელიანს მისი უნიკიერეაა დისწული თავის ლიტერატურულ მეტრად სთვლიდა. ნ. ბარათაშვილის განთქმული სტროფი „მერანისა“, რომელიც იწყება სიტყვებით „ნუ დავამარხო ჩემსა მამულში“... წინამორბედს პოულობს სწორედ „ტოლუბაშის“ ვარიანტებში:

ვაი თუ ჩემან, გლახ შავმან ბელმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული

ვაი თუ მოვკვდე ესრეთ ყარბად, გულს არ დამეცეს სატრფოის ცრემლი და სხვ...

გარდა პატრიოტული მოტივებისა, „ტოლუბაში“ შეიცავს მეგობრობის, სიყვარულისა და საქართველოს ბუნების ხოტბას, რაზედაც თავის ადგილას გვექნება საუბარი. ეს ნაწარმოები შექმნა 1827—1832 წლებში, ე. ი. ცნობილი „შეთქმულების“ პერიოდში. იგი ჩინებულად გამოხატავს პოეტის ეროვნულ შეგნებას: პასევიჩის არმიის ოფიცრის მკერდქვეშ ძგერს გული მამულზე შეყვარებული პატრიოტისა, რომელიც მზადაა „დააკლას თავი თვისი“ მისდა „დახსნად, ვითა მსხვერპლი“.

ეროვნული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს „საღლეგრძელს“ პირველ ვარიანტს („ტოლუბაშს“), უფრო მკაფიოდ გამოხატულია ავტორის ამავე პერიოდის ლირიკულ ლექსებში და სხვა „მიბაძვებში“. გრ. ორბელიანის ასეთ პირველ პროგრამულ ლექსად (პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლირიკულ ნაწარმოებთა შორის) უნდა ჩაითვალოს „აღსარება“ (1831), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1832 წელს შეტქმულთა წრეში. იგი წარმოადგენს ცნობილი დეკაბრისტი პოეტის კონდრატი რილევის (1795—1826) დაუმთავრებელი ნაწარმოების «Наливайко»-ს ერთ-ერთი თავის („ნალივაიკოს აღსარება“) მიბაძვასა და გადმოქართულებას. რილევის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკანულ პოეტს, თავდაპირველად განზრახული ჰქონია დაეწერა მთელი პოემა ამ სათაურით. ამჟამად ცნობილია მხოლოდ საერთო გეგმა პოემისა და ცალკეული ადგილები. გრ. ორბელიანი

<sup>1</sup> უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. ჩვენი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1947, გვ. 85—87 (შდრ. აქვე).

სცვლის რილევის ლექსის შინაარსს. იგი გაქართულებულია. ნაწარმოებში გაქართულია „მ ტ რ ი ს ს ი ს ხ ლ ი ს დ ა ს ა თ ხ ე ვ ა დ მ ო - ს უ რ ნ ე“ ქართული არისტოკრატი-პატრიოტის სულისკვეთებით. როცა 1832 წლის შეთქმულებთან კავშირის გამო გრ. ორბელიანი გაჩხრიკეს და დაატუსაღეს ნოვეგ. როდში, ჟანდარმერაის პოლკოვნიკმა სხვათა შორის ჰკითხა მას: „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთ თუ არაო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „აღსარების“ ერთ-ერთი პირი ჟანდარმერაის უპოვია შეთქმულთა ყველაზე რადიკალური წევრის, რესპუბლიკანელი სოლომონ დოდაშვილის ბინაზე. მეორე შეთქმულისათვის, გიორგი ერისთავისათვის გრიგოლ ორბელიანს თვითონ გადაუცია თავისი „მ ი ბ ა ძ ვ ა“<sup>1</sup>. ხოლო თბილისში ყოფნისას დიდი წარმატებით წაუკითხავს იგი შეთქმულთა წრეში. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს „აღსარების“ მნიშვნელობას 1832 წლის შეთქმულებასთან გრიგოლ ორბელიანის იდეური კავშირის თვალსაზრისით.

„აღსარების“ ლირიკული პერსონაჟი თვითონ ავტორია, ნაცვლად რილევის პოემის გმირის, უკრაინელ პატრიოტ ნალივაიკოსი. ლოკალიზებულია ადგილიც, სადაც პოეტი წარმოთქვამს თავის აღსარებას: ვ ა რ შ ა ვ ი ს ნაცვლად დასახელებულია მ ც ხ ე თ ა. „ივერიელთა“ მტრებად გამოყვანილი არიან „ლევი, ოსმალი და სპარსი“<sup>2</sup>. ამრიგად, გრ. ორბელიანის ლირიკულ მონოლოგში ნამდვილი მისამართები შენიღბულია ისტორიული სახელებით. მიუხედავად ასეთი ვუალისა, ლექსი ძალზე გამჭვირვალეა:

ყოჩხეთი მტანჯს მაშინ მე, ვახედავ რა ტყვედ ქმნილს მამულსა!  
როს ენახო თავისუფლებით, ვახედე მაშინ სასუფეველსა!  
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმნთო;  
რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო!  
ესრეთ სარცხინო შიშითა ვინ იყო მაშინ ძლეული?  
ტყვეობას ვის არ ერჩივნა სიკვდილი მამაცეული?  
ქედმორბეული უღელს ქვეშ, სიმშარით დღეთ თვისთ ვინ ჰსწყევდა?  
მთოვრით განისვენებდნენ და მზე ნათელსა მოჰყენდა!

როგორც ვხედავთ, „აღსარებაში“ დახასიათებულია პოეტის თანადროული სინამდვილე წარსულთან დაპირისპირებით („ე ს რ ე თ ს ა რ ც ხ ე ი ნ ო შ ი შ ი თ ა ვ ი ნ ი ყ ო მ ა შ ი ნ ძ ლ ე უ ლ ი?“), ლექსში საუბარია არა წარსულზე, არამედ აწმყოზე:

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. ტფილისი, 1935, გვ. 97. გ. ერისთავს „აღსარების“ ქართული თარგმანისათვის „გივი ამილახერის აღსარება“ უწოდებია (იქ-30).

<sup>2</sup> აი პარალელური ადგილებიც:

1) ძსკულსა უძღურად შექმნილსა ჰსთვლემს მ ც ხ ე თ ა ს გამოუფხიზლად  
Давно закон в Варшаве дремлет.

2) ლევი, ოსმალი და სპარსი, ვით მგელნი განუძლომელნი

Жид, Ушат, Литвия, Поляк — как стаи кровожадных вранов.

ლექი, ოსმალ და სპარსი, ვით მგელნი განუძღომელნი,  
უწყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს, სისხლითა ჩვენით ღებულნი,  
ჰსჯულსა უძლურად შექმნილსა, ჰსთვლემს მცხეთას  
გამოუფხოზლად;

ერი და ღაღადებს ვაებას და ვერვინ აღსდგამ ფარველად,  
მის ეამის მტრისა სისხლისა ვარ დასათხვეად მოსურნე  
და ამა ფიქრით მოცულსა, სახე მაქვს კმუხენილ, მრისხანე.  
მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნისი.

ხმა საიდუმლოდ მარად ეამს მეჩურჩულების მე ყურსა,  
ეამი არს მტერი მამულის მიესცეთ მახვილსა ლესულსა.

„აღსარება“ თავდება ამბოხებისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის დეკლარაციით:

თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ [ვის] მოუსყიდევს;  
წარესწყმდები მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ.

✠ გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებიდან პირდაპირ მიემართება იდეურ-ემოციური და სტილიური ძაფები პოეტის უფრო გვიანდელ პატრიოტულ ლექსებთან. ესაა ერთი გამმა, ერთი სულიერი მღელვარების სფეროში წარმოშობილი ფიქრები და განცდები. შემდგომს ლექსებშიაც საქართველოს გმირული სულიაა და „წინაპართა სისხლის“ მოგონება გრ. ორბელიანს სჭირდება აწმყოს შეცვლის, თანამედროვეთა გამოუფხოვლებისა და გაღვიძების მიზნით. ისტორია როდუ იყო მისთვის მხოლოდ მეღანქოლიური ჰერეტის ობიექტი ან მარტოდენ თვალწარმტაცი დეკორუმი. ისტორიული მოგონება პოეტში აღძრავს „შორით მოსულის“ წინააღმდეგ ბრძოლისა და თანამედროვეებში სულიერი აქტივიზაციის გამოწვევის სურვილს. გრ. ორბელიანს ეს აზრი პირდაპირ დეკლარაციულად აქვს გამოთქმული უსათაურო ლექსში „ჰე, ივერიაე“:

ჰე, ივერიაე! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,  
ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი,  
რად არა ვახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,  
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.

წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,  
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს  
შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,  
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს,  
გვიქმს აღერსობას...

ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებასი  
ბედლი ნუ გძინავს, ვანიღვიძე, ისმენდ ვაებასი!

1 აღსანიშნავია ფრაზული პარალელები ამ ლექსისა „აღსარების“ ცალკეულ ტაეპებთან. მაგ. „ვიდრე იყო ქედმოდრეკილი...“ შდრ. „ქედმოდრეკილი უღელქვეშ“... ან „უღელქვეშ დამწარებული“ („აღსარ.“). აგრეთვე: „ერთი ღაღადებს ვაებას“ („აღს...“) შდრ. „ვანიღვიძე, ისმენდ ვაებას“ („ჰე, ივერიაე“) და ა. შ.

მეორე უსათაურო ლექსი — „მისი სახელი კი ცხვითა“ — კიდევ უფრო ახლო გვაგარძნობინებს მემამბონე პოეტის სულისკვეთებას: 32 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში:

მისი სახელი კი ცხვითა მარადის იხსენებოდეს  
 ვინცა სამღრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგარძნობდეს,  
 და ვინცა მისსა ტყვეობას გულს იგრილითა  
 და მის დახსნისთვის უზრუნველთვის სიციოცხლეს  
 მტერსა ხანჯალზე დაღებულს ვინცა სიამით არ  
 დასმენა მისთა კვნესათა გარძნობათა არა  
 რა სასურველ არს სიციოცხლე, ვაით ამ სოფელს  
 და სამარემდის კვნესითვე უღელს ქვეშ დამწარებულნი  
 სჯობს იგი მოკედეს და ანუ არ იქნას დაარსებულნი,  
 მხედრი ესრეთი ვაგლახი არს ვისთვისც განმზადებულნი!  
 ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთომოდეს,  
 რომელ ოდესმე ცისკართა ვისუფლების აღმოჩნდეს! —  
 ვაი მას, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...  
 სად სჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა  
 აღასრულებდეს!

მოყვანილი ტაეპების პოლიტიკური სარჩული იმდენად ნათელია, რომ იგი ვრცელ განმარტებებს არ მოითხოვს. ადვილი ამოსაცნობია ის ადრესატი, ვისდამიცაა მიმართული პოეტის მძვინვარება. გრ. ორბელიანი კრიტიკულად აფასებს სინამდვილეს, პოეტის გულისწყრომას იწვევს მის მამულში ბიუროკრატიული რეჟიმის თავგაუალოება, რომელიც ქვეყნის მიერ თავისუფლების დაკარგვას მოჰყოლია. პოეტი მზადაა დასტკბეს ხანჯალზე წამოგებული მტრის კვნესით და ჰკიცხავს ყველას, ვისაც ამ „თავისუფლების ციხკრის“ მოლოდინი არა აქვს.

<sup>1</sup> აღსანიშნავია ერთი საგულისხმო ფაქტი: ეს ლექსი („მისი სახელი კი ცხვითა...“) შეტანილია „აღსარების“ იმ ხელნაწერ ასლში, რომელიც, გ. ერისთავს ჰქონია (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 97). ჩამატებულია იგი „აღსარებაში“ ტაეპის „სახე მაქვს კმუხენილ მრისხანე“ შემდეგ (ვიღრე ტაეპამდე „მე თავისუფლებისათვის...“) ასეთი კონტრამანცია შესაძლოა თვითონ გრ. ორბელიანისაგან მომდინარეობდეს?! როგორც არ უნდა იყოს, გრ. ორბელიანის „მ ი ბ ა ძ ვ ა“ და აღნიშნული ლექსითა და ნამედროვეებსა და უთქვამთერთი უფრო მთლიანობა და. მაგრამ აქვე უნდა დავიხსოვოთ, რომ ლექსი „მისი სახელი კი ცხვითა“ რილევის „ნალივაიკოს აღსარებიდან“ არ მომდინარეობს და სრულიად ორიგინალურია. დოდაშვილისეულ ხელნაწერში გრ. ორბელიანის ორიგინალური ლექსი პირდაპირ ჩამატებულია და მისი თუნდაც შორეულად ექვივალენტური ტაეპები რუსო რევოლუციონერი პოეტის ნაწარმოებში არ მოიპოვება.

ერთ-ერთ პროზაულ კონსპექტში, რომელიც 30-იან წლებს ეკუთვნის და დასათაურებულია „საქართველო ჩემის დროისა“, გრ. ორბელიანი სხვათა შორის ჩამოთვლის ყველა იმ სისაძაგლეს, რასაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი საქართველოში და რაც შემდეგ ხალხის სტიქიურ ამბოხებას იწვევდა ხოლმე: „სასამართლო, გარყვნილნი მოხელენი, და მათი უსამართლობა და ქრთამობა... ლოთობა და ცემა-ტყეპა ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან ღაღადისი წყევისა... ბუტიკახეთში<sup>1</sup>, და მის უმთავრესი მიწეზი: კომისიონერები, აფიცრებისა და სილდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლ-შვილებისა სოფლებში... ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა თავადებისა“.

ეს ამონაწერი ძალზე მნიშვნელოვანია არსებულ რევიზიასდმი გრ. ორბელიანის დამოკიდებულების ნათელსაყოფად 30-იან წლებში. მის პოლიტიკურ და სოციალურ პროტესტს კონკრეტული სინამდვილე ჰკვებავდა.

გმირული წარსულის მოგონებისა და ბედშავ აწმყოს შეცვლის სურვილს გრ. ორბელიანი შესანიშნავად გადმოგვცემს ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში. „იარალის“ (1832), რომელიც ავტორს ნოვეგოროდში დაუწერია. ეს ლექსი, „აღსარების“ მსგავსად, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა 1832 წლის შეთქმულთა შორის და გრ. ორბელიანს ისიც გაჩხრეკისას უპოვეს ნოვეგოროდში.

„იარალის“ მიძღვნილია პოეტის პეტერბურგელი ნაცნობის იარალი შანშიაშვილისადმი. ეს უკანასკნელი თან ახლდა რუსეთს გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს, კერძოდ, ფარნაოზ ბატონიშვილს, და გრ. ორბელიანს იგი 1831 წელს გაუცვნია პეტერბურგში. უნდა მოვიგონოთ, რომ გრ. ორბელიანი ხშირი სტუმარი ყოფილა ფარნაოზ ბატონიშვილისა და უეჭველია, ამ უკანასკნელის წრეში გაიცნობდა იარალის, რომელიც უკანასკნელი ქართველი მეფეების კარის მგოსანი, თარზე დამკვრელი და მომღერალი ყოფილა. ლექსიდანაც კარგად ჩანს, რომ იარალი შანშიაშვილი თავისი მფარველი ბატონიშვილის პოლიტიკური იდეალების ერთგული იყო. ამით აიხსნება თანამზრახველობის და განდობის ტონი, რომლითაც პოეტი თავის პატრიოტულ ოცნებებს უზიარებს იარალის. მამულიშვილური სულსკვეთება, თავისუფლებისადმი ღრმა სიყვარული და ფეოდალური წარსულის ხოტბა, რომლითაც გამსჭვალულია „იარალის“, საკვებით ორგანული და გასაგები უნდა ყოფილიყო რუსეთში გადასახლებულ ქართულ ლეგიტიმურ წრეებთან დაახლოებული პირისათვის. ერეკლე

<sup>1</sup> იგულისხმება კახეთის აჯანყება 1812 წელს.

II და გიორგი XII მომსწრეს, ძველი საქართველოს დაგვიანებულ ტრუბადურს ბევრი რამ საინტერესო უნდა მოეთხრო ახალგაზრდა პოეტისათვის. ლექსი „იარალის“ პოეტური გამოძახილია მათი საუბრებისა.

„იარალის“ ვრცელი ლირიკული ლექსია, რომელიც ნატვრით იწყება და შემდეგ ერთგვარი ხილვის მხატვრული ხორცშესხმით იშლება. პოეტი მიმართავს თავის პეტერბურგელ ნაცნობს და ნატრობს მასთან ერთად სამშობლოში იჯდეს „ველსა მწვანეს“ და „გაცხელე პულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განუგრილებდეს“. აღწერს რა ქართულ სუფრას, პოეტი წარმოიდგენს:

შენ მომიხრობდე.  
მე ყრმა გისმენდე  
გამოუდელი მოხუცებულსა,  
თუ ვით ივერნი,  
ლომგულნი გმირნი,  
პბრძოდნენ, პსცხოვრებდნენ დროსა წარსულსა.

პოეტის წინაშე იშლება გმირული ხანა ჩვენი წარსულისა, სურათები იმ პერიოდისა, რომლის უშუალო მხილველი და მოწმე იარალი იყო. მტერზე „წურდულებრ“ სწრაფად მისეული „მხნე კაბუქების“ მოგონებისა და დახასიათების უმაღლესი პოეტი ამბობს:

ღანატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა  
მსხვერპლად,  
ღანატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

და ამგვარი ლირიკული რეპლიკის შემდეგ პოეტი ისევ ახასიათებს ივერიელთა სხვადასხვა თვისებას — ბრძოლის უნარსა და სიმამაცეს, სარწმუნოებას და ერთგულებას, ღვინისა და გართობას; იშვიათი რიტმიული ექსპრესიით გადმოგვცემს ყაბახზე ჭირითის სურათს, და იგონებს:

ამ ვაეკობრივს შექცევას იგი (მეფე ირაკლი) სიამით მარად უმზერდა შორით.  
ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვის თვისაც ვესტირიოთ.  
წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარიდეს,  
აჲ უცხოცის ქვეშ, ზოგსა ვჰკვერეთ ოხრეთ, და ცრემლით  
ზოგის წმინდა სამარეს.

ამ სტროფს უშუალოდ მიჰყვება ტაეპები, რომლებიც მთელი ლექსის იდეურ მწვერვალს წარმოადგენს:

ვინ აღჩნდეს გმირი,  
რომ მის ძლიერი.

<sup>1</sup> შტრ. ტაეპი „აღსარებიდან“: „...და ვერვინ აღსდგა მფარველად“.

ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?

რომელ მარჯვენით,

ერთისა დაკვირით.

უსულოდ ვეშაპს მიწად დაკცემდეს?

მაგრამ ამოდ, ჩემო იარაღი,

არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!

ამრიგად, „იარაღის“ ამ ადგილსაც მოისმის ის ძახილი, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილს უსათაურო ლექსშიაც („ჰე, ივერიავე“) ისმის: „ბედო ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას“. ამავე დროს პოეტს თითქო „ამაო როტვად“ მიაჩნია ისეთი გმირის გამოჩენა, რომელსაც შეეძლოს „ვეშაპის“ ძირს დაკცემა და თუ ასეთად „ზოგსა სჭვრეტს ოხვრით“, ისიც სამშობლოს გარეთ, „უცხო ცის ქვეშ“ (აშკარაა — გრ. ორბელიანი რუსეთს გადასახლებულ ბატონიშვილებს გულისხმობს იარაღისადმი მიმართულ ლირიკულ მონოლოგს ამ ადგილას).

უკვე განხილული ლირიკული ლექსების შინაარსაც ნათლად მეტყველებს გრ. ორბელიანის ეროვნულ შეგნების, მისი პატრიოტულა სულისკვეთებისა და გეამბოხე განწყობილების შესახებ. ამ ლექსებში მხატვრულადაა გამოხატული გასული საუკუნის 30-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ოპოზიციური დამოკიდებულება ცარიზმისადმი საქართველოში. შემთხვევითა როდი იყო, რომ გრ. ორბელიანის „იარაღის“ ხელნაწერის სახით იყო გავრცელებული ქართველ შეთქმულთა შორის და მას ზეპირადაც წარმოთქვამდნენ.

შეთქმულების იდეებით შთაგონებული გრ. ორბელიანის პატრიოტული შემოქმედების ანალიზის სისრულისათვის აქვე მოკლედ უნდა განვიხილოთ პოეტის დღიურის ერთი ნაწილი „მგზავრობა ჩემი ცდილის დამპეტერბულამდის“ (1831). ზოგიერთი ადგილი ამ დღიურისა მისი ზემოთ გარჩეული ლექსების პროზულ კომენტარადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

თავის დღიურში გრ. ორბელიანი აგვიწერს 1831 წლის ზაფხულს (9 ივნისს) თბილისიდან რუსეთს გამგზავრებას. მას საგანგებოდ აქვს აღნიშნული, თუ როგორ „ჩუმაღ შეკრიბენ“ მისი „ქვეშ მარტივი“ ნეგობრები (შეთქმულნი? ა. გ.) და გააცილეს იგი. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს მოგზაურობის შთაბეჭდულებებს, ეხება სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებს, აგვიწერს მცხეთას, დუშეთს, ანანურს; დღიურში ასევე აღწერილია მთიანი საქართველოს მდიდარი ბუნება: კაიშაურის და ფასანაურის, თერგისა და დარიალის ლანდშაფტები. განსაკუთრებით საყურადღებოა მცხეთაში მისვლა და სვეტიცხოვლის ნახვა. „რა ვიხილე მცხეთისა მო-



ნასტერი... გარდმოცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილერა საფლავი მეფის ირაკლისა, რომლისათანა არს დამარხული დიდება და ყოველი კეთილი ივერიისაო“ — წერს პოეტი (გვ. 70). ეს სიტყვები უმაღლეს აგონებენ მკითხველს არა მარტო „ტოლუბაშის“ მეორე ვარიანტისა და „სადღეგრძელოს“ ცნობილ ადგილს („დიდება ივერიისა მასთან (ირაკლისთან, ა. გ.) მარხია სამარეს“), არამედ იარაღისადმი მიმართულ სიტყვებს ერეკლესა და მისი ეპოქის შესახებ: „ვისცა ეწერა დიდება სახეს“... „წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოველი კეთილი თანა წარიღეს“.

ყაზბეგის, ვლადიკავკაზის, ეკატერინოგრადის და სტავროპოლის მოკლე აღწერისა და სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობების მოყვანის (მაგ. ყაბარდოს შესახებ) შემდეგ ნაწარმოების ბოლო, მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ავტორის საუბარს გენერალ ივანე აფხაზთან, რომელიც მას პირველად 21 ივნისს არდონის ციხეში შეხვედრია და შემდეგ კი აგვისტოს სტავროპოლში გასაუბრებია; დღიურის დამუშავებული ნაწილი წყდება 7 აგვისტოს თარიღზე, როცა ავტორი ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, სტავროპოლშია.

გრ. ორბელიანისა და გენ. აფხაზის დიალოგი, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, სრულად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არა მარტო გრ. ორბელიანის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გასაგებად, არამედ 1832 წლის შეთქმულთა პროგრამის ზოგიერთი მომენტის კარგად გაცნობის თვალსაზრისითაც. საუბრის თემაა — საქართველოს პოლიტიკური ვითარება და მისი განთავისუფლების გზები. დიალოგის დასაწყისში აფხაზს გრ. ორბელიანი ახასიათებს „ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა ნამულისასა“. ეს უკანასკნელი იმ აზრისაა, რომ თუ რუსნი იძულებული იქნებიან დაუტევონ საქართველო, მაშინ ქვეყანა „მყის შეიქმნების მსხვერპლად უწესობისა. შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა დასხმისა დაღძინებულთა მტერთაგან“. გრ. ორბელიანი საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამს: „საქართველო, შემდგომად რუსთა დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოცდაათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდესო“. ივანე აფხაზი არ იზიარებს მოსაუბრის ამ რწმენას და უხსნის გრ. ორბელიანს — საქართველოს მოსაზღვრე აზიურ სახელმწიფოებში „პოლიტიკებრი მდგომარეობა ფრიად შეიცვალა, ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალის ესრეთი განწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა“, ხოლო „საქართველო ურელულოდ (რეგულარული ჯარი,

ა. გ.) ვერცა ერთსა თვესა ვერ გაუძლებს მტერთათ“. გრ. ორბელიანი ამაზე უპასუხებს, რომ „რელულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში, ამიტომ რომ, იქმნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისა, თვალთ დაინახავენ რელულის სარგებლობასა“. გარდა ამისა, გრ. ორბელიანს სწამს, რომ ოსმალეთმა ჯა სპარსეთმა დაინახეს თავიანთი შეცდომა — საქართველოს შევიწროებამ როგორ მიუახლოვა მათ „საშინელი მეზობელი“. პოეტი ოპტიმისტურად აფასებს დამოუკიდებელ საქართველოს მომავალს: „ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისაგან. ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისა“. ივანე აფხაზს სწამს, რომ „ქართველნი არიან მხნენი“, მაგრამ რეგულარული ჯარის „გაწყობა“ მას ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნია. ამავე დროს იგი ითვალისწინებს ქართველთა საერთო დაბალ გონებრივ დონეს, გაუნათლებლობას და სხვ. „ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მის დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგარძნობს ყოველსა საქირიებასა, და, ყოველი კეთილი, ახალი საპარგებლო დაწყებულება ადვილად აღსრულდების: ახლა კი ვინ იკისრებს, ან ვინ გაუეცნებს. — აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის. ჰსცხოვრებენ უსაგანოდ. დაუბეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა: ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებლად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უმატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგარება არს მათთვის თაყვანსა ცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება — გარნა ნუ გგონია რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა: არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“. ამაზე გრ. ორბელიანი უპასუხებს: „ამა ერთისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღსრულდების, ვინცა იქმნებიან, შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქმნებიან გონებიან და შორს მხედველ“. როგორც მკითხველი ხედავს, გრ. ორბელიანისა და ივ. აფხაზის დიალოგში დაპირისპირებულია ორი თვალსაზრისი, ორი იდეა — საქართველოს დამოუკიდებლობისა და არსებულ ვითარებასთან შეგუებისა. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ დიალოგში აირეკლა შეხედულებათა ანალოგიური სხვაობა შეთქმულთა გარკვეული ჯგუფებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მომენტიც, თავის დროზე შემჩნეუ-

ლი: გრ. ორბელიანი თათქოს დაეკეებულა თავის პოზიციაში, თუმცა საბოლოოდ იგი მაინც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე რჩება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გენერალ აფხაზის ზოგიერთი შეხედულება პროზაული გადმოცემაა თვითონ პოეტის ფიქრებისა, რომლებიც ზოგიერთ მის ლირიკულ ლექსებშია გამონატული. აე მაგალითად, აფხაზის აზრი „აწინდელი ჩვენი საზოგადოების შესახებ“, რომელსაც „ოც დაათის წლის მორჩილებობის ნაყოფად“ პატიოსნება დაუქარგავს, სრულს პარალელს პოულობს ლექსში „ვე ივერიაე“:

ეს ნ ა ყ ო ფ ი აქვს მ ა რ ა დ ის ც უ დ ს ა მ ო ნ ე ბ ა ს

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწვემსი არ უვის,  
ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშვიერ კაცის ეშინის,  
ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზას პატივის,  
დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წახდების.

ანევე, იუნე აფხაზის მიერ გამოთქმული აზრი ალექსანდრე მეფის შემდეგ საქართველოს ცალკეულ ნაწილებად დაქუცმაცებისა („საქართველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად“) და ქართველი ტომების ერთმანეთთან მტრობისა და შუღლის შესახებ (რაც ქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდა), მშვენიერ პარალელს პოულობს გრ. ორბელიანის შემდეგ სიტყვებში:

შიში, სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენნი  
არიან მ ა რ ა დ მ ო ნ ე ბ ი ს ნ აყოფნი ესე საძაგნი! —  
ქველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთაუნთქავს ვსრეთს,  
რომ ჩვენზე მტერნი აღმსდგარან  
და ჩვენ კი ეებრძვით ურთიერთს.

(„აღსარება“).

დღიურში ფიქსირებული დიალოგი ნაწილობრივ მაინც გადმოგვცემს პოეტის არსებიდან მომდინარე მეორე, სკეპტიკურ ზმას, რომელიც „მოგზაურობაში“ მოსაუბრე აფხაზის პირითაა გამჟღავნებული. ჩვენი დაკვირვებით, „მოგზაურობის“ ზოგიერთი ადგილი წარმოადგენს პოეტის საუბარს თავის თავთან. უმთავრესად კი „მოგზაურობა“, რასაკვირველია, მკაფიო პროგრამული გადმოცემაა შეთქმულთა იმ იდეებისა, რომელნიც პოეტის მთელ რიგ ლექსებში მხატვრულ სახეებითაა გამონატული.

1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედების განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ჩვენ გვერდს აუვლიდით პოეტის ერთ-ერთ უთარბლო ლირიკულ მიძღვნას

„გულნი ივერთა“. ეს ლექსი პოეტმა შეიტანა ჯერ 1854 წელს დაწერილ ნიკოლოზ I ქებაში („ტოლუბაშიდან“), ხოლო შემდეგ — თავის პოემაში „სადღეგრძელო“. აი ეს ლექსიც:

გულნი ივერთა აქეთ მსხვერპლად შხადა, შენდა შესაფერ-შესაწირადად,  
ტაძარი შენი არს გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად,  
კმა არს რაც ვკარგეთ აქამდის, აწ შენში ვპაოვით კარგული.  
ამაღლდეს ქელი ივერის შავბელით დამიწებული.  
მტერთა შემუსვრით, შენის მხნობით, კეთილდღეობით აღგვაყვავილე,  
სწავლათა პაოვონ აქ თვის სადგური მისისა ნათლით ჩვენ განგვანათლე!  
მტერი შეძრწუნდეს, რა მოახლოდეს შენსა საზღვარსა მხნობით მცველსა.  
თამარის დღენი, დიდების დღენი უკ-მოუქციე ივერიასა.

ეს ტაეპები დაწერილია 1832 წლამდე, არა უგვიანეს 1832 წლისა. ლექსი აღმოჩნდა 1832 წლის შეთქმულთა იმ საქმეებში, სადაც მოთავსებულია ნოვგოროდში პოეტისათვის ჩამორთმეული ხელნაწერები<sup>1</sup>. საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში გრ. ორბელიანს განუცხადებია, რომ მას განზრახული ჰქონია ამ ლექსის შეტანა იმპერატორისადმი ნაუარაუდევ მიძღვნაში.

სპეციალურ ლიტერატურაში ორი საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული ამ საკითხზე: ზოგს პოეტის განცხადება მიაჩნია არაგულწრფელად, ზოგს კი პირიქით — სრულიად არ ეეჭვება იგი. მაგრამ საკითხის ასე დასმა უსაფუძვლოა: გრ. ორბელიანმა აზრით მოტანილი ტაეპები მართლაც შეიტანა ხელმწიფისადმი მიმართულ სადღეგრძელოში 1854 წელს; შემდეგ კი — პოემის საბოლოო რედაქციაში, ე. ი. მან განახორციელა ის განზრახვა, რომლის შესახებ საგამომძიებლო კომისიის წევრისათვის (გენ.-მაიორ ვოლხოვსკისათვის) მოუხსენებია ჯერ კიდევ 1833 წელს. პოეტის გულწრფელობაზე ისიც მეტყველებს, რომ „გულნი ივერთაში“ უეჭველად ნაგულისხმევია (დაუსახელებლად) ნიკოლოზ I, რომელმაც „სწავლის ნათელით“ უნდა „ააყვავილოს“ პოეტის ქვეყანა და ივერიას „უკმოუქციოს თამარის დღენი, დიდების დღენი“.

ამ ლექსის ვრცელი ვარიანტი ავტორმა დასწერა 1854 წელს. იმპერატორი აქ უკვე დასახელებულია და მასში შეტანილია ე. წ. ყირიმის ომით (1853-1856) შთაგონებული ტაეპები. ეს ვარიანტი უსათაუროა, მაგრამ ერთ-ერთ ხელნაწერში მას ავტორისაგან აშიაზე მიწერილი აქვს: „ესეც ტოლუბაშის არის“. მაშასადამე, ამჯერადაც პოეტი მეფის სადღეგრძელოს ვარაუდობდა, როგორც თავისი ერთადერთი პოემის საბოლოო რედაქციის ნაწილს. პოემა „სადღეგრძელო“ კი ძირითა-

<sup>1</sup> „1832 წლის საქმე“, რე. XVI, ფურც. 4050 /a (საქ. არქივი).

დად ჩამოყალიბდა 1870 წელს და იმპერატორისადმი მიძღვნაც შიგ მოხვდა (სხვა ახალ თავებთან ერთად, რომელთაც პოემის აღრინდელ ვარიანტებში — „ტოლუბაში“-ს სახელით რომაა ცნობილი — არ ვხვდებით). მიძღვნას აქ ჩამოცილებული აქვს ყირაიმის ომით გამოწვეული სტრიქონები და თავისი ლაკონიზმით უახლოვდება პირველ ვარიანტს („გულნი ივერთა“), თუმცა თავსა და ბოლოს დამატებული აქვს სტრიქონები, რომლებიც ოდას კომპოზიციურად და თემატიკურად პოემისათვის უფრო შესაფერ ნაწილად აქცევენ: „სადლეგრძელოს“ ბოლო რედაქციის (1870) ამ ადგილას ავტორი ამჟღავნებს ტენდენციას — თავისი ნაწარმოები დაუახლოვოს ჟუკოვსკის „მომღერლის“ სათანადო ადგილს. რუსი პოეტის ნაწარმოებში მ ო მ ლ ე რ ლ ი ს (Певец) მიერ წარმოთქმულ სადლეგრძელოს მამულისადმი და მეფეთა და წინაპართა ფერფლის პატივსაცემად (რომელიც იწყება სიტყვებით Отчизне кубок сей, друзья!) მიძყევა მე ო მ ა რ თ ა ოთხტაეპიანი შეძახილი—За них! за них, всю вашу кровь. ამას მოსდევს მომღერლის სადლეგრძელო მეფისადმი (ალექსანდრე პირველისადმი) Тебе сей кубок, русский царь!.. ზუსტად ამგვარი თანმიმდევრობაა დაცული ვრ. ორბელიანის პოემაშიც: ვრცელ სადლეგრძელოს, რომელიც იწყება სიტყვებით „მანო, აღვაგსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად“ მიძყევა ოთხსტრიქონიანი შეძახილი მ ხ ე დ რ ე ბ ი ს ა („გმირნო, მამულის მაღიდნო...“), ხოლო ამას მოსდევს ნიკოლოზ I სადლეგრძელო („ხელმწიფევე ჩვენო...“). ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გამოტანა: „გულნი ივერთა“ ავტორს დაუწერია როგორც ხელმწიფისადმი განზრახული სადლეგრძელოს ერთ-ერთი პირველი ვარიანტი, იგი ამ ლექსს უყურებდა, როგორც ხელმწიფის ქების თავდაპირველ მონახაზს. ა მ ა ვ ე დ რ ო ს „გულნი ივერთა“ პოეტს თავი და ნ ვ ე ნ ა ვ ა რ ა უ დ ე ვ ი ჰ ქ ო ნ ი ა „ტოლუბაში“-ს (იმავე „სადლეგრძელოს“) ერთ-ერთ ნაწილად, რასაც მას ჟუკოვსკის ნაწარმოებისადმი „მიბაძევა“ ავალეებდა<sup>1</sup>.

მაშასადამე — „გულნი ივერთა“ შეუძლებელია დამოუკიდებელ ნაწარმოებად ჩაითვალოს. ავტორს იგი თავიდანვე „ტოლუბაშის“

<sup>1</sup> სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას თვითონ ავტორის მიწაწერი ქების მეორე, ყირაიმის ომ-სდროინდელი (1854 წლის) ვარიანტის აშიაზე „ე ს ე ც ტ ო ლ უ ბ ა შ ი ს ა რ ი ს“. პოეტს არ შეეძლო „ტოლუბაშიში“ შეეიტანა ხელმწიფის ქება მეორე ვარიანტის სახით, რადგან ეს დაარღვევდა ისტორიულ პერსპექტივას: 1826—1828 წლების რუსეთ-ირანის ომთან დაკავშირებით ყირაიმის ომის ამბებზე ლაპარაკი ძალზე სახამუშო ანაქრონიზმი იქნებოდა. აშკარაა: ვრ. ორბელიანს მხედველობაში ჰქონდა მეორე ვარიანტის ის ნაწილი, რომელიც „გულნი ივერთა“-ს სახით (1 ვარიანტი) დაუწერია ქერკიდევ 1812 წლამდე. მართლაც და, პოემის საბოლოო რედაქციაში ხომ ეს ნაწილი მოხვდა?

(შემდეგ „სადლეგრძელოს“) შემავალ ნაწილად ჰქონია განზრახული, მაგრამ საკითხავია — რატომ არ მოხვდა „გულნი ივერთა“ „ტოლუბაში“ თავიდანვე? საქმე ისაა, რომ „ტოლუბაში“ ვარიანტები დაუმთავრებელია, ისინი, სახელდობრ, ვარიანტები ავრცლად მოფიქრებული პოემისა, რომელმაც საბოლოო სახე მხოლოდ 1870 და 1879 წლებში მიიღო. ვინც გრ. ორბელიანის პოეტური მუშაობის ხასიათს კარგად იცნობს, მას ისიც მოეხსენება, რომ პოეტი დიდხანს ამუშავებდა თავის ნაწარმოებებს, წერდა ცალკეულ თავებს, სტროფებსაც კი, და შემდეგ აერთიანებდა მათ. ცალკეული ნაწილების დამოუკიდებლად მოფიქრების და ვარიანტებად შეთხზვის (და შემდეგ მათი ერთმანეთთან შერწყმის) ასეთი მაგალითები ხშირია გრ. ორბელიანის ლირიკული ლექსების მიმართაც კი<sup>1</sup>. „სადლეგრძელოს“ ტექსტის ისტორიის საფუძველზე ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინოა.

ამიტომ „გულნი ივერთა“ არ შეიძლება განსაკუთრებულ დისონანსად მივიჩნიოთ გრ. ორბელიანის ლირიაში 1832 წლის შეთქმულებასთან მისი იდეური კავშირის თვალსაზრისით. იგი წარმოიშვა, როგორც ქუკოვსკის პოემის სათანადო ადგილის ქართული ვარიაცია. ეს იქედანაც კარგად ჩანს, რომ ავტორმა „გულნი ივერთა“ გავრცობილი სახით შეიტანა „სადლეგრძელოში“ 1870 წელს, როცა დიდი ხნის გარდაცვლილი იმპერატორის ქება სრულიად არ იყო სავალდებულო წარჩინებული ქართველი გენერლისათვის — რაიმე თავის მართლებასათვის ან ვიზისათვის პოეტს იგი არ დასჯირვებია, რადგან ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობდა<sup>2</sup>. უბრალოდ: ავტორი იცავს ისტორიულ პერსპექტივას — 1826—1828 წწ. რუსეთ-ირანის ომი სწარმოებდა ნიკოლოზ I-ის დროს და ამ უკანასკნელის მოხსენიება „სადლეგრძელოში“ ერთგვარ პოეტურ პარალელს წარმოადგენდა ქუკოვსკის პოემის სათანადო ადგილას ალექსანდრე I მოხსენიებისა 1812 წლის ამბებთან დაკავშირებით. „გულნი ივერთა“ დაწერილია ლიტერატურული ინერციის ზეგავლენით, პროტოტიპისადმი თავისებური მიბაძვით — პოეტს უნდა სადმე ხაზი გაესვა დროისა და ეპოქისათვის. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ „გულნი ივერთა“ პატრიოტულ მოტივსაც შეიცავს — მას ეზმანება „თაშარის დღენი, დიდების დღენი“, რომელიც რუსეთის მონარქმა უნდა დაუბრუნოს ივერიას. რუსეთ-

<sup>1</sup> გაეიხსენოთ „აღსარება“, ავრთვე ლექსი „ქე, ივერიავ“, რომლის ბოლო სტროფი ავტორს ცალკე ჰქონია დაწერილი („ცხოვარს ვემსგავსეთ...“) და შემდეგ შეუერთებია ლექსისათვის.

<sup>2</sup> თანაც: თავის სიციხლეში პოეტს ნიკოლოზ I სახელას შემკველა ტეპი პოემის არც ერთ ბეჭდურ გამოსცემაში. არ შეუტანია. ამაზე — სათანადო ადგილას.

თან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას ქართული არისტოკრატის გარკვეული ნაწილი ხედავდა იმაში, რომ რუსეთი საქართველოს მტრებს გაუნადგურებდა, რომ მის (ივერიის) საზღვრებს მუხუღმანური სამყარო ამიერიდან ვეღარ გადმოლახავდა. როგორც ჩანს, ეს შეხედულება გრ. ორბელიანს მთლიანად არ დაუტოვებია 1832 წლის შეთქმულების პერიოდშიაც, ე. ი. მაშინაც, როცა პოეტის პოლიტიკური რადიკალიზმი და ცარიზმის მიერ საქართველოში დამკვიდრებული ბიუროკრატიული რეჟიმისადმი პროტესტანტული განწყობილება მასში განსაკუთრებით ძლიერი იყო. აქი ასეთი იდეური კოპპრომისი, რასაც პირველი შეხედვით ერთგვარი წინააღმდეგობის ბეჭეულიც აზის, შესამჩნევია პოეტის დღიურშიც „მგზავრობა ჩემი...“?! მაგრამ ზედმეტად მიგვაჩნია გაზვიადება „გულნი ივერთას“ (და საერთოდ ხელმწიფის სადღეგრძელოს) მნიშვნელობისა გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობის ანალიზის დროს. ვინც ამ ნაწარმოების წარმოშობის ისტორიას გაითვალისწინებს, მას არ შეუძლია უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს მას, ვიდრე იგი ამას შეეცავს. ხელმწიფის სადღეგრძელოს საფუძველზე პოეტის ორთოდოქსალურ მონარქისტულ აღიარებას არავითარი საფუძველი არა აქვს, მაგრამ მისთვის გვერდის ავლა ან მიჩქმალვა გამართლებული არაა.

რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს გრ. ორბელიანისათვის უცხო იყო მონარქიული რუსეთის ინტერესები. მას არა ერთხელ გამოუთქვამს, დღიურებსა და წერილებში, კერძოდ ნიკოლოზ პირველის ქებაც. მთელი ნახევარი საუკუნე იმსახურა გრ. ორბელიანმა სამხედრო და სამოქალაქო სარბიელზე, ვითარცა რუსეთის არმიის გენერალმა და ადმინისტრატორმა. პოეტის ეპისტოლარული მეშვიდრეობა სავსეა ღიტირამბებით საქართველოს სხვადასხვა მთავარმართველებისა და რუსეთის ხელმწიფეთა მისამართით. მაგრამ პოეტის კერძო ბარათებშიც ამ გვარ ღიტირამბებთან ერთად არაერთხელ გაისმის შეკავებულ ბოღმაც, განსაკუთრებით 70-იან და 80-იან წლებში. ჩვენ უფრო ვრცლად ამის შესახებ მოგვიხდება საუბარი ქვემოთ, გრ. ორბელიანის ცხოვრების მეორე და მესამე პერიოდების დახასიათებისას. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „იარალის“ ავტორს, როგორც ჩანს, საქართველოში ბიუროკრატიული რეჟიმის არც ერთი პერიოდი არ მიაჩნდა ბედნიერ ხანად. „ოთხმოცი წლის განმავლობაში ხომ ვნახეთ, რაც ბრძანდებოდა ლუბერნატორები და ვიგემეთ მამობრივი მათი მზრუნველობა ჩვენზე... შორიდა მ მოსული ჩინოვნიკი, რომელიცა არ იცნობს ხალხსა, რომელმანცა არ იცის მისი ენა, ჩვეულება, ცხოვრება, ისტორია, აბა რის-

თვის გაიხეთქს თავსა? რა მოაგონდება წარსულის დროებიდამ? რა კავშირი აქვს აქაურთა მცხოვრებთა, რომ იფიქროს, გული დაეწოს ზალხის ბედნიერებისა და გულმოსვენებით ყოფაცხოვრებისათვის? სამიათასის ვერსტიდამ მოსულა აქა ჩინოვნიკი ნხოლოდ იმისათვის, რომ მიიღოს ჩინები, იშონოს აქედამ-იქიდამ ფულები, და გაჰსწიოს მშვიდობიანად თავისივე ქვეყანაში! მე ბევრი მინახავს ღიდროანი სასახლეები რუსეთში აქაურის ფულით აშენებული. ქართულს ენას აღარ ასწავლიან ღიმნაზიაში და აღარცა სემინარიაში...“ ასე სწერდა გრ. ორბელიანი გენ. ნიკო კავკაზაძეს 1881 წლის 7 აგვისტოს<sup>1</sup>. აქედან ჩანს, რომ თავისი სიცოცხლის მიწურულში იცვრ. ორბელიანი ისევე ფიქრობდა, როგორც 1832 წლის შეთქმულების ხანაში. მოვიგონოთ მისი სიტყვები ლექსიდან „ჰე, ივერიაჲ“ (1832):

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის  
ცხოვრებას,
 მოყვრულად გვმტრობს, გვტაცებს ყოველს,  
გვიქმს აღერსობას...

ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ პოეტის სიტყვებსაც კონსპექტში „საქართველო ჩვენი დროისა“, რომელიც ზემოთ იყო ციტირებული.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნამდვილი გრ. ორბელიანი უმთავრესად მის პოეტურ მიმკვიდრეობაში ჩანს. და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეუკოვსკის პოემის ზეგავლენით წარმოშობილ ხელმწიფის ქებას და განსაკუთრებით მის მეორე ვარიანტს (რომლის გამოქვეყნება პოეტს საჭიროდ არ უცენია), გრ. ორბელიანს არც ერთ თავის პოეტურ ნაწარმოებში არ მოუტია მონარქიული რეჟიმის ოდნავი, თუნდაც შერბილებული, გამართლება, კავკასიის არც ერთი მთავარმართებლის სახელი არ გახმაურებულა მის ლირიკულ პიესებში, არც ერთს ბრძოლას, მილიტარიზტული რუსული არმიის მიერ ჩატარებულს, არ უპოვია გამოხმაურება პოეტის რომელსამე მხატვრულ ქმნილებაში (ხომ საოცარია, რომ გრ. ორბელიანის ქნარი საგანგებოდ არ შეხებია თვით კავკასიის ომსაც, რომლის მონაწილე თვითონ იყო და რასაც ერთგვარი ქედმაღლობით ამადლიდა კიდევ ახალთაობას). პასკევიჩებისა, ვორონცოვებისა და ბარიატინსკების სახელები დარჩნენ გრ. ორბელიანის ოფიციალურ რელაციებსა და კერძო მიმოწერაში (რომელთა პუბლიკაცია ავტორს აგრეთვე ფიქრადაც არ

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. III (ხელნაწერი).



მოსვლია), მის ლირიკაში კი საქართველოს ისტორიული გმირების გან-  
 ხივითსა და სახეობის ამტკიცებელი. თავისი პოემა გრ. ორბელი-  
 ანმა 1832 წლის შეთქმულების ცნობილ წევრს — ალექსანდრე ორბე-  
 ლიანს მიუძღვნა და მშობლიური ქალაქის ქუჩებში „მორით მო-  
 სულ“ მოხელეთა და გენერალთა მაგიერ მუშა ბოქლობები კა-  
 ლოპიანები შენიშნა. ერთი სიტყვით — კავკასიის არმიისა და სამოქა-  
 ლაქო ადმინისტრაციის გამოჩენილი მოღვაწის გრიგოლ ორბელია-  
 ნის ოფიციალური ბიოგრაფია სრულიად გამოთიშულია მისი ლირიკი-  
 დან. გრ. ორბელიანის შემოქმედება მთლიანია, იგი ნაკლებია ქართუ-  
 ლი არისტოკრატიული წოდების სულიერი ტრადიციებით, XIX სა-  
 უკუნის საქართველოს თავისებური ისტორიული სინამდვილით და  
 ყოველივე ამის ახსნისა და ანალიზის დროს პოეტის ბიოგრაფიას  
 ოფიციალურ მხარეს რაიმე განსაკუთრებულისა და მნიშვნე-  
 ლოვანის თქმა არ შეუძლია. ზედმეტი არ იქნებოდა, თუ ჩვენ უფრო  
 გულისხმიერი ვიქნებოდით იმ ყრუ გუგუნის მიმართ, რაც ხანგამო-  
 შვებით ისმოდა პოეტის გარეგნულად სვებედნიერი ცხოვრების და-  
 ნებისას, მისი ბრწყინვალე კარიერის წლებშიც და განსაკუთრებით  
 კი — სიცოცხლის მწუხრის უამს.

გენერლისა და ყოფილი მთავარმართებლის გრიგოლ ორბელიანის  
 ოფიციალური ბიოგრაფია ეკუთვნის კავკასიის სამხედრო და სამოქა-  
 ლაქო ისტორიის ანალებს, მისი პოეზია კი (რომელიც ჭეშმარიტი პატ-  
 რიოტი შემოქმედის სულის დღიურს წარმოადგენს), — ქართველი  
 ბალხის კულტურულ საგანძურს.

\* \*

მამულისადმი სიყვარულისა და საქართველოს გმირული წარსუ-  
 ლის იდეალიზაციის მოტივებთან ერთად გრ. ორბელიანის პოეზია-  
 ში — პირველი პერიოდის ნაწერებში (1824—1832) — ფართოდაა წარ-  
 მოდგენილი თითქმის ყველა ძირითადი თემა საერთოდ მისი შემოქ-  
 მედებისა: სიყვარულისა და მეგობრობის კულტა,  
 ბუნების ხოტბა და სუედა წარმავლობისა (უკანას-  
 კნელი განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე პერიოდში (1833—1858)  
 და კიდევ უფრო ღრმად გამოიხატა პოეტის ცხოვრებისა და მხატვ-  
 რული შემოქმედების მესამე პერიოდში).

გრ. ორბელიანი, ისევე როგორც ყველა რომანტიკოსი, აღიარებდა  
 გულის, გრძნობის პრიმატს გონების წინაშე, ამდენად იგი რაციონა-  
 ლიზმის უარყოფელად გვევლინება. პოეტის შეხედულებით გული  
 ერთადერთი საწყაულია სიყვარულით თრობისა და თავდავიწყებისა.  
 მაგრამ ეს გრძნობა იმავე დროს სულიერ სფეროს ეკუთვნის და თუ ის

მუდმივად დაისადგურებს ძლიერი პიროვნების არსებაში („მტკიცე“ გულში) — სულიერი უკვდავების საწინდარადაც იქცევა. გრ. ორბელიანის სატრფიალო აღსარებანი ამ ლეიტმოტივის ვარიაციებს წარმოადგენენ.

ჯერ კიდევ „ტოლუბაში“ პირველ ვარიანტში (1827) გრ. ორბელიანი პატრიოტიზმთან ერთად დიდ ადგილს უთმობს სიყვარულის თემას. ეს გრძნობა მას მიაჩნია უმაღლეს ადამიანურ თვისებად და ბედნიერებად. „ტოლუბაში“ მთავრდება სიყვარულისადმი მიძღვნილი ჰიმნით (მოგვეყავს რამდენიმე ადგილი):

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება!  
მოიგონეთ სიყვარული, სიცოცხლისა სიტკბოება,  
რომლისთვისაც შეგიწირავს გული და სრულად ცხოვრება,  
შევასვათ ღვინო! მის სადღეგრძელოდ გვეღირსოს ხილვა ეგება!  
ბედნიერება დღეთა ჩვენთა არს სიყვარულის ყვავილი;  
რა განქრეს მისი სიტურფე, სიხარულს ნულარ მოელი;  
თუმც ძნელი არს მისი მოწყვეტა, მით რომ არს ეკლით მოსილი,  
მარა სიძნელე სუსტს გულს ჰკლავს და მტკიცე მით არს აღზრდილი.

პოეტის აზრით სიყვარული ვაჟკაცობისა და გამბედაობის წყაროცაა:

ტრფობის ალითა<sup>2</sup> ვისაცა ჩვენს შორის გული ეწოდეს  
და სახე სატრფოს მარადის ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს,  
ამა სოფელსა მას რაა! წინასაბრკელად აღუდგეს?  
ეზუს სიყვარულით, ხელს ხმალით რას არა აღასრულებდეს?

აღსანიშნავია, რომ პოემის ამ პირველ ვარიანტში სიყვარული უკვე გაგებულა როგორც ადამიანის მთელი არსების მომცველი განცდა, როგორც „სულიერი ტკბობა“ და უკვდავებასთან ზიარების ერთადერთი საშუალება. თვით უკვდავებასაც ეკარგება აზრი სიყვარულის გარეშე. შორს მყოფ სატრფოს მისამართით პოეტი ამბობს:

1 ამ სტროფის ორი უკანასკნელი ტაეპი პოემის საბოლოო რედაქციაში (1870) შეცვლილია უფრო სრულყოფილი და მრავალსმთქმელი ტაეპებით:

რომლის უუქი აღგვამაღლებს, რომლით სული  
გვინათლდება,  
რომლით კაცო მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს  
ემსგავსება.

მაგრამ ფრად დამახასიათებელია, რომ სიყვარულის ასეთი გარღვევებული გაგება გრ. ორბელიანს მოცემული აქვს ერთს თავის პროზაულ ეტიუდში „ზამთრისა ქაროგრი აღებს“, რომელიც მას 1829 წელს დაუწერია ნინოწმინდაში. აი სათანადო ადგილიც: „[სიყვარული] ვაბრებობს, გვახარებს თვით ტანჯვასაცა შინა თვისსა, და აღგუამაღლებს ყოველთა მდაბალთა და უღირსთს ხუათა ვენებათაგანო“.

<sup>2</sup> საბოლოო ვარიანტი: „სიყვარულისა ალითა“

ვასლამი სუნთქვა თვითოეული  
თვითოეული გულისა ძგერას  
არს სიყვარულის ჩვენისა მსხვერპლი  
ოგი ჩვენს ფიქრსა სად განეშორა?!

ჰე, ჩემო ღმერთავ! აჲ შენ მოგმართავ, კვალად ისმინო შორით სიტყვანი  
ყოველთ ჩემ ფიქრთა, ჩემთ უბნობთა, იღუშალ ოხვრათ ხარ შენ საგანი!

რომ სახე შენი, თვალთა დახშულმან, თანა წარვილო იმიერ სოფელს,  
მუნ სანუგეშოდ, მუნ საშეებელად, და რათა მითვე ვქსენა

უკვდავება,  
რაა, გინდ მოვეკვდე? მაინც შენდამი სულს სიყვარული თანა წარაყვება!  
უკვდავება არს სულის დატკობა, რომელს  
დასასრულ არა ექმნების!  
მამ სახე სულის დამატებობელი, იმიერ სოფელს არ განვეშორდების!  
და სიყვარული ჩვენთ დღეთ მაშენი სიოცხლესთანა არა დამტრდების!  
თვარა სიყვარულს თუ დავკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?  
უშენოდ თვითთა სასუფეველი ვით საპყრობილე ჩემთვის შეიქმნეს.

(„ტოლუბაში“. 1827).

ამ სიტყვებში გამოხატულია სიყვარულის კოდექსი გრ. ორბელიანი-  
სა, მისი Ars amatoria-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება: სიყ-  
ვარული ადამიანს არა მარტო სულიერ სიტკბოებას ანიჭებს, არამედ აზი-  
არებს უკვდავებასაც და თვით ეს უკანასკნელიც უსიყვარულოდ შეი-  
ძლება „საპყრობილედ“ იქცეს.

ამასვე იმეორებდა პოეტი 1832 წელსაც შემდეგს ორტაეპიან  
ლექსში:

რა უნდა აქენდეს სულსა უკვდავი,  
თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული?

მაგრამ გრ. ორბელიანისეული განსაზღვრა სიყვარულისა ამ  
გრძნობის სპირიტუალისტურ გაგებას არ გულისხმობს. ზემოთ მოყვა-  
ნილი ტაეპების ავტორისათვის სასიყვარულო საგანი არასოდეს არ  
ყოფილა რომელიმე განყენებული რომანტიკული იდეა. გრ. ორბე-  
ლიანი ნამდვილ, სრულყოფილ ტრფობას გულისხმობდა:

გული ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება  
შემრჩომილა და მისიცა გსურს დაბნელება („მუხამბაზი“, 1829).

არ უწყვი, თუ ალი ტრფობის ვითარ ძლიერ გულს მეგზვნების („მ...დმი“, 1831).  
შენცა მიმუხთლე, გონებაო, და მას ემონე,  
ვინც მტაცა ჯული, მოსვენება და სიამოვნე (1832).

ისმინე ჩემი ჰე, სიყვარულო!  
ტრფობისა ცეცხლი გულს არ განმიქრო!  
გული სურვილით მარად დამითრო,

და ტრფობით მთვრალი არ ვანმაფხიზლო (1832).

სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ,

თორემ გონებით გინდ ცა განვლო. ჩემებრ იქმნა მტვერ (1832).

ამ მშვენიერ პოეტურ ფორმულებში სიყვარულის იდეასთან ერთად შორეულად და ბუნდოვანად გამოკრთის რეალური არსებაც, როგორც ადრესატი პოეტის სათუთი მიმართებებისა. ზოლო გრ. ორბელიანის მთავარ სატრფიალო ლექსებში, რომელთა ინიციალების ქვეშ ყოველთვის ცოცხალი არსებანი იგულისხმებიან (სოფიო ორბელიანი, ნინო ჭავჭავაძე, ვინმე „მ“... და სხვები) პოეტი მათ გარეგნულ ნაკეთებსაც გვიხატავს. ასევე იქცევა გრ. ორბელიანი ყარაჩოხელური მონოლოგების ციკლშიც, მაგრამ თუ საკუთარი გატაცების საგნებზე მსჯელობისას იგი სულეირი მშვენიერების ან განსულიერებული ეროტიკის მეზობლად გვევლინება, მუხამბაზებში პოეტი იშვიათად სცილდება ჯარეგანი სილამაზის თაყვანისცემას. მიუხედავად ამისა, აქაც გრ. ორბელიანი სატრფოსადმი მიმართვის დროს მეტწილად კეთილშობილურ ტონს იცავს.

სიყვარულის გაგებაში გრ. ორბელიანის შეხედულებებს აჩავეთარი ევოლუცია არ განუცდიათ.

ამიტომ როდესაც გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკის შესახებ ვეცდებით საუბარი, საჭიროა ზაზგასმით აღინიშნოს, რომ მის ლექსებში სიყვარულის გრძნობის სულიერ მხარეს უპირატესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული პირველ პერიოდშივე და პოეტის ყველაზე მნიშვნელოვან (და ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელ) ნაწარმოებში „ტოლუბაშში“ (1827). ამით ყოველგვარი საფუძველი ეცლება მტკიცებას, თითქოს გრ. ორბელიანი პირველ პერიოდში უმთავრესად ფიზიკური, ზორციელი ანუ ეროტიული სიყვარულის მეზობლად იყო და ალ. ჭავჭავაძისა, ბესიკისა და საიათნოვას ზეგავლენას განიცდიდა. ჩვენ ამ საკითხს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშები ეთლენება უმთავრესად ნინო ჭავჭავაძეს. შემდეგ სოფიო ორბელიანს. პოეტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი უიმედოდ ყოფილა შეყვარებული ნინოზე. თავის მიმართებებში ნინოსადმი პოეტი მეტწილად კდემამოსილია, წრფელი და ფაქიზი გრძნობით აღვსილი:

როს გხედავ, მნათო! ღიმილით ჩემ კერძო წარმოვლენისა

ვივიწყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა,

სულისა ღელა მშვიდდების...

(„ნ...დმი“ 1829).

20-იანი წლების ტფალისის უმშვენიერეს ქალს, დაქვრივებულ და მტირალ ნინოს იგი მიმართავს:

მამ მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ შეწუხებულის შევნებით,  
ნაცვალდ შენსა მე ვიკვნესო, შენის კმუნვითა მიღებით.  
თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშენისი  
ვითა ნამი ზეცოური თვალთა შინა გამობარწყინვის,  
ვარღებრივთა ლაწვთა ზედა მარგარიტნი გაღმოგვივის.  
თუ შექსწყვიტო, შევიანანებ, გიმზერ ჩუმაღ და მიხარის.

(„მტირალ ნ...ს“ . 1829).

ერთ-ერთ პროზაულ ეტიუდში („ნ. ე. მ“) გრ. ორბელიანი შემდეგნაირად აგვიწერს რუსეთს გამგზავრების წინ ნინოსა, ეკატერინესა და ვინმე მ-სთან შეხვედრას (ეტიუდი დაწერილია პეტერბურგს, 1832 წ. 5 ნომბერს):

„გახსოვთა დღე იგი, ოდესაც მე გულთა—მწუხარებისაგან შეიწროებულთა, მოვედ რა თქვენდა ნ... გამოსასალმებლად, გიხილეთ მუნ სამნივენი ერთად ნ. ე. მ., ვითარცა მშვენიერი გრაციანი, მკლმარენი მრავირზე ფანჯარასთანა და უმზერდით ყმაწვილურისა სიამოვნებითა საშინლად აღრეულთა ღრუბელთა, და ისმენდით უშიშრად ქუხილთა, რომლისა გრგვინვათა განიმეორებდნენ მთანი, — უმზერდით უშიშრად და არა უწყოდით, თუ უსაშინელეს ამა ღრუბელთა არიან ღრუბელნი ვნებათანი, ცხოვრებისა ჩვენისა დამამწარებელ და დამაბნელებელნი, რომელნიცა ჯერეთ არა შეხებიან გულთა თქვენთა, აქამომდის უმანკოთ, წმინდათ და ნათელთ. მოვედ თქვენდა და მსურდა მხიარულად მეჩვენა თავი ჩემი, მარამა მხიარულისა სახის ქვეშე ვერა დავჰფარე თვალთაგან თქვენთა მწუხარებითი მდგომარეობა გულთა ჩემისა, შემამცნიეთ მკუთნვარება და იწყევით ჩემდა ნუგეშისცემა. მე ვიჯექ მდუმარედ; ვისმენდი სიტყვათა თქვენთა, მსურდა წეცა უბნობა, და ვერცა ერთისა სიტყვისა ვერა შევიქელ წარმოთქმად. გახსოვთა რა გესმათ შემგან სიტყვა მშვიდობით, თვალნი თქვენნი უნებლიეთ აღივსნენ ცრემლითა, ერთი და ორიც გარდმოგვივიდათ მშვენიერთა ღაწუხვდა; ხოლო ბაგენი ღიმილითა ჰსციდილობდნენ და ფარვასა მწუხარებისა თქვენისას. — ახ! ვითარ მშვენიერ იყვინით წამსა მას; ვითარ გშვენოდათ ცრემლნი. — არა გიხილავსთა მშვენიერსა გაზაფხულსა დიდსა ვარდი ახლად გაშლილი, რომელსა ზედაცა ბრწყინვალეებს ზეცისა ნამი, ანუ არა გახსოვთა მზიანსა დღესა, მოწმენდილი ცა, გარმომცვრეველი წვიმისა, რომლისა თვითეულნი მარცვალნი, მზისა სხივითა განბრწყინვებულნი, ჰსცივიან მარგარიტებრ და ასიამოვნებენ თვალთა: ესრეთ იყვნენ ცრემლნი თქვენნი. არა ვჰმალავ, სიხარულმან განანათლა და განაბნევა მწუხარებითი სიბნელე სულისა ჩემისა. ნუთუ ვარ ესრეთ ბედნიერ, რომელ ღირსვიქმენ ცრემლისა თქვენისა? ნუთუ გულთათვის თქვენთა მენიშენელობ რასმე? ამა ჰაზრმა სრულიად მავიწყა, რომელ წამსა მას გესალმებოდით.

ესრეთა მცირედი სიხარული ავიწყებს მრავალთა სიმწარეთა. — აწ შეჰაძლო არს, რომელ არცა დღე იგი, არცა ნუგეშისცემა და აღარცა თვით მე, გახსოვართ თქვენ. მარამა დღე იგი არაოდეს არ აღიხოცე-ბის გონებისაგან ჩემისა; და ოდესცა მეწვევის მწუხარება ანუ უბე-ღურება, რომელნიცა არაან კაცთათვის აუცილებელ და განუყრელ სიცოცხლესა თანა ჩვენსა, მაშინ მომაგონდების, ჰე გრაციანო! ცრემ-ლნი თქვენნი, ჩემთვის გადმოცვიულნი, და ვიქმნები მით ნუგეშეცე-მულ“. აქედანაც კარგად ჩანს, თუ როგორი სულიერი ძაფებით ყო-ფილა პოეტი დაკავშირებული ნინოსა და მისი დის წრესთან.

გრ. ორბელიანის ტრფობას ნინოსადმი ჰკვებავდა ძლიერი, ვაჟ-კაცური ვნება, გაშუქებული ზნეობრივი იდეალით, გრძობის სისპე-ტაკითა და რაინდული თავმეკავებით. ნინოსადმი დამოკიდებულები-სას იგი მზადაა გონებას დაუმორჩილოს თავისი გული, მაგრამ ზოგ-ჯერ ჰლაღატობს ნება:

მრავალგზის ვფუცავ არ გნახო, მაგრამ ყოველ ეამს გეძიებ,  
როს გხედავ გულსა სახმისა მღუმარედ მყოფსა აღმიგზნებ.  
მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ;  
ხან ვსწყევე შენთა სიტურფეთა და ხან კი მათვე ვაღმერობ;  
მრავალგზის ვფუცავ, გივიწყო: და ვქმნაცა ნება გონების,  
მაგრამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის,

გ უ ლ ი ხ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ს და უ ფ რ ო უ ძ ლ ი ე რ კ ს ა დ შ ე ნ  
გ ე ტ რ ფ ი ს ,  
და გ უ ლ ი ს მ ო ნ ა დ შ ე ქ მ ნ ი ლ ი გ ო ნ ე ბ ა ც შ ე ნ დ ა  
მ ო ჰ ფ რ ი ნ ვ ი ს .  
(„ნ...დმი“. 1830).

განცდების ასეთი გამმა ნაწილობრივ ახასიათებს გრ. ორბელი-ანის ლექსებსაც სოფიო ორბელიანისადმი, რომელზედაც იგი აკვან-შიგე ყოფილა დაწინდული.

1835 წელს გრ. ორბელიანი სწერდა სალომე ჭავჭავაძეს: „აწ ჩემი სოფიკო სად არის, ნეტავ ვახსოვარ თუ შარშანდელს თოვლსა-ვით არლა ვმჰყოფობ იმისათვის, — ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს. ის აღმოსავლეთს, როდისლა უნდა შევიყარნეთ!“<sup>1</sup> მაგრამ სოფიოს არ დაუცდია საქმროს ჩამოსვლისათვის და იგი ამ ხანებში რუს მოხელე ბეზაკს გაჰყოლია. სოფიოსადმი მიძღვნილი პოეტის ლექსი „გ ა მ ო -ს ა ლ ჰ ე ბ ა“, შესანიშნავია სტრიქონები:

ნამდვილი ტრფობა გინა რა სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,  
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხრვით მღუმარებს.

<sup>1</sup> „წერილები“, ტ. I, გვ. 25. შდრ. იქვე, გვ. 230, აგრეთვე ი. მუხნარგია, ქართვე-ლი მწერლები, I, გვ. 54.

ტრფობა უძლურთ გულთ წყაროს ჰგავს, მათაგან გარდმოქანებულს,  
რაოდენ ველზე შორსა ჰვალს, ეგოდენ დაუძლურებულს.  
ესრეთი გული ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს  
თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვით და მერმე ნებით კი ღხინობს.  
რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშყის ბეჭედსა,  
ღრო იმას ველარ შექმესრავს, თუ არ შექმესრავს თვით კლდესა.

ამ ლექსშიაც პოეტი იცავს იმ აზრს, რომ სიყვარულის მუდმივობის პირობა სულიერად ძლიერი ადამიანის არსებაშია, სიშორე არაფერს აკლებს ქვეშარიტ ტრფობას, ხოლო „უძლურთ გულთ ტრფობა“ მიაგავს მთიდან დაქანებულ წყაროს, რომელიც ველზე გაშლისას თანდათან „უძლურდება“. შესანიშნავია, რომ გრ. ორბელიანს იმავე წელს პეტერბურგს დაწერილ ლექსში „ღ ა მ ე“ გადმოცემული აქვს შორს მყოფ სატრფოსთან სულიერი გაერთიანების ნახევრად სიზმარეული განცდა:

ჩვენ ორთა ჰაზრნი, თვით სულნი ერთად შეერთდნენ, შედუღდნენ,  
და სიტკობების ზღვას შინა გრძნობით დამთვრალნი შთაფლდნენ!  
გულთ ძვერა არა გვესმოდა, ვერცალას თვალნი ხედიდნენ,  
უენოდ ქმნილნი, უგონოდ განვედიით ამა სოფლით ჩვენს!..  
სადა ვიყავით მაშინა, რომელსა სასურველ მხარეს?  
ცნობა გვეყარგა წამს მარა სამოთხე იყო წამი ეს!  
ჰფრინვიდნენ ჟამნი და ჩვენ კი მათ ფრენა არა გვესმენიეს:  
ე ს რ ე დ გ ო ნ ე ბ ა მ ა რ ა დ ი ს ტ რ ფ ო ბ ი ს ა ლ ს ა ლ უ ხ ო ც ი ე ს.

მაშინ ვჰსცან, ჟამნი სამოთხის რომ ამა სოფელს არიან.

„ღამე“ იშვიათი ლირიკული ლექსია და მისი მსგავსი რამ არ მოიძებნება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. პოეტის სასიყვარულო კოდექსის თანახმად სატრფოს სიშორე სრულიად არ ანელებს სიყვარულის გრძნობის ინტენსივობას, იგი ზოგჯერ თვალხილულ ზმანებასა და სულთა თანაზიარობაში გადადის. მაგრამ, ეიმეორებ, გრ. ორბელიანის ლირიკაში სიყვარულის ასეთი გაგება ორგანულად ითავსებს ჭანმრთელ ეროტიზმს, რეალურ ობიექტს და ამ ობიექტის მკაფიო, პლასტიკურ გამოსახვას. ქართველ რომანტიკოსთა შორის ან მხრივ გრ. ორბელიანს განსაკუთრებით ენათესავება ნიკ. ბარათაშვილი. ორგენი თავიანთი მუზის გმირებს გვიხატავენ რეალისტური ფერებით, ამიტომაც ძნელი არაა მათი ლირიკული პერსონაჟების გარეგნული პორტრეტების აღდგენა. ისინი საგანგებოდ გამოჰყოფენ ხოლმე რაიმე დამახასიათებელ ნიშანს (ნაწნავეები, აფურცვლილი ლაწვენი...) და აჰყავთ იგი თავბრუდამხვევი შთაგონების მომნიჭებლის რან-

გში. გრ. ორბელიანის ყურადღება ხშირად სახის რომელიმე ნაწილზეა ფიქსირებული:

მა ვარდის ნაცვლად მასუნე ვ ა რ დ ს შ ე ნ ს ლ ა შ ვ თ ზ ე დ გ ა შ ლ ი ლ ს  
(„მუხაბაზი“. 1829).  
ვ ა რ დ ე ბ რ ი ე თ ა ლ ა შ ვ თ ა ზ ე ლ ა მ ა რ გ ა რ ი ტ ი ნ ე გ ა ლ მ ო ვ ე კ ი ვ ი ს  
(„მეტრალ ნ...ს“. 1829).

შოფიო ორბელიანს კი ასე მიმართავს:

ვ ა რ დ ი ხ ა რ ? — ა რ ა ,  
ზ ა მ ბ ა ზ ი ? — ა რ ა ,  
მ ა გ რ ა მ შ ე ნ ს ლ ა შ ვ თ ზ ე დ ა ლ ყ ვ ა ე ბ უ ლ ნ ი  
ა რ ი ა ნ ო რ ნ ი ე შ ე ზ ა ე ბ უ ლ ნ ი („სო...ორ“. 1840).

ნ. ბარათაშვილიც ასე ხატავდა თავისი შთაგონების „საგნებს“. მასაც ხიბლავდა „პაწაწა ტუჩნი“ „ვ ა რ დ ე ბ რ ნ ა ფ უ რ ც ლ ნ ი“ და „ბ უ დ ე შ უ რ ი ფ ე ფ ე ბ ი“, რომელთაც წამიერად გაიღვავეს პოეტის თვალწინ ლ ა მ ი თ ყ ა ბ ა ხ ზ ე . ნ . ბარათაშვილი თითქოს თავის ბიძას დასესხებია ლექსიკონს, როცა ვიგონებთ შემდეგს ტაეპს მის ლექსიდან „ლ ა მ ე ყ ა ბ ა ხ ზ ე“ (1836):

„ამ სიტყვაზე ლ ა შ ვ თ ზ ე დ ვ ა რ დ ი მ ყ ი ს ა ე ფ უ რ ც ლ ა“

აი მეორე შეხვედრა; გრ. ორბელიანი:

მ რ წ ა მ ს , რ ო მ ლ ა შ ვ თ ზ ე ლ ა გ ა რ დ ა კ ვ რ ი ა ნ უ შ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ი !  
მ ა შ ი ნ მ ა ს ზ ე ლ ა ნ ლ ა კ ო ნ ე ბ ი ს მ კ ლ ა ვ ს მ ე ს უ რ ე ი ლ ი („მუხაბაზი“, 1829).

შდრ. ბარათაშვილი:

ვ ი ნ ბ ა გ ე შ ე ნ ს ქ ე მ ლ ი ტ ვ ბ ა რ უ ნ ო ს

ვ ი ნ ს უ ლ ი თ ვ ი ს ი ზ ე ლ დ ა გ ა კ ო ნ ო ს ? („საყურე“, 1839).

გრ. ორბელიანი უფრო გვიან ისევ იმეორებს პირველად „მუხაბაზში“ ხმარებულ და შემდეგ ნ. ბარათაშვილისათვის მიმზიდველად ქცეულ ამ გამოთქმას („ზედ დაკონებას...“):

ე გ ჩ ე მ ი მ კ ვ ლ ე ლ ნ ი  
ზ ი ლ ფ ე ბ ი — გ ვ ე ლ ნ ი  
ვ ი ნ დ ა ა დ გ ი ნ ა ვ ა რ დ თ - ლ ა შ ვ თ ა მ ც ვ ე ლ ა დ ,  
რ ო მ დ ლ ე დ ა ლ ა მ ი თ  
ე ს რ ე დ გ ა ნ ც ხ რ ო მ ი თ  
ზ ე დ ხ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ე ნ მ ა გ თ ვ ა ლ თ ა - მ წ ე ე ლ თ ა .  
დ ა ზ ე დ ლ ა კ ვ დ ო მ ი თ  
ს უ ლ ა მ ო ხ ლ ო მ ი თ  
ვ ა რ დ თ დ ა ე კ ო ნ ო ს ლ ა შ ვ თ ზ ე დ გ ა შ ლ ი ლ თ ა ?  
(„ღრაფ ..ობ“ 1840).



მართალია, ნიკ. ბარათაშვილისა პატარა გრავიურაში არა ჩანს გრ. ორბელიანის მიერ დახატული „ზილფები — გველნი“, მაგრამ „საყურეს“ ავტორი სხვა მედალიონში ამკობს თავის სატრფოს აღნიშნული პოეტური სამკაულით:

შენნი დალანი ყრილობენ გველად  
სპეტაკს მკერდზედა ტრფობისა ველად (1842).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის სატრფოლო ლექსების ურთიერთობა სტილისა, ლექსიკურა მსგავსებისა და სახეთა ერთნაირობის სფეროთი როდი ამოიწურება. ერთნაირია მათი ფორმაც სულიერი ტყვილებების გამოხატვისა. ასე, მაგალითად, ორივენი „ცრემლის შეშრობას“ უცქეროდნენ, როგორც შინაგანი ტანჯვის ექსპრესიულ ნიშანს. არსებითად გრ. ორბელიანის ფრაზამ — „შემამურნენ ცრემლნი და ესეცა შევება მომაკლდა“ („ჩემს დას ეფემიას“, 1835) — დაჰბადა, ნაწილობრივ მაინც, შესანიშნავი სტროფი ნიკ. ბარათაშვილისა:

„შევვიშრობ ცრემლსა, ჳირთ მანელეზელს  
გულსა დავიწვავ დასანატრებელს,  
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს  
შევჰსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს“ (1843).

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე დღემდე შეუმჩნეველი მეორე ფაქტიც: გრ. ორბელიანმა ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსში („ეკ. ჳ...სას“, 1829) პირველად გამოიყენა სამტაუბიანი სტროფი, რომლის პირველი ორი ტაეპი ხუთმარცვლიანია, მესამე კი — ათმარცვლიანი. მაგ:

წინანდლის ვარდო (5)  
სულითა ტრედო (5)  
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო (10).

ნიკ. ბარათაშვილის ორი ლექსიც ეკატერინესადმი („თავადია ჳ-ის ასულს ეკ... ნას“ და „საყურე“) დაწერილია სწორედ ამ საზომით:

ხმით მშვენიერთ (5)  
ტბილის სიმღერთ (5)  
ჰაეროვანო სულს ელხინები (10). („ეკ...ნას“, 1839).

და:

ვითა ჰეპელა (5)  
არხევს ნელნელა (5)  
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს (10).

(„საყურე“ 1839)

გრ. ორბელიანი წინამორბედი ნ. ბარათაშვილისა სულიერა სიყვარულის პოეტური განსახიერების სფეროში.

მაგრამ გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკა სხვა, უფრო მსუ-  
პუქ ტონებსაც გამოსცემს. პოეტს აქვს ლექსები, რომლებშიაც ქა-  
ლის მარტოოდენ სილამაზეა შექებული, წინ წამოწეულია ეროტიუ-  
ლი განცდა, „მეყი“, ერთგვარი ფრივოლური ელეგენტიც კი. ასეთია  
მისი საალბომო ლექსები: „ს“ (1832), „ე-სა“ (1832), „ალბომში“  
(1832) და ზოგიერთი პატარა ფრაგმენტიც 1931-1832 წლებისა. სა-  
ნიმუშოდ მოვიყვანთ პირველ ლექსს:

მერცხალნი — თვალნი შენნი,  
გონებისა სხივთ მომფენნი!  
ვარდნი — შენნი ბაგენი,  
მარად მოღიმარენი.  
თოვლ-ღვინო — შენნი ლაწენი,  
მათზედ გარდამლილ ზილფენი!  
შენი წელი — კიპაროზ!  
და შენი ხმა — სირინოზ!  
ხან სიამით მავსებენ,  
ხან ცრემლთ მათრქვევინებენ:  
ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგყოფენ  
და ხან უცებრ მალხენენ! (1832)

ძნელი არაა დავინახოთ, რომ ამ ლექსის საერთო ტონი, თვით  
სიტყვიერი მასალაც კი არსებითად განსხვავდება გრ. ორბელიანის  
სატრფიალო ლირიკის იმ ნიმუშებისაგან, რომელთა უმრავლესობა  
პოეტის ღრმა და ნამდვილი სიყვარულის თემაზეა დაწერილი. ამ  
ლექსში პოეტის სერიოზული გრძნობის გამომხატველი სახეებიდან და  
გამოთქმებიდან მხოლოდ ორიოდ ნამსჭრევეია შემორჩენილი...

გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის მთელი ციკლი ლექსებისა, რომ-  
ლებშიაც გამოხატულია მისი სიყვარული ლ ხ ი ნ ი ს ა ლ მ ი, ც ლ ო ვ-  
რ ე ბ ი თ ტ კ ბ ო ბ ა და დ რ ო ს ტ ა რ ე ბ ი თ ფამოწეული ალტა-  
ცება. პოეტი შეგნებულად მიისწრაფოდა გართობისა და ნადიმის მოყ-  
ვარულთა წრეში. გრ. ორბელიანის პირადი წერილები შესანიშნავ მასა-  
ლას გვაწვდიან იმ გარემოს გასათვალისწინებლად, სადაც პოეტს უხ-  
დებოდა თავისი ჰაბტუკური სიხალისის გამოვლინება, გრ. ორბელიანი  
თვითონ ანხორციელებდა ყოველივე იმას, რასაც თავის მეგობარ ან-  
ტონ ორბელიანს ურჩევდა:

ჰე, ჰაბუკო, სიხარულით დღენი შენნი ანეტარე,  
იმხიარულე, შეეჰეც, ილხინე და შეიყვარე;  
ერთს წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქენდეს სახე მოცინარე,  
სიცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულობს გული  
ვიღრე („ანტონს“, 1829).

განწყობილებათა ამ რკალში ექვევა გრ. ორბელიანის მიერ თარ-  
გნილი „ლ ხ ი ნ ი ც“ პუშკინისა.

მხიარულებსაცენ მოუწოდებდა გრ. ორბელიანი არისტოკრატული წრის ქალებსაც. ასე, მაგ. ახალგაზრდა ეკატერინე ჭავჭავაძეს პოეტი მიმართავდა:

იმხიარულე,  
ვიდრე სიცოცხლე  
შენი მშვენიერებს ვით ყვავილთ ჭაქვი;  
ვიდრემდის შენ ზე,  
დაგნათის ვით მზე  
სიკაბუქისა ნათელ ვარსკვლავი („ეკატერინე  
კ-სას“, 1829).

„მირზაჯანას ეპიტაფიაში“ (1832) პოეტი თავის გმირს ათქმევინებს:

დალუჟე ეშუში და ღვინოში ყოვლი სიმწარე,  
რომ გზა ცხოვრების განვლო ღვინით, ვით მე ვიარე.

ერთსადამივე დროს „ღვინოთი და ეშუით“ თრობა აქვს ასახული პოეტს თავის „მუხამბაზში“ (1829):

ზოგჯერ მღიმა რე გიმზერ ოდეს ენხით აღვსილი,  
მრწამს რომ ღაწვთ ზედა გარდაგვერია ნუშის ყვავილი!  
მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.  
მაშ გინდა მომკლა, გეტყვი თმენის არღა მაქვს ძალი,  
ისმინე, ვღნები, ცნობა არ მაქვს, ვგიღვები ეშუით.  
ნუ მასმეღ ღვინოს, უღვინოდა ვარ მთერალ შენის ეშუით.

ამ ლექსში, რომელიც აღმოსავლური ანაკრეონტიზმის მშვენიერი ნიმუშია, გრ. ორბელიანი აგრძელებს ალ. ჭავჭავაძის, ბესიკისა და საიათნოვას ლირიკის ხაზს. როგორც ყოველი ტიპური ანაკრეონტიზმის ნიმუში, გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზიც“ (და სხვა ანალოგიური ემოციის შემცველი ლირიკული გამოთქმები პირველი პერიოდისა) განცდათა სირთულით არ ხასიათდება და პოეტის შემოქმედების პერიფერიას ეკუთვნის. მეორე პერიოდში კი გრ. ორბელიანმა ამ ენარის საუკეთესო რეალისტური ნიმუშები შექმნა.

ქართული ღვინოსადმი სიყვარული გრ. ორბელიანმა გამოხატა „სადღეგრძელოს“ პირველ ვარიანტშიაც (1827) და ლექსში „იარაღის“ (1832). ნამდვილი ბახუსის ჰიმნად შეიძლება ჩაითვალოს ტოლუბაშის სიტყვები:

და შენ, ჰე, ღვინოე! ყოვლად ძლიერო!  
ღვინოთ შექცევით გულნი აღგვიგზნე!  
გულის პირთ მღეენო! ნიჟო ციერო,  
ვინ არს რომელ გსვას და არ აღზინე?

ძალზე პოპულარულია „იარაღის“ პირველი სტრიქონები:

ჩემო იარაღი, ნეტაეი ოდეს  
ლხინით აღვსილნი ვქსხდეთ ველსა მწვანეს,  
ჩვენებურადა  
ძველებურადა  
ესვამდეთ!  
ვიძახდეთ:  
იარი-იარაღი!

ჭეირნის მწვადი შიშინით  
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,  
ყნოსვა დამტკბარნი მის სუნით,  
მადასა განგვიღვიძებდეს.  
კახური ღვინით აღვსილი  
აზარფეშადა ხელს გვეპყრას.  
მოთალი, თეეზი, მწვანელი  
აგვიპრელებენ წინ სუფრას.

გრ. ორბელიანის პირველი „მუხამბაზისა“ და „იარაღის“ აქ მოტანილი სტროფები წარმოადგენენ ერთგვარს *introductia*-ს პოეტის იმ მუხამბაზებისა და ლექსებისა, რომლებშიაც ავტორმა შემდეგში (მეორე პერიოდში) მთლიანად გააცოცხლა ქალაქის სასამღერო ფოლკლორი, ძველი ტფილისის ყანრული სურათები და ნატურმორტები.

პირველი პერიოდის გრ. ორბელიანის ლირიკასა და ეპოსში საპატრიო ადგილი უჭირავს აგრეთვე მეცობრობის თემა. აერ კიდევ „სადღეგრძელოს“ პირველ კარიანტში მეგობრობის სადღეგრძელოს წარმოსთქვამს ტოლუბაში. ეს სადღეგრძელო წინ უსწრებს სიყვარულის ქებას და შვიდ სტროფს შეიცავს, ყველა ის, დახვეწილი და აზრობრივად გაღრმავებული, შევიდა პოემის საბოლოო რედაქციაში. მოგვყავს უკანასკნელი სტროფი, რომელიც თითქმის უცვლელად მეორდება ნაწარმოების ბოლო რედაქციაშიც:

მეგობრობასა წმიდასა შეეწიროთ სრულად, რაც გვაქენდეს,  
დავენერგოთ გულსა გრძნობა ეს, და აღთქმა არა გვავიწყდეს...  
ვიყვენთ ცოცხალნი მეგობრად, და ვინც ბრძოლასა დაეცეს,  
ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს!

„წმინდა მეგობრობის“ ეს დეკლარაცია გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის კონკრეტული მაგალითებითაა გამართლებული. ამ მხრივ იგი ნამდვილი რაინდი იყო და ქართული ტრადიციების მიმდევარი. იშვიათია ქართველი პოეტი მე-19 საუკუნეში, რომლის სული ასე ფართოდ ყოფილიყო გაღებულნი მეგობრობის უწმინდესი გრძნობისათვის. გრ. ორბელიანის შესახებ არსებული მემუარული და ეპისტოლარული ცნობები ერთხმად გვიხატავენ მის უპარესად გულისხმიერ,

მომხიბლავ და ლხინსა თუ გასაჭირში ერთგულ ადამიანად. ცნობილია, თუ როგორი მეგობრული სიყვარულით იყო იგი დაკავშირებული თავის დისწულს, ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. პოეტს რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყოლია ქაბუთობაშივე. მისი ერთ-ერთი ასეთი მეგობარი ყოფილა ანტონ ორბელიანი, რომელსაც პოეტი 1834 წელს ქ. ვილნოდან სწერდა: „საყვარელო ძმაო ანტონ! ეს არის პირველი ჩემი წერილი, რა გამოველ ქალაქიდან. ღმერთმა შეგვარცხვინოს ჩვენ ორნივე. — სად არის სიყვარული ჩვენი? სად დაიკარგა ძმობა და მეგობრობა ჩვენი სიყრმითგან დამტკიცებული ბომბებითა და საყვირითა“ („წერილები“, I, გვ. 19).

აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის პოეტური ქმნილებები იხსენება ამ ანტონ ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელშიც პოეტი სხვათაშორის ურჩევს მას:

მეგობრობასა სიოცხლე, სიყვარულსა მიეც გული!  
ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად ალყავეებული  
წუხილი გაქვს? მათ მიეყრდნე, მყისვე ჰყონ განქარვებული,  
მოგცენ იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი.  
(„ანტონს“, 1829).

ამ ლექსის დაწერიდან ხუთი წლით ადრე შილდაში მყოფი პოეტი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, სწერს პატარა პროზაულ ეტაუდს „ან...დმი“, რომელიც მეგობრის წინაშე ლირიკულ აღსარებას წარმოადგენს და ზემოთ მოყვანილი ლექსის დამატებად ან ავტორის ფსიქოლოგიური ვითარების გამომხატველ სურათად შეიძლება მივიჩნიოთ:

„მე ვიყავ თავისუფალ ყვავილოვანსა დროსა სიკაბუჯისასა; მაშასადამე, ვიყავ ბედნიერცა, ვინაითგან აწმყოი დამატებობდა და მომავალიცა აღმითქვამდა უმეტეს ბედნიერებასა. — გარნა, ახ! ყოველნივე ესე იმედნი და თვით თავისუფლებაც განჰქრნენ გულისა ჩემისათვის, ესრეთ მჰსწრაფლიად, ვითარცა საამურისა სიზმრისა ოცნებანი. ბავეთა ჩემთა დაივიწყეს ღიმი, და სიამოვნებანიცა არლა მყოფობენ დამჰქნარსა ჩემისა გულისათვის, რომელიცა მოცულ არს მწუხარებისა ღრუბლითა. — შექცევათა და ლხინთა შინა ვერლა ვაპოვნიეს შვებანი. ყოვლგან თავსა ჩემსა ვხედავ მართოდ დაჰშთენილსა; ზოგჯერ ვჰსეირნობ წალკოტსა შინა, და მუნცა მშვენიერნი ყვავილნი ჰსჰკნებიან მჰმუნვარეთა ფიქრთაგან ჩემთა. — უწყოდე მეგობარო ჩემო! რომელ მიზეზი ესრეთისა ჩემისა უბედურებისა არს სიყვარული, რომელიცა უმეტეს ეგზნების რაოდენცა მირბიან დრონი. რვამან წელიწადმან ვერ შეამსუბუქენ ტანჯვანი ჩემნი, და ოხრვათაცა ესოდენსა დროსა ვმაღავ გულსა შინა ჩემსა. არს უკვე რვა წე-

ლიწადი, რა გონება ებრძვის გულსა, რომელსაცა ვჰხედავ დასასრულ მძლეველად. — აქ შეჰსწყდა ყოველი მოთმინება ჩემი. ახ! საყვარელო მეგობარო! რჩევათა შენთა ესრეთსა ჩემსა მდგომარეობასა შინა, ძალ ედვით მოცემად ჩემდა რომლისამე ნუგეშისა, გარნა შენცა ხარ ჩემგან განშორებულ, და ვარ ესრეთ დაჰშთენილ შესაჰმელად მწუხარებათათვის. — მშვიდობით, მეგობარო ჩემო! ვხედავ უფსკრულსა წინაშე ჩემსა და არა ძალმიძს მორიდებად. — ახ! ნეტარ წერილსა შენსა ძაღედვა მოცემად ჩემდა წარსულისა ბედნიერებისა, და განმქრალისა ჩემისა თაღისუფლებისა უკუმოქცევად. — მშვიდობით. შ ი ლ დ ა. 1824 წ ე ლ ს ა“. ეს პატარა ნაწარმოები მშვენიერი ნიმუშია სანტა-მეხტალური პროზისა, რომელშიც შეიძლება ერთგვარი ლიტერატურული პონა უფრო სჭარბობდეს, ვიდრე ბიოგრაფიულად გამართლებული მომენტები ავტორის ცხოვრებისა (პოეტი გვარწმუნებს, რომ უკვე რვა წელიწადია მასში „გონება ებრძვის გულსა“ და სიყვარულისაგან „უფსკრულს წინაშეა“. გავიხსენოთ, რომ ესაა თქმული 1824 წელს, როცა გრ. ორბელიანი 20 წლისა იყო, მაშაჲადაჲე უკვე 12 წლიდან ყოფილა იგი სიყვარულისაგან უნუგეშოდ გულგასენილი!). მაგრამ გრ. ორბელიანის ღრმა მეგობრული სიყვარული ანტონისადმი — ექვს არ იწვევს.

აღსანიშნავია, რომ 1835 წელს დაწერილ ლექსში „ჩემს დაჲე ფეშიას“ პოეტი შემდეგნაირად იგონებს მეგობრებს შორის გატარებულ სიკაბუჯის ხანას:

სიცოცხლე ჩემი, ძლივს გაშლილი სასიხარულოდ,  
ძლივს დილა ჩემი, მზისა ნათლით გაბრწყინებულად,  
მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვაველთა მხოლოდ,  
და ახლად ლამპარს აღმინებდა გულს სიყვარული,  
რომლისა სხივნი თვით ეკალთა შეჰქმნიდენ ვარდად,  
რომლით აღესილი არა ვჰსცნობდი ჰმუნვისა ცრემლთა.  
მეგობართ შორის უზრუნველი დაემღერდი მარად  
და სიაშითა ვუმზერდიცა დღეთ მომავალთა!

დაპატიმრებულ პოეტს თითქოს მეგობრის ხმაჲე ყაზარმის კედლებში მოესმა:

მაგრამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა კიკვიკი მერცხლის,  
და სწორედ ვიტყვი, მრწამდა იგი ხმად მეგობრისა,  
იმიერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებული,  
და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!  
მაგრამ შემზარდა, რა ნაცვლად ხმის გახდა ხრიალი,  
და კედელთაცა დაყრუებულთ წარმოსთქვენს ბანი!

გრ. ორბელიანი ყველა თავისი სულიერი სიმძიმელის დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეგობრის ხმას, როგორც გამამხნეველ ნუ-

გეზს. და თვითონაც ასევე მზად იყო მეგობრის დასახმარებლად. საერთოდ მეგობრისადმი გრ. ორბელიანის უანგარო სიყვარული ძალზე მიმზიდველი ფურცელია მისი ცხოვრების მატრიანეში.

გრ. ორბელიანის პოეზიაში დამუშავებული მეგობრობის თემა ტრადიციის სათავე რუსთაველის პოემაშია.

• •

გრ. ორბელიანი ბუნებს დიდი მომღერალია. ეს მან გააცოცხლა მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში საქართველოს გოლიათი მთების ზვიადი სახე, მთებიდან დაქანებული მდინარეების ზმაური, ფერთა თამაში ცისკრისა და მზის ჩასვლის ჟამს. მანამდე არც ერთ ქართველ პოეტს არ უცდია ასე ახლო მისვლა ბუნების შინაგან მისტერიასთან, არავის შეუტანია ეგზომ დინამიკური ელემენტი ლანდშაფტებსა და პეიზაჟებში. როგორც ქეშმარიტი რომანტიკოსი, იგი ბუნებაში ეძებდა თავისი ტკივილებისა და სიხარულის თანაზიარობას, ესმის ყვავილთა ფშვინვა და ფრინველთა ჟრიაშული, მოხიბლულია ცის ტატნობზე ვარსკვლავთა ციმციმით, მზის მოელვარე სხივებით, მთვარიანი დამეების იღუმალებით. მთელი ქართული პოეზიაა დავალებული გრ. ორბელიანის მიერ ბუნების ამგვარი ამეტყველებსაგან. ნიკ. ბარათაშვილი და ი. ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ყაზბეგი თავისებურად აღრმავებენ გრ. ორბელიანის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას.

ბუნებისადმი ღრმა სიყვარულს გრ. ორბელიანი გამოსთქვამს არა მარტო თავის ლექსებში, არამედ ზოგიერთ თავის ჰაბუკობის დროინდელ პროზაულ ეტიუდებშიაც. ასე მაგ. ფსიქოლოგიურ ეტიუდში „ზამთრისა ქარი გრილებს“ (დაწერილია ნინოწმინდაში 1829 წელს) პოეტს აღწერილი აქვს ზამთარი. ავტორი აღნიშნავს თუ როგორ „არღიანის უკვე საამური, დამატყვევებელი სტვენა ბულბულთა და სხვათა ფრინველთა. ფოთელნი, დამქვანარნი, ჰსაცივიან ყვითლად, რომელნიცა ოდესმე შემოსვიდნენ ხეთა ესრეთ მშვენიერად და ავრილებდნენ თვის ქვეშე მგზავრსა განსასვენებლად მწოლარესა. ყოველნი გაზაფხულისა სიტურფენი მოსპო ზამთრისა ხელმან და დაასო მათხედა ბეჭედი სიკვდილისა“. ავტორს გაჰყავს პარალელი ადამიანის ცხოვრებასა და ბუნებაში დროების ასეთს მონაცვლეობას შორის: „აჰ! სიჰბუქისა დღენი ჩვენნი, ესრეთ მშვენიერნი და ესრეთ ტკბილნი, არა ეშგავსებიანა გაზაფხულისა ყვავილთა, ბუნების შემამკობელთა, და ესე ზამთარი შექმუზენილსა სიბერესა ჩვენსა“.

გრ. ორბელიანს თავიდანვე ახასიათებდა არაჩვეულებრივი ემოციონალური მისვლა ბუნებასთან, მისი პლასტიკური აღქმა, შეუკავე-

ბელი სურვილი შთაბეჭდილებათა ფიქსაციისა. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ბუნების აღწერები გრ. ორბელიანის დღიურში „მგზავრობა ჩემი...“; მოვიყვანთ სამ ადგილს. კაიშაურში ჩასული ავტორი ჰყვება:

„სალამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მათა და უკანასკნელი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდნენ თოვლიანთა მათა ათასფერად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სუნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორის უფსკრულსა შინა მიმოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრილი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანერთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდენ. ვიჯექ კლდესა. უფსკრულსა ზედა გარდაკიდებულსა, და ვსჭკრეტდი მდინარეთა მთათაგან გარდმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა“ (გვ. 71). ანანურში მისულ პოეტს ისევ იტაცებს ბუნების სანახაობა: „გზაზედ დაგვიღამდა. მთოვარე მშვენივრად ანათებდა თოვლიანთა წვერთა: გარეშე ჩვენსა ყოველივე იყო მდუმარებასა შინა დაფლული, მხოლოდ არაგვი ყვირილით არბიოდა და აყრუებდა არესა. კაცი იხილავს რადიდმშვენიერებასა ბუნებისასა, უნებლიეთ მდუმარებს დაფქრებულნი. ნათელი მთოვარისა, ძლივს მოწვდენილი ჩვენდამი უფსკრულსა შინა, სიწყვილიადე და მდუმარება ტყეთა, ღრიალი არაგვისა, — ყოველივე ესე აძრწუნებდა გრძნობათა და ენასა ჰყოფდა უქმად“ (გვ. 71). ყაზბეგში ავტორის წინაშე უკვე ამოძრავებულნი ბუნების გრანდიოზული პანორამა გადაიშლება: „აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მხილველთათვის არს გასაკვირველი. — მიიღებს რა გარდმოქანილთა მთათაგან მდინარეთა, თერგი დუღდების, ჰრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფთა და ჰრბის გრილითა. ვერარასა ძალუძს წინაღუდგეს მისსა გიჟურსა სიჩქარესა. შეხვდებიანა მას უიდრონნი, საზარელნი ლოდნი? — ჰხლტების მალა და მათზედა გარდაევლებს; და მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევნად, ანუ მთად აღმასებრ გარდმოფანტულად“ (გვ. 73).

დღიურის ეს ადგილები წარმოადგენენ წინაპრობედს მისი შესანიშნავი ლირიკული ქმნილებისა „სალამო გამოსალმებესა“ (1841):

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ყამს კაცასა  
თავსა ეხვევა აღურსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!  
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი  
ჰსხედან, ვით დენი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!  
მთ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰწოლიან,



და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებია.

გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,

მთებისა კალთებს შუამკობს სატებო ს უ ნ ნ ე ლ თ ა მ ო ფ ე ნ ი თ

წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს  
ქსცივივიან,

თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს

ეუბნებია.

ძართალია, ეს ლექსი 1841 წელს ბუნების უშუალო ხილვით არის შთაგონებული. მაგრამ პოეტი ქვეშეცნეულად იმეორებს თავის აღ-რინდელ შთაბეჭდილებასაც: პირველი შეხედვით შეიძლება გვეფიქრა, თიოქოს ავტორს თავისი დღიურის ზოგი ადგილი რიტმულად გაუ-მართავს.

„მგზავრობაში“ გადმოცემული შთაბეჭდილებები უძვეეს საფუძვ-ლად „სადღეგრძელოს“ უკანასკნელ რედაქციაში შეტანილ ზოგიერთ სტროფასაც, რომლებიც ბუნების ხოტბას შეიცავენ. აქაც განმეორე-ბულია ცალკეული ფრაზები ზემოთ მოყვანილი პროზაული ადგილე-ბისა:

სადა შევხარით ლაქვარდად ცისა კამარას მორთულსა,

მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,

ღამით ვარსკვლავანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა!

სიოცხლის მომფენს ჰაერსა, ს უ ნ ნ ე ლ ე ბ რ შ ე ზ ა ე ვ ე ბ უ ლ ს ა!

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე

ასულნი

და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე

მსროლელნი,

უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალგა-

ღუწვდენელნი

სად მონადირე სდევს ჭიხვსა და მის ქვეშეშვლენან

ღრუბელნი.

„ტოლუბაშის“ პირველ ვარიანტში (1827) ბუნების ხოტბა არაა (ეს ვარიანტი დაიწერა პოეტის რუსეთს გამგზავრებამდე). როგორც ჩანს, პირველი ძლიერი შთაბეჭდილება საქართველოს დიადი მთები-საგან პოეტს 1831 წელს მიუღია, ყოველ შემთხვევაში მყინვარისა და თერგის ბრწყინვალე პროზაული აღწერა ამ ხანას ეკუთვნის. 40-იან და 70-იან წლებში კი, როდესაც გრ. ორბელიანი „საღამო გამოსალ-მებისას“ წერდა და „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქციას ამუშა-ვებდა, მის პოეტურ ცნობიერებაში კვლავ ამოტივტივებულა 1831 წელს დარიალის ხეობის ზღურბლთან მიღებული შთაბეჭდილებანი. რასაკვირველია, გრ. ორბელიანს ხშირად უხდებოდა კავკასიის და კერძოდ საქართველოს დიადი ბუნების ჰერეტი, მაგრამ ჩვენთვის გან-საკუთრებით ნიშნეულია ფაქტი, რომ პოეტი ისევ პირველ შთაბეჭდ-

ლებათა წრეში იყოფება ზემოთ დასახელებული ორი ნაწარმოების შექმნისას. აქვე შევნიშნათ, რომ გრ. ორბელიანს „მგზავრობის“ ხელნაწერი 1833 წლის შემდეგ ხელთ არ ჰქონია (ეს დღიური ყან-დარმერიაჲმ პოეტს ჩამოართვა ნოვგოროდში დაპატიმრების დროს).

ბუნების სურათს გვიხატაჲა გრ. ორბელიანი აგრეთვე 1832 წელს დაწერილ ლექსში „ღამე“. პოეტის განცდები აქ მთავარიან ლამე-შია გალხობილი:

მთვარე აშოკო მოწამე, სიამით ნათელს მოჰქენდა,  
ნიავე სუნნელთ ყვავილთგან ჰკრეფდა და ქროლით მოჰპერდა,  
ბუღბულიც ბუჩქნი ფარულად ვარდასა ვალობით შეჰსტროფოდა,  
და მით ეულს ცაცხლი ტრფობისა უმეტეს აღმეგზნებოდა.  
ვაზნი ფურცელთა გარდაშლით ჩემზედ კამარას შეჰსდგმიდნენ,  
მუნ სული ჩემი და გული ეზნის მახითა დაებნენ...

ბუნებასთან პოეტის ასეთი თანაზიარობის მიუხედავად არ შეიძ-ლება ითქვას, თითქმის გრ. ორბელიანი ზუსტად იმეორებდეს რომან-ტიკულ პერიზაჲს და არსაიდან ჩანს, რომ იგი ბუნებაში ეძებს აბსო-ლუტთან, უნივერსსთან მიახლოებას. არც ერთს მის ლანდშაფტს არ აქვს გადაფარებული მისტიკური სამოსელი. ბუნების სიდიდით გა-წოწვეული აღტაცება პოეტისა უშუალოა, ამასთან ბუნება თვითონაა შემკული ფერებისა და სუნნელების მომაჯადოებელი ძალით, რომელ-საც შეუძლია სიტკბოება განაცდევინოს ყველა მომაცვდავს, გზაზე მიმავალ და დაღლილ ადამიანს. გრ. ორბელიანის მიერ ბუნების აღ-ქმის დამთხვევა რომანტიკოსების მიერ ბუნების კულტთან არაა წმინ-და ლიტერატურული ფუნქციით გაპირობებული, იგი ორგანიულა მოვლენაა ქართველი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. რასა-კვირველია, გრ. ორბელიანიც რომანტიკულად აღიქვამს ბუნებას, მაგ-რამ ზოგად ფილოსოფიური და განყენებული მსჯელობის ელემენტ-ამ აღქმას თან არ ახლავს. ჩვენს შეხედულებას ნათელყოფს თუნდაც ერთი პარალელი: „ღამეში“ პოეტი გახარებულა, რომ მთვარით გაშუ-ქებულ არეში მან მოახერხა შორეული და საყვარელი არსების ხილვა და მასთან სულიერი გაერთიანება. ასეთი ბედნიერი ზმანების წუთებ-ში იგი უკმაყოფილოა ცისკრის ჟამის მოახლოებით და აცხადებს „დღისა და ვჰსწყევლე ნათელი, რომ ურთიერთი გაგეყარა“. ნოვალისის ცნობილ „ღამისადმი ჰიპ-ნებში“ აგრეთვე უკუგდებულია „დღის უტიფარი ნათე-ბა“, რომელიც მკაფიოდ აჩენს საგნებს და რაც ხელს უშლის პოეტს გარდაცვლილ სატრფოს (სოფიო კიუნიის) იმატერიალური ხილვით დასტკბეს მთვარიან ღამით. ამრიგად ნოვალისის ლირიკაში ღამის ხოტბას თანმიმდევრული და პრინციპული მნიშვნელობა აქვს. გრ. ორ-

ბელიანთან კი იგი მოკლებულია ასეთს განზოგადოებულ და მისტიკურ შინაარსს, მეტიც — იგი კერძო ხასიათის ბიოგრაფიულ მომენტად უნდა მივიჩნიოთ. ქართული რომანტიკოსი პირიქით, სწორედ სინათლეს, ცისკრის სხივებით განათებულ სამყაროს უძღვნის თავის საუკეთესო სტრიქონებს:

ვიმ, ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა.

გულისა ქმუნვის გამჟარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!..

ღმერთო, ვინ მისწუღეს შენგან ქმნილს მისფერ უთვალავს შევენებას?

სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ

ცხოვრებას!

(„სადღეგრძელო“, 1870).

ესაა თქმული პოეტის ცხოვრების მწუხროს ეპოს. მაგრამ გრ. ორბელიანი ჭაბუკობიდანვე ეტრფოდა დღის ნათელს:

ვითა ღამეში გზასა მავალი

პგრძნობს იღუმალად სიამოვნესა,

ოდეს ვარსკვლავი დღისის წინ მსრბოლი

მთრთოლვარებს ზეცას ლაქვარდოვანსა

და მოასწავებს დღესა ნათელსა... (1832)

გრ. ორბელიანის დაუმთავრებელი ლექსის ეს ტაეპები აბსოლუტურად გამორიცხავენ მის პეიზაჟებში რომანტიკული მისტიკის საღებავებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1833 წლამდე გრ. ორბელიანს პესიმისტური ლექსებიც უწერია. მაგრამ სევდის ტონი არაა ძირითადი გრ. ორბელიანის ლირიკისათვის აღნიშნულ ხანაში. ამიტომ პესიმისტური განწყობილების შემცველ ნაწერებს შევეხებით პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდის განხილვისას, როცა სევდიანმა განწყობილებამ უფრო ღრმად იჩინა თავი მის ლირიკაში.

მოკლედ უნდა შევეხოთ გრ. ორბელიანს, როგორც პროზაიკოსსა და მთარგმნელს, მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს „მგზავრობას“ (1831) პოეტის ეროვნული და პოლიტიკური იდეალების გაცნობის თვალსაზრისით 1832 წლის შეთქმულების ხანაში. — „მგზავრობა“ ლიტერატურულად დამუშავებული ნაწარმოებია, იგი ავტორს დაუწერია სამგზავრო შენიშვნების საფუძველზე და სტილიტიურად დაუხვეწია. „მგზავრობა ჩემი“ პოეტის 1831-1832 წლების

დღიურის შემავალი და პირველი ნაწილია. დანარჩენი ნაწილის<sup>1</sup> დამუშავება კი ავტორს არ დასცალდა.

„მგზავრობა“, როგორც დღიურის ლიტერატურულად დამუშავებული ნაწილი, 30-იან წლების ქართული დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშია.

დღიურები უწერია პოეტს აგრეთვე პოლონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში მოგზაურობისას. როგორც ვთქვით, ამ რკალიდან ლიტერატურული ღირებულება აქვს მხოლოდ „მგზავრობას“, დღიურის დანარჩენი ნაწილი კი მხოლოდ მწერლის ბიოგრაფიის მასალად გამოდგება.

საყოფადღებოა გრ. ორბელიანის მიერ 1824—1832 წლებში დაწერილი სამი პატარა მოცულობის პროზაული ესკიზი „ანტონისაჲ დ ში (1824), „ზამთრისა ქარი გრიალე ბს“ (1829) და „ნ. ე. მ.“ (1832); სამივე ზემოთ იყო დასახელებული. ისინი ფსიქოლოგიური მინიატურების ნიმუშებია, სტილისტურად დამუშავებული და ქართული რომანტიკული პროზის საწყისებად შეიძლება ჩაითვალოს. ნაკლები მნიშვნელობა აქვს გრ. ორბელიანის ჩანაწერებს „ცნობა ლეკების შესახებ“ (1830) და „ჰაზრანი მსწავლულთა ჩვენის კლანეტისა შექმნისათვის, ანუ მიწისა“. არც ერთი ამათგანი საკუთრივ პროზას არ განეკუთვნება. ინტერესს არაა მოკლებული მხოლოდ პროზაული ესკიზი „ამბავი რიგის ლოშპიტალში ნათქვამი“ (1835), რომელშიაც მოთხრობილია თავგადასავალი ობლად დარჩენილ გოგონასი, რომელმაც მრავალი დამცირება, დასჯა და ტყვეობა გამოიარა და ბოლოს შემთხვევით გზად შეხვედრილმა „კუთხეულმან იმპერატრიცაჲ“ იხსნა. ავტორი ჰუმანიურად მსჯელობს და თავისი პერსონაჟის ბედშეხედავს „ყოვლად უზენაესის მსაჯულის სიმართლესა, და მისს მარჯვენსა უბიწოების მფარველსა“.

გრ. ორბელიანის კონსპექტი „საქართველო ჩემის დროისა“ მხატვრული პროზის უნარს არ განეკუთვნება, თუმცა მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავტორის მსოფლმხედველობის შესწავლის თვალსაზრისით. ამ კონსპექტის იდეურად ყველაზე საინტერესო ადგილი ზემოთ იყო მოყვანილი.

ნაყოფიერი იყო გრ. ორბელიანი, როგორც მთარგმნელი აგრეთვე პირველ პერიოდში, 1824-1832 წლებში. ეტყობა, გრ. ორბელიანისათვის განსაკუთრებით ახლობელი ყოფილა ყუკოვსკის და პუშკინის პოეზია. ყუკოვსკის პოემის «Песнь во стане русских воинов» ზეგავლენის გარდა, გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რუსი რომანტიკოსისადმი გან-

<sup>1</sup> მთლიანად დაიბეჭდა პოეტის მხატვრული ნაწერების 1959 წლის გამოცემაში.

საკუთრებულა ყურადღება გამოიხატა აგრეთვე მისი ორი ლირიკული ლექსის თარგმანით. ესენია „პოეზია“ (1830) და „მას უხაროდეს“ (1832), რომელიც თავისუფალი გადმოკეთებაა ჟუკოვსკის ელეგიური ლექსისა „Песня (подражание немецкому)“. ქართველ მთარგმნელს იგი შეევეცილად აქვს გადმოღებული (აკლია უკანასკნელი სტროფი). ორივე ლექსის თემა და ემოციური ტონი სავსებით ეხმაურება ქართველი რომანტიკოსის ლირიკის მოტივებს (სევდა, მკჷნვარება).

გრ. ორბელიანს პუშკინის ორი ლექსი აქვს ქართულად გადმოღებული. ესენია: „ლხინი (მიბაძვა პუშკინისა)“ (1830) და „მიბაძვა პუშკინისა“ (1847). პირველი მართლაც თავისუფალი მიბაძვაა პუშკინის რვატეპიანი ლექსისა «Веселый пир» (1819) და ქართული აქსესუარითაა გადატვირთული (ჯამი, აზარფეშა, ყანწი და სხვ.), იგი ორგანიულად შედის გრ. ორბელიანის იმ ლექსებში, რომლებიც ანაკრეონტულ მოტივებს შეიცავენ. მეორე „მიბაძვა“ კი წარმოადგენს პუშკინის ცნობილი ლექსის «Дар напрасный, дар случайный» გავრცობილი სახით გადმოღებას. „მიბაძვის“ მეორე ნახევარი სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია, ხოლო პირველი სამი ტეპი („სიცოცხლე ფუჷო“ და შმდ.) რეფრენის სახით მეორდება და აბოლოებს მთელ ლექსს, რაც პუშკინის ლექსში არაა. ასეთი ხაზგასმა რუსი პოეტის ნაწარმოების იმ ტეპისა, რომელიც ავტორის იჷვსა და ნაღელიან კილოს შეიცავს, სავსებით შეეფერებოდა გრ. ორბელიანის ელეგიურ განწყობილებას მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მეორე პერიოდში, როცა ჷმუნვისა და სევდის ტონი განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჷღავნდა მის ლირიკაში.

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანი შეერჩევით სთარგმნიდა რუს ავტორებს, ხოლო თარგმნის პროცესში, ორიგინალს ქართულად გადმოღებისას, ცდილობდა მიეღო არაღდნის მექანიკური ასლი, არამედ საკუთარი სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ნაწარმოები. ამიტომ უწოდებდა იგი მათ „მიბაძვებს“.

ორიგინალთან ასეთი დამოკიდებულების ძალზე თვალსაჩინო და აღუურად გამართლებულ მაგალითს წარმოადგენს „მიბაძვა კონდ. რილეევის ლექსისა „ნალივაიკოს აღსარება“ (1831), რაზედაც ჩვენ თავის ადგილას ვრცლად გჷქონდა საუბარი. აკი მიბაძვის ორბელიანისეულმა მეთოდმა აქციავს ნაწარმოები ქართველ შეთქმულთა საპროგრამო მხატვრულ ჷმნილებად, პოლიტიკური აგიტაციის მძღავრ იარაღად.

გრ. ორბელიანი პირველი სერიოზული ქართველი მთარგმნელია კრილოვის არაკეებისა. 1832 წელს მას

სთარგმნა სამი ნაწარმოები შესანიშნავი რუსი დიდაქტიკოსისა „ვირი და ბუღუღი“, „სოფლელნი და მდინარე“ და „ნადირთა ჭირი“. სამივე თარგმანის სათაურის ქვეშ აღნიშნულია („კრილოვიდამ“). მაშასადამე, აქ მიბაძვას ადგილი არა აქვს.

გრ. ორბელიანის ეს თარგმანები თავისი დროისათვის სანიმუშოდ და შესრულებული. კერძოდ, „ვირი და ბუღუღი“ ქართული თარგმნითი ლიტერატურის ერთ-ერთი მიღწევაა.

საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ გრ. ორბელიანი სთარგმნის კრილოვის ისეთ იგავ-არაკებს, რომლებშიაც პართლმსაჯულების კანონის დარღვევა და დაბალთ ჩაგვრაა გაკიცხული. ეს საკითხი გრ. ორბელიანის წინაშე მწვავედ იდგა როგორც პირველ პერიოდში, ისე შემდგომაც. მაშასადამე პოეტს კრილოვის დიდაქტიკური ლექსებიდან შეგნებულად შეურჩევია მისთვის საინტერესო ნიმუშები. მოვიგონოთ როგორ თავდება გრ. ორბელიანის ერთ-ერთი ორიგინალური ლექსი 1832 წლისა: „მისი სახელი კიცხვითა“:

ვ ა ი მ ა ს , ს ა დ მ ხ ო ლ ო დ ძ ა ლ ა რ ა მ ს ა ჯ უ ლ ო ვ ნ ო ბ დ ე ს ,  
ს ა დ ჰ ს ჯ უ ლ ზ ე დ მ ჯ ლ ო მ ი ხ ა ნ ჯ ა ლ ი კ ა ნ ო ნ თ ა ა ლ ა ს რ უ -  
ლ ე ბ დ ე ს .

კრილოვის ორი იგავ-არაკიც „სოფლელნი და მდინარე“ და „ნადირთა ჭირი“ ძალმომრეობისა, ჩაგვრისა და უკანონობის წინააღმდეგაა მიმართული. ინტერესს არაა მოკლებული ისიც, რომ გრ. ორბელიანს გაუშინებია ერთი მათგანის. „სოფლელნი და მდინარე“-ს, დიდაქტიკური დასკვნა თავისი მიზნებისა და იმდროინდელი ქართული სინამდვილის შესაბამისად:

ი ქ ს ა მ ა რ თ ა ლ ი ვ ი თ ჰ ჰ ო ვ ო ს , ს ა წ ყ ა ლ მ ა ნ ა ნ უ  
უ ქ ლ უ რ მ ა ნ ,  
ს ა დ ა ც ა ქ რ თ ა მ ე ბ ს ი ყ ო ფ ე ნ მ წ ე რ ლ ე ბ ი მ დ ი ვ ა ნ ბ ე ;  
გ ე ბ თ ა ნ .

გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ოთხი პროზაული თარგმანი „ალლელორია“ (1824), „სამნი მეგობარნი“ პერდერისა (1832). შვეიცარელი მწერლის ცმოკეს მოთხრობა „მატოუნებელი“ (1832) და „სალამოს ჩაიზედ“ (1832). პირველში მოთხრობილია აღმოსავლური აშხავი სულთანის ვეზირისა და მისი ერთგული მეუღლის ფათმასი, რომელიც ბილწი ზრახვებით მას-

<sup>1</sup> შლრ. დედანი:

«На младших не найдешь себе управы там,  
Где делятся они со старшим пополам»

1860 წელს „ცისკარში“ (№ 3) დაბეჭდილია თარგმანის პირველი ვარიანტი: „სადაცა ქრთამებს იყოფენ მდივანი ნაჩაღნიკებთან“.

თან მისულ სულთანს შეარცხვენს და უკანვე გააბრუნებს. მეორე ეტი-  
უდიც დიდაქტიკურ-ალეგორიული ხასიათის პატარა ნაწარმოებია.  
რომლის ბოლოს დამოძღვრის ხასიათი აქვს: „სოფელსა შინა ამისა  
კაცსა ჰყავს სამნი მეგობარნი; მხოლოდ სიკვდილისა ჟამსა, ოდესცა  
უფალი მიუწოდს მას სამსჯავროსა შინა თვისსა, ჰსცნობს მათ კაცი: —  
ქვეყნიერნი სიამენი, რომელნიცა არიან კაცისა უსაყვარლესი მეგო-  
ბარ(ნი), დაუტევებენ მას პირველ; — ნათესავნი და მოყუასნი გააცო-  
ლებენ სამარისა კარამდე — და მოიქცევიან სახლად თვისად. — ზო-  
ლო მესამე მეგობარი, რომლისთვისცა არაფრად  
ზრუნვიდა სიცოცხლისა დროსა, — არიან საქმენი  
კეთილნი: მხოლოდ ესენი არა დაუტევებენ კაცსა;  
ესენი წარუძღვებიან მას დიდისა მსაჯულისა  
ტახტისადმი; ესენი იმეტყველებენ მისთვის  
მკერმეტყველად; და მხოლოდ ესენი მოუპოვებენ  
მას წყალობასა და ჯილდოსა“. იოჰან ჰერდერის ამ პაწია  
ნაწარმოების ჰუმანისტურ ლეიტმოტივს ჩვენ ვხვდებით გრ. ორბე-  
ლიანის ორიგინალურ შემოქმედებაშიაც (ზღრ. „ფსალმუნი“, 1879).

„მატუნებელში“ მოთხრობილია თავგადასავალი ახალგაზრდა  
ცოლ-ქმრისა, რომელთაც სიზმრად და ცხადად სდევნით ვილაც დე-  
მონიური არსება. მოთხრობა ძალზე ბუნდოვანია, მასში სინამდვილე  
და ფანტასტიკა გოფმანისებური სტილითაა ერთმანეთთან შეზავებუ-  
ლი. გრ. ორბელიანს გულდასმით უსწორებია იგი, მაგრამ მისი საბო-  
ლო სტილისტური დახვეწა ვერ მოუსწრია... „სალამოს ჩაიხედ“ ლი-  
ტერატურულად განსაკუთრებულ რასმე არ შეადგენს. ოთხივე თარგმა-  
ნი რუსულიდანაა შესრულებული.

გრ. ორბელიანის მიერ 1865 წელს თარგმნილ გოეთეს ლექსს  
„მთანი მაღალნი“ ვეხებით პოეტის შემოქმედების უკანასკნელ პერა-  
ოდის მიმოხილვისას.

\* \* \*

„შეთქმულების“ დამარცხებამ, ჰაბუკობის დროინდელი პოლიტი-  
კური იდეალების კრახმა, პირადად განცდილმა უბედურებამ (ყაზარ-  
მაში პატიმრობამ) უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს გრ. ორბელი-  
ანზე. აქედან იწყება ახალი ხანა ანუ მეორე პერიოდი  
გრ. ორბელიანის ცხოვრებაში. თუ რაოდენ მწვავე იყო ამ პერიოდის  
დასაწყისი, ამაზე თვითონ გრ. ორბელიანი მოგვითხრობს. ერთ ბარათ-  
ში ნაცნობისადმი: „სწრაფად მივფრინდი ტფილისს (1833 წლის ზაფ-  
ხულში, ა. გ.), მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარმებში ამოვყავ  
თავი, სადაც სამი თვე ვიჯექი დერვიშივით ღუმილსა და ამ ქვეყნიურა

არარაობის შესახებ ფილოსოფიურს მსჯელობაში გართული. სწორედ ამ დროს დედაც მომიკვდა. ვხედავდი ჩემის ფანჯრის პატარა ჭუჭრუტანიდან, როგორ გაასვენეს კუბო. მტერსაც კი არ ვუსურვებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა, ქვად ვიქეც, ყველა დავივიწყე, დედის სიკვდილიც კი. რამდენსამე დღეს უქმელ-უსმელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადმომიგდია. რამდენსამე დღის შემდეგ გამომიშვეს კიდეც, თითქოს დედის სიკვდილით მეყიდოს ეს თავისუფლება. მამას სახლი დაცალიერებული და დამწუხრებული დამხვდა, სადაც 28 დღე ვიყავი, ვითომ აწეწილ საქმეების გასარიგებლად, მაგრამ ნამდვილად, კი, ვგონებ, სულ არა გამიკეთებია-რა. ღამე, მთვარის შუქზედ, თვალ-ცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავსა და წაველ კავკასიის ნავაგინსკის რაზმში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწესებულნი“. ასეთი განწყობილებანი გახდა საბაბი პოეტისათვის დაეწერა ერთ-ერთი შედევრი გასული საუკუნის ქართული პოეზიისა „ჩემს დასეფემიას“ (1835). ეს ლექსი იშვიათი ფსიქოლოგიური დოკუმენტი პოეტის იმდროინდელი სულიერი ვითარების განსაცნობად:

სიოცხლე ჩემი ძლივ გაშლილი სასიხარულოდ,  
 ძლივ დილა ჩემი, შზისა ნათლით გაბრწყინებული,  
 მიჩვენებდნენ მე ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ,  
 და ახლად ღამპარს აღმინებდა გულს სიყვარული,  
 რომლისა სხივნი თვით ეკლთა შექმნიდნენ ვარდად,  
 რომლით აღვსილი არა ვჰსცნობდი კმუნეთსა ცრემლთა,  
 მეგობართ შორის უზრუნველი დამღერდი მარად  
 და სიამითა უშხერდიცა დღეთ მომავლთა!  
 აწ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,  
 რომე აჩრდილიც არა დამშთა ჩემდა ნუგეშად,  
 რომ გლახ ჩემს გულსა მოსეულნი კმუნეთთა დასნი  
 ესრედა ჰგლეჯენ უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად?  
 უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრეთ,  
 რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლის ჰჰარა ღრუბელთ ქვეშ;  
 სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყუელთა ფრთეთ,  
 და დამცა უფსკრულს ვაებისა უმწედ, უნუგეშ.

ლექსში შესანიშნავადაა გადმოცემული პოეტის განცდები ყაზარმაში პატიმრობისას. ციხიდან გამოსვლისა (როცა მას „ვავების ბჭე გაუღდეს“) და მძიმე სულიერი განცდების შემდეგ პოეტი თითქოს სამუდამოდ ეთხოვება სიკვამლე, სიხარულსა და მომავლის იმედს:

არაა აპყვავდეს გული ჩემი ორ გზის ამ სოფლად,  
 მახვილი გულით ვერ აპგლიჯონ შემდეგ სიხარულთ.

ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?  
 ვისა შევპბრალდე, რომ ეგებ ვით გული განპვრილდეს?



ღრუბელი ჰმუნვის განმობნოს აწ ვისმან  
 ლიმმან?  
 უღროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს  
 დაჰსტკბეს?  
 სიყვარულისა სურვილი მას ვერ დაუთრობს  
 გულს,  
 მისი სიცოცხლე ვერა დასტკბეს მართლ  
 სიხარულით.  
 ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით  
 აღვსილს,  
 უმზერს აწ ვით მე, მიუნდობელ, გამოცდილ  
 თვალით  
 ხვალე არღამწამს, ვით ღამეში მაცთური  
 სხივი.

თვითეული ტაეპი ამ პოეტური აღსარებისა დიდი გულწრფე-  
 ლობითა და ღრმა ემოციითაა გამსჭვალული. „ჩემს დას ეფემიას“  
 შეუდარებელი მხატვრული ძალით გამოხატავს იმ გარდატეხის დასა-  
 წყისს, როცა გრ. ორბელიანის მთელი არსება სულის სიღრმემდე შეს-  
 ძრა „უბედობის გრიგალის ქროლვამ“.

1833 წლიდან ძლიერდება პოეტის შემოქმედებაში გაუფანტა-  
 ვი სევდისა და პესიმისტური განწყობილების მოტივი, რომელიც  
 უცხო არ ყოფილა გრ. ორბელიანისათვის მისი ცხოვრებისა და შე-  
 მოქმედების პირველს პერიოდშიც. მაგ. ლექსში „ანტონს“ (1829),  
 რომლითაც იხსნება მისი პოეტური კრებული, ავტორი მიმართავს თა-  
 ვის შეგობარს:

ნუ გგონია სიჰაბუჟე მარად იყვეს განუყრელი:  
 უღმობელ დროს მიაქვს იგი, მასთან ყოველი სიხარული,  
 სიტკბოება სიცოცხლისა, არცღა გვრჩების სიყვა-  
 რული.  
 ფრიად მსწრაფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე  
 შეჰმუხვნილი.

ამ სიბერესა, სულიერ სიცივესა და დროის უღმობელობაზე ლა-  
 პარაკობს ჰაბუჟი პოეტი თავის პატარა ეტიუდშიაც „ზამთრისა  
 ქარი გრიალეს“ (1829): ადამიანის ხანდაზმულობა და მოხუ-  
 ცებულობა მას თოვლიან ზამთარს აგონებს, ხოლო სიჰაბუჟე — ყვა-  
 ვილოვან გაზაფხულს: „არა წარვალსა სიჰაბუჟეცა; ჩვენი ესრეთ  
 მსწრაფლად, ვითარცა გაზაფხული, რომლისა სიტურფითა ჯერეთ  
 არა დავმტკბარვართ, და თანა არ მიაქვსა ყოველი ჩვენი სიხარული.  
 სურვილი და იმედნი, რომელნიცა ჯერეთ არა აღსრულებულან. — არა  
 ვხედავთა მწუხარებითა, რომელ ანაზღეულად სიბერემან, ვითარცა  
 ზამთარმან, დათოვა თავი ჩვენი. და გაყინულისა ხელისა თვისისა  
 ჩვენდა შეხებითა, განგვიგრილა გული ჩვენი ყოვლისა მშვენიერე-

ზისა ტრფიალებსიგან! — არა ვგრძნობთა, რომელ სიყვარულიცა, ესე მშვენიერი სიცოცხლისა ჩვენისა ყვავილი, რომელიცა გვატკობს, გვახარებს თვით ტანჯვასაცა შინა თვისსა, და აღგვამალებს ყოველთა მდაბალთა და უღირსთა სხვათა ვნებათაგან — ესე ღღეთა ჩუნთა სიტკბოებაცა ჰქრების, ჰსცნობს რა სიბერისა სიახლოესა! — არა ვქრებთა განკვირვებით, ვარდებრივთა დაწვთა ადრინ და მქკნარად, ღიმილთა — ბაგეთა ზედან გამქრალად, თვალთა, სულისა სარკეთა — შთაცვიულ და ნათელკლებულ, მეხსიერებასა — დაკარგულ — ახ! სიბერისა დროსა სიცოცხლე ჩვენის არს მხოლოდ თვლემა. მაშინ ჩვენთვის მომავალი არის ბნელი და წარსულიცა დავიწყებულ; და თუ ვითარმე გონებასა შინა ჩვენსა წარმოგვიდგების დღე რომელიმე, აღესილი სიამოვნებითა, და სატკობლად შექმუხვნილთა დღეთა სიბერისათა, ისიცა ესრეთ გვეჩვენების, ვითარცა სიზმარი. ანუ ვითარცა ელვა ლამესა ბნელსა, რომელიცა ჰქრების მყისვე და არა უტევებს თავის შემდეგ კვალსაცა“. — ეს ამონაწერი მოწმობს, რომ გრ. ორბელიანი ჰაბტუკობიდანვე ყოფილა დაფიქრებული ეკლეზიასტეს თემაზე, ყოველი მატერიალურის და თვალთხილულის ჰკნობასა და წარმავლობაზე. მაგრამ პირველ პერიოდში მისთვის ამ თემას უმთავრესად ზოგად ფილოსოფიური და თეორიული მნიშვნელობა აქვს. ჰაბტუკი პოეტი მხოლოდ წარმოიდგენს სიცოცხლის დასასრულს. როცა მისი გონების წინაშე აღიმართება სიკვდილის იდეა: „ვარდებრივ დაწვებს ადრინ დამქკნარად“. „ბაგეთა ზედა გამქრალ ღიმილს“ და „თვალთა, სულისა სარკეთა, შთაცვიულს“. ეტიუდის ეს ადგილი შორეულად გვაგონებს ანალოგიურ ტირადას პეტრარკას განთქმული დიალოგიდან „ქვეყნისადმი ზიზღის შესახებ“.

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის ლირიკაში მოიპოვება სხვა ნიმუშებიც, რომლებშიც პესიმისტური აზრებია გამოთქმული მაგ. უუკოვსკის თარგმანს ამოფარებული პოეტი ამბობს:

პოი, სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?  
შენსა მომღევენსა ეჩვენები ტურფად. ცთუნებით,  
შენში კეთილსა საცხოვრებლად აქვს წამი ოდენ!  
ჰმუნვა არს უფრო — სიამენი მალიად ფრინვენ.

(„უუკოვსკისადმი“, 1830).

უიმედობითა და მელანქოლიითაა შეფერილი ზოგიერთი სხვა ლექსიც ამ პერიოდისა. მაგ. ლექსში „გაზათხული“ (1832) პოეტი „ურწმუნო სოფლის მუხთლობაზე“ მსჯელობს, ხოლო

„მირზაჯანას ეპიტაფიაში“ (1832) ცოცხალ ნაცნობს ათქმევინებს:

მუხთალს ამსთფელს გსურს ვისა იყო ბედნიერ,  
სიყვარულთა და ღვინთა ჩემებრ დათვერ,

თორემ ვონებით ვინდ ცა განვლო, ჩემებრიქმნა მტვერ.

მიუხედავად ყველა ამ მაგალითისა, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ თავის ცხოვრების პირველ პერიოდში გრ. ორბელიანი ღრმად შეეძრწუნებინოს სიბერესა და სიკვდილზე, ან სოფლის წარმავლობაზე ფიქრს. მისი მსოფლიო სევდა ჯერ კიდევ არ იყო ღრმა და ორგანული პოეტისათვის. ამიტომაც არც ერთს მის ლექსში სოფლის ამათებაზე მსჯელობა არ გადადის რეზინიაციამში, იგი ბედისადმი მორჩილებას ოდნავადაც არ გულისხმობს. პირიქით — ამ ხანაში გრ. ორბელიანი ამბოხებისაკენ მომწოდებელია და მებრძოლი პოეტი-აგიტატორი („ნალივიაკოს აღსარება“, „მისი სახელი კიცხვითა“ და სხვ.), ამასთანავე სიკაბუკის დღეებისა და გაზაფხულის მეხოტბე. დამახასიათებელია, რომ ზემოთ მოყვანილი პროზაული ამონაწერი ასე თავდება: „ჰე, გაზაფხულო! ჰე, სიკაბუკე! დამატკბეთ, დამატკბეთ, ვიდრემდის ჰსცხოვრებთ ჩემთან ესოდენ, რაოდენცა იყოს ჩემთვის საკმაოდ სამარემდის, ანუ სიცოცხლეცა ჩემი შეჰსწყვიტეთ მაშინ, ოდეს მოვიდეს დღე იგი განყრისა ჩვენისა, რათა ვჰსთქვა უკანასკნელსა ჟამსა: „თუმცა ვკვდები, მარამა სიცოცხლე ჩემი იყო ესრეთ ნათელ, ვითარცა მშვენიერი განთიადი გაზაფხულისა“—ო მაგრამ გაზაფხულის ეს განთიადი, გრ. ორბელიანის ცხოვრებაში სწორედ 1833 წლის გაზაფხულს დასრულდა. ამის შემდეგ სიკაბუკის დღეები მისთვის მოგონების საგნად იქცა:

მაგრამ მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის,

წარსულთა დღეთა იგონებდა რანეტარებას.

ესრეთ აშვენებს სიტურფითა ვარდი სამარეს  
ესრეთ მშვენიერთ ბაგეთ ზედან იელეებს ღიმი,  
თუმცაღა გულში უზომოსა ჰფარავს სიმწარეს.

(„ჩემს და ეფემიას“).

ამიერიდან სიკაბუკისა და სიყვარულის ღრმა გრძნობა მისთვის უმთავრესად მოგონებად იქცევა. მეორე პერიოდში გრ. ორბელიანის სევდას და პესიმიზმს უაღრესად კონკრეტული, ბიოგრაფიული ღაინავე დროს საზოგადოებრივი სარჩული აქვს: პოეტის იდელები დამსხვრეულია, იგი იძულებულია გამოეთხოვოს სამშობლოს თავისუფლების აღდგენის ილუზიას. პოეტი ცდილობს წარსულის შთა-

ბეკდილებები არ აშფოთებდნენ, დავიწყებას მისცეს ყველაფერი, რაც მის სანუკვარ ოცნებას შეაღვენდა:

ქ ე ი, გ ო ნ ე ბ ა ვ, დ ა ი ვ ი შ ყ ე ჩ ე მ ს ს ა ნ უ გ ე შ ო დ,  
რ ა ც ი ყ ო — ი ყ ო, ნ უ ი გ ო ნ ე ბ ღ ღ ე ს ა შ ა რ ს უ ლ ს ა:  
მ ი ს მ ო გ ო ნ ე ბ ი თ მ ხ ო ლ ო დ გ უ ლ ს ა მ ი კ ლ ა ვ ე უ წ ყ ა ლ ო დ,  
დ ა ფ უ ჰ ს ი ც ო ც ხ ღ ს მ ა შ ყ ე ვ ღ ი ნ ე ბ გ ა მ შ ა რ ე ბ უ ლ ს ა  
(1843).

სრულიად ლოგიკურია, თუ სწორედ ამ პერიოდში გრ. ორბელიანი წერს შესანიშნავ ლექსს „ჩემი ეპიტაფია“ (1839), რომელშიაც სიკვდილის თემა დამუშავებულია იშვიათი ემოციური ძალით და არა დრამატულ პათოსს მოკლებული სტილიზაციით, რაც მის ადრინდელ პენსიმიტურ გამონათქვამებს ახასიათებდა. ამ ლექსში წარმავლობის გრძნობა ძალზე პედალიზებულია:

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო,  
მეცა მიყვარდა, მეც ვპსტიროდი, ვილხენდი,  
და დაფიქრებით დავპშერდი საფლავებსა!  
მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაპშერ შენ!  
ამ ზენა — ჰსჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს:  
ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით,  
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,  
ვერცა სიკაბუკე შვენებითა შემეული  
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით!  
ყ ვ ე ლ ა ი ც ვ ა ლ ო ს, ყ ვ ე ლ ა მ ო კ ვ დ ე ს,  
დ ა მ ი შ დ ე ს,  
და მხოლოდ წრფელი სული, შშინდა, ცხოველი  
მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვჯაებრი (1839).

სწორედ ამ ხანებში, თავის ცხოვრების მეორე პერიოდში (1847). აქვს თარგმნილი პოეტის პუშკინის ლექსი «Дар напрасный», რომელსაც „პუშკინის მიბაძვა“ ეწოდება. უეჭველია, გრ. ორბელიანის სულიერ განწყობილებას გამოხატავენ ტაეპები:

სიცოცხლე ვუქო,  
უბრალოვ ნიქო,  
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა,  
და თუ მიწოდა  
არსით სოფლადა,  
რასათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა?  
რად მომცა სული  
ვნებით აღვისილი,  
გონება ეკვით შემფოთებული,  
და აწმყო — არად,  
წარსული სიზმრად,  
და მაკთუნებლად თვით მომავალი?

ჯერ კიდევ — ყაზარმაში პატიმრებისას (1833) წერს გრ. ორბელიანი ლექსს „მე ხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან“), რომლის პერსონაჟს პოეტი ათქმევინებს 1832 წლის შეთქმულებებზე:

ბ ე დ მ ა ნ დ ა ა მ ხ ო რ ა ყ ი ფ ნ ი კ ა ც ნ ი .

თვითონ გრ. ორბელიანი ამ „ბედისაგან დამხობილ რაყი ფ-კაცებს“ ეკუთვნოდა სულიერად და იდეურად, ამიტომ „წარსული სიზმრად, ხოლო აწმყო — არად“ მიაჩნდა. ეს საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური ნიადაგი კვებავდა გრ. ორბელიანის სევდასა და პესიმიზმს, რამაც უკიდურესი სახე პოეტის ცხოვრების ბოლო წლებში მიიღო.

მაგრამ გრ. ორბელიანი ძლიერი ნების ადამიანი იყო, დაჯილდოებული ცხოვრებლს დიდი ენერგიით, პრაქტიკული მოღვაწეობისადმი მიღრეკილებით. აქტიური სულით, სინამდვილის მძაფრი შეგრძნობითა და დაკვირვებლს უნარით. მან გადაათვა თავისი ადრინდელი მისწრაჟებანი, უსარგებლოდ და სახიფათოდ სცნო ცარიზმის წინააღმდეგ გაბრძოლება, დაადგა შეგუებისა და კომპრომისის გზას, ოფიციალურად აღიარა კიდევ მეფისადმი ერთგული სამსახურის საჭიროება. მეორე პერიოდი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა, როგორც მკითხველსაც დაინახავდა ზემოთ მისი ბიოგრაფიის გაცნობისას, ბრწყინვალე სამხედრო კარიერის ხანაა. თავისი ზმლით გრ. ორბელიანმა ბევრი სარგებლობა მოუტანა მონარქიულ რუსეთს სწორედ ამ პერიოდში. ერთ-ერთ ბარათში შეთქმულებთან კავშირს პოეტი თავის „გამოთუცდებლობით“ (?) ხსნის, რაც იმას მოწმობს, რომ გრ. ორბელიანს თავისი ნამდვილი ბიოგრაფიის მიჩქმალვაც კი სწადია ამ ხანაში. მაგრამ რასაც ფარავდა პოეტის ოფიციალური მდგომარეობა და ბრწყინვალე საომარ გამარჯვებათა მათუწყებელი რელაციები, მის მხატვრულს შემოქმედებაში მქდავანდებოდა აწმყოზე ჩივილით, „რაყი ფიკაცების“ მოგონებით, ღრმა შინაგანი სევდით. ოფიცერ გრ. ორბელიანის გარეგანი ცხოვრების პარალელურად, როგორც სრული კონტრასტი, მიმდინარეობდა პოეტ გრ. ორბელიანის შინაგანი ცხოვრება. მაგრამ ქართველი რომანტიკოსის ეს შინაგანი პატრიოტული სამყარო ნაკლებადაა გამომჟღავნებული მეორე პერიოდის მხატვრულ ქმნილებებში. ისიც საგულისხმოა, რომ გრ. ორბელიანს სამხედრო მოღვაწეობის ყველაზე მდიდარი და სტებედნიერი ხანა (ავარიის მმართველობის პერიოდიდან (1841 წ.) მოყოლებული კავკასიური ომის დასასრულამდე (1859) იმავე დროს ყველაზე უფრო დარიბია ლიტერატურული პაროდუქციის მხრივ. გრ. ორბელიანს ამ წლებში მარტოოდენ ორი

ორიგინალური ლექსი („პეი, გონებავ“, 1843 წ., „მოგონება“, 1851 წ.) და ერთი „პუშკინის მიბაძვა“ (1847) აქვს დაწერილი. საერთოდ, გრ. ორბელიანის ცხოვრების მეორე პერიოდი ნაკლები პოეტური ნაყოფიერებით ხასიათდება: 1833—1858 წლების მანძილზე მას სულ 14 ლექსი აქვს დაწერილი.

ამ ლექსების ძირითადი მოტივებია, პესიმისტური თანდასჯარა ჩოხელური ლხინი, მსუბუქი ტრაფობა (ანაკრონტიზმი) და სიყვარულის გამოტირილი.

მეორე პერიოდში წარმომობილი პესიმისმის ამსახველი ლექსების შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას დანარჩენის შესახებ ამ პერიოდის გრ. ორბელიანის ლირიკაში.

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის „მუხამბაზსა“ და „იარაღისში“ ანახელ ლხინისა და ანაკრონტიული თემის შესახებ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ მოტივის დამუშავებისას გრ. ორბელიანი აგრძელებს ზესციისა და საიათნოვას ხაზს. მეორე პერიოდის ლექსები „მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან...“), „სავათნავას მიბაძვა“, „სალომეა ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „მუხამბაზი“ („სულით ერთნო...“) და 1860-1861) წწ. დაწერილი „დემიტრი ონიკაშვილის დარღები“ და „მუხამბაზი“, („გინდ მეძინოს“) აღრმავებენ აღნიშნულ თემას. შეიძლება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაუგებრად გვეჩვენოს პოეტის მიერ ყარაჩოხელური ნაღიმისა და ფიზიკური ტრაფობის ასეთი ხოტბა იმ დროს, როცა თვითონ ყაზარმობის მძიმე დღეებს განიცდიდა და შემდეგ დიდხანს სამშობლოდან იყო გადასახლებული (პირველი სამი ლექსი ავლაბრის ყაზარმაშია დაწერილი, ხოლო მესამე — ქ. ვილნოში), მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ პოეტის ამ ლექსებში ჩვენ საქმე გვაქვს მოგონების არაჩვეულებრივ ინტენსივობასთან და არა რომელიმე უშუალო მომენტის ფიქსაციასთან — გასაგები ხდება მათი წარმომობის მოტივიც: პოეტი სევდისა და მარტობის ეამს აცოცხლებს ნაცნობი თბილისელი მოქალაქეების კოლორიტულ სახეებს, მათი ფსიქოლოგიისა და ყოფის სურათებს, — არსებითად ივიერთობა.

გრ. ორბელიანი დაახლოებული იყო მშობლიური ქალაქის დემოკრატიულ ფენებთან, ზედმიწევნით იცნობდა და ჰუმანურად ეპყრობოდა მათ. სიჭაბუკის ხანაში პოეტს ხშირად უქეიფნია თბილისის ყარაჩოხელებთან. ზოგ ამათვანს (მაგ. ლოპიანას) ლხინის მოყვარული თავადის „ადუტანტსაც“ ეძახდნენ (მას თურმე დილაობით ცოცხალი

მიჭონდათ პოეტთან). გრ. ორბელიანს არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი ქალაქის ამ დემოკრატიული ფენების წარმომადგენლებთან, ოღონდ გარკვეული დისტანციის დაცვით, რაც ბუნებრივად იბადებოდა ხოლმე ყაფლანიანთა ბრწყინვალე წარმომადგენელსა და მეკრივეთა და მეთევზეთა წრიდან გამოსულ ყარაჩოხელთა შორის. სწორედ ამ დისტანციის წყალობით შესძლო გრ. ორბელიანმა მათა მასიათების რეალისტური დახატვა. მუხამბაზებზე გრ. ორბელიანს თავისი პერსონაჟების მონოლოგებად ან სიმღერებად აქვს მოფიქრებული: პოეტი ახშობს, ანეიტრალებს თავის ხმას, თვითონ ყარაჩოხელებს ამეტყველებს, აბსტრაგირებულია მათგან. ცნობილია, რომ რომანტიკულ ლირიკასა და ეპოსში ნაკლებ საგრძობნი მანძილი ავტორსა და გმირს შორის. მართალია, გრ. ორბელიანის მუხამბაზებშიაც ზოგჯერ ყარაჩოხელის ნილაბქვეშ თვითონ ავტორი მკვეწვარებს, ლხინსა და ღვინოში ეძებს თავდავნიწყებას ან რომელიმე სევდიან მოტივს მღერის, მაგრამ მისი ხმა ჭაერთოდ ძალიან იშვიათად ისმის ამ უნარის ნაწარმოებებში. გრ. ორბელიანის მუხამბაზები რეალისტური ხასიათის ლექსებია, მიუხედავად მათი ძალზე ტრადიციული ფორმისა. მუხამბაზებში აისახა თბილისის მოქალაქეთა გარკვეული წრის პრიმიტიული ფსიქოლოგია, თავისებური ყოფის დეტალები, მეტყველების მანერა და სტილი, ენობრივი სისადავე და ყარჯონი, — ყველა ძირითადი ატრიბუტი ყარაჩოხელთა ყოფისა და სულიერი ცხოვრებისა. ამიტომ არასოდეს არ უნდა ავურიოთ პოეტის ხმა, მისი არქაიზებული პათოსი და აზროვნების მუდამ სერიოზული ხასიათი (დამახასიათებელი „სადღეგრძელოსა“, „გამოსალმებისა“, „თამარის ჰახისა“, „ჩემს და ეფემიასა“ და სხვა ამ რანგის ლექსთა ავტორისათვის) რომელიმე ლოპიანასთვის დამახასიათებელ თბილისურ სიტყვის მოქცევასა და ინტონაციას. „სადღეგრძელოს“ ავტორის პოეტიკის თვალსაზრისით მისი მუხამბაზები სტილიზებული ნიმუშებია — ამ ფორმის თემები და მხატვრული ფაქტურა გრ. ორბელიანს მზამზარეულად აქვს მიღებული (თუმცა შემდეგ უფრო დახვეწილი).

გრ. ორბელიანს გულწრფელ ჰუმანიზმთან ერთად არ აკლდა ერთგვარი ირონიაც თავისი ლექსების პერსონაჟების მიმართ, იგი მათ დაჰყურებდა ზემოდან, იმ დარდიმანდული ქედვალლობით, რომელიც ხელს არ უშლიდა პოეტს იმავე დროს დემოკრატი და მათთან ტრაპეზის გამზიარებელი დარჩენილიყო. გრ. ორბელიანის ცხოვრებაში უკანასკნელად განმეორდა ფეოდალურ სასახლეებში ტრადიციულად დამკვიდრებული

ჩვეულება არისტოკრატიისა და მომღერალ მეთ-  
რეთა თანამეინახობისა. თუ ოდესღაც გრ. ორბელიანის  
სისხლიერი წინაპარი, საქართველოს უდიდესი მეფე ერეკლე II საი-  
ათნოვას მუხამბაზებს ისმენდა თავის სასახლეში, მისი გვიანი ნაშე-  
რი თვითონ მიდიოდა ქალაქელ მომღერლებთან და სიმღერებს უწერ-  
და. რეალური ტრუბადური ფიქტიურით იყო შეცვლილი. საიათნოვა  
ამბობდა:

სიტყვას ვიტყვი — ცამ ჭუხილი დაიწყოს!

გრ. ორბელიანის პერსონაჟი კი ამბობს:

სიყვარულმა მოქმევეინა,  
თორემ მე ვინ, ლექსი — ვინა!

და ეს რეპლიკა უმაღვე ამხელს გრ. ორბელიანს, რომელიც უფლებას  
არ უტოვებს ყარაჩოხელს მართლაც პოეტად წარმოიდგინოს თავი,  
რადგან ამ პროფესიას მუხამბაზის ავტორი-არისტოკრატი თვითონ  
იტოვებს და ამშვენებს კიდევ მას.

გრ. ორბელიანს საყვედურობდნენ, თითქოს მან ბაზრის კილო  
შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ეს საყვედური დაუმსახურებელია.  
გრ. ორბელიანმა მოახდინა მუხამბაზის ხელახალი კანონიზაცია მხო-  
ლოდ და ისიც გარკვეული მიზნით. გრ. ორბელიანის ამ ქანრის ნა-  
წარმოებებმა დაიმსახურა დიდი მოწონება ილია ჭავჭავაძისა, რომელ-  
მაც ზოგი მათგანი ზეპირად იცოდა და საჯაროდაც კითხულობდა.

გრ. ორბელიანი თავის ლირიკულ გმირებს ხატავს როგორც ლა-  
ლი ბუნების აღმიანებს, ნადიმისა და ღვინის მოყვარულ მოქალაქე-  
ებს, ამავე დროს თვითეული მათგანი აღჭურვილია ხასიათისა და გა-  
რეგნობის ინდივიდუალური ნიშნებით; პოეტი გვიხატავს უაღრესად  
კოლორიტული სახეების მთელ გალერეას. ექსპანსიური, მოძრავი და  
„ქალების ლხინი და თაიგულია“ ბეჟანა მკერვალი, რომელიც „ვით  
პეპელა სხვადასხვა ყვავილისა ზედ დაჰფრინავს და ჰსვამს მათგან სუნ-  
ნელსა“, და „რადგან რაყიფი დიდ-კაცნი დამხობილან“, მას „დაარჩე-  
ნია ბურთი და მოედანი“. ამიტომ ის არ აპირებს გარეთუბნის ტურ-  
ფებთან წასვლას და არისტოკრატიულ სალონში, „სალომესთან სა-  
დილად“ მიიჩქარის („არავისთვის დღეს მე არა მცალიან...“). მეორე  
მუხამბაზის მიხედვით, ბეჟანა, რომელიც სალომეს „მაკრატლის  
გვირგვინს“ უწოდებს, იმავე დროს სხვებისკენაც იქიჩრება, ქალები-  
სადმი მისი ტრფობა განურჩეველია, „ვარდიც უყვარს, იაც უყვარს“,  
თანაც პირველს აფრთხილებს: „ნუ გწყინს, ვარდო! ყვავილთ მეფევი,  
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ“ („სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“).  
„ლხინის პაპა“ მირზაჯანა მადათაშვილი, „სახით არაბისტნელი“ და  
„ქულღაყეცილი“, ღვინისა და ეშხისათვის არის დაბადებული, იგი მუ-



დამ ტოლუმბაშია და ნადიმი უყვარს მეთარე ალავერდასა და მომღერალ ყოჯა ბულბულთან ერთად („სულთ ერთნა“); დიმიტრი ონიკაშვილი „ცეცხლშია ჩაყარდნილი“ და „ნაბად გახვეული“ ძალღსაკით ჰგდია ქუჩაში“. რადგან „ეთის ვისმეს მოაჯირს და ორს ფანჯარას ყარაულობს“, სადაც მისი სატრფო უნდა „გამობრწყინდეს მზეხავით“ და თუ ეს სატრფო „ლამაზ თვალებით შეხედავს“ და „სირინოზის ხმას გაავგონებს“, მაშინ „ეშხისაგან გონება გამოცლილი“, რომელსაც არ ესმის „მზე ბრწყინავს თუ თოვლი მოდის“, „თავს ცამდე აიღებს“ და ძალმოცემულს შეუძლია „ქვეყანას ებრძოლოს“. ამაზე შემდეგ იგი „ყელზე ჩითმერდინიანი“ „ქვე-ქვე გასწევს ორთაქალისკენ“ და იქ დარდიმანდებს შორის სუფრაზე „საკინძ ჩამოხსნილი, ხელში ჯამით“ სატრფოს სადღეგრძელოს შესვამს („დიმ. ონ. დარდები“). ასევე ჟანრული სურათია დახატული მუხამბაზში „გინდ მეძინოს“. რომელიც მეთევზე ლაპიანას მონოლოგს წარმოადგენს. ეს ნაწარმოები საუკეთესოა გრ. ორბელიანის ამ ციკლის ლექსებს შორის. მუხამბაზში მიხედვით ყარაჩოხელის ტიპი დახატულია როგორც გარკვეული ემოციების აღამიანი, სატრფოზე შეყვარებული და ერთგული ყმა, რომელსაც „ათი გზა აქვს და ათივე სატრფოსკენ მიდის“. ძილში მას სატრფო სულში უზის, თვალს თუ გაახელს — წამწამზე. იგი ნატრობს — ორთაქალის ბაღში ნახოს სანატრელმა აჩსებამ, როცა „დარდიმანდის ლხინში“ ტოლუმბაშია და ჯამი უპყრია ხელთ, ან როცა მუშტი-კრივშია, — მაშინ შეიძლება შეუყვარდეს იგი სატრფოს და უთხრას „ძვირფასი ხარო“.

ყარაჩოხელთა ხასიათები გრ. ორბელიანის მუხამბაზებში დახატულია რეალისტურად. მიუხედავად მათი რამდენადმე შელამაზებისა. უწინარეს ყოვლისა, რეალისტურია მათი პორტრეტული დახასიათება, მოქმედების გარემო (ორთაქალის ბაღები, „მტკვრის პირი ჩარხთან“ და ასე შემდეგ), ძალზე მარტივი ფსიქოლოგია, სიყვარული კრივისა და ლხინისადმი, ოღონდ პოეტის ჰუმანიზმს უნდა მიეწეროს მათი აღჭურვა ხასიათის ზედმეტი კეთილშობილებითა და მოკრძალებით („გინდ მეძინოს“). მაგრამ თავისი პერსონაჟების ნაწილობრივ შელამაზებასთან ერთად გრ. ორბელიანი ზოგ მათგანს ხატავს ზერელე და ფუქსავატ პირად, რომლისთვის ფამილარობა და უზრდელობა უცხო არაა. მხოლოდ ყარაჩოხელს შეეფერებოდა ქალზე ასეთი მონოლოგი ბეჟანა მკერვალისა:

ქალზე ვარ ასე ფიქრით მოცული,  
ხელში ქობა დამრჩების მოუვლელი,  
მებლანდების თვალბში ზოგის წელი,  
ზოგის ხვევანა-ალერსი ტუბილი.

არც „სახით არაბისტნელის“ კომპანიის ნაღიმია მთლად დარღ-  
მანდული;

ვითა ბალი უყვავილოდ, უყარლოდ,  
არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრფოდ.  
მოდო, მნათო, სავსე თასი სალხინოდ  
ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე უპროშტოდ

(„სულით ერთნო“).

ერთ-ერთ ლექსში პოეტს გამოხატული აქვს თავისი გმირის ფა-  
მილიარული ხასიათი. მაგალითად, ბეუანა მკერვალი შემდეგნაირად  
წიმარტავს სალომე ქავქავაძეს მისი ასულის (სოფიოს) დაბადებზე:

ექვი ვის აქვს, მამა ვინც არს?

ჩემს ნაკერსა ვცნობ ფრიად შორს!

პოეტი თითქოს გვეუბნება — აი როგორ ხალხს დარჩენია ბურთი  
და მოედანი „რაც იფდი დ-კაცთა დამხობის“ შემდეგ!

გრ. ორბელიანი იცნობდა არ მარტო ბესიკის, საიათნოვას, დიმიტ-  
რი და გიორგი თუმანიშვილებს ალმოსავლურ-მუხამბაზურ პოეზიას,  
არამედ საერთოდ ალმოსავლური, სპარსულ-აზერბაიჯანული პოეზიას  
ბევრი ცნობილი წარმომადგენლის შემოქმედებასაც. მაგ. დალისტან-  
ში, სამხედრო სამსახურში ყოფნიას იგი კითხულობდა საადის რუ-  
სულად თარგმნილ ნაწარმოებებს; თვითონ ათარგმნია აზერბაიჯანულ-  
დან XVIII საუკუნის თვალსაჩინო პოეტის ვაგიფის თხზულებანი  
და ა. შ.<sup>1</sup>; როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა ქმნილებებში მას უმთავრე-  
სად სატრფიალო ლირიკის ნიმუშები მოსწონდა. გრ. ორბელიანს იზო-  
დავდა მუხამბაზი, როგორც ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა ქალის  
ფიზიკური ხოტბისა და ანაკრეონტული განწყობილებების გადმოცე-  
მისა. ამ უანრის საუკეთესო ნიმუში „გინდ მეძინოს“ ყურადღებულს იქ-  
ცევს ძალზე დახვეწილი სახეებით და ფაქიზი გრძნობით გამთბარი  
შეღარებებით. XIX ს. ქართულ პოეზიაში აღნიშნულმა უანრმა არც  
ეცის, მაგალითად, ასეთი, ემოციურადაც წმინდა ტაეპები:

რტო ალვისა შენი წელი მგონია.

მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია.

ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია.

ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია.

მაგრამ გრ. ორბელიანის მუხამბაზების მხატვრული აქსესუარი  
ძირითადად ალმოსავლურია. თანაც ბევრი სახე და შეღარება პოეტი-  
სა სხუემარო ხასიათისაა, ისინი პირდაპირ მონოლოგის წარმომქმე-  
ლის დამახასიათებლად, ტიპიზაციისათვისაა გამოყენებული.

<sup>1</sup> იხ. „წერილები“, ტ. II, გვ. 63 (სადის შესახებ) და 163 (ვალუფის შესახებ).

აღმოსავლური ხასიათისაა, მაგალითად, „მუხამბაზებში“ რამდენჯერმე შექმნილი ხალი. „სავათნავას მიბაძვაში“ ნათქვამია:

მაგონდების რამის დაწვებდა ხალი,  
სიყვარულის გულს მეგზ. ება ახ ალი.. (1833).

მუხამბაზში „სულით ერთონ“ ამ ხალის მნიშვნელობა ჰიპერბოლურადაა გაზრდილი:

სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის,  
ეს ფილა იყოს სადღეგრძო ხალის!

საინტერესოა ამ გაზვიადებული შედარების წარმოშობის სათავე. გრ. ორბელიანი 1834 წელს სწერდა თავის მეგობარს ანტონ ორბელიანს: ცუდია უეშყოდ ცხოვრება. ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა. — ვალკის ქალაქში სოფიოკრუზე და აქ პეტრონელა; ამ უკანასკნელისა, რადგანაც ვარ აზიატი, მომწონს ლოყაზე ხალი, და იმასაც უხარია ესრეთი ქება. ამიტომ ხომ იცი ევროპაში ხალის ქება არ იციან, გემო არ აქვსთ“ („წერილები“, 1, 20). ამგვარადვე წერდა პოეტი თავის ძმას ზაქარიას 1837 წელს: „ერთი ქალი საკურელად ჰგავს ელენას, მარჯუნა ლოყაზედაც ხალი აქუს, азнатский вкус. მე პირველმა შემოვიტანე ამათში ხალის ქება, რომელსაც დავარქვი პრესტოლ любви“ (იქვე, 44). მგონი ნათელია, თუ როგორ ვითარებაში წარმოშობილ პოეტურ ასოციაციებიდან მომდინარეობს გრ. ორბელიანის მუხამბაზების მხატვრული სახეები. რასაკვირველია, არც ერთი თავისი სერიოზული გატაცების ობიექტს არ შეამკობდა პოეტი ამგვარი შედარებით.

გრ. ორბელიანის მუხამბაზებში ნატამალიც არ მოიპოვება იმ ღრმა და სერიოზული სასიყვარულო გრძნობისა, რომელიც ასახულია პოეტის საუკეთესო სატრფიალო ლექსებში. მეორე პერიოდში, როცა გრ. ორბელიანის მუხამბაზების პერსონაჟები ძილშიაც თავიანთ სატრფოებს ხედავდნენ, თვითონ პოეტმა ორჯერ განიცადა ღრმა ინედ-გაცრუება სიყვარულში: 1835 წელს გრ. ორბელიანის დანიშნული სოფიო ორბელიანი სხვას გაპყვა, ხოლო 1851 წელს მან სამუდამოდ გამოიტირა მეორე უნუგეშო სიყვარული ნინო ჭავჭავაძისადმი.

1835 წელს რიგაშია დაწერილი ლექსი „სო...ორ...“ რომელშიაც, როგორც ჩანს, ამოდ სთხოვდა პოეტი თავის სათაყვანებელს:

შენთა სიტურფეთ  
როს გუნდნი მოტრფეთ,

ვით ფარვანანი გარე დაჰფრინენ,  
 და შექცევაში,  
 სიამის ზღვაში  
 გონება გართულს როს მიგიზიდვენ,  
 მე — განშორებულს,  
 სვეგამწარებულს,  
 მაშინ გონებით თუ დამივიწყებ  
 არ შევიწინებ,  
 ოლონდ კი შენს გულს  
 ზოგჯერ ვახსოვდე ჩემდამო ერთგულს.

1835 წლის შემდეგ სოფიო ორბელიანის სახელი ქრება მის სატრფიალო ლირიკაში, მაგრამ გრ. ორბელიანს შემდეგაც ჰქონია გატაცებები. 1840 წელს იგი წერს ლექსს „ა ლ ბ ო მ შ ი ღ რ ა ფ ი ნ ი ა ო პ ე რ მ ა ნ ი ს ა ს“, რომელიც მიძღვნილია გორში მდგომ გრენადერთა პოლკის უფროსის მეუღლისადმი. ლექსში გამოხატულია მანდილოსნის ფიზიკური და სულიერი ღირსებებით აღტაცება, ვიდრე სიყვარულის უშუალო და ღრმა გრძნობა. ეს ლექსი პოეტური ტირადაა სიყვარულზე, და სრულიად კონკრეტულ სურვილებთან ერთად სიყვარულის ზოგად დახასიათებასაც შეიცავს. პოეტი შენატრის იმათ, ვისაც „ბ ე დ ი მ ი ს ც ე მ ს“ საშუალებას, „სულამოხდომით დაეკონოს“ მის „ღაწვებზე გაშლილ ვარდს“ ან ხელი შეახოს „კვიპაროზ წელს“. პოეტი შესთხოვს ქალს — ნუ გამოიჩენს „უგრძნობლობასა და აულქვაობას“, რადგან

უსიხარულოდ,  
 უსიყვარულოდ  
 რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა?  
 მაშ რამ გვახაროს,  
 რამ გვანუგეშოს,  
 ან კმუნეის ცრემლი ვინა მოგვხოცოს,  
 თუ სიყვარული,  
 ზეგარდმო მადლი  
 ღვთისა კურთხევად არ მოგვევლინოს?

მიუხედავად ამისა გრ. ორბელიანის დამოკიდებულება ოპერმანის ქალისადმი, როგორც ჩანს, არ გასცილებია მსუბუქი გატაცებისა თუ მოწონების ფარგლებს და სერიოზულ გრძნობად იგი არ ქცეულა... ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ერთი დეტალი: ლექსში ოპერმანის ქალისადმი გრ. ორბელიანი 1840 წელს იმეორებს იმავე სურვილს, რასაც გამოთქვამდა სოფიო ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსში 1835 წ.

მოგვყავს პარალელური ადგილები:

ვარდი ხარ? — არა!

ზამბახი? — არა!

მაგრამ შენ ლაწვეზელი

ალყვავებული

არაან ორნივე შეზავებულნი.

ნეტარ მას ბუღბულს, ვინც შენს ვარდს, ზამბახს

ზედ დამღერს მარად, ვით ეშვის ბანაკს.

ვინც დასუნოსა,

თმა ლადანასა

დაუღვენელად ბროლ მკერდზე გაშლილს;

ანუ შეეხოოს

შენს წელს კვიპაროზს...

(„სო...ორ“ 1935),

ეგ ჩემი მკვლელი

ზიღუბი მკვლელი

ვინ დაადგინა ვარდ-ლაწვეთა

მკვლად?

და ზედ დაკვდომით

სულამოხლომით

ვარდთ დაგეგონოს

ლაწვეთზედ გაშლილთა?

ან ვინ შეეგხოოს

შენ წელ-კვიპაროზს

ხან ნიავებრ მსვლელს, ხან

ხელმწიფურად?

(„ალბომში ღრაფინია

ოპერმანისას“ 1840).

ესაა ემოციისა და შთაბეჭდილების გადატანა ახალ ობიექტზე, დიდი ხნით ადრე გამომუშავებული პოეტური სახეებისა და ასოციაციებისათვის შესაფერი დასაყრდენის პოვნა. მაგრამ პოეტის ღრმა გრძნობები ამ ახალ ობიექტს მაინც არ მიემართება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გრ. ორბელიანი თავის ნამდვილ სასიყვარულო გრძნობებს ნინო კავკავაძისადმი ამ პერიოდში იცამოთქვამს. სოფიო ორბელიანთან სულიერი გამოთხოვების შემდეგ მას კიდევ აქვს იმედი მეორე და, ჩანს, გაცილებით უფრო ძლიერი სიყვარულის აღორძინებისა, აღსანიშნავია, რომ ლექსი სოფიო ორბელიანისადმი დაწერილია რიგაში 1835 წლის ნოემბერს, ხოლო ამავე წლის 13 დეკემბერს პოეტი წერს ლექსს „ნ...“, რომელიც ნინო გრიბოედოვს ეძღვნება. გრ. ორბელიანი მიმართავს მას:

ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფასად მიღირს კვალად სიცოცხლე,

ვინც დღენი დამწარებულნი წყნარის ღიმილით მინათლენ!

ვიღრემდის ტანჯვით ვითმენდე, შენგან სიშორის სიმწარეს?

და ვიღრე ცრემლით შორითგან ეუმზერდე სასურველს მხარეს?

ან გული რად ვერ გივიწყებებს ჩემის სიცოცხლის

შვენებას?

რომ უგრძნობლობით ქვა ქმნილი ვერ სცნობდეს თვისა ობლობას?

თვით სიშორეცა შემექმნა ეშუის — ცეცხლზედ

ცეცხლდამმართი,

მიკვირს ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს გული ერთი?

გპსცან ტანჯვით არა გამჭრალა გულს შინატრფობა

ნამდვილი,

თვარა აქამდის სიმწარის შემაშრებოდა მემცრემლი.

ნინოს უნდა გულისხმობდეს გრ. ორბელიანი თავის შესანიშნავ ლექსშიაც „ს ა ლ ა მ ო გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ი ა“<sup>1</sup>, რომელიც დაწერილია 1841 წლის მაისში, ვლადიკავკაზში. ამ ლირიკულ პიესაში შეუძლებელია ნაგულსხმევი იყოს სოფიო ორბელიანი, რადგან დიდი ხნით გათხოვილ ქალს იგი სატრფოს ვერ უწოდებდა, ხოლო პოეტის ღრმა ემოციური თრთოლვა, ამ ლექსში გადმოცემული, ოპერმანის მეუღლეს ჰრულიად არ შეეფერება (გარდა ამისა, გრ. ორბელიანი 1840 წელს დაწერილ ლექსში ამ უკანასკნელს კავკასიისაგან შორს მყოფად გულისხმობს: „და შ ო რ ს კ ა ვ კ ა ზ ს ა, და მ ე ე ც მ უ ნ მ ყ ო ფ ს ა ნ უ მოგვიგონებ გულისიგრილითაო“ მიმართავს პოეტი მას). „სალამო გამოსალმებისა“ კი აგვიწერს გრ. ორბელიანის გამოთხოვებას საყუარელ არსებთან, რომლის წინაშე იგი ღრმა გრძნობებით არის ანთებული:

მიღიხარ, სატრფოვ? შვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა,  
არღა აამონ აჲ თვალთა გული შენისა ხილვითა,  
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.  
ეტლი პრბის, სატრფო მშორდების... თანა მსდევს ჩემი მას სული,  
ემზერ... შორს ძლივსლა მსჩანს... აღარ მსჩანს... რაღასა ეუმზერ შმაგ  
ქმნილი?<sup>1</sup>

სიშორის ნისლმა მიჭფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,  
და გულით ოხრვა სიმწარის აღმოუტევე უნებლი...  
შვიდობით! ეინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,  
აჲ ვისთვის გული მიკვნესის, სული მსწუხს განშორებითა,

აჲ დაეპშითი მარტოდ... შვიდობით! შენს გულს ნუ მშორდეს შვიდობა!

ასეთი გულდაკოდრის გრძნობითა და ყოვლისმიმტევებელი ტონით გრ. ორბელიანი მარტო ნინო გრიბოედოვზე წერდა. როგორც ამ ლექსში, ისე სხვა, „ნ...ს“ ინიციალებით ცნობილ მის ლექსებში, პოეტის ვნება გასხივოსნებულია სულიერი სიფაქიზითა და მარტობაშიც სატრფოსადმი მუდმივი ერთგულების შეგნებით. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ პოეტს მხოლოდ ნინოსადმი ჰქონდა ერთადერთი და ღრმა სიყვარული. დამახასიათებელია, რომ 1835 წლის მარტში (როცა მისი დანიშნული სოფიო ორბელიანი ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი) ზაქარია ორბელიანი სწერდა თავის ძმას ნინოს გამო: „ბიჭო! არა გრცხვენთან? რათ მატყუებდი. შენ ჩემზე მეტად გყუარებიაო“ (იხ. „წერილები“. I, 227). მაშასადამე, გრ. ორბელიანის ღრმა სიყვარული ნინოსადმი მისი ახლო ნათესავებისათვის კარგად იყო ცნობილი. მაგრამ ნინომ ასევე ღრმა გრძნობით არ უპასუხა მასზე გამიჯნურებულ პოეტს. 1835 წლის შემდეგ სამმა წელმა (1838

<sup>1</sup> შდრ. გამოთქმას ლექსში „ნინოსადმი“ (1830): „მაშინ მე, შ მ ა გ ი...“ და სხვ.

წლამდე) გრ. ორბელიანისათვის მართლაც სამშობლოს გარეთ „შრო-  
მასა და ზრუნვაში“ განვლო. სამშობლოში დაბრუნებულს კი, როგორც  
ჩანს, ამაოდ უტღვია თავისი პირველი და ძლიერი სიყვარულის განახლე-  
ბა (1840 წელსაა დაწერილი ოთხტაეპიანი ლექსი „ვინცა გნახოს“ (ჩვე-  
ნი დაკვირვებით ისიც ნინოსადმია მიძღვნილი, ხოლო „სალამო გა-  
მოსალმებისა“ — 1841 წელს). 1843 წლიდან იწყება გრ. ორბელიანის  
მრავალწლიანი სამხედრო მოღვაწეობა დაღისტანში. 1843 წლიდან  
1860 წლამდე, ე. ი. მთელი 17 წლის მანძილზე, გრ. ორბელიანმა და-  
წერა მხოლოდ ორი ორიგინალური ლექსი „პ ე ი გ ო ნ ე ბ ა ვ“ (1843)  
და „ მ ო გ ო ნ ე ბ ა“, რომელიც ატარებს თარიღს და დაწერის ადგილს  
„წ ი ნ ა ნ დ ა ლ ი, 1851“<sup>1</sup>. იგი მიძღვნილია ნინოსადმი. ეს მშვენიერი  
ლირიკული ნაწარმოები ბევრის მთქმელია: „ზეგარდმო მადლი“, ნი-  
ნოსადმი სიყვარული, პოეტს თავის სულის სიღრმეში ჰქონია ჩატანი-  
ლი და სათუთად უტარებია იგი კავკასიური ომის მრისხანე წლებში.  
მაგრამ ხანდაზმული პოეტის ეს გრძნობა მაინც წარსულის მოგონე-  
ბის სამოსელშია შეხურვილი. ამიტომაც იგი სწორედ მ ო გ ო ნ ე ბ ი ს  
სახით გადმოიღვარა უკანასკნელად 1851 წელს. წინანდალში ჩასული  
პოეტი იხსენებს თავის „გულ-მხიარულ ჭაბუკობას“ და მიმართავს  
ნინოს:

აჰა, ადგილი, აჰა ის არე,  
სად ხელმწიფობდი მშვენიერებით,  
კალაქი იგი, იგივე მდინარე  
და გაზაფხული მის ფეროვნებით!

გახარებული შენის მშვენებით  
ნიავეც ფრთეთა ამოდ გაშლიდა;  
ხან შენსა კაეებს ნაზად შეხებით  
ხან შენსა ლეჩაქს ეთამაშოდა.  
საცა შენ იყავ, მუნცა მე ვრბოდი,  
გულმხიარული სულ აღტაცებით,  
ვითა წყალობას ცისას ველოდი  
შენ ერთს მოხედვას ლობოიერებით!  
სულ განაბული, ვით ანგელოზსა  
გიშერდი კრძალვით, გულ ძვერით, სურვიით;  
გისმენდი ტკბილად ხმა სირინოზსა,  
ტრფილი შენდა სულის შეწირვით!  
აჲ მასვე ადგილს ვჰზი მარტო კმუნვით,  
და დრო წარსული თვალწინ მეხატვის,  
რომ გულს მინათლი მშვენების სხივით,

<sup>1</sup> ჭერ კიდეც 1835 წელს პოლონეთში მყოფ პოეტს სწერდა ნინო ჰაეჰვაძე: „Когда бог приведет Вас опять в Цинданали, каждое местечко и уголок здесь напоминает Вас. როცა მე და კატინა ვთამაშობთ ბილიერს მაშინვე ფუცკ მოგვაგონდება“.

მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის  
 დრონი წარვიდნენ... თანა წარიღეს  
 გულია გრძნობა, ძალი ტრფობისა;  
 მარამა მე კი მარად მახსოვდეს  
 იგივე დრონი ნეტარებისა.  
 აწ არც კი მიცნობ, — გულით იცვალე ...  
 ამ მოვალეობა მარ შეგაწუხოს;  
 შენ განსვენებით მხოლოდ იცოცხლე  
 დამე, თუ გინა, საფლავმა მფაროს.  
 („მოგონება“, 1851)

ასე გამოიტირა პოეტმა თავისი სიყვარული ნინოსადმი. გრ. ორბელიანს ამის შემდეგ სიყვარულზე აღარ უმღერია.

ზემოთ მოყვანილი ლექსით იხურება გრ. ორბელიანის შემოქმედების მეორე პერიოდი. მთელი ცხრა წლის განმავლობაში (1869 წლამდე) პოეტს მხატვრული არაფერი დაუწერია. 1858 წლიდან იწყება მისი ცხოვრების მეცამეე პერიოდი (1858—1883). ესაა გრ. ორბელიანის სამოქალაქო მოღვაწეობისა და ხელახალი პოეტური გამოღვიძების ხანა.

1859 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებული გრ. ორბელიანი ორი თვით ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას. 1862 წელს მას მისცეს ინფანტერიის გენერლის ჩინი. 1860—1862 წლებში ნეორედ ასრულებდა მეფის ნაცვლის მოვალეობას, ხოლო 1864 წელს მესამედ ეკავა ეს თანამდებობა. რამდენიმე წელს იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორად. ამ დროს (1865 წ.) მოხდა გადასახადებისაგან შევიწროებული თბილისელი ამქრების აჯანყება („ბუნტი“), რომელიც პოეტმა-მთავარმართებელმა მკაცრად ჩააქრო.

1866 წლის შემდეგ გრ. ორბელიანს აღარ უმსახურნია.

1871 წლის 7 ივნისს გრ. ორბელიანს გადაუხადეს სამხედრო-ადმინისტრაციული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი. მის პატივსაცემად გამართულ სადილზე გრ. ორბელიანმა განაცხადა: „გამოიღო რამ სარგებლობა ჩემმა სამსახურმა-მეტქი თუ არა? არ ვიცი, ვიცო მხოლოდ ის, რომ დიდებულ ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი“. ამავე წელს თბილისში ჩამოსულმა იმპერატორმა ალექსანდრე II პირადად მიულოცა გრ. ორბელიანს საიუბილეო თარიღი და გადასცა ანდრია პირველწოდებულის ორდენი — უმაღლესი ჯილდო იმპერიაში. პროგრესულ ქართულ ინტელიგენციას და მის პრესას ამ იუბილეში მონაწილეობა არ მიუღია.

70-იან წლებში გრ. ორბელიანი ჩაება ე. წ. „მამათა და შვილთა“



ზრძოლაში. მწერლობის საკითხებში თეორიულად იგი იცავს არქაისტულ პოეტიკას, რამაც 70—80-იანი წლების მის ბარათების ენაზედაც კი იქონია გავლენა — ავტორი ართულებს სინტაქსსა და ორთოგრაფიას (30-და 50-იანი წლების ბარათები გაცილებით უფრო მარტივი ენითაა ნაწერი). ამ პერიოდის წერილებში მკითხველის წინაშე წარმოსდგება მოგონებებში წასული ვეტერანი კავკასიური ომისა, აწმყოთი შეშფოთებული არისტოკრატი, გულგასენილი და მხიარული ერთსა და იმავე დროს. გრ. ორბელიანი ზამთრობით ძველს მამაპაპეულ სახლში ცხოვრობს თბილისში, ზაფხულობით ტაბახმელაში, კოლაში ან ბორჯომშია. თანამედროვეებზე ძალზე შთამბავთებლად მოქმედებდა უმაღლესი ორდენებით შემკული მისი მკერდი, თითქმის ლეგენდარული თავგადასავალი ხანგრძლივ ომებში გამობრძმედილი მეომრისა, ქალაქის დემოკრატიულ ფენებთან პოეტის დარდმანდული ნალიშობანი. ამავე დროს მას გულს უკლავდა ძველი მეგობრების სიწორე ან სიკვდილი. ამათგან „ზოგნი სამუდამოდ ძილს მისცემიან დალისტნის ვიწროებში“, ზოგნი ღრმა მოხუცებულობაში სწერენ მას ბარათებს რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან; კავკასია, ეს „ვეებერთელა ურჩხული“, გაუნძრევლად წევს და ყოფილ გენერალს უკვირს — „ძინავს თუ მართლა მომკვდარა“; დალისტნის ხეობებში ბილიკების ნაცვლად ახლა ფართო გზები გაუყვანიათ, „გუნებს ეტლები მიჰქრიან“, შამალი კალუგაშია; ყველაფერი ეს ზმანება უფრო იყო ძველი ოფიცრისათვის, ვიდრე სინამდვილე. მოგონებანი, რომელნიც გრ. ორბელიანს კავკასიურ ომიდან გამოჰყვა, მხოლოდ მისთვის გასაგებ ურუანტელს ჰკვირიდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში...

გრ. ორბელიანმა თავისი ცხოვრების ამ მესამე, უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო ყაფლანიანთა გვარის აგონია. 70-იანი და 80-იანი წლების ბარათები პოეტისა აღსაქვსა გოდებით ქართული არისტოკრატიის დაკარგულ დიდებაზე, მის ეკონომიურ და ფიზიკურ გადაგვარებაზე, თბილისის იერის შეცვლაზე. ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება მეორე მწერალი, რომელსაც ასე მძაფრად ეგრძნოს თავისი წოდების კატასტროფის მოახლოება და მასავით შეძრწუნებულს მოეთხროს ამ კატასტროფით გამოწვეული შიშის შესახებ. ტაბახმელის გამჰვირვალე ჰაერი მხოლოდ ნაწილობრივ თუ აშშვიდებდა პოეტს: „გუშინ და დღეს გამოიღარა, გამოობრწყინდა მზე, გათბა, ჰაერი შეიქმნა მშვენიერი, გრილი, რბილი, ნებიერი, გამაცოცხლებელი, და მეცა დავებეტები მარტო მინდორში და ფიქრები ჰრბიან ისევ წასულთ წელიწადებისაკენ. როცა გვიხაროდა სიცოცხლე და მოველოდით მუხთალ სოფლისაგან ვინ იცის რე-

ებსა<sup>1</sup>, გრ. ორბელიანის ბარათების მთავარ ლეიტმოტივად ამიერაზიურიდან იქცევა მოთქმა ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიურ სიდუხჭკობაზე, ქართული ენის დევნასა და დაკნინებაზე, ბიუროკრატიისა და ვაჭართა კლასის აღვირახსნილობაზე. „რა ვქენა, როგორ არ შევკსიწუხებდე, ვუყურებ რა საქართველოს გამწარებით მდგომარეობასა? თავადაზნაურობა გლუხებითურთ დავრდომილნი უიმედოთ, უნუგეშოდ, სიგლახაკითა; ქართული ენა დევნილი არქიერისაგან და მის თანამეჭაზრე ნევეროვისაგან: ერთმან აღხოცა ეს ენა ღიმნაზიაში, ახლა მეორეცა ჰსცდილობს ყოვლის ღონისძიებითა მოჰხსნას სემინარიამიაცა; მოხელენი, ხელაღებულნი ხალხის მოვლისაგან“<sup>2</sup>. თავად აზნაურთა მამულების გაყიდვა პოეტის ღრმა გულსტკივილს იწვევდა: „სულ უფასოდ წაგვივა მამულები და დარჩება გაწყალებული ულუსჷრა პუროდ, უნუგეშოდ საბრალო ჩვენი თავადაზნაურობა, რომელიც იყო აქამომდე ამ ქვეყნისა პატრონი, მფარველი, მებრძოლე შემნახველი ათასწელიწადების განმავლობაშიო“<sup>3</sup>, — სწერდა ის. ამასვე უჩივის პოეტი ბარათში ეკატერინე დადიანისადმი 1879 წელს<sup>4</sup>. ზოგჯერ პოეტის ეს ჩივილი ნამდვილს გოდებაში გადადის:

„ეხლა მოვიდეთ საზოგადოდ საქართველოსთან და განსაკუთრებით ჩვენს გვართან — არც ერთს საუკუნეში, როდესაც ჩინოსები და ლანგთემურები, არაბები და ოსმალ-სპარსები შემოდრიოდნენ და აზრებდნენ ჩვენს მხარესა, მგონია, ჩვენი საბრალო საქართველო არ იქნებოდა ისეთს განწირულს მდგომარეობაში, როგორც ვართ ერთობ ჩვენ ამ დროს და მეტადრე ჩვენი გვარი! უწინ მტრისაგან დამწვარასახლსა ავაშენებდით ნელ-ნელა, რადგანაც მიწა გვრჩებოდა გაოხრებისაგან და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა აშენებულს სახლიდამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვიცით საით მივეფარნეთ, რადგანაც ფეხქვეშაიდამ გვეცლება მიწა, და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის; ჩვენი საყაფლანიშვილო მამული ერთიანად იყიდება; გაჩქარებულინი მოგვდევენ სოლადანნი, ჭავჭავაძიანნი, ადრონიკიანნი, ვაჩნაძიანნი, ციციანნი, თარხნიანნი, ერისთავიანნი და სხვანი. — ... იყიდება მამუკას შვილის კოტეს მამული, იყიდება დავით ჭავჭავაძის სახლკარი, ნათარეული, წინანდალი, მუკუზანი, და ერთის სიტყვით, იყიდება თითქმის მთლად საქართველო... ახლა ვის, ვის შევკბლავლოთ, ვის შევავაგონოთ ესრეთი სამწუხარო მდგომარეობა საქართველოს არა თუ თავადაზნაურობისა, თვით გლუხობაც ამავე ტაფაში იწვიან...“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ბარათი ისაკ თუმანიშვილისადმი, 1878 წ. (საქ. არქ. № 175).

<sup>2</sup> ბარათი სოფიო ნიკოლაისადმი, 1873 წ., 16 სექტ. („წერილები“, ტ. III).

<sup>3</sup> ბარათი სოფიო ნიკოლაისადმი 1874 წ. (იხ. „წერილები“, ტ. III).

<sup>4</sup> „დროება“, 1885, № 190.

<sup>5</sup> წერილი ივანე (ორბელიანისადმი?) 1878 წ. („წერილები“, ტ. III).

მრავლის მეტყველია მისი ბარათი მიხ. ლორის-მელიქოვისადმი 1881 წლის 16 ივნისის თარიღით: „...ჩემად, კვნესით და ოხვრით, კვდება და ჰქრება ის სახელოვანი თავადაზნაურება, რომელიცა ათასის წლის განმავლობაში მამაცობით ებრძოდა მთელს აზიასა ქრისტეს სარწმუნოებისა და მამულის დასაცველად. საქართველო მრავალჯერ გაოხრებულა მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან, ლანგ-თემურ-შაჰ-აბაზისაგან, მაგრამ დამემორჩილა მხოლოდ რუს ჯელმწიფესა იმიმედით, რომ მის მფარველობის ქვეშე ეღირსება მშვიდობიანად და კეთილდღეობით ცხოვრებასა! ახლა რასა ვჰხედავთ? ასე დაცემული სულითა არა ყოფილა არა ოდეს. გაუძლებელი სიგლახაკე და უიმედობა გვიბნელებს გონებასა, შეგვიპყრა სასოწარკვეთილებამ, მოველით რა დღედღე, რომ გამოგვრეკენ სახლიდამ, მამულიდამ; გულზე გვაწვეს სიმძიმე ვაებისა, მწუხარებისა და ესრეთი უნუგეშო მდგომარეობა რამდენისამე ათასის სულისა, მგონია არ იყოს კარგი თვით ხელმწიფისათვისაცა“, გრ. ორბელიანი პირდაპირ ევედრება მეფის წარჩინებულ მოხელეს: „მოგვეშველეთ, შეგვეწიეთ, მოიხმარეთ რაც ძალი და ღონე გაქვს. გამოიხსენით ესენი პრიკაზის ტყვეობისაგან, თქვენის სახელის სადიდებლად, რომ მთელი საქართველო საუკუნოდ იყოს მლოცველი და მაკურთხებელი თქვენი და საქართველო გამოიხსნას ისევ საქართველოს შვილმაო“. ბარათის ავტორი არ ერიდება იმპერატორის ერთგული მოხელე დაარწმუნოს, რომ საქართველო გადაშენების გზაზეა შემდგარი სწორედ მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ამასვე სწერდა იგი სხვა ნაცნობ-მეგობრებსაც.

ყველგან სიკვდილის მსახვრალ ხელს ხედავს პოეტი, აწუხებს ხავს-მოდებული ტაძრებისა და საგვარეულო აკლდამების ბედიც: „ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლაო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხადო“ — გულმოკლული აღნიშნავდა იგი ქართული ზურთომოდვრების შესანიშნავი ძეგლის ხილვის დროს, სადაც, სხვათაშორის, თავისი შორეული წინაპრის, დიდი ყაფლან ორბელიშვილის სავანე ეგულეობდა.

როგორც ყოველთვის, მძიმე სულიერი მღელვარებისა და უიმედობის წლებში, გრ. ორბელიანი არც ახლა ღალატობდა თავისი ხასიათის მეორე თვისებას — ცხოვრებისადმი ხალისიან დამოკიდებულებას, ინტერესს ღზინისა და გართობისადმი; ბევრი მისი კერძო ბარათი აღბეჭდილია ჰუმორით, მოქარბებული გონებათმხვილობითაც. სრულიად ორიგინალურ ელფერს მატებს ყოველ მის ნათქვამს, ქცევასა

თუ ნაწერს ასეთი შეხამება იერემიას გოდებისა სანგვინურ სიხალი-სესთან; ბრწყინვალე სპმხედრო წარსულის მოგონებით გართული პოეტი პრეფერანსს თამაშობს მოხუცი გენერლებისა და მეგობრების სინედრიონში, მათთან ერთად ქეიფობს ორთაჭალისაყენ დაძრულ ტივზე, ხოლო სენტიმენტალურ გულჩვილობას ამჟღავნებს რომელიმე ხანგადასულ კნეინას გარდაცვალების გამო ან კიდევ დრამატული პათოსით გამსჭვალულ ეპისტოლეებს წერს საკუთარი გვარის ისტორიულ ბედზე ღრმად ჩაფიქრებული. მკვრივი აგებულების მამაკაცი, შინაურობაში კურკას სახელით ცნობილი, თავისი გაცრეცილი ბაკენბარდებითა და ფართო შუბლით, გრ. ორბელიანი საერთო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა, — „იარალის“ ავტორი უაღრესად კოლორიტული ფიგურაა ეპოქის ფონზე.

მაგრამ ბევრი კრამ გრ. ორბელიანის ბიოგრაფიიდან ამჟამად ანაქრონიზმად ისმის ისევე, როგორც მისი ეპოქის ბევრი სხვა მოვლენაც. სამაგიეროდ უაღრესად საგულისხმოა პოეტის აქტიური მონაწილეობა ქართული ლიტერატურისა და კულტურის სარბიელზე. 80-იან წლებში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი, რომელსაც გრ. ორბელიანი არ გამოხმაურებოდა. მას აინტერესებდა საქართველოში პოლიტექნიკური სკოლის დაარსების საკითხი (1875), მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, გულისყურით აღევნებდა ლიტერატურაში ახალი ნაწარმოებების გამოჩენას და ცნობილია, მაგალითად, თუ როგორი ალტაცებით კითხულობდა ყაზბეგის მოთხრობებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი „კეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. 1880—1881 წწ. გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელიც, რუსთაველის პოემის ხელნაწერებს აჯერებდა ერთმანეთთან. ამ კომისიაში შედიოდნენ იმდროინდელი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, ი. მეუნარგია და სხვ. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანის მოადგილედ ამ კომისიაში იყო „შვილთა“ ბანაკის მეთაური ილია ჭავჭავაძე, ამრიგად 80-იან წლებში გრ. ორბელიანი ახალთაობასთან ერთად მოღვაწეობს ქართული მწერლობის ასპარეზზე.

გრ. ორბელიანმა ღრმა მოხუცებულობას მიაღწია. ხშირად უჩიოდა იგი თავის მარტობაზე: „კარგია, ვისაც ჰყავს ცოლი, ვისაც ჰყავს ქვეყანაზე ვინმე გულშემატკივარი და ჩემსავით არა გდია ოთხს კედელს შუაო“ — წერდა პოეტი ერთს თავის ნაცნობს<sup>1</sup>.

გრ. ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს და იშვიათი

<sup>1</sup> შერილი ტასო ოგლობეიოსადმი, 1878 წ. 10 ივნ. თარიღით („შერილები“, ტ. III).

პატივით იქნა დაკრძალული ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავების დღეს პოეტის ცხედართან, სხვებთან ერთად, სიტყვებზე წარმოთქვეს ილია ქავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ილიამ თავის სიტყვაში სხვათა შორის თქვა: „... იგი იყო მპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალი ნიჭით ცხებული“.

• •

1869 წელს გრ. ორბელიანი ინტენსიურად მუშაობდა „სადღეგრძელოზე“. ამ წლის 5 იანვრის თარიღით იგი სწერდა ალექსანდრე ორბელიანს: „ჩემო ბატონო, ბიძიავ ალექსანდრე! მომირთმევია ჩემი ტოლუბაში, პირველი თავი, გთხოვ კარგად გადაავლო თვალი, დარაც არ მოგეწონოსთ, წაშალე და გამომიგზავნე, რომ მეორეს თავს ხელი ნივჭყო“<sup>1</sup> ერთი თავის შემდეგ პოეტი ისევ ატყობინებს თავის კონსულტანტს: „მომირთმევია უწინდელი ტოლუბაში ახლა სახელ გამოცვლილი: წაიკითხეთ და ისევ მალე მიბოძეთ თქვენის სხვადასხვა ზედმიწვრიათა“ (ბარათი 1869 წ. 25 თებერვ. თარიღით)<sup>2</sup>. შემოდგომაზე პოეტს თითქმის დამთავრებული ჰქონია ძირითადი რედაქცია პოემისა. 18 ოქტომბერს იგი ატყობინებდა ალექსანდრე ორბელიანს: „ჩემო ბატონო ბიძიავ ალექსანდრე! პავლემ ჰსთქვა „რაცა დავსწერე, დავსწერე“. მეცა მოგახსენებ, რაცა შემეძლო, ის შევიძელ.— კარგაა და გავათავოთ! ნულარ შემიყვან განსაცდელში სხვადასხვა მოთხრობებით საქართველოზე. ჩვენი ისტორია სავსეა დიდსაქმეებით, დიდ-მამაცობით და მამულსათვის თავდადებით სიყვარულითა. ყოველთა ამათვის დიდი მწერლობა უნდა და მას მწერალსაცა „საწერელი ზღვა უნდა“ და მე კოდანუ პატარა წყაროს მეტი არა მაქვს.— მომირთმევია შენი რვეული. რომელსაცა ჩაუმატე შენგან ნათქვამი სახელები, და სხოლიოებში შენ თვითონ განმარტე, ვინცა არიან იგინი.— შენი ერთგული გ რ ი გ ო ლ ი. 18-ს ოკდომ: 1869“.

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის გარკვეული წვლილი „სადღეგრძელოს“ საბოლოო ვარიანტის დამუშავების პროცესში — თავისთავად ბევრის მეტყველი ფაქტია. ამის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ალექსანდრე ორბელიანისადმი მიძღვნიან, რომელიც თავდაპირველად პოემას წინ უძღოდა (პოეტმა იგი მხოლოდ 1879 წლის გამოცემას დაურთო პოემის ბოლოში).

<sup>1</sup> წერილი ტასო ოგლობიოსადმი, 1878 წ. 10 ივნ. თარიღით („წერილები“, ტ. III)

<sup>2</sup> იქვე.

1870 წელს გრ. ორბელიანი კიდევ მუშაობდა თავის პოემაზე. ნაწარმოები გამოქვეყნდა 1871 წელს ჟურნ. „კრებულის“ № 1-ში, პოემის სათაური საბოლოოდ ასე გაფორმდა:

ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

ანუ

ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს.

მკითხველი საზოგადოება და იმდროინდელი სალიტერატურო პრესა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს აღფრთოვანებით შეხვდა.

„ტოლუბაშის“ I და II ვარიანტებთან შედარებით „სადლეგრძელოს“ საბოლოო რედაქცია ზასიათდება პატრიოტული მოტივის გაცრცობით, ისტორიული გმირების რიცხვის გაზრდითა და მათი იდეალიზაციით. სწორედ ეს მომენტი განაჩხვავებს ძირითადად გრ. ორბელიანის ნაწარმოებს ჟუკოვსკის „მომღერლისაგან“.

„სადლეგრძელო“ არაა სიუჟეტური ნაწარმოები. იგი წარმოადგენს ლხინის მეთაურისა და მხედრების მიერ წარმოთქმულ სადლეგრძელოებს, რომელთაგან თვითეული გარკვეული თემის ან ამა თუ იმ ისტორიული გმირისადმია მიძღვნილი. პოემა იწყება ომის შემდეგ, ბინდისას „ცეცხლებით განათებული“ და დადუმებული არის აღწერით, სადაც ქართველთა ჯარის ბანაკია დაცემული. „მთოვარის ნელი შუქით მოფენილ“ გარემოში „მორიგი საესე ფიალით“ ჯარი ეთხოვება „ომში დაცემულთ“. შემდეგ სადლეგრძელოს ლხინის მოთავე იღებს იმ „წინაპართ მოსახსენებლად, რომელთა დაჰსდევს სიცოცხლე მამულის ასამალეზლად“, და რომელთა „დიდების მოედანი“, „მათი სახელი, მათი ხმალი და საქმენი სახელოვანი“ კიდევ ცოცხლობენ, თუმცა „მათი საფლავნი დროს შეუმუსრავს და აღუგვია“, თამადა როუწოდებს ქართველთ „პატივით მიმართონ თვალნი წარსულთა ძველთა საუკუნეთა“, რადგან „მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი || გმირთა, მამულის განმადიდეთა“.

„სადლეგრძელოს“ საბოლოო რედაქცია აქამდე იმეორებს „ტოლუბაშის“ პირველ ვარიანტს. შემდეგ იწყება თვითონ ამ „მამულის განჰადიდე გმირთა“ ქება. პირველად დასახელებულია მეფე ფარნაოზი (და არა მხოლოდ ვახტანგ გორგასალი. როგორც I ვარიანტში). პოეტი აღნიშნავს მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე („შენ ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა || შენ მოეც ქართველს წიგნი პირველიო“). ამას მოსდევს „ქრისტეს ნათელით განათლებული მეფე მირიან“, რომელიც „ბრწყინავს გვირგვინით“ და „ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით“, შემდეგ მკითხველის წინაშე წარმოსდგება სახე „მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული“ ვახტანგ გორგასალისა, რომლის შეხედვით სპარსელნი თრთო-

დენ“. შესანიშნავ ტაეპებს უძღვნის პოეტი დავით აღმაშენებელს, რომელიც „გაოხრებულ ივერს“ „ზეცის წყალობად მოვლენია“, ახასიათებს მის დიდ სახელმწიფოებრივ ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე. უწოდებს „უძლეველ მხედართ მთავარს“, რომელმაც ალაღვინა და „ფენიქსებრ განაახლა“ ივერი, თანაც „შირვან-დერბენდამდე ხმლით შემოხაზა“ მისი საზღვარი. დავით აღმაშენებლის ხოტბას მოსდევს თამარის გარეგნობის პლასტიკური აღწერა:

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი  
თვალნი სიამის გამომაყენნი,  
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,  
თითნი ნარნარად ბროლის ნათლნი,  
ვითარცა ლმერთა შვენიერების,  
ქველ მოქმედების, სახიერების,  
ვით მტრელი მადლის შვიდი და წყნარი,  
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი.

თამარც „გვირგვინი უპყრავს დიდებას და სათნოებას“, „მუზნერ განადიღებენ მისსა წეფობას“, ზოლო

მის დროშას მოჰსდევს დიდი ორბელი,  
შოთა უკვდავი, ბრძენი ქყონდილი,  
მხედართ-მთავარი დიდი მხარგრძელი  
და გამრეკელი, ლომებრ გულადი.

თამარისადმი მიმართულ სადღეგრძელოში გადმოცემულია ერთი სცენა დიდუბეში ლაშქრის თავმოყრისა საქართველოს ყველა კუთხისა და ტომის წარმომადგენელთა დახასიათებით. აქ არიან: კახი ფარშუბით, თუში ხმლით, აბჯრით დამშვენებული ფშავ-ხევსურნი, მკლავით ძლიერი ქართლელი, ფეხმარდი ოსი, ბრძოლაში შეუპოვარი მთიულლი, სწავლით ქებული მესხი, ზრდილი იმერი, მშვილდოსანი აფხაზი და მკვირცხლი გურული და მეგრელი. თამარი მათ ლოცავს ჯვარით და ამხნევებს ლაშქარს. ქართველნი იღებენ კარნუს (არზრუმს) და სინოპს, გასცდებიან არეზს, თავრიზს, ყაფლანქუს და „ღვთის რისხვას დასცემენ ყაზმინს“,... დავითისა და თამარისადმი მიმართული ქება მოწმობს გრ. ორბელიანის დიდ სიყვარულს ძველი საქართველოს გმირული წარსულისადმი, ქართლის ცხოვრების საუკეთესო ფურცლებისადმი.

თამარის ხოტბის შემდეგ პოეტი ასახელებს ქეთევან დედოფალს, რომელიც სპარსელებმა აწამეს თავრიზში 1624 წელს შაჰ-აბასის ბრძანებით. თეიმურაზ I-ის ცნობილ „ქეთევან დედოფლის წამებასთან“ ერთად გრ. ორბელიანის პოემის ეს ადგილი მოკლე, მაგრამ საუკეთესო აღწერაა საქართველოს გამოჩენილი დედოფლის „ტიანჯვისა მამულისათვის“. ამასთან ერთად „ნათელგვირგვინად მოსჩანან კახეთის

მხსნელი გმირები || ელისბარ, შალვა, ბიძინა მტარველისაგან დატანჯულები“. ყიზილბაშთა წინააღმდეგ 1659 წლის კახეთის აჯანყების ამ მეთაურთა სახელები XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში გ. ერისთავის შემდეგ („ოსური მოთხრობა“) გრ. ორბელიანმა მოიხსენია საქართველოს ეროვნულ გმირთა შორის. პოეტი არ ივიწყებს აგრეთვე მარაბდის გმირებს — ცხრა ძმა ზერხეულიძეთ, მეფეთა ერთგულ ამილახვარს (ზედგინიძეს) და „ოთხ ზაალს“, რომლებსაც ერეკლესთვის დიდი სამსახური გაუწევიათ. შემდეგ პოეტი ქრონოლოგიურ უკან დახვევა მიმართავს. შეაქებს ვახტანგ VI სჯულმდებელს, „სწავლის მოყვარესა და გონება ამაღლებულს“ და დასძენს:

უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,  
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული!

პოემის ეს ნაწილი — მოცულობით ყველა დანარჩენ სადღეგრძელოზე ვრცელი — მთავრდება ერეკლე II ხოტბით. გრ. ორბელიანი უსაზღვროდ შეყვარებულია ძველი საქართველოს ამ უდიდეს სახელზე. იგი მას „ივერიის ნუგეშდიდებას“, „თავისის დროის გამშვენებელს“ და „მამაცთა შორის საკვირველებას“ უწოდებს. ერეკლე დახასიათებულია როგორც „მტერთა შემმუსვრელი“, რომლის „ღღენია... ესგავსებიან ჩასვენებულსა ბრწყინვით მშეს“. პოეტი ფიქრობს, რომ

მამული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,  
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს.

ეს ტაეპები გვხვდება ჯერ კიდევ „ტოლუბაშის“ მეორე ვარიანტში, რომელიც ჩვენი დაკვირვებით 40-იან წლებშია დაწერილი (და არა 1826-1827 წლებში, როგორც აქამდე ფიქრობდნენ). ამ ტაეპებს მიჰყვება ერეკლეს შესანიშნავი ძის ლევანის დახასიათება, მოხსენებულია ლეკების დაცემა ყვარელზე, ქართველთა გმირობა, — ქვაბულიშიღების, რატიშიგლის, ბოსტას, დავით ბარათაშვილის და ბებურიშიგლის მამაცობანი და „კახეთის თვალის ყვარლის გამოხსნა“ ლეკებისაგან. შემდეგ შექებულია დავით სარდალი (ორბელიანი) „და ზაქარია, მიწისა მგელი“ (ანდრონიკაშვილი), აგრეთვე „გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა“, „აზატ-ხანის დამხობნი“, „თემურის მეტრძოლნი“, „ასპინძის გმირები“ და სხვანი, „რომელთ შეპლებეს მტრის სისხლით მტკვრის ზვირთნი აღელვებულნი“. ისტორიულ გმირთა ვრცელი სადღეგრძელო-ხოტბა მთავრდება ალა-მაჰმად-ხანის შემოწევისას სამასი არავეელის გმირობისა და თბილისისათვის ბრძოლის სურათის აღწერით, როდესაც „წ ა ხ დ ა თ ბ ი ლ ი ს ი . დ ა მ ა ს თ ა ნ დ ა ე მ ხ ო ძ ვ ე ლ ი ი ვ ე რ ი“.



ამ ვრცელი სადღეგრძელოს უკანასკნელი სტროფი, რომელსაც მხედრები იმეორებენ, ისტორიული გმირების ღვაწლის ზოგად დატასიაობას შეიცავს:

გმირნო, მამულის მაღიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!  
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა!  
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,  
მხნეობით აღტაცებული კაბუჯი ხმალსა მოსწედება!

ამ ტაეპებს მოსდევს სადღეგრძელო ნიკოლოზ I-ისა;

ხელმწიფე ჩვენო,  
ძლიერო ბრძენო,  
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა  
მხედარნი შენნი,  
ერგულნი, მხნენი,  
ვსვამთ შენს სადღეგრძელს მოწიწებითა.

შემდეგ ხელმწიფის სადღეგრძელოში გაფანტულია ტაეპები (ზოგან შეცვლილი და ახალი რედაქციით) ლექსისა „გულნი ივერთა“, პოეტი შექალაქდება რუსეთის მონარქს „ძველად გამჭრალი სწავლის ლამპარი კვალად აღუნთოს“ ივერიას, დაუბრუნოს მას „თამარის დღენი, დიდების დღენი“. პოემის ეს ადგილი — ხელმწიფის სადღეგრძელო — წარმოადგენს გავრცობილ ვარიანტს ლექსისა „გულნი ივერთა“. პოემაში მას ის ადგალი უჭირავს, რაც ალექსანდრე I-ის სადღეგრძელოს ეუკოვსკის „მომღერალში“ (დაწვ. ამის შესახებ იხ. ზემოთ).

თითქოს სრულიად მოულოდნელია ამ პოეტური ლაღადისის შეტანა პოემაში 1870 წელს, როცა ნიკოლოზ I დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, მაგრამ აქ ორი გარემოებაა გათვალისწინებული: 1. გრ. ორბელიანს თავიდანვე ჰქონია განზრახული პოემის საბოლოო ვარიანტში (ნაწარმოების დასრულებისას) მონარქის ქების შეტანა, ავტორს ამას აიძულებდა კომპოზიციური პარალელიზმი ეუკოვსკის პოემისადმი. 2. ეს ქება ერთადერთი ადგილი უნდა ყოფილიყო ნაწარმოებისა, რომელიც მიუთითებდა პოემაში ნაწარმულ დევ ეპოქაზე, კერძოდ 1827 წელს ერევნის აღებაზე, რაც ნიკოლოზ I ხელმწიფობის პირველ წლებში მოხდა (აქვე აღვნიშნეთ, რომ ტაეპი „ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა“ ბეჭდური სახით პირველად გამოჩნდა გრ. ორბელიანის ლექსების 1884 წლის გამოცემაში, პოეტის გარდაცვალების შემდეგ „კრებულში“ დაბეჭდილ ტექსტში და 1873—1879 წ. წ. გამოცემებში იგი არ მოიპოვება: როგორც ჩანს პოეტი დიდხანს მერყეობდა ადრესატის უშუალო დასახელებისას. თავის სიცოცხლეში პოეტს იგი არ გამოუქვეყნებია).

ხელმწიფის ქების პირველი ვარიანტის („გულნი ივერთა“) და მე-

ორე ყირიმის ომის დროინდელი ვარიანტის („ტოლუბაშიდან“) შესახებ დაწერილებით ვილაპარაკეთ ზემოთ. „სადღეგრძელოს“ საბოლოო რედაქციაში პოეტმა მესამე, გადამუშავებული ვარიანტი შეიტანა და ამით შეავსო ის ხარვეზი, რაც მისი პოემის აღრინდელ ვარიანტებს ჰქონდა ეუკოვსკის ნაწარმოების სათანადო აღგილთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ეს რაც შეეხება ხელმოწერის ქების კომპოზიციურ ფუნქციას „სადღეგრძელოში“. როგორია მისი იდეური ფუნქცია?!

გრ. ორბელიანს შემოქმედების I პერიოდში „გულნი ივერთას“ წარმოშობა იდეური თვალსაზრისით გაშაყუთრებულ და მნიშვნელოვან შემთხვევას არ წარმოადგენს. 1832 წლის შეთქმულების იდეურა ნონაწილის მსოფლმხედველობა, როგორც ჩანს, „ივერიის დიდების“ აღდგენის ერთ-ერთ შესაძლებელ ფორმად ზოგჯერ, დაექვევების შემთხვევებში, სთვლიდა რუსეთის ძლიერი მონარქის პირად მოწადინებასა და მისი ჭარბის გამოყენებას საქართველოს ისტორიული მტრების წინააღმდეგ, ამგვარ შეხედულებას ხელი არ შეუშლია პოეტისათვის — იმავე მონარქის რეჟიმის დამხობის მხურვალე მოსურნე ყოფილიყო 1832 წლის შეთქმულების ხანაში. თავისი შემოქმედებისა და ცხოვრების მესამე პერიოდში კი აღრინდელი პოლიტიკურ იდეალებში იმედგაცრუებულ გრ. ორბელიანს „სადღეგრძელოში“ შეაქვს გარდაცვლილი იმპერატორის ქება, რომელიც უფრო ვედრებას მიაგავს, ვიდრე ღვინონასვამ თამადის მიერ წარმოთქმულ პანეგირიკს. სასოწარკვეთილი და უიმედო პოეტი, რომელიც 70-იან წლებში ძველი საქართველოს ნანგრევების წინაშე იდგა, თავის სულიერ განწყობილებებს მიაწერს 1827 წელს „ირაკლის თაფასთან“ მდგომ, მართალია, ივერიის ძველ დიდებაზე რომანტიკულად შეყვარებულს, მაგრამ არც მთლად უიმედო, მებრძოლ და ახალგაზრდა გრ. ორბელიანს. „სადღეგრძელოში“ ლაპარაკობს არა პასკევიჩის არმიის ოფიცერი და 30-იან წლების მებრძოლი ქართველი პატრიოტი, არამედ მოხუცა პოეტი, სასომხიდილი არისტოკრატი 70-იანი წლებისა, რომელსაც ზოგჯერ „ძველი ივერიის აღდგენის“ ძალზე მცდარი და ილუზორული პერსპექტივა ასაზრდოებდა: გარდაცვლილი დესპოტი მისი უსაფუძვლო იმედის დასაყრდენი ვერ იქნებოდა!

პოემის შემდეგი სადღეგრძელო მიმართულია მამულისადმი, რომელსაც ავტორი გვიხატავს დედამიწის ულამაზეს კუთხედ:

<sup>1</sup> აღნიშნული ტაეპი („ნიკოლოზ დილა“...) ავტორმა პირველად შეიტანა ხელნაწერ ვარიანტში („ტოლუბაშიდან“) 1854 წელს.

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?  
ერი გულადი, პურადი მებრძოლი შავის ბედისა?!

მამულის სიყვარულით ანთებული პოეტი მოუწოდებს ქართველთ:

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ეამს გრძელსა,  
თუ ფუკი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!  
მის საღიღებლად ჩვენც შევკვხედეთ უშიშრად ათასს მახვილსა,  
და მოვკვედეთ, თუკი სიყვდილით ვაღიღებთ მისსა სახელსა!

მამულის ზოტბას ცვლის სადღეგრძელო მეგობრობისადმი, პოე-  
მის ამ ადგილას ავტორი გამოთქვამს ღრმა ჰუმანისტურ შეხედულებ-  
ებს ადამიანის მოვალეობის შესახებ. იგი ქადაგებს „კეთილ საქ-  
ნეს“, „სხვისი ტყვილის“ გაგების აუცილებლობას. გრ. ორბელიანის  
აზრით ადამიანი უნდა „სდევნიდეს სულმოკლეობას“, „დამჩაგვრელ  
ძალას და მის უსამართლობას“, „კაცის წამპილწველს, უწმინდურს ან-  
გაარებას“, „ყოველს რაც უშლის კაცისა სულის მადლობას“. ამ პო-  
ეტური ტირადის მწვერვალია განთქმული სტროფი:

მიეით ნიქსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას:  
ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!  
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებული  
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული

მეგობრობის სადღეგრძელო თავდება მოწოდებით:

ვიყენეთ ცოცხალნი მეგობრად და ვინცა ომში დაეცეს,  
ცრემლი, კურთხევა მეგობართ თან გაეყოლოთ სამარეს!<sup>1</sup>

მომდევნო სადღეგრძელო ეძღვნება სიყვარულს. პოემის I და II  
ვარიანტები უკვე შეიცავენ ამ ადგილს და ჩვენ მას შევხებით პოეტის  
სატრფიალო მოტივების ანალიზის დროს. მაგრამ სიყვარულისადმი  
მიძღვნილი სადღეგრძელოს საბოლოო რედაქცია უფრო გავრცობი-  
ლია, გარღმავებული და დახვეწილი, რაც აგრეთვე აღნიშნული  
გვეონდა ზემოთ. პოემა მთავრდება ბუნების გამოღვიძების აღწერით.  
ქართულ პოეზიაში იშვიათად მოიპოვება განთიადის ისეთი წარმტაცი  
სურათი, როგორც გრ. ორბელიანის კალპითაა შესრულებული.  
„სადღეგრძელოს“ ეს ფინალი პოეტური მწვერვალია საერთოდ  
გრ. ორბელიანის პეიზაჟურ მხატვრობაში. საილუსტრაციოდ მოვიყ-  
ვანთ ორ სტროფს:

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შექლება,  
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შევენება!  
აენიენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი,  
ცა მშვენიერობს, ნათლებდა... მასა შეენატრით მხილველნი

<sup>1</sup> ეს ადგილი ასევეა „ტოლუბაშის“ I და II ვარიანტში.

ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიანი!  
ათასის ზმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიანი!  
მოჰქრის დილისა ნიავეც გულისა მაგარილებელი;  
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!

პოეტი მიესალმება „მიძინებულ ბუნების“ ასეთს გაღვიძებას, დი-  
ლოს შუქს და მიმართავს მას:

სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბაღავ ცხოვრებას!..

ამრიგად პოემა იწყება ბინდის დაცემის აღწერით და მთავრდებ-  
და განთიადის ზეიმის გამოსახვით. ღამისა და დილის კონტრასტული  
დაპირისპირების ასეთი, თითქოსდა მუსიკალური სიმფონიის ლეიტმო-  
ტივის მსგავსი, განვითარება გრ. ორბელიანის უსიუჟეტო პოემას ერთ-  
გვარ კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს.

„საღღერძელოს“ ბოლოში აქვს მიძღვნა ალექსანდრე ორბელი-  
ანისადმი. ამ მიძღვნაში პოეტი მოაგონებს თავის აღრესატს, რომ მა-  
თი „მმანი და ტოლნი ვაუკაცნი“ აღარ არიან ცოცხალთა შორის და  
„ძველთაგან დავშითთ მე და შენო“, პოეტის ღრმა მწუხარებას გამო-  
ხატავენ შემდეგი ელეგიური სტრიქონები:

ან ეს რაცა ვჰსთქვი, რაღა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი?  
და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დაშთა და მით ვიტანჯი  
მაგრამ, თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი ნაცნობი გულისა.  
ვივიწყებ, რაც ესვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!...

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილისათვის  
სრულიად გასაგები უნდა ყოფილიყო, რის „თქმა ც“ ეწადა, მაგრამ  
„გ ე რ ს თ ქ ე ა“ გრ. ორბელიანმა. აღ. ორბელიანს ალბათ ჩინებულად  
ესმოდა აგრეთვე პოეტის მიერ ნართაულად აღნიშნული მის მიერ  
„შ ე ს მ უ ლ ი ს ი მ წ ა რ ე ც“ (გრ. ორბელიანი, უეჭველია, თავის ძველ  
იარებზე მიუთითებს ამ მიძღვნაში!). უკანასკნელი ტაეპი მიძღვნისა  
ღრმა პესიმისმითაა გამსჭვალული:

ვ ჰ მ ზ ე რ მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ მ ო მ ა ვ ა ლ ს და ვ ჰ ს წ ყ ე ვ ლ ი  
ფ უ ჰ ა დ წ ა რ ს უ ლ ს ა .

თანაც ეს სტრიქონები, მთელ მიძღვნასთან ერთად, იდეურად  
აუქმებენ რუსეთის მონარქისადმი მიმართულ პოეტურ ვედრებას.

„საღღერძელო“ შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებია, მაგრამ  
მას თან ახლავს ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლიც. ესაა: ალაგ-ალაგ  
სტილისტურად დაუხვეწავი სტრიქონები, სუსტი რითმები, ზედმეტ  
მჭევრმეტყველებისა და დამრიგებლობის ტონი (რასაც თვით ავტო-  
რიც გრძნობს!).

საქართველოს წარსული დიდების აღდგენის სურვილი, აგრეთვე კაცთმოყვარობისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეალები, რომლებიც „სადღევრძელოშია“ გამოთქმული — ძირითადი მოტივებია გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედებისა საერთოდ მესამე პერიოდში. ამ ხანებში წერს გრ. ორბელიანი აგრეთვე თავის საუკეთესო პატრიოტულ ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (1877), სოციალური მოტივის შემცველ განთქმულ „მუშა ბოქულაძეს“ (1877) და შესანიშნავ „ფსალმუნს“ (1879), რომელიც პოეტის ზნეობრივი იდეალების გამომხატველ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ.

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ XIX საუკუნის ქართული პოეზიის ლირიკული შედევრების რიცხვს ეკუთვნის. ეს არის მონოლოგი მშობლიური ქვეყნის ბედზე ღრმად ჩაფიქრებული მოხუც პოეტისა, რომელიც ბეთანიის განთქმული ფრესკის წინაშე დგას და მოწიწებით შესტკერის თამარის სახეს; იგი „ცრემლმორეული ემოხვევა“ თამარის „ფერხთ“ და ამბობს:

მიხარს — გიშურ,  
ვასწუხვარ — და გიშურ.  
და ესრეთ შურა მსურს სიკვდილამდე,  
არ გამოფხიზლდე,  
რომ აღარ ვკვრდნობდე,  
ჩემი საშობლოს სულით დაცემას!

ქვეყნის გულმომკვლევი სინამდვილით შეძრწუნებული პოეტა თამარს ეუბნება, რომ ოდესღაც „ყვავილოვანი შენი წალკოტი“ „აღარ ბრწყინავს შავ-დროთა ძალით ფერ-წახდენილი“, რომ „ვით განვლილსა სიზმარსა ტებილსა“ და „მზეს დიდებულად ჩასვენებულს“ „ვიგონებთ შენს დროს“, რომ გული გვიმაგროს“ და სრულიად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნიო“. იგი ევედრება თამარს „მოხედოს ბედკარულს“ მის „სატრფოს-მამულს“ და აკურთხოზ ჯვართ, რათა მისი „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“ წმინდა საყდრით, მდიდარი ენითა და „სწავლისა შუქით განათებული“. თამარის მიერ ნაკურთხი მომავალი საქართველო პოეტს წარმოუდგენია „ზნე-ამაღლებულ“ და „სულიერად განახლებულ“ ქვეყანად, სადაც „გამქრალა ბნელი უმეცრებისა“ და სადაც კვლავ „ისმის სიტყვა ქართული რუსთაველისა“. ამ ვედრებას მოსდევს ღრმად პესიმისტური ტაეპები:

...მარამ ცად თვალნი  
გაქვს მიქცეულნი,

და მე ველარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,  
დამცირებულსა,  
ხმა-შიღებულსა,  
ბედ-დაკარგულის ივერიის ძესი  
ეკვით აღვსილსა,  
უსასოდ ქმნილსა,  
გულ-უიმედოს, ჯაუხარებელს!..

უიმედობით და ტრაგიკული პათოსით გამსჭვალული ეს ტაეპი მოწმობს, რომ „ეკვით აღვსილ“ გრ. ორბელიანისათვის დახშული იყო საქართველოს მომავლის რწმენა. იგი კითხულობს:

ვაპ, თუ რაც წახდეს,  
ველარა აღჰსდგეს,  
ველარ აყვავდეს ახლის შვენებით?  
და რაც დაეცა,  
ის წარიტაცა  
შავმან ყორანმან ვით უმწე მსხვერპლი!

ლექსს აქვს ტიპიური რომანტიკული დასასრული:

ჰე, ცრუ სოფელო,  
დაუნდობელო,  
შენში კეთილი სად არს ფერ უცვლელ?  
დიდება ჩვენი  
ცად სხივმიმფენი,  
ნუთუ ესლა გვაქვს, ვახედავთ რასაცა?  
დაყრუებულსა,  
გზა შეუვალსა,  
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,  
სად სახე მეფის  
დიდის თამარის  
ჰსჩანს ძველს კედელზედ გამოხატულად!..

გრ. ორბელიანის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა — საქართველოს მძიმე და დუხჭირი აწმყოს საკითხი და ოცნება „ძლიერი ივერიის“ წარსული დიდების აღდგენისა მის უკანასკნელ პატრიოტულ ნაწარმოებში სასოწარკვეთილების შეგნებითაა გაშუქებული. იქვით აღვსილ პოეტს ივერიის ხელ-ახალი აღორძინება არ სჯერა.

„თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ იშვიათი ემოციონალური ნაწარმოებია, იგი მთელი სისავსით ამხელს გრ. ორბელიანს, როგორც პოეტსა და ადამიანს, რომლის სანუკვარ და ამაო ოცნებას „ძველი ივერიის“ დიდების ხელახალი ხილვა შეადგენდა.

მიუხედავად გრ. ორბელიანის პატრიოტიზმის წოდებრივი ფესვებისა და ისტორიულ ასპექტში სრულიად გასაგები შეზღუდულობისა, მისმა პატრიოტულმა ქმნილებებმა, უწინარეს ყოვლისა „სადღეგრ-

ძელომ“, „იარალიმ“ და „თამარის სახემ“ დიდი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების განმტკიცების მხრივ XIX საუკუნეში. ამავე დროს ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებები დიდი და მრავალფეროვანია.



• გრ. ორბელიანის შემოქმედების მესამე პერიოდში მკაფიოდაა გამოხატული აგრეთვე კაცმოყვარობის, ჰუმანიზმისა, და, ამასთან დაკავშირებით სოციალური მოტივებიც. „სადლეგრძელოს“ საბოლოო ვარიანტში (1870) გამოთქმული აზრები წოდებრივი განსხვავებისაგან დამოუკიდებლად ნიჭისა და ღირსებებისადმი პატივისცემის შესახებ, ადამიანის სიცოცხლის მიზნად „კეთილი საქმისა“ და „დაცემულის აღდგენის“ აღიარება შემდგომს გაღრმავებას პოულობენ ლექსებში „მუშა ბოქულაძე“ (1879) და „ფსალმუნი“ (1879). ფიქრობენ, რომ ამით გრ. ორბელიანმა ერთგვარი ხარკი გაიღო ეპოქის შოთხოვნისათა წინაშე და იგი ძალაუვნებურად გამოეხმაურა ახალი თაობის პროგრესულ იდეებს. ეს შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება გავიზიაროთ. საქმე ისაა, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ფილანტროპიული იდეები და საზოგადოების დაბალი ფენების ბედ-იღბლისადმი ინტერესი შეიმჩნევა უფრო ადრეც, მისი პოეტური ბიოგრაფიის I და II პერიოდებში (1824—1858 წწ.) ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის პროზაული ესკიზი „ამბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი“ (1835). რომელშიაც თანაგრძნობის ტონითაა მოთხრობილი თავდადასავალი ობლად დარჩენილი გოგონასი, რომელსაც მრავალი დამცილება უგემნია. 1832 წელს გრ. ორბელიანმა თარგმნა ჰერდერის „სამანი მეგობარი“, რომელშიაც გამოთქმულია ის აზრი, რომ მხოლოდ „საქმენი კეთილი“... „არა დაუტევებენ კაცსა, ესენი წარუძღვებიან მას დიდისა მსაჯულისა ტახტისადმი“ (ე. ი. ღმერთის წინაშე. ა. გ.). ყოველივე ამის შემდეგ მოულოდნელი არ უნდა იყოს პოეტის სიტყვები „სადლეგრძელოში“ (1870):

რა არის ჩენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?  
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?  
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?

„ფსალმუნი“ (1879) ერთგვარად აჭამებს პოეტის ზნეობრივ და ჰუმანურ შეხედულებებს:

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა შშიდასა,  
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებას?..

ვინც ძლიერებას ხმითა მადლით ამცნო ს ი მ ა რ თ ე უ  
და ძ მ ა ს და ც ე მ უ ლ ს შ ი ჰ ს ს ც ა ხ ე ლ ი და ა დ ა დ გ ი ნ ა .

როგორც მკითხველი ხედავს, გრ. ორბელიანის ჰუმანური იდეები ძალზე ხანდაზმულნი ყოფილან და ისინი მარტოდენ გარეგანი მაზრების ზეგავლენის შედეგად არ წარმოშობილან 70-იან წლებში. აქვე უნდა მოვიგონოთ გრ. ორბელიანის „დ. ო...ის დარდები“ და ზოგიერთი მისი მუხამბაზი, რომ ეს აზრი უფრო დამაჯერებელი გახდეს მკითხველისათვის. ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი ს რ უ ლ ი ა დ ო რ გ ა ნ ი უ ლ ი და ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ნ ა წ ი ლ ი ა გ რ . ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს პ ო ე ტ უ რ ი ბ ი ო გ რ ა ფ ი ი ს ა . ეს გარემოება პირველად ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა.

• მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწარმოებად, გრ. ორბელიანის ჰუმანიზმის თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს მისი განთქმული ლექსი „მ უ შ ა ბ ო ქ უ ლ ა ძ ე“ (1877). ეს პოეტის ერთადერთი ლირიკული ქმნილებაა, რომელიც სოციალურ მოტივს შეიცავს. ლექსი წარმოადგენს მონოლოგს მუშისას, რომელიც თვითონვე აგვიწერს და ახასიათებს თავის სულეურ, ფიზიკურ და ნივთიერ მდგომარეობას. ესაა აღსარება შრომისაგან წელში გაწყვეტილი, უცალო და ღონემიხდილი ადამიანისა, რომელიც სოციალური ანტაგონიზმის მსხვერპლი გამხდარა. ლექსი იწყება მუშის გარეგნობის აღწერით, მკითხველი ხედავს „ოფლით გასწრილსა და მტვრიანს“, „კისერჩაუნგებულ“, „ბედით დაჩაგრულ“ და „სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილ“ პროლეტარს, რომელსაც სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია ლუქმა პურის შოვნით“. მას განუცდია „ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა“ „იუდასგან ამბორი“ და „საყვარლისაგან — წყევული სიყვარული“. მუშაა „ბედად დაშთენია“ „ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუქმისა“. მან იცის რომ

სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა,  
მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!

მუშას ესმის „ბაღით ჭიანურის, ღვინის ხმა“ და „სავათნაეას გულდამწველი სიტყვები“, მაგრამ ხმის აყოლება ვერ გაუბედნია. „რცხვენია“ („მე მათი რა ტოლი ვარო“) და თვალში „ცრემლ-მორეული“ თავისთვის ჰკენისის, თავის ხვედრს წყევლის:

წყველ იყოს ვინცა მუშა აქურთხა  
მოკლებული ყოველგვარის შუებასა  
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!

მაგრამ გრ. ორბელიანის მუშა ადამიანურ ღირსებებს მოკლებული როდია. მას „აქვს კეთილას გრძნობა“, იგა, მაგალითად, „გონებამიზიდული“ ყურს უგდებს ხოლმე „მღვდლის ლაპარაკს“ და თუმცა მისი



სიტყვები „ზოგჯერ არ ესმის“, მაინც „უხარიან მათი სმენა“; ამ დროს მუშის „გულში ჰქრება ლელვა სიბოროტისა“, იგი „გრძნობს სიშვეილეს ლოცვაებისა“, თუმცა სოციალური უთანასწორობის სურათებსაც ხედავს, იცის, რომ „ეს ქვეყანა შექმნილია“ „განცხრომის ძისთვის“. „ველთ სიმწვანე, ცის ლაყვარდი, მზის შუქი და გაზაფხულიც“ ამ „განცხრომის ძეს“ „ეტრფიან და ატკბობენ“, ერთის სიტყვით — იგი „მეფეა“, მუშა კი — „ძალდადაც“ არ მიჩნეული. მუშის სიტყვით „სიღარიბე კაცის გულს ახდენს“ და სულის „სხივსა და გონებას აბნელებს“. მონოლოგი მთავრდება „განცხრომის ძისადმი“ მიმართული:

ეჰ, ძმავე, წადი, შენ შენს გზაზე სიმღერით,  
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,  
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,  
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!..

ანრიგად, გრ. ორბელიანის მუშის რწმენით სოციალური უთანასწორობა, ღარიბისა და მდიდრის გათიშულობა მუდმივი და ფატალურად გარდუვალი მოვლენაა; ეს რწმენა გამორაცხავს მანში აქტიურ სულს, ბრძოლის სურვილს, არსებული სინამდვილის შეცვლის იმედს. გრ. ორბელიანის მუშა სოციალურ ფენებს შორის დისტანციისა და ზღვარის წაშლას მხოლოდ „საუკუნოს განსასვენსა ალაგსა“ (ე. ი. საიქიოში) მოელოს.

„მუშა ბოქულაძე“ ერთსა და იმავე დროს აახავს როგორც თვითონ ავტორის ძალზე განყენებულ, ზოგად ჰუმანიურ თვალსაზრისს დაჩაგრული ფენის წარმონადგენლის სულიერ ვითარებაზე, იანე კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს, 80-იანი წლების ქართველი პროლეტარი-ბოგანოს შეგნებასაც. მუშა ბოქულაძე ერთის მხრივ ხაზს უსვამს საკუთარ არსებაში ზოგად კაცობრიულ თვისებებს. აგრეთვე რელიგიურ განწყობილებას („სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ ცემისა, ზეციურის მადლით განათებული“), ბოროტისა და კეთილის ბრძოლას თავისთავში და ა. შ. ხოლო მეორე მხრით, იგი სრულიად მართებულად ხედავს, ამ „ბოროტებისა“ და „სულიერი სიბნელის“ სათავეს საზოგადოებაში ორი მოპირისპირე ბანაკის — ღარიბებისა და მდიდრების — არსებობაში, საერთოდ სოციალური დისპარამონიის ფაქტში: „თვით მეც მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა || შენთვისა ვარ დაბადებით მსახურადო“, — მიმართაუბ იგი „განცხრომის ძეს“.

ნაწილობრივ რეალური, ისტორიული საფუძველი მოეპოვება მუშა ბოქულაძის პასივიზმსაც, მის უმოქმედობასა და სოციალური პერსპექტივის უქონლობას, რამდენადაც 80-იანი წლების ქართველი პროლეტარა ჯერ კიდევ არ იყო რევოლუციური შეგნებით და მომავალში სოციალური უთანასწორობის მოსპობის რწმენით აღჭურვილი. ამი-

ტომ მას ჩივილს შეუძლებელია მიეღო ტიპიური სოციალური პროტესტის ფორმა ამ დროისათვის და გრ. ორბელიანსაც არ შეეძლო ბუნებაში არ არსებული მოვლენის აღნიშვნა. ასეთი რამ, როგორც ცნობილია, არც „მუშა ბოქულაძის“ წინამორბედი ლექსის ავტორს ილია ჭავჭავაძეს აღუნიშნავს, თუმცა „შრომის ახსნის“ იდეას იგი ჯერ კიდევ 60-იან წლების გარიჟრაჟზე ქადაგებდა. მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანი უეჭველად აქარბებს, რადგან მისი მუშა ბოქულაძე დაჯილდოებულია არა ტიპიური ნიშნებით, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური გრძნობით შეფერილი ბრმა მორჩილებით ბედისაღმი, სრული სასოწარკვეთილებით, ფაქიზი თვითანალიზით. ყოველივე ეს იმდროინდელი ქართველი პროლეტარისათვის დამახასიათებელი არაა. მუშა ბოქულაძე არ გამოთქვამს მკაცრსა მდურავს განცხრომის ძეგთა მიმართ, რომელთაც თვითონ ემსახურება, და ექსპლოატატორებისადმი მკაფიოდ გამოხატული სიძულვილის ასეთი უქონლობა მუშის არსებაში სრულიად გაუმართლებელია ფსიქოლოგიურად და ისტორიულადაც.

მიუხედავად ყოველივე თქმულისა, „მუშა ბოქულაძე“ ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია გრ. ორბელიანის ღირსიაში. პოეტმა დაინახა საზოგადოების შინაგანი გათიშულობა და გულწრფელად თანაუგრძნო სოციალური უსამართლობის მსხვერპლთ ბოქულაძის სახით. გრ. ორბელიანის ლექსი აგრეთვე შესანიშნავია თავისი მხატვრული ღირსებებით: „მუშა ბოქულაძე“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ქართული თეორი (ურთიმო) ლექსისა, თუმცა თეორი ლექსის სხვა ნიმუშებიც მოეპოვება მას („ჩემი ეპიტაფია“, „ფსალმუნი“, „დავბერდი“, და სხვ.). ქართულ პოეზიაში გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძის“ შემდეგ ასეთი სრულყოფილი და ორიგინალური თეორი ლექსი საერთოდ არ დაწერილა.

• •

1864 წელს გრ. ორბელიანმა „ლერმონტოვიდამ“ თარგმნა გოეთეს გენიალური ლექსი „მგზავრის ღამეული სიმღერა“ (Wanderers, Nachtlid 1770), რომელსაც ლერმონტოვისეული თარგმანის მიხედვით, («Горные вершины») ქართულში სათაურად აქვს „მთანი მადალნი“. გრ. ორბელიანის თარგმანი ძალზე გავრცობილია, მაგრამ დედნის სული მაინც აქვს შერჩენილი. გრ. ორბელიანი პირველი სერიოზული მთარგმნელია მსოფლიო კლასიკოსის ამ ქმნილებისა ქართულ ენაზე.

სიპშვიდისა და დაცხრომისადმი მოწოდება, რომელიც გრ. ორბელიანის ამ თარგმანში იპმის, თვითონ პოეტისათვის მიუღწეველ ოც-

ნებად დარჩა. იგი ღრმად იყო შეშფოთებული ძველი ივერიის დიდების აღდგენის შეუძლებლობიდან და თავისი წოდების ისტორიული ხვედრით. გრ. ორბელიანის ლირიკული კრებული იხურება პოეტის გარდაცვალების წელს დაწერილი ორტაეპიანი ლექსით, რომელიც მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ტრაგიკულ ფინალად უღერს:

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,  
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

გრ. ორბელიანის ეს თვითგამოტირილი იმავე ღროს მთელი ქართული რომანტიკული პოეზიის უკანასკნელი მნიშვნელოვანი პოეტური სიტყვაა, აღსავსე არამართო ბიოგრაფიული, არამედ ღრმა საზოგადოებრივი და ისტორიული შინაარსით.

\* \*

გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ჩვენ არ შევეხებოდით მის ადგილს ე. წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში, აგრეთვე პოეტის შეხედულებებს ენისა და სტილის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, მამათა და შვილთა ლიტერატურულ-იდუური ბრძოლა დაიწყო 60-იან წლებში, როდესაც უჟრნ. „ცისკარში“ დაიბეჭდა თერგდალეულთა ბელადის ილია ჭავჭავაძის ჰტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა“ (ცისკარი, 1861, № 4). ძველ და ახალ თაობათა პირველი ბრძოლა, რომელშიაც გრ. ორბელიანს მონაწილეობა არ მიუღია (უეჭველია, — სამსახურებრივი მოუტლელობის გამო), მიმდინარეობდა „ცისკრის“ ფურცლებზე 1861—1863 წლებში. თავდაპირველად ეს ბრძოლა უმთავრესად ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, აგრეთვე ენისა და სტილის საკითხებს მოიცავდა: ახალი თაობა მოითხოვდა მწერლობის დაახლოვებას ხალხთან, ძველი ენობრივი ნორმების, კერძოდ ორთოგრაფიული და გრამატიკული არქაიზმის უკუგდებას, ისინი ილაშქრებდნენ ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტის წინააღმდეგ, უარყოფდნენ მაღალ სტილს და ა. შ. ყოველივე ეს „მამების“ უკმაყოფილებასა და გულსწყრომას იწვევდა.

ტელჰორედ პოლემიკა ახალი აინწავით დაიწყო 1871 წელს. შეტაკების საბაბი გახდა ისევ ილ. ჭავჭავაძის გამოსვლა, კერძოდ, მისი ცნობილი „გამოცანები“ (1871 წ. დეკემბერი), რომლებიც ხელნაწერების სახით გავრცელდა საზოგადოებაში და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „მამებს“ შორის. „გამოცანებში“ იგულისხმებოდნენ (დაუსახელებლად) ქართველი თავადაზნაურობის წარჩინებული წარ-

მომადგენლები — მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე მუხრან-ბატონები, იასე ჭავჭავაძე, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, გრ. ორბელიანი და სხვ. ამ პირთ არ შეუსრულებიათ ახალი თაობის („თერგდალეულთა“) ზეგავლენით გამოტანილი დადგენილება სპეციალურად მოწვეული თავადაზნაურობის ყრილობისა, რომელაც ითვალისწინებდა 1871 წელს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე II-სადმი ადრესის მირთმევას თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ; მეფისნაცვლისა და თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის ზეგავლენით რევაზ ანდრონიკაშვილს შეუცვლია ადრესის პროექტი და უნივერსიტეტის ნაცვლად უთხოვია თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნა<sup>1</sup>. ილიას მერვე გამოცანა ეხებოდა გრ. ორბელიანს. აი ისიც:

მოხუცია იგი ჯმუხი,  
პირად ბადრი, ტანდაბალი,  
საქმით შშინდა, გულმხურვალე,  
სიტყვატყბილი, ჭკვამალალი.  
ძველთაგანა ეგლა დაგვრჩა  
გრძნობით სავსე გონიერი,  
მაგრამ გაუბედავია,  
თუმცა უყვარს თვისი ერი.  
ის ძველის და ახლის შუა  
შემართათვი ზილია.  
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა  
ზოგჯერ ფეხებზე ჰკილია.

ეს ეპიგრამა, დანარჩენ „გამოცანებისაგან“ განსხვავებით, პოეტისადმი განსაკუთრებული პატივისცემით იყო გამსჭვალული. მიუხედავად ამისა, გამოცანებმა გრ. ორბელიანის აღშფოთება გამოიწვია. 1872 წელს პოეტმა დასწერა „გამოცანების პასუხი“, რომელიც ამჟამად „პასუხი შვილთას“ პირველი ვარიანტის სახითაც ცნობილი. იგი ახალი თაობისადმი მიმართულ ძალზე დამამცირებელი ეპიტეტებით იწყება:

კოლო-ბუზებო,  
ლიბერალებო,  
ქუთით გლახებო, პატრიოტებო,  
გზა დაკარგულნო,  
წყალწალებულნო,  
კატის კნუტებო, სიდგანა კნავით?

და სხვ.

გრ. ორბელიანმა თავისი პასუხი დაბეჭდა „ცისკარში“ 1874 წელს სათაურით „პასუხი უღირსთა შვილებთა“. ესაა

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 387-390. თბ., 1951.

მეორე, საბოლოო ვარიანტი „პასუხი შვილთასი“. მკვახე ტონი აქ შერბილებულია, ამოღებულია ძალზე დამამცირებელი ეპითეტებიც, რომლებიც პირველ ვარიანტში გვხვდება („კოლო-ბუზუ-ბო“, „კატის კნუტებო“, „ვირი წავიდა, ვირი მოვიდა“ და მისთ.), სა-მაგიეროდ იგი უფრო გავრცობილია და იდეური თვალსაზრისით საინტერესო მასალას შეიცავს.

ცნობილია ილია ქავეკავაძისა და აკაკი წერეთლის საპასუხო ლექსები გრ. ორბელიანის „გამოცანების პასუხზე“ (ილიას „პასუხის პასუხი“, აკაკის „ხარაბუზა ლენერალს“, „კოლო-ბუზუბის პასუხი“, „პატრიოტის აღსარება“, ს. მესხის წერილი „ჩვენი მამები და შვილები“ (1872) და სხვ.)<sup>1</sup>.

ამრიგად, გრ. ორბელიანი ძველი და ახალი თაობის ბრძოლაში აქტიურად მხოლოდ 70-იან წლებში ჩაება.

გრ. ორბელიანის საპასუხო პამფლეტის ორივე ვარიანტის მიხედვით შეიძლება ნათლად წარმოვედგინოთ პოეტის შეხედულებანი ახალი თაობის („შვილების“) შესახებ. ყველა მათ გრ. ორბელიანი უწოდებს „ცრუ პოეტებს“, „ცრუ ლიბერალებსა და პატრიოტებს“, რომელნიც „გაბოროტებით ჰსწყევლიან მამებს“. ამათი (მამების) დროკი, პოეტის შეხედულებით, იყო „დრო მამაცობისა“. იგი მოაგონებს შვილებს, რომ

მამანი თქვენნი  
თავის დროს ძენი,  
თავის დროს იყვნენ სახელოვანი!  
ოსმალ-სპარსები,  
ღალისტნის მთები  
ჭებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ.

მამებს „სისხლით დაუცავთ მამული თვისი“, „ენა, საყდარი, სარწმუნოება“. შემდეგ „დრო შეცვლილა“, „სწავლა გამეფებულა“ და „შვილებისათვის გაღებულა „სახლი სიბრძნისა“, მაგრამ მათ არ გაუმართლებიათ მამების იმედი: „სწავლად მისულნი წამხდარან ზნეობით“ და სამშობლოში დაბრუნებულთ პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობის დროს „უსასოება და ურწმუნოება უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგაათ“. „და დაიწყებულა თქვენი აქ მოსვლა და თქვენი სიბრძნის ნაყოფი: „შხამიო“, — ამბობს პოეტი. განსაკუთრებით აღშფოთებულია გრ. ორბელიანი შვილთა ერთი ნაწილის, „ეურნალისტი მწერლების“ მიერ მშობლიური ენის დაკნინების გამო: „მათ უსწავლელთა, ცრუ რუს-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანისა და „შვილების“ პოლემიკა ამომწურავადაა შესწავლილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა მიერ და ამიტომ აქ ზედმეტად ვთვლით დაწვრილებით ვილაპარაკოთ მის შესახებ. ჩვენ სრულიად განზე ვტოვებთ ახალი თაობის მეთაურთა „პასუხებს“, რადგან ის დიდ ადგილს დაიკავებდა.

თაველთა, სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი! მის ძალა, მადლი უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელშიო“ — აცხადებს იგი და დასძენს: „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაკულ არს ენით, რა ენა წახდეს ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“.

შემდეგ გრ. ორბელიანი მოითხოვს შვილებისაგან: „აჰა დიდებან და სახელქებინ ასპარეზია თქვენთვის დაკლილი“ და „ხმალის ტრიალით, ძლევის ყიყინით“ რომელიმე „იმ თქვენმა გმირმა“ „ხელს ბაირალით ძირს დასცეს ყარსი“-ო. პოეტს ეეკვება ახალი თაობის ამგვარი გმირობისა და უმატებს „ვთა საბრალოს, ჩვენს საქართველოს თქვენ დაებადეთ მის სადიდებლადო“. მას არ სწამს ახალი თაობის „მაღალ ფრანგები“ „საზოგადოების სულით აღდგენაზე“, „ერთობისა, ძმობისა და მამულისათვის თავის განწირვის“ შესახებ; სიტყვა — სიტყვაა. საქმე კი „სხვაა“, — განმარტავს იგი. და ბოლოს ახალი თაობის „სიცოცხლეს ფუქად მიმავალს“ უწოდებს, აბრალებს მათ „უქმობას, არარაობასა და უმეცრების ამაყობას“.

ახალი თაობის საუკეთესო ნაწილის მისამართით არც ერთ ამ ბრალდებას არ გააჩნდა საფუძველი. გრ. ორბელიანის პოლემიკური სისასტიკის ახსნა ამჟამად მხოლოდ ისტორიულ და ფსიქოლოგიურ პლანში შეიძლება. „შვილების“ განსაკუთრებული ღვაწლი ქართველი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ ბოლოს თვითონ გრ. ორბელიანმაც შეიგნო: ცნობილია მამათა და შვილთა ორი ბანაკის მეთაურების, თვითონ გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის, საუკეთესო პირადული და საზოგადოებრივი ურთიერთობანი 80-იან წლებში, როცა თაობათა ბრძოლა დაცხრა და იგი ისტორიის კუთვნილება შეიქმნა (1875 წელს „ცისკარის“ დახურვით ეს ბრძოლა არსებითად შეწყდა).

• •

გრ. ორბელიანი საერთოდ ძალზე მწვავედ განიცდიდა ქართული ენის დაცემას. ცნობილია მრავალი მისი ბარათი, ამ საკითხებზე მიწერილი სხვადასხვა პიროსადმი. დამახასიათებელია პოეტის შემდეგი სიტყვები: ვისაც არ უყუარს თავის სამშობლო ენა, მას, უეკველია არ უყუარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულიცა. ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფა-ცხოვრებისა, მათი სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია“ (წერილი სალომე მიურატისადმი 1877 წ., 12 აგვისტოს თარიღით)<sup>1</sup>. ენის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად იგი სთვლიდა „ეურნალისტი მწერლების“ (ახალი თაობის გარკვეული ნაწილის) მხრივ ქართულის ნორმების უცოდინარო-

<sup>1</sup> შტრ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, გვ. 105.

ბას. გრ. ორბელიანის კალამს ეკუთვნის სპეციალური კრიტიკული წერილი „მგზავრობა სვანეთისაკენ გ: წ:“ რომელიც მან „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით დაბეჭდა უ. „ცისკარში“ 1874 წელს (№ 9-10), აგრეთვე სატირული ლექსი „დროებითი ათი წლის იუბილე“, მიმართული ს. მესხისა და მისი გაზეთის წინააღმდეგ (1876). ეს ორი პოლემიკური ხასიათის ნაწერი შუქს ფენა გრ. ორბელიანის შეხედულებებს გრამატიკისა და სტილის საკითხებზე, აგრეთვე მის დამოკიდებულებას ზოგიერთი თერგდალეულის მოღვაწეობისადმი 70-იან წლებში.

კრიტიკული „განხილვა“ „მგზავრობა სვანეთისაკენ“ ეხება ცნობილი თერგდალეულის გ. წერეთლის მოთხრობას „მგზავრის წერილები, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კულაბზიკა“. წერილის ავტორი აფრთხილებს მკითხველს: „მე არ შევეხები ავტორის იდეასა, არცა მისსა მიმართვასა. მე ვეძიებ ქართულს მოთხრობასში მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა. მსგავსად სხვათა ენათა ქართულსაცა აქვს თავისი თვისება, თავისი კანონები მართლწერისა და უბნობისა, ესე იგი, თავისი ლრამმატიკა, რომელიცა ასწავლის ყოველსა ამას თორეტიკულად და რომლისა ზედმიწევნით ცოდნა საჭირო არის ნწერალთა-თვის“, „მწერალმან უნდა იცოდეს ენა, რომელსაზედაც ჰსწერს, ან ტეორეტიკულად, და ანუ პრაქტიკულად“. გრ. ორბელიანი დამახურობად უთვლის „უხლანდელთ მწერალთ“, რომ „იგინი გულმხურვალედ“ შეუდგნენ „აღდგენას ჩვენისა დავრდომილისა ენისა, მაგრამ ზოგიერთის წერასში მოჰსჩანს მრავალი შეცთომილება“ იმის გამო, რომ „მათ არა ჰქონიათ შემთხვევა ღრმად შესწავებისათვის ქართულისა ენისა“ და „არა არიან ჩუენ ულნიცა საღმრთოს წერილისა, რომელიცა არის, მართლად გამოუღველი საუნჯე ჩუენის ენისა-ო“. შემდეგ პოეტი თავს იმართლებს ქალების წინაშე („რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და აწცა არიან უკეთესნი ენის დამფასებელნი“) გრამატიკის საკითხებზე რომ უხდება საუბარი და დასძინს: „რა ვჰქმნა, არცა მე მაქუს ამასში ბრალი. ეს გახლავსთ ერთი ნამცეცა ნაწილი პლატონის ღრამატიკისაო“ (იგულისხმება პლატონ იოსელიანის „ქართული ენის ღრამმატიკა“). როგორც ავტორის განცხადებიდანაც ჩანს, იგი თავისი გრამატიკული ხასიათის შენიშვნებში პლატონ იოსელიანის ნორმებს ემყარება. პლატონ იოსელიანი კი როგორც ეს ცნობილია, გრამატიკული არქაიზმის დამცველი იყო. გრ. ორბელიანის კრიტიკულ „განხილვაში“ მოიპოვება მთელი რიგი ადგილები, რომლებიც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ პ. იოსელიანის შეხედულებებს ქართული ენისა და საერთოდ სალიტერატურო

მეტყველების ნორმებისა და სტილის შესახებ<sup>1</sup>. გრ. ორბელიანი ამ წერილში იცავს:

1) ძველს ორთოგრაფიას. იგი წერს: „იშვიადსა ენასა აქვს ისეთი სრული ანაბანა, როგორცა ქართულსა“... „მაშასადამე, ამ ასოების უარის-ყოფა, გადაგდება უეჭველად სავნებელი არის ენისათვის“, „ანტონ კათალიკოსმა, დიდად მცოდნემ ქართული საენისა, არათუ დააკლო არამედ მოუმატა ასოჲ“.

2) მორფოლოგიაში, მაგალითად, თავგამოდებით იცავს იმ აზრს, რომ ყოველი „შემოქმედებითი ზმნა“, საზღურებითს სქესში, პირველი პირი უნდა დაიწეროს ისე, რომ მეორე ასო ზმნისა იყოჲ ჰ, რადგანაც ზმის ამოსვლაშიაც სწორედ ასე გვევსმის, მაგალ. „ვჰსწერ, ვჰგრძნობ, ვჰკლავ“, და სხუანი, ხოლო მეორესა და მესამეს პირსში დაიწერება ასოთი ჰ, მაგალ. „ჰსწერ, ჰსწერს, ჰგრძნობს, ჰკლავს“ და სხვანი“. ასეთივეა დაახლოებით ავტორის შეხედულებანი ქართული სინტაქსის საკითხზე.

3) ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშად გრ. ორბელიანს უწინარეს ყოვლისა მიაჩნია „სირიისა და ბერძნულის ენით გადმოღებულ ქართულად საღმრთო წერილი ესრეთის მშუენიერ სიტყვაობითა და ძლიერებითა“. იგი მომხრეა ძველთაგან შემუშავებული არქაული ნორმები უცვლელად დარჩეს.

4) ენის პროგრესისა და ახალი სტილის მიმართ გრ. ორბელიანი კონსერვატორი რჩება. იგი წერს: „ახალი სტილი ვერა ოდეს ვერ შეჰსცულის ენის ბუნებითსა თვისებასა... ენის თვისება მყოფობს მარადის შეუწყველად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცულა მისი“.

5) ენის დემოკრატიზაცია, რომელსაც თერგდალეულები მოითხოვდნენ, გრ. ორბელიანის შემდეგ კორექტივს იწვევს: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვჰსწეროთო“, მაშ რა ენაზედ უნდა დასწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ: ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი. ვიდრე დაქელოვნებული მწერალი მასალას მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰჰმენდს, არ გაამშუენიერებს და დიდებულებითა არ აღიყუანს სალიტერატუროს სამფლობელოსში... ტალახი დარჩება ისევ ტალახად“.

ყველა ამ პრინციპის უგულვებელყოფასა და „ენის წახდენას“ ხედავს პოეტი გ. წერეთლის ამ მოთხრობაში და „აერთოდ „ახალი მწერლების“ მეტი ნაწილის მოღვაწეობაში. „კიკოლიკის“ ენობრივი და სტილისტური შეცდომები: აღნუსხვის შემდეგ გრ. ორბელიანი მიმართავს ახალ თაობის: „ყოვლის მხრით ღაღადება ყვედრებისა ქარ-

<sup>1</sup> დაწერ. იხ. ჩვენს ნარკვევში „პლატონ იოსელიანი“ (1932) (წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები“. 1948, გვ. 122—126. (მღრ. „რჩეული ნაწერები“, ტ. 1).



თულოს ენის წახდენისათვის უნდა გვესმოდესო“. მისი შეხედულებათ ქართულ ენას, რომელიც „ერთელამაზად და დიდებულე-ბით ჰბრწყინავს ჩუენს საღმრთოს წერილში“, „უფრთხილდებოდნენ და ინახავდნენ შეურყეველად“ „ბერები მონას-ტრებში, ეკლესიებში მღუდლები“ და „ჩუენი ქალები“. ახლა კი რე-დაქციებში ირყვნება იგიო. პოეტი განსაკუთრებით თავს ესხმოდა გაზეთ „დროებას“ და მის რედაქტორს ს. მესხს. მისი სატირული ლექ-სი „დროებიას ათი წლის იუბილე“ (1876) ასე იწყება:

ვერსწავლა მესხიმ წერა.  
ვერა!.. ვერა!..

ამ ლექსში იგივე საყვედურებია გამოთქმული, რასაც ავტორი გ. წე-რეთლის მოთხრობის „განხილვაში“ გამოთქვამდა ენის „წაბილწვი-სა“ და „გაბაზრების“ შესახებ. ამგვარი შეხედულებისათვის გრ. ორ-ბელიანს არ უღალატნია. იგი ბოლომდე დარჩა აგრეთვე ძველი სალი-ტერატურო ენის ნორმების დამცველი<sup>1</sup>

ამრიგად, გრ. ორბელიანი და პ. იოსელიანი მამებს შორის პრან-ციპული და თანმიმდევრული დამცველნი იყვნენ ორთოგრაფიული; მორფოლოგიური და სინტაქსური არქაიზმისა. ხშირად ეს დაცვა მათს უკიდურეს კონსერვატიზმსაც მოწმობს ენის საკითხებში. მართალია, ორი თაობის ლიტერატურულ ბრძოლებში გრ. ორბელიანს ვხვდებით ჰაექრობის უკანასკნელ სტადიაზე. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს: თეორიული თვალსაზრისი, რომელსაც გრ. ორბელიანი იცავდა 70-იანი წლების დასაწყისში, მას უკვე ჰაბუკობიდანვე ჰქონია გამომუშავე-ბული: გრ. ორბელიანის პოეტური პრაქტიკა I პერიოდისა მშვენიერი ილუსტრაციაა მის მიერ გვიან წამოყენებული გრამატიკული არგუ-მენტებისა. პ. იოსელიანთან ერთად იგი ყველაზე მნიშვნელოვანი ფი-გურაა ძველი თაობის იმ ბანაკში, რომელიც არქაული ენისა და სტი-ლის ნორმებს იცავდა.

უკანასკნელი წლების ქართულ სალიტერატურო პრესაში იყო ცდა გრ. ორბელიანის „რეაბილიტაციისა“ ამ სფეროში, ლამის იგი ენის სასადავოსა და დემოკრატიზაციის დამცველის როლშიაც კი გა-მოჰყავთ. ამის საბუთად მოჰყავთ პოეტის ზოგიერთი გამონათქვამები, რომელნიც არ ეთანხმებიან პოეტის თეორიულ დებულებებს, აგრეთვე სადა მეტყველების ნიმუშები მისი ნაწერებიდან. მაგრამ ერთია თე-ორია და მეორე — მისი პრაქტიკული რეალიზაცია. ჯერ კიდევ ი. მე-უნარგია აღნიშნავდა „თვითონ პოეტი არ მისდევდა თავის თეორიას

<sup>1</sup> ნ. აღანია, ჟურნალ „ივერიის“ ერთ-ერთი ნომერი (ხელნაწერი). ამ მკვლევარის დასკვნით „ძველი სამწერლო ენის მოტრფილუ პოეტს 80-იან წლებში არ სურდა დრო-მოკმეული ენობრივი ფორმების განდევნა მართლწერიდან“.

თავის ნაწიერებშიო<sup>1</sup>. თუმცა არც ეს შეხედულებაა მთლად საფუძვლიანი: გრ. ორბელიანი მხოლოდ ზოგიერთი უნარის ნაწარმოებებში არ იცავს გარკვეულ კანონებით გაპირობებულ თავის სტილს, ასეთია, მაგალითად I და II პერიოდის (1832—1858) კერძო ბარათები<sup>2</sup>, რომელთა გამოქვეყნება მას არ უფიქრია. ეს ბარათები ყოფილი დოკუმენტებია, რუსიციზმებით აქრელებული, ჩვეულებრივი, სასაუბრო მეტყველების ნიმუშები, საშაგიეროდ ამ პერიოდში გრ. ორბელიანს თავისი სტილისა და ენის შესაბამისად აქვს დამუშავებული „დღიურის“ ერთი ნაწილი („მგზავრობა ჩემი...“), პროზაული ესკიზები და თარგმანების ნაწილი (ნიმუშები ზემოთ ვეაქვს მოყვანილი). საკმარისია თუნდაც ზერელე გაცნობა მათი, რომ დავრწმუნდეთ — რაოდენ დიდი უფსკრულია გრ. ორბელიანის შეგნებულ ლიტერატურულ მეტყველებასა და შემთხვევით დაწერილ მის კერძო ბარათებს შორის. მაშასადამე, გრ. ორბელიანი სრულიად შეგნებულად იცავდა და თავიდანვე პრაქტიკულადაც ანხორციელებდა საკუთარ მეთოდს: ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველების („ხალხის ენის“) გადაყვანა სტილის კატეგორიაში, რაც პოეტის აზრით ამ მეტყველების დახვეწას და ამ აღლებულ სტილად ქცევას გულისხმობდა (წინააღმდეგ შემთხვევაში „ტალახი ისევე ტალახად დარჩებაო“ ამბობდა იგი). გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და მისი ლირიკული ლექსები „ჩემს დავს ეფემიას“, „იარალს“, „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — ამაღლებული, კეთილშობილი პათეტიკისა და არქაიზმებული მეტყველებების საუკეთესო ნიმუშებია. გრ. ორბელიანის ენა და სტილი ამ ნაწარმოებებშია მხილებული, რაც შეეხება პოეტის „მუხამბაზებს“. მათი ენობრივი სისადავე თვითონ უნარის მზამზარეული ფაქტურიდან მომდინარეობს: ესაა ინტონაცია და სასაუბრო მეტყველება ქალაქური ფოლკლორისა, გამოყენებული პოეტის მიერ დაბალი ფენების მოქალაქეთა ტიპიზაციისათვის. მათი ენისა და ინტონაციის აღრევა „სადღეგრძელოს“ ავტორის ხმაში, ვიმეორებთ, სრულიად შეუწყნარებელია.

არც ისაა მართალი, თითქოს გრ. ორბელიანმა თავისი კერძო ბარათების ენა ძალზე გაამარტივა პირველი პერიოდის მიმოწერასთან შედარებით, 60-იანი წლების შემდეგ. ასეთი შეხედულება აღმოცენებულია სრული გაუგებრობის ნიადაგზე. პირიქით — გრ. ორბელიანმა სწორედ 60-იანი წლების შემდეგ უფრო გაართულა არქაიზმის მიმართულებით თავისი ეპისტოლარული სტილი (რასაკვირველია, იმ ბარათებში, რომლებიც რაიმე სერიოზულ საკითხებზეა დაწერილი და

<sup>1</sup> ქართული მწერლები, I, გვ. 172.

<sup>2</sup> გამოცემულია ჩვენი რედაქციით ორ ტომად 1936—1938 წწ.

არა საშინაო მიმოწერაში). საკმარისია მკითხველი გაეცნოს მის ვრცელ წერილებს, მაგალითად, ეკატერინე ქავჭავაძე-დადიანისადმი, ან სალომე მიურათისადმი, რომ დარწმუნდეს — ამ ეპისტოლეთა ენა და სტილი ავტორის გრამატიკული თეორიის ილუსტრაციებად გამოღებთან.

ყოველივე ზემოთ თქმული იმას როდი ნიშნავს, თითქოს გრ. ორბელიანისათვის სრულიად უცხო იყო კომპრომისები ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების წინაშე. თვით პლატონ იოსელიანიც მიესალმა გ. ერისთავის მიერ „ახალი ენის დაბადებას“, მაგრამ ეს გარემოება არ მოწმობს გამოჩენილი არქაისტის მიერ საკუთარ პოზიციების დათმობას. გრ. ორბელიანსაც გამოუთქვამს თავისი აზრი ზოგიერთი „მკვდარი სიტყვების“ გამოყენების წინააღმდეგ, მაგრამ ეს როდი სცვლის ჩვენს საერთო წარმოდგენას პოეტის ენობრივი პოზიციების შესახებ. ისევე, როგორც ზოგიერთი მისი რეალისტური ლექსი (მაგ. „მუხამბაზები“) იგრ. ორბელიანს რეალისტად არ აქცევს, ასევე — პოეტის ნაწილობრივი კომპრომისები ახალი სალიტერატურო ენის წინაშე არ მოწმობენ მის პრინციპულ გადახრას ენის დემოკრატიზაციისაკენ. ნიკ. ბარათაშვილსაც უწერია სადა ენით კერძო ბარათები, აქვს ცალკეული რეალისტური ნაწარმოებნი („ბუღი ქართლისა“, „ღამე ყაბაზები“) და ქართული ფოლკლორის ზეგავლენით შექმნილი კუპლეტებიც (მაგ. „მადლი შენს გამჩენს“), მაგრამ იგი რეალისტი არაა და გენიალური ქართველი რომანტიკოსის სტილისა და ენისათვის უმთავრესად დამახასიათებელია ისეთი შედეგები, როგორცაა „ჩემი ლოცვა“, „ხმა იღუმალი“, „სულო ბოროტო“ და სხვ. რეალისტურობა ან რეალიზმის ელემენტები არ გულისხმობენ რეალიზმს. ახალი სალიტერატურო ენის ფორმების შექრა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში აგრეთვე არ მოასწავებენ მათს პრინციპულ გადასვლას ენის დემოკრატიზაციის ნიადაგზე.

• •

მაგრამ თუ გრ. ორბელიანი ენის თეორიულ საკითხებზე მსჯელობისას პრინციპულ არქაისტად გვევლინება, თავის შემოქმედებაში იგი უკიდურესი არქაისტი მაინც არაა. მისი სტილი კეთილშობილურია და ღრმად ემოციური; პოეტი ცხოვრების ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენაზე სერიოზული ტონით მსჯელობს და მისი ზომიერად არქაიზებული მეტყველება მხატვრული გამომსახველობის იშვიათი ძალით ხასიათდება. გრ. ორბელიანი სავსებით ამართლებს თავისავე შეხედულებას მხატვრული ფორმის დანიშნულების შესახებ. „გამოჩენილნი მწერალნი გვიხატავენ ჰაზრსა არა თუ მხოლოდ ნათლად, არამედ

ლამაზის ფორმითაც. სიტყუაცა მათი მომდინარებს, ვითარცა წყალი, ხან მძიმედ დიდებულის სიამაყითა, ხან დამძვილებული, ვითარცა დაწყენარებით რონინება ქალისა, და ხან მქუხარედ, ვითარცა შემადრწუნებელი რისხუა! მაშინ, მსმენელიცა უნებლიეთ მიჰსდევს სიტყვისა მის მიმდინარეობის ძალსა გულით გახარებული, გონებით მიზიდული, ღონე-მიტაცებული, დამონებული<sup>1</sup>. „საღამო გამოსალმებისა“, „ჩემს დას ეფემიას“, „იარალის“ ან „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ გრ. ორბელიანის ამ *Ars poetica*-ს მხატვრული გამართლებაა.

მაგრამ გრ. ორბელიანის სტილსა და ფორმას თან ახლავს ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლიც. მისი ენა ხშირად მძიმეა, აზრის გამოხატვისას პოეტი აწყდება დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვა მას უჭირს. ამას თვითონ პოეტიც გრძნობს.

გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება ასახავს ქართული სალიტერატურო ენის საერთო ვითარებას გასული საუკუნის პირველ ნახევარში, განვითარების იმ ეტაპს, როცა ძველი და ახალი სამწერლობო ენის გაყრის პროცესი დაიწყო.

გრ. ორბელიანის სალექსო ფორმები მოწმობენ ევროპული, უმთავრესად რუსული სალექსო კულტურის ზეგავლენას (მაგ. კომპოზიციის, სტროფიკის სფეროში). ეს ზეგავლენა განსაკუთრებით დაეტყო გრ. ორბელიანის რითმებს: პოეტის ლირიკულ შედევრებშიც კი მეტწილად გამქრალია ქართული კლასიკური ლექსის ზუსტი რითმის კულტურა (რუსული ვაჟური რითმის მიხედვით გრ. ორბელიანი ხშირად ტაქტთა მხოლოდ ბოლო ხმოვნებს რითმავს, მაგ. გვეპყრას: სუფრას, უძრავად: ორად, გმირი: ძლიერი („იარალის“), სასიხარულოდ: მხოლოდ, ესრეთ: ფრთეთ, ქვეშ: უნუგეშ, ნელიად: სოფლად, კვალთ: სიხარულთ („ჩემს დას ეფემიას“). უკანასკნელ რითმაში კი მხოლოდ ბოლო თანხმოვანებია შერთმული (კვალთ: სიხარულთ)! ეს დეფექტი შესამჩნევია ალ. ჭავჭავაძის პოეზიაშიც.

ჩანს, ნაწილობრივ ეს გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ გრ. ორბელიანი ქართული თეთრი ლექსის შესანიშნავი ოსტატია.

შედარებით სწორი რითმებით გრ. ორბელიანს დაწერილი აქვს „მუხამბაზები“, მაგრამ ეს აიხსნება ენარის სტერეოტიპული, მზამზარეული კადენციით (ვინა ვარ: ვინა ვარ, სადა ვარ: მზადა ვარ და ა. შ.). არა სწორი, ყრუ რითმები მის ტაქტებს ზოგჯერ სილაბურ ლექსწყობას უახლოვებენ, მათი მეტრული პროფილი ყოველთვის მკაფიო არაა, მიუხედავად ზომათა მრავალფეროვნებისა. მაგრამ გრ. ორბელიანის პოეზიის ემოციური სამყარო იმდენად მდიდარია,

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1874, № 9-10, გვ 33.

რომ ზემოთ აღნიშნული დეფექტები ბოლოს მაინც ვერ ანელებენ მისი ლექსების შინაგან დინამიზმს.

გრ. ორბელიანის ლირიკაში დაძლეულია აღმოსავლურ-ირანული ყვავილოვნება სტილისა, პოეტური „სამკაულების“ თვითმიზნური სიჭარბე. ყველა კომპონენტი ლექსისა ორგანულად მომდინარეობს თემის ხასიათიდან. მეტწილად ისინი პოეტის არსებაში ემოციის ან აზრის აღმოცენების უშუალო შედეგს წარმოადგენენ.

ამ უშუალობითაა აღბეჭდილი გრ. ორბელიანის პატრიოტული პათოსი, ღრმა გრძნობიერებით აღსავსე მისი წმინდა სატრფიალო ლირიკა და ბოლოს — მისი ფერებით მოელვარე პეიზაჟი.

დეკემბერი, 1957 წ. თბილისი.

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

### დაბადება. მოზღვაობა

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში 1817 წლის 15 დეკემბერს, დედის ოჯახში, ცნობილი ფეოდალის ზურაბ ორბელიანის სახლში. ხუთი დღის შემდეგ ის ანჩის-ხატის საკრებულო ტაძარში მონათლა დეკანოზმა დიმიტრი ალექსი-მესხიშვილმა. ეს სამღვდლო პირი ძველებურად განათლებული ადამიანი ყოფილა, ჩინებულად სცოდნო ქართული ენა და ნიკოლოზის ბიძას გრიგოლ ორბელიანს მასთან უსწავლია წერა-კითხვა.

პატარა ნიკოლოზის მიმრქმელი იყო „ნადვორნი სოვეტნიკი“ თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლოგორუკოვი, რომლის სახელი დავიწყებულს ფერულს ააცდინა მის მიერ ვენიალური ყრმის ხელში აყვანამ ნათლობის ემს.

რამდენიმე სიტყვა თვით იმ გარემოს შესახებ, სადაც პატარა ნიკოლოზს ემზაზი დაიდვა.

მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში ანჩის-ხატის უბანი მრავალმხრივ იყო საყურადღებო. აქ ცხოვრობდნენ ყოფილი სარდლები, ბატონიშვილები, მწიგნობრები და სასულიერო პირები, — ერეკლე მეორის ეპოქაზე მგლოვიარენი. ამ უბანში ცხოვრობდა ~~ეგნატე იოსელიანი~~ ეგნატე იოსელიანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII კარის მღვდელი და ცოცხალი მემკვიდრე წარსული საუკუნისა. ანჩის-ხატის ვიწრო ქუჩებში ღამით ფარნით უნათებდნენ გზას ერეკლეს ასულს თეკლე ბატონიშვილს, ცნობილი ქართველი პოეტის ვახტანგ ორბელიანის დედას. მთელი გარემო დასახელებული იყო ფეოდალური საქართველოს ზორცმესხმული აჩრდილებით და მომავალმა დიდმა პოეტმა თითქოს ამ მოძრავ აჩრდილთა შორის გაახილა თვალი.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თბილისის ამ უბანში გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი. წარმოშობით იგი მაღალ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. მამამისი თავადი მელიტონ ბარათაშვილი საქმად კოლორიტული ფიგურაა მე-19 საუკუნის 30-იანი და 40-იანი წლების ფონზე. უკვე გაღარიბებულ და სამხედრო სამსახურში კარიერის მაძიებელ თავადს თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ექს-

პედიციაში მიუღია მონაწილეობა მთავარმმართველების ტორმასოვის, ერმოლოვისა და პასკევიჩის ხელქვეით. ბოლოს მაიორის ხარისხამდე მიუღწევია; კარგად სცოდნია ქართული, სომხური და რუსული ენები, ერთ ხანს თარჯიმნადაც უმსახურნია ერმოლოვთან. 1832 წელს იგი ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობის მარშლად (წინამძღოლად) აირჩიეს და ამ საპატიო თანამდებობაზე 7 წელიწადი დაჰყო.

თანამედროვენი მელიტონს ახასიათებენ იმდროისათვის განსწავლულ ადამიანად. „მელიტონი იყო ქართულ ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებსო“, — წერს კ. მამაცაშვილი, პირველი ბიოგრაფი ნ. ბარათაშვილისა. სტუმართმოყვარე თავადის სადილები განთქმული ყოფილა თბილისში. „მელიტონის სახლის კარი მუდამ ღია იყო, სტუმრობა უყვარდა, ბევრი ხალხი დადიოდაო“, — იგონებს მისი ქალი ბარბარე ვეზირიშვილისა. მაგრამ ყველასთვის ცნობილ ღირსებებთან ერთად მელიტონს ზოგიერთი ცუდი თვისებაც ჰქონია; ანჩხლი და ზვიადი ყოფილა და როცა თავისი სახლის აივანზე გააბამდა ყვირილს, ის შორეულ უბანშიაც ესმოდათ. როგორც ჩანს, პოეტის მამა ძალზე ექსპანსიური ბუნებით იყო დაჯილდოვებული, ვერ იტანდა მცირეოდენ წყენასაც და ერთხელ გაულახავს გუბერნატორის მდივანი, რომელსაც საქმის ქალაქის მოძებნაზე უარი უთქვამს მისთვის. საერთოდ კეთილი მელიტონი თავისიანების მიმართაც იჩენდა ხოლმე გულზვიადობას და მის ჯალაბს არა ერთხელ ცრემლით უჭამია ლუკმა.

სულ სხვა ბუნების ადამიანი იყო პოეტის დედა ეფემია, ზურაბ ორბელიანის ასული, და პოეტის გრიგოლ ორბელიანისა. იგი იშვიათი ზნეობრივი თვისებებით ყოფილა შემკული და ნიკოლოზის პიროვნებაში უწინარეს ყოვლისა დედის კეთილშობილი ხასიათი განსახიერდა. „მელიტონის ცოლი მეტად მოსიყვარულე ქალი იყო, ოჯახს მუდამ თავს დასტრიალებდა, ლამაზი იყო, მაღალი, ქერა, ქართულად ეცვა გულპირ ამოჭრილი კაბა, შვილებს თვითონ აწოვებდა ძუძუს“. ამ ქართველმა დედამ გადასცა მემკვიდრეს თავისი მშვენიერი გარეგნობისა და ხასიათის ბევრი ნიშანდობლივი თვისება; იგი ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო და, ამრიგად, დედის მხრივ ნიკოლოზ ბარათაშვილი საქართველოს სამეფო დინასტიას ენათესავებოდა.

თავისი რბილი და სათნო ხასიათით ეფემია შესანიშნავ გავლენას ახდენდა შვილებსა და მახლობლებზე. გრიგოლ ორბელიანმა სამუდამოდ შეუნახა ქართულ მწერლობას ამ კეთილშობილი არსების აჩრდილი ლექსში „ჩემს დას ეფემიას“. 1835 წელს რიგაში მყოფი პოეტი ასე იგონებს მას:

შუალი სკოლის შენობა) 1831 წელს გადავიდა. სკოლასთან პანსიონიც ყოფილა და ბარათაშვილიც იქ დააბინავეს.

ნიკოლოზის სულიერი და გონებრივი დავაუკაცება გიმნაზიაში დაიწყო. ეს იყო პირველი სერიოზული კერა, სადაც თანდათან ჩამოყალიბდა პოეტის იდეალები, მიუხედავად სწავლების საერთო დაბალი დონისა. ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებაში თბილისის გიმნაზიაჲ და პანსიონმა ისეთივე როლი შეასრულეს, როგორიც 20-იანი წლების ცარსკოე სელოს ლიცეუმმა მთელი რიგი დიდი რუსი პოეტების ზიოგრაფიაში.

ახალგაზრდა შეგირდებს სკოლაში ასწავლიდნენ — ქართულ ენა-სა და ლიტერატურას (მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი), რუსულ ენას (მასწ. დემენტიევი), ქართულ კათეხიზმოს (მასწ. ეფრემ ალექსიმესხიშვილი), ისტორიას და გეოგრაფიას... დიმიტრი ყიფიანი, რომელიც აგრეთვე კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფე იყო, ასე გვიხატათებს გიმნაზიას: „... მთელი მაშინდელი სიბრძნე ორი უმთავრესი და ამასთან ერთადერთი წესით გამოიხატებოდა: გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე. ი. შეუგნებლად — მექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელისგულზე სახაზავით ცემა. ამ ტრადიციულ წესს მხოლოდ სამი არ ემორჩილებოდა: ელპიდოფორ პეტრეს ძე მანასეინი, რომელიც სასწავლებლის დირექტორად და უმცროს კლასებში რუსული ენისა და უფროს კლასებში რუსული სიტყვიერების მასწავლებლად დაგვინიშნეს. ყველა მოვალეობის პირნათლად შესრულება ერთი კაცისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო და ამიტომ მანასეინმა მხოლოდ ერთი სასწავლო წელიწადი დაჰყო ჩვენთან... მოწაფეებმა მხოლოდ მისგან დაიწყეს გადმონაცემის შეგნებით შეთვიცება. მხოლოდ მის დროს გადაიქცა დიდ სასჯელად მოწაფის ნახევარი საათით კუთხეში დაყენება, ან ნახევარი საათით კლასში დატოვება, როდესაც დანარჩენნი უკვე წასულნი იყვნენ. გულამოსკენით ტიროდნენ ხოლმე ვისაც კი ეს სასჯელი შეხვდებოდა. ყურებისა ან თმების მოწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს გულში გასაღებადაც კი შეუძლებელი იყო... მეორე აგრეთვე კეთილგონიერი და ყოვლად მოსაწონი მოწაფეთათვის, მანასეინის შემდეგ დანიშნული, რუსული ენისა და რუსული სიტყვიერების მასწავლებელი იყო, კანდიდატი ხარკოვის უნივერსიტეტისა, ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე დემენტიევი... თავ. ივ. ზაქ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ისტორიას ასწავლიდა; დიდად საყვარელი და პატივცემული იყო ყველასაგან... გამოცდებს თავთავიანთ საგნებში თვით მასწავლებელნი ზელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასეინისა, დემენტიევისა და არღუთინსკი-დოლგორუკოვისა. სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ.



ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვეების ვარსკვლავი,  
შენი ღიმილით შეკმუხენილი სახე მინათლე,  
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით,  
და გულდაჩაგრულს მენტრების კვალად სიციცხლე.

ამ მშვიდმა და ალერსიანმა დედამ აწოვა ძუძუ პატარა ნიკოლოზს და მანვე აზიარა იგი დედაენას — ქართული წერა-კითხვა ვაჟმა დედისაგან ისწავლა.

### ბავშვობა, სკოლა

ნიკოლოზს შინაურობაში ტატოს ეძახდნენ. იგი იზრდებოდა დედისა და გადისის, გორელი გლეხის ქალ მათის ხელში. პატარა ტატო მკვირცხლი და მხიარული ყრმა ყოფილა, „ყმაწვილი ფხიზელი, ცნობისმოყვარე იყო და მიმღები ყოველივე კეთილის შთაბეჭდილებებისა“ — იგონებს კ. მამაცაშვილი. თავის ცხოვრების განთიადზე მომავალი პოეტი ყველაფერს უცქეროდა იმ მიაშიტი თვალებით, რომელმაც ასე შეეფერებოდა კეთილი დედის ხელში სათუთად აღზრდილ ახალგაზრდას.

მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი თავდაპირველად ცხოვრობდა მუხრანთან ხიდის ახლოს, სიონსა და ანჩის-ხატს შუა, ერთ სართულიან და ბანიან სახლში, თეკლე ბატონიშვილის სახლის გვერდით, შეჰდეგ კი (1841 წლიდან) თვით ანჩის-ხატთან, ტატოს მომნათლავის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის სახლის პირდაპირ; ამჟამად მემორიალური დაფა უჩვენებს გამელელებს პოეტის ამ სახლს.

ანჩის-ხატთან ახლოსაა მტკვარი და მისი სანაპიროები რომლებიც ასე ბრწყინვალედ გამოხატა პოეტმა ცნობილ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“; ახლოსაა ის ადგილიც, სადაც შაჰ-ნავაზის სასახლე იდგა და რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა მე-17 საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მოგზაური კავალერი შარდენი; იქვეა პატარა კარის ეკლესია გიორგი XII სასახლისა, სადაც სწირავდა ეგნატე იოსელიანი. ბარათაშვილების ოჯახის ხშირი სტუმარი და ცნობილი მწიგნობარი.

პირველი წიგნები, რომლებიც ტატოს უნდა წაეკითხნა და ნაწილობრივ დაეზეპირებინა, იყო: დავითნი, ჟამნი და სახარება. პოეტის მთელი რიგი ლექსების ჰიმნოგრაფიული ხტილი და ენა ცხადპყოფენ, რომ ნიკოლოზი შესანიშნავად იცნობს ქართული ენის ამ უძველეს ძეგლებს. „ნიკო საუცხოვოდ კითხულობდა სამღვთო წერილსო“, — გადმოაჯცემს მისი დაჰარბარე.

1827 წელს ათი წლის ნიკოლოზი მიიბარეს „კეთილშობილთა სასწავლებელში“. ეს სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა 1830 წელს, ხოლო ახალ ბინაზე (მეორე მსოფლიო ომამდე — პირველი ქართული სა-

გეოგრაფიის მასწავლებელი, მაგალ. გამოცდის ორი კვირის წინ გაკვეთილს აძლევს მოსამზადებლად. ერთს — შვეციაზე; „ — არა, სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ!“ — კარგი, პორტუგალია იყოს; მეორეს — ისპანიაზე — ჰა? რაო? შვეციაზე გინდა? შვეციაზე იყოს!

— მესამეს — ინგლისზე და სხვადასხვა. ამნაირად იქცეოდნენ დანარჩენი მასწავლებლებიც“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ნიქიერი შეგირდი იყო და პედაგოგებიც დიდათ აფასებდნენ მას. სკოლის მეგობრებს შორის იგი თავისი მზიარული, მკვირცხლი ხასიათით და სიმარდით გამოირჩეოდა. კეთილი გულის ტატო, ყველასათვის საყვარელი ამხანაგი, იმავე დროს იყო კარგი მოკრივე, მოსწრებული სიტყვის პატრონი, „ცოტა დამცინავის კილოთი“ (მირიან ჭყონია, მამაცაშვილი). შავი, მოძრავი თვალები ჰქონდა, ერთმანეთზე გადალობილი წარბები და წაბლისფერი თმა. შუათანა ტანისა იყო, პირხმელი და მკვირივი აგებულებისა; ქართული ჩონხა ეცვა და დიბის ახალუხი. პატარა, ლურჯი, ქართულად ჩაეკცლი ქუდი ეხურა და თუმცა საგანგებო სილამაზისა არ იყო, მაინც ძალზე მიმზიდველი გარეგნობა ჰქონდა. ნიკოლოზი შესანიშნავი მოცეკვავე იყო (ცეკვებს ასწავლიდა ვინმე ალდადანოვი) და ჩინებულ მოლექურედ ითვლებოდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრებისა და ამხანაგების წრე ნიქიერი შეგირდებისაგან შესდგებოდა. გიმნაზიაში მის დროს სწავლობდნენ (ზოგი — ერთი ან რამდენიმე კლასით წინ ან პირიქით): დიმიტრი ყიფიანი, შემდეგში გამოჩენილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე; კონსტანტინე მამაცაშვილი. ახლო მეგობარი პოეტისა, რომელსაც პირადი ნაცნობობა ჰქონდა მ. ლერმონტოვთან 40-იან წლებში; ლევან მელიქიშვილი, შემდეგში ცნობილი გენერალი, კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი 70-იან წლებში და ბარათაშვილის ნიჭის დიდი პატივისცემელი; პოეტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ თუმანიშვილი; პოეტის ბიძა ილია ორბელიანი, ბაშკა-დიკლარის გმირი... სხვა ნაცნობთაგან, რომელთაც დიდი სახელი არ მოუხვეჭიათ საზოგადოებრივ ასპარეზზე, შეიძლება დავასახელოთ: იასე ანდრონიკაშვილი, მირიან ჭყონია, ეგორ ვილემსი, გარსევან ვარლამოვი, ი. იზიუმსკი, ივანე ტიტკოვი, ალექსანდრე მონასტირსკი... ამათაც ლიტერატურული ინტერესები ამოძრავებდათ, მაგრამ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილს არგუნა ბედმა დიდი პოეტის მისია.

სკოლაში გაბატონებული ბიუროკრატიული ატმოსფეროს მიუხედავად, მოწაფეების საუკეთესო ნაწილი მაინც ახერხებდა ეპოქის მოწინავე იდეების გაცნობას, კითხულობდნენ ევროპული და რუსული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენლებს. 20-იანი წლების თბილისში იცნობდნენ ბაირონს, გოეტეს, პუშკინს, მიცკევიჩს. პანსიონ-

ში თავმოყრილ ახალგაზრდობას არ აკლდა საკუთარი ინიციატივაც. 1835 წელს შეგიძლებოდა მიერ გამოცემულ ხელნაწერ ჟურნალში („გიმნაზიის ყუავილი“) წრის ერთ-ერთი წევრი ტიტკოვი ასე აგვიწერს არდადეგების პერიოდის ცხოვრებას სოფლად: „დილით, მზის ამოსვლისას, 11 საათამდე ჩვენ ჩვეულებრივად ვაკეთებთ საკლასო ლექციების რეპეტიციებს. 11-ზე — ვსაუზმობთ, პირველზე — ვსადილობთ. სადილობამდე და სადილის შემდეგ დროს ვანდომებთ ლექსებსა და პროზაში პრაქტიკულ ვარჯიშობას. თამაშობა, განსაკუთრებით კი ცხენით ვასეირნება ლამაზი სანახაობის მინდვრებში ან მაცოცხლებელი ჩანჩქერის ნაპირას, ანიჭებს გონებასა და გულს საკმაო სიცხოველეს. საღამომობით ვკითხულობთ პერიოდულ გამოცემებს ან საშინაო ბიბლიოთეკას ვჩხრეკავთ. ნ. ბარათაშვილიც, ჩანს, სხვა ამხანაგებთან ერთად ვადიოდა ქალაქიდან, რადგან აღნიშნულ ჟურნალში მასაც მოუთავსებია კორესპონდენცია „წერილი სოფლიდან“.

30-იანი წლების თბილისში თავს იყრიდნენ რუსეთიდან კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტები (1826 წლიდან) და პოლონეთის ამბოხების მონაწილენი (1831 წლიდან); აქ ჩამოვიდა პუშკინი 1829 წელს; ატმოსფეროში იგრძნობოდა დასჯილ მეამბოხეთა განწყობილებანი და, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, ეს გარემოება თავისებურ გამოხმაურებას პოულობდა ახალგაზრდა გიმნაზიელთა შორისაც.

### სოლომონ დოდაშვილი — მასწავლებელი ბარათაშვილისა

ნიკ. ბარათაშვილი გულმოდგინედ სწავლობდა რუსულს (მასწავლებელი ნ. დემენტიევი). თავის მეგობრებთან ილია ორბელიანთან, ლევან მელიქიშვილთან და სხვებთან ერთად მეცადინეობდა აგრეთვე გერმანულსა და ფრანგულში. დიდი ყოფილა მისი ინტერესი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიისადმი. მაგრამ ნიკოლოზი განსაკუთრებული ყურადღებით სოლომონ დოდაშვილის ლექციებს ისმენდა. გიმნაზიის მასწავლებელთაგან ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ იდეებზე უმთავრესად დოდაშვილმა იქონია გავლენა.

ს. დოდაშვილი (1804—1836) 30-იანი წლების შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტია. იგი რუსეთში იზრდებოდა ცნობილ იონა ხელაშვილის დახმარებით<sup>1</sup>. პეტერბურგში წარმატებით დაამთავრა უნი-

<sup>1</sup> იონა ხელაშვილი თავისებური ქართული სწორად რუსეთიდან სტუდენტის მამას იონან დოდაშვილს: „თქუენი სოლომონ სულით არის ტალანტებიან და მდაბალ და შვიდი და ზნეობითა პატროსანი და ხარაქტრებითა ნიშატიან, აღთქმათა შინა და სიტყუათა მტკიცე, უტყუვილ... ერისა მოყუარე, მამულია სამსახურისა მოსურნე, მყუდრო

ვერსიტეტი და 1827 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდა წიგნი „ლოგიკა“<sup>1</sup>, რომელიც თავის დროზე რუსულმა პრესამ კარგად შეაფასა. ს. დოდაშვილის „ლოგიკა“ რუსული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

დემოკრატიული ფენებიდან გამოსული, მრავალმხრივ განათლებული ს. დოდაშვილი თბილისში ჩამოვიდა 1827 წლის ივლისს და გიმნაზიაში დაინიშნა მასწავლებლად, სადაც ქართულ ენასა და სიტყვიერებას ასწავლიდა. 1828 წლიდან ს. დოდაშვილი რედაქტორობა გაუხეთს „ტფილისის უწყებანი“, რომელიც წარმოადგენდა ქართულ თარგმანს ოფიციალურისა Тифлисские Ведомости. ს. დოდაშვილი იყო აგრეთვე რედაქტორი ლიტერატურული დამატებისა, რომელიც ცალკე რვეულების სახით და შემდეგი სათაურით გამოდიოდა: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832 წ.). ამ ჟურნალში დაიბეჭდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილისა და ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი ერისთავის „ოსური მოთხრობა“, რომელიც ისტორიული თემის საფარველქვეშ ქართველებს მოუწოდებდა გამოეხსნათ სამშობლო „თათრებისაგან“. ლიტერატურული დამატების № 1 და 2-ში დაიბეჭდა აგრეთვე თვით რედაქტორის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, ხოლო 3 და 4 № №-ში — მისივე საყურადღებო წერილი „მეფობა ირაკლი მეორისა“.

ს. დოდაშვილი ღრმად იყო დაინტერესებული საქართველოს პოლიტიკური ბედ-იბღლით, ქართული ლიტერატურის მომავლით და საზოგადოებრივ და სამწერლო სარბიელზე უანგარო პატრიოტული ჭეგნებით ეკიდებოდა ყოველ საქმეს. თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა იგი მოწაფეებისათვის გრამატიკის შედგენას, რომელიც 1830 წელს დაიბეჭდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ გრამატიკის მიხედვით სწავლობდა მშობლიური ენის კანონებს. როცა დოდაშვილს პირველად შეუნიშნავს, რომ ახალგაზრდა ნიკოლოზს წიგნი არ ჰქონდა შეძენილი, ასეთი საუბარი გაუმართავს შეგირდთან.

„ — ბარათაშვილო!

— ბატონო!

---

ცხოვრებისა მოყუარე მსგავსად მემხოლოეთა; მცირეთა მეტყუელ, მრავალთა კეთილთა სიტყუათა მსმენელ, საკმელითა მცირეთა კმაყოფილ... კინისა ძილისა მექონი, წიგნებთა შინა განრთულ, ეამების არ წარწყმედილ, ყოვლადთა სიტყუებთა და საქმეთა მარჯუელ მსჯელ...“ ამ დახასიათებას ამართლებდა ს. დოდაშვილი სიკვდილამდე, მხოლოდ „მყუდრო ცხოვრება“ მან არ მოისურვა კოლონიური რევიმის პირობებში და როგორც 1832 წლის შეთქმულების წევრი, გადასახლებაში გარდაიცვალა.

<sup>1</sup> სრული სათაური; Курс философии, часть первая. Л о г и к а. Сочинение Соломона Додаева — Магарского, СПб, 1827.

— მამა შენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი კირიმე!

— მაშ, რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არ გქონია, კლასში არ შემოგიშობ.

მეტი რა ღონე იყო, ამ ულტიმატუმმა შეაშინა პოეტის მამა და აყიდინა იმას ერთი ვაივავლახით დოდაშვილის სწორმეტყველება“ (ი. მეუნარგია).

ნ.კ. ბარათაშვილი საუკეთესო მსმენელი იყო ს. დოდაშვილისა. ამას ადასტურებს დოდაშვილის გრამატიკული სისტემის დიდი ზეგავლენა ბარათაშვილის ენასა და ორთოგრაფიაზე (სპეციალურად იხ. ქვემოთ, თავი „ენა და სტილი“). ჩანს, ახალგაზრდა პოეტი ყურადღებით ისმენდა აგრეთვე მასწავლებლის აზრებს კლასიკური პერიოდის ქართულ ზეწერლობაზე. ნ. ბარათაშვილი ზედმიწევნით იცნობდა რუსთველის ეპოქის პოეტურ ძეგლებს და ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნისას რუსულად თარგმნა ნაწყვეტი „ვისრამიანიდან“. გულდასმით უყითხავს არა მარტო „ვეფხისტყაოსანი“, არამედ შავთელისა და ჩახრუხაძის ოდები. მას ზოგჯერ უცვლელადაც გადააქვს (თუმცა სულ სხვა პოეტური მიზნებისათვის) თავის ლირიკულ შედეგებში საზომები, ცალკეული ფრაზები და იშვიათი სიტყვებიც კი ამ ძეგლებიდან. უეჭველია, კლასიკური მწერლობით ბარათაშვილის დაინტერესებაში მნიშვნელოვანი წილი უდევს ს. დოდაშვილსაც. წერილში „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“ ავტორი აღფრთოვანებით აქებს სწორედ ზემოდ დასახელებულ მეზობლებს. დოდაშვილი, მაგალითად, წერს: „...ლექსი ჩახრუხაძისა „თამარიანი“ — ქება თამარ დედოფლისა — უმაგალითოსა თანხმობისა გამო თვისისა ღრიალ შესანიშნულ არს. ზომიერი და განწყობილია მისი აწარმოებს სმენისათვის სასიამოვნოსა სიმფონიასა; ზოლო გამოხატვა იდეათა. ცვალება და ხმარება სხუდასხუათა მნიშვნელობათა მსგავს ხმოვანებასა შინა ლექსთასა შეადგენენ მახვილგონიერებასა აზრთასა“ (იხ. „სალიტერატურონი ნაწილნი...“, 1832 წ. № 2, გვ. 31).

უფრო დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა თავის შეგირდებზე ს. დოდაშვილს, როგორც ფართო საზოგადოებრივი იდეებით აღჭურვილ მოღვაწეს. ეს შესანიშნავი პატრიოტი რესპუბლიკური მისწრაფებებით დაბრუნდა რუსეთიდან, შეფარვითა და სიფრთხილით აცნობდა თავის შეხედულებებს პოლიტიკური საკითხების შესახებ ახალგაზრდა შეგირდებს და ზოგჯერ საჯარო გამოსვლებშიც არ ერიდებოდა ნართაულით ელაპარაკნა საქართველოს წარსულისა და მომავლის გარშემო. ასე, მაგ., კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა საჯარო გამოც-

დაზე 1828 წლის 6 ივნისს მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ერეკლე მეორის პოლიტიკის, ერთმეფობისა და საერთოდ მონარქიულ-წყობის კრიტიკას წარმოადგენდა. საქართველოს ეროვნული დაქვეითების გამო მას სხვათაშორის უთქვამს: „...უქანასკნელ ერთკერძო განუქვერეტელობამან და ერთკერძო შეიწროებამან ძლიერთაერთამან, მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესე ვითარ ხარისხამდე. დამდაბლებისა, რომელ მავიწყებელი მოქალაქე ბრისა თავისუფლებებისა და თანაც წარწყმედელი მაღლისა მის დანიშნულებისა, კაცთა და მეფობისა“... მაგრამ რესპუბლიკური იდეები სრულიად არ უშლიდნენ ხელს ს. დოდაშვილს ნაწილობრივ პოლიტიკური რომანტიზმის ნიადაგზედაც დარჩენილიყო. იგი დიდი თავყანისმცემელი იყო ერეკლე მეორესა და თავის უპრინალში პატარა კახის პიროვნებას აღფრთოვანებული სტრუქტურები უძღვნა (წერაილი: „მეფობა ირაკლი მეორისა“).

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ საქართველოს ეროვნული პრობლემა და ერეკლე მეორის ისტორიული როლის საკითხი ნიკოლ. ბარათაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ ცენტრალურ თემას წარმოადგენს და პოეტი გაორებულია ამ საკითხებზე დაფიქრების დროს: ერეკლესადმი დიდი სიყვარული ჩელს არ უშლის მას ს. ლეონიძის პირით წარმოსთქვას მონოლოგი, რომელიც რესპუბლიკური იდეებას ქადაგებას წარმოადგენს („ბედი ქართლისა“).

ს. დოდაშვილის შეხედულებებს, რასაკვირველია, კარგად იცნობდა ნიკ. ბარათაშვილი. დოდაშვილთან ხშირად იკრიბებოდა მაშინდელი ქართული საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ნაწილი და მასპინძელი უფრო მეტს თავისუფლებას გრძნობდა კერძო საუბრების დროს, ვიდრე გიმნაზიაში ან საჯარო კრებებზე. აღსანიშნავია, რომ გიმნაზიის მოწაფეების ამ საყვარელი პედაგოგის ბინაზე ხშირად დადიოდნენ შეგირდებიც (მაგ. დავით მაჩაბელი, სკოლაში ერთი კლასით უფროსი ნ. ბარათაშვილისა). „მეჩანის“ ავტორი ადრე მომწიფდა გონებრივად და სრულიადაც არაა შეუძლებელი, რომ მასაც მიეღო მონაწილეობა მასწავლებლის ლიტერატურულ კრებებზე. ამ მხრივ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული პოეტ ვახტანგ ორბელიანის ცნობა: „ნიკ. ბარათაშვილი გამოიწრთვნა სოლომონ დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან შეიგნო მან მამულიშვილური მიმართულება; თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ბარათაშვილი ყოფილიყოს“.

თუ როგორი იყო თვითონ მასწავლებლის „მამულიშვილური მიმართულება“, ამას ჩვენთვის სავსებით ნათელს ხდის მისი ადგილი 1832 წლის შეთქმულებაში.

ნ. ბარათაშვილის ყმაწვილობისა და სკოლის პერიოდის წლებსა გარეგნულად უშფოთველი დინების დროს მოხდა ის ამბავი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეს იყო 1832 წლის შეთქმულება და მისი აღმოჩენა.

შეთქმულების აღმოცენებას ღრმა ისტორიული მიზეზები ჰქონდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში კავკასიის პოლიტიკურ ისტორიაში უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს შეერთება რუსეთთან. აზიის აგრესიულ სახელმწიფოებთან — თურქეთთან და ირანთან ხანგრძლივმა ომებმა ამ ორი ქვეყნის შუა მოქცეული საქართველო აიძულეს ჩრდილოეთის უძლიერესი იმპერიის პროტექტორობა მიეღო. 1783 წლის 24 ივლისს ქ. გეორგიევსკში ერეკლე მეორის რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს რუსეთთან მეგობრული პაირობის სიგელს, რომლის მიხედვით მეფე აღიარებდა იმპერატორას უზენაეს უფლებას საქართველოზე. ერეკლე მეორე ფიქრობდა, რომ საქართველო ამიერიდან დამშვიდებული იქნებოდა გარეშე მტრები-საგან, მაგრამ ირანი კიდევ ერთხელ შემოესია მის ქვეყანას (1795): დაარბია იგი, ხოლო იმპერატორის მხრივ რეალური დახმარება ფიქცია აღმოჩნდა. 1798 წელს ერეკლეც გარდაიცვალა და სამი წლის შემდეგ, 1801 წელს, ალექსანდრე I ოფიციალურად გააუქმა სამეფო და საქართველო თავისი იმპერიის ნაწილად გამოაცხადა.

ამ ისტორიული ფაქტისათვის საუფუძველი დიდხანს მზადდებოდა. რუსეთზე ორიენტაციას საუკუნოებრივი ტრადიცია ჰქონდა საქართველოში. ქრისტიან ქართველ ხალხს, რასაკვირველია, ერჩივნა რუსეთთან გაედო პოლიტიკურად შემაერთებელი ხიდი, ვიდრე მუსლიმურ აღმოსავლეთთან, რომელიც მას სრული წაღვეკით ემუქრებოდა. ამიტომ რუსული ორიენტაცია ძირითად გეზს წარმოადგენდა არა მარტო ერეკლე მეორის, არამედ უფრო ადრე, ვახტანგ VI საგარეო პოლიტიკისაც. მეორეს მხრივ მონარქულ რუსეთსაც ჰქონდა თავისი ინტერესები კავკასიაში. XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის წინაშე ისახება ფართო გეგმა აღმოსავლეთის ბაზრის დაპყრობისა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის კაპიტალთან კონკურენციას, რომლის ასპარეზი ახლო აღმოსავლეთი უნდა გამხდარიყო. ამ მიზნის მიღწევას მეფის რუსეთს საქართველომ ანექსია გაუადვილებდა. რაიც ფაქტიურად 1801 წელს განხორციელდა. სამეფოს გაუქმება დააჩქარა საქართველოს საგარეო მდგომარეობამაც — თურქეთისა, ირანისა და დაღესტნის მტრულმა დამოკიდებულებამ. ხშირმა შემოსევებმა და ხალხის აწიოკებამ. კატასტროფული აღმოჩნდა კრწანისთან სპარსელების მიერ ერეკლე მეორის დამარცხება

და ალა-მაჰმად-ხანისაგან ტვილისის აღება 1795 წელს. არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ქვეყნის შინაურ არევ-დარევას, მეფესა და სასახლის დანარჩენ წევრებს შორის უთანხმოებასა და კინკლაობას, ერის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და სხვ. რუსეთის მეფის მიერ საქართველოს ანექსია ფაქტი შეიქმნა.

ფეოდალური წოდების დიდი ნაწილი ამ აქტს მტრულად შეხვდა. მეფისა და მისი პრეროგატივების სრული გაუქმება ქვეყნის მმართველობაში მათს იზოლაციასაც გულისხმობდა. ეროვნული ინტერესები შებღალული აღმოჩნდა, ამან კი თავად-აზნაურობას პროტესტიანა და ამბოხების განწყობილება შეუქმნა. ერის ფართო ფენების ინტერესები კი სავსებით მიიჩქმალა.

XIX საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლები საქართველოს ცხოვრებაში აღინიშნა ტყვიულებითა, დრტვინვისა და გარდატეხების ხანად. ირღვეოდა ძველი ფორმები პატრიარქალური ყოფისა და ზნე-ჩვეულებისა. უფლებრივად შეზღუდული არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან განიძსკვალა პოლიტიკური რომანტიზმით და ფარულად ცდილობდა ძალების მოკრებას წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის იმპერიის პერიფერიაშიც (მაგ. პოლონეთში) დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ ძლიერ გამოსვლასა და აჯანყებას ჰქონდა ადგილი; უფრო ადრე, 1825 წელს მოხდა ე. წ. დეკაბრისტების გამოსვლა პეტერბურგში სენატის შიგნით. 1830 წელს პოლონეთში იფეთქა ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა ამბოხებამ, რომელიც მკაცრი რეპრესიებით ჩააქრო ნიკოლოზ პირველმა 1831 წ. ყოველივე ეს გამოძახილს პოულობდა საქართველოში და უწინარეს ყოვლისა ქართულ ემიგრაციაში, რომელიც რუსეთს (მოსკოვსა და პეტერბურგში) გადასახლებული ბატონი-შვილებისაგან შესდგებოდა. ამის შემდეგ სავსებით გასაგებია თუ დეკაბრისტების გამოსვლისა და პოლონეთის აჯანყების ქრონოლოგიურ რკალში (1825—1830) ექცევა ქართველ შეთქმულთა ორგანიზაციის ჩამოყალიბების ხანაც. თვითონ შეთქმულების იდეა პირველად ჩაისახა პეტერბურგს მცხოვრებ უფლისწულების წრეში, რომელთა ხშირი სტუმრები იყვნენ საქართველოდან რუსეთს ჩასული დიდი თავადებიც. ამ წრეში ხშირად ჰქონია ადგილი საუბარს საქართველოს განთავისუფლებაზე ჯერ კიდევ 1825 წელს და, საფიქრებელია, უფრო ადრეც, მაგრამ შეთქმულების ოფიციალური გაფორმება 1826 წლის შემდეგ მომხდარა. 1828 წელს ლიედენში, ჟანდარსკის სახლში დიმიტრი, გიორგი და ელიზბარ ერისთავები ხელს აწერენ საიდუმლო პირობის ქაღალდს და ფიცს სდებენ, რომ არ უმტყუნებენ ერთმანეთს „ს ა ე რ ო ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ი ს“ საქმეში. 1832 წელს მათთვის



ჩამორთმეულ ჩვენებათაგან ირკვევა, რომ ისინი სავსებით იზიარებდნენ პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილების (დიმიტრის, ფარნაოზის, ოქროპირის და სხვების) აზრებს საქართველოს სამეფოს აღდგენის შესახებ. ეს იყო შეთქმულების პირველი ფორმალური ჩამოყალიბება. თუმცა ძალიან ვიწრო წრეში და ფართო სამოქმედო პროგრამის გარეშე. თვითონ საქართველოში ორგანიზაციის შექმნისათვის მზადება ამის შემდეგ დაიწყო.

1829 წელს საქართველოში ჩამოდის ოქროპირ ბატონიშვილი, ხოლო 1830 წელს ელიზბარ ერისთავი, რომელნიც აგვირგვინებენ შეთქმულების მომზადების წინასწარ სამზადისს. ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1830 წლის დასაწყისში. სწორედ ამ დროს დაიწყო პოლონეთის აჯანყებაც და ქართველ შეთქმულებს ამან მეტი გამბედაობა შეჰპაატა.

შეთქმულებაში ჩაება დიდი ნაწილი ქართველი თავად-აზნაურობისა. მის მონაწილეთა შორის ვხედავთ პოეტებსა და მწერლებს — ალექსანდრე ჰავკავაძეს, ვახტანგ, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანებს, გიორგი ერისთავს, სოლომონ რაზმაძეს, დ. ყიფიანს და სხვებს. შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორია სოლომონ დოდაშვილი, მემამბოხეთა პროგრესული ფრთის გამოჩენილი იდეოლოგი. შეთქმულება აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, ორგანიზაციას ჰყავს წარმომადგენლები არა მარტო ქართლიდან და კახეთიდან, არამედ იმერეთიდანაც. აჯანყება უნდა მოსდებოდა მთელ ამიერ-კავკასიას — შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე, უნდა გამოეწვია მთისა და ბარის ხალხების ერთობლივი გამოსვლა.

როგორი იყო ქართველი შეთქმულების პროგრამა?

შეთქმულების მთავარი მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება მონარქიული იმპერიის ხუნდებისაგან და სრული აღდგენა ქვეყნის სუვერენიტეტისა. მაგრამ ახალი საქართველო შეთქმულების ყველა წევრს ერთნაირად როდი ესახებოდა. ორგანიზაციის პროგრესულ ნაწილს, რომელიც დასავლეთის ჰუმანისტურ იდეებზე იყო აღზარდილი და დეკაბრისტების პროგრამიდან ბევრ რასმეს იზიარებდა. ახალი საქართველო სრულიად არ წარმოედგინა იმ სახით, როგორაც ჰქონდა მას უკანასკნელი მეფის დროს, ანუ სრული დაცემის მომენტში (1801). ყოველ შემთხვევაში, თუ წმინდა რესპუბლიკური წყობის მომხრეთა თვალსაზრისს არ გაუმარჯვნია შეთქმულთა შორის (რადგან 1832 წლის შეთქმულების უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურებისაგან შესდგებოდა), სამაგიეროდ მომავალი საქართველო უმრავლესობას ესახებოდა კონსტიტუციურ მონარქიად, უფლებრივად შეზღუდული მეფით სათავეში. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ შეთქმულთა რადიკალურ ნაწილს თავისი მსჯელობის საგნად არა ერთხელ ჰქონია

ევროპის ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილება და კერძოდ საფრანგეთის მაგალითი მათთვის ერთგვარ პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა. ამ წრეში რესპუბლიკური იდეები იყო განმტკიცებული. ხალხის როლს სახელმწიფო მმართველობაში ისინი განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ და სრულიადაც არ ისახავდნენ მიზნად XVIII საუკუნის ფეოდალური საქართველოს უბრალო რესტავრაციას. დამახასიათებელია, რომ იმ ხანებში თვით გრ. ორბელიანს უთარგმნია დეკაბრისტი კონდრატი რილევის „ნალივაიკოს აღსარება“, და საკუთარს „დღიურში“ (1831 წ.) რესპუბლიკის შესახებ მსჯელობს. სოლომონ დოდაშვილი კი პირდაპირ ეუბნებოდა ზოგჯერ შეთქმულს: „მე მიიღია საქართველოს განთავისუფლება არა იმისათვის, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვარისანი ფაქმეფდეს. საქართველოში, არამედ რათა საქართველო შეიქმნას რესპუბლიკადო“ (ვახტანგ ორბელიანის ჩვენებიდან).

შეთქმულებს შორის საბოლოოდ კონსტიტუციური, შეზღუდული მონარქის იდეას გაუმარჯვნია. მეფედ ვაჩუღობდნენ საქართველოდან ლტოლვილ ალექსანდრე ბატონიშვილს, ვრეკლე მეორის შვილს, რომელიც მაშინ სპარსეთში ცხოვრობდა. ძირითადი საკანონმდებლო ორგანო არჩევნებითი წესით უნდა შეედგინათ აჯანყების დამთავრებისთანავე, ხოლო მთავრობაში მინისტრთა პორთფელები წინასწარ იყო განაწილებული. აჯანყება დაიწყებოდა 1832 წლის ბოლოს (საბოლოო თარიღად აირჩიეს 20 დეკემბერი), როცა კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი ბარონი როზენი დალიტანს გამგზავრებოდა მთიელთა წინააღმდეგ საომარი ექსპედიციის ჩასატარებლად (რუსის მჭედრობას განზრახული ჰქონდა დალიტანს, პირველი იმამის დაზიმუჰამედის (დაზიმოლას) რეზიდენციის გიმრის აღება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი შეთქმულნი მთიელების წინამძღოლთანაც იყვნენ დაკავშირებულნი). 20 დეკემბერს დანიშნული იყო ქართველ თავად-აზნაურთა ყრილობა და შეამბოხენი აპირებდნენ ყრილობის მონაწილეთა წვეულებაზე დაეპატარებინათ ადგილობრივი ხელისუფლების ყველა თვალსაზირო წარმომადგენელი. შეთქმულნი უმაღლვე ქალაქს ჩაიჯდებდნენ ხელში, აჯანყება ერთდროულად მოედებოდა პროვინციებსაც, ხოლო დარიალის კარი ჩაიკეტებოდა დალიტანს მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში მოქმედი კავკასიის ჯარისათვის.

მაგრამ შეთქმულება აღმოჩენილი იქნა: 9 დეკემბერს ის გასცა ფარული ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა იასე ფალავანდიშვილმა. თბილისის მაშინდელი გუბერნატორის იოსებ ფალავანდიშვილის ძმამ. 10—11 დეკემბერს შეთქმულების ორგანიზატორები შეიპყრეს. 1833 წლის 20 სექტემბერს მთავრობის კომისიამ გაძოძიება დაამთავრა. პა-

სუბსიგებაში მიცემულ 145 კაციდან უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით დასაჯეს. სასამართლოს გადაეცა 13 კაცი. 10 კაცს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ განაჩენი შემდეგ გადასახლებით შეუცვალეს.

1832 წ. შეთქმულება და ნ. ბარათაშვილი. „ტფილისის  
ვიმნაზიის ყვავილი“

ნიკოლოზ ბარათაშვილი 15 წლისა იყო, როცა შეთქმულება გამოქვლავდა. ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმის საფიქრებლად, თითქოს ვიმნაზიელი ტატო ორგანიზაციულად იყო დაკავშირებული შეთქმულებასთან. მან, როგორც მცირეწლოვანმა, ალბათ არც იცოდა აჯანყებისათვის მზადების ამბავი.

მაგრამ. ნ. ბარათაშვილი შეთქმულთა იდეური მემკვიდრე აღმოჩნდა ქართულ ლიტერატურაში. მოულოდნელი აქ არაფერია, რადგან პოეტი ჭაბუკობიდანვე მათ წრეში ტრიალებდა. შეუძლებელია მომავალ პოეტს არ ეგრძნო ის შედეგებული პოლიტიკური ატმოსფერო, რომლითაც მაშინ გაჟღენთილი იყო თბილისი და მის ფაქიზ არსებას ინსტიქტიურად მაინც არ აეთვისებინა უფროსი ამხანაგების სულსკვეთება. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა ტატოს მასწავლებლები და ახლო ნათესავები — სოლომონ დოდაშვილი. გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები. ესენი, დოდაშვილის გარდა, ნიკ. ბარათაშვილის სიკვდილს მოესწრნენ და იშვიათი გულისტივილით გამოიტირეს „საქართველოს უზადო პოეტი“ დაკარგვა. და ამ გამოტორილს ჰქონდა არა მარტო ნათესაური, არამედ საზოგადოებრივი სარჩულიც.

საკითხავია, როგორ შეხვდა ნ. ბარათაშვილი შეთქმულების ჩავარდნას?

ამას, უწინარეს ყოვლისა, ნათელს ჰნდის მისი ლექსი „ძია გ...ს-თან“, რომელიც რუსეთს გადასახლებული ბიძის გრიგოლ ორბელიანისადმია მიმართული:

ძიავ, ყაბახი სამშობლო შენი  
წაგართო ავის ენისა გესლმან;  
სატრფონი მისნი შემოგარენი  
გარდახვეწილსა დაგიშო ეტლმანსი  
მაგრამ გაჩნს კიდევ გულში მის არე,  
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,  
თუმც უცხო, უცხო თემად იარე,  
მრავალი კარგი ნახე ამბავი. —

მაგრამ რას ჰხედავ აუ კრული ჩრდილოს?  
აჰა ის ღამე, ოდეს სატრფონი  
ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,  
შენი სიყრმისა თან-ზრდილნი ჰსწორნი. —

დიდი გონება-მახვილობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, თუ რას გულისხმობს ნ. ბარათაშვილი გამოთქმაში „...ავის ენი სავესლმან“. პოეტს მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის გამოცემლობა, რამაც 32 წლის შეთქმულების ჩავარდნა გამოიწვია.

ლექსი დაწერილია 1836 წელს, მაგრამ ნ. ბარათაშვილი ასე გვიან როდი გამოხმობრება (თუმცა არა ლიტერატურულად) შეთქმულების მარცხს. იგი თანამშრომელია ანთოლოგიის სახის ხელნაწერი კრებულისა, რომელიც ახალგაზრდა ლიტერატორებმა გამოუშვეს ქართულად 1833 წელს. კრებულში შეტანილია ნ. ბარათაშვილის ე. წ. „ყრმობის პერიოდის“ ლექსები, პოეტური ნაწარმოებნი დავით მაჩაბლისა და მიხ. თუმანიშვილისა. იქვეა მოთავსებული ლექსები მ ა შ ი ნ თ ბ ი ლ ს ი ს ყ ა ზ ა რ მ ე ბ შ ი მ ს ხ დ ო მ შ ე თ ქ მ უ ლ თ ა — ალ. ქავკავაძისა, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანებისა, აგრეთვე გიორგი ერისთავის ცნობილი „ოსური მოთხრობა“, რომელიც ერთი წლით ადრე (1832 წ.) ს. დოდაშვილმა დაბეჭდა თავის ჟურნალში. პროტესტანტული სულითაა აღბეჭდილი გრიგოლ ორბელიანის ლექსის „იარალის“ ის ადგილიც, რომელიც უსახელოდ და ნაწყვეტი სახითაა შეტანილი კრებულში. ცხადია, ხელნაწერი კრებულის მონაწილე ახალგაზრდები ღრმა სიმპათიით იყვნენ განწყობილნი მემბოხეებისადმი. ხელნაწერი კრებულის გამოცემა იმ დროს, როცა აღმოჩენილი შეთქმულების ორგანიზატორები ციხეში ისხდნენ და განაჩენს ელოზნენ, ახალგაზრდების მხრივ ნამდვილ პოლიტიკურ გამოსვლად უნდა ჩაითვალოს. ნიკ. ბარათაშვილი ამ პოლიტიკური დემონსტრაციის ერთ-ერთ მონაწილედ გვევლინება.

გიმნაზიის ახალგაზრდობას არც შეთქმულთა გადასახლების შემდეგ უღალატნია ერთხელ აღებული გეზისათვის. 1835 წელს ისინი რუსულ ენაზე სცემენ ხელნაწერ ჟურნალს „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ («Шесток Тифлисской гимназии»), რომლის ხუთი ნომერი 1835-1836 წწ. გამოვიდა. ჟურნალის № 4-ში (რომელსაც ჩვენამდე არ მოაღწევია) ნ. ბარათაშვილს მოუთავსებია შემდეგი მასალა.

1. Отрывок из грузинского романа Вис-Рамнани (თარგმანი)
2. Письмо из деревни (კორესპონდენცია)
3. О папской власти
  - a. О возвышении папизма
  - b. О падении его (ისტორიული ნარკვევი)

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილს აინტერე-

სებდა კათოლიციზმის ისტორია, რაიც ახალგაზრდა გიმნაზიელს ვრცელ გონებრივ ინტერესებზე მეტყველებს.

ჟურნალის პოლიტიკური ფიზიონომიის გამოსარკვევად იმის აღნიშვნაც კმარა, რომ „გიმნაზიის ყვავილში“ მოთავსებულია თარგმანები ს. დოდაშვილის ცნობილი წერილებისა; 1) „განხილვა ქართული ლიტერატურისა“ და 2) ისტორიული მიმოხილვა „მეფობა ირაკლი მეორისა“. ამრიგად „გიმნაზიის ყვავილი“ აგრძელებს 1833 წელს ქართულ ენაზე გიმნაზიელების მიერ გამოცემულ ხელნაწერი ალმანახის გეზს. მასალას წინასწარ სინჯავდა გიმნაზიის ინსპექტორი, მაგრამ ახალგაზრდა ლიტერატორებს ჟურნალში მაინც შეუტანიათ ქალაქ ვიატკაში გადასახლებული თავიანთი მასწავლებლის წერილები. ეს პოლიტიკურად საცთური და გაბედული ნაბიჯი კარგად გვისურათებს ჟურნალის იდეოლოგიურ მხარეს და თანამშრომლების ზნეობრივ ვალდებულებას დამარცხებული თაობის წინაშე.

ჟურნალში არ გვხვდება არც ერთი ლექსი ან პროზაული ნაწარმოები კაზიონური შინაარსისა, არ მოიპოვება არც ერთი ხოტბა მონარქიის მისამართით და, საერთოდ, თავისი პრინციპულობით იგი გიმნაზიელთა იდეური სიმწიფის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს.

ჟურნალში მოთავსებული მასალა აგრეთვე ცხადყოფს ახალგაზრდობის ზოგად კულტურულ დონეს გასული საუკუნის 30-იან წლებში. გიმნაზიელები უმთავრესად ქართულ და კავკასიურ თემებს ამუშავებენ. მათ ნაწერებს ეტყობა რუსული ლიტერატურული ცენტრების გავლენა რომელიც, ჩანს, შეუძენიათ სკოლაში, საკუთარი ინიციატივითა და იმ დროს გავრცელებული ჟურნალების (უმთავრესად „ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“-ს) საშუალებით. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ლექსები ეგორ ვილემსისა, „ყვავილის“ ძირითადი თანამშრომლისა პოეზიის დარგში. აღსანიშნავია ახალგაზრდა ავტორის ლექსები «К друзьям» და «Кн. Туманову», რომელნიც 30-იანი წლების რუსულ პოეზიაში გავრცელებული თემების ადგილობრივ გადამღერებას წარმოადგენენ. ვილემსიც აქებს ღვინის თასს, რომანტიულად იგონებს განვლილ დროს, უმღერის მეგობრობის კულტს და თავისებურ ანაკრონოტიზმს ქადაგებს. სანიმუშოდ მოვიყვანოთ თუმანიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს:

Спеши, друг, жить, — пока ланиты  
Зарею юности горят, —  
Пока и муза и хариты  
С улыбкой на тебя глядят..  
Налей бокал вином кипящим  
Беспечно дружбе руку дай, —  
И наслаждайся настоящим,  
О будущем не помышляй.

ეს მიძღვნა დამახასიათებელია ჟურნალში წარმოდგენილი ლირიკისათვის.

„გიმნაზიის ყვავილში“ აგრეთვე გვხვდება ელეგიები, კავკასიის ბუნებისადმი მიძღვნილი ლექსები და სხვა. გიმნაზიელთა მხატვრულ ცდებში ამახელენ, რომ ისინი იცნობენ პუშკინის, ბარათინსკისა და ლერმონტოვის შემოქმედებას. მკითხველს შეუძლია აგრეთვე მოიგონოს ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში გაფანტული რემინისცენციები რუსული ლიტერატურიდან (კერძოდ ლერმონტოვიდან), და ცხადი გახდება, რომ ქართველი პოეტი გიმნაზიის პერიოდში იცნობდა რუსული პოეზიის დიდ სახელებს.

„გიმნაზიის ყვავილში“ გვხვდება ისტორიული შინაარსის წერილებიც, ჟურნალს საზოგადოდ ისტორიული მასალის სიქარბე ახასიათებს. იქ შეტანილია თარგმანი ს. დოდაშვილის წერილისა „ირაკლი მეორის მეფობა“, აგრეთვე იასე ანდრონიკაშვილის „წერილები კახეთზე“, რომელშიაც ავტორი გადმოგვცემს ერეკლე მეორის სასახლის ნანგრევების ხილვით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს და ა. შ. მაგრამ ახალგაზრდა გიმნაზიელები გულისყურით სწავლობენ არა მარტო საქართველოს ისტორიულ წარსულს, არამედ ევროპისა და ანტიკური ქვეყნების ისტორიასაც და თემების დამუშავების ფორმა და ხასიათი მათ წერილებში ხშირად სცილდება სკოლური პროგრამის ფარგლებს.

ნ. ბარათაშვილის უშუალო შესწავლისა და სიყვარულის საგანს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ისტორიული წარსული შეადგენდა, მაგრამ პოეტი იმავე დროს დიდი ინტერესით ეცნობოდა მსოფლიოს ისტორიას. გვიან, პირადს წერილებში იგი ასახელებს არა მარტო იმპერატორ ავგუსტუსს, ან ატილას, არამედ შედარებით ნაკლებცნობილი ავსტრიელი მხედართმთავრის მონტეკუკოლის (Montecuccoli) სახელსაც. 1838 წელს დასწერა მან ლირიკული ლექსი „ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი“, რომელიც პოეტური აზრის სიღრმის თვალსაზრისით, თამამად შეიძლება მოვათავსოთ პიუგოს, ჰაინეს, ლერმონტოვისა და ტიუტჩევის მიერ ნაპოლენზე დაწერილი შედევრების გვერდით.

ნიკ. ბარათაშვილი დიდი ქართველი იყო და იმავე დროს ფართოდ და მრავალმხრივი ინტერესებით აღჭურვილი ადამიანი.

#### ნიპოლოზ ბარათაშვილი – მოხელე

დავუბრუნდეთ პოეტის ცხოვრების ეტაპებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

1832 წელი ნ. ბარათაშვილისათვის აღინიშნა კიდევ ერთი უბედურებით: გიმნაზიის კიბიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი დაიშავა.

ნაღრმობი მოურჩენიათ, მაგრამ მთელი სიცოცხლე კოჭლი დარჩენი-  
ლა. ცხადია, ყოველივე ეს უფრო გააღვიძებდა მის ისედაც ნერ-  
ვულ ბუნებას. მაგრამ მუდამ მოუსვენარი და მკვირცხლი ბარათაშვი-  
ლი დიდად არ გამოცვლილა და ბოლომდე დარჩა მეგობრებისათვის  
საყვარელ ამხანაგად, რომელსაც ხალისი და ჟრიაშული შეჰქონდა მათს  
ყოველ კრებაში. ამასთან იგი მწარე ეპიგრამისტი იყო, განსაკუთ-  
რებით ოფიციალური პირებისადმი. ასე, მაგ., ნიკ ბარათაშვილს და-  
უწერია სატირა გიმნაზიის შეგირდების მიერ მოწყობილი კონცერტის  
აბუჩად ამგდებ პირებზე. სატირა კონცერტში ჩაუდვიათ და მაშინდელ  
გუბერნატორ იოსებ ფალავანდიშვილისათვის (შეთქმულების გამცე-  
მის ძმისათვის) გაუგზავნიათ. პოლიციას დამნაშავეს კვალისთვის მი-  
უგნია და გიმნაზიელი ტატო მშობლებისათვის მიუყვანიათ დასასჯე-  
ლად. მამას იმდენი უცემნია თავისი ვაჟისათვის, რომ კინალამ სული  
ამოუტრთმევია (ი. მეუნარგია).

დოდაშვილის შედეგ გიმნაზიაში მას ქართულს ასწავლიდა ვინმე  
ყორანოვი, კაცი საერთოდ გაუნათლებელი და საგნის არ მცოდნე.  
შეგირდებს დოდაშვილის გრამატიკის მიხედვით უხსნიდა გაკვეთი-  
ლებს, მაგრამ უხეიროდ. რუსული ენის მასწავლებლის ნ. დემენტი-  
ევს გარდა, მოწაფეებს საყვარელი პედაგოგი და ხელმძღვანელი უკვე  
აღარა ჰყავდათ. გიმნაზიელები თვითონ მუშაობდნენ თავიანთ თავზე  
და „გიმნაზიის ყვავილის“ გამოცემისას (1835), როგორც ჩანს, სას-  
წავლებლის დირექციას არავითარი მორალური დახმარება არ აღმო-  
უჩენია მათთვის.

1835 წლის ზაფხულში ნიკ. ბარათაშვილმა გიმნაზიის კურსი დაასრუ-  
ლა და განზრახული ჰქონდა სამხედრო სამსახურში ან უნივერსიტეტში  
შესულიყო. უახლოესი ნათესაეებიც გრძნობდნენ, რომ მომავალი პოეტის  
ნიქს შემდგომი გაწვრთნა სჭირდებოდა. რუსეთში მყოფი ბიძამისი  
გრ. ორბელიანი 1835 წ. № 27 ივლისის თარიღით სწერდა თავის ძმას  
ზაქარიას „ჩემს საყვარელს დას ეფემიას თავის შვილებით დევჰოცენი  
ახა, ანგელოზო ჩემო, რად დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღარ მახსე-  
ნეს, რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს?  
ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казенном иждивении იმის გა-  
გზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. — Жаль, очень жаль будет если его  
умственные способности останутся без развития — ნეტავი გამოგზავ-  
ნოს დერჰტკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი  
რუსეთში. ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუ კი მელიტონი ჰსთხოვს  
ბარონს“ (გ. ვ. როზენს, ა. გ.). საერთოდ გრ. ორბელიანი ყოველთვის დიდ  
ყურადღებას აქცევდა ნიჭიერი დისწულის მომავლის საკითხს; ამ ორ ნათ-  
ესავე შორის ძმური დამოკიდებულება არსებობდა და, თუმცა, გრ. ორბე-  
ლიანი 13 წლით უფროსი იყო ტატოზე, ბიძას ადრე უპოვია სულიერი

ნათესაობა დისწულთან. აი რას სწერს გრ. ორბელიანი თავის ძმას ილიას საერთო ნათესავის მიხაკო ორბელიანის შესახებ: „მიხაკოს სიყვარულით მოვიკითხავ!—ვინძლო, რომ ერთმანეთი გიყუარდესთ გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს გვიყუარდა ურთიერთით“ (1836 წ.) მაგრამ მართოდენ ყურადღება საკმარისი არ აღმოჩნდა მელიტონ ბარათაშვილის უფროსი მემკვიდრის შესაფერ გზაზე დასაყენებლად. სამხედრო სამსახურში შესვლაზე მას მშობლებმა უარი უთხრეს, უმაღლეს სასწავლებელში გასაგზავნად კი არავითარი საშუალება არ გააჩნდათ. ამ ხანებში მელიტონმა მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და ისედაც ვალებში ჩაეარდნის მიხაკი ოჯახი ახლა სილატაის პირას იღვავ. მშობლები თვითონ ნიკოლოზს სთხოვდნენ სამოქალაქო სამსახურში შესულიყო და ოჯახი ფეხზე დაეყენებინა. ნიკ. ბარათაშვილი იძულებული გახდა დამორჩილებოდა დედ-მამის სურვილს: 1836 წლის იანვარში იგი მოხელედ შევიდა „საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის“ (Экспедиция Суда и Расправы верховного грузинского правительства) სამსახურში.

ადვილი წარმოსადგენია ის სულიერი განწყობილება, რომელმაც ნიკ. ბარათაშვილის არსება მოიცვა: ოფიცისა და სტუდენტის მზიანი დღეების ნაცვლად მას „სტოლნაჩალნიკის“ მოვალეობის შესრულება დააკისრა ბედმა. ამ განწყობილებას თვითონ პოეტი შესანიშნავად გადმოგვცემს წერილში გრ. ორბელიანისადმი (1837 წ. თებერვალი): „აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავსრულე და ვიმყოფები სულაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინხედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი. სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდახან კიდევ შთამომეპარება ხუალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოკლი ხარო და თუ არ ინვალიდების კომანდაში სხუაგან არ მიგიღებენო, მაშინ, როდესაც ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვპხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნებ მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრ-



ჩი ისევ ჩემს მამულში: განვჭყესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხჯალმე მასთან შებ-მას: ან ჩემა ბედი და ან ჩემა სურვილის აღსრულება? რადგანაც ასე მოხდა, მამ აქ ექსპედიციასზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნედი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირუელი შკოლაა; ეს არის რომ круг чинов-ников не выгоден для образования нравственности, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული. ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. კემშარიტად არა, ზარმაცი არ ვარ, მაგრამ რა ექნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას!...“.

ნიკ. ბარათაშვილი შეურიგდა თავის ბედს, გარეგნულად, ფორმალურად მაინც. სამსახურებრივ მოვალეობას ჩინებულად ასრულებდა, რესული ენის კარგი ცოდნა, რომელიც ღემენტეივის წყალობით გამოჰყვა გიმნაზიიდან, ძალიან ეხმარებოდა კანცელარიის მაგდის ახალგაზრდა უფროსს. საქმეებს წესიერად უძღვებოდა. თბილისის არქივის თაროებს ამძიმებენ ნ. ბარათაშვილის მიერ მშვენიერი ზელით გადაწერილი სამოქალაქო საქმეები. მას ყოველთვის წესრიგში ჰქონდა მოყვანილი ოქმები და პოეტი-მოხელის გულმოდგინება საერთოდ აშვიათ შავალითს წარმოადგენდა პალატის დანაარჩენი მოსამსახურეებისათვისაც. ამის გამო ბარათაშვილმა სრული მოწონება დაიმსახურა თავისი უფროსის ილინსკისა, რომელიც ასეთ რამეს არ მოელოდა მუდამ მოძრავ, ხშირად სამსახურს გარედ მოსიარულე ნიკოლოზსაგან. როცა (1841 წ.) კავკასიაში სამოქალაქო დაწესებულებათა რევიზიისათვის ჩამოვიდნენ სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი და სტატს-სეკრეტარი პოზენი, ნ. ბარათაშვილის სამსახურებრივი მუშაობის შემოწმების საფუძველზე ბრძანებაც კი გამოიცა — ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში.

მოხელეთა დაბალ გონებრივ დონეს, „ზნეობრივი განვითარებისათვის რომ სრულიად არ ვარგოდა“, რასაკვირველია, ოდნავდაც არ მოუხდენია გავლენა ნ. ბარათაშვილზე. მოჯადოებული წრე, რომელშიაც მოექცა პოეტი, მხოლოდ მისი ცხოვრების გარეგან მხარეზე მოქმედებდა — პალატის ნაცრისფერი კედლები ერთგვარ ზნეობრივ საპყრობილედ იქცა მისთვის. დახშული იყო საერთო ატმოსფეროც. „ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“ — სწერდა ბარათაშვილი გრ. ორბელიანს. ეს ის ხანაა როცა საქართველოს საუკეთესო შვილები ჯერ კიდევ გადასახლებაში იმყოფებოდნენ. თბილისში არ იყო თეატრი, არ იყო პრესა, არც ერთი კულტურული გასართობი, სადაც ნ. ბარათაშვილს შეეძლო სულირ საზრ-

დოს დაწაფებოდა. ან თავისი ზრახვების გამზიარებელი ეპოვა. ეს იყო „ყრუ წლები“ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა.

1837 წელს პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა არტილერიის კურსდამთავრებული, ნიკოლოზის სკოლის ამხანაგი კ. მამაცაშვილი, რომელმაც საინტერესო მოგონება დაგვიტოვა თავის შეხვედრებზე პოეტთან აღნიშნულ პერიოდში. იგი სხვათაშორის წერს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურსსესრულებული და მსაზურობდა სტოლონაჩლენკათ პალატაში. ძველი ჩვენი ამხანაგური მეგობრობა განვაახლეთ დიდის სიამოვნებით; ნიკოლოზს სიკვდილამდე ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც. იმ დროს თბილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არ გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები. ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილობა ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან ივანეს ქე მელიქოვთან, ხან სადილად გარეუბნის ბალებში. ჩვენი დროის გატარება იყო ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა. ვისაც სურდა ქალადს თამაშობდა, ნარდს, ჰადრაკს; ქალადის თამაშობაში ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშამის შემდეგ სიღირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც (მაშინ მთელი თბილისი შემორტყმული იყო ბაღებითა. მთელი სოლოლაკი ბაღები იყო). ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ. ერთს საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ 5-ის საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველ საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ V-ს საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მათიანეები დაფანტული იყო; არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატები თავადების და აზნაურების სახლებში, მარტო მათიანეთ იყო „ქართლის ცხოვრება“.

მახსოვს ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედიოთ სასიღირნოდ გარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარული იყო და თავისებურად მშვენივრათ ხუმრობდა; მერმე მე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნის, მეფის ირაკლის მოხუცებულო-

ბის გამო უღონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ 1795 წელსა 12 სექტემბერს და სხე...

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარეს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელ-სახოციტ ცრემლების წმინდა და აუღლებულმა მითხრა:

— „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა, — და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!“

### ნიკ. ბარათაშვილის პიროვნება

კ. მამაცაშვილის ამ მოგონებაში მკრთალად, მაგრამ მაინც ჩანს ნიკ. ბარათაშვილის მკვირცხლი და ექსპანსიური ბუნება, შინაგანად სერიოზული და ძალზე ფაქიზი სულიერი კონსტიტუციით დაჯილდოებული ქაბუკის სწრაფი გადასვლა მხიარული განწყობილებიდან მკჷვნეარებაზედ. ნიკოლოზი მგრძნობიარე და იმავე დროს ღრმად დაფიქრებული ახალგაზრდა ყოფილა. ბევრს ერთობოდა, ჩინებულად ცეკვავდა, არც ერთი ქორწილი, ღამის თევა და საჯარო თავმოყრა არ გამოეპარებოდა. ენამოსწრებული იყო და დამცინავი; ზოგჯერ ანჩლიც (ი. მეუნარგია); იმავე დროს „ყოველთვის მოცინარი და მხიარული“ ნიკოლოზ ბარათაშვილი — საქართველოს ბედუქულმართობაზე მოტირალი, რომელსაც თავისი ერის სიღუხჭირეთა მოგონება შინაგანად არხევს და ათრთოლებს! ერთის მხრივ იგი ნამდვილად მიწიერი ადამიანია ყველა ადამიანური მიდრეკილებით: ქალებთან დროს ატარებს, ქეიფობს, უფლებას აძლევს თავისთავს გაერთოს თითქოსდა სათაყილო ამბებით (დაინტერესებულია ნაცნობების სასიყვარულო თავგადასავლებით და ზშირად აჯავრებს გასათხოვრებსა თუ შეეყვარებულთ!), მონაწილეობს ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანების ყრიაშულში, ზოგჯერ წრეგადასული ხუმრობაც იცის, რის გამოც ბიძასა და სკოლის ამხანაგს ილია ორბელიანს ის დუელშიაც კი გაუწვევია ერთხელ; „დიდი დამჯერებებია ქალებისა; დიდი აყალმაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამისთეგები, დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით!“ — სწერდა იგი ხაზგასმული და ჰუმორული ტაეტოლოგიით 1841 წელს; ნიკ. ბარათაშვილი თვითონაც ერევა ცხოვრების ასეთ პატარა, პროზაულ ზეიმში: აი როგორ აუწერს დის ქორწილს თავის ბიძას ზაქარია ორბელიანს: „სასახლე ჰრაქებით იყო გაჩახახახებული, მეიდანე მამხალებით; ამ დროს ახალი არქიერი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება გალავნის კარებში; დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა (თანა გვეყანდა), თოფის სროლა და ხალხის ჰდევა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა; ამასთან მთვარიანი ღამე

და მშვენიერი მდებარეობა“; ან კიდევ, იმავე წერილში: „მე და მამა ალევობას, რომ ამ თვის თხუთმეტს იყო, ვეწვიეთ კატოსა. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჭვარობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ — ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცველად. ის დამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი“.

კანტელარიის მოხელე, რომელსაც სამსახურში აპათიურ და ყველაფრისადმი გულგრილ ჩინოვნიკებს შეჰყურებდა, გაღარბებულ არისტოკრატი, იძულებული რომ გახდა თეთრი ჩოხის, დიბის ახალუხისა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლის ნაცვლად მოხელის თითბრის დილებიანი კოსტიუმი და შავი, მძიმე პალტო ჩაეცვა, — გარეგნულად შეცვლილია: ამიერიდან, საერთო წესისაჲებრ, იგი ულვაშს არ იყენებს და მუდამ პირგაპარსული დადის; მხოლოდ ოვალური სახე, ჩინურად ოდნავ ცხვირისაკენ დახრილი ბუდეშური შავი თვალები. წაბლისფერი თმა, ხშირი წარბები და თეთრი, ცოტათი დაღმეკილი პირისკანა განასხვავებენ საშუალო ტანის, არც მსუქანს, არც გამხდარ ქართველ პოეტს პალატაში მჯდომ, უხალისო და მუდამ ოქმებში თავაუღებლად მაცქერალ ამხანაგებისაგან.

ნიკ. ბარათაშვილი კერძო ოჯახებსა და სალონებში ექებდა მძიმე ხვედრის შემამსუბუქებელ გასართობს. „იმისთვის ყველგან იყო გაღებული კარები; ორბელიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მადამ რეკამიესთან, რომლის სალონში იკრიბებოდა, რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებულები მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში, რომელიც იყო მეფედ ქართული ზრდილობისა და გემოვნებისა ათას რუაას ორმოციან წლებში, ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახში, ბარათაშვილი, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში ბარათაშვილი მუდამ სტუმარი იყო, შემტანი მოძრავი გონებისა და მხიარულებისა. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა, ოხუნჯობდა, არშიყობდა“ (ი. მეუნარგია).

ნიკ. ბარათაშვილი ახლო მეგობარი იყო აგრეთვე ალ. ჰავკავაძის ოჯახისა.

შეთქმულების გამო ტამბოვს გადასახლებული ალ. ჰავკავაძე ადრე დაბრუნდა საქართველოში და მისმა სახლმა ქართული საზოგადოებისათვის წინანდელი მნიშვნელობა მოიპოვა. 1837 წელს გრ. ორბელიანი პოლონეთიდან სწერდა სალომე ჰავკავაძეს, ალექსანდრეს მეუღლეს: „ნეტავ ღმერთი როდის მაღირსებს კვლად თქვენს ხილვას, უწინდელის თქვენის მხიარული გულით და ბედნიერებით — დღენი თქვენთანა განტარებულნი არიან უნეტარესნი ჩემს სიცოცხლეშიო“.

ალექსანდრე ჰავკავაძე შესანიშნავი მცოდნე იყო ევროპული და აღმოსავლური პოეზიისა, იცოდა რუსული, გერმანული და სპარსული

ენები. ქართულად თარგმნა გოეტეს, რასინის, კორნელის, ვოლტერის, ჰიუგოსა და პუშკინის ნაწარმოებნი, ირანული პოეზიის დიდი წარმომადგენლების საადისა და ჰაფიზის ლირიკის ნიმუშები. მის ოჯახში. სადაც მიდიოდნენ სტუმრები „ჩრდილოეთი დან და დასავლეთი დან“ (დ. ყიფიანი), ყველას ზიზღავდა დიასახლისის სტუმართმოყვარეობა, მისი სამი ულამაზესი ასულის — ეკატერინესა, ნინოსა და სოფიოს ცეკვა და სიმღერები; უფროსი ქალიშვილი ნინო 1828 წელს მისთხოვდა ალ. გრიბოედოვს და ადრე დაქვრივდა, ხოლო მეორე, ეკატერინე, 1839 წელს ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს. ეს ეკატერინე, ნიკ. ბარათაშვილის ლირიკის ღმერთა, შთაგონებას წარმოადგენდა გრიგოლ ორბელიანის პოეზიისათვისაც.

ამგვარ ოჯახებსა და სალონებში ერთობოდა ნიკ. ბარათაშვილი, ენაზნევილობდა და ცეკვავდა. ერთერთ საზოგადოებაში, სადაც ცნობილი მწერალი და ღვთისმეტყველი პლატონ იოსელიანიც ყოფილა, ვიღაცას უკითხავს: — ე, ბერძენ-რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ. ნეტავ ვიცოდე ვირების ღმერთიც ჰყავდათ? — ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოლასლოვიო, — მიუგია ბარათაშვილს რუსული ზმით (ი. მეუნარგია).

მაგრამ ნამდვილი ბარათაშვილი ამ ხუმრობათა, შექცევათა და დროსტარებენს იქით იმალებოდა. იგი სალი ფიზიკური და სულიერი თვისებებით იყო შემკული, შესანიშნავად უკრავდა თარზე და ჭიანჭურზე. მღეროდა, ცეკვავდა, რაინდი იყო და ქალების მოტრფიალე, მაგრამ ხასიათის ყველა ამ გამოვლინებაში მაინც არ სჩანდა იგი. ნიკ. ბარათაშვილი ღრმად ტრაგიკული ადამიანი იყო. თანაც მასში ნამდვილი განსახიერება ჰპოვა ეპოქის ინტელექტუალურმა სინიდისმა.

ნიკ. ბარათაშვილი, უწინარეს ყოვლისა, გამსჭვალული იყო ზნეობრივი ვალდებულების გრძნობით თავისი ერის წინაშე. მისი ყოველდღიური ფიქრის საგანს შეადგენდა ქართული კულტურის მომავალი და ღრმად იყო დაინტერესებული ჩვენი ლიტერატურის ბედით. იმ დროს (1832 წლის შემდეგ), როცა ქართულად არც ერთი გაზეთი ან ჟურნალი არ გამოდიოდა, ნიკ. ბარათაშვილი ხშირად ესწრებოდა კრებებს, სადაც ქართული მწერლობის საკითხები ირჩეოდა. მას, ჭეშმარიტად პატრიოტს, მუდამ ახარებდა ყოველი ახალი ძალის, ახალი ნაწარმოების გამოჩენა მშობლიური სიტყვიერების დარგში, მკრთალი სიმპტომებიც კი იმისა, რომ ქართველობა საღათას ძილიდან გამოფხმზლებას აპირებდა: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცილილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტობაში, შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰსძინავთ გონებით!“ — სწერდა ის გრ. ორ-

ბელიანს 1841 წელს. „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა *რომეო და ჯულიეტა* შექსპირის ტრალედია და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский*, ტრალედია ლაიზევიცისაო“, —აცნობებდა ნ. ბარათაშვილი იმავე წელს თავის ბიძას.

ნ. ბარათაშვილი ერთერთი ხელმძღვანელია იმ წრისა, რომელსაც თბილისში დიდი ბიბლიოთეკის დაარსება ჰქონდა განზრახულია (დ. ყიფიანის ცნობა).

ფართო კულტურული ინტერესები აახლოვებდნენ მას 40-იანი წლების ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილთან და პირიქით: ანიკოლოზთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ არა მარტო ქართველებს, არამედ უცხოელებსაც, მაგალითად პოლონელ პოეტს ლადიზაბლოცკის, რომელიც თბილისელ მეგობრებთან მიწერილ ბარათებში დიდის პატივისცემითა და სიყვარულით იგონებს ქართველ მგოსანს. ნ. ბარათაშვილი უანგარო მეგობრობის რაინდი იყო და ნიჭიერი აღამიანები უმალვე პოულობდნენ მასში დიდი ხნის ნაცნობსა და ამხანაგს.

მაგრამ ასეთი აღამიანებს წრე მცირერიცხოვანი იყო. პოეტის მშფოთვარე სულის დაცხრომა არც ქეიფებსა და ქორწილებს, არც სალონებში მოსმენილ არიებს და არც მეგობრების მიერ მისი ტალანტის აღიარებას შეეძლო. „მერანის“ ავტორი საკმაოდ რთული პიროვნება იყო იმისათვის, რომ ცხოვრების გარეგან ჟრიაშულს მის არსებაში ატეხილი გრიგალი ჩაექრო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში იშვიათია ქართველი, რომელსაც ბარათაშვილივით განეცადონ ეპოქის ტკივილები, ასე ღრმად ჩაეხედოს საკუთარ არსებაში. იგი აღამიანებს შორის მეტწილად თავისი მრავალფეროვანი ბუნების ერთ მხარეს, მკვირცხლ და მხიარულ ხასიათს, ამჟღავნებს. თავისი პიროვნების მდიდარი შინაარსი კი მან მხოლოდ პოეტურ შემოქმედებაში. კერძოდ ლირიკულ შედევრებში გადმოგვცა, მხოლოდ პოეზიას აღმოუჩინა თავისი დიდი ტემპერამენტისა და შესანიშნავი გონების ბრწყინვალეობა.

ნამდვილი ბარათაშვილი, ხშირად ფილოსოფიურად დაფიქრებული, ზოგჯერ კი ბობოქარი და ბედისწერასთან შერკინებულნი, — უმთავრესად მისი სულის დღიურში — ლექსებში — ჩანს.

✱ პოეზიის კარგი ფარილები; მ. ფ. „ყრობის კარიოდის“ ლექსები

პირად წერილებში ნიკ. ბარათაშვილი გვევლინება თბილისის მთვარიან საღამოებსა და სასაფლაოებზე შეყვარებულ რომანტიკოსად, რომელიც ზოგჯერ სანტიმენტალურად ითვისებს ბუნების სურათებს. 1838 წელს იგი სწერდა მიხ. თუმანიშვილს:

«Милый друг! Не пеняй меня за молчание. Право, в нашем скучном от жаров, душном от пыли, городе нет ничего любопытного. Я оживляюсь только по вечерам лунным, так прекрасным в Тифлисе! Вчера, в один из этих вечеров, пошел я бродить к Московской заставе; вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился когда я взглянул на это онемение: 11-ть часов ночи. Ни души. Кругом пустота вечная; луна тускло освещает могилы, как догорающая лампада усопшего. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покой в этом унылом мире... Ты теперь в раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которые навел на душу это зрелище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтоб смертный порой читывал бы по нему свою жизнь: утешение несчастного, конец счастью!».

ნ. ბარათაშვილი ბევრს უჩივის სულით ობლობას, ზოგჯერ იქვით უტყერის აღამიანებს, რომელთა შორის ურთიერთგაგება არ არსებობს; ხანდახან ნ. ბარათაშვილის წერილები მისივე ლექსების ვრცელ პროზაულ კომენტარს წარმოადგენს. მაგალითად, მეგობარ ქალს მაიკო ორბელიანს წერდა პოეტი. 1842 წელს: „ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სოზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი, რა იყოს, რომელიც, შენ იცი დიდიხანია ობოლი ვარ. — არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამბულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაც ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მადლის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო: ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდ ზეგარდმო ნიქად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის ჭულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებლსა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდროკო თავი? ვიცი, გაიცინებ ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ, ჰემპარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განჰსჯა არ მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის ნოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდველი მსაჯული. — მოიგონე ცოტახანს დრონი წარსულნი და მაშინ შემობრალე. უმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულად გარდაეჩვევა, მწარეა განსჯა და ბრძოლა მისი.

ძხელი არის შარტობა სულისა;  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,  
• ოხერა არის შებვა უბედურისა“.

რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, თქვე, ნ. ბარათაშვილი ურჩევს თავის ადრესატს შეინარჩუნოს სულიერი არისტოკრატიზმი და მისი დარიგება ისმის, როგორც ქართველი რომანტიკოსის *silentium*: „ღამიარხ მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ქეშმარიტი ბედ-ხიერება უმაღლესი სიამე, რომელსაც კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!“

ნიკ. ბარათაშვილს ჩინებულად ჰქონდა შეგნებული თავისი შესაძლებლობანი, მაგრამ ირგვლივ არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც შესძლებოდა შესაფერი პირობები შეექმნა მისი დიდი ნიჭის სრული გამოვლინებისათვის. ოქახურმა სიღუბეჩირემ, კანცელარიის მოხელის უბადრუკმა კარიერამ გადაუტერეს მას ბრწყინვალე მომავლის გზა ცხოვრებაში. იგი სამხედრო სამსახურშიც კი ვერ მოეწყო. ქართული არისტოკრატიის გარკვეული ნაწილი ამ დროს კავკასიურ ომში იღებდა მონაწილეობას და ნიკოლოზსაც დალისტინის მთებისაკენ მიუწევდა გული თეთრჩაღმიანი იმამის მიუჩიდებთან საბრძოლველად. 1843 წელს პოეტი სწერდა გრ. თბელიანს, რომელიც გადასახლებიდან უკვე დაბრუნებული იყო და ავარიის მმართველად მსახურობდა დალიანტაში: „საკურველია, რომ ქართველ კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა რომ როდესაც დატყოს თავის თავს ებერდებო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე; მთამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში) მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლეობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხედრისკენ, გული მეუბნება, რამ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო. ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამოყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს... ზ.პ. რა თავისუფლად ამოვიტუნ-თქავ. მაშინ, რა ზელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა. ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე რომა რენენ კამპტთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის, ვიცი დაგავიწყ-და, მაგრამ არა. არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალაა, რომლის გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“.

მაგრამ პოეტის ეს ლაღადიც არავინ შეისმინა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ხედავდა, რომ ის განწირული იყო და ცხოვრება ბიუროკრატიულ



სამსახურში უნდა გაეტარებინა უფერულად. მის არსებაში თანდათან მტკიცდება რწმენა ყოველივე ხილულის ამოგებისა, გაგება ცხოვრებისა, როგორც ბედისწერის მიერ დადგმული ფარსისა. პოეტის ბარათებში ხშირდება ჩივილი მატერიალურის წარმავლობასა და უზრობაზე, საგნების და მოვლენების შეფასება sub specie aeternitatis, ეკლესიასტეს ქარაველი მკითხველიც აცხადებს, რომ „ს ა ბ ო ლ ო ა რ ა ა რ ი ს რ ა ა მ ს ა წ უ თ რ ო შ ი“.

1844 წელს ნიკ. ბარათაშვილი ავად გახდა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. პოეტი ასე აუწერს თავის მაშინდელს განწყობილებას მეორე ბიძას, ზაქარია ორბელიანს, აგრეთვე სამხედრო პირს და დალისტანში მყოფს: \*

«Письмо твое, исполненное грусти и томления от бурного потока жизни, глубоко отозвалось в душе моей, хотя причины у нас к тому разные. Я был болен сильно, чуть не переселился в Елисейские поля. Не зная до того времени никакой болезни я почувствовал странное влияние ея, быть может на всю мою жизнь. Непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлинного наполнили душу ужасною пустотою. Дай мне маленькое независимое состояние, я бы сейчас оставил и свет и людей с их ненасытностью и мирно и покойно провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы, столь величественной и прекрасной в нашем отечестве. При этих грустных думах застало твое письмо меня, только что выздоравливающегося. Вот почему я почувствовал к тебе».

ცოტა ქვემოთ კი რჩევა:

«Углубись в себя и, тогда, — уверившись, что гром славы и звук оружия не имеют уже для твоего слуха магического значения, — оставь службу, займись именем»...

თვითონ ნ. ბარათაშვილი თანამედროვეთა შორის ყველაზე სუბიექტივისტი მოსჩანს და არავინ ყოფილა თვითანალიზით ისე გართული, როგორც „სულთ ბოროტოს“-ს ავტორი. მისი ლირიკა ნაწილობრივ ღალადისია ადამიანისა, რომელიც „თავისთავშია ჩაღრმავებული“.

ამიტომ ნიკ. ბარათაშვილის პიროვნების გასაღები მისივე ლირიკაშია და არა პოეტის ბიოგრაფიის გარეგან ფაქტებში, რადგან მხოლოდ მისი ლექსები გვიხატავენ მგოსნის მიერ „თავისთავში ჩაღრმავებას“ და იქ აღმოჩენილ სამყაროს გამო პოეტურ განცვიფრებას. ნ. ბარათაშვილმა ეპისტოლარული მემკვიდრეობაც არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას პოეტის რთულ ბუნებაზე. ბარათებში იგი მარტო სკეპტიკურად როდია განწყობილი, პირიქით: ხუმრობს კი-

დევაც, მსუბუქად ჰქირდავს ნაცნობებს, აღწერს ქორწილებსა და ქალებს შორის მითქმა-მოთქმებს. ავტორი ანგარიშს უწევს ადრესატების გემოვნებას და მათთვის გასაგები ინტერესების სფეროშია მოქცეული. მართალია, ზოგჯერ გულწრფელ აღსარებასაც იწყებს (ან ზემოთ მოყვანილი ამონაწერები), მაგრამ ყოველივე ეს მოისმის როგორც მელანქოლიური ჩივილი საერთოდ არც თუ სევდიანი თხრობის ფონზე, ნიკ. ბარათაშვილის კერძო წერილებს მხოლოდ ნაწილობრივ შევყვართ დიდი ლირიკოსის სულიერ სამყაროში.

სამაგიეროდ მისი პოეზია უღრმესი დრამატიზმითაა აღბეჭდილი. პოეტის რამდენიმე, მსუბუქი განწყობილების გადმომცემი ლექსი („საყურე“ და სხვ.) მიაგავს მქუნვარე აღამიანის წამიერ ლიმოსს. პოეზიაში ნ. ბარათაშვილი არ ხუმრობს და არ იცინის. მისი ორიოდე სახუმარო ლექსი სტილით, მანერით, ენობრივი ფაქტურის მხრივაც კი, თითქოს სხვა პოეტის მიერ არის დაწერილი. ლირიკაში ბარათაშვილი ძალზე სერიოზულია. თვითონ მეტყველებს მძიმე და ზოგჯერ ლიტურგიული ხასიათი სავსებით შეეფერება პოეტის საუბარს თავისთავთან („სულო ბოროტო“), ნაოჭებიანი შუბლის მიპყრობას ყველაფრისადმი გულგრილი ზეცის თალისაკენ („შემოლაშება...“, „ფიქრნი...“) ან დამწვარი სულის ლოცვის აღვლენას უხენაესისადმი („ჩემი ლოცვა“).

ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებას არსებითად არავითარი ევოლუცია არ განუცდია. მისი „ყრმობის პერიოდის“ (1833) ლექსებზე პოეტური ენის აღმას წარმოადგენენ მხოლოდ. პირველი სამი ლექსი — „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“ და „კავკასიური მოთხრობა“ ტექნიკურად სუსტადაა შესრულებული, პოეტს ისინი თავისი ლექსების არც ერთ კრებულში არ შეუტანია. პირველი ორი ლექსი ყვავილების ლირიკულ აღწერას წარმოადგენს და ყმაწვილის ეგზოტიკურ მგრძობიარობას ამხელენ. „კავკასიური მოთხრობა“ კი მოწმობს, რომ გიმნაზისტ-პოეტს გულდასმით უკითხავს რუსულ პოეზიაში არსებული კავკასიური პოემები და მოთხრობები. ყაბარდოელები, აულები, სტანიცები და კაზაკები, — აი წრე მისი პოეტური ასოციაციისა. ყაბარდოელი ქალი ფატი იზიარებს მასზე გამიჯნურებული ახალგაზრდა კაზაკის სიყვარულს იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი სჯულს გამოიცვლის; კაზაკს არ ეყო ნებისყოფა, მათი ფარული სიყვარული გაიგო ქალის ძმამ, რომელმაც დას თავი მოჰკვეთა და კაზაკს მიუტანა. ქაბუჯი კაზაკი ამის შემდეგ ცოცხალი აღარ უნახავთ... პოემისათვის გამოსადეგი კავკასიური სიუჟეტი ქაბუჯ პოეტს გადმოცემული აქვს 60 სტრიქონში.

მაგრამ იმავე 1833 წელს ნ. ბარათაშვილს დაუწერია ლექსები „ვარდი და ბუღბუღი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“, რომელნიც ამ ორი შედეგის პირვანდელ ვარიანტებს წარმოადგენენ ამჟამად. ლექსში „შემოღამება...“ კი პოეტმა უკვე იპოვა თავისი თავი და საკუთარი ხმა.

აოვა „ბედი ქართლისა“. „სუმბული და მწირი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „ომი საპართევლოს თავად-აფნაურ-გლახთა“...

ვიდრე ნიკ. ბარათაშვილის ლირიკას შევეხებოდეთ, ჩვენ გამოვყოფთ მის ოთხ ნაწარმოებს, რომელნიც პოეტის პოლიტიკურ შეხედულებებს გვამცნობენ და მე-19 საუკუნის ქართული პატრიოტული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების რიცხვს მიეკუთვნებიან. ესენია: პოემა „ბედი ქართლისა“, (1839), „სუმბული და მწირი“ (1842), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842) და „ომი საქართველოს თავად-აფნაურ-გლახთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის თავადის დიმიტრი თამაზისა ძის ორბელიანისა“ (1844 წ.).

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „ქართლის ბედი“ ნიკ. ბარათაშვილის მუდმივი ფიქრის საგანს შეადგენდა. კ. მამაცაშვილის მოგონებიდანაც კარგად ჩანს, რომ პოეტი ღრმად განიცდიდა საქართველოს სამეფოს გაუქმებას და მისი დრამატიული ამოძახილი — „ვო ჩვენო ქართლის ბედო!“ — შესანიშნავად ახასიათებს დიდი ქართველი პატრიოტის სულისკვეთებას, ნიკ. ბარათაშვილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით არის დაკავშირებული მშობლიური ქვეყნის წარსულთან. იმავე მამაცაშვილის ცნობით პოეტს დაწერილი ჰქონია მეორე პოემაც ისტორიულ თემაზე: „მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს „ივერიელი“. ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი აპყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნეებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო“.

საქართველოს ისტორიისა და ეროვნული საკითხებისადმი ასეთი ყურადღება, რასაკვირველია, სპეციფიკურ ელფერს ანიჭებს ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებას. თუ მისი ლირიკა ძირითადად ფილოსოფიური ხასიათისაა და უმთავრესად სიყვარულისა და ბედისწერის პრობლემებს ეხება, სამაგიეროდ, ეპიურ ქმნილებაში პოეტს მიზნად დაუსახავს თავისი ქვეყნის ისტორიული ბედის ანალიზი, ხოლო ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ თავისებურად აფასებს მის აწმ-

ყოსა და მომავალს. იგი არა მარტო ფილოსოფიურად მოაზროვნე ლირიკოსია, არამედ ნამდვილი ეროვნული პოეტიც. ილია ჭავჭავაძე, აგრეთვე დიდი ქართველი პატრიოტი, ნიკ. ბარათაშვილს თავის სულიერ მასწავლებლად სთვლიდა. ევროპელი (ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი) და რუსი რომანტიკოსებისათვის ეროვნული საკითხი არასოდეს არ მდგარა მწვეავედ. ლერმონტოვისა, შატობრიანისა და ბაირონისათვის ნაციონალური პრობლემა არც კი არსებობდა იმგაგებით, როგორც ჰქონდა მასნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, რადგან არც ერთი მათგანის სამშობლოს არ დაუჟარგავს ეროვნული დამოუკიდებლობა. ინგლისელი ლორდი, მწუხარე მოსახლამი ძალზე კოსმოპოლიტური ფერისა იყო, ბარათაშვილს კი ორგანულად სძულდა მოხელის ის კოსტიუმი და მძიმე შავი პალტო, რომლითაც მისი სული შესუღრა მონარქიულ იმპერიის ბიუროკრატიულმა რეჟიმმა.

„ბედი ქართლისა“ იწყება ლოცვით, რომელსაც ღრმად მოხუცი ერეკლე აღუვლენს უზენაესს აღა-მაჰმად-ხანის ჭარებთან ბრძოლის წინ. კრწანისის ველზე და თავის ბანაკში. შემდეგ იწყება თვითონ ომის აღწერა. ბრძოლა წაგებულია. მეფე და მისი ჭარი მოიქცევიან ციხეში, მაგრამ თბილისი „იუდას“ წყალობით გაცემული აღმოჩნდება და მეფე მთიულეთში გადადის. პოემის მეორე თავში გადმოცემულია არაგვის პირას მჯდომი მეფის ცნობილი საუბარი თავის მსაჯულ სოლომონ ლეონიძესთან. ეს დიალოგი ცენტრალური ადგილია პოემისა, ერეკლე განუმარტავს კანცლერს საქართველოს უბედობის მიზეზებსა და რადგან არც ერთს თავის მემკვიდრეში არ ხედავს სამეფო ტახტის ღირსეულ მემკვიდრეს, რომელსაც შეიძლება ქვეყნის სვებედლი ჩაებაროს, ეკითხება:

აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?  
 კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო.  
 აწ განთქმულია რუსთა სახელი,  
 ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,  
 დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,  
 მტკიცე კავშირი — სარწმუნოება, —  
 მას მსურს, რომ მივეც მემკვიდრეობა,  
 და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!

გაკვირებული მსაჯული მიუგებს მეფეს:

რასა მიბრძანებუ ჰკადრა მან მეფეს,  
 ბატონო, ღმერთი გადღეგარქელებდეს,  
 ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,

ეზდენ შენხედა მსასობელთა,  
ჭერ სამაგისო რა გვემართება,  
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!

სოლომონ ლეონიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფლებას, რომელიც მეფეს ფიქციურ ცნობად მიაჩნია ახალ ისტორიულს პირობებში. ერეკლე ფიქრობს, რომ საქართველოსათვის მიუღწეველი ოცნებად დარჩება ყოველგვარი ფიქარი თავისუფლებაზე, ორი ძლიერი და აგრესიული ქვეყნის — თურქეთისა და სპარსეთის — მეზობლობაში. ერეკლე მეორე ამბობს:

ახლა კი დროა, სოლომან, რომა  
მშვიდობა ნახოს საქართველომა.  
მან საფარს-ქვეშე მხოლოდ რუსეთის  
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,  
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გერწამდეს,  
რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს  
საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,  
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!

მაგრამ სოლომონ ლეონიძე მაინც არ ღალატობს თავის შეხედულებას:

განზრახვა შენი, მეფე, მაკვირებს!  
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს  
არად მოაჩნით უბედურება  
თუ აქვთ თვისთ კერქვეშ თავისუფლება!

ერეკლეს არ აჭერებს მსაჯულის ეს საბუთი. მეფე რეალური პოლიტიკის დამცველი რჩება, რადგან შორსმჭვრეტელია და გათვალისწინებული აქვს ის გარდუვალი ხვედრი, რომელიც მოელის საქართველოს:

სულ მართალია, ჩემო სოლომონ,  
მაგრამ აბა კსტევი, ქართველთა რა ჰყონ  
ამ უბედობის და დარღვევის დროს?  
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს  
მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?...  
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა  
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას,  
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას;  
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება  
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!

ამ საუბრის შემდეგ ოჯახისაკენ მიქცეული მსაჯული გზაზედ ფიქრობს:

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას:  
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას

და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,  
 განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,  
 და იგი მათს ბედს ასე განაგებს,  
 ვითა ამლერდეს იგი კამათლებს.  
 მაგრამ შენ, მეფეე, ვინ მოგცა ნება  
 სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
 მისდევდე შენსა გულისკეთებას  
 და უთრგუნე იდე თავისუფლებას?  
 შენ ერმა მოგცა პირველ ღირსება,  
 რათა დაიკვა ყოფა-ცხოვრება,  
 და რად ივიწყებ, რომე მარადის  
 ერსა ეკუთვნის გულისთქმა მეფის!...

პოემის ეს ადგილი უალრესად მნიშვნელოვანია 1832 წლის შეთქმულებასთან ნიკ. ბარათაშვილის იდეური კავშირის თვალსაზრისით. მსაჯულის მონოლოგში თითქოს მოცემულია შეთქმულთა საუბრებას დედაარსი, დოდაშვილის რესპუბლიკური იდეებით გატაცების პოეტური ანარეკლი. მონოლოგი წარმოადგენს შეთქმულთა რადიკალურ ფრთის პოლიტიკური პროგრამის მხატვრულ ენაზე გადატანას, ხოლო თვით ერეკლე II მტკიცებანი — ქართული შემარტივებელი არისტოკრატიის შეხედულებებს და XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკური ვითარების დახასიათებას მეფის პირით. რომელი მხარეა მართალი ამ პაექრობაში? პოეტს თითქოს არ გამოაქვს კატეგორიული დასკვნა, მაგრამ ძალზე საყურადღებოა ლეონიდისა და მისი მეუღლის საუბარი პოემის ფინალში, რომელიც ერთგვარ pendant-ს წარმოადგენს მთელი პაექრობისას; ლეონიძე თავის მეუღლეს სოფიოს აცნობს ერეკლე II გადაწყვეტილებას:

ვექობ, რომ იგი სამეფოს ქართლის  
 აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის -ო.

მეუღლე ამაზე უპასუხებს:

უწინამც დღე კი დამეღევა მე!  
 უცხოობაში რაა სიამე,  
 სადაცა ვერ ვის იყარებს სული  
 და არს უთვისო, დაობლებული?  
 რა ხელს-ჰყრის პატივს ნაზი ბუღბული,  
 გალიაშია დატყვევებული.

დაკვირვებული მკითხველი ხედავს, რომ ნიკ. ბარათაშვილის სიმ-პათია სოლომონ ლეონიდის მეუღლისაკენაა და თავისუფლება მისთვისაა სიცოცხლისა და ბედნიერების უწინარეს პირობას წარმოადგენს.

ჩრდილოელი სიუზერენის მიერ „გალიაში დატყვევებული“ საქართველო ალფგორიულად დახატული ჰყავს პოეტს ლექსშიაც „ს უ მ ბ უ ლ ი და მ წ ი რ ი“ (1842). „ბნელ სადგურში“ მყოფ სევდიან სუამბულს მწირი ეკითხება:

ნუთუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამერს,  
სადაც ოქროთი და ვერცხლითა ღიმკობენ სადღურს,  
სადაცა კაცი შესს მშვენებას ესრეთ ინახავს,  
რომ ნზე ვერ ჯიქცნობს და სიცივე ვერა დაჯზარავს?

ეს შეკითხვა უმაღვე მოგვაგონებს სოლომონ ლეონიძის მიერ  
ვარული ირონიით თქმულს მეუღლესთან:

მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ  
ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად  
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;  
არ მოკაცლდებთ თავისუფლება,  
განცხრომილება, ფუფუნეულება,  
მათა სიმდიდრის პალატა შორის!

სუმბულის პასუხიც მწირისადმი —

მაგრამ მარქვი, რა არს ჩემთვის სახლი დიდმშვენიერი,  
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი;  
არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი,  
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნაში, —

აგრეთვე — შინაგანი აზრით — სოფიოს ზემოდ მოყვანილი პასუხას  
პარალელს წარმოადგენს.

ნიკოლოზ ბართაშვილისათვის თავის უფლებ-  
ბა არსებობის უმაღლესი ფორმა იყო.

მაგრამ იდეების ასეთ რკალში თითქოს არ ექცევა ორი ლექსი  
„საფლავი მეფის ირაკლისა“ და „ომი ქართველ თავად-აზნაურ-გლებ-  
თა...“; პირველი ლექსი თითქოს „გალიაში ტყვეობასთან“ შერიგებას  
ქადაგებს, ხოლო მეორე — მონარქიული რუსეთის მილიტარიზმს ამარ-  
თლებს.

„საფლავი მეფის ირაკლისა“ დაწერილია 1842 წელს, როცა რუ-  
სეთს გადასახლებული („გარდახვეწილი“), შეთქმულების ყოფილი  
მონაწილენი სამშობლოში დაბრუნებულნი იყვნენ. ამიერიდან მათს  
ოფიციალურ პოზიციას მთავრობასთან შემარიგებელი ხასიათი ჰქონ-  
და. ნიკ. ბართაშვილიც ხედავს, რომ „აწ არღა ერჩის ქართლის გულსა  
კასპიის ღელვა“ (ე. ი. ირანი და დაღისტანი აღარ არბევენ საქარ-  
თველოს), ხოლო „შავი ზღვის ზვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსის-  
ხლე მტერთა, აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა“ (ე. ი.  
არც თურქები ესხმიან ქვეყანას). ერეკლე II ნაანდერძევის აღსრულე-  
ბის შედეგად საქართველოში მყუდროებაა გამეფებული:

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰვლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი.

ნიკ. ბარათაშვილი მუხლს იყრის ერეკლეს საფლავის წინაშე და თაყვანს სცემს მის „წინასწართქმულს“, მაგრამ აღსანიშნავია, რომ პოეტს მონარქიული რუსეთის ხელქვეით არსებობის პოლიტიკური ხასიათი კი არ აინტერესებს უპირატესად, არამედ კულტურული; ნ. ბარათაშვილის აზრით, ჩრდილოეთის იმპერიაში საქართველოს მოხვედრის პროგრესული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ქართველები რუსეთის საშუალებით ეზიარებიან დასავლეთის კულტურას და რომ ისინი „მუნიტ ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად, მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად“, ხოლო ქართველების „ცხოველი, ტრფილებით აღსავსე გული“, თავის მხრივ, „უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა განცეცხლებულნი“. ამრიგად, ნ. ბარათაშვილი, პირველად ქართულ ლიტერატურაში, გარკვევით მსჯელობს ორი ერის კულტურული და მშური ურთიერთობის საკითხზე, იგი მხოლოდ სულიერი და მოქალაქეობრივი ურთიერთობის სფეროში ხედავს ერეკლე II-ის ანდერძნამავის რეალურ მნიშვნელობას. საკითხის ასეთ დასმაში ნატამალიც კი არ მოიპოვება პოეტის მიერ მონარქიული რეჟიმის მიღებისა პოლიტიკური თვალსაზრისით. პოეტისათვის ორგანულად საქმლველი და მიუღებელი იყო თვითონ სისტემა ეროვნული ჩაგვრისა და მას ყოველთვის სწამდა, რომ საქართველო ხუნდებს თავს დააღწევდა. იმავე 1842 წელს დაწერილ ლექსში „სუმბული და მწირი“ პოეტი კიდევ ერთხელ და ხაზგასმით გამოსთქვამს თავის მრწამსს:

### მ წ ი რ ი

სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი,  
მისგან შენ ახლა იქნებოდი უწყალოდ მკედარი;  
ნახე, რა ძალუძს შენთვის შორუნველს კაცისა ხელსა,  
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

### ს უ მ ბ უ ლ ი

ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვეს ქამი და ბოლო,  
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უქამოდ მელების ბოლო!  
ზამთრით ბუნება არა კვდება, — სევდი იმოსვის,  
რომ თავის სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!  
და მყის ვითარის შევენებითა კვლავ შეიფურ-

ცვლის.

ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!

ნიკ. ბარათაშვილს სწამდა, რომ მის სუმბულს ეს გაზაფხული ოდესმე დაუდგებოდა. დროებითი ზამთარი კი საქართველოსათვის



წარმოადგენდა იმ ლეტარგიულ ძილს, როცა ერი მტრების შემოსევებისაგან ისვენებდა და იკრებდა ძალას ახალი აღორძინებისათვის.

ნ. ბარათაშვილის პოლიტიკურ იდეებს შორის ასეთი შინაგახი კავშირი სრულიად უდავოა.

დისონანს არ ქმნის ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსიც „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“... (1844), რომლის გავრცელებული ვარიანტის ბოლო სტროფის მეორე ტაეპი ასე იკითხება:

„იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა!“

თავდაპირველად კი პოეტს ამ ტაეპის ნაცვლად ჰქონია:

„მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა!“

ასეთი დასასრული სავსებით ლოგიკურია ლექსისათვის და ანტონოვმა: კავკასიურ ომში ქართველების მონაწილეობა პოეტს ისე აქვს აღწერილი, თითქოს მარტოოდენ ეს უკანასკნელნი ეწვევიან ბრძოლას დაღისტნის წინააღმდეგ. ავიღოთ თუნდაც ცალკეული გამოთქმები, რომელთაც XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან თითქოს XVII საუკუნეში გადაყვევართ;

შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა

ქართლითგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი

შინ ვერისთავი მოუძღვის

სომხებით მოსკექს სასარდლო, ძველადგან სახელგანთქმული  
მის შორის ბრუნავს ცხოველად დავით სარდლისა კვლავსული.

კავკასო, აჰა კახნიცა, შენზედ გულ-ამღვრეულები,  
მეფის ირაკლის გაწერთილნი, გმირებად დასახულები.

ნაუნჯნი ყმანიც მეფისა, თუ შები მოუღალავნი,  
სდევნიან მტერთა მძვინვარედ

ჰე, ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის  
ხმა მალლით?

ისტორიული სახეების (ერეკლე II, დავით სარდალი) ანსამბლში კავკასიური ომი დახატულია, როგორც ქართველების ერთობლივი გამოსვლა მტრის წინააღმდეგ. ლექსში სრულიად არ იგრძნობა 40-იანი წლები გასული საუკუნისა, არ ისმის რუსი ლეგიონების ხმაური ქართველი მხედრების გვერდით, — „ქართლის ძეთ“ იმპერატორის ნება

კი არ მართავს, არამედ ერეკლე II აწირდილი. პოეტის შუერა დანისლულია პატარა კახისა, მისი სარღლებისა და საერთოდ ფეოდალური საქართველოს სპათა ზმანებით. ამიტომაც ლექსის პირვანდელ ვარიანტს აქვს ბუნებრივი დასასრული:

მ ე ფ ე ს ა (ე. ი. ერეკლეს) თავი შესწირეთ, ვაგლახი  
ეცით წარმართთა!

მაგრამ ნ. ბარათაშვილს უგრძნია ისტორიული ანაქრონიზმი და ცენზურისათვის შემდეგნაირად გაუსწორებია ეს ტაეპი:

ი მ პ ე რ ა ტ ო რ ს ა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ  
წარმართთა!..

თუმცა ეს ტიტული სრულიად არ შეეფერება ლექსის შინაგან განწყობილებას.

კავკასიურ ომში ქართველების მონაწილეობას ნიკ. ბარათაშვილი პატრიოტულ აქტად სთვლიდა და ლექსს „ომი“... საერთო არაფერი აქვს რუსული მილიტარიზმის ხოტბასთან.

#### „ბედი ქართლისას“ რეალიზმი

„ბედი ქართლისას“ შესანიშნავია თავისი რეალიზმით. მოსალოდნელი იყო, რომ რომანტიკოსი-ბარათაშვილი საქართველოს ისტორიული წარსულის გადაჭარბებულ იდეალიზაციას მიმართავდა. პოემა საწინააღმდეგო ნიშნებით ხასიათდება. თვით ენაც კი ნაწარმოებისა შედარებით სადაა, ჩვეულებრივ, სასაუბრო მეტყველებასთან არა დაახლოებული. არავითარი დამუქება ფერებისა, არავითარი რიტორიკა და გადახვევები. პოემა იშლება რეალისტურ პლანში, რეალისტურია ბუნების სურათებიც. ისტორიზმით სუნთქავს ბატალური სცენები, მკაცრი ისტორიზმითაა აღბეჭდილი თვითონ ერეკლესა და მისი მსაჯულის პიროვნებათა დახასიათებაც.

პოემაში ერეკლე II გვევლინება მხედართმთავრად, რომელიც დიადი რჩება მაშინაც, როცა ომი წაგებული აქვს. ბარათაშვილი არ აჭარბებს: ერეკლე მეორის იშვიათი სტრატეგიული ნიჭი ცნობილ იყო მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მეზრძოლის ნათლობა მან მიიღო ინდოეთში, განთქმული ნადირ-შაჰის ხელმძღვანელობის ქვეშ. ერეკლე II აფასებდა ვოლტერი, მისი ლეგენდაური სახელია გარშემო საუბრობენ ლესინგის პიესაში „მინნა დონ ბარნჰელმ“, ალტაცებით ლაპარაკობდა ერეკლეს შესახებ ფრიდრიხ დიდი. მაგრამ ვერც ამ მეფის სამხედრო ნიჭმა უშველა მუდმივ ომიანობაში დაღლილ საქართველოს. თვითონ ერეკლემ 40 წელიწადი გაატარა ბრძო-

ლის ველზე, ურიცხვი ბრძოლებიდან არც ერთი არ წაუგია, გარდა უკანასკნელი (კრწანისის) ბრძოლისა, რომელსაც ნიკ. ბარათაშვილი აგვიწერს თავის პოემაში. ეს იყო ღრმა ტრაგედია მოხუცი მეფისა და მისი ქვეყნის ცხოვრებაში. პოეტს ჩინებულად ესმის ამ ტრაგედიის ისტორიული მნიშვნელობა.

სოლომონ ლეონიძე პოემაში გამოყვანილია ერეკლე II საგარეო პოლიტიკის მოწინააღმდეგედ. ეს მსაჯული მართლაც შეიძლება ჩაითვალოს ლეგალური ოპოზიციის მეთაურად მეფის კარზე. ლეონიძე სასტიკი წინააღმდეგი იყო მონარქიულ რუსეთთან საქართველოს დაახლოებისა და სიკვდილამდე შეურიგებელი დარჩა კავკასიის მთავრობასთან. 1801 წლის შემდეგ ის ერთხანს დაპატიმრებული იყო, შემდეგ იმერეთში გადავიდა და იქ სოლომონ II აქეზებდა კავკასიის ხელისუფალთა წინააღმდეგ. ოფიციალური სამხედრო პირები და მოხელეები ყველანი იხსენიებენ მას, როგორც „ვერაგ“, „ორჭოფ“, „მეამბოხე“ და „ექიდნური ენის მქონე“ ადამიანს. როცა იმერეთიც მოექცა იმპერიის ფარგლებში, სოლომონ ლეონიძე ახალციხეში გარდაიხვეწა და იქ გარდაიცვალა 1811 წელს (Акты, IV, 383—384, ტორმახოვის მიწერილობანი 17 და 23 აგვ. თარ.). მაგრამ, იმავე დროს, ს. ლეონიძე უერთგულესი ადამიანი იყო ერეკლე II და მან საკვირველი სულიერი მღელვარებით დაიტირა საყვარელი მეფე 1798 წელს. ს. ლეონიძის „ტირილი“, რომლის ტექსტმა უცვლელად მოაღწია ჩვენამდე, ქართული რიტორიული ხელოვნების შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს...

ნ. ბარათაშვილის პოემაში გვაქვს ძველი საქართველოს აპოლოგია, რის გამოც „ბედი ქართლისა“ ეპოქის რომანტიკული და რეალისტური ასახვის სინთეზს წარმოადგენს. ერთადერთი, რაც პოემაში ანტირიტორიზმის დაღითაა აღბეჭდილი, არის მონოლოგი ს. ლეონიძისა, რომელშიაც რესპუბლიკური იდეებია გამოთქმული. პოემის ამ ადგილის სტრიქონებით ლაპარაკობს არა ლეგიტიმისტი ს. ლეონიძე, კანცლერი მე-18 საუკუნის საქართველოს სამეფო კარისა, არამედ თვითონ ნიკოლოზ ბარათაშვილი — 1832 წლის შეთქმულების იდეური მემკვიდრე; ადებტი რესპუბლიკელ ს. დოდაშვილისა.

#### სიყვარული ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

„ბედი ქართლისა“ ერთადერთი პოემაა ნ. ბარათაშვილისა და ჩვენამდე მოღწეულ მის პოეტურ მემკვიდრეობაში მას განცალკევებული ადგილი უჭირავს. ნ. ბარათაშვილი, უწინარეს ყოვლისა, ლირიკოსია. ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ეპიური პოეზიის მწვერვალს წარმოადგენს რუსთვე-

ლი. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ძველი ქართული მწერლობის უნივერსალური გენიაა. ახალ ქართულ ლიტერატურაში ლირიკული პოეზიის მწვერვალად ითვლება ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავტორი „მერანისა“ და მთელი რიგი სხვა ლირიკული ქმნილებებისა. ბოლოს — ნიკ. ბარათაშვილის ლექსის ყველა თავისებურება მის ლირიკულ ფორმებში გამქაღვინდა.

ნიკ. ბარათაშვილი დიდი დიაპაზონის შემოქმედია. ლირიკულ ლექსებში იგი გვევლინება მსოფლიოს მოქალაქედ, ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტად, რომელსაც ბიოგრაფიული მომენტებით ნაკვები სულიერი განწყობილებანი ფართო განზოგადობამდე აპყავს და ანიჭებს მათ ზოგად-კაცობრიული პრობლემების ხასიათს. ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და პოეზიაში ერთ-ერთი ასეთი ძირითადი საკითხია სიყვარულის პრობლემა.

ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მას უყვარდა ვინმე ნ. ო-ს (ორბელიანი?) ქალი; პოეტის პირველი გატაცების შესახებ მოიპოვება ცნობა ლევან მელიქიშვილისა, რომელიც 1846 წელს ბარათაშვილის გარდაცვალების გამო სხვათაშორის გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „არ ვიცი, იცი თუ არა, რომ პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო: არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო“. თვითონ ნ. ბარათაშვილის წერილებში ამ ნინოს შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. ფიქრობენ, რომ პოეტი მას გულისხმობს წერილში გრ. ორბელიანისადმი 1837 წ. თებერვლის თარიღით. აი სათანადო ადგილიც: „ამ წარსულს ზაფხულში (ე. ი. 1836 წელს, ა. გ.) ერთს მშუენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატყბეს სახედუელი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნეთ, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა „გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუფგავანი ძია გრიგორის მეთქი, და კიდევ აღვასრულე: მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი“ (ბოლო დაყოფა ჩვენია ა. გ.). რადგან პოეტი ყაბახზე ნახული ქალის შესახებ ამბობს — „პირველ დამასო გულს კაეშანი“, — ხოლო მელიქიშვილის ცნობის მიხედვით პოეტის „პირველი სიყვარული იყო ნინო“, — ერთგვარი საფუძველი ეძლევა მათ იდენტიფიკაციას.

1836 წელს არის დაწერილი აგრეთვე „ღამე ყაბახზედ“, რომელიც გადმოგვცემს საუბარს პოეტსა და ჩვენთვის უცნობ თეთრ კაბიან ქალს (ნინო?) შორის:

და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად  
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აჲ მხიარულად!“  
„გმადლობთ, — მითხრა მან, — რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ:  
ახლა მოდეთ, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“.  
— „ღარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოღებო  
ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!“

დიალოგი ცხადყოფს, რომ პოეტის ნაცნობობა ქალთან უფრო  
ადრინდელ ხანას ეკუთვნის (შდრ. შემდეგი სიტყვები წერილიდან:  
სადაც მისმან მშუენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელ  
ებრ კიდევ დარდიმანდობამ...“ და სხვ.); და თუ ნ. ბარათაშვილი  
ამ ლექსში წინოს გულისხმობს, მაშინ პოეტის პირველი სიყვარული  
გიმნაზიის პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. ლექსისა და წერილის მიხედ-  
ვით ჩვენ დაახლოებით შეგვიძლია აღვადგინოთ ქალის გარეგნობის  
ცალკეული დეტალებიც: ხალი („ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალა  
აღუგზნობინა“), ვარდისფერი ლაწვები და თეთრ კაბიდან მოჩინარა  
პაწია ბუდეშური ფესები. ასეთია იმპრესიონისტული პორტრეტი ქა-  
ლისა, მგონის სიყვარულის „საგნისა“, რომელმაც „პირველ დაათო  
მის გულს კაეშანი“.

მეორედ ნიკ. ბარათაშვილი გატაცებული ყოფილა ფრანგი მეკონდიტ-  
რის ქალით დ ე ლ ფ ი ნ ა ლ ა ბ ი ე ლ ი თ (Labielle). ნ. ბარათაშვილს  
მისთვის მიუძღვნია ლექსები „ჩემს ვარსკვლავს“ და „Astre,“ რომელიც  
ამჟამად დაკარგულად ითვლება. პერიპეტიები ამ სიყვარულისა ჩვენთვის  
უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ერთ ზაფხულს პოეტი რამდენიმე დღით  
ასულა წყნეთში, სადაც დელფინა ლაბიელი და მისი მშობლები ისვენ-  
ებდნენ.

ნ. ბარათაშვილის უკანასკნელი და, როგორც ჩანს, ღრმა გატა-  
ცების საგანი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი ეკატერინე.

ჭავჭავაძის ოჯახი, სადაც თბილისის საუკეთესო საზოგადოება  
ეყრიდა თავს, ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის პოეტური შთა-  
გონების სადგურს წარმოადგენდა. არის ცნობა, თითქოს ნიკოლოზს  
იქ წაუკითხავს პოემა „ბედი ქართლისა“. გრ. ორბელიანი უიმედოდ  
იყო შეყვარებული ალ. ჭავჭავაძის უფროს ასულ ნინოზე, გრიბოე-  
დოვის ქვრივზე, ასევე უიმედო აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის სიყვა-  
რულიც ეკატერინესადმი, რომელიც სამეგრელოს მთავარ დადიანს  
მისთხოვდა 1839 წელს.

ნიკ. ბარათაშვილმა ეკატერინეს უძღვნა ლექსები „თავადიის  
ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“ (1839), „საყურე“  
(1839) და „ეკატერინა, ფორტეპიანოზედ მომღერა-  
ლი“. პირველ და მესამე ლექსში ჭავჭავაძის ასული ჩვენს წინაშე

წარმოსდგება, როგორც შესანიშნავი მომღერალი და დამკვრელი, ხოლო ლექსი „საყურე“ — კამერული ლირიკის საუკეთესო ნიმუში ქართულ პოეზიაში — გვიხატავს ეკატერინეს საყურეების თამაშს თავისსავე ჩრდილთან.

ეკატერინე ჰავჭავაძე ულამაზესი ქალი იყო 30-იანი და 40-იანი წლების თბილისში. იგი მართლაც ჩინებულად უქრავდა და ცეკვავდა. 1835 წელს გრიგოლ ორბელიანი პოლონეთიდან სწერდა სალომე ჰავჭავაძეს, ეკატერინეს დედას: „ყოველთვის ახალს სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდღაყეცილი დალისტნელ ლექსავით ლექურს თამაშობდა და იმღეროდა: ბ რ ო ლ ი ს ფ ი ც ა რ ი . ა ფ ი ც ა რ ი გ უ ლ ს დ ა გ ე კ ო ნ ო ს“. როგორც ცნობილია, მომზიბლავი იყო მისი უფრო და ნინოც. ორივენი თავისი დროის არისტოკრატიული ახალგაზრდობის საოცნებო არსებებს წარმოადგენდნენ და უცხოელებს შორისაც დიდ აღტაცებას იწვევდნენ. ოფიცერი ტორნაუ იგონებს: „... მე ჭერაც ვერ გამოვრკვეულვარ ნამდვილად რომელი უფრო მომწონდა; თუ ეკატერინეს სხივოსანი თვალები და მომზიბლავი ღიმილი გულს მწვავდა, ნინოს სილამაზე და ანგელოსურია ხასიათი გულზედ მალამოდ მუდებოდა. თუ ერთისკენ მიხსწრაფოდა თვალები და გრძნობა, მეორე დაუძლეველი ძალით იზიდავდა სულს“. უფრო ვრცლად გვიხასიათებს მათ კ. ბოროზდინი: „თავად ალექსანდრე გარსევანიან-ძე ჰავჭავაძის მეორე ქალი, ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა, სწორედ ისეთსავე პირობებში იყო აღზრდილი, როგორშიაც იზრდებოდნენ მაშინ საზოგადოდ ყველა მდიდარი და სახელოვანი ოჯახები რუს თავად-აზნაურობისა. მუსიკა, სიმღერა, ხატვა, ფრანგული ენა და ცეკვა შეადგენდა მაშინდელი მაღალი საზოგადოების გასათხოვარი ქალის ცოდნისა და ტალანტის ენციკლოპედიას, ხოლო გარეგნობა მის განათლებას ცოტათ თუ ბევრად ფასსა მატებდა და იერს აწლევდა. მისი უფროსი და უკვე რამდენიმე წელიწადი იყო. რაც ქვრივად დარჩა ჩვენს სახელოვან გრიბოდოვს და ახლა თავისი მოხუცებული დედის მაგიერობა გაუწია თავის დას და საზოგადოებაში გამოჰყავდა. ორივე კალმით დახატული ლამაზები იყვნენ და თავბრუს ახვევდნენ თბილისის მაშინდელ ახალგაზრდობას. ეს ახალგაზრდობა უმეტესად შესდგებოდა ჰაბუკებისგან. რომელნიც პეტერბურგიდან კავკასიაში მოიხსწრაფოდნენ კარიერის გასაკეთებლად და რომელნიც ატარებდნენ დიდ არისტოკრატიულ გვარებს. თვით გრიბოდოვი, როგორც უკვე ვსთქვით, თავის მეუღლეს „მადონას“ ეძახდა იმ არა ამ ქვეყნიურ სახიერებისა და სიმშვიდის გამო, ნინო ალექსანდრეს ასულის საუცხოო თვალებში რომ გამოიხატებოდა. მის გვერდით იყო სულ მოწინააღმდეგე მშვენება — მისი და, რომელშიაც განხორციელებული იყო მხიარულება, სიფიცხლე, გონების სიმახვი-

ლე და თან თვალები ენთებოდა ცეცხლით და მათ მაყურებელს გულში იმედი ესახებოდა, რომ ეს ქალი მომავალში მთლიან ხასიათის პატრონად გადაიქცეოდა. და აჰა, როდესაც იმ თაყვანისცემელთა შორის, რომელნიც გარს ეხვივნენ ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, წინ წამოდგა ისეთი საქმრო, როგორიც იყო დავით დადიანი, სხვები ყველანი უკან დადგნენ. მშობლები ერთ წუთსაც არ შეყოყმანებულან თავისი ქალი მიეცათ დავითისათვის. და იმანაც სამუდამოდ წაიყვანა სამეგრელოში“ (ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. ქართ. თარგმანი).

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით ეკატერინე სერიოზულად თუ უცქეროდა ახალგაზრდა პოეტის გატაცებას. მაგრამ ნიშანდობლივი გარემოებაა, რომ 1839 წლის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილს მისთვის არც ერთი ლექსი არ მიუძღვნია. ერთი კი უეჭველია: არც „ერთ ქართველ ქალს არ შთაუგონებია ჩვენი პოეტისათვის იმდენი შესანიშნავი ლექსი, რამდენიც ეკატერინეს. ნ. ბარათაშვილი მას თავისი მუზის წყაროდ სთვლიდა და ეკატერინეც დიდად აფასებდა ქართველი მგოსნის ბრწყინვალე ნიქს, მუდამ თან დაჰქონდა პოეტის ხელნაწერი კრებულები. ნ. ბარათაშვილს ეკატერინესათვის დაუწერია ქართული ვარიანტები რუსული სასიმღერო ლექსებისა: «Черный цвет» (ბარათაშვილით: „ცისა ფერს“) და «Как счастлив я, коль с тобой бываю».... (ბარათაშვილით: „როს ბედნიერ ვარ...“).

ასეთია ბიოგრაფიული ცნობები ნ. ბარათაშვილის რომანიული ისტორიის ირგვლივ, მაგრამ თვით სიყვარულის ფილოსოფიურ ასპექტში ახსნა პოეტმა მოგვცა არა იმ ლექსებში, რომელნიც მისი გატაცების უშუალო „საგნები ისა დამია“ მიძღვნილი, არამედ სხვა რიგის ლექსებში. „ღამე ყაბახზედ“ ჯერ კიდევ რეალისტურად გვიხატავს ჩვენთვის უცნობ ქალს, მოხაზულია ნიშნობლივი კონტურები ნამდვილი არსებისა — ვარდისფერი ღაწვები, ხალი, ბუდეშური ფეხები და თეთრი კაბა. ეკატერინესადმი მიძღვნილ ლექსებში აღწერილია „უუუუნა თვალნი“, „პაწაწა ტუჩნი“, „ნაფურცვლნი ღაწვნი“ და ბოლოს — საყურე, რომელიც მომავალი დედოფლის სახეზე თავის ჩრდილს ეთამაშება. იქვეა მგრძნობიარე სტრიქონებიც:

ოი საყურეო,  
გრძნებით ამრევო,  
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?

მაშასადამე, ნ. ბარათაშვილის იმ ლექსებში, რომელთა ადრესატები ცნობილია, ჩვენ საქმე გვაქვს განწყობილების ერთგვარ პოეტურ მატერიალიზაციასთან, რასაკვირველია, კეთილშობილი და ამალღებული ფორმით. სხვაგვარია ძირითადი ტონუსი ლექსებისა, რომლებშიაც სიყვარული ფილოსოფიური განსჯის ობიექტად არის გადაქცეული.

პოეტის ლექსების ამ ციკლისათვის დამახასიათებელია გრძნობის ფსიქოლოგიზაცია („შინაგანობის“ სულიერობის ხაზგასმა), მშვენიერებას, სილამაზეს პოეტი უწინარეს ყოვლისა სულის სიფაქიზეში ეძებს. ჯერ კიდევ ყრობის პერიოდის ლექსში „ნ ა რ გ ი ზ ი და ყ ა ყ ა ჩ ო“ (1833) 16 წლის ქაბუჯი ამბობს:

მშვენიერება გარეგანი არს მართლად  
უშინაგანოდ ფუჟი ყოვლგან, მარადა.

ასეთს, ჯერ კიდევ მხატვრულად სუსტ, პოეტურ მედიტაციაში უკვე მოცემულია ჩანსახი პოეტის ბრწყინვალე ფორმულებისა სიყვარულზე.

ნ. ბარათაშვილის აზრით, სიყვარული არის ღვთაებრივი ნიჭი, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელი სუბსტანციის სახით არსებობს ბუნებაში; ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კი მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია არა ფიზიკური ღირსებების პათოვისცემაზე, არამედ, უწინარესად, ორი არსების სულიერ ნათესაობაზე, სიყვარულის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობას სწორედ სულიერი ნათესაობა წარმოადგენს. ნ. ბარათაშვილის აზრით ადამიანში, როგორც ღვთაების ნაწილში, სიყვარული გვევლინება როგორც „ს ა უ კ უ ნ ო მ ა დ ლ ი“. სიყვარულის ასეთი გაგება შესანიშნავად აქვს პოეტს გამოთქმული ლექსში „რ ა დ ჰ ყ ვ ე დ რ ი...“ (1842).

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტიცობას?  
თუ ემღერი შენ ტრფილისა ცვალებადს გრძნობას:  
რომ არ გემსქვალვის საუკუნო ტრფილებითა—,  
ჰგავს არ პასუხს ჰსცემ შენ მას სულით მშვენიერთა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების —  
და ვით ყვაილი თავის დროზე მსწრაფლად დაქცეების;  
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსქვალეში,  
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები

მშვენიერება ნათელია, ზეციით მოსული,  
რომლით ნათლდება, ყოვლი გრძნობა, გული და სული,  
და კაცსა შორის, ვით ქერძოსა

ღვთაებობისა,  
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი  
ტრფობისა?

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,  
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.  
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,  
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!

ახალ ქართულ პოეზიაში არავის მოუცია სიყვარულის ასეთი ახსნა, გაშლილი ღრმა და ფილოსოფიური მსჯელობის ფორმებში.



ნ. ბარათაშვილის ლირიკაში სატრფო იქცევა ღვთაებრივ ჩვენებად, რომლისადმი აღვლენილი ლოცვის თასს პოეტის გული წარმოადგენს:

შევიშრობ ცრემლსა, კირთ მანელებელს,  
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,  
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,  
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!  
მის თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,  
მისი ღიმილი შევბის მომცემი,  
ჩემი წარმწყმედი, მაცხოვნებელი,  
განმაბრძნობელი, გამხელელებელი!  
ვით არ ვადილო სიტურფის ღმერთა!  
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,  
სულსა მოჰბერა ცის ნიჭი ქვეყნად  
და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად! (1843)

ნ. ბარათაშვილის ეს ლექსი სიყვარულის რომანტიკული გაგების ერთ-ერთ ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს, როგორც ქართულ, ისე მსოფლიო პოეზიაში...

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბარათაშვილის აზრით „სოფელში ბოლოს და ბოლოს არაფერი ა შეუჩქენელი“, თვითონ „სოფელიც“ კი — პოეტი მაინც ფიქრობდა, რომ სიყმაწვილის ძვირფასი და დამამშვენებელი სამკაული სიყვარული იყო. ლექსში „ჩემთმეგობართ“ (1841) ავტორს ასეთი დიდაქტიკური შეხედულება აქვს გამოთქმული:

აჰყვიტო სოფელს, შეუჩქენე ელს და მომღერალსა,  
ნუ მოარიღებთ სიყმაწვილეს ტრფობისა აღსა!

ხოლო ლექსში „აღმოჰხდა მნათი“ (1840) პოეტი მიესალმება მნათობს, რომელმაც მისი „ესრეთ საზარი“ ცა უნდა გაანათოს და უკანასკნელ სტრიქონებში აღუთქვამს მას:

ვჟუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ოი, მნათო ჩემო!  
ოღეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო,  
მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიაშოვნება  
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოველი დიდება!

მაგრამ ნ. ბარათაშვილს სიყვარული არ ესმის მარტოოდენ განყენებულ იდეად. მისი აზრით, ტრფობა ცხადდება ფიზიკური და სულიერი თვისებების ნათესაობაში. ასეთი სიყვარული რეალურია თავის ობიექტურ გამოვლინებაში და უკვდავების საწინდარს წარმოადგენს. სიყვარულისაგან გამოწვეულ სიკვდილშიც პოეტი ამ უკვდავების მაძიებელია.

ამ მოსაზრებას ადასტურებს მეორე ნახევარი ლექსისა „მიყვარს თვალები მიბნედილები“ (1842):

ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგრძნობელსა,  
უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა,  
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,  
მათშივე კპოვებს საკურნებელსა!

თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,  
თუ არა სჭერეტდეს თქვენჯან სიყვდილში თვით უკვდავებას!

სიყვარულის გრძნობის წინაშე ნ. ბარათაშვილი მართლაც გრძნობდა თავს „უენო მსხვერპლად“, იგი შეპყრობილი იყო დიადი მოუსვენრობით ნაფიქრისა და განცდილის ადექვატურ პოეტურ ენაზე გადატანის დროს. პოეტი ამბობს:

არ უკიენო, სატრფოო, შესა მგოსანსა გულის-თქმა:  
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა  
გრძნობათ გამოთქმა!  
(„არ უკიენო“, 1841).

სიყვარულს, ამ ღვთაებრივ ნიჭს, უმშვენიერეს გვირგვინს ყოველი მოკვდავისათვის ამ ქვეყნად, — ნ. ბარათაშვილმა საკვირველი და უფაქიხესი გრძნობებით აღსავეს პიშინი უმღერა თავისი უკვდავი ენით.

## 6. ბარათაშვილის ანსიმოზმი; ბაღისფარის პროზაზეა მის ლირიკაში („ხმა იღუმალი“ და „სულო ბოროტო“)

როგორც მკითხველი დაინახავდა, ბარათაშვილის სიყვარულის ფილოსოფიაში სრულიად არაა შექრილი პესიმოზმი. „სათფელში“, სადაც ყველაფერს „ბოლო“ ანუ დისასრული აქვს, ადამიანის არსებობის უმაღლეს სიმშვენიერეს სიყვარული წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ნ. ბარათაშვილის აზრით ადამიანის ცხოვრებას, მის სიხარულსა და ტანჯვებს მართავს ელაც უცნობის ზელი, თვითული მოკვდავის ნაბიჯი აღბეჭდილია ამაოებით, დრო დავიწყების ფერფლით ფარავს ჩვენს სიხარულსა და ტანჯვებს. პოეტი ყველაფერს მარადისობის თვალსაზრისით აფასებს და ზეცის თაღს მუდამ მკუმუნვარედ შესცქერის. ამ განწყობილების გადმოცემას წარმოადგენს „შე მოღამება მთა წმინდაზედ“ და განსაკუთრებით „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, რომლის პესიმისტური სტროფები ცოტად თუ ბევრად განათლებული ქართველისათვის ჰაბუყობიდანვეა ცნობილი. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ შემდეგი სტრიქონები:

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..  
მინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვისებელი!

ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?  
თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმადლეს  
ამაო სოფლად არაა არის სხვა რამ დიდება,  
შფოთვენ და ღრტვინვენ და იტყვიან, „როდის იქნება,  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან  
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან..

ყოველგვარი პატივი და დიდება ეფემერულია და წარმავალი:

მაგრამ თუ ერთხელ სოფელს ბოლო უნდა მოეღოს,  
მაშინ ვილამ სტევენს მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

ეს არის ეკლესიასტეს პესიმიზმი. ასეთი პესიმიზმი ჰკეებავდა არა მარტო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ დიდ პოეტს, მწერალსა და მოაზროვნეს მრავალი საუკუნეების მანძილზე, არამედ თვითონ ბარათაშვილის წინაპრებს ქართულ ლიტერატურაში: თეიმურაზ პირველს, სულხან-საბა ორბელიანს, დავით გურამიშვილს და ბოლოს, მის თანამედროვეებსაც—ალექსანდრე ჰავჭავაძესა და კრიგოლ ორბელიანს. საკმაოდ ცნობილია „სოფლის სამღურავის“ თემა ამ მწერლების შემოქმედებაში. XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში კი მხოლოდ ნ. ბარათაშვილმა შესძლო ამ თემის შესაფერი პოეტური ენით დამუშავება, ნიკ. ბარათაშვილის პესიმიზმი უშუალოა და ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ჩვენმა პოეტმა პირველად განიცადა სოფლის წარმავლობა მთელი მისი სიღრმითა და სიცხადით.

ნ. ბარათაშვილის პესიმიზმი, რასაკვირველია, გარკვეული ისტორიული მიზეზებით იყო გამოწვეული და, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული უბედურებით, არისტოკრატიული წოდების უნუგეშო მდგომარეობით XIX საუკუნის პირველ ნახევარში, დასასრულ — თვით პოეტის პირადი ბიოგრაფიით. მაგრამ პოეტის მხატვრულ აზროვნებაში ეს მიზეზები მხოლოდ თავდაპირველი ფაქტორების მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რადგან ბარათაშვილი ახერხებს თავისი იდეები განაზოგადოს და ფილოსოფიური ლირიკის ფორმებში ჩამოაყალიბოს.

ნ. ბარათაშვილს სწამდა, რომ თვითელი მისი განზრახვა რომელიც გრძნეული არსების მიერ იყო ნაკარნახევი და არა ერთხელ გაუშართავს იშვიათი გულწრფელობით ანთებული საუბარი თავის დემონთან: პირველად სიკბაბუკეში („ხმა იღუმალი“, 1836), უკანასკნელად — გარდაცვალების წინა წლებში („სულო ბოროტო“, 1843).

ლექსში „ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ი“ ავტორი ჭერ კიდევ არ არის სავსებით შეშფოთებული, ცხოვრებაზე გულგატეხილი ადამიანი:

რა ვპსიან პირველად წუთისოფელი,  
დავითე აღგილი, სადაცა წრფელი  
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის  
სწორთა, თან ზრდილთა, მეგობართ შორის, —  
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა  
ჩემთა ზრახვითა და საწადელთა!

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა  
შეუწყალისა სინილისისა?..  
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,  
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა!

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი  
ან თუ ვშმაკი, მაცთური ჩემი,  
ვინცა ხარ, მარკვი, რას მომისწავებ,  
სიციოცხლეს ჩემსა რას განუშხადებ?  
რომ ვსცნა მე შენი საიდუმლობა,  
რომ მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..

კითხვა, რომელიც თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე დაუსვა პოეტ-  
მა საკუთარ დემონს, „სულო ბოროტოში“ იქცა აღსარებად, რომელ-  
საც წარმოსთქვამს იმედებდამსხრეული და სკეპსით დასწეულეუ-  
ლი ადამიანი. პოეტმა ბოლოს გამოიცნო, თუ ვისი იყო „ხმა უცნაუ-  
რი“ — მაცთურისა თუ ანგელოსის:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხზო ჩემდ წინამძღვრად,  
ჩემის გონების და სიციოცხლის შენ აღმამფოთრად?  
მარკვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვილობა,  
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?  
ამას უქადი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას!  
თითქოს მომცემდი ამა სოფლად თავისუფლებას,  
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი  
და თვით ჭოჭოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!  
მარკვი, რა იქმენე საკერეულნი ესე აღთქმანი?  
რად მომიხიბლე, აღმჩრეე, წრფელნი ზრახვანი?  
სულო აღმფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,  
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?  
წყველიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა  
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი, ჩემთ გულისთქმათა!  
მას აქეთ არის — დავუქარგე მშვილობა სულსა,  
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წუჟურვილსა!  
განვედი ჩემგან, ოი, მაცთურო, სულო ბოროტო!  
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,  
ქკუთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?  
ვაი მას, ვისაც მოხედეს ხელი შენი მსახვრალი!

ქართულ პოეზიაში ეს ლექსი ერთ-ერთი უძლიერესი თავისთავის გამოტირლია დავით გურამიშვილის განთქმულ „ანდერძებთან“ ერთად.

### „მერანი“

მიუხედავად ყოველივე ზემოდ თქმულისა, ნიკ. ბარათაშვილის ფილოსოფია არაა პასივობისა და უმოქმედობის ქადაგება. ეს მხარე განსხვავებს მის მსოფლმხედველობას ბევრი ევროპელი (მეტწილად გერმანელი) რომანტიკოსის რეაქციული მსოფლშეგრძნებისაგან. ამ მოსაზრების ჩინებულ ილუსტრაციას წარმოადგენს ბარათაშვილის შემოქმედების მწვერვალი — მისი „მერანი“ (1842).

ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებისა და კრიტიკოსების ხანგრძლივი დავისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა ნ. ბარათაშვილის ამ ლირიკული შედევრისათვის პროტოტიპებისა და პარალელების ძიება მსოფლიო ლიტერატურაში. განსაკუთრებით ხშირად ასახელებდნენ მიცკევიჩის ბალადს „ფარისს“, რომელშიაც გადმოცემულია ბედუინის ხეტიალი უღაბნოში. მაგრამ საკმარისია ზერელე გადაკითხვაც კი ამ ორი ნაწარმოებისა, რომ აშკარა გახდეს მათი უდიდესი განსხვავება, როგორც ძირითადი იდეის, ისე უანრისა და სტილის მხრივ. „მერანში“ თვითონ ავტორი გვევლინება მხედრად და ამიტომ ლექსი აღწერილია და თხრობის ფორმით კი არაა დაწერილი, არამედ რეალური მდგომარეობის გადმოცემი რიტმით.

თუ პარალელების გზას დავადგებით, მაშინ „მერანის“ მოარულ თემას — ველად უგზო-უკვლოდ გაქრას — შეიძლება ანალოგიები მოუძებნოთ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეზიაში, ისე თვით ქართულ პოეზიაში. ამ მხრივ სრულიად კანონზომიერია მისადაკავშირება „ვეფხისტყაოსნის“ იმ ადგილებთან, რომელნიც შინაარსობრივად და ფრაზობრივად ემთხვევიან ნ. ბარათაშვილის ქმნილებას სიუჟეტსა და სტილს. ჩვენ აქ ვრცლად ვერ შევვხებით აღძრულ საკითხს მონოგრაფიის ფარგლების სიეწროვის გამო და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „მერანი“ უნიკალურია ზოგად ადამიანური იდეის გამლისა და მისთვის გამონახული ადექვატური ფორმის თვალსაზრისით.

„მერანის“ შექმნის იმპულსად პოეტისათვის იქცა შემდეგი ისტორიული ფაქტი: 1842 წელს დალისტანში მთიელთა რაზმებმა დაატყვევეს ნ. ბარათაშვილის ბიძა — ილია ორბელიანი, კავკასიის ქარების ოჯიციერი და სკოლის მეგობარი პოეტისა. ილიას ვაჟკაცური თავდაპერილობა და სიმედგრე სამაგალითო აღმოჩნდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილების გუვერნიორ ფრანგ ქალს დრანსეს, რომელიც ავ-

რთვე ტყვედ ჰყავდათ მთიელებს 1854—1855 წლებში, თავის მოგონებებში მოთხრობილი აქვს მთაში გაგონილი ამბავი ილია ორბელიანის ხასიათის სიმტკიცისა და არაჩვეულებრივი გამბედაობის შესახებ. პოეტის ბიძის რაინდობას შამილის გაკვირვება გამოუწვევია.

ილია ორბელიანის ტყვეობას, ჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მეგობარ-პოეტზე. ნ. ბარათაშვილი თვითონაც აღუწერს გრ. ორბელიანს მისივე ძმის თავგადასავალს, იქვე ურთავს მთელ ლექსს „მირბის, მიმაფრენს...“, რომელიც ამჟამად „მერანის“ სახელით არის ცნობილი და ბოლოს დასძენს: „არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. — ილიას დაქვია რომ შევიტყვე, ჰსწორე გითხრა, ძალიან შევეწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუებულ ვიყავით ასის სხვადასხვა უცნაური ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა, ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დაწერე და თითქოს ამან რაღაც შეება მომცა“ (ბარათი 1842 წ. 2 მაისის თარიღით).

ეს სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ გვავალდებულებენ „მერანის“ ახსნისა და დაფასების დროს. ლექსში გადმოცემულია არაილია ორბელიანის ფიქრები, არამედ თვითონ ბარათაშვილის სულიერი განწყობილება, ის „სხვადასხვა უცნაური ფიქრი“, რომელიც შემდეგ სტროფების რიტმში გადმოიღვარა. ბიოგრაფიული ხასიათის მოვლენა იქცა თავდაპირველ ბიძგად, რომელმაც გამოიწვია პოეტის ძლიერი ვნებათა ღელვა: „მერანის“ არქიტექტონიკა, მისი რთული მეტრული წყობა და სხვადასხვა ზომის სტროფების ერთმანეთთან შეხამების სისტემა ამხელს, რომ ეს ნაწარმოები დიდხანს მწიფდებოდა ბარათაშვილის არსებაში. „მერანი“ სამშობლოდან და ნათესავებისაგან გაქცეული ადამიანის სულის ექსტატიური ყიფინაა და არა უცხოეთში დატყვევებული ოფიცრის სულიერი განწყობილება: აულ დარღოს ორმოებში დაპატიმრებული ადამიანისათვის ნ. ბარათაშვილის ასეთი ფიქრები სრულიად შეუსაბამოდ უნდა მივიჩნიოთ.

„მერანში“ გადმოცემულია კონფლიქტი ადამიანის იდეალებსა და სინამდვილეს შორის, ერთს მხრივ. და გიგანტური ჭიდილი ბედისწერასთან, მეორეს მხრივ. მოვიგონოთ ილია ქავკავაძის მშვენიერი განსაზღვრა, რომელშიაც პირველად და მკაფიოდ არის გამოხატული ნ. ბარათაშვილის ლირიკული შედევის იდეა: „ბარათაშვილს სურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი“ „შავად მღელვარე ფიქრი“. რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაენმა ამისათვის ლიუციფერი აირჩია, გოეტს

ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი მერანი ე. თავისი სულის ქროლვა“.

„მერანში“ გვაქვს გმირული შერკინება ბედთან. ფრთებახმულ, სივრცეში მსრბოლ მერანზე მჭდარ მხედარს უკან მოსჩხავის ტრაგიკული აღსასრულის მაუწყებელი შავი ყორანი. პოეტიც უყვივს თავის მერანს — გარდაატაროს ბედის საზღვარი. იმდენად ძლიერი და სტაქიონურია ნ. ბარათაშვილის ამბოხი ბედისწერის ძალების წინააღმდეგ, რომ იგი მზადაა დასთმოს მშობლიური მამული, ნათესავეები და გულს სატრფოც, ტიალ მინდორში და უცხო ცის ქვეშ იპოვოს საფლავი, ოღონდ ბედისწერას არ ემონოს. ეს არის გმირული ყიენა სოფლის დათმობაზე, „გიუური ლტოლვა“ კოსმიურ სფეროში გადასვლასათვის, ყველა მიწიერი, მატერიალური ხუნდისაგან თავის დაღწევა სრული განთავისუფლების მიზნით. ეს არის თავდავიწყებული ტკბობა თვითონ სრბოლით, ქროლვით. პოეტის შავად მღელვარე ფიქრები ხან ერთ მთლიან ენერგიად გვევლინებიან და ტალღის მძვინვარებას მიაგავენ, ხან უმაღლესი პოეტური მედიტაციის ფორმებში, ვრცელ ტემპის მხრივ შენელებულ სტროფებში იშლებიან და ტალღის დროებით დაწყნარებასა და ყრუ გმინვას ემსგავსებიან. „მერანი“ უაღრესად ექსპრესიული ნაწარმოებია თემატიური რკალების თანმიმდევრობისა და რიტმული წყობის მხრივ; იგი ნამდვილი სიმფონიაა, რომელშიაც ენერგიული ტემპით გადმოცემულ ძირითად (სრბოლის) მოტივს მოსდევს მსჯელობანი ბედზე, თვითონ პოეტის ხვედრზე და ადამიანურ მოვალეობაზე, მოძმეთა შორის.

მსოფლიო ლირიკულ პოეზიაში მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებია თუ მოიძებნება, რომელშიაც „მერანის“ მსგავსად იყოს მოტივირებული თემა, ემოციები და რიტმი ლექსისა. ამ მხრივ ბარათაშვილის ქმნილება ჭერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. განყენებული მსჯელობა „მერანის“ რიტმის ექსპრესიულობაზე, რასაკვირველია, ვერ აგვისხნის იმ მომხიბლაობის მიზეზს, რომელსაც მკითხველში იწვევს ნ. ბარათაშვილის უკვდავი ქმნილება.

ლექსში მოცემულია პოეტის გრძნობებისა და ფიქრების იმგვარი დინება, რომ მათი გამოთიშვა ლექსის საერთო დინამიკიდან თითქოს შეუძლებელიცაა. პროგრამული შინარსის შემცველი მე-8 სტროფიც („უღდად ხომ მაინც არა ჩაივლის...“) მაშინ სტოვებს ძლიერ შთაბეჭდილებას, როცა მას საერთო ჩარჩოდან არ გამოვეყოფთ და ავითვისებთ, როგორც იმედის ზარის რეკვას დრამატული გონების ხმაურის ფონზე. „მერანი“ პირველივე ტერფიდან („მირბის...“) ბოლომდე ამაღლებულ რეგისტრებშია მოცემული, მისი რიტმი ისეთი ზემოქმედების ძალისაა, რომ უხმოდ კითხვის დროსაც ჩვენ ავტორთან ერთად განვიცდით ემოციურ მღელვარებას, როგორც საკუთარ სულიერ განწყობილებას. არსად

დესკრიპცია, ლექსი პირდაპირ, ex abrupto იწყება ძირითადი მოტივით —სრბოლით, რაც რიტმის ტეხილი რხევით არის გადმოცემული:

1. მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,  
 უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანის  
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
 და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ლექსის ამ სტროფში მერანის ფრენა და მხედრის ფიქრების მღელვარება მოტივირებულია არა მარტო რიტმით, არამედ ბგერააზოკესტრული ჟღერითაც (თანხმოვან „რ“-ს დომინანტით).

პირველი სტროფის მეტრი 14 მარცვლიანი ლოგაედია (ე. წ. „მცირე ბესიკური“) და ხასიათდება ქორე-დაქტილურ მუხლებს (დიპოდიებს) შორის, ცენტრში, ერთმახვილიანი ტერფით (მეორე პეონით). რომელიც ხელს უწყობს რიტმის ტეხილი სახით დენას. გრაფიკულად საზომი ასე გამოიხატება:

∴  
 'ს'ს ს'ს 'ს'ს  
 2 3 4 2 3

მთელი სტროფი შეკრულია ერთ მთლიან ენერგიად და ერთი რითმით (AAAA).

მომდევნო სტროფის საზომი კი ოცმარცვლიანია (ე. წ. „შავთელური“) და მთლიანად ქორე-დაქტილური დიპოდიებისგან შესდგება. აქ უკვე აღარაა რიტმული ტეხილი ცენტრში ან ტაეპის რომელიმე უბანში:

2. გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი, A  
 გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სა-  
 ვალნი დღენი! A  
 ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა  
 ავდარსა, B  
 ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა  
 შენსა მხედარსა! B

სრბოლის რიტმული ინერცია ჯერ კიდევ შენარჩუნებულია პირველ და მეორე ტაეპში (AA), მაგრამ ისე ძლიერი არაა, როგორც პირველი სტროფის ტაეპებში. აქ სამმარცვლიან სიტყვებს მოსდევს უფრო მოკლე, ორმარცვლიანი სიტყვები და ეს მათებს სტრიქონებს საჭირო ძალას („გაკვეთე ქარი, გააპე წყალი..“ და ა. შ.); სტროფის მეორე ნახევარში (BB) ორმარცვლიანი სიტყვები წინ მოდიან და ტემპი უფრო ნელდება („ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა...“



და ა. შ.); ამიტომ მეორე ნახევარში სკარბობს მსჯელობა, ვიდრე შე-  
ძახილები. სტროფის საზომი გრაფიკულად ასე გამოიხატება:

პირველი ნახევრისათვის (AA):

'სს 'ს 'სს 'ს 'სს 'ს 'სს 'ს  
3 2 3 2 3 2 3 2

მეორე ნახევრისათვის (BB):

'ს 'სს 'ს 'სს 'ს 'სს 'ს 'სს  
2 3 2 3 2 3 2 3

ეს სტროფი ორ რითმას ატარებს (წინააღმდეგ პირველი სტროფისა, რომელიც ერთი რითმითაა შეკრული) — ქალურ რითმას ('ს) პირველ და მეორე ტაეპში, ხოლო დაქტილურს ('სს) მესამე და მეოთხე ტაეპში. ასეთია მეტრული კონსტრუქცია „მერანის“ ყველა ოცმარცვლიანი სტროფისა.

ლექსის მესამე სტროფიც ოცმარცვლიანია, მთლიანად მსჯელობის ფორმებშია გაშლილი და ტემპის მხრივ კიდევ უფრო შენელებულია:

3. რაა, მოგმორღე ჩემსა მამულსა, მოვაკლღე სწორთა  
და მეგობარსა; A  
ნულა ვიხილავ ჩემთა შშობელთა და ჩემსა სატრფოს  
ტკბილ მოუბარსა, A  
საც დამილამდეს, იქ გამოითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა  
სამშობლო; B  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა  
მე საიდუმლო! B

პოეტი ლაპარაკობს თავისი ტრაგიკული აღსასრულის წინათგრძნობაზე და წარმოადგენს სულის ამალლებას ვარსკვლავებთან სასაუბროდ.

პოეტური მსჯელობის ნელი ტემპი ნაწილობრივ ვრცელდება მეოთხე სტროფის პირველ და მეორე ტაეპზე, თუმცა მთლიანად ეს სტროფი კონტრასტული საზომითაა დაწერილი, იგი 14 მარცვლიანია და იმეორებს პირველი სტროფის („მირბის...“) მეტრს:

4. კენესა ეულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის  
ლეღას, A  
და შენს შშენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას! A  
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი, B  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი. B

სტროფის მეორე ნახევარი (BB) ისევ ძირითადი მოტივის ნაწილობრივი დაბრუნებაა (განმეორებულია პირველი სტროფის მეო-

რე ნახევარი — გასწი, მერანო...“), მთლიანად მეოთხე სტროფს აგრეთვე ერთი რითმის ნაცვლად ორი რითმა აქვს.

ამრიგად, ლექსში, როგორც სიმფონიაში განმეორებულთა პირვანდელი ლეიტმოტივის გადმომცემი ფრაზა და იგი შინაგან თემატიურ ხაზს წარმოადგენს ნაწარმოების მელოდიურ ფონზე.

მეხუთე და მეექვსე ოცმარცვლოვან სტროფებში ხელახლა და თანდათან ნელდება ტემპი და პოეტი ისევ მსჯელობის ფორმას მიმართავს:

5. ნუ დავიმარხო ჩემს მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის, ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დაშეცეს ცრემლი მწუხარის, — შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდუღოთა შორის ტიალის მინდვრის, და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით მიწას მამაყრის!
6. სატრფოს ცრემლის წილ, მკედარსა, ოხერსა, დამეცემიან ცოურნი ცვარნი, ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვაენი მყივარნი! გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწემონოს შენი მხედარი!

მეხუთე სტროფის უკანასკნელი ტაეპის ბოლო („... ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!“) და მეექვსე სტროფის მესამე ტაეპის დასაწყისი („გაჰსწი, გაფრინდი...“) აგრეთვე წარმოადგენენ ძირითადი მოტივის გადმომცემი სტროფის („მირბის...“) მელოდიურ ეხოს. საერთოდ კი ტემპი შენელებულია და პოეტი მსჯელობს იმ ხვედრზე, რომელიც ბედისწერას გარდუვალი ჯილდოს სახით განუშზადებია მისთვის; ამ სტროფებში გვაქვს თავისი თავის უიმედო გამოტირილი, გადმოცემული იშვიათი დრამატული თრთოლვით. ტაეპების ორკესტრულ ხმაურშიაც ისმის სვაეების ყვილი და ქარის გმინვა ფიქრით წარმოდგენილ ძელებზე („და ქარიშხალი, ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!“).

5 და 6 სტროფებს მისდევს 14 მარცვლიანი სტროფი, რომელიც თავისი ტეხილი საზომით ისევ აცოცხლებს სრბოლის რიტმს და რომელსაც ხელახლა მოაქვს მერანის ფრთების ტლაშუნი:

7. დაე მოგვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი! ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი! გასწი, მერანო, შენს ქენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარის!

ამ სტროფში ნიკ. ბარათაშვილი გვაძლევს პირველ სიგნალს მომდევნო, პროგრამული შინაარსის მქონე მერვე სტროფისას, რომელიც მთელი ლექსის იდეურ ცენტრს წარმოადგენს და ოცმარცვლიანი საზომითაა დაწერილი:

8. ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

ეს სტროფი ისმის, როგორც იმედის ზარის რეკვა ბედისწერასთან  
ჭიდლის ფონზე. პოეტი, რომელიც სინამდვილს მიღმა მიისწრაფის,  
მაინც სთვლის თავის მორალურ ვალდებულებად ზნეობრივი გან-  
წმენდისა და თანამოძმეებისათვის არსებობის „გზის გაადვილებს“  
იდეა იქადაგოს. ეს არ არის გაქცევა სინამდვილიდან. ნ. ბარათაშვილი  
დიდი პატრიოტი რჩება ფატალური ძალების წინააღმდეგ ამბოხების  
დროს!

ეს აქტიური სული აახლოვებს ჩვენს დროსთან ნიკ. ბარათაშვილს!  
ცნობილ ლექსებში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და „ფიქრნი  
მტკვრის პირზედ“ პოეტი გვევლინება უფრო მკვერტელად, ვიდრე  
მებრძოლ ადამიანად. ბუნების ჰერეტიკს დროს იგი მშვიდად მსჯელობს  
ყოველივე ხილულის ამაოებასა და წარმავლობაზე. მაგრამ ამ ლექს-  
შიაც პოეტი ბოლომდე არ იცავს მხოლოდ იმ აზრს, რომ მატერიალურ  
თუ სულიერ ღირებულებებს დაშლა მოელით და ჩვენ გულხელდაკრე-  
ფილნი უნდა ველოდოთ გარდუვალ ხვედრს, დავრჩეთ ინდიფერენ-  
ტულნი და რომ ნათელი არასოდეს არ აკიაფდება ბნელით მოცული  
პანორამის ფონზე. ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ქვეყნის სკეპ-  
ტიკური და პესიმისტური განსჯის შემდეგ პოეტი თავის მსჯელობას  
ამთავრებს სიტყვებით:

ოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!  
როს მკმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად!  
მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,  
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, რომელშიაც არა მარტო ჩვეუ-  
ლებრივი ადამიანების, არამედ დიდი მეფეების მოღვაწეობაც ამაოე-  
ბის თვალსაზრისით არის შეფასებული და სადაც ყოველი სულდგმუ-  
ლის არსებობის ხვედრად დავიწყების ფერფლია მიჩნეული, — პო-  
ეტი აქტიური მოქმედებისაკენ მოგვიწოდებს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკვიან — შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

მოყვანილი სტროფები პოეტმა 1833 და 1837 წლებში დასწერა.  
„მერანში“ (1842) კი ამბოხებული პოეტი უფრო ენერგიული ხმით  
იმეორებს ამ აზრს. ყორანის საბედისწერო ჩხავილში, ტიალ მინდორ-

ში ძველბად დაცემულ თავისავე სხეულის ზმანებაში ნ. ბარათაშვილს არ ავიწყდება მოქალაქეობრივი ვალი თანამომქმეთა წინაშე. „მერანი“ უწინარეს ყოვლისა, ქართველი ფაუსტის სულიერი დრტვინვაა.

ლექსი თავდება მეცხრე სტროფით, რომელიც პირდაპირი განმეორებაა პირველი სტროფისა:

9. მირბის, მიმაფრენს უგზო-უკელოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი  
გასწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

კადენციაში უცვლელად ბრუნდება პირვანდელი მოტივი და სიმფონია კომპოზიციურად იკეტება.

„მერანი“ გენიალური ლირიკული ქმნილებაა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო პოეზიაშიც. მონოგრაფიის ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს გავარჩიოთ იგი ლექსის კომპოზიციის ზოგადი ისტორიის თვალსაზრისით და დავინახოთ — რა ახალი შესძინა ამ მხრივ ნ. ბარათაშვილმა საერთოდ ლირიკულ ენარს. „მერანი“ უაღრესად ნოვატორული მოვლენაა და იმავე დროს კლასიკურიც თავისი სრულყოფილი ფორმით.

### ნიკ. ბარათაშვილის ენა და სტილი

ნიკ. ბარათაშვილი პირველი განთავისუფლდა აღმოსავლეთის პოეზიის გავლენისაგან ქართულ ლიტერატურაში. ის გვერდს უხვევს ღვინისა და ვარდის ტრადიციულ ზოტბას, არ მიმართავს ირანულ პოეზიისათვის დამახასიათებელ ყვავილოვანებას; რომანსულ ამღერებას მის პოეზიაში სცვლის ბიბლიური პათოსი, ტკბილ და პარმონიულ რეჩიტატივს — მკაცრი დეკლამაცია. არავითარი პრიმიტიული დიდაქტიკა, არავითარი სანტიმენტალობა და ნაძიები მგრძნობიარობა.

მეტრიკის სფეროში ბარათაშვილი უშუალოდ კლასიკურ პოეზიასთან არის დაკავშირებული, და თუ XVIII საუკუნის მუსიკალური პოეტის ბესიკის ერთ-ერთ საზომს, 14 მარცვლიან ლოგაედს („მცირე ბესიკურს“) იყენებს (მაგ. „მერანში“), სამაგიეროდ ანთავისუფლებს ამ საზომს შინაგანი რითმებისაგან, რომელნიც მუხამბაზებისათვის სავალდებულო ტავტოლოგიას პბადებდნენ. ტრადიციული საზომები ნ. ბარათაშვილის ლექსში ახალი ფუნქციით იტვირთებიან, ტაეპები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული აზრობრივად, რის გამოც, თვითონ საზომის ძველი, ტრაფარეტული რხევა არც იგრძნობა. ამიტომ არის ახალი ნ. ბარათაშვილის ინტონაცია, მი-

უხედავად მისი ლექსების ტრადიციული საზონებისა.

ნკ. ბარათაშვილი დაკვირვებული მკითხველი იყო კლასიკური ქართული პოეზიის ძეგლებისა. ის იყენებს მაგ. შავთელისა და ჩახრუხაძის 20 მარცვლიან საზომს თავის ლექსებში. მართალია, ამ საზომით მე-18 საუკუნეშიაც სწერდნენ, გავრცელებული იყო იგი პოეტის ეპოქაშიც. მაგრამ „მერანის“ ავტორს უშუალოდ შავთელისა და ჩახრუხაძის ნოტები უკითხავს. ამას ადასტურებს ორი ფრიად საგულა-სხმო მაგალითი:

1) ლექსში „ჩემი ლოცვა“ ბარათაშვილი ფრაზობრივად იმეორებს შავთელის ოდების ბოლოს. აი ეს დამთხვევა:

შავთელი:

გვედრებ თქვენ სულად, ქების წილად

ჩემგან დუმილი თვით მიითვალეთ.

(აბდულმესიანი, სტროფი 108).

ბარათაშვილი:

და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად,

მაშა დუმილიც მიმიითვალენ შენდამი

ლოცვად („ჩემი ლოცვა“).

2) ჩახრუხაძის „თამარიანში“ პირველად დამხოლოდ ერთხელ არის ნახმარი სიტყვა, რომელიც შემდეგ არავის არ გამოუყენებია ქართულ პოეზიაში, გარდა ბარათაშვილისა. ეს სიტყვაა: „ემუქმებოდნენ“. შდრ.

ჩახრუხაძე:

მუქნიკრთებიან, ემუქმებიან (ნოტა 5)

ბარათაშვილი:

თმანი ნაშალნი,

მკერდზედ დაყრილნი,

ემუქმებოდენ („ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“).

მოყვანილი მაგალითების შემდეგ გასაგები ხდება შავთელისა და ჩახრუხაძის საზომების სიქარბე ბარათაშვილის ლექსებში. ცხადია, ამ საზომებსაც ახალი ფუნქცია აქვთ დაკისრებული, რადგან ბარათაშვილის პოეზიას სხვაგვარი საერთო არაფერი აქვს ქართველი მეზოტბეების მწიგნობრულ რიტორიკასთან.

საერთოდ ნ. ბარათაშვილის მეტრიკა მდიდარია; პოეტმა გამოიყენა ძირითადი მიღწევები ქართული პოეზიისა ვერსიფიკაციის დარგში. მისი ლექსები დაწერილია 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 ტერფიანი საზომებით, რომლებიც, ქართული პროსოდის თავისებურების გამო, მეტ-

წილად ქორეული, დაქტილური და პეონური ტერფების კომბინაციებს წარმოადგენენ.

ნიკ. ბარათაშვილმა პირველად შემოიტანა ქართულ ლექსში ე. წ. „გადატანა“ (enjambement). ამის მაგალითს წარმოადგენს თუნდაც მე-5 სტროფი ლექსისა „შემოღამება მთაწმინდაზე“, ჯერ კიდევ პირვანდელ ვარიანტში (1833). სანიმუშოა შემდეგი სტროფიც ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირზე“ :

თვითონ მეფენი უძლეველნი, || რომელთ უმაღლეს  
ამო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება, ||  
შფოთვენ და ღრტვინვენ, და იტყვიან: || „როდის იქნება,  
ის სამეფოა ჩვენი იყოს?“, || და აღიძვრიან  
იმავ მიწისთვის, || რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..||

ნიკ. ბარათაშვილი რიტმის დიდი ნოვატორია. მან არაჩვეულებრივი ფორმა შექმნა ქართულ პოეზიაში სხვადასხვა საზომის მქონე სტროფების ერთმანეთთან შეხამებით. „მერანის“ ანალიზის დროს ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ეფექტს აღწევს ეს ფორმა.

ბარათაშვილს არ მოეპოვება არც ერთი გაცვეთილი სახე ან შედარება, არც ერთი ფრაზა, მზამზარეული სახით წამოღებული ქართული ან მსოფლიო პოეზიის საგანბურტიდან. იგი ოდნავადაც არ ამხელს ექსპერიმენტატორის ან ვერსიფიკატორის ვარჯიშობას: პოეტის ლექსებში კვლიც არა ჩანს სიტყვაზე ხანგრძლივი მუშაობისა.

ნ. ბარათაშვილის ფრაზა სუნთქავს შინაგანი ინტიმობით, ხოლო მისი ლექსების არქაულ ატმოსფეროში იმდენი უშუალობა და თავისებური, განუმეორებელი მომხიბვლელობაა, რომ მათი სხვა ენაზე აღექვატური გადატანა თითქოს წარმოუდგენელია. ბარათაშვილის პოეტური მეტყველება აღბეჭდილია მარად ძველი და მარად ახალი ბრწყინვალეობით.

მისი ფაქიზად ნუანსირებული ფრაზის კონსტრუქცია უმაღვე დაიშლება თუ ლექსის „შინაარსს“ სწორედ იმ ენობრივ ფაქტურაში არ წარმოვიდგენთ, რომელშიაც ჩამოუსხამს იგი პოეტს. ლირიკოსი-ბარათაშვილი თითქოს კონსერვატორია ენის საკითხში. პოეტს აქვს ერთი ლექსი, ძალზე მსუბუქი, ამღერებული და ფოლკლორის გავლენით დაწერილი — „მადლი შენს გამჩენს“, რომელიც დანარჩენი მისი ლექსებიდან გამოირჩევა. მაგრამ პოეტს ის შემთხვევით დაუწერია. ნ. ბარათაშვილი აცნობებდა მაიკო ორბელიანს: „აი, ამ ქართულს ლექსს გივზავენი მ დ ა ბ ი უ რ უ ლ ა დ დაწერილს, როგორღაც ფიქრში მაძივიდა — მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ“. ნ. ბარათაშვილი-ლირიკოსის ენა მწიგნობრულია: პოეტური მეტყველების საკითხში ბარათაშვილი ბოლომდე ერთგული დარჩა ქართული ჰიმნოგრაფიისა,

ს. დოდაშვილისა და გრ. ორბელიანის ენობრივი პოზიციისა. „ჩმა იდუმალი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, „ჩემი ლოცვა“ და „სულო ბოროტო“ — ძირითადი შედეგები პოეტისა — ჩვენი მოსაზრების შესანიშნავ ილუსტრაციებს წარმოადგენენ.

როგორც ჩანს, ნიკ. ბარათაშვილი პრინციპიალურად იზიარებდა შეხედულებას, რომ პოეზიის ენის საფუძველი ძველი სალიტერატურო მეტყველება უნდა ყოფილიყო. ამ საკითხში პოეტი რომანტიკოსთა თაობის ტიპური წარმომადგენელია. პ. იოსელიანი, 30-იანი წლების ლიტერატურული მეტრი, ფიქრობდა: „...ენა ქართველთა არის მრავლით უმაღლესი... მხოლოდ ეკლესიურისა მწერლობისა გამო. სხვანი საერონი წიგნი იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერთა და ტკბილთა ენითა“. რუსულ ენაზე გამოცემულს ერთს ბროშურაში იგივე პლ. იოსელიანი სწერდა: „მუდამ და ყველა ხალხში მასების ენა იყო და რჩება არა ლიტერატურული“. სხვა ადგილასაც: „მასების ანუ ხალხის ენა არაა ლიტერატურის ენა. მასებს ესესხებიან მხოლოდ საუკეთესოს. ფუტკარი ყველა ყვავილისაგან კი არ ჰკრებს წვენს, არამედ თაფლისთვის გამოსადეგ მცენარეებისაგანო“. ასევე ფიქრობდა გრ. ორბელიანიც: „[ენა]სადმართო წერილისა... არის მართლად გამოუღვევლი საუნჯე ჩუენისა ენისა, რომელშიაცა მალაღნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად მშუენიერისა ფორმითა“. ან კიდევ: „ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი. ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰსწმენდს, არ გაამშვენიერებს და დიდებულებითა აღიყუანს სალიტერატუროს სამფლობელოსში... არხიტექტორი თავის ხელოვნებით თუ არ შეეწია შენობასა, ტალახი დაჰშთება ისევ ტალახად. მწერლობაშიაცა სწორედ ასე არი“. ნიკ. ბარათაშვილი, უეჭველია, იზიარებდა ასეთ შეხედულებას. ამან კი ოდნავ დაამძიმა პოეტის ენა, თუმცა მსუბუქი და არსებითად ღრმად ინდივიდუალურ აქცენტს მოკლებული მუხამზახების გარემოცვაში ნ. ბარათაშვილის „მძიმე“ ლექსი სრულიად ახალი მოვლენა იყო. „მერანის“ ავტორის ლირიკაში არაფერია ავტობიოგრაფიული და ამიტომ ის არც მსუბუქია.

მხოლოდ თავის ერთადერთ პოემაში დგას ნიკ. ბარათაშვილი საშუალო ქართული ენის ნიადაგზე.

ნ. ბარათაშვილის ლექსების თავისებური ორთოგრაფია და ტაქტების დასაწყისში შორისდებულების სიჭარბე შედეგია ს. დოდაშვილის გრამატიკული სისტემის დიდი ზეგავლენისა. როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული, ბარათაშვილი მშობლიური ენის კანონებს დოდაშვილის სახელმძღვანელოს მიხედვით სწავლობდა. პოეტმა მისი „გრამატიკიდან“ დაიხსომა ყველაფერი ის, რაც ლექსებში გამოდგებოდა, მაგ. ს. დოდაშვილი ასწავლიდა მომავალ მგოსანს: „§ 68. შორის დებუ-

ლი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს ვითარსამე გრძნობელობასა ანუ მოძრაობასა სულიასა. § 69. შორისდებულნი, მნიშვნელობისამებრ თვისისა აჩვენებენ: ა) განკარგულებასა: ოჰ! ეჰ! ჰ! ბ) საღმობასა: ვაჰ, ჰ ი, ჰ მე; გ) შევებასა: ვიშ! ვახ!.. ვ) იღუმელობასა: სუ! სუსუ! ჩუმად! სძღუმენინ!.. ზ) წოდებასა: ეი! ეიეი! ში! თ) ღაღადებასა: ოჰ! ჰ! ი) შეწყალებასა: ვაჰ! გლახ! ია) განმხნობასა: შაბაშ! შაბაშ-შაბაშ! იბ) ნატვრასა: ნეტარ! ვაში! ნეტარდი!“ (იხ. შემოკლებული ქართული ღრამმატიკა. გამოცემული სოლომონ დოდაევის მიერ. ტფილისი 1830, გვ. 55, „თავი მერვე. შორისდებულისათვის“). როგორც ხედავთ ს. დოდაშვილი შორისდებულებს ემოციურ ელემენტს უკავშირებდა და ნიკ. ბარათაშვილიც, რომელმაც „სულის გრძნობელობისა ანუ მოძრაობის“ გამომხატველი ლექსების წერა გიმნაზიაში დაიწყო, ხშირად მიმართავს შორისდებულებს იმ ორთოგრაფიული სისტემის დაცვით, როგორც ეს დოდაშვილს აქვს დაკანონებული. აი მაგალითებიც: „ში მთაწმინდავ...“, „ში ადგილნო“, „ში საღამოვ...“ („შემოღ. მთაწმ.“), „ში ჩონგურო...“ „ში საყურეო“ („საყურე“), „ში სახიერო“ („ჩემი ლოცვა“), „განვედი ჩემგან, ში მაცდურო...“ („სულო ბოროტო“). „ში ნაპირნო“ („ბედი ქართლისა“), „შე, ცაო, ცაო...“ („შემ. მთაწმ.“), „შე მწირო“ („სუმბული და მწირო“), „შე ძმანო...“ („ომი ქართველთა“), „ვაჰ თუ მასაც...“ („სუმბული და მწირო“), ვაჰ მას, ვისაც...“ („სულო ბოროტო“), „ახ, რად არ ძალმიძს...“ („საფლავი მეფის ირაკლისა“), „რად შემოიპყარ მე გლახ გული...“ („ქეთევან“) და სხვ.

XIX საუკუნის არც ერთი ქართველი პოეტი არ მიმართავს შორისდებულებს ისე ხშირად და ისეთი ორთოგრაფიით, როგორც ბარათაშვილი — მოწაფე გრამატიკოს დოდაშვილისა.

დასასრულ ერთი საკითხის გამოც.

ნ. ბარათაშვილის პოეზიის ძვირფას ღირსებას შეადგენს მისი ჰურიზმი — არაჩვეულებრივი სიწმინდე პოეტის ლირიკული შედეგების ლექსიკონისა. იგი სრულიად აუმღვრეველია. არც ერთი ბარბარიზმი... ნ. ბარათაშვილის მეტყველება ღრმად ეროვნულია და ლექსიკის მხრივ ისევე დახვეწილი, როგორც IX—XI საუკუნეების ჰინოგრაფების ენა და მეტყველება.

### პოეტის გარდაცვალება

როცა ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალებას იგონებენ, ჩვეულებრივ მოჰყავთ პოეტის წინასწარმეტყველური სიტყვები:

ნუ დავიმაძხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
 ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!



ეს წინასწარმეტყველება მართლაც აღსრულდა: ბარათაშვილს ბედმა უცხო ცის ქვეშ არგუნა სიკვდილი.

1844 წლის ნოემბერში ლევან მელიქიშვილი დანიშნეს ნახიქვეანის ყოფილი სახანოს მმართველად და მან თანაშემწედ წაიყვანა ნიკოლოზ ბარათაშვილი, თავისი სკოლის ამხანაგი. პროვინციულ ქალაქში არავინ იყო მათთვის ხმის გამცემი და მეგობრები ერთმანეთს აბოძებდნენ. ერთხანს მათთან ყოფილა ვინმე პოლკოვნიკი ფორსტენი, წარმოშობით შვედი. შემდეგ ისიც გამგზავრებულა. „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რაო“. — სჩივის ბარათაშვილი ნახიქვეანიდან გაგზავნილ წერილებში.

ნახიქვეანში ნიკ. ბარათაშვილმა 6 თვე დაჰყო და 1845 წლის მაისში დაბრუნდა თბილისში, რადგან ლევან მელიქიშვილი ახალ აღგილზე დაუნიშნავთ. დედაქალაქში იგი ცდილობდა საქართველოში დაეტოვებინათ, უნდოდა გამგზავრებულყო თელავში, ისევ მაზრის უფროსის თანაშემწედ, მაგრამ გამგზავრების დღეს პოეტთან მისულა მამუკა ორბელიანი. მაშინ ელისავეტპოლის (განჯის) მაზრის უფროსად დანიშნული და ბარათაშვილი წაუყვანია თავის მოადგილედ.

განჯაში ნ. ბარათაშვილი მსახურობდა 1845 წლის ივლის-ოქტომბრის თვეებში. აქაც სრულიად უთვისტომოდ გრძნობდა თავს. პოეტი მთელი თავისი არსებით თბილისში იმყოფებოდა, აინტერესებდა ყოველდღიური ცხოვრება მშობლიური ქალაქისა, რომელსაც იგი ცხოვრებითა და პოეტური ინტერესებით ეკუთვნოდა.

1845 წლის ზაფხულზე მამუკა ორბელიანი თბილისს გამგზავრებულა რაღაც საქმეებისათვის და მაზრის მოვლა თანაშემწისათვის დაუტკიცებია. ეს ის დრო იყო, როცა მაზრაში ავაზაკები დაძრწოდნენ, იკლებდნენ სოფლებს და ნ. ბარათაშვილს უხდებოდა მათი დევნა უღრან ტყეებსა და ღრანტეებში. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციიდან განჯაში დაბრუნებისას გაცივებულა და როცა ამდგარა, ზედმეტად უსვამს ლუდი, ხელახლა შეუცივებია და ისევ ლოგინად ჩავარდნილა.

ავადმყოფობა საბედისწერო შეიქმნა ფიზიკურად საღი, მკვრივი აგებულების პოეტისათვის.

1845 წლის 9 ოქტომბერს (ძვ. სტ.) ნიკ. ბარათაშვილი გარდაიცვალა განჯაში, მაზრის უფროსის სახლში; 11 ოქტომბერს ნათესავეებისაგან დაუტირებელი ტატო ბარათაშვილი დაკრძალეს იქვე, გარნიზონის ციხე-სიმაგრის პატარა ეკლესიის ეზოში, მალლობზე.

დედამ თავისი უსაყვარლესი ვაჟის საფლავი რამდენიმე თვის შემდეგ ინახულა.

ნათესავეებისათვის ნ. ბარათაშვილის სიკვდილი თავზარდამცემი აღმოჩნდა, ხოლო მეგობრებისა და იმდროინდელი ინტელიგენციისათვის ნამდვილ ნაციონალურ უბედურებას წარმოადგენდა. განაწამე-

ბი დედა მოსთქვამდა: „მე უბედურად ქმნილი მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს და რა შვილს, რომლისაგანაც მოველოდი ყოველს სიხარულს. ვუი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალების დაბნელებას“. დალისტანში მყოფი გრ. ორბელიანი, რომელსაც ყრუ ცნობა მისვლია დისწულის მძიმე ავადმყოფობის შესახებ, შეძრწუნებული სწერდა თავის ძმას ილიას: „ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელი ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? — უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსათვის მოგეწერა ტატოს უიმედოთ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზებირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. ახრ, ეს დამალვა რა არის? — თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? აქაურმა ცხოვრებამ, ძალის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავად გამხადეს, ეს ექვსი დღეა ვწევარ გარიაჩკითა მიხაკოსთან. — თუ ხატი გრწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით და მასუკან — რადგანაც შენთვის დიდი შრომაა — ნულარ მოიწერები, იყავ შენთვის მშვიდობიანად“ (1845 წ. 12 ნოემბ.). ძმამ ბოლოს გაუბხილა ნათესავის სიკვდილი: „ამ საწყლებს მელიტონის და იმის ცოლშვილის ყურებისათვის ვეღარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვგაქლები და აღარ მესმის რა. ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება. ნეტავი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არა ხედავო!“ (1845 წ. 29 ნოემბ.); ლევან მელიქიშვილმა კი ეროვნულ უბედურებად ჩასთვალა მეგობრის დაქარგვა; ის სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „სამძიმოა, ძმაო გრიგოლ, სამძიმო დაქარგვა კაცისა, რომელიც თავის თბილის გულით და თბილის სულით გვარიგებდა ადამიანებთან, ამ არა რა, სუსტ, შავ და ბოროტ არსებათ თანა. სამძიმოა სულით დაობლება. და მარტო მე კი არ მომივიდა ეს საშინელი დანაკარგი! საქართველომ მასში დაჰქარგა კაცი, რომელსაც იგი უყვარდა სრული პოეტური სულითა და ამ სიყვარულს ყოველს თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ყმაწვილი კაცი მშვენიერის და ბრწყინვალე ნიჭისა, რომლის იმედი მეტი მქონდა, ვიდრე სხვა ახლანდელის თავის ჭაბუკ შვილებისაგან. მშობლებმა დაჰქარგეს მასში ერთად ერთი ბურჯი თავისის მოხუცებულობისა და მთელის ოჯახისა; ნათესავეებმა — კეთილი ნათესავი; ქართველებმა — ერთი თავის უკეთეს მემამულეთაგანი. იქნება ვცოდავდე, მაგრამ თავი ვერ დამიჯერებია, რომ არა ვთქვა, სად არის სამართალი ზენაარი, რომელსაც მუდამ დღე გვეტყვიან, — რისთვის გამოეცალა უდროოდ ადამიანს მეგობარი, სამშობლოს ერთგული მოყვარული მისი შვილი, ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, დედმამას შვილი ყვავილოვანის ასაკისა და უკანასკნელი ბურჯი. მითხარი, სადა ჩანს აქ სამართალი?“.

ამ გამოტირილის შემდეგ დიდმა დრომ განვლო. 90-იან წლებამდე ნ. ბარათაშვილის საფლავზე განჯის მტკრიანი ქარი ნეაერლობდა.

მხოლოდ 1893 წელს გადმოასვენეს პოეტის ნეშტი თბილისში. კუბოსთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ქართველმა ერმა ის დიდი პატივით დაკრძალა დიდუბის პანთეონში.

1938 წელს ბარათაშვილის ნეშტმა მეორედ იხილა საქართველოს ცა: დიდუბიდან ის გადაიტანეს მთაწმინდაზე, რომელსაც პოეტმა თავისი უკვდავი ლექსი მიუძღვნა.

ასმა წელმა განვლო პოეტის გარდაცვალებიდან.

ისტორიის მრავალ ქარცეცხლში გმირულად გამოვლილი საქართველო ღრმა სიყვარულით იგონებს ბედით დასეტყვილ, უზომოდ ლამაზ, ბუდეშურთვალეებიან ჭაბუკს, რომელიც თითქოს ფთაშესნმულ მერანს მოაქროლებს სამშობლოსათვის დიადი სიმღერის სათქმელად — ნაცვლად უიმედო დრტივნისა და ბობოქრობისა.

5—20 სექტემბერი  
1945 თბილისი



ქართველთა

წიგნი



## ნიკოლოზ ბარათაშვილი

(პარიაციები პოეტის თემაზე)

ორმოცამდე ლირიკული ლექსის, ერთი პოემის, რამდენიმე სახუმარო ეპიგრამის, თვრამეტამდე კერძო წერილისა და ორიოდე თარგმანის კრებული დევს ჩვენ წინაშე. შეგიძლიათ იგი ჯიბით ატაროთ. მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანია რიცხობრივად ეს მცირე საჩუქარი ქართველი ხალხისათვის, კაცობრიობისათვის!

არც ერთ ქართველ ლირიკოსს არ გაუმდიდრებია თავისი ენის სულიერი და გონებრივი სამყარო ისე უხვად, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს.

\* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა მხოლოდ აუცილებელი და სავალდებულო სიტყვებით. მის პოეტურ მონოლოგებში ნატამალიც არ მოიძებნება ლამაზი ან მყვირალა ფრაზისა, არც ერთი ტაეპი პოეტის ლექსისა არაა ნავარაუდევო ტრიბუნლიდან სათქმელად, მათი სიტყვიერი ფაქტურა შინაგანი ხილვებითაა აღვსილი და მოგიწოდებთ მგოსნის არსებაში ჩასახედად; მოკლედ — ბარათაშვილის ლექსი არაა განკუთვნილი აპლოდისმენტისათვის — ამ მერყევი, ეფემერული და ძალზე ღარიბი საზღაურისათვის ცხოვრებასა და მწერლობაში.

ბარათაშვილის პოეზიის გაცნობა უმაღვე არწმუნებს დაკვირვებულ მკითხველს, რომ მისი მთავარი გმირი თვითონ პოეტია.

\* \*

არა გრაციოზული ყესტი ან მსუბუქი ფარფატი თემებზე, არამედ მუდმივი სერიოზულობა და მკაფიოდ გამოხატული სუბიექტივიზმი განმსჭვალავს ბარათაშვილის ლირიკას.

მოკვდავთა საზეიმო ფუსფუსს, შუშხუნებსა და ფეიერვერკებს, ბაზრის ან მეიდანის ხმაურს — მსგავს რასმე არ მიუზიდავს ბარათაშვილის გულისყური. სალონურ შეკრებებსა და წვეულებებში მისი მონაწილეობა არსებითად უბრალო გართობა იყო ყველასათვის:

„ისტოლ-ნაჩალნიკად“ ცნობილი, მაგრამ შინაგანად ღრმა ახალგაზრდი-სათვის.

და სკეპსისის აჩრდილი ყოველთვის ატუზული იდგა ბარათაშვი-ლის გვერდით.

•

საქართველოს ისტორიული ბედ-იღბლის საკითხი („ბედი ქართ-ლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სუმბული და მწირი...“); ინტი-მური დიალოგი თავის დემონთან („ზმა იღუშალი“, „სულო ბორო-ტო...“); ტემპერამენტის სტიქიონური მოზღვავება („მერანი“) ან სუ-ლის წამლები ღიმილით თხრობა თავისსავე აჩრდილთან მოთამაშე სა-ყურეზე („საყურე“), — ამგვარი მრავალფეროვნება და კონტრაპუნქ-ტული ხასიათი ბარათაშვილის ლირიკისა ნაკლებად პოულობს ანა-ლოგს ქართულ და მსოფლიო პოეზიაში.

დაბოლოს, ლოცვის მელოდირი პასაჟის რხევა დუმილის მიჯნასთან, როცა თვითონ დუმილის მიღმა ნელა იკეცება დაღლილი იალქნის აფრე-ბი („ჩემი ლოცვა“) — მგოსნის იშვიათ სულიერ სიმდიდრეზე მეტყველებს. ჩვენს დიდ ლირიკოსს არ ჰქონდა უფლება, მსგავსად *Silentium*-ის ავტო-რისა, კატეგორიული სახით ჩამოეყალიბებინა განთქმული პოეტური მაქ-სიმა იმაზე, თითქოს „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობით გამოთქმა“ (შეადარეთ ტიტუტჩევი: «Мысль изреченная есть ложь»).

გამოთქმის ინტენსივობის სფეროში ბარათაშვილის ნიჭიერება განუსაზღვრელია.

• \*

წინამდებარე ვარიაციები ზემოთ ჩამოთვლილ ლაიტმოტივთა გად-მოცემის ცდაა. მაგრამ ჩონჩხი არაა ორგანიზმი. ნებისმიერ განმარტე-ბათავან თავის დაღწევას ზოგჯერ არც უცდომელი გემოვნება შველს, არც ერუდიცია. ბარათაშვილის ლექსის სრულყოფილ გაგებასა და ათვისებას სჭირდება უფრო მეტი, ვიდრე აღტაცების უნარი ან განს-წავლულობა.

ფიქრობთ, ბარათაშვილთან უხილავი კონტაქტის დამყარების ცდას შეუძლია გაუადვილოს მკითხველს ნაწილობრივ მაინც ეს რთუ-ლი ამოცანა.

• \*

ბარათაშვილის პიროვნება უკვე თავისი არსებობის აქტით წარმო-ადგენდა იშვიათ მოვლენას XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ოდნავ ქვედახრილ-გუგებიანი თვალებით, მკვრივი აგებულების ეს ახალგაზრ-და კაცი, სიკვდილამდე მხოლოდ ერთხელ რომ გამოსცადა რაღაც

ავადმყოფობა, სრულიად ჯანსაღი გახლდათ. ნაცნობ-მეგობართა შორის, ერთი შეხედვით, იგი ყველას ჰგავდა, მგონი იმ „ხახვის ფრანტებსაც“, სამხედრო კარიერაზე რომ ოცნებობდნენ და თეთრდობანდიანი იმამის დასამარცხებლად მიისწრაფოდნენ დალისტინის მთებისა და ღრანტეებისაკენ. მაგრამ ბარათაშვილს არ აუხსრულდა სამხედრო სამსახურში მოწყობის ოცნება. 30-იან და 40-იან წლებში, ამ „ყრუ წლების“ ხანაში, იგი თბილისში დარჩა ძალაუნებურად და თავისი კვიმატი ენით ხანგადასულ კნეინებს აჯავრებდა ან შინაურებს (მაგალითად, თავის ბიძას ილიას) იწვევდა დუელში. და, აუ ოფიცირის მედლებს არ დაუმშვენებია მისი მკერდი, სამაგიეროდ ბარათაშვილის შემოქმედებამ არ იცის ისეთი საბედისწერო პაუზა, როგორც გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ბიოგრაფიაშია ცნობილი.

თანამედროვეებს ნაკლებად ესმოდათ მისი. ნამდვილად იგი არაგინს ჰგავდა.

გიორგი ერისთავს მსუბუქ ადამიანად გამოჰყავს ტატო ერთ უმწეო კომედიაში („შეშლილი“); პუშკინსაც „თავქარიანს“ ეჭახდნენ პეტერბურგის არისტოკრატიულ სალონებში, ხოლო ზღესტაკოვები ტრახახობდნენ, რომ ისინი ბრუდე-რა-შაფტს მიიჩთმევდნენ „ევეგენს ონეგინის“ ავტორთან ერთად. ზღესტაკოვებს, საერთოდ, ყველა დროში სჩვეოდათ დიდ ადამიანებთან ფამილარული გატოლება.

ომის ასპარეზის გარდა, როგორც მისი სრული ანტითეზი, ბარათაშვილს მშვიდობიანი ცხოვრებაც იზიდავდა. თითქოს მის არსებაში აკვიატებულ და მშფოთვარე დემონს მფარველი ანგელოზი ებრძოდა და პოეტის ცხოვრების ნავს მყუდრო სადგურისაკენ ეზიდებოდა. ბრწყინვალე მარტოობა, ბაირონის მიერ ნანატრი „სპლენდიდ იზოლაიშნ“, ბარათაშვილის ოცნების სავანიც იყო: „მომეციტ მე დამოუკიდებელი არსებობა და უმაღ დავუტევებდი ქვეყანასა და ადამიანებს მათი გაუმადლოობით, და მშვიდად გაეატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას ბუნების წიაღში, ეგზომ დიადი და მშვენიერი რომ არის ჩვენს სამშობლოში“, — აცნობებდა იგი ბიძას, ზაქარია ორბელიანს, 1844 წელს.

ასე წერდა „მერანის“ ავტორი, რომელმაც ექსტატიური ყიყინით ამცნო თანამედროვეთ: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა ნაცნობთ და ნათესავთ შორისო“.

ხომ არ გვაგონებს ყოველივე ეს „ნიუსტედტის სააბატოს“ მფლობელის, ბარათაშვილივით ფუნდაზიანებული და მეამბოხე ლორდის ღალადისს ამქვეყნად თავის მიუსაფრობასა და იმავე დროს მშვიდი ცხოვრების ოცნებაზე?

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრებაც მსგავს პოლარულ განცდათა შორისაა მოქცეული.



\* \*

ბარათაშვილის ლირიკა ჯერ საკუთარ მე-ზეა პროეცირებული, მერმე კი გარეშე სინამდვილეზე (როგორც ჰორაციუსის ოდები, მარკუს ავრელიუსის პროზა, შუბერტის „მერვე დაუმთავრებელი სიმფონია“...), „ჩ ა ლ რ მ ა ვ დ ი ს ა კ უ თ ა რ თ ა ვ შ ი!“ — ურჩევს პოეტობისთვის ზემოთ ციტირებულ ბარათში.

ბარათაშვილის ლირიკა პოეტის მიერ მოკლედ გამოთქმული ამ პოლიტიკატის შეუდარებელი მხატვრული რეალიზაციაა.

\* \*

ლამითაც კარგად სკვერეტს ბარათაშვილი თავისი გულის „პირველი საგნის“, ვინმე ნინოს „ბუდეშურ ფეფებს“ („ლამე ყაბახზედ“). იგი გამოსახვის იშვიათი პლასტიკური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ლამის ის თვისება, როცა საგანთა მკაფიო კონტურები წაშლილია ან ბინდბუნდში გახვეული არეშარე მთვარის დისკოს ნათელითაა მკრთალად გაშუქებული, მთაწმინდაზე ან სასაფლაოზე, — საოცრად აახლოებს მას ნოვალისთან, რომელსაც ასე სძაგდა „დღის უტიფარი ნათება“. „ლამისადმი ჰიმნების“ ავტორივით ქართული პოეტისათვისაც ლამე ერთგვარი სტიმული იყო საკუთარ არსებაში აღმოცენებულ შეგრძნებათა საკვირველი მხატვრული ძალით გამოსახვისა. ამასთან, თუ ნოვალისის „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის“ გმირს „ცისფერი ყვავილი“ ეზმანებოდა, ბარათაშვილსაც „ცისფერი“ ატყვევებდა.

შორეულად მონათესავე პოეტების ლექსებში ხშირად ერთნაირი სულიერი შეგრძნებანია ასახული მაშინაც, როცა პირდაპირი გავლენის მომენტი ნამდვილად გამორიცხულია.

ამასთან — ბარათაშვილი, ნოვალისისაგან განსხვავებით, მზის ამოსვლას შესტროფოდა, რომელიც ბოლოს ყველა ბინდბუნდს გაანათებდა:

მწუხრი გულისა, სევდა გულისა. ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს  
როს გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის გაანათლებს.

\* \*

ამიტომაც ბარათაშვილის თითქმის ყველა პესიმისტური ლექსი გამსჭვალული ბრძოლის აქტიური სულით.

უწინარეს ყოვლისა — ბარათაშვილი იყო თავისი ქვეყნის დიდი მოქალაქე, 1832 წლის შეთქმულთა რადიკალური ფრთის მოწინავე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მისწრაფებებს გამზიარებელი, რაზნოჩინელ სოლომონ დოდაშვილის მო-

წაფე რესპუბლიკური იდეების სფეროში. თუ მასწავლებელი აცხადებდა ქართული მონარქიის მისამართით, რომ „ერთ კერძო განუქვრეტელობამ და ერთ კერძო შეიწროვებამ ან ძლიერთა ერთ ამან, მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესე ვითარ ხარისხაზღე დამდამბლებისა... მავიწყებელი მოქალაქებრისა თავისუფლებისა“ (1828), — ადებტიც ამასვე იმეორებდა სოლომონ ლეონიძის სიტყვებით მონარქიისა და თვით ხელმწიფის მისამართით („ბედი ქართლისა“, 1839):

მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!

ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას.

მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება

სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,

მისდევდე შენსა ჯულისკვეთებას

და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

ასეთი პროგრამული სიტყვები შეეძლო წარმოეთქვა რომელიმე რესპუბლიკელ კატონს და არა XVIII საუკუნის ქართველ მონარქისტს.

საგვებით გამკვირვალეა აგრეთვე სოლომონისა და მისი მეუღლის პაექრობა პოემის ბოლოს, რაც არსებითად ეროვნული თავისუფლების ხოტბას წარმოადგენს. ამავე ხაზს აგრძელებს პოეტი ლექსში „სუმბული და მწირი“.

ესიც დამახასიათებელია, რომ ბარათაშვილი დიდი რომაელი იატორიკოსის ტაციტუსის (დაიბ. დაახლ. 55 წ. — გარდ. დაახლ. 120 წ.) ისტორიული თხზულების „აგრიკოლას ცხოვრების“ ერთი ადგილის თარგმანში (რაც ამ ბოლო ხანებში გახდა ცნობილი) იმპერატორის მოღვაწე აგრიკოლა (37—95 წწ.) ამხნეებს ბრიტანეთში მოქმედ რომაელთა მხედრობას და თავის მიმართვას ამთავრებს ასეთი შეძახილით: „მეგობარ-ამხანაგო: კვლადცა ერთაი დღე დიდებისა და იყვის დასასრული ომსა რვალწლოვანა და რესპუბლიკა კმაყოფილ იქმნების თქვენ მიერ“.

იმპერიის მხედართმთავარს არ შეეძლო სიტყვა „რესპუბლიკა“ წარმოეთქვა, რომის რესპუბლიკა მის დროს უკვე ისტორიის კუთვნილება იყო. მაგრამ იმპერიის სახელმწიფოებრივი წყობის მტერი ტაციტუსი სწორედ ამ სიტყვას წარმოათქმევინებს აგრიკოლას<sup>1</sup>.

ასე აქციეს — ნ. ბარათაშვილმა ლეგატიმისტი ს. ლეონიძე, ხოლო ტაციტუსმა იმპერიის სარდალი აგრიკოლა — რესპუბლიკელებად.

<sup>1</sup> ქართულად მოტანილი ციტატის სათანადო ადგილს ვ. მოდესტოვი თარგმნის ასე: „...докажите государству...“ (იხ. Соч. Корнелия Тацита. 1886 г. т. I, стр. 28), ლათინურ ტექსტში კი წერია: „...ad robat nei publica...“ (ტაციტუსი. De vita et moribus lulii Agricolaе, 34). მასხალადმე, ძველი რუსული თარგმანის იმ ტექსტში. საიდანაც ბარათაშვილმა გადმოიღო ქართულად აგრიკოლას სიტყვა, აღნიშნული კონტექსტის სწორად ყოფილა თარგმნილი ლათინურიდან.

აქვე დაეუმატებთ, რომ ახალგაზრდა ბარათაშვილის დაინტერესება უღრმესი და ურთულესი რომაელი ისტორიკოსის შემოქმედებით პოეტის ვრცელ ინტელექტუალურ მასშტაბს მოწმობს.

\* \*

პოეზია შეუზღუდველი ავტონომიის სფერო იყო ბარათაშვილისათვის. ორ დემიურგს უთანხმებდა იგი თავის პოეტურ სიტყვას — შინაგან ხმასა და მიზეზთა მიზეზს ზეცის თაღს ზემოთ. ამიტომ არც ერთხელ არ მიუმართავს მორჩილების ან მადლიერების გამომხატველი ჟესტით ძლიერთადმი ამა ქვეყნისა.

საერთოდ ბარათაშვილი წარმოუდგენელია სასიკვდილოდ მიმავალი გლადიატორის პოზაში. იგი არც კეისრის ლოჟისაკენ იცქირებოდა, არც ბრბოსაკენ. ბარათაშვილს არც ერთხელ არ აღმოხდომია შეძახილები: „ავე ცეზარ!“ ან „სალვე პლემს“.

და, თუ მისი ცხოვრება სიღუბნეობითა ერთი გაბმული მარტიროლოგია, სამაგიეროდ ჩვენ უყოყმანოდ ვუცხადებთ ნდობას მის ჭკუას, არაჩვეულებრივ ნიჭსა და სტოიკურ ვაჟაკობას.

\* \*

ტრივიალურად იქცა ციტირება ბარათაშვილის სიტყვებისა:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვჭვიან...

ან:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის...

და ასე შემდეგ.

ბარათაშვილს, როგორც თავისი დროის კულტურტრეგერის, მთარგმნელის, მშობლიური ლიტერატურისა და თეატრის განვითარებისათვის მზრუნველის შესახებ ისედაც ბევრი დაწერილა. ასე თუ ისე გარკვეული ვართ მწერლის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შეხედულებებში. მაგრამ ის, რაც აშკარად და თვალნათლივ ჩვენ წინაშე დევს, ჭერ კიდევ არ გულსხმობს ბარათაშვილის ამომწურავ გაგებასა და დაფასებას. ცხადია, მცირე მოცულობის ეტიუდში ყველაფრის აღწერსხვა შეუძლებელია. ჩვენი მიზანი მხოლოდ პოეტის ზოგიერთი ლექსის ესთეტიკურ ხარისხზე მითითებაა.

\* \*

სტილის მხრივ ბარათაშვილის ლირიკა ღრმად და დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნებთან, ქართულ ჰიმნოგრაფიასთან.

ბიბლია როდია მარტოოდენ საკულტო ძეგლი, იგი ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლიცაა. მას კარგად იცნობდა ჩვენი ლირიკოსი.

უაღრესად საგულისხმოა პოეტის დის ბარბარეს ცნობა — ნიკო საუცხოვოდ კითხულობდა ძალეთო წერილსო. დავითის „ფსალმუნისა“ და ქართული ვულგატას შესწავლამ გარკვეული დიდი დაასვა ბარათაშვილის ლექსების ოდნავ არქაიზებულ სტილს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ბიბლიური გამოთქმა პოეტის მიერ გამოყენებულია გარკვეული მიზნით, ისინი მოდიფიცირებულია. ამიტომ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს უკვე ცნობილ სტილურ ფორმულათა ხასიათი საკუთრივ ბარათაშვილის ლექსის სიტყვიერ ქსოვილში, მათი შეფარდება ეპოქის გარკვეულ სტადიაზე მოქმედ ესთეტიკურ პრინციპებთან, რადგან ესა თუ ის სტილური გამოთქმა, როგორც პოეტური მეტყველების წევრი, გაქვევებული სახით არ მოგზაურობს ეპოქიდან ეპოქაში.

ბარათაშვილის ფრაზა არეკლავს ისტორიულ პერსპექტივას, სახეთა და გამოთქმების შერჩევის მომენტს და მასთან — მათს ავსებას ახალი აზრობრივი შინაარსით. ამიტომ ცალკეული შეზღვედრებინ ან ფრაზობრივი დამთხვევების კატალოგიზაცია თავისთავად არაფერს ხსნის. ბარათაშვილის ლირიკაში შემავალი სტილური ინგრედიენტები სრულიად ახალი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ.

ბარათაშვილისათვის ბიბლიურ ტექსტებს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰქონდა მას სებასტიან ბახისათვის, როცა ეს უკანასკნელი თავის ქორალებს ან „პასიონებს“ (მათესა და იოანეს სახარების ტექსტებზე შექმნილ „ვენებებს“) ქმნიდა.



ჩვენი მსჯელობა შეიძლება კონკრეტულად დასაბუთდეს.

ინტელიგენციის იმ წრეს, რომელსაც ბარათაშვილი ეკუთვნოდა, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ქართული თარგმანები მშობლიური ენის ყველაზე სრულყოფილ ძეგლებად მიაჩნდა. ასე, ევროპულად განათლებული პლატონ იოსელიანი წერდა ძველი ქართულის შესახებ:

„ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა და ქართველთა წმინდათა მამათა ცხოვრებისა აღმწერელთა. ვითარცა მცოდნე, ვიტყვი გაბედვით, ლათინთა ენისა, ბერძელისა და რუსულისა, ვითარცა მთავართა ენათა, ერთთა დიდთა ეკლესიათათვის შეზადებულთა, რომელ ენა ქართველთა მრავლით უმცირესი ბერძელისა, არის მრავლით უმაღლესი ორთა სხვათა მხოლოდ ეკლესიურისა

მწერლობისა გამო. სხვანი საერონი წიგნნი იწერებოდნენ არა ეგოდენ ძლიერითა და ტკბილითა ენითა“.

იმავე პ. იოსელიანს ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანებს შორის ყველაზე სრულყოფილად მიაჩნდა იუდეველთა დიდი მეფისა და პოეტის დავითის „ფსალმუნთა“ თარგმანი (ითარგმნა ქართულად IV ან V ს-ში). იგი წერდა: «Ни славянский перевод, ни латинский Вулгата, ни немецкий Лютера, ни французский de Saci, ни итальянский Jovani Дюдатт псалмов, не могут оспаривать права превосходства и изящества у перевода грузинского. Это я говорю насчет тех мест, которые остались неизменными при издании псалмов в Москве 1743 году. Это торжество языка, торжество духа пинтического, отражающих на словах, столь ясных, величественных, вполне воплощающих великие мысли величайшего поэта. Искатели поэзии грузинского слова, как в псалмах, так и вообще в церковных книгах, найдут лучшие и богатые образцы выражений поэтических... язык массы, всегда и у всех народов, был и будет не литературным».

პ. იოსელიანი ნამდვილი მეტრი იყო ენისა და სტილის საკითხებში გრიგოლ ორბელიანისათვის, რომელიც აგრეთვე ასეთად ჰყავდა მიჩნეული მის გენიალურ დისწულს. გრ. ორბელიანი წერდა „ახლანდელთა მწერალთა“ მისამართით: „მათ არა ჰქონიათ შემთხვევა ღრმად შესწავებისათვის ქართულისა ენისა, და ამა მიზეზითვე არ არიან ჩვეულნიცა საღმრთოსა წერილისა, რომელიცა არის, მართლად, გამოუღვეელი საუნჯე ჩუენისა ენისა, და რომელშიაცა მალალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად შუენიერა ფორმითა“.

საკუთრივ ფსალმუნთა შესახებ გრ. ორბელიანი ერთგან იმოწმებს ფ. შლეგელს. „ფსალმუნი არის თავისუფლებითი ამალღება სულისა ღვთისადმი. ნახე ისტორია ლიტერატურისა შლეგელის მიერ“.

პოეტმა პრაქტიკულადაც განახორციელა ეს აზრი. მისი შესანიშნავი „ფსალმუნი“ ამის დადასტურებაა. ლექსის პირველი ტაეპი —  
„ ე ი ნ ა ა ღ ვ ი დ ე ს მ ა ლ ა ს ა მ ა მ თ ა ს ა ჭ მ ი ნ დ ა ს ა “ —  
პირდაპირ აღებულია დავითის „ფსალმუნნი“-დან (23,2):

ე ი ნ ა ა ღ ვ ი დ ე ს მ თ ა ს ა უ ფ ლ ის ა ს ა , ა ნ უ ვ ი ნ დ ა დ გ ე ს  
ა ღ გ ი ლ ს ა ჭ მ ი ნ დ ი ს ა მ ი ს ს ა ?

გრ. ორბელიანის „ფსალმუნი“ არსებითად ამ ტაეპის პოეტურ მსჯელობად გაშლას წარმოადგენს. პოეტი უშუალოდ დავითის ფსალმუნებიდან ამოღის<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 1843 წელს გრიგოლ ორბელიანი სთხოვდა ავარიიდან თავის ძმას ილიას: „ამას გარდა ერთი დავითნი გამომიგზავნე და ერთიც ვეფხისტყაოსანი პატა-  
182

იმავე მეთოდს მიმართავს ბარათაშვილი ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ცალკეულ გამოთქმათა გამოყენებისას.

✓ ჯერ კიდევ 1933 წელს დაწერილ ნარკვევში „ნიკოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა“ ჩვენ საგანგებოდ მივუთითეთ „ჩემი ლოცვა“-ს ავტორის პოეტური მეტყველების კავშირზე ბიბლიასთან და ქართულ ჰიმნოგრაფიასთან. კერძოდ „დავითის ქნარი“ ნ. ბარათაშვილისათვის კარგად იყო ცნობილი, იგი მას პირდაპირ ახსენებს ლექსში „ევპოვე ტაძარი“ („ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი“<sup>1</sup>), რომელიც მთლიანად დავითის „ფსალმუნთა“ ცალკეულ მუხლებში გამოთქმული სიმძიმითაა გამსჭვალული. ყველაზე მკაფიოდ კი „ფსალმუნთა“ ცალკეულ გამოთქმათა საბეჭდო გამოყენება გვაქვს ლექსებში „ჩემი ლოცვა“ და „შევიშრობ ცრემლსა...“ მაგ., დავითის „ფსალმუნნი“ შეიცავს გამოთქმას (12,3):

ვიღრე ვისთვის დაეიხსნე ზრახენი  
სულსა ჩემსა და სალმობანი გულსა  
ჩემსა დღე და ღამე?

ეს მუხლი შემდეგნაირად გახშიანდა ბარათაშვილის „ჩემს ლოცვაში“:

დამინთქე მასში სალმობანი გულისა სენთა.

საერთოდ სიტყვა „სალმობა“ ხშირადაა ნახშირი „ფსალმუნში“. შდრ.: „გარე-მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი“ (17,5), „სალმობათა ჯოჯობეთისათა მომიცევს მე“ (17,6), „...ჭირი და სალმობაჲ ვპოე“ (114,3) და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დავითის მიმართვანი უფლისადმი ბარათაშვილთან ტრანსპონირებულთა სატრფოზე. მაგ., „ევპოვე ტაძარში“ ნათქვამია უიღბლო სიყვარულის გამო:

ვერსად აღვანთე დაშობილი მისი ლამპარი.

„ფსალმუნ“-ში კი დავითი მიმართავს იეჰოვას (17,29):

რამეთუ შენ აღმინთოსანთელი ჩემი,  
უფალო, ღმერთო ჩემო, განმინათლო ბნელი ჩემი.

<sup>1</sup>რა დაბეჭდილი“ (წერილები, I, 80). როგორც ჩანს, ილიას შეუსრულებია თხოვნა მისთვის. გვიან (1846 წ. 18 თებერვალს) გ. ორბელიანი სწერდა მანანა ორბელიანს: „წინ მიძევს დავითნი და ყოველ დღით თითო კანონს ეკითხულობ ცრემლებითა და შენანებითა, რომ ესოდენი წელიწადნი ჩემნი წასულან ამოდ“ (იქვე, I, 119—120).

<sup>2</sup> ნ. ბარათაშვილის გულდასმით უკითხავს ჩახრუხაძე, რომელსაც აქვს ტეპი: „პლატონის ენა, დავითის ქნარი“ (II, 15).

შესანიშნავადაა შენაცვლებული მიმართვის ადრესატები ბარათა-  
შვილის შედევრშიაც „შევიშრობ ცრემლსა“... დავითის ფსალმუნებ-  
ში უზენაესს მიემართება ლოცვა (140,2):

წარემართენ ლოცვაჲ ჩემი ვითარცა  
საკუმეველი შენ წინაშე....


ბარათაშვილს კი თავისი ლოცვა გადააქვს სატრფოზე:

შევიშრობ ცრემლსა კირთ მანელბელს,  
გულსა დაიწევე დასანაცრებელს  
და მისსა ფერფლსა, ვითა საკუმეველს  
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს.

ასე, ბიბლიური გამოთქმები ფუნქციურად სახეშეცვლილი ჯდებიან  
ჩვენი პოეტის ლირიკულ დაღადისში.

დავითის შესახებ მეფეთა მეორე წიგნში (6,5) ნათქვამია: „ხოლო  
დავით და ძენი ისრაელისანი ვიდოდეს წინაშე უფლსა მროკველნი-  
ორლანთა შეკმობილითა ძლიერითა, და გალობითა, ებნითა, და წინ-  
წილითა, და ბობლნითა, და საყურითა და სტურებითა“.

დავითი უფალს აღუვლენდა ლოცვას. ზემოთ მოყვანილ ფრაგ-  
მენტში კი (აგრეთვე მთელს ლექსში) ბარათაშვილს თავის სალოცვა-  
ვად მიაჩნია „სიტურფის ღმერთა, ყოვლნი კეთილნი რომ შეიერთა“.



ასევე იყენებს ნ. ბარათაშვილი ქართულ ვულგატასაც (ე. წ. „ოთხ-  
თავს“, სახარებას).

მაგ., ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ პოეტი მიმართავს სატრფოს სა-  
ხებას:

შენარ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბუტვით ნისლით-გამო მონათებ.

„ნისლით-გამო“ ნიშნავს „ნისლიდან“-ს (თანდებული „გამო“ =  
დან-ს) და მთელი ტაეპი უბრწყინვალესი პოეტური ნიუნანის შემცვე-  
ლია: საყვარელი სახე, როგორც ვარსკვლავი, პოეტს ნისლიდან უნა-  
თებს მიბუტვით! ეს სახე მოდის ქართულ ვულგატადან: „და აჰა ვმაჲ  
იყო ღრუბლით — გამო და თქუა — ესე არს ძე ჩემი საყუარე-  
ლი“ (მათე. 17,5) და სხვ<sup>1</sup>.

ჩვენის მხრით დავუმატებთ, რომ ძველ აღთქმაში, კერძოდ დავი-  
თის „ფსალმუნებში“, ანალოგიური გამოთქმები ხშირად გვხვდება.

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილის ლექსის მოტიანილი ადგილის ასეთი, პირველი ახსნა ეკუთვნის  
ივ. ლოლაშვილს (იხ. მისი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდ-  
რეობა“, 1968, გვ. 40—41).

მაგ.:

მოაელინე შენდა შემწე წმინდით მისით და  
ს ი თ გ ა მ ო კელი აღგებყრან შენ (19, 3).

ან

აღადგინა ბლუარი ც ი თ გ ა მ ო და გამოავლინა  
ძალთა თვისთა ჩრდილოა (77, 26).

ეს ფორმა გავრცელებულია გვიანდელ თარგმნილ ძეგლებშიაც.  
მაგ., პატერიკში:

...და სუეტსა მას ღ რ უ ბ ლ ი ს ა ს ა, რ ო მ ლ ი ს ა გ ა მ ო  
მოსეს ღმერთი ეუბნებოდა.<sup>1</sup>

ნ. ბარათაშვილის დასახელებულ ლექსში გამოყენებული სიტყვე-  
ბი „ღ რ უ ბ ე ლ ი“, „ნ ი ს ლ ი“ და „ნ ა ბ ე რ წ ყ ა ლ ი“ (შდრ. ბარ.  
„ნ ა ბ ე რ წ ყ ა ლ ნ ი ეშხისა მომადყარე“), თანდებულ „გამო“-სთან ერ-  
თად, ხშირად გვხვდება „ფსალმუნისი“ შემდეგს ტაეპებში. მაგ.:

ბრწყინვალეობთა მისითა მის წინაშე ღ რ უ ბ ე ლ ნ ი წ ა რ ვ ი დ ე ს, სიტყუაა და  
ნ ა ბ ე რ წ ყ ა ლ ი ცეცხლისაჲ და ქუხდა უფალი ც ი თ გ ა მ ო და მალამან  
მოსცა კმაჲ თვისი (17, 13—14).

ღ რ უ ბ ე ლ ი და ნ ი ს ლ ი გარემო არს მისსა (96, 2) და სხვა.

თუ ძველ და ახალ აღთქმასა და დავითის ფსალმუნებში უფალა  
ნისლითა და ღრუბლითაა გარემოცული ან მრისხანედ მძვინვარებს,  
ბარათაშვილის ს ი ტ უ რ ფ ი ს ღ მ ე რ თ ა, იმავე ნისლიდან ვარსკვ-  
ლავიციით მონათებს. პოეტს უნდა ამ ვარსკვლავმა ღრუბელი და ნისლი  
გადიყაროს, მთელი ბრწყინვალეობით მოაფრქვიოს ნაპერწკალნი მა-  
წაზე დარჩენილ მგოსანს. ამრიგად, ბარათაშვილის ღმერთას სახება  
ისევე იკავებს ადგილს ვარსკვლავების ხომლში, როგორც დანტეს ბე-  
ატრიჩე ან პეტრარკას ლაურა, რომელიც ანგელოზებს შორის იმყო-  
ფება და ციდან მიუხმობს თავის მიჯნურს.

\* \*

შესანიშნავად იყენებს ბარათაშვილი ქართული საერო ლიტერა-  
ტურის ძეგლების ცალკეულ გამოთქმებსაც. იგი ზედმარწევნით იცნობს  
არა მარტო რუსთაველს, არამედ ჩახრუხაძისა და შავთელის ოდებს  
(რომლებიც, სხვათა შორის, მის დროს უკვე ბეჭდური სახით გამოსცა  
პ. იოსელიანმა).

ჯერ კიდევ 1933 წელს აღვნიშნეთ, რომ ბარათაშვილის პოეტურ  
ლექსიკონში მხოლოდ ერთხელ გვხვდება სიტყვა, რომელიც პ ი რ ვ ე-  
ლ ა დ და მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ჩახრუხაძის I ოდაში მოიპო-  
ვება. შდრ.:

ჩახრუხაძე (I, 7):

<sup>1</sup> იხ. შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები. I, თბ., 1968, გვ. 96. „ძველ აღთქმაში“ კი თანდებული „გამო“ ხშირად გვხვდება.



შუქნი კრთებიან, ე მ უ ქ მ კ ე ბ ი ა ნ  
ზოალი ინებს დაქადებულად.

ნ. ბარათაშვილის „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“:

თმანი ნაშალნი  
მკერდზედ დაყრილნი  
ე მ უ ქ მ კ ე ბ ი ა ნ.

ხოლო „ჩემი ლოცვის“ უკანასკნელი ტაეპი არეკლავს შავთელის  
ოდების სულ ბოლო სტროფის დამამთავრებელი ტაეპის გავლენას.  
მღრ.:

შავთელი:

გვედრებ თქვენ სულად, ქებისა წილად  
ჩ ე მ გ ა ნ დ უ შ ი ლ ი თ ვ ი თ შ ი ი თ ვ ა ლ ე თ (108).

ბარათაშვილი:

და ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთ შენდა სათქმელად,  
მ ა შ ა დ უ შ ი ლ ი ც მ ი შ ი თ ვ ა ლ ე შ ე ნ დ ა მ ი ლ ო ც ვ ა დ.  
(„ჩემი ლოცვა“) <sup>1</sup>

ამრიგად, ბარათაშვილის სტილის ანალიზმა ცხადაც, რომ პოეტი  
ხიდს სდებს ბიბლიასა და ქართულ ჰიმნოგრაფიასთან, ერთის მხრივ,  
ხოლო ძველ ქართულ საერო ლიტერატურის ძეგლებთან, მეორეს  
მხრივ. ამასთან აღსანიშნავია, რომ კერძოდ „ჩემს ლოცვაში“ იგი აღ-  
რეზატს სცვლის შავთელთან შედარებით: ეს უკანასკნელი მიწიერ  
სიუჟეტურს აღუვლენს ლოცვას, ბარათაშვილი კი ღმერთს. ეს ღმერთი  
„ჩემი ლოცვის“ ავტორის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. არა, —  
ღიდი ილიას დროსაც (იხ. მისი შესანიშნავი „ლოცვა“).

ბარათაშვილის სტილის სხვა მხარეები განხილული გვაქვს სპე-  
ციალურ ნარკვევში „ბარათაშვილის სტილი და თემა“ (1933).

ნ. ბარათაშვილს ეკუთვნის საკვირველი ტაეპები:

და კაცსა შორის ვით კერძოსა ღვთაებობისა  
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა.

ბარათაშვილი თვითონ იყო ღვთაების წილი, მისი „კერძო“, და  
„საუკუნო მადლს“ უძღვნა ჰუმმარიტად ღვთაებრივი სუნთქვით გამ-  
თბარი ტაეპები:

შევიშრობ ცრემლსა კირთ მანელბელს,  
გულსა დავიწვავ დასანატრებელს,

<sup>1</sup> იხ. ჩვენი „ნიკოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა“ (1933), („რჩ. ნაწ.“, I, 78).

და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,  
შევქსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს  
მის თვალთა ჰხარობს სამოთხე ჩემი,  
ჩემი წარმწყმედი, მაცხოვრებელი,  
განმაბრძნობელი, გამხელბელი.  
ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!  
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,  
სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად  
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგონნად!

ეს ლექსი დაამშვენებდა გენიოსი ფლორენციელის „ახალ ცხოვრებას“ ან ავინიონის აბატის განთქმულ „კანცონიერეს“.

ზემოთ მოტანილი ჰიმნი კი ანჩისხატის უბანში მცხოვრებ ოქროპირს ეკუთვნის. მხოლოდ „საუკუნო მადლის“ წინაშე იხევდა უკან ჩვენი პოეტის არსებაში სეკსისის აჩრდილი.

ხშირად დიდი პოეტის მხატვრული მემკვიდრეობა მხოლოდ ნაწილობრივად ობიექტირებულ შესაძლებლობათა შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ბარათაშვილზე. მისი ნაადრევი სიკვდილი ყველაზე დიდი კატასტროფაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

და ჰანც რამდენად ჩამორჩენილნი ვჩანვართ მასთან შედარებით! ყოფილი „სტოლნაჩაღნიკი“, ბოლოს ცხენზე მჯდომი, მათრახით ხელში რომ დასდევდა განჯის მახლობელ ტყეებში ყაჩაღებს შესაპყრობად, — ქართული ლირიკის მწვერვალადაა აღმართული. ეს გაღარიბებული არისტოკრატი საქართველოს რუსეთთან შეერთებაში მშობლიური ქვეყნის კულტურულ ძალთა გაძლიერებასა და მომავალი ეროვნული გამოღვიძების საწინდარს ხედავდა. ბარათაშვილამდე სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ქართულ პოეზიას სპარსული ბაიათებისა და მუხამბაზების ხმები ავსებდა, ბარათაშვილს კი ამიერიდან რუსეთის მეშვეობით დასავლეთიდან მოზიდული „თესლი ძვირფასი“ ეზმანებოდა. ბარათაშვილს სწამდა, რომ:

ყველასა აქვს ეამი და ბოლო...

ზამთრით ბუნება არა ჰკვდება...

და მყის ვითარის შევნებითა  
კვლავ შეიფურცელის,  
ოდეს მერცხალნი ახარებენ  
მოსვლას საყვარლისი

ბარათაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული მშობლიური ქვეყნის დიად მომავალში.

• •

სალექსო რიტმის დიდი ხელოვანი იყო და, როგორც ყველა ჭეშმარიტი ლირიკოსი, ამ სფეროში მანამდე მიკვლეულ ფორმებს ეყრდნობოდა (ბესიკის 14-მარცვლიანი საზომი, შავთელური და სხვ). მისი ლექსის სტრუქტურულ ელემენტებს გამოგონილი საზომები კი არ შეადგენდა, არამედ უკვე ნაცნობი, მაგრამ ფუნქციურად სახეცვლილი მეტრები. არც ერთი რიტმული სქემა პუშკინისა ახალი არაა; რიტმის უდიდეს ჯადოქარს მუსიკაში, ბეთჰოვენს, გამოგონილი სიმეტრიები-სათვის არ მიუმართავს. ნოვატორთა მიგნებული ხერხები უნდა გაცუდეს, რათა მათ ახალი სიცოცხლე გენიამ მიანიჭოს.

ამჟამად არავის მოუვა ფიქრად, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ტაეპი — „ოი საღამოვ, მყუდროთ, საამოვ...“ გენეტიკურად დაუკავშიროს ბესიკის ტაეპს — „ტანო ტატანო, გულწამტანო...“ ნამდვილად კი, ბარათაშვილის შესანიშნავი ტაეპის შორეულ ფერმენტს სწორედ ბესიკის ზემოთ მოტანილი მუხამბაზური ტავტოლოგია წარმოადგენს.

საერთოდ, პოეზია ასეთი ფერმენტების შეუმჩნეველი ასიმილაციის მომენტებს შეიცავს. მათი გაღმობა მხატვრულ მეტყველებაში ღრმა აზრის უღმობელი ზეგავლენით მიმდინარეობს. პოეტურ სუბსტრატში პირვანდელ ფერმენტთა დაკერა ლიტერატურის, როგორც სისტემის, ისტორიულ პერსპექტივაში შესწავლას მოითხოვს.

• •

ბოლოს და ბოლოს სანთელი უნდა დაიწვას. პოეტის მისიაც მუდმივ შემოქმედებითს წვაშია.

ოდესღაც წარმართი და შემდეგ გაქრისტიანებული ნეტარი ავგუსტინე წერს „აღსარებაში“ („კონფესიონ“), რომ ისტორიის პათოსს დამწვარ სულთაგან ავარდნილ ალთა ელვარება ქმნისო, ხოლო მუსულმანი ნიზამი „საიდუმლოთა საგანძურში“ ურჩევდა მგოსანს:

იქც სანთლად და გაიხარე თავისივე თავის შთანქმით!

ნებას ვაძლევ ჩემს თავს აქვე მოვიტანო ამ ტაეპის რუსული, ბერტელსანეული თარგმანი მეტი სიზუსტის მიზნით:

Стань свечой, будь радостен поеданием самого себя!

ბარათაშვილის სულიდან ამომავალი ნათელის ელვარება ისე დიადი და დამაბრმავებელია, რომ მას არ უწყერია ჩაქრობა წელთა მარადიულ სვლაში.

იანვარი. 1968

## აივნის პარტიულ ლეკს

რაა ის —

რა ც სამშობლოს ცას ფირუზად აქცევს, ხოლო ხმელეთს — ზურ-  
ჭუხტად?

რა აიძულებს ნიჭით მირონცხებულს — სრულყოფილად გამო-  
თქვას სიყვარული თუ სიძულვილი?

რა ამხნევებს ომში წასულს და რა უმსუბუქებს დაღუპულის  
დედას ძაძის ტარებას?

რა აყრის ქალწულთა მკერდებს ვარდ-ზამბახთ, ხოლო დამაშოშ-  
მინებელ ნექტარს ასმევს იმედგაცრუებულთ?

რა აღადგენს დაერდომილთ და რა სჯის ურჯუკთა და ქედმა-  
ღალთ?

რა რჩება მას შემდეგაც, როცა იმპერიები ინგრევიან და უღირსნი  
შიიღებენ სკიპტრას და მასვე შეუდგებიან სპანი?

რა აქცევს კაცის ენას სრულყოფილ მეტყველებად და რა აქ-  
დევს მარადისობის ბეჭედს სიტყვებს, ასე რომ დაულაგებია შემოქ-  
მედს:

გაძრკვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,  
ებურნეს მოშლით რიღენი ფასის თქმად გასაპირონი!

რა ავალებს ტრფობას, რომ იგი მართავდეს პლანეტებსა და მნა-  
თობებს, როგორც ეს თქმულია დიდი ფლორენციელის უკვდავი ქმნი-  
ლების ბოლო ტაიპში?

რა არის ის, რაც მოუწოდებს მარტოოდენ ამისათვის მოწოდე-  
ბულს — სულის ამოხდომის ან საფეთქლის შეგნებულად აფეთქების  
წინ მაინც რითმებით გამოეთხოვოს წუთისოფელს?

რა იწყებს სიმღერას საზეიმოდ, როცა ქარვისფერი ან ლალის-  
ფერი ღვინო ლივლივებს ბროლის ჭიქაში, ან როცა კარმენი როკავს  
და მისი მაყვლისფერი თვალები ციმციმებენ მარაოს ფრთებზე?

რა სჯის ქვეყნის ორგულთ და რას აჰყავს ქვეყნისათვის თავდადე-  
ბული შესაფერი კვარცხლბეკზე?

რა ავალებს ენას — ლოცვისას დუმილს (თუ სიტყვები დავალდე-

ბიან). ხოლო ყოინას — მტერზე კვეთებით მისვლისას (აკი რუსთაველის ტაეპი მიუძლოდა წინ ქართველებს მე-18 ს-ის დასაწყისში ყან-დაარის მზით გადამწვარ უდაბნოებში ბრძოლების დროს)?

რათ ის, ურომლისოდაც სუნთქვა შეგვეკვროდა?

— ის, რასაც ლექსს ვუწოდებთ და რაც კემშარტი პოეზიაა?

1969

## მეშა-ფშაველა და ქართული მითოსი

(გამოკვლევის ცდა)

არც ერთი ქართველი პოეტი არ დასწაფებია ქართულ ხალხურ (ყერძოდ ფშაურ) მითოსს ისე ძლიერ, როგორც ვაეა-ფშაველა. მისი პოეზია მდიდარია მითოლოგიური სიუჟეტებით, ლეგენდარულ თქმუ-ლებათა ცალკეული სურათებით, პერსონაჟებითა და სახეებით. მითო-ლოგიურ ასპექტში აქვს ნაჩვენები პოეტს თავისი ეპოსის გმირთა ვნე-ბანი და ფიქრები; დაბოლოს, მითოლოგიური ხასიათისაა თვითონ ჩარჩოც ვაეას ზოგიერთი პოემის ტრაგიკული კოლიზისა.

XIX—XX სს. საზღვარზე (და მას შემდეგაც) ჩვენ არ ვიცით მე-ორე შემოქმედი, რომელიც ეგზომ განუსაზღვრელი ფანტაზიითა და პოეტური ვიზიონით ყოფილიყოს დაჯილდოებული. და არა მარტო ქართულ მასშტაბით: მის ანალოგს ვერ ვპოულობთ უკანასკნელი სა-უკუნის მსოფლიო ლიტერატურაშიც. არსებითად გოეთესთან მთავრ-დება რიცხვი იმ გენიოსთა, რომელნიც მითოლოგიური არსენალიდან იღებდნენ მასალას თავიანთი შემოქმედებისათვის (მხედველობაში გვაქვს „ფაუსტის“ მეორე ნაწილი).

ჯერ თვითონ მითოსის გაგებისათვის.

დღეს უკვე საკმაოდ არაა მიჩნეული ის შეხედულება, რომ უძ-ველესი მითები ადამიანთა მარტოოდენ რელიგიური შეგნების ანა-რეკლს როდი წარმოადგენდნენ. რელიგიური და მითოლოგიური წარ-ბოღუნები რომ ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, ეს მათ იგვე-ობას ნაინც არ ნიშნავს. მითი ამასთანავე ადამიანის მიერ სამყაროს შე-ცნობის საშუალებაც იყო მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური მხატვრული და ემოციური ფორმით. „ეპოქაში, რომელმაც ანტიკური

მითოლოგია დაგვიტოვა მემკვიდრეობად... მითები ეკუთვნოდნენ პოეზიასა და პლასტიკურ ხელოვნებათ იმდენადვე, რამდენადაც რელიგიას“ (ლევე ბრიული). სწორედ ამით აიხსნება საკვირველი სიდიადე და სრულყოფილობა ანტიკური პოეზიისა (ეპოსი და ტრაგედია) და ხელოვნებისა (განსაკუთრებით სკულპტურისა), რომელნიც სწორედ მითოლოგიით იკვებებოდნენ. გავიხსენოთ .ი. მარქსის კლასიკური სიტყვები ამ საკითხზე: „ცნობილია, რომ ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც... ბერძნული ხელოვნების წანამძღვარს წარმოადგენს ბერძნული მითოლოგია, ე. ი. ბუნება და თვით საზოგადოებრივი ფორმები, უკვე გადაძეწეებულნი შეუცნობელ-ხელოვნებითი წესით ხალხური ფანტაზიის მიერ“<sup>1</sup>.

რასაკვირველია, არა ყოველგვარი მითი შეიძლება იქცეს მხატვრული შემოქმედების მასალად. არსებობს წმინდა რელიგიური მითების ვრცელი რეპერტუარი (მაგ., ეგვიპტური), რომელნიც ხელოვნებაში არ გამოდგებიან არც უშუალო, არც არაპირდაპირი (ტრანსფორმაციის გზით) გამოყენებისათვის. ასეთი მითები მთლიანად რელიგიურ სულისკვეთებას გამოხატავენ მხოლოდ. ლუკიანმა სწორედ ამგვარი მითების წინააღმდეგ მიმართა თავისი სატირის ისტორიები.

ქართული მითოლოგია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მაღალ მხატვრულ ფორმაში წარმოსდგა.

ვაჟა-ფშაველას წყაროა საკუთრივ ფშავეური ნაკადი ქართული მითოლოგიისა. ეს ნაკადი თავისებური სიმბიოზია წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენებისა. თვით პოეტის თქმით, „ფშაველების მართლმადიდებლობა არ წარმოადგენს განწმენდილს, შემუშავებულ რჯულს; იგი შემდგარია სხვადასხვა წარმართულის და ქრისტიანულის წეს-რწმუნებისაგან“ (V, 24). ვაჟას საგანგებოდ აქვს აღნიშნული, რომ „როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი, ფშაველი არის ცრუმორწმუნე: ეშმაკებით და დევეებით სავსე ჰგონია ქვეყანა“ (V, 11). ამასთან, ვაჟას შეხედულებით, მის თანამედროვე ხალხურ ფშაურ „საერო ლექსებში ზოგს სკეპტიკურს ლექსებსაცა ვხვდებით. საერო მოღეჭვე, რაც მონათლადნელი არ იყო ვითომ. დაცინვით იხსენიებენ იმ გარემოებას, რომ ბევრს მგზავრს „ყუნვი“ (ხის მონატეხი ან მოქრილს ძირი) დევად ეჩვენება; ჰეიციხავს ცრუმორწმუნეობას ერისას. დევ-ეშმაკების რწმენას. არ არის ეს საკვირველი, რადგან მეცხრამეტე საუკუნის ტეხნი-

<sup>1</sup> .ი. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, სახელგამი, 1953, გვ. 296.

კურმა საკვირველ-მოქმედებამ დასცა, დაამცრევა ზესთაბუნების ძალთა საკვირველება“ (V, 152).

ვაჟა-ფშაველა თავისი დროის თვალსაზრისით აფასებს ფშაველთა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას ეთნოგრაფიულ ნარკვევში. მაგრამ პოეზიაში იგი ახდენს ფშაურთა წარმოდგენების მხატვრულ ფიქსაციას თავისი გმირების სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ფსიქოლოგიური პრიზმით და ყოველგვარი ავტორევიზია და სკეპტიკური შენიშვნის გარეშე. მეტიც: იგი აღრმავებს ფშაურ მითოლოგიურ წარმოდგენებს, მათს საფუძველზე ქმნის დიად და მხატვრულ ტილოებს.

ვაჟა-ფშაველას ბევრ ეპიკურ ქმნილებაში (და პიესა „მოკვეთილშიც“) მოქმედებენ ხალხური მითოლოგიური წარმოდგენები. ჩნდებიან წარმართული პანთეონის ღვთაებანი, ასახულია მათი კულტი, რიტუალის მსახურთა (ხევისბერი, დეკანოზი, შულტა, დასტური...) მონაწილეობა და ა. შ. ბუნებაში დასადგურებულან დემონური ძალები (ღვევები, ალები...); ბოროტი ებრძვის კეთილს და ბუნების უბეშო მოპირისპირე ძალთა მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს... ყველაფერი ეს ქმნის ფონს, რომელიც მკაფიოდ აჩენს ჩვენი ხალხის უძველეს რწმენათა მითოლოგიურ ფესვებს.

არც ერთი ქართველი მწერლის შემოქმედება არაა ისე მდიდარი მითოლოგიური რეპერტუარით, როგორც „ალუდა ქეთელაურის“ ავტორისა.

ხალხურ ღვთაებათაგან ვაჟას ლირიკასა და ეპოსში ხშირად იხსენიება „ლ ა შ ა რ ი ს ჯ ვ ა რ ი“, რომელიც ქართველთა ერთ-ერთი მთავარი და ძლიერი ღვთაების — წმინდა გიორგის ხატს წარმოადგენდა, ხოლო „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“<sup>1</sup>... პოემაში „ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი“ ლუხუმი ხედავს, თუ როგორ მიუძღვის ჯარს თვითონ ბ ა ტ ო ნ ი ცხენით. მხედრებიც ხედავდნენ ამ ზმანებას — ერთს იგი ციდან გადმოსული ბრწყინვალე შუბით მოსილი ეჩვენება, მეორეს — ლურჯ ცხენზე მჯდარი, მესამეს — მტრედისფრად, მეოთხეს კიდეც — ველზე გაზაფხულის „ყოლის დარად“. ყველანი ერთხმად აღიღებენ თავიანთ მფარველსა და წინამძღოლს — ლაშარის ჯვარს (თავი X).

ლაშარის ჯვარი უკანასკნელად გაიელვებს ვაჟას განთქმულ ლექს-

<sup>1</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1<sup>4</sup>, გვ. 50.

ში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ (1915), სადაც ქართველის ჯარს იგი აგრეთვე „ლურჯი ცხენით“ მიუძღვის წინ!

მითოლოგიურ პერსონაჟთაგან ვაჟა-ფშაველა ხშირად ეხება ამ ირანს. ასე, მაგ., ნახევრად ალეგორიულ პოემაში „მთათა ერთობა“ ამირანი რამდენჯერმე გამოსცემს ხმას გამოქვაბულიდან მთათა კრების დროს და იძახის — ვაი, რომ შებორკილი ვარ და მტარვალთ ვერ შევებმიო. აღსანიშნავია, რომ ეს დეტალიც (ამირანი გამოქვაბულში რომ იმყოფება) უძველესი ხალხური წარმოდგენებიდან მოდის. ჯერ კიდევ ბერძენი მწერალი ფილოსტრატე (III ს. ძ. წ.) აღნიშნავს, რომ ზოგიერთი კავკასიის მკვიდრთა სიტყვით ამირანი გამოქვაბულშია და ამ გამოქვაბულს (კავკასიონის) მთის ძირას უჩვენებენ ხოლმეო<sup>2</sup>.

ვაჟა ასახელებს აგრეთვე იახსარსა და კოპალას. კერძოდ ფშავ-ხევსურთა (და რაჭველთა) ღვთაება კოპალას ვაჟას პოეზიაში სახალხო გმირის თვისებები აქვს შეძენილი. ქართულ მითოლოგიურ პანთეონში კი მისი ფუნქციები ნათლად არაა გამოხატული. „ზოგჯერ... კოპალა თითქოს ალ-ქაჯების ბატონი არის“<sup>3</sup>. ნაწილობრივ ამ ატრიბუტით გვევლინება იგი ვაჟა-ფშაველასთან. მაგ., პოემაში „კოპალა“ გადმოცემულია, თუ როგორ დაებატონენ სოფელს დევები. ყველაფერი აირია, ძმა ძმის სიხსლსა სვამს. და აი, ამ საქვეყნო გასაჰირის უამს ხალხს მხსნელად მოევლინება საყდრის ბერი მოხუცი კოპალა მხარ-ილღივ წითელი ფარით, „მარჯვნივ ლახტი უჭირავს, მარცხენას ამკობს ჯვართა“. დევთა ლეშით ივსება ტყე, ველი და ხევები. კოპალა სწყევლის დევებს, რომელნიც კაცთ ტომს სწამლავენ და რომელთაც კარგა ხანს სჭერიათ ფშავი. სასტიკი რისხვა მოველინათ მთის ამ დემონებს. ბოლოს ქვეყანას ისევ ეფინება სინათლე. ერი ხელგაშლილი ლოცულობს თავის მხსნელისათვის. თვით დევთა დიდი მეუფე ბელელა მიართმევს ძღვნად კოპალას ფარ-ხმალს, დევების საომარ აბჯარს, უმარავ ოქროს, ვერცხლსა და ძვირფას თვლებს. კოპალა უბრძანებს ბელელას — ჯვარს ემთხვიოს, მაგრამ ის თავის ლაშებითაც ვერ სწვდება ჯვარს და სულს განუტევებს. დევების მეუფისა ფერფლისგან გამოვლენ „შავნი ბუჭყანი და ჭიანი“ და ტყეს მიაშურებენ. ბუნებაში მშვიდობა და ჩვეულებრივი წესრიგი დაისადგურებს.

სახელწოდება კოპალა (კოპალე) ივ. ჯავახიშვილს აგონებს მცირეაზიულ ღვთაება კუბელე-ს. ამასთან, მეცნიერი მიუთითებს მათს ძირეულ განსხვავებაზე — კიბელე (კიბელა) დმერთქალი იყო,

<sup>1</sup> ფშაველებში ლაშარის ჯარის კულტის შესახებ იხ. აგრეთვე: ექ. გიორგი თევდორაძე. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. წიგნი მეორე, თბ., 1939, გვ. 72—75.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, 1<sup>4</sup>, გვ. 162.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 98.



ქართული კოპალე კი მამაკაცია. თანაც კიბელას, ფრიგიული ღმერთ-  
გალის, თაყვანისცემა წმინდა ორგიასტულ კულტს წარმოადგენდა<sup>1</sup>.  
ქართულ კოპალასთან ამის ნიშნები არ ჩანს, მაგრამ ისიც უნდა აღ-  
ნიშნოს. რომ კვიბელე ღმერთქალის მამაკაცად გადაქცევა შეიძლება  
მატიარქატის პატიარქატით შეცვლის სტადიასთან იყოს დაკავში-  
რებული (დემნა შენგელაიას შენიშვნა).

მითოლოგიურ ძირებს ემყარება ვაჟის პოეზიაში ბუნების დემო-  
ნიურ ძალთა — ა ლ ე ბ ი ს, დ ე ვ ე ბ ი ს ა და ქ ა ჯ ე ბ ი ს, აგრეთვე  
მ კ ვ დ რ ე ბ ი ს ს უ ლ თ ა დედამიწის ზედაპირზე ამოსვლის ეპიზო-  
დები. ლამით, როცა კლდეები „ფერცხალთ გაიხსნიან“, იქიდან გამო-  
დიან დევები და მათი ალისფერი კბილების ელვარება შემზარავია;  
ლამით გამოდიან აგრეთვე მკვდრების სულელები და ზმადაბალ სიმღერას  
იწყებენ. ვაჟა ვრცლად გვიხატავს მათს გარემოს, ასე, მაგ., ლექსში  
„დ ე ვ ე ბ ი ს ქ ო რ წ ი ლ ი“ ნაჩვენებია, ა.უ როგორ დაჰპატარებენ  
დევები მთქმელს. ეს უკანასკნელი გრძნობს, დარბაზში რომ „მქისე  
სუნი ტრიალებს“; დევებს სამ პირად ცეცხლი დაუნთიათ, ზედ საპასი  
ქვაბი დულს, ხოლო „სტუმრების წინ ხონჩებზედ კაცის თავები ჰკა-  
დია“. „ძმის ხორცი როგორ ვჰამოო“, — ისმის ვინმე ყმის კვილი.

ამ დევებთან იყო ტყვედ მინდია („გველის მქამელი“), ხოლო  
სიზმრად შვეთში ჩასულ ალუდა ქეთელაურსაც კაცის ხორცის ჭამა  
ზარავს.

ასევე შესანიშნავია სულთა ზილვის სურათები ვაჟის პოეზიაში.  
ლექსში „ბ ე ლ ე თ ი“ იგი შემდეგნაირადაა გადმოცემული:

სულთა სიკვდილი არ ითქმის  
დრო და დრო აიშლებიან.  
ხელს უკიდებენ ერთმანეთს  
მთა-ველად გაიშლებიან.

შემდეგ კი:

ტირლით დაღალულები  
ისევ მიჰმართვენ მიწასა,  
ზოგი ლოდს გულზე იფარებს,  
სხვანი ღორღსა და ქვიშასა,  
მეტო იმათ ხელთ არ არი,  
რა მზე გაუვალ მთისასა,  
მთან აიწევენ ფერცხლებსა  
ასტეხენ შფოთვა-გმინვასა

აღსა და სულთა გამოსვლის სურათს გვიხატავს პოეტი აგრეთვე  
ლექსში „და ა უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ვ ნ ე ს ა“. მთაში, სადაც დევებს  
შიშით ჭიხებენ, მგლები და მელეები“ „დამფრთხარან“.

<sup>1</sup> ჯ. ფ რ ე ზ ე რ ი, ატისის ფრიგიული კულტი და ქრისტიანობა (რუს. თარგმ.),  
1924.

კისკისი ისმის აღისა,  
ამ ნომადლავის ცბიერის  
ტურფა თმა-ხშარის ქალისა.  
გადაივარცხნის ქოჩორსა  
ჩამოპოხილის ნამისა.  
და შეუბურავს საროს ტანს  
ჯანლი ნაწნავთა ჯარისა.

ამ დროს (ცისკრის ჟამს)

ცოდვილთ სულელები კერთებან  
და მკვდარნიც საფლავებიდან  
სასჯიროდა სღვებან.

ვაჟას მიერ დახატული ამ ქვეყნის შუაგულ, მათათა მღვიმეებია-  
ქვეშ მოთავსებულია შ ა ვ ე თ ი, ანუ საიქიო, რომლის შესავალთან  
ვეება გველი („სურვილი“) იქ ჩასულ ვაჟაკთ უღვაშებს წასძოვს  
ხოლმე. ამ შავეთის ხილვა ვაჟას ძლიერი ნებისყოფის მქონე გმი-  
რებს სიზმარშიაც შეაყრუოლებთ ხოლმე. საერთოდ სიზმარში ისინი წი-  
ნასწარ გრძნობენ მოსალოდნელ ხიჯათს და ა. შ.

„ფშაველის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საი-  
ქიოს ის ეძახის „შავეთს“. შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნა-  
თელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩას-  
ულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ... შავეთს ჩა-  
მოუღას შუაზე დიდი ხევი, რომელზედაც მოდის კუპრის მდინარე  
ცეცხლმოდებული; მაზედ არის გადებული ბეწვის ხიდი, მართალი გა-  
ივლის იმ ხიდზე, ცოდვილი კი ჩავარდება და იწვის კუპრში. საიქიოს  
მკვდრები ლაპარაკობენ მისუსტებულს ხმით — წერას ვაჟა და მო-  
პყავს ფშაური ხალხური ლექსი საიქიოზე, სადაც ნათქვამია, რომ ს ლ-  
რ ი ე ლ მ ა „ვაჟასა წასძოვა უღვაში, ქალსა გიშრისა თმანია“ (V, 15)...

საინტერესოა მეორე ხალხური ლექსიც შავეთზე, რომელიც ვაჟას  
შეტანილი აქვს წერილში „ფშაველების ამოდ-მორწმუნეობანი“. აი  
ისიც (V, 60):

სიზმარი ვნახე დაცდლი,  
წიკო გამოდის ჩვენთა,  
შავეთში სადამ ჩავეარდი  
ჩემის მიმინოს ცხენთა;  
ათამაშებდა ყურებსა,  
გაკვებულოყო ქერთა.  
შამამყვენ მოქიშპებო.  
მოლაღტენი ენითა.  
ს ა ს წ ო რ ზ ე შეიყარენით  
მ ე მ ა რ თ ა ლ მ ო ვ ე ლ ბ ე ვ რ ი თ ა.

მხოლოდ შავეთზე წარმოდგენის ყველა დეტალის გათვალისწინე-  
ბის შემდეგ არის გასაგები შესანიშნავი სცენა „ა ლ უ და ქ ე თ ე ლ ა-

ურისა“, სადაც აღწერილია პერსონაჟის სიზმარი, რომელმაც ქართველი მთიელის შებრუნებული სინდისი და ცნობიერება უფრო ააფორაქა.

ალუდას ყველგან თან სდევს მის მიერ მოკლული მუცალის სახე. ღამით, როცა „ვარსკვლავთა ჟიჟიკის, ნამის ბალახზე მცერევისა“, და მკვდართა სულების საფლავიდან ამოსვლისა და მათი წყნარი სიმღერის დრო დგება, დევნი კლდიდან გამოდიან და ხევე-ხუვეში დაეხეტებიან. ყველა რომ ივანშემებს და დასაძინებლად ემზადება, ალუდა პურს არ ეკარება და „გულ-შეკრული“ ჰყვება სიზმარს. მას მუცალი უნახავს, გულზე მათი ბრძოლის წამის ნიშანი ჰქონია აღბეჭდილი. სიკვდილა მინდა და არ ვკვდები, დე თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელი, ოღონდ მე კი წავიდე ქვეყნითაო, — უთქვამს მოკლულის სულს მისთვის. ალუდა დამჯდარა, ვილაცას მისთვის დაუდგამს კაცის ხორცი თ სავსე ჯამი. იგი ქამდა, თუმცა სზარავდა „კაცის ხელფეხი ძელიანი“. ალუდასათვის დაუძალეზიათ საკმელი: „მიმატეს კაცის უღვაშით წვენ-ხორცი შანელებულიო“, ჰყვება ალუდა. ეს სიზმარი ერთგვარი წინათგარძნობაა გმირის ზნეობრივი ტრაგედიის შემდგომი განვითარებისა.

ფშაური „შავეთი“ შორეულად მოგვაგონებს ანტიკური მითოლოგიის „ჰადესს“, რომელიც აგრეთვე დედამიწის შუაგულ სიღრმეში ეგულეზოდათ ბერძენ-რომაელთ. მის შესავალ კარს იცავდა საშინელი ძაღლი კერბერი, რომლის ანალოგიური ფუნქციები შავეთში თითქოს „სურიელს“ აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი ბერძნების წარმოდგენით სულების საიქიოში გადასასვლელი მდინარე აქერონტიც არსებობდა, ხოლო ისინი (სულები) ნავით გადაჰყავდა პირქუშ ხარონს. შავეთში კი ცეცხლმოდებული კუპრის მდინარე ღრმა ხევეშა და მასზე ბეწვის ხილია გადებული. „ფშავლის სიმღერაში“ ვაჟი თავის გმირს ათქმევინებს:

შავეთში გამგზავრებულსა  
ცხენი წამიქცეს წყალშია,  
ქვეყნისგან შაჩვენებულმა  
ბინა დაეკარგო ცაშია,  
გამიწყდეს ბეწვის ხილი,  
ჩავეარდე კუპრის ზღვაშია.

ალუდა ქეთელაური ასეთ შავეთში ჩადის სიზმარად.

ჩვენ ვიცით, რომ ჰომეროსის ოდისევეს საიქიოში მოუხდა ჩასვლა; საიქიოში ინახულა გარდაცვლილი მამის სული ვერგილიუსის ენეასმა, წარმართული (ანტიკური) ეპოქის შემოქმედთა პერსონაჟებისათვის ჰადესი ზმანება კი არაა, არამედ ადგილი, რომლის ნახვა და იქიდან დაბრუნება მათ ადვილად შეუძლიათ. ახალ ეპოქებში საიქიო-

ში მოგზაურობა უკვე ჩვენებისა და ზმანების ხასიათს ღებულობს. აღრინდელი შუა საუკუნეების ზოგიერთ აღმოსავლურ (მეტწილად ქრისტიანულ) ძეგლებში საიქიო მხოლოდ ამგვარ ასპექტშია ნაჩვენები. დანტეს გრანდიოზულ ქმნილებაში პოეტის საიქიოში მგზავრობა სწორედ ჩვენების (ზმანების) სახითაა გადმოცემული და იგი გენი-ალურად აგვირგვინებს ქრისტიანული კოსმოგონიის მხატვრული გამონათვის საქმეს ევროპული რენესანსის ზღურბლთან.

ვაჟას ალუდა ქეთელაურიც სიზმარში ზედავს თავის თავს შავეთში. ეს მომენტი ქრისტიანული გაგების ანარეკლს შეიცავს.

შ ა ვ ე თ ი ს ს უ რ ა თ ი, რ ო მ ე ლ ი ც ფ შ ა უ რ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ე ვ ე ლ ზ ე ა ქ ე ს ა დ დ გ ე ნ ი ლ ი ვ ა ე ა ფ შ ა ვ ე ლ ა ს, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, ე ს კ ი ზ შ უ რ ი ა ა ნ ტ ი კ უ რ ჰ ა დ ე ს თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ, მ ა გ რ ა მ ქ ა რ თ უ ლ მ ი თ ო ლ ო გ ი ა შ ი ი გ ი ე რ თ ა დ ე რ თ ი ა და ს რ უ ლ ი ა დ უ ნ ი კ ა ლ უ რ ი<sup>1</sup>.

\* \*

ღრმად თავისებური და განუმეორებელია აგრეთვე „წერა-მწერლის“ ადგილი ქართულ (საკუთრივ — ფშაურ) მითოლოგიაში, რომელსაც ვაჟა-ფშაველას ზოგიერთ ნაწარმოებში ადამიანთა ბედის გამგებლის ფუნქცია აქვს დაკისრებული. იშვიათი მხატვრული ძალით არის გადმოცემული მისი მნიშვნელობა კერძოდ „სტუმარ-მასპინძელში“, რომელიც ვაჟას საუკეთესო ეპიკურ ქმნილებათა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

გავიხსენოთ ამ პოემის შესანიშნავი პროლოგი და პირდაპირ შეუდარებელი ფინალი. პოემა იხსნება ქისტის სოფლის სურათით. იგი „საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა“, მაგრამ იქვე. მომდევნო სტრიქონში აღნიშნულია, რომ „სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსაო“. მას ის თვისება აქვს, რომ აქედან სხვაგან წავა და:

აბნელებს, უხილავად ღდის  
ქვეყანას ხილულანსა.

პოემის ფინალში კი, როცა დაღუპული გმირების (ზვიადურის, ჯოყოლას და აღაზას) ლანდები ძმურად მიესალმებიან ერთმანეთს,

<sup>1</sup> ჩვენ არ ვეხებით ფშაური შ ა ვ ე თ ი ს ანალოგიებს (როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ელემენტების მხრივ) უძველეს აღმოსავლურ მითოლოგიურ წარმოდგენებთან საიქიოზე. ეს საკითხი სპეციალური მიმოხილვის თემაა და აქ აღძრულ საკითხისაგან დამოუკიდებლად დასამუშავებელი. ჩვენი მიზანა მხოლოდ აღდგენა იმ მხატვრულ მითოლოგიური კონსტრუქციისა, რომელიც ვაჟას მთელი კერსონაჟების ფიქრების, ვნებებისა და მოქმედების ჩარჩოს წარმოადგენს.

„შავეთის“ (ანუ „სულეთის“) აქ წარმოდგენილი სურათის შესავსებად იხ. ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 72—75.

ვაჩნდება ჯანლი რამ  
 კურუმად შავის ფერიოა,  
 დაეფარება სანახავს  
 წერა-მწერელის წერიოა,  
 ზედ აწევს ჯაღოსავითა  
 არ დამტვრევა კვერიოა.  
 ვერ შეულოცავს მლოცავი  
 არც აიხლება ხელიოა.

მაშასადამე, „შავი ნისლი“ (იგივე „შავი ფერის ჯანლი“), რომელსაც პოემის დასაწყისში გადაწეული ფარდის ნსგავსად სოფლის თავს ეძინა, ეშვება და ხილულს უხილავად ხდის, ნისლის მიღმა კი რჩებიან ტრაგედიის დაღუპული გმირები, მათი მიწიერი ვნებანი და თავგადასავალი. ეს გრძნეული ფარდა ამიერიდან არ შეიარება. იგი საბოლოოდ „დაეფარება სანახავს წერა-მწერელის წერიოა“. მისი დამტვრევა არ შეიძლება, არც შელოცვა, არც ახდა. ეს თითქოს იგივე ბერძნული მორაბა, მაგრამ ვაჟას წერა-მწერელი ანტიკური მითოლოგიის აბსტრაქციზიზაციის იმით განსხვავდება, რომ იგი მკაფიოდაა პერსონიფიკირებული.

ვაჟა-ფშაველას არა ერთხელ აქვს განმარტებული ეს სახელწოდება. იგი წერს: „ფშაველი ფატალისტია: კაცს, რაც უშებლზე აწერია, ის არ ასცდება; კაცი უმწერლოდ, ესე იგი თუ არა წერით, არ მოკვდება“ (V, 12). მეორეგან იგი საგანგებოდ განმარტავს: „წერა-მწერელი დაბადებიდანვე ღმერთი კაცს ბედს, ან უბედურებას დაუწერსო. უმწერლოდ კაცი არ მოკვდებაო“, ამბობს, ფშაველი“ (V, 59). ამ რწმენით არიან გამსჭვალულნი ვაჟას პოემებისა და პროზაული ნაწარმოების გმირებიც. მაგ., „ხის ბეჭში“ მონადირეს ეუბნებიან:

უმწერლოდ მწერიც არ კვდება  
 რატომ არ იცი ვაჟაო.

პროზაულ ესკიზში „შთაბეჭდილებანი“ მოხუცი პაპა ჰყვება სიზმარს, გადმოსცემს შავეთის სურათს და აღნიშნავს, რომ იქ „...ცეცხლი შავად ფუოდა, ეგ კუპრის წყალიაო, მითხრეს წერა-მწერელთაო“. მეორე ესკიზში „გასამართლებული ჩიბუხი“ ზურაბი ეუბნება ღვთისუნელს: „წერა, წერა! წერა-მწერელი, თუ არ დაგიშლია, შენ ნუ მომიკვდები. წერა-მწერელს შენ და შენის ჩიბუხის თვალყურის საგდებლად მოუცლიაო“. ეთნოგრაფიულ ნარკვევში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ ქვრივ ხოშიას მკითხავი ეუბნება, თითქოს მის გარდაცვლილ ქმარს უთქვამს: „ჩემი წერა იყო, უმწერლოდ არა ვარ მკვდარიო“. მოთხრობის „ჩალხიას“ ვარიანტში, რომელსაც „უძმოს ძმა“ ეწოდება,

აღნიშნულია: „ყველა ადამიანსა აქვს თანდაყოლილი ბედი და წერა, რასაც წერა-მწერელი დაუწერს თავის დაბადების დღეს, იმან კაცი ვერ ასცილდება, რაც უნდა ბევრი ეცადოს, ბეწვის ტოლად ვერ ძალუძს შეცვალოს ბედის განაჩენი“.

ამ წერა-მწერელს უპყრია ხელთ ის ფარდა ნისლისა, რომელიც ჯადოსავით გადაეფარება ხოლმე ადამიანთა დამცხრალ ვნებებს.

ვაჟას საერთოდ ხიბლავს ბუნების დაშოშინება, დისონანსების მინელება, ბუნებაში მიმდინარე პოლარიზაციის დასრულება. ყველათერი ინთქმება მარადისობაში, რათა ხილულსა თუ უხილავს სიზმარულსა სახე მიეცეს და შავი ნისლის მიღმა დარჩეს.

საგულისხმოა აგრეთვე შემდეგი დეტალი: წერა-მწერალი ერთი კი არ ყოფილა, არამედ მრავალი. ისინი შვეთშიაც ხედებიან გარდაცვლილთა სულებს. როგორც ჩანს, ფშაური მითოლოგიით წერა-მწერალი რამდენიმე ჰიპოსტასის მქონე უნდა ყოფილიყო.

ხელახლა უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ერთ-ერთ ძირითად თეზისს. ლირიკასა და ეპოსში ვაჟა-ფშაველა არსად არ აქცევს სკეპტიკური მსჯელობისა და, მით უმეტეს, განკიცხვის საგნად ფშაველთა ხალხურ წარმოდგენებს. პირიქით, მითოლოგიურ წარმოდგენებს იგი იყენებს განსულიერებულ ბუნებისა და, საერთოდ, თავისი კოსმოგონიას შემავსებელ ატრიბუტად. ფანტასმებით დასახლებული ქვეყანა კვებავდა ქართული პოეტის ხილვებს. ვაჟა გადასახლებული იყო მითოლოგიურ ზმანებათა სამყაროში, რომელსაც ქართულ პოეზიაში არსებობის უფლება მისმა გენიამ მოუპოვა.

ვაჟა-ფშაველას ლირიკასა და ეპოსში მითოლოგიური წარმოდგენები აბსოლუტიზირებულია, ისინი ნაჩვენებია, როგორც რეალობანი. ამიტომაც, რომ ყველაფერი ფანტასტიკური (ღვთაებანი, დევეები, შავეთი, წერა-მწერელი...) ისე იჭრება გმირების შეგნებასა და ცხოვრებაში, როგორც სინამდვილის სრულუფლებიანი ნაწილი. დემონიურ ძალებთან ვაჟას გმირებს ისევე უხდებათ ბრძოლა, როგორც რეალურ არსებებთან. გველს-მჭამელი მინდია, რომელიც პოეტის წარმოსახვით თამარის ეპოქის ადამიანია, ქაჯებთან იყო ტყვედ. აღუდას ჰიზმარს, რომელშიაც შავეთია დახატული, წინ უსწრებს მკვდართა სულების ამოსვლა დედამიწის ზედაპირზე გმირის ცნობიერების სიფხიზლის უამს. ვაჟა არ მიმართავს ყოველივე ამის, როგორც ცრუმორწმუნეობის, ნეგატიურ შეფასებას. არც ერთი სკეპტიკური რეპლიკა, არსად და არასოდეს.

ამ მომენტს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვაჟას პოეტური შემოქმედების თავისებურების გასაღების ძიებისა და მისი ერთდერთი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

სამყაროს მხატვრული მოდელი, რომელიც ვაჟა-ფშაველამ შექმნა, გამომდინარეობს ქართული მითოლოგიიდან და შინაგანად ჩაკეტილია, ე. ი. მას თან არ ახლავს გვერდითი განმარტებანი, ავტორისეული რემარკები, რომელიც სათუოს გახდიდა მის (მოდელის) რეალობასა და დამაჯერებლობას. ბუნება თვითონ მეტყველებს და ფანტასტიკური და რეალური ისეა შერწყმული მასში, რომ ხშირად, ძალიან ძნელია თქმა—სად თავდება პირველი და სად იწყება მეორე. ყველაფერი ფშაველას უძველეს წარმოდგენათა პრიზმიდანაა დანახული. პერსონაჟთა ვნებანი ბოლოს ცხრებიან, კოლიზიები მთავრდება, შაჟეთის ხილვა წყდება და წერა-მწერელი ფარდას უშვებს. ამ ვეება და უჩვეულო სამყაროს მოდელი ავტორს არასად არა აქვს შეფასებული ემპირიული სინამდვილის თვალსაზრისით.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მის არსებით მითოლოგიურ ნაწილში, ბუნებისა და პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგი ვუწოდოთ. — ვაჟა დგას ქართველ მითელთა უძველეს შეხედულებათა და წარმოდგენათა ნიადაგზე, ამოდის ქართული მითილოგიის უღრმესი ფენებიდან, საკვირველი მხატვრული ძლიერებით ახდენს თავისი პოეტური ხილვების ფიქსაციას. კი არ ჰყვება, არამედ აჩვენებს; ყველაფერი მკითხველის თვალწინ მიმდინარეობს, — კი არ მომხდარა, არამედ ხდება.

ვაჟას ეპოსის ასეთი უჩვეულო დინამიზმი საესებით შეეფერება მის მხატვრულ მეთოდს: მოვლენათა გადმოცემასა და ასახვას შინაგანი მონოლოგის გზით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მხედველობაში მაქვს მხატვრული მეთოდი არაპირდაპირი დახასიათებისა „შინაგანი მონოლოგი“ საშუალებით, ე. ი. როცა ფიქსირებულია გმირის ფიქრებისა და წარჩინებულების დონება ავტორის რეპარტისა და უშუალო ჩარევის გარეშე. ვაჟას პოემებსა და ლირიკულ ლექსებში ეს მეთოდი, რასაკვირველია, თავისებურია (სტრუქტურულად განსხვავებულია თანამედროვე პროზაში ხშირად გამოყენებული ფორმებისაგან). ამასთან: შინაგანი მონოლოგი არ შეიძლება ჩაითვალოს მარტოდენ ქახალი მოღერნული პროზის (გოისი და მისი სკოლა) კუთვნილებად. ძნელი არაა ამ მეთოდის ჩანასახისა და ელემენტების მოძებნა ძველ ქართულ ლიტერატურაშიც. რუსული ლიტერატურის მიმართ კი მოვიყვანო სპეციალისტის შეხედულებას: «В книге М. Фридмана (Melvin Friedman, Stream of consciousness: a study in literary method, New Haven, 1955) появление внутреннего монолога в русской литературе связывается с именами Толстого и Достоевского; между тем внутренний монолог чрезвычайно развит в древней русской литературе; он наличествует уже в «Житии Бориса и Глеба», сильно развивается в эпоху второго южнославянского влияния и представ-

ამაშია, ჩვენი აზრით, ვაჟა-ფშაველას, მითიური ელემენტებით ყველაზე მდიდარი ქართველი შემოქმედის, ლირიკისა და ეპოსის უმაღლესი რეალიზმის თავისებურებაც.

1966

## დოსტოევსკი.

(დაბადების 150 წლისთავის გამო)

დოსტოევსკი ერთ-ერთი ურთულესი მოვლენაა რუსულ და. შეიძლება ითქვას, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ამ სტრიქონების ავტორმა სპეციალური ნარკვევი უძღვნა „ძმები კარამაზოვების“ ავტორის შემოქმედებას 1939 წელს. ეს წერილი კი ძალიან მოკლე ექსტრაქტია იმისა, რაც ჩვენ გვიფიქრია რუსული პროზის გიგანტზე რამდენიმე ათეული წლების მანძილზე.

ორი ძირითადი ლაიტმოტივი ასაზრდოებს დოსტოევსკის პროზას. პირველი — ესაა უღრმესი თანაგრძნობა პატარა ადამიანებსადმი, ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გასრესილი, მატერიალურად ღარიბი არსებებისადმი, რომელთათვის უკეთესი მერმისს შეკნება სრულიად დასშულია. მეორე ლაიტმოტივია — ორგიასტული, პირდაპირ პირუტყვული ვნებათ ლელვანი. რომელნიც ერთნაირად ბატონობენ საზოგადოების მაღალ თუ მეწიანურ ფენებში. ასე, მაგალითად, კარამაზოვების ბნელი ვნებების არენაა უბრალო დაბა, რომელსაც მწერალმა შესაფერი სახელი. სუტოპრიგონიევსკი შეარქვა.

დოსტოევსკის დროინდელი რუსეთის სოციალური ცხოვრებას მთავარი მამოძრავებელი ზამბარა იყო ფული. რომელიც უმოწყალოდ ასახიჩრებდა ყველაფერ დიადს, კეთილშობილურსა და წმინდას, უბრალო ადამიანების თავმოყვარეობას, მათს ფიზიკურ და სულიერ სიღამაზეს. დოსტოევსკი უმაგალითო მხატვრული სისასტიკით ილაშქრებს ფულის ასეთი, ყოვლისმომცველი და შემქმნსვერელი ძალის წინააღმდეგ, იმ ვითარების დასათრგუნად, სადაც ლატაკი მშობლების ბავშვებს სცივით და ათრთოლებულებს ცრემლები ადგიათ თვალეზე. როდესაც საპატიმროში მყოფი დიმიტრი კარამაზოვი სიზმრად ხედავს მათ, იგი ათრთოლებული უყვება ძმას თავის ზმანებაზე და გულის სიღრმიდან აღმოხდება ცნობილი სიტყვები: „Почему плачет дитѣ!“

лепн великолепными образцами в творчестве протопопа Аввакума» (Д. С. Лихачев. Культура Руси времен Андрея Рублева и Епифания Премудрого конце XIV в. — начало XV в., М., 1962, гл. 59, შენიშვნა).



90 წლის მანძილზე ხმაურობს მიტიას ეს რეპლიკა დოსტოევსკის მოლიონობით მკითხველთა სმენაში!

მაგრამ ამასთან დოსტოევსკი ახდენდა ბესტიალური ვნებების განზოგადობას, თუმცა არა მათს იდეალიზაციას, როგორც ეს ევროპულ დეკადენტურ ლიტერატურაშია აღიარებული. დოსტოევსკის მხედველობაში ჰქონდა რუსული სინამდვილის მხოლოდ გარკვეული პერიოდები: „თუ მათთან (ე. ი. ევროპაში ა. გ.) ჰამლეტებია, ჩვენში ჯერ კადევე კარამაზოვები არიანო“, — აცხადებს პროკურორი დიმიტრი კარამაზოვის გასამართლებიას, რომელსაც მამის მკვლელობა ბრალად ედება (მამასა და შვილს ახალგაზრდა ქალი გრუშენკა უყვარდათ).

დოსტოევსკის მთელი არსებით ეწადა მის ხალხს მაღალი ცივილიზაცია მოეპოვებინა, მაგრამ ამ ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზას იგი ვერ ხედავდა. მხოლოდ დილეთანტს შეუძლია არ დაინახოს დოსტოევსკის ღრმა ჰუმანიზმი და მისი ლტოლვა ადამიანის სულიერი გაფაქიზებისაკენ.

დოსტოევსკის საუკეთესო ქმნილებების დომინიური თემა იყო და დარჩა — მწერლის უღმობელი მსჯავრი კლასობრივ საზოგადოებაზე. „დანაშაული და საჯელი“ — სასტიკი ვერდიქტია იმ სამყაროზე, სადაც ფულის ბატონობის გამო შემადრწუნებელი ზნეობრივი დისპარმონია სუფევს. დოსტოევსკის პროზის მთავარ პათოსს სოციალური უთანასწორობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი შეადგენს მწერლის ეს მამხილებელი პათოსი კარგად გამოჩნდა ივანე კარამაზოვის სიტყვებში, რომელსაც იგი თავის ძმას, ბერად შემდგარ ალექსეის ეუბნება ტრაქტირში:

«Я не бога не принимаю, пойми ты это, я мира-то божьего не принимаю и не могу согласиться принять».

დოსტოევსკიში ბოლომდე არასოდეს მთლად არ მომკვდარა რევოლუციონერი („ძმები კარამაზოვები“ მწერლის უკანასკნელი თხზულება!).

დოსტოევსკი სოციალურად დაჩაგრულთა უდიდესი ქომაგი იყო, თუმცა გამოსავალს მარტოოდენ თვინიერებასა და ბედისადმი მორჩილებაში ხედავდა. გენიალურმა რეალისტმა სოციალური პერსპექტივის დანახვა ვერ შეძლო. ასეთი პერსპექტივის კონტურებიც არ ჰქონდა ნას წარმოდგენილი. ამიტომ გამოთიშა დოსტოევსკიმ სინამდვილის ძალით გარდაქმნის მეთოდი თავისი საზოგადოებრივი პროგრამიდან.

\* \*

უდავოა, რომ დოსტოევსკის არ ეხერხებოდა ე. წ. „დადებითი სახეების“ ჩვენება. იმ ბნელ პანორამაში, რომელსაც მწერალი ხედავდა, ერთი მხრით დაბეჩავებული, ხოლო მეორეს მხრით განებვირებუ-

ლი, მაგრამ პირუტყვეული ვნებებით შეპყრობილი ადამიანები მოქმედებენ. გასაოცარია ამ მხრივ ძალზე მერყევი სახე ეროტომანისა და ცინიკოსის სვედრიგაილოვისა, რომელიც ფულის საშუალებით ყოველ ღონეს ხმარობს ხელში ჩაიგდოს რასკოლნიკოვის მომხიბლავი და აედოტია რომანოვნა (დუნია), მაგრამ როცა ის-ისაა მიზანს აღწევს, იგი, უარყოფილი ქალის მიერ ძალდატანების აქტის პირობებში, პირს იბრუნებს მისგან და შემდეგ თავს იკლავს. პირუტყვეში სინდისის წამიერმა გაღვიძებამ ფიზიკურად იმსხვერპლა იგი.

დოსტოევსკის მიერ შექმნილ სახეთა გაღვრებაში ერთ-ერთი შემზარავი სახეა სმერდიაკოვი. იგი გარყვნილი ფედორ კარამაზოვის ნაბიჭვარია (მამას ის აბაზანაში, ლიზავეტა სმერდიაშჩაისაგან შეეძინა!). „სმერდიაკოვშინა“ ისევე განზოგადებულ გამოთქმად იქცა, როგორც თვითონ „კარამაზოვშინა“ ან „ობლომოვშინა“. „ბულიონჩიკი“ და გნომი სმერდიაკოვი ფიზიკური დაკნინების (იგი ეპილეპსიითაა დაავადებული), სულმდაბლობის და ბინძური „ინტელექტუალური კინიზმის“ კლასიკური განსახიერებაა. ეს ვაჟბატონი ლაქიაა და პარიზში რესტორნის გახსნაზე ოცნებობს. მეტწილად სდუმს, „გეოცნება“ და შეუძლია ჩუმად ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინოს. შეშვარავი მოპაექრეა, თანაც იმ სამ ათას მანეთს უთვალთვალებს, მამამისს, რომ აქვს გადაძალული ბალიშს ქვეშ და გრუშენკასათვის საჩუქრად გადადებულთ. სმერდიაკოვი გულდასმით და ჩასაფრებული ისმენს ივანე კარამაზოვის ათეისტურ აღსარებებს, თვითონ კი ამგვარ აღსარებათა რეალიზატორია, ფიქრობს „თუ ღმერთი არ არსებობს. მაშინ ყველაფერი დასაშვებიაო“ და როცა შემთხვევა მიეცემა, ქვანახაყს ჩასცემს კეფაში საბუღალეო მამას და ფულს ჰპარავს. ამასთან, სმერდიაკოვი თავისებური „ფსიქოლოგია“, ყოველგვარ ქუჩურ ენებს სხვაში, თვით თავის „იდუურ მოძღვარში“, ივანეშიც:

«Вы как Федор Павлович, наиболее-с из всех детей наиболее на него похожи вышли, с одной с ним душой!» — ეუბნება იგი ივანეს. „შე კი არა, შენ ხარ მამის ბეკლელი“, — განუცხადებს სმერდიაკოვი მასთან სამჯერ მისულ ივანე კარამაზოვს, რომელმაც ბოლოს გამოსტეხა იგი კრიმინალურ დანაშაულში, რომელსაც მიტიას მიაწერენ.

სმერდიაკოვი პოეზიის მოძულეა, განსაკუთრებით რითმებისა, სამაგიეროდ გიტარაზე უკრავს და „სატრაფოს“ ართობს (აღხანას ჩაღხანა არ დაეღვეა!). ჩვეულებად აქვს წვნიანში კოვზით რაღაცა ძებნა და ხშირად პოულობს მასში დამხრჩვეალ ბუზს და ასეთი აღმოჩენით ვახარებულია. გამუდმებით იქექება თავისი და სხვისი გონების ინტერიერებში და ეს ინტერიერები სიბინძურითაა აღსავსე. სწორედ ეს

ლაქია გაობიექტიურდება ავადმყოფ ივანესი ჰალუცინაციებში ეშმაკის სახით, რომელსაც სმერდიაკოვს გარეგნობა აქვს „He философ-ставит, осел!“ უყვარის მას გონებაარეული ივანე.

სმერდიაკოვმა ბოლოს თავი ჩამოიხრჩო. დანაშაული თავის თავში შეიცავს სასჯელს!

დოსტოევსკის მიერ შექმნილი სახე სულიერად და ფიზიკურად გნომისა — ზოგადკაცობრიულია.

\* \*

დოსტოევსკის მთავარი პერსონაჟები (მაგ. დიმიტრი და ივანე კარამაზოვები, თვით რასკოლნიკოვი და სხვები) ან სატანური ვნებით აღძრული ან სინამდვილისადმი კრიტიკულად განწყობილი არსებებან არიან. მათ გვერდით მოძრაობს „ფსკერის ხალხი“ (მარმელადოვები და სხვები) ან უმიზეზოდ მოწყენილნი. „საშინელი მოწყენა“ ისეთივე სენია ვწერლის ზოგიერთი გმირისა, როგორც სიღარიბე ან შეძევობა. ტრაქტირში მჯდომი ვერსილოვი (რომანი „ყმაწვილი“) იძლევა შეკვეთას: „Прикажи Лучин! Я лишлю торжественность скуки!..“

\*

დოსტოევსკის რომანების ერთ-ერთი თვისება — თანმიმდევრულ დინამიზმია. აქ ყველაფერი ადგილიდანაა დაძრული. პერსონაჟებსა უბრები დისპუტების ხასიათს ღებულობს (კამათი მამა ზოსიმესთან მონასტერში, სცენა რესტორანში ივანესა და მის ძმას ალექსეის შორის, ქარიშხლიანი სიტყვიერი შეტაკებანი ტოცკის ბინაზე მიშკინსა, როგოჟინსა და ნასტასია ფილიპოვნას შორის და ა. შ.). მოქმედი პირები ჩართულნი არიან ლავასავით მომდინარე ნიაღვარში, სადაც მათ სულის მოსათქმელადაც არ რჩებათ დრო, ყველა დაძაბულია და აზვართებულ მდინარესავით მომდინარე ვნებების ნაკადი მიაქანებს. მათ უეჭველ კატასტროფამდე, რაც ზოგჯერ ირაციონალური დუმილით მთავრდება („იდიოტში“ სავსებით გაოგნებული მიშკინი ცნობიერებას კარგავს ნასტასია ფილიპოვნას ცხედართან, ხოლო ამ უკანასკნელის მკვლელი როგოჟინი „იდილიურად“ ოცნებობს ამერიკულ მუშამბაზე — მასში უნდა გაახვიოს თავისი მსხვერპლი, რომელსაც ზეწრის ბოლოდან მოუჩანს გაშეშებული ფეხის ერთი თითი!). დოსტოევსკისთან ყველაფერი ემყარება გაორებისა და პოლარიზაციის პრინციპს: თუ ივანე კარამაზოვის ინტელექტი ამბოხს უწყობს ღმერთს, მრუში დიმიტრის სატანური ვნება ცხრება ევანგელური სიმშვიდით. „უსიარცხვილო ჰეტერა“, ნამდვილი „ბაქხელი ქალი“, გრუშენკა გულწრფე-

ლად ეფიცება კატორღაში მიმავალ მიტისს, რომ ის ამიერიდან არ იფიქრებს ფულზე, მისი მხევალი იქნება და ყანაში იმუშავებს მასთან ერთად. და მკითხველს არ ეგვიკება, რომ რომანის მეორე, დაუწერელ ნაწილში გრუშენკას მართლაც საეხებით გარდაქმნილს დაინახავდა იგი...

დოსტოევსკი ფსიქოლოგიური პოლარიზაციის გენიალური მხატვარი იყო, რადგან იგი უეჭველად იზიარებდა დიმიტრი კარამაზოვას აზრს, რომ „ეშმაკი ებრძვის ღმერთს, ხოლო ბრძოლის ველი აღამიანთა გულია“.

დოსტოევსკის მხატვრობის მეორე მხარეს — სმენაზე ყურადღების გადატანა შეადგენს. მწერლის პერსონაჟების დიალოგები შექმნილი მასშტაბისაა. დოსტოევსკი არ ყოფილა პლასტიკური მხატვარი, სამაგიეროდ მისი რომანების „მრავალზმიანობა“, დიალოგიური პოლიფონიზმი, რაზედაც ვრცლად წერს ბახტინი თავის მშვენიერ წიგნში „დოსტოევსკის პოეტიკის პრობლემები“, დოსტოევსკის მსოფლიოს უდიდეს მხატვართა რიგებში აყენებს. მაგრამ ბახტინი ხაზს არ უსვამს მეორე მომენტს — დიალოგიურობა არ სპობს დოსტოევსკის რომანებში შინაგან პლასტიკას. პირველად სტეფან ცვაიგმა შენიშნა, რომ დოსტოევსკის პერსონაჟები ადვილად შეიძლება გრაფიკულად დავხატოთ მათივე საუბრების მეშვეობით. მაგალითად, შეიძლება პირდაპირ დასურათდეს ეესტიკულაცია გენერალ ივოლგინისა, როცა იგი უამრავ ტყუილს ჰყვება (წიგნი „ბრძოლა დემონებთან“). ასევე, დოსტოევსკი არსად არ აღწერს სმერდიაკოვის გარეგნობას დაწვრილებით, მაგრამ რომ ის ჯუჯაა — აშკარაა და თვალთ დასანახი.

და უკანასკნელად — დოსტოევსკის პერსონაჟები მხოლოდ გარეგნულად არიან მთლიანი, თუნდაც მათს ბესტიალურ მიდრეკილებებში; სამაგიეროდ ისინი შინაგანად არიან გაორებულნი, ტოლსტოი კი გარეგნულადაც გვიხატავს თავისი მოქმედი პირების „დენადობას“ („ТЕКУЧЕСТЬ“) და „სულიერ დიალექტიკას“. დოსტოევსკისთან გმირის ჯარდატეხა ხდება კატასტროფის შემდეგ, ტოლსტოისთან — კატასტროფამდე. (ამ უკანასკნელთან ერთი დღის მანძილზე ან ერთი სიტუაციის საზღვრებშიაც ხასიათის ცვალებადობა ყოველწუთსაა მოსალოდნელი). ამ სტრიქონების ავტორს ტოლსტოის მეთოდი უფრო უნივერსალურად და სრულყოფილად მიაჩნია.

რაც შეეხება დოსტოევსკის რომანების კომპოზიციას, იგი ამ მხრივ ანტიკურ ტრადიციას უახლოვდება: მოქმედების არე დავიწროებულია (ავეჯიანი ოთახი, ტრაქტირი, დაბის პატარა მოედანი, პეტერბურგის „საზაფხულო ბაღი“ ან ღარიბი ქოხები...); ასევე შემცირებულია დრო: „იდიოტში“ მოქმედების ძირითადი ბირთვი ერთ დღე-ღამეს მოიცავს, უზარმაზარი „ძმები კარამაზოვების“ კი — ექვს დღეს; ტოლსტოის პროზა კი პანორამულია — როსტოვების ბინის გვერდით აუს-

ტერლიცის ან ბოროდინოს ველის სურათები იშლება და ა. შ. დოსტოვესკის მთავარი ბატალიები ხდება თვითონ პერსონაჟების არსებობა. ტოლსტოისთან კი — მეტწილად პერსონაჟების გარეთ ან მათი უპირატეობის ფართო ფონზე.

დოსტოვესკის პოეტიკის პრინციპებიდან გამომდინარე ა. ბელი და ჯ. ჯოისი, ტოლსტოიდან კი გოლსუორთი, თომას მანი, მარტენ დიუგარი და რომენ რილანი. ამასთან — „შინაგანი მონოლოგის“ სფეროში ტოლსტოი მთელი თანამედროვე პროზის სათავეში დგას, თუქცა დოსტოვესკის პოპულარობა დასავლეთში ტოლსტოისას არ დაუვარდება.

\*

დოსტოვესკი ამოზრდილია მშობლიური რუსული ლიტერატურის ნიადაგზე. „ჩვენ ყველანი გოგოლის მოწაფეები ვართ“ — აცხადებდა თვითონ იგი და ეს მოვლენა კარგადაა შესწავლილი (ი. ტინიანოვი „გოგოლი და დოსტოვესკი“).

მაგრამ დოსტოვესკი მსოფლიო ლიტერატურის ჩინებული მცოდნეც იყო, ამიტომ ბევრი რამ მის შემოქმედებაში გაუგებარი დაჩეხა, თუ არ გავითვალისწინებთ დიდ რუს რომანისტზე ჰოფმანის, ედგარ პოს, დიკენსის, ბალზაკისა და ჰიუგოს ცხოველმყოფელ გავლენას. პირველი ორის მიდრეკილება ფანტასტიკისადმი თავისებურად გადატყდა დოსტოვესკის პროზაში. ფულის გამხრწნელი გავლენა საზოგადოებაზე მისთვის ცნობილი იყო ბალზაკის შემოქმედებით, რომლის „ეყენი გრანდე“ სწორედ დოსტოვესკიმ თარგმნა პირველად რუსულად. დაბეჩაებულ პატარა ადამიანებისადმი სიყვარული ნაწილობრივ ჰიუგოს პროზის ექოდაც უნდა მივიჩნიოთ. თვით მოქმედების „კარნავალიზაცია“, რომტრიალი სახლის კიბეებზე (გაიხსენეთ სცენა გარდაცვლილი მარმელადოვის სახლში), რაზედაც ბახტინი წერს — მთლად ორიგინალური არაა, იგი დიკენსთანაც გვხვდება. მაგრამ დოსტოვესკიმ მხატვრის ძალა ამ უცხო ინგრედინტთა ნაციონალურ სახეცვლილებაშია. ამისათვის საკმარისია თუნდაც დოსტოვესკის ფანტასტიკის შედარება ჰოფმანის ფანტასტიკასთან. ჰოფმანი ერთმანეთს უპირისპირებს რეალურსა და არარეალურს, პირველი აღჭურვილია მეორის (სინამდვილის) შემფასებლის ფუნქციით, რადგან მწერალი მკაცრად გამიჯნავს ზოლზე ყოფაცხოვრების პლანს იდეალურისაგან. ჰოფმანის მეთოდ — „კონტრავერზულია“, დოსტოვესკისა კი — სინთეტიური. დოსტოვესკი სინამდვილეშივე პოულობს ფანტასტიურს: „რა შეიძლება იყოს უფრო არაჩვეულებრივი, ვიდრე თვითონ სინამდვილე?“ — წერს იგი. ეს მისი დევიზია. თვით პეტერბურგზე ათქმევინებს დოსტოვესკი ერთს თავის პერსონაჟს: „შეიძლება იგი მხოლოდ სიზმარია; შეიძლე-

ბა ვინმემ გაიღვიძოს და ისიც გაჰქრესო“. სწორედ ამ ქალაქში „ემიჯნება ფანტასტიურს“ ყველაფერი პროზაული და უფერული.

(დოსტოევსკის გავლენით ხატავს ა. ბელი პეტერბურგს. ზემოთ მოტანილი სიტყვები ა. ბელის „პეტერბურგის“ შესავალშივე აქვს მოყვანილი ავტორზე მიუთითებლად).

თავის მხრით დოსტოევსკიც ზეგავლენას ახდენდა და ახდენს ევროპულ ლიტერატურაზე. ევროპასა და ანგლოსაქსურ ქვეყნებში ამ ზეგავლენას ვერ ასცდნენ რეალისტები და დეკადენტები, ჰუმანიტარ მწერლები და ნიჰილისტები, თომას მანი და დიუ გარი, გოლსუორთი და ჰამსუნე, ექსპრესიონისტები და ეგზისტენციალისტები. დოსტოევსკის გავლენის ექო ისმის კერძოდ, კანიუსთან ყველა ისინი მათთვის შესაფერ საზრდოს პოულობენ „ძმები კარამაზოვების“ ავტორში. ზოგს მისი ცალმხრივად გაგებული კვიეტისმის ფილოსოფია იზიდავს. ზოგს სოციალური პროტესტი საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ, ზოგს ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე, ზოგსაც ფროიდისტული განმარტება მამისა და შეილები კონფლიქტისა, ამოცენებულ თითქოსდა „ოიდიპოსის კომპლექსის“ საფუძველზე. უკანასკნელად, სულ ამ დღეებში უორჟ სიმენონი აცხადებს. რომ „დოსტოევსკი — ერთერთი იშვიათი ფენომენია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. მისი შემოქმედება არანაკლები გაქანებისაა, ვიდრე შექპირის თეატრი“ („ინოსტრანნია ლიტერატურა“, 1971, № 10, გვ. 161).

ცალმხრივად იქნა გაგებული დოსტოევსკი სერიოზული, მაგრამ ნიჰილისტურად განწყობილი მწერლების მხრივაც. მაგალითად, ანდრე მალროს მისაღებად მოაჩნია სვიდრიგაილოვის ეგოიზმი და ცინიზმი, რომელიც თითქოს ნიცშეს წიგნის „ბოროტისა და კეთილის მიღმა“ ფილოსოფიას ეხმაურება და თავის მხრივ დაძაბნს ადამიანებისადმი სიყვარულის გამო: „მე არასოდეს არ დავეწევი იქამდე რომ ვეძებო მასში შემსუბუქება, რისკენაც მიბიძგებს ჩემი სისუსტე: ევროპა — ვება სასაფლაოა, სადაც გამარჯვებულთ სძინავთ (ყუდი პერიფრაზა დოსტოევსკის ცნობილი სიტყვებისა. „ევროპა — მშვენიერი ქვების სასაფლაოა!“ — ა. გ.) ჩემს ირგვლივ მარტო ცარიელი ჰორიზონტებია და სარკე, რომელიც საშინელებს გრძნობით მავსებს“ (ამერიკელი სლავისტიკის მეტიუსონის მოხსენება „დოსტოევსკი და მალრო“).

ლუი სელინი, რომელსაც გულდასმით უკითხავს დოსტოევსკი, აცხადებს... „მხოლოდ ორი რამ მწაშს: სიბუღვილი და სიკვდილი!“.

ამ ტოტალურ ნიჰილიზმს დოსტოევსკის ღრმა ჰუმანიზმთან არაფერი საერთო არ აქვს.

ისიც აღსანიშნავია, რომ სვიდრიგაილოვის მიერ მარადისობის შე-

დარება ობობას ქსელთან, რომელშიაც იგი ბუნების მოვლენების „მუდმივ განმეორებას“ გულისხმობდა, ყალბად გამოიყენეს ეგზისტენციალისტებმა თავიანთი „აბსურდის“ თეორიისათვის.



რუსულ პროზას ჰყავს ორი უნივერსალური გენიოსი — ტოლსტოი და დოსტოევსკი. თვითონ აქტი მათი არსებობისა წარმოადგენს მრავალმხრივ მნიშვნელოვან მოვლენას, რაზედაც კარგად წერდა ვ. როზანოვი:

«Даже без всякого школьного учения, без знания географии и истории просто «передумать» только Толстого и Достоевского значит, стать как-бы 'Сократом по уму, или Эпиктэтом, или М. Аврелием, — люди тоже не очень «знавшие географию» и «не кончившие курса в гимназии».

დოსტოევსკი-ფსიქოლოგის შესახებ აგრეთვე კარგად წერდა იგივე ავტორი: «Достоевский — всадник в пустыне, с одним колчаном стрел. И капает кровь, куда попадает его стрела».

ჩვენ არაფერს არ ვუმატებთ ამ შესანიშნავ დახასიათებას.

ნოემბერი, 1971

## ანა ახმატოვა

მსოფლიო პოეზია არაა მდიდარი ისეთი მასშტაბის პოეტი ქალეზი, რომელთაც ეპოქა შეუქმნიათ მშობლიურ მწერლობაში.

ძველმა საბერძნეთმა კაცობრიობას მისცა ეოლიური ლირიკის დედოფალი საფო, რომლის პატივსაცემად ქალაქ მიტილენში პოეტი ქალის სახე მონეტაზეც კი იყო ამოკვეთილი (ერთი ასეთი მონეტა ქალაქ ბონში ინახება). მეორედ და სრულიად მართებულად, პოეტი ქალის სახე ამოიკვეთა მედალიონზე ამ ორიოდ წლის წინათ და იგი ოქსფორდის უნივერსიტეტს ამშვენებს. ესაა სახე მე-20 საუკუნის მსოფლიო პოეზიის დედოფლის ანა ახმატოვასი.

ლიტერატურაში მოღვრი სკოლები და მიმდინარეობანი კვდებან, რუბრიკები, რომლებშიაც ამა თუ იმ ქეშმარიტ შემოქმედს აქცევენ,

ჩვეულებრივ ცვდებიან და დავიწყებას ეძლევიან. ანა ახმატოვა, თავისი საერთო პოეტური აზრისის თვალსაზრისით, არსებითად არც ერთ სკოლას არ ეკუთვნოდა. დღეს მაინც ადვილი დასანახია ის ფაქტი, რომ ანა ახმატოვას ნეიტრალური ადგილი ეკავა სიმბოლისტებსა და აკმენისტებს შორის, თუმცა ორგანიზაციულად იგი ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდა.

დიდი პოეტის გამოჩენა ყოველთვის აღინიშნება, ერთი მხრივ, ამა თუ იმ თემის ან თემების (თუნდაც გაცვეთილის) ახალი კუთხით დანახვის და გაშლისა და, მეორე მხრივ, მოულოდნელი, პოეზიაში განმტკიცებული პეტრომატიზმისადმი დაპირისპირებული ინტონაციის ერთმანეთთან ორგანიული შერწყმით, რასაც მხატვრული აზროვნების სიღრმე და მთელ ეპოქასთან მისი შეხშიანება აგვირგვინებს.

ეს ურთულესი ამოცანა Anno Domini-ს (1922 წ.) ავტორმა გასაოცარი, მანამდე არნახული სიმსუბუქით გადაჭრა, თუმცა მისი უჩვეულო ლაქონიზმი იმთავითვე ღრმა შინაგან დრამატიზმს შეიცავდა.

ანა ახმატოვას თავდაპირველი პოეტური ნილაბი სიყვარულის გრძნობით გულის სიღრმემდე შეძრული ქალის სახეა. ცნობილია, რომ ამ გრძნობას უმთავრესად მამაკაცები (გენიოსები, ტალანტები და ნაკლებ ნიჭიერთა პლეადები) უმღეროდნენ. ნუ მოვიგონებთ ანტიკური ეპოქის ჰედონისტ პოეტებს (მაგალითად, ანაკრეონტს, ჰორაციუსს, ოვიდიუსს, კატულეს...). საკმარისია ევროპელი, რუსი და ქართველი დიდი ლირიკოსების — დანტეს, პეტრარკას, რონსარის, პუშკინის, ტიუტჩევის და ბარათაშვილის გახსენება. და კიდევ რამდენის ჩამოთვლა შეიძლება. ისე გამოდის, თითქოს ზემოთ აღნიშნული უმაღლესი ადამიანური გრძნობის გამოხატვა ძირითადად მამაკაცთა მონოპოლიას შეადგენდა. ჩვენი საუკუნის პოეზიაში ამ მხრივ მკაცრი დისონანსი ანა ახმატოვამ შეიტანა (მე ვიღებ იმ მასშტაბს, რომელიც ამ წერილის გმირს შეეფერება). თვითონ ანა ახმატოვამ იშვიათი სიზუსტით, თუმცა ხუმრობის კილოთი, თქვა ყოველივე ამის გამო:

Могла ли Биче слово Дант творить,

Или Лаура жар любви восславить?

Я научила женщин говорить,

Но, боже, как их замолчать заставить?

ანა ახმატოვას სრული უფლება ჰქონდა ამგვარი ხუმრობისა.

\* \*

ანა ახმატოვას ლირიკაში ავტოგრაფიული ელემენტების ძიება თვითველი კერძო შემთხვევისათვის გარკვეულ სიძნელეებს აწყდება. პოეტი ქალის სულიერი მოძრაობა მრავალ კონკრეტულ პერიპეტიაშია



გამოხატული. ამასთან, არავითარი დემონიზმი ან სატანიზმი, თემის გაშლასთან დაკავშირებით, ანა ახმატოვას არ ახასიათებს. ეს მომენტიც მკაფიო ზღვარს დებს მის პოეზიასა და სიმბოლისტურ ტრადიციებს შორის.

ყოფილ პეტროგრადსა და ცარსკოე სელოზე შეყვარებული ქალი, ჩვეულებრივ, ბაღში ან კაფეში ზის რამდენადმე ცუდლუტ ვაჟთან და ახმატოვა ერთბაშად გადმოსცემს პირისპირ მჯდომის გარეგნობის, მიმოხვრის ან ტანსაცმლის რხევის ამა თუ იმ ნიშანს თავის სულიერ განცდებთან დაკავშირებით. ლექსის გმირი-ავტორის ინტიმური განცდა თუ ემოცია თითქმის ბეწვზე ჰკიდია, მათი მხატვრული ვიბრაცია მუდამ მერყევია ან წყვეტილად მიმდინარე, მაგრამ ყოველთვის კონკრეტული და ლამის ხელშესახები.

თემა, რომელიც აკმეისტრებთან აკრძალულიც კი იყო, ხოლო სიმბოლისტებთან ანემიურ სიტყვიერ ნიაღვარში ინთქმებოდა — ანა ახმატოვასთან, პლასტიკურ სიცხადესთან ერთად, ტრაგიკულად ჟღერს. ბოდლერის ლირიკის შემდეგ ამგვარ მომენტთა მაღალხარისხოვანი პოეტური სიმბოლოზი ჩვენთვის უცნობია. რუსულ პოეზიაში ანა ახმატოვა ამ შემთხვევაში მხოლოდ ალექსანდრე ბლოკს თუ უახლოვდება.

და ყველაფერი ეს გადმოცემულია ლექსით აგმენტის შემეფობით. მოვიყვანთ ორ მაგალითს წიგნიდან „Четки“:

Было душно от жгучего света  
А взгляды его — как лучи.  
Я только вздрогнула: этот  
Может меня приручить.  
Наклонился—он что-то скажет..  
От лица отхлынула кровь.  
Пусть камнем нагрудным ляжет  
На жизни моей любовь.

მეორე ლექსში „წყეული“ ვაჟის მკერდს მიხაკი ან ტიტა ამშვენებს:

Не любишь, не хочешь смотреть?  
О, как ты красив, проклятый!  
И я не смогу взлететь,  
А с детства была крылатой.  
Мне очи застит туман,  
Сливаются вещи и лица,  
И только красный тюльпан  
Тюльпан у тебя в петлице.

თემის შეზღუდვა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, ხელშესახებისაკენ — ანა ახმატოვას ლირიკის თავისებურებაა. მაგრამ, მიუხედავად ოთახისა და ბუდეარის თავისებური რომანტიკისა, ვარდ-

ყვავილებით სავსე ლარნაკის ახლოს ბიბლია ძვეს და ლექსში ასახულ ინტიმურ ატმოსფეროს სერიოზულობითა და სოლიდურობით ავსებს. ამიტომ მოჩვენებითია ანა ახმატოვას ლირიკის კამერულობა, რაზეც დაჟინებითა და ხაზგასმით წერდნენ არა მარტო პოეტი ქალის მოწინააღმდეგენი. არამედ მის პოეზიაზე შეყვარებული მკვლევარებიც კი (ეგულისხმობ ბ. ეიხენბაუმის, ვ. ვინოგრადოვისა და ე. გოლერბაჩის მონოგრაფიებს ახმატოვაზე).

ანა ახმატოვას ლირიკული ხმა, პირველი მოსმენით თითქოს პიანომდე რომ ეშვება, მისი ლექსების აღრინდელ კრებულებშიაც კი („სალამო“, „კრილოსანი“, „ანნო დომინი“ და სხვა) ქორალის სიღრმეს აღწევს, მოვიგონოთ მისი პატრიოტული „ლოცვა“ (წიგნიდან „Белая стая“), რომელიც 1915 წლითაა დათარიღებული:

Дай мне горькие годы педуга,  
Задыханья, бессоницу, жар,  
Отыми и ребенка. и друга,  
И таинственный песенный дар—  
Так молюсь за Твоей литургией  
После стольких томительных дней,  
Чтобы туча над темной Россией  
Стала облаком в славе лучей

ანა ახმატოვას არასოდეს არ წარმოედგინა არსებობა თავისი ქვეყნის გარეშე. 1917 წელს გამოქვეყნდა მისი ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც ღირსეულ პასუხს წარმოადგენდა იმათ მიმართ, ვინც ანა ახმატოვას ემიგრაციის რიგებში უხმობდა:

Мне голос был. Он звал утешно.  
Он говорил: иди сюда,  
Оставь свой край глухой и грешный,  
Оставь Россию навсегда.  
Я кровь от рук твоих отмою,  
Из сердца выну черный стыд,  
Я новым именем покрою  
Боль поражений и обид.  
Но равнодушно и спокойно  
Руками я замкнула слух,  
Чтоб этой речью недостойной  
Не осквернился скорбный дух.

ამ ლექსში მკაფიოდ ჩანს, რომ ანა ახმატოვამ შეგნებულად შეაქცია ზურგი ქვეყნის ორგულთ. იგი ისევე დიდი ადამიანი იყო, როგორც დიდი პოეტი ქალი.

შეცდომა იქნებოდა, არ დაგვენახა სხვა მოტივების არსებობაც ანა ახმატოვას ლირიკაში. ემოციური „პოლიფონიურობის“ თვალსაზრისით მისი პოეზია ფუგის ხელოვნებას უახლოვდება. უწინარეს ყოვლისა, ეს მხილდება ახმატოვასეულ გაგებაში შთაგონებისა, რომელშიაც იგი დანტეს კარნახს ისმენს. კოლოსალური პოეტური კულტურის მქონე ქალი (ანა ახმატოვა ზედმიწევნით ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. იყო შესანიშნავი მთარგმნელი, პირველხარისხოვანი მკვლევარი-პუშკინისტი და ა. შ.) ასე მიმართავდა მუზას:

Когда я ночью жду ее прихода,  
Жизнь, кажется, висит на волоске.  
Что почести, что юность, что свобода,  
Пред милой гостьей с дудочкой в руке.  
И вот вошла. Откинув покрывало,  
Внимательно взглянула на меня.  
Ей говорю: «Ты ль Данту диктовала  
Страницы Ада?» Отвечает: «Я».

ანა ახმატოვა ზოგჯერ რითმასაც უკუთავდებს, რაც არაფერს აკლებს მისი ლექსის გრანტიულ სიმკვრივეს. აი, პირველი ცხრა ტაეპი ლექსისა „Вроде монолога“, რომელიც შემოდგომის უიმედო ელფერსა და სოციალური მიუსაფრობის შეგრძნებას გამოხატავს იშვი-აი პოეტური ძალით:

Так вот он—тот осенний пейзаж,  
Которого я так боялась.  
И небо, как пылающая бездна,  
И звуки города, как с того света  
Услышанные, чуждые навеки...  
Как будто все, с чем я внутри себя  
Года боролась, — получило жизнь  
Отдельную и воплотилось в эти  
Слепые стены, в этот черный сад...

ანა ახმატოვა თავის მასწავლებლად თვლიდა ინოკენტი ანენსკის, ცნობილ რუს პოეტს, ავტორს შესანიშნავი ლექსების კრებულია „კვიპაროსების ყუთი“, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ახმატოვაზე (ანენსკი, სხვათა შორის, გამოჩენილი ელინისტიც იყო, ევრიპიდეს სამტომეულის რუსულად მთარგმნელი და გამომცემელი), მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში შემოქმედის მართობა აგრეთვე დრამატულად უღერს:

А тот, кого учителем считаю,  
Как тень прошел и тени не оставил,  
Весь яд впитал, всю эту одурь выпил,  
И славы ждал, и славы не дождался, —  
Кто был предвестьем, предзнаменованьем,  
Всех пожалел, во всех вдохнул томленье —  
И задохнулся...

მოვიტანთ კიდეც ორ ნიმუშს. პირველის ფინალი ავტორის აღსა-  
რებასთან ერთად ილუზიათა გაფანტვის შეგარძნებას გადმოგვცემს და  
ღვთაებრივი ძალის რეპლაცით მთავრდება:

Одни глядятся в ласковые взоры,  
Другие пьют до солнечных лучей,  
А я всю ночь веду переговоры  
С неукратимой совестью своей.  
Я говорю: «Твое несую я бремя,  
Тяжелое, ты знаешь, сколько лет».  
Но для нее не существует время,  
И для нее пространства в мире нет.

А надо мной спокойный и двурогий  
Стоит свидетель... О туда, туда,  
По древней подкапризодой дороге,  
Где лебеди и мертвая вода.

ეს ლექსი 1936 წელსაა დაწერილი. მაშასადამე, ანა ახმატოვას ლი-  
რიკაში დომინიურ მომენტად კამერულობის მიჩნევა, ვიმეორებ, ყო-  
ველგვარ საფუძველს მოკლებულია.

უკანასკნელად მოვიტანთ კიდეც ერთ ლექსს, რომელშიც პოეტი  
ქალის ხმა შექსპირული პათოსის სიმალღეზეა:

И всюду клевета сопутствовала мне.  
Ее ползучий шаг я слышала во сне  
И в мертвом городе, под беспощадным небом,  
Скитаясь наугад за кровом и за хлебом.  
И отблески ее горят во всех глазах.  
То как предательство, то как невинный страх.  
Я не боюсь ее. На каждый вызов новый  
Есть у меня ответ, достойный и суровый.  
Но неизбежный день уже продвину я, —  
На утренней заре придут ко мне друзья,  
И мой сладчайший сон рыданьем потревожат,  
И образок на грудь остывшую положат.  
Никем незнаема, тогда она войдет,  
В моей крови ее неуголненный рот  
Считать не устает небывшие обиды,

Вплетая голос свой в молениях панихиды,  
 И станет внятн всем ее постыдный бред,  
 Чтоб на соседа глаз не мог поднять сосед,  
 Чтоб в страшной пустоте мое осталось тело,  
 Чтоб в последний раз душа моя горела  
 Земным бессилием, летя в рассветной мгле,  
 И дикой жалостью к оставленной земле.

ამ მონოლოგს შეუძლია დაკვირვებულ მკითხველს ძარღვებში ლამის სისხლი გაუყინოს. აქ უდაბნოს სამუშის მოახლოებაა. ლიტერატურული ანალოგისათვის მე არ მყოფნის მაგალითები. ტიუტჩევის ლირიკაში მსგავსი თემა ან მედიტაციაშია ჩამოყალიბებული, ან სრულიად გაშიშვლებულია და მკითხველისაგან დაუყოვნებლივ რეაქციას მოითხოვს. ახმატოვას მონოლოგის მიღმა კი თითქოს არაფერი ირხევა, მაგრამ ეს მოჩვენებითია. „ჩვენს წინაშე იშლება მშვიდი, სერიოზული სამყარო, უდაბნოსებური, გაშვებული, უფერადოვნო, პირქუში, უმოძრაო. იგი არ გახარებთ და არ გართობთ. და მაინც თქვენ არ შეგაძლიათ მოსწყდეთ თემას“, — ასე წერს სპეციალისტი ბახის უკანასკნელი დიდი მუსიკალური ნაწარმოების „ფუგის ხელოვნების“ შესახებ (ალბერტ შვაიცერი, „იოჰან სებასტიან ბახი“. 1965, გვ. 316). უფრო ადრე იმავე კომპოზიტორის ბიოგრაფს პიტას დაუწერია, რომ „ფუგის ხელოვნებაში“ „ზამთრის დამის საზეიმო მყუდროება“ სუფევს.

ეს გამოთქმები საესებით შეეფერება ანა ახმატოვას იმ ლექსებს, რომლებშიაც ანალოგიური ლაიტმოტივები ფარდას უშვებენ შემაზრუნ სიჩუმეზე.

. . . . . O туда, туда.  
 По древней подкапризовой дороге,  
 Где лебеди и мертвая вода!

\* \*

რა დასამალია — ანა ახმატოვამ უდიდესი პოეტური ძალით გამოხატა თავისი სულიერი კრიზისები. მაგრამ წრე ყოველთვის იკვრება. ანა ახმატოვა თავის ხალხთან დარჩა ჰირსა და ლხინში:

Нет, и не под чуждым небосводом  
 И не под защитой чуждых крыл,—  
 Я была тогда с моим народом  
 Там, где мой народ, к несчастью, был.

დიდი სამამულო ომის დროს ახმატოვა კვლავ ამალდა იმ პატრიოტულ შეგნებამდე, რომელიც მის სახელს უკვდავყოფს. ამ პერიოდ-

ში შექმნილ შედევრთაგან გამოყოფთ ყველაზე დამახასიათებელ ლექსს „Мужество“ (1944 წ.), როცა მტერი ჯერ კიდევ არ იყო გათხმული სპსიკედლო სარეცელზე:

Мы знаем, что ныне лежит на весах  
И что совершается ныне.  
Час мужества пробил на наших часах  
И мужество нас не покинет.  
И страшно под пулями мертвым лечь,  
Не горько остаться без крова, —  
И мы сохраним тебя, русская речь,  
Великое русское слово.  
Свободным и чистым тебя пронесем  
И внучкам дадим, и от плена спасем  
Навеки.

ანა ახმატოვა საბჭოთა და მსოფლიო პოეზიის ვეება მოვლენაა. „მე გავიმარჯვე საკუთარ ბედზე“, — ამბობდა ანა ახმატოვა თავისი ცხოვრების დაისის უამს. 1964 წლის დეკემბერში მას მიენიჭა პირველი საერთაშორისო პრემია „ეტნა-ტეორმინასი“ (იტალია). იმავე თვეს ოქსფორდის უნივერსიტეტმა ჰონორის კაუზა (დაუცველად) მიანიჭა ანა ახმატოვას ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი, რომელიც მას დიდი ზეიმით გადაეცა. 1966 წლის მარტში ანა ახმატოვა გარდაიცვალა. ცნობილმა რუსმა მწერალმა კონსტანტინე პაუსტოვსკიმ, ვფიქრობ, შესანიშნავად გამოთქვა ამ კატასტროფის მნიშვნელობა:

«Властительница поэзии, прекрасная женщина и мужественная наша современница — эти слова целиком относятся к Анне Андреевне Ахматовой. Анна Ахматова целая эпоха в поэзии нашей страны, она спутница нескольких поколений. Я счастлив, что жил в одно время с ней...»

(„ლიტერატურნია გაზეთი“, 1966, № — 29).

წინამდებარე ეტიუდის ავტორიც იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ანა ახმატოვას პოეტურ მედალიონს სამარემდე დიდი სიყვარულით შეინახავს თავის გულში.

მარტი 1967

გიორგი ლეონიძე ქართული პეიზაჟით იყო მოჭადროებული და მის ლირიკასა და პროზაში ის ბებერი მუხა ჩანს, რომელიც ალაზნის ველზე გამხმარი დაინახა ილიამ. ეს ტრადიციული სახე ქართული ფლორის მშვენიებისა ისევ გაცოცხლდა მასთან და ამგვარი პოეტური დასესხების მიზეზი არც თუ გაუგებარია: ავი მუხას ღრმად აქვს გადგმული თავისი ძლიერი ფესვები მიწაში. მართლაც-და: ვისაც ოდესმე გრიგალისაგან მოთხრილი ამ ხის ვეება ფესვებისათვის მოუკრავს თვალი, იგი მიხვდებოდა, თუ როგორი სიღრმიდან იწოვენ ისინი იმ სინელდეს, რაც მუხას ბუნების გოლიათად აქცევს.

შისავალშივე ყოველივე ამის აღნიშვნა იმიტომ გვინდა, რომ წაქცეული მუხის ასოციაცია ისევ აღდგება ჩვენი მოკლე ჩანაწერების ბოლო სტრიქონში.

უახლეს ქართულ პოეზიაში გიორგი ლეონიძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს ადგილი მან დაიმკვიდრა თავისი უჩვეულო ფანტაზიითა და მდიდარი მხატვრული მეტყველებით. გიორგი ლეონიძე მთლიანად ქართული ენის სტიქიაშია მოქცეული, რას გამოც მისი ემოციური სამყაროც უწინარესად ხალხურია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ქართულია მისი ლირიკის რეპერტუარი, პოეტური ასოციაციები, განსჭვალული ჭეშმარიტი ისტორიზმითა და ყოველივე ახლისა და დიდის შეგნებით. ცნობილია მოსაზრება, რომ გიორგი ლეონიძე ქართული ბუნების მხატვარი იყო, არა იმპრესიონისტული სტილისა, არამედ ვაჟას ხაზის თავისებური გამგრძელებელი. იგი ზედმეტად უხვია ბედნიერად მიგნებული გამოთქმებით, სახეცვლილი იდიომებით, ძველ-ქართული მწერლობიდან აღებული ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური ნიმუშებით. და... არსად სტილიზაცია!

მართალია, პოეტი თვითონ უნდა ფლობდეს ენას და არა პირაქით (ე. ი. ინსტინქტურად არ უნდა მიჰყვებოდეს ენის სტიქიას). მაგრამ ამ მხრივ გ. ლეონიძის პოეზიის ღირსება სწორედ იმაშია, რომ ქართულ ენობრივ ქსოვილთა სამყაროში მან შეინარჩუნა პოეტური მეტყველების საკუთარი იერი, ინტონირების უშუალოება და მოულოდნელობა, რის გამოც მისი საუკეთესო ლექსები არც ერთი სხვა, ადრინდელი თუ თანამედროვე, პოეტის ლექსებს არა ჰგავს.

„ზოგჯერ დეტაებრივ ჰომეროსსაც სძინავს!“ — დიდი რომაელი ლირიკოსის ეს სიტყვები „ილიადას“ შემოქმედზე ორი ათასი წლის შემდეგაც ახსოვთ.

თანაბარი ღირებულების ლექსები არც გოეთეს აქვს. თვით რუსთაველიც „ჩასთვლემს ხანდახან“.

ჩველა დიდ პოეტზე შეიძლება იგივე ითქვას.

უახლესი პოეზიის შესანიშნავი წარმომადგენლებიც არ არიან დაზღვეული ანალოგიური თვისებისაგან.

პოეტს მხოლოდ მისი საუკეთესო მიღწევები ახასიათებენ. გალაკტიონ ტაბიძეც მხოლოდ მის შედევრებში ჩანს.

ასევე — არასოდეს დაავიწყდებათ „ნინოწმინდის ლამე“, „ყივჩაღის პემანი“, „ნინო ჭავჭავაძე“, „ოლე“ და თანამედროვე ქართული პოეზიის არაერთი მიღწევა, რომელიც გ. ლეონიძის კალმიდან გამოსულა.

სიმბოლიზმთან გიორგი ლეონიძის პოეტიკა არაფრით არ იყო დაკავშირებული, არც თემატურად, არც სიტყვისადმი დამოკიდებულების ხასიათით. სიმბოლიზმი ემყარება სიტყვის ძირითადი (საგნობრივი თუ კაუზალური) მნიშვნელობის მოხსნას, განზრახ გაბუნდოვანებას. ყოველი ლექსიკური ერთეულის ადგილი სალექსო კონტექსტში განისაზღვრება მომიჯნე სიტყვისადმი (ან სიტყვებისადმი) შინაარსობრივად ანტავონისტურ მიმართებაში, რის გამო სიტყვები თავიანთ პირდაპირ შინაარსს ჰკარგავენ. გ. ლეონიძის ლექსში წარმოუდგენელია ასეთი კონტექსტები: „უ და ბ ნ ო ლ უ რ ჯ ა დ ნახავერდები“ (გ. ტაბიძე) ან „მაღალ სარკეზე შემოჯდება თ ე თ რ ი ყ ო რ ა ნ ი“ (ვ. გაფრინდაშვილი). „ლურჯი უდაბნო“ და „თეთრი ყორანი“ ოქსაიმორთის ფორმებია, რასაც სიმბოლისტიკაში ხშირად მიმართავენ. ამგვარ მეთოდს აპართლებს მათი ცდა მხატვრული აბსტრაქციის შექმნისა და იგი გარკვეულ მხატვრულ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული.

გიორგი ლეონიძის პოეტური მეტყველება კი თქმის რეალიზმს ემყარება და მას არასოდეს დაუსახავს მიზნად ირრეალური სამყაროს ბუნდოვანი ასოციაციებით გადმოცემა.

არც ლირიკული ფორმების შერჩევას მხრივ ვაკყოლია იგი სიმბოლიზმის გზას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი ჰაბუკობის პერიოდის ზოგიერთ ცდებს, გ. ლეონიძე მიმდევარია გაბმული მეტყველებისა პოეზიაში, ხოლო მის ოთხტაეპედებს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში აქვთ სათავე და უალრესად ხალხურია. დამახასიათებელია, რომ სრულყოფილი სონეტი გ. ლეონიძეს არ დაუწერია. მკაცრი ლირიკული კომპოზიციები მისთვის უცხო რამ იყო.

რაც შეეხება გ. ლეონიძის თემატურ მასალას, პოეტის ჯანმრთელ



სულს არასოდეს არ აღუქვამს სინამდვილე, როგორც დაშლისა და დემატერიალიზაციის პროცესი.

ქართული სიმბოლისტების კორპორაციაში მას თავისი, განსხვავებული ადგილი ეჭირა.

სრულიად უსაფუძვლოა გ. ლეონიძის ლირიკის დაკავშირება თბილისის პერიფერიული უბნების ქალაქურ ფოლკლორთან (მხედველობაში გვაქვს მუხანამბაზური სიმღერების ტრადიცია), გ. ლეონიძის შემოქმედებებს მთავარ ხაზს იგი არ ეხება. ანალოგიისათვის გრ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობაც გამოდგება: უკანასკნელის ლირიკას განსაზღვრავენ ლექსები „სალამო გამოსალმებისა“, „ჩემს დას ეფემიას“, „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და მისთანანი და არა „ლოპიანას მონოლოგი“ და სხვ. ასევე, გ. ლეონიძის ლირიკის ხასიათსა და შინაარსს ასახავენ არა „საათნავა“ და სხვა ანალოგიური ხასიათის ლირიკული პიესები (მათი რიცხვი ძალიან მცირეა), არამედ ლექსების ციკლი „ქართლის ცხოვრებაზე“, „თამარს“, „უციხაღური ღამე“. „ვაჟა ფშაველა“, „სვეტიცხოველი“, „ღამე ივერიისა“, „ნ. ბართაშვილის ნეშტს“, „ნინოწმინდის ღამე“, „აკაკის“ და სხვ.

საზოგადოდ, ყოველი ნიჭიერი შემოქმედის პოეტური აზრის შესახებ მსჯელობენ უმთავრესად მისი ძირითადი თემატიკის მიხედვით.

ლიტერატურაში ერთგვარი პოეტური გართობის შემთხვევები არც თუ იშვიათია. ასე ერთობოდა დინასტიური არისტოკრატი გრ. ორბელიანი თავისი პოეტური დემოკრატიზმით. ერთობოდა ბევრი სხვაც, ჩვენშიაც და სხვაგანაც. ამგვარი გართობის უფლება გ. ლეონიძესაც ჰქონდა.

გიორგი ლეონიძეს შესანიშნავად ჰქონდა შესწავლილი ძველი ქართული მწერლობა, განსაკუთრებით XVIII საუკუნის საქართველოს ისტორია, მისი კულტურა და პოეზია. პოეტის სამოცი წლის თავზე, 1959 წელს, ეს ფაქტი საგანგებოდ აღნიშნა კორნელი კეკელიძემ გაზეთ „კომუნისტში“.

სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, რომელნიც XVIII საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს აერთებენ, გ. ლეონიძის მეცნიერული შესწავლის და ლირიკული მიმართვების ობიექტები იყვნენ.

არც ერთი დასახელებული მწერლის შემოქმედების შესწავლა არ შეიძლება ძველი ქართული ლიტერატურისა და ბიბლიის ცოდნის გარეშე. გ. ლეონიძემ ჩინებულად გაართვა თავი ამ რთულ საქმეს.

რასაკვირველია, თვითონ გ. ლეონიძე შორს იყო რელიგიური კრიტიციზმიდან, მაგრამ ფსალმუნი თითქმის ზეპირად იცოდა. ბევრა

რამ ამ წიგნიდან მას ალბათ სიყრმიდანვე ჩარჩა მეხსიერებაში და ეს მომენტი „ნატვრის ხეშია“ აირეკლა.

მშფოთვარე და დაუდგრომელი ცხოვრების კაცი — იმავე დროს ფრიად განსწავლული მწიგნობარიც იყო.

სრულიად ახალგაზრდამ დაწერა სულხან-საბას ბიოგრაფია. ეს წიგნი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია ჩვენი დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და დიპლომატი-მოგზაურის შესახებ.

ამ მონოგრაფიაში საბას როლს ავტორი კარდინალ რიშელიეა მოღვაწეობას ადარებს. რაგინდ სადავო არ იყოს ასეთი შედარება (რიშელიე ჰკვიანი და თანაც გაიძვერა სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ, დიდი საბა კი — ბრძენი და სათნო ადამიანი!) — იგი ერთ-ერთი მოხდენილი დახასიათებაა „მთელი საქართველოს მამის“ დაუვიწყარი ღვაწლისა.

რუსული პოეზიიდან გიორგი ლეონიძის საყვარელი სახელები იყო: პუშკინი და ტიუტჩევი, ბლოკი და გუმილიოვი, მანდილშტამი და ბორის პასტერნაკი (რომელთანაც მას პირადი მეგობრობაც აქავშირებდა)... ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე სახელი ჩამოვთვალეთ.

ლიტერატურის მუზეუმში, ღირექტორობისას, მას მუდამ მაგიდაზე ედო ტიუტჩევის ლექსების კრებული, გამოცემული გ. ჩუღოვისა რედაქციით.

გიორგი ლეონიძეს უყვარდა გამოჩენილი ლირიკოსის გენიალურა ლექსის „ციცერონის“ კითხვა:

Оратор римский говорил,  
Средь бурь гражданских и тревоги:  
«Я поздно встал и на дороге  
Застыгнут ночью Рима бьют!»

და ა. შ.

მთელ ამ ლირიკულ მონოლოგს იგი წარმოსთქვამდა თავისი ბოზი, ოღნავ ჩახლეჩილი ხმით და ნაწარმოების იმ შინაგანი წვდომითა და გზადაგზა ისტორიული კომენტარებით, რაც ციცერონის ბიოგრაფიისა და საერთოდ, ძველი რომის ისტორიის ცოდნით იყო გაპირობებული.

მუზეუმის ღირექტორი ფართო განათლების ადამიანი იყო.

თუ მოიკითხავდით და შეეკითხებოდით — როგორ ბრძანდებოდა, ზოგჯერ მოკლედ და ღიმილით გიპასუხებდათ:

— Как Марк Аврелий среди варваров!

და გულისხმობდა სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხებითა თუ წოდებებით აღჭურვილ იმ ლიტერატორებს, რომლებსაც არაფერი სჯეროდა.

რამდენიმე სიტყვა მასზე, როგორც საქართველოს ბუნების მხატვარზე:

როგორც საძროხე ქვებს ოსშივარი,  
ქართლის ხეობებს ასლით ნისლები. —

წერდა იგი ქართლის სანახებზე.  
თბილისს კი ასე მიმართავდა:

შევხარი დილის ორთქლიან პურებს,  
ახალ სართულთა წითელ აგურებს,  
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან  
და მას, — ამ ვარდებს ვისაც არგუნებ.

ერთ ლექსში პოეტი ამბობს, რომ ქარებს სძინავთ კოჯრის გადაღმა.

გ. ლეონიძე სამუდამოდ დარჩება საქართველოს ლანდშაფტების ჩინებულ მხატვრად.

ავტობიოგრაფიული, უკეთ-ყრმობის პერიოდის შთაბეჭდილებათა წიგნი „ნატვრის ხე“ ქართული პროზის მარგალიტია. ამ უანრის ანალოგიური რამ უახლეს ქართულ მწერლობაში მე არ მეგულება.

იგი სენ პიერის „პარიზის სურათების“ ბადალია.

არენა — პოეტის მშობლიური სოფელი პატარძელია, თემა კი — უბრალო ადამიანების ვნებები. მათზე ავტორი ბარაქიანი ქართულით ჰყვება.

ფუფალა, ჩორეხი და ღვინჯუა (სხვებზე არაფერს ვამბობ) დაუვიწყარი არიან, განსაკუთრებით ფუფალა, რის გამო არაერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აღტაცება ავტორთან.

„ფუფალა“ მწერლის ალტრუიზმისა და მხატვრული არტიტიზმის შეხამებაა. ჩვენ არ გვიკვირს, რომ გ. ლეონიძის წიგნმა ასეთი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა რუს და უცხოელ მკითხველებზე.

ღრმად ეროვნული შემოქმედება იმავე დროს ზოგადი მნიშვნელობის მქონეა.

„ნატვრის ხეში“ ქართული ენის ლექსიკა ზეიმობს. მასში სიტყვების ნამდვილი რთველია დამდგარი. ბარაქიანი კახური რთველი!

„ნატვრის ხე“ თითქოს რაბლეს სუფრიდან აღებული კერძია.

გიორგი ლეონიძის ლირიკა აღსავსეა ლიტერატურული რემინის-  
ცენციებით, როგორც ბლოკის ლირიკა — ვლადიმერ სოლოვიოვის ან  
აპოლონ გრიგორიევის ტაეპებით.

მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ მისი მუღმივი „შთავონების წყა-  
რო იყო. გაიხსენეთ ადგილები ლექსისა „ყიფჩალის პაემანი“:

ხოხბობას ვნახე, მიწურვილ იყო  
როცა ზაფხული რუსთაველისა!

მოდით! გეძახი ათას წლის მერმე,  
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი  
და დრო ახალი პაემანისა!..

ლიტერატურული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება ნაც-  
ნობი ასოციაციების უცნობ ობიექტზე გადატანაში მდგომარეობს. მიმ-  
ბაძველობისაგან თავის დაღწევის გარანტია მხოლოდ ამაშია.

გიორგი ლეონიძეს არასოდეს დაუმალია თავისთავისათვის სხვისი  
ნიჰიერება. ტალანტს მოკლებულნი კი ეჯავრებოდა.

ზოგერთი სუბიექტური მომენტის გამოც...

არავინ იმდენს არ ცრუობს, რამდენსაც მემუარისტები, — ეს სიტყ-  
ვები მგონი ტურგენევის ეკუთვნის. ჩვენ მემუარებს არ ვწერთ, მაგ-  
რამ ზოგი რამ უნდა გავიხსენოთ:

„ოლე“ დაიწერა ჩემს თვალწინ, ლეონიძეების ძველს ბინაში  
(მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში) და პირველი „ცენზორიც“ ლექსისა მე  
გახლდით. არაორდინარული ამაში არაფერია და არც თვითრეკლამის  
მიზნით გაგვხსენებია იგი.

დიდი პატრვისცემით ვიგონებ გიორგის უფროს ძმას ლევან ლე-  
ონიძეს, ავტორს შესანიშნავი წიგნისა „მესაქონლეობის ლექსიკონი“,  
ახოვან ქართველსა და ერუდიტს...

გიორგი ლეონიძე ბოზობურულად ებრძოდა უკუბრუნებელ სენს.

იმ ზაფხულს წყნეთში, თავისი სახლის აივანზე იწვა იგი. იქ ვინა-  
ხულე.

როცა მზის შუქი მიადგა ავადმყოფი პოეტის საწოლს, მისმა  
სიძემ ოთარ გვინჩიძემ და მე შევეუცვალეთ ადგილი, ორივეს გაგვი-  
ჭირდა მღევრს ადგილიდან დაძვრა.

სასთუმლის ახლოს, პატარა მაგიდაზე რკინის (თუ ვერცხლის)  
თასი ედგა და თვითონ აავსო იგი ღვინით.

— ამ თასით სვამდა ღვინჯუა. შესვით! — წარმოსთქვა მან.

სახეზე სრულიად არ ეტყობოდა შიში გარდუვალის მოახლოებისა. საშინელი სენი, რომელიც ჩვეულებრივად დიდად ამახინჯებს ადამიანს, გორჯი ლეონიძესთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა: მან ვერც გოლიათური შესახედაობა წაართვა პოეტს, ვერც სულიერა მზნეობა.

ეზოში გრილოდა, ავადმყოფი კი დიდ სიცხეს უჩიოდა.

— კოჯორში ალბათ გრილა!.. — ქშენით აღმოთქვა და დაუმატა: — იცი თუ არა, რომ თამარ მეფე კოჯორში გარდაიცვალა?!

ახლაც არ ვიცი, რას ემყარებოდა მისი ვარაუდი. აშკარა იყო ოლონდ: უქანასკნელ დღეებშიაც ისტორიული მოგონებანი არ ასვენებდნენ.

წამდაუწუმ ბორგავდა, როგორც სიცოცხლეზე დახარბებული ადამიანი, რომელიც მთელი თავისი არსებით მშობლიური ქვეყნის ნიადაგზე იღვა და მასთან გამოთხოვება ეძნელებოდა.

და ავადმყოფის შფოთვა მიაგავდა გრიგალის უხეშ ძალადობას ძლიერ მუხაზე, რომელსაც ეს-ესაა მიწიდან მოთხრას უპირებენ.

და როცა ეს მუხა ბოლოს მაინც წაიქცა, აშკარად გამოჩნდა, თუ როგორ ღრმად ჰქონია მას გადგმული ფესვები დედა-მიწაში.

და ეს ფესვები მუდამ შეინარჩუნებენ თავიანთ სინედლეს ქართულ პოეზიაში.

1970

## ლექსი, როგორც სარკმელი

(რამდენიმე სიტყვა ღავით გაჩეჩილასის ლირიკაზე)

შეიძლება სულიერი და გონებრივი მოღვაწეობის არც ერთ სფერო არ მოითხოვდეს იმდენ დისციპლინას, რამდენსაც პოეზია. სიტყვისადმი დამოკიდებულებისას მუდმივი შინაგანი კონტროლი პოეტური მეტყველების ხელოვანს აზღვევს გაიოლების სენისაგან, რადგან ნამდვილი ლექსი — მოულოდნელობათა ეს საწყაული — უმთავრესად იმ მომენტში იბადება, როდესაც ავტორის ემოციები და შთაბეჭდილებანი სავსებით კრისტალიზებულია. სულის პირველი მოძრაობა მუდამ საექვოა და მაცთური რამ. იგი შეიძლება სიტყვათა შეუზღუდველ ნიაღვარში გამჟღავნდეს მდარე ხარისხის სენტრიმენტების გროვად ან მოჩვენებითი ტემპერამენტის ბიძგად იქცეს. შემთხვევითი როდია, რომ, მაგალითად, სიყვარულზე დაწერილი ლექსები სათაურებად ხში-

რად „მოგონებას“ ატარებენ ან მათი პირველივე ტაქები განვილი-  
ემოციური თრთოლის გახსენებაზე მიუთითებენ (პუშკინის „მე მახ-  
სოვს წამი გრძნეული“, „მე თქვენ მიყვარდით“... გრ. ორბელიანის „მო-  
გონება“ და სხვ.). ბახუსისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლირიკული  
პიესები ნადიმის შემდეგ დაწერილა და არა თვითონ ლხინის ქამს;  
ანაკრეონტს სიძვრალეში პოეტური არაფერი შეუქმნია.

ბრწყინვალე ლექსის მოვლინების პროცესი იშვიათადაა გრძნ-  
ბათა ჩასახვისა და განვითარების თანმხლები სინქრონული მოვლენა,  
თუმცა ამ კანონის განზოგადობა არ შეიძლება.

მაინც პოეზია ჩვეულებრივ დაფერფლილ შეგრძნებათა ან მანაკ-  
დე შეუღმჩნეველი მომენტების დანახვა და მათი კვლავ გარემყარისად-  
მი დაბრუნებაა. ლირიკოსი პოეტი კი არ აღწერს ან ასახავს, არაქედ  
აღმოაჩენს რასმე. ქვეშარიტებრს ნატამალი მაინცაა ამ პარადოქსში,  
რომ ანგლისელებმა მხოლოდ მას შემდეგ შეამჩნიეს ხეები ლონდონში,  
როცა მათზე უორდსვორტი ალაპარაკდა პირველად.

პოეზიის ერთ-ერთი საოცრება ისაა, რომ მას შორიდან მომდინა-  
რე შთაბეჭდილებათა აღქმის ავტომატიზმიდან გამოკყავს მკითხველი.

დავით გაჩეჩილაძეს ჩინებულად მოეხსენება ლექსის ეს სა-  
დუმლოება. ამ ნიჭიერმა ადამიანმა ძალიან დიდი ხანია იცის, რომ ბევ-  
რი ბრწყინვალე რამ დაწერილა ამ ქანრში. რა შეიძლება მიემატოს  
მრავალგზის და შესანიშნავად თქმულს?

მაგრამ ყოველი შემოქმედის სულიერი სამყარო იმდენად ინდივი-  
დუალური და განუმეორებელია, რომ მას შეუძლია თვით ნაცნობი  
თემების ხელახალი დამუშავება და მათი უჩვეულო სპექტრით გამო-  
სხივება. მაინც დავით გაჩეჩილაძეს მთელი არსებით ეჭაერება ყველა-  
ფერი ბანალური და მრავალჯერ თქმულის განმეორება ისევე, რო-  
გორც ყოველგვარი ფსევდო-ნოვატორული სუროგატი. იგი მალალი  
სამწერლო ეთიკითაა დაჯილდოებული და ხელში კალმის აღებისას  
მძიმე დაბრკოლებათა გადალახვის შეგნება არ ღალატობს. სიტყვას,  
რომელსაც იოლად ეკიდებიან, შეუძლია მუხანათურად მოეპყრას  
მწერალს: პოეტის ეს მთავარი ინსტრუმენტი ყოველწამს მზადაა ყალ-  
ბი ვიბრაცია გამოსცეს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ქვეშარიტი პოეზია იცნობა ორი გზის  
შესაყარზე — როცა კრიტიკალიზებულ ემოციათა ნაკადი ორგანულად  
ერწყმის მანამდე შეუღმჩნეველი მომენტების აღმოჩენასა და მათს უნაყ-  
ლოდ გადმოცემას. ჩვენი პოეტის ლირიკაში ეს მხარე თვალსაჩინოა.  
მის ხელში ლექსი იქცევა სარკმელად, საიდანაც მოვლენათა და საგან-  
თა უცნობი კონტურები ჩანს. მათზე ყურადღების ფიქსაცია დ. გაჩე-  
ჩილაძის მხატვრული ხელრთვის დამახასიათებელი ნიშანია.

ლექსში „ძახილი უკვდავებისა“ გადმოცემულია დაღუპული ჯარისკაცის ავონიის გახსენება. პერსონაჟის ცნობიერება სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზეა, შთაბეჭდილებანი დაქუცმაცებულია და მინიატურულ სურათებს მიაგვანან:

...მე აქა ვარ,  
სად ღრუბელი მარტოდ მარტოა,  
წუხელ ქარმა ცის ნაპირას რომ მიატოვა,  
თვლემს ღრუბელი და სიჩუმის ისმის ჩურჩული!

ეს ტაეპები — თითქოს აუსტერლიცის ცის ფრაგმენტი, რომელიც ქართველმა ჯარისკაცმა დაინახა.

ან კიდევ:

და ეს ნისლი, კენწეროზე ხეს რომ ავლია,  
ჩემი ხელით გასროლილი თოფის კვამლია.

ზეზე თოფის კვამლის მატერიალიზაცია — ნისლის სახით — ჯარისკაცის ქვეცნობიერებიდან ამოდის. იქვეა მოგონება „ჯიბის სარკისა“, როცა „განთიადი იელვებს თოვლის მთებიდან“, ჯარისკაცი „ამ სარკეში პირს იპარსავს სამართებლითა“.

მაგრამ ეს ბედნიერად დანახული დეტალები ავტორის დაკვირვების უნარის მანიშნებელი იქნებოდა მხოლოდ, მთელი „სიმღერა“ რომ იმედის შეგრძნებით არ იყოს გამთბარი:

მე ავდგები,  
მე ტანი მაქვს გაზაფხულისა,  
წინ ფუტკარი გამიძღვება ხმად ჩონგურისა,  
და იელვებს ჩემს მლიმარე თვალთა კამკამში  
საქართველოს მოწმენდილი ზეცის კაშკაში.

მსგავს ასოციაციებზეა აგებული ლექსი „ძველ სიმღერას როცა უსმენ“. მასაც ჩინებული ფინალი აქვს:

მოიმწუხრებს ზეცა გაფერმკრთალებით  
და მოფანტულ სანთლებს შორის, გარეჯაში  
პირს ალებენ ჩაჩეხილი თავები...  
თვალში ნისლი, თმაზე ტალახ-მტვერია.  
და მღერიან. „ქრასტე აღსდყას“ მ ღერიან.

ვისაც განთქმული დავით გარეჯის ლავრა უნახავს, აქ მოტანილი ტაეპების კითხვისას უმალვე წარმოიდგენს კლდოვან სენაკებში ოდეს-დაც „ჩაჩეხილ თავებს“, რომელთაც პოეტის შინაგანი ხილვა ასე კარგად აცოცხლებს. ავტორი პირდაპირ შენივთულია იმ მოწამეთა აჩრდილებთან, რომელნიც შორეულ საუკუნეებში მისტიკური ვიზიონით

იყენენ შეპყრობილნი და უდაბნოს მღვიმეებში სანთლების შუქზე ლოცვებს აღუვლენდნენ ჯვარცმულს.

დ. გაჩეჩილაძისათვის ჩვენი ხალხის ისტორია, მისი ფიქრები და გრძნობები, მშობლიური ქვეყნის ბუნება მთლიანად, აღწერის ან მშრალი დეკორუმის ფონს კი არ წარმოადგენენ, არამედ საკუთარ სულში დავანებულ ჩვენებათა გამოკრთომას. მისი „ოპიზარი“, „კარწანისი“, „ასპინძის წყარო“, „მიწავ, თუ გახსოვს“, „დაბრუნება“ და მშვენიერი „გაბზარული ლოდის ბალადა“ — ჩვენი შეხედულების საუკეთესო საბუთებია.

საქართველოს უდიდესმა მონარქმა თავის ცხედარს საფლავი განუშადა ეკლესიის შესასვლელთან, ხალხის მიერ მისი ლოდის გასათელავად!.. ისტორიაში ამ გაუგონარ ფაქტს, რომელიც უზენაესი ხელისუფალის ქრისტიანული სულის მღუღარებაზე მეტყველებს, არ შეეძლო გულის სიღრმემდე არ შეეძრა ყველა და მით უფრო პოეტი. დამახასიათებელია, რომ დ. გაჩეჩილაძე ამ საფლავთანაც ხელავს „ნისლს“ და „სიჩუმეს“ ისმენს:

ღმერთო,  
დიდება შენდა!  
ოჰ, რა მხუთავად დაინისლა!  
სადმე თუ აკლავენ ზვარაკს...  
აღმოხდა ოხვრა დავითისა  
და ლოდი გაიბზარა.

და ფეხქვეშ ცოცხალ გულის ძვარად  
მესმის სიჩუმის ფეთქვა!

აქაც შინაგანი ხილვების პლასტიკური განსახიერება გვაქვს. მთელი ლექსი ერთი ძლიერი სუნთქვითაა გამსჭვალული.

დ. გაჩეჩილაძე რომ თავისი ქვეყნის პატრიოტია, თავისთავად ეს არაფერს ამბობს, რადგან სამშობლოსადმი სიყვარული ერთნაირი ძალით ჰბადებს ბანალურსა და ორიგინალურს. ყველასათვის ნაცნობი, მაგრამ პოეზიაში „მომგებიანი“ თემა ჯერ კიდევ არაა კარგი ლექსის შექმნის გარანტია. პოეზია თვითონაა ავტონომიური მონარქი და მისი ზიტყვა შეიძლება ზოგჯერ მრისხანედ დაატყდეს თავზე ვრს (ილიაძე „ჩვენისთანა ბედნიერი...“ და სხვ.). საკითხი ისაა — ავყავს თუ არა ჩვენი ემოციები მაღალი პოეტური მეტყველების რანგში.

ლექსი „ყვავილი რქაში“ შენაზავია აგრეთვე დაკვირვებისა და ემოციური თრთოლვისა. ხავსიან ქვაზე ბროწეულის ყვავილს „ჩაჩხილ



ძვლებში“ „ჩაუბამს ფესვი ბრჭყალივით“. ამ სურათს თან ახლავს რეკლიკა.

ოჰ, ეს ყვავილი,  
ბროწეულის რტოზე ყვავილი!  
და რალა დარჩა?  
— მხოლოდ ციხე ჩამონგრეული.

მოკლედ — დ. გაჩეჩილაძე კარგად ხედავს და ასევე კარგად გრძნობს!

მაგრამ ეს თვისებებიც არ იკმარებდა, რომ პოეტი დაჯილდოებულ-ლი არ იყოს მოვლენებზე დაფიქრების უნაკლო უნარით. „თოვლი“ ამის ილუსტრაციაა. ავტორის მშვენიერი ქართულიც საწუთროზე და-ფიქრების სამსახურშია ჩაყენებული:

მე მივდივარ სადღელამო საზღვრებმოშლილ  
ბინდბუნდების უსასრულო უდაბნოში.  
არსად ველი...  
არსად ვარსკვლავთ ხომლი,  
გზას ვინ მეტყვის?  
თვალთა უბეს მივსებს თოვლი.

ან ვით შესძლებს სიტყვა მელნის ჭიანჭველა  
სული ჩემი კვლავ აღანთოს ცისარტყელად?

ვას თუ გზაში დაუვარდეს, გადაგვარდეს  
ან სულ გაქრეს...  
აქ ხსოვნასთან ფიქრიც წყდება  
და თოვლივით მოდის ჩემი დავიწყება,  
კვალს არ სტოვებს სიკეთის და კაცთა ცოდვის...  
თოვლი მოდის...  
თოვლი მოდის...  
თოვლი მოდის...

ლექსში ტეხილ სტროფებს გასდევს სამჯერ განმეორებული ტა-ეპი — რეფრენი, დაფუძნებული ქორეულ იმპულსზე (სიტყვა ლექს-ში უწინარეს ყოვლისა რიტმული ფენომენია და არა მარტოდენ ენობრივი!), თითოეული სიტყვის პირველი მარცვლის აქცენტი დახ-რილად და მდორე ტემპით წარმართავს რეფრენს და მას ნოქტურნის piano-ს ამსგავსებს. მყუდრო ტონი აძლიერებს უკანასკნელ მიჯნასთან მიახლოების განცდის შთაბეჭდილებას: ყველაფერი ინთქმება გულ-გრილობისა და დავიწყების წიაღში!

„თოვლი“ — ჩვენი საყვარელი მგოსნის ბრძნული აღსარებაა.

\* \*

არც დიდება უძებნია, არც კარიერა, არც პატივი, — არაფერი სწრაფწარმავალი არ უძებნია.

არავის ჩასაფრებია, არავის მოპყრობია დუშმანის სულით. იგი კეთილშობილი ადამიანია.

და მდიდარია: ბევრს უყვარს, ბევრი უსურვებს მას კიდევ მრავალი წლის ჯანმრთელ სიცოცხლეს და ჩვენს გახარებას თავისი კალმით მომავალშიაც.

და ამ ბევრის სურვილს უერთდება 45 წლის მანძილზე მისი უანგარო ძმისა და მეგობრის სურვილიც.

15 ნოემბერი, 1973.

## დაყოვნებული წამი

### საზრანგეთის შთაბეჭდილებებიდან

მონპელიედან, სადაც ოდესღაც რაბლე სწავლობდა, საშუალო საუკუნეების უმშვენიერეს ქალაქ პეზენასის გავლით 18 ოქტომბერს ჩავედით ქ. სეტში.

ეს პატარა საკურორტო ქალაქი-პორტი, ორმოცი ათასი მცხოვრებით. ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. იგი გაშენებულია გორაკზე და ორივე მხრით ამფითეატრით გამოიყურება.

მანქანას ქალაქის მწვერვალზე, წრიულ ტერასაზე ავყავართ; მონდიდან კარგად მოჩანს ზვრებით დაფარული სამხრეთ საფრანგეთის სანახები, ხოლო დასავლეთით — ზურმუხტისფრად მოლივლივე ზღვა.

ქალაქის სანაპირო ყურეში, აღმოსავლეთით, მრავალი გემი დგას, რომელთა ირგვლივ მეზღვაურნი და მტვირთავები ფუსფუსებენ. ქუჩებში დაუსრულებელი ყრიაშულია, მხიარული და საკმარის ექსპანსიური ფრანგები ისე ეხმაურებიან ერთმანეთს რეპლიკებით, თითქოს სიტყვიერი ფეიერვერკებით უნათებენ ურთიერთს ქერა სახეებს. შუაღის ტარამდე დასული მზე უკანაპნელ სხივებს აფრქვევს ქალაქის დასავლეთ მხარეს. როგორც ყველა ფრანგულ ქალაქში, სეტშიაც ეროტის ისრით დაჭრილი და განმარტოებული წყვილები ზეზეულად გარინდებულან ქუჩების ყველა მოსახვევებსა და ტროტუარებზე.

ჯერ კიდევ მონპელიეში ნაჩუქარ ალბომში ჩადებული პროგრამიდან გავიგე, რომ ქ. სეტის მუზეუმში ერთი დარბაზი მთლიანად უდი-

დესი ფრანგი პოეტის პოლ ვალერის ცხოვრებისადმი ყოფილა მიძღვნილი. ცნობილია, რომ ვალერი ამ ქალაქში დაიბადა და აღიზარდა, ხოლო პარიზში გადასვლამდე მონპელიეში სწავლობდა.

ჩვენს ჯგუფში, მისი პროფესიული სიჭრელის გამო, რა თქმა უნდა, ბევრს არც გაეგონა ფრანგული ნაციის უღრმესი ნიჭიერებისა და უმაღლესი ინტელექტუალური ბრწყინვალეების წარმომადგენლის სახელი. აღსანიშნავია, რომ თ. ს. ელიოტი მას მსოფლიოს მასშტაბითაც ანუკუბდა უპირატესობას ამ სფეროში და სრულიად საფუძვლიანად (წიგნაკში „პოდან ვალერიმდე“, ვაშინგტონი, 1949).

სეტის მაღალ ტერასაზე იქვე მდგომ ფრანგებს ვთხოვე, (ჩვენი დაუზარებელი გიდის ეილბერ ფრაიზის დახმარებით, რომელიც რუსულს გვარიანად ფლობდა) სეტის მუზეუმში მივეყვანეთ, მაგრამ გვაცნობეს, რომ მისი შეკეთება მიმდინარეობს, დაკეტილია და ამიტომ ექსპონატების გაცნობა ვერ მოხერხდება. ვერც პოეტის სახლს ვეწვიეთ, რადგან მადამ ვალერი ერთი თვის წინ გარდაცვლილა, ხოლო პოეტის შვილები პარიზში იმყოფებოდნენ. სამაგიეროდ შემოგვთავაზეს — თუ გნებავთ, ვალერის საფლავი ინახულეთ, იგი აქვე „ზღვის სასაფლაოზე“ მდებარეობს.

უმაღლვე მომაგონდა პ. ვალერის საკვირველი და შეუდარებელი, ვრცელი ლექსი, რომელიც პოეტის უკანასკნელი განსასვენებლის ადგილის სახელწოდებას ატარებს. ამიტომ სრულიად შეგნებული ინიციატორი აღმოვჩნდი აღნიშნული ადგილის დათვალიერებისა მთელი ვენი ჯგუფის მიერ.

ვეშვებით ქალაქის დასავლეთით. ხმელთაშუა ზღვა ყრუდ ღრტივინავდა, ის ზღვა, რომელიც პოლ ვალერიმ დასახელებულ ლექსში („ზღვის სასაფლაო“) ჰიდრას შეადარა („ო, ჰიდრავ, მთვრალი ვარ შენი ლაქვარდოვანი ტანით, შენ, რომელიც თეთრად მოლივლივე საკუთარ კულსა ჰებენ ხოლმე!“).

აგერ სასაფლაოც. იგი პოეტს მარადიული ღუმლისა და ნირვანის სიმბოლოდ ჰქონდა მიჩნეული, ხოლო ზღვა — სიცოცხლისა, მუდმივი მოძრაობისა და თანაც მუხანათური და ავი ზრახვების უბედ. ამ ორი საწყისის პოლარიზაციაზე აგებს პოლ ვალერი თავისი განთქმული ლექსის რთულ, ძნელად საწვდომ ასოციაციებს. პოეტი მსჯელობს ურთიერთის გამომრიცხველ ძალებზე, ხოლო ლექსს წინ უმძღვარებს პინდარეს სიტყვებს: „სულო ჩემო, ნუ ისწრაფი უკვდავებისადმი, არამედ ეცადე შესაძლებლობათა წიაღში მოაქციო შენი შემოქმედებითი ძალები!“

პატარა ფერდობზე სასაფლაო ზღვას ეშიჯნება და მისგან გამო-

ყოფილია ქვის კედლით, რომლის გადაღმა ვიწრო ქუჩას ზღვის ტალღები ფარავენ ალბათ სტიქიონის მომძლავრებისას.

ნელა მიფეხებით მიჯრით განლაგებულ და ერთნაირ, მალალი და სწორად გამოჭრილი თეთრი ქვის ლოდების რიგს. დუმილის ამ სამყაროში, ფერდობის ზემოთ, ერთ-ერთ დაბალ კვარცხლბეკზე მკრთალადაა ამოკაწრული წარწერა ფრანგულად:

### პოლ ვალერი

30 XI 1871-20 VII 1945.

ვალერის საფლავი, როგორც ვთქვით, დამრეცხვია, მისი ლოდი გასცქერის პილრას, რომელიც თითქოს მართლაც რიტმულად კბენს თეთრი ქაფის გამომცემ საკუთარ კედს. მზე ჩადიოდა. ხის ჩრდილებში არეული სხივები ფარფატებდნენ ვალერის კვარცხლბეკზე.

ესაა განსასვენებელი პოეტისა, რომელიც ერთ დროს ევროპის ინტელექტუალურ პრესტიჟს განასახიერებდა ერთა ლიგაში; რომელმაც, მანამდის ფართო აუდიტორიისათვის უცნობმა პოეტმა, გარდაცვლილ ანატოლ ფრანსის ადგილი დაიკავა უკვდავთა შორის საფრანგეთის აკადემიაში 1924 წელს (და სადაც მოხვედრა პროტექციონიზმით გალაღებული რომელიმე უეციისა — შეპერაზადას ზლაპარი იქნებოდა!); აღამიანისა, რომელიც გენიის ერთ-ერთ თვისებად უჩინარად ყოფნას შიიჩნევდა და რომელიც ფრანგული ლიტერატურული საზოგადოების უცთომელი გემოვნების წყალობით მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ პოეტად იქნა აღიარებული. პოლ ვალერის, ამ პრინციპული ტრადიციონალისტის („არაფერი ისე ადრე არ ბერდება, როგორც სიახლე!“) ლიტერატურული ბედი მრავალმხრივ თვალსაჩინოა: იგი გეარწმუნებს, რომ მხოლოდ გამოთქმის აბსოლუტური, თითქმის განუყოფელი სრულყოფილობა და აზრის ფილოსოფიური სიღრმე წარმოადგენენ ჭეშმარიტი უკვდავების გაუზუნარ გარანტს.

პოლ ვალერის საფლავის სიმეტრიულად გამოკვეთილ ლოდს ცოტა ქვემოთ აქვს წარწერა მისი ლექსის „ზღვის სასაფლაოს“ პირველი სექსტინის ბოლო ორი ტაეპის სახით.

O récompense après une pensée  
Qu'un long regard sur le calme des dieux!

ფრანგულ სიტყვებს გიდი გვითარგმნის რუსულად, ხოლო ისინი ქართულად დაახლოებით ასე უდერს:

ო, რა შეედრება იმ ჭილოს, ვიდრე დაფიქრებათა  
შემდეგ მკრთალე ღმერთების მყუდროებას!

როცა გიღმა დაამთავრა წარწერის ზეპირი თარგმნა, უმაღლესი ირგვლივ ღრმა დუმილმა დაისადგურა. ყველამ (პოეზიის მცოდნემ თუ არმცოდნემ) ინსტინქტურად მაინც იგრძნო, რომ თვითონ წარწერის ზიტყვებმა ერთბაშად დაამყარეს ეს ჰემმარიტად ღვთაებრივი მყუდროება. პირველად ჩემს ცხოვრებაში განვიცადე ის დაყოვნებული წამი, რაზედაც გოეთეს ფაუსტი ოცნებობდა. განცდა ისეთი ძლიერი იყო, რომ შეუძლებელია საკუთარი გულსიცემა არ გაგეგონათ.

დაუვიწყარია პოლ ვალერის საფლავის ლოდის ორტაეპიანი წარწერა, რომლითაც მარადისობას ეხმაურება გენიალური პოეტის მაღალი ინტელექტი და მისი მართლაცდა ხმელთაშუა ზღვასავით ვრცელი ნიჭიერება.

არც ნოტრ-დამში ბახის მუსიკის თანხლებით მოსმენილ ლიტურგიას, არც ლეონარდო და ვინჩის სულის წამლებ „ჯიოკონდას“ ხილვას არ გაუნელებია ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც პოლ ვალერის საფლავის ნახვამ მოახდინა ამ სტრიქონების ავტორზე. და რადგან სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ვაცნობო მკითხველს, რომ მონა ლიზას პორტრეტის შემქმნელზე დაწერილი ყველაზე გენიალური ესსეც პოლ ვალერის კალამს ეკუთვნის („ლეონარდო და ვინჩის სისტემის შესავალი“. 1896).

ქ. სეტი (საფრანგეთი). 18.X.70.



ՅՄԿՆԵՆԻՍԵՆՅԱ  
✦  
ՅՄՅՄԵՆՅԵՆ



## საკაკი შანიძე

„გეორგ ფონ გაბელუნცმა თქვა: „ენით ადამიანი არა მარტო გამოთქვამს რასმე, მით იგი თავის თავსაც გამოთქვამს“.

(ე. ვანდრიესი. ენა. 1937. გვ. 135)

ქერაა. სალუქი პირისკანი აქვს. აბრეშუმივით ლბილი თმა და ლიბილით მოკიაფე თვალები ამშვენებენ.

ეს პირველი შთაბეჭდილებაა.

მაგრამ მისთვის არც ფაჩული იზონიაა უცხო, რასაც მუდამ დროულად უდებს საზღვარს. საერთოდ კი ეს შესანიშნავი მეცნიერი ნამდვილი ჭეჭტლმენია, დიდი ტაქტის მქონე და უაღრესად სერიოზული.

წლების სიმძინე ოდნავადაც არ დასტყობია აკაკი შანიძის გონებას — თვითეული მისი ნაშრომი რაიმე ახლის აღმოჩენის დაღითაა აღბეჭდილი.

ვეებერთელა მეცნიერულ მემკვიდრეობას უტოვებს იგი ქართველ ხალხს. ამიტომ აკაკი შანიძე ამ ხალხის კულტურის დიდი რგოლია და არა მარტოოდენ მისი რომელიმე დარგს ბრწყინვალე წარმომადგენელი. არიან სახელები, რომელთა მოღვაწეობა ბოლოს და ბოლოს სცილდება ცალკეული დისციპლინების ფარგლებს. ამ ბედნიერ სახელთა რიცხვს ეკუთვნის აკაკი შანიძეც.

სრულიად არაა მიამიტი და ჩინებულად ესმის, თუ რარიგ მადლიერია მისით ჩვენი ქვეყანა: აკაკი შანიძის მაღალი რანგის პრინციპულობით აღსავსე მეცნიერული მუშაობა ინტელექტუალური გამძლეობისა და გმირობის მისაბამ მაგალითად დაჩეხება სამუდამოდ.

ყოველთვის ფიქრობ: ამ კაცში მგონი შეუცდომლობა ენითა ატეხილი დემონი ზის და იგი მარადყამ და ჭიუტად ჩასჩურჩულებს მას ყოველი წვრილმანისადმი ფანატიკურ ერთგულებას. ამა თუ იმ გამოკვლევაში სრულიად უნებლიეთ გაპარული კორექტურული შეცდომაც კი, ალბათ, გულის სიღრმემდე შესძრავს ხოლმე. და ამ ჰკვირან კაცს ერთი წამითაც არ უნდა დაიჭეროს, რომ ყველაფერი, რაც ადამიანის ხელიდან გამოდის, შეიძლება რაიმე, თუნდაც სულ მცი-



რეოდენ ნაკლს შეიცავდეს. ასეთად დაუბადებია იგი ბუნებას. და ჩვენ ბევრი მოვიგეთ აკაკი შანიძის დემონის დაუცხრომელი კარნახის წყალობით.

ენათმეცნიერება. პოეტრიკასთან ერთად, შეიძლება ითქვას, ერთგვარად „არისტოკრატიული“ დარგია ჰუმანიტარულ დარგთა შორის. იგი მოითხოვს არაჩვეულებრივ სიფაქიზეს, უეჭველ ნიჭიერებას, შინაგან სისპეტაკესა და სიმკაცრეს, გოეთესაც კი ეშინოდა მისი.

აკაკი შანიძე, რა თქმა უნდა, უწინააღმდეგარად ქართული ლინგვისტიკის მამამთავარია, მაგრამ ამასთან მისი ინტერესების მასშტაბი ძალზე ფართოა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა პირველხარისხოვანი პუბლიკაციები. გონებამახვილური რუსთველოლოგიური შტუდიები, შეუღარებელი ფოლკლორისტული გამოკვლევანი (მარტო მისი „ხევსურული პოეზიის“ I ტომის გამოცემა რად ღირს, — ეს წიგნი ხომ კლასიკური ნიმუშია ამ სფეროში ჩატარებული მუშაობისა!), დიალექტოლოგიური და ეტიმოლოგიური ძიებანი და მრავალი სხვა. — აი აკაკი შანიძის „განძთა სალარო“, რომელმაც დიდი ხანია უმაღლესი შეფასება დაიმსახურა ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთ.

უფლებას არ ვაძლევ ჩემს თავს დაწვრილებით ვიმსჯელო მის შესახებ. და თუ კალმის ხელში ალება გავბედე, მხოლოდ ერთი სურვილის გამო: ჩემი ღრმა მოკრძალება და სიყვარული შევეუერთო მისდამი საერთო მადლიერების გრძნობას. და კიდევ იმის გამო, რომ აკაკი შანიძე თვითონ ავრცელებს ირგვლივ საერთო სიყვარულს, თვითონაა გულუხვი ამ ფასდაუდებელი გრძნობის გამომხატვისას. მას სრული უფლება აქვს გაიმეოროს დიდი სულხან-საბას უკვდავი სიტყვები: „მე მოვალე ვარ საქართველოსათვისო“. აკაკი შანიძისაგან დავალებულნი კი სამაგიეროს მივუზღავთ მას. ესაა და ეს.

აკაკი შანიძე ამალგებულა ყოველგვარ სიმპათია-ანტიპათიაზე. ამ ტერმინებს დიდი ხანია დაკარგული აქვთ მნიშვნელობა მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის მისამართით. აკაკი შანიძე ქართველი ხალხის საამაყო შვილია, ამ ხალხის შუბლის დამამშვენებელი დიადემის ერთერთი საუკეთესო მეჩუქურთმე. და ყველას, ვინც მეტნაკლებადაა ზიარებული ჩვენი ერის კულტურას, ერთი სურვილი აქვს: კიდევ დიდხანს მუშაობდეს აკაკი შანიძის მარჯვენა დიადემისათვის ახალ თვალთა პატიოსანთა შესამატებლად.

არავითარი აფექტაცია, არც ერთი მყვირალა ფრაზა, არავითარი ზაზგანა საკუთარი პიროვნებისა, არავითარი პოზა, არავითარი სურვილი ან განზრახვაც კი რაიმე როლის თამაშისა, — ასეთია უმაღლესი ადამიანური და საშურველი თვისებები აკაკი შანიძისა.

დიადი რამ ხანგრძლივი, დამქანცველი და კატორღული მუშაობის ნიადაგზე იქმნება. უამისოდ ყველაფერი დროული და სწრაფ-

წარმავალია. და ჩვენში იშვიათია შემოქმედი, რომელიც აკაკი შანიძესავით დაძაბულად მუშაობდეს თავის მყუდროებაში.

რასაკვირველია, ამ მყუდროებამ იცის შინაგანი მღელვარებანი, აღმოჩენათა და მიგნებათა სიხარული, მოცდის პათოსი, რომელიც სასწრაფოდ ასანაზღაურებელ მონეტას არ უთვალთვალვებს (გაიხსენეთ აკად. ი. კრაჩკოვსკის შესანიშნავი წიგნი „არაბულ ხელნაწერებზე“, სადაც ანალოგიური განცდების მთელი გაპაა გადმოცემული). დრო ხომ უღმობელი მსაჯულია და მასთან უცდომელი დამფასებელიც! ვისთვის, მაგრამ აკაკი შანიძეს ეს ჩვენზე უკეთ მოეხსენება თავისსავე მაგალითზე.

ნამდვილი ძალა არ ყვორის, იგი შეუმჩნევლად მოიპარება ხოლმე. უდაბნოს ნამდვილი მბრძანებელია ოაზისის ლერწმებში დამალული იაგუარი ან ავაზა და არა შორიდან ზანზალაკების ხმაურით მომავალი აქლემი. ამიტომაც იაგუარის ნახტომი ეგზომ საბედისწერო ქარაუნისათვისო, — წერდა ერთი მწერალი.

აკაკი შანიძის თვითული ახალი ნაშრომი ამ უხმაურო, მაგრამ ზუსტად გამოზომილ ნახტომს მიაგავს. და ქარავანი იძულებულია სახტად დაჩენილი შედგეს ან უკან დაიხიოს: მასთან შებრძოლება სრულიად ამაოა.

ეგრძე ცხოვრებაში კი მას ხავერდის სიბრლე ახასიათებს. „ა. შანიძე დიდი ადამიანური თვისებებით არის დაჯილდოებული. უალრესად თავმდაბალი, გულისხმიერი, მოყვარული, ამავე დროს — პირდაპირი, უკომპრომისო, მომთხოვნი, მაღალპრინციპული, — ასეთია ჩვენი ღრმად პატივცემული აკაკი, „ქართული ენათმეცნიერების ბელადი“..., როგორც მას ერთმა სახელგანთქმულმა ენათმეცნიერმა უწოდა. არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს მისი მხიარული ბუნება: იგი ხალსიანია, ჭანსალი ჰუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ჩინებული თანამოსაუბრე, კარგი მომლხენი და ოპტიმისტური გუნება-განწყობილების ადამიანი. ა. შანიძე მთლიანი პიროვნებაა და ამიტომაც იგი მომხიბლავი და ყველასათვის საყვარელი“ (მ. ძიძიგური, „აკაკი შანიძე“, თბ., 1963, გვ. 92). ამ სიტყვების ავტორს ისიც აქვს აღნიშნული, რომ აკაკი შანიძემ ყველაზე უკეთ გაართვა თავი ქართული ენის, ეგრძოდ, მისი ძალზე თავისებური ზმნის ურთულეს „ხლართს“. და ამ სიტყვამ მომაგონა შემდეგი მითი.

ბერძენთა გმირმა, ეგეოსის შვილმა თეზევსმა, რომელიც აფროდიტეს შეგონებით შეუყვარდა კრიტოსის მეფის ასულ არიადნას, ამ უკანასკნელისაგან მიიღო ძაჯის მორგვი, დაამაგრა მისი ერთი ბოლო მინოსის ურჩხულის, კაციკამია მინოტავრის (ხარის) სამყოფელის ანუ ლაბირინთის შესავალთან, შეაღწია შიგ. მოკლა მინოტავრი და შემდეგ ვშვიდობიანად დააღწია თავი ლაბირინთს.

ქართული ზმნის დახლართულ ლაბირინთში, სადაც ურჩხული არა, მაგრამ წყვილიანი იყო გამეფებული, აკაკი შანიძემ, ბერძენთა ანთიური გმირივით, თავისი იშვიათი ანალიტური ნიჭიერებითა და ძლიერი გონების „ძაფით“ თამამად შეაღწია და იქედან გამარჯვებული დაბრუნდა.

მეტიც: აკაკი შანიძემ ნათელი გახადა თითქმის ყოველი კუნჭული ამ ლაბირინთისა.

და ამჟამად, 80 წლის აკაკი შანიძე, ავტორი ისტორიული გმირობისა ქართულ ენათმეცნიერებაში, მისთვის ჩვეული სისადავით მოხილი დგას ჩვენს წინაშე.

1967

### გიორგი ჩუბინაშვილი

ფრესკები ხუნდებიან. მიწისძვრამ ერთხელ სვეტიცხოვლის გუმბათი დაანგრია, ისედაც არაერთხელ გადაუკეთებიათ იგი. პოლიტიკურ კატაკლიზმების შედეგად, ათასეული წლებს შემდეგ, ათენის პართენონი ამჟამად აღარ გამოიყურება პირვანდელი ბრწყინვალეობით. მისი განთქმული პროპილევები შებლაღული, დამსხვრეული ან ნაწილობრივ გატაცებულია და სხვა ქვეყნების მუზეუმებში მოთავსებული. ათაბაგთა ჩამომავალმა და გათურქებულმა ფაშამ ნანგრევებად აქცია ბაგრატის ტაძარი. ვეზუვიდან ამოფრქვეულმა ცეცხლის ნიაღვარმა იმსხვერპლა პომპეი, რაზედაც ასე კარგად მოგვითხრობს პლინიუს მცირე...

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ოდესმე მთლად გახუნდება „ჯიოკონდა“. მას ალბათ ისეთივე ბედი ეწევა, როგორც წილად ზედა მილანის სანტა მარიას ეკლესიის კედელზე ოდესღაც არსებულ „საიდუმლო სერობას“.

დასაიმედებელი მხოლოდ ისაა, რომ წიგნებში მაინც იცოცხლებენ ხელოვნების შედეგები, დროს ან სხვა მიზეზებს რომ შეუბრალებლად შეუმუსრავს. მოვიგონოთ თუნდაც იტალოური ხელოვნების არაერთი ძეგლის ისტორია, ბევრ მათგანზე ჩვენ მხოლოდ ვაზარის აღწერილობითა ან ვიტრუვიუსის ტრაქტატის მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა.

ერთი სიტყვით, დრო ოდესმე შინც გააპარტახებს მეფეთა ჯერ კიდევ გადაარჩენილ ციხე-დარბაზებს, ტაძართა ბოძებს, მათს გუმბათებს, ახსილებსა თუ კონქებს. როცა ჩონჩხებად ქცეული მონუმენტურია ხუროთმოძღვრული ძეგლების პროპორციები მათზე დაწერილ შრომებში დარჩებიან და მკითხველებს საშუალება მიეცემათ ამ ძეგლების მთლიანი სახის თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენისა (ყოვლის შემზუსტრელი დემონის დამცინავი და თითქოს უხილავი ღიმილის განცდასთან ერთად) — გამოჩენილ ხელოვნებისმცოდნეთა თხრობა, ძეგლების გრაფიკული რეკონსტრუქციები, აზომვები და სურათები, არქიტექტურულ-სკულპტურულ და ფერწერულ ქმნილებათა ანალიზი და ისტორიული ექსკურსი ბოლოს და ბოლოს აიძულებს მსხვერვის დემონს — სამუდამოდ დაკეცოს თავისი ფრთები. თანაც, თუ ციხე-დარბაზების პომპეზურ ცერემონიათა თუ გაუქმებულ ტაძრებში ოდესღაც მიმდინარე ლიტურგიებისა ან სხვადასხვა მადონების რეალურ მოდელთა აღდგენა და გაცოცხლება შეუძლებელია და ისინი მკითხველთა და მხირალთა ილუზორულ სფეროებს აქვთ დათმობილი სამუდამოდ, სამაგიეროდ არსებითი ღირსებანი ხელოვნების შედევრებისა მუდამ შეინარჩუნებენ ესთეტიკური ტკობის დიდ ნაწილს სწორედ გამოჩენილ ხელოვნებათმცოდნეთა წყალობით.

ასეა — დრო ყველაფერ ხელშესახებსა და მატერიალურს ნთქავს და მხოლოდ ბრწყინვალედ დაწერილის წინაშე ამჟღავნებს იგი თავის უმწეობას.

დავით გარეჯის ლავრის შესანიშნავი გამოქვაბულების დიდი ნაწილი ნანგრევებადაა ქცეული. შადა ეზოში ვეება ლოდები ჰყრია მიწაზე, ოდესღაც ისინი ამ საკვირველ მამათა საყანის ფრესკებით დაშვენებულ კედლებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ არასოდეს არაფერი შეარყევს გიორგი ჩუბინაშვილის განთქმულ მონოგრაფიას დასახლებულ გამოქვაბულებზე (1948), წიგნა. რომელიც ასე ბევრს ეუბნება მკითხველს თვითონ გადმოცემის ლიტერატურული მანერის მხრივაც. და ამ წიგნს მრავალი თაობა დაეწაფება მომავალში. ისევე, როგორც სოფლიდან ლტოლვილნი ეწაფებოდნენ „დავითის ცრემლებს“, კლდის წყაროს, სადაც ახლაც რიტმულად წვეთავს ანკარა წყალი ლავრის ერთ-ერთი გამოქვაბულის ქვის ბუნებრივი სახურავიდან.

გენიალური მცხეთის ჯვარის მონასტერი ისევე სდუმს, როგორც მისი ტიპის სხვა ძეგლები — ატენი და მარტვილის მონასტერი. გიორგი ჩუბინაშვილმა მათ ორტომიანი ნაშრომი მიუძღვნა 1948 წელს. აღნიშნული ძეგლები ახლაც აოცებენ მნახველთ თავიანთი გარეგანო ჩუქურთმებითა და იშვიათი ინტერიერებით, ხოლო ორი უკანასკნელი — მდიდარი ფრესკებითა და წარწერებით. თვითეული მათგანის

მხატვრული ღირსებანი და მნიშვნელობა ქართული და მსოფლიო ხუროთმოძღვრების ისტორიაში გიორგი ჩუბინაშვილის წყალობითაა ცნობილი.

და თუ, მაგალითად, მარტვილს წინათ არსებული დიდი ზარების გუგუნი შორს გაისმოდა, ამიერიდან ჩვენი გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნის თხზულების მეშვეობით სამივე ძეგლი ძალიან შორეულ ექოს გამოსცემს.

მხოლოდ კოლოსალურ ცოდნასა და თითქმის არაადამიანურ სისტემატურ შრომას შეეძლო ეჩუქებინა ქართული მეცნიერებისათვის გიორგი ჩუბინაშვილის უზარმაზარი ორტომიანი „კახეთის არქიტექტურა“ (1956), რომელშიაც ვრცელი სურათთა გადაშლილი ამ კუთხის უმდიდრესი ხუროთმოძღვრული ძეგლებს ისტორიისა მათი ყოველმხრივი ანალიზით. „კახეთის არქიტექტურა“ მეცნიერული გმირობის უმაღლესი მაგალითია მთელს ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში.

როგორ გვეადვილება ამჟამად თვალის გადევნება კახეთის არქიტექტურის ევოლუციისა ძველი შუამთიდან მოყოლებული ალავერდის სილიადემდე (და მას შემდგომაც)! და როგორ ჯაფად დაუჯდა მკითხველის აღქმის ეს სიადვილე თვითონ ნაშრომის ავტორს!

ქართული ოქრომჭედლობის უძვირფასეს ნიმუშებს ამიერიდან ვერაფერს ნახავთ იმ საკულტო ნაგებობებში, სადაც ისინი თავის დროზე ესვენათ. ამ ხატებს აღარ ანათებს სანთლების შუქი და მხოლოდ მუხეუმებში სძინავთ მათ.

სამაგიეროდ მათ არ სძინავთ გიორგი ჩუბინაშვილის სრულიად უნიკალურ, ორტომიან „ქართულ ოქრომჭედლობასა“ და ვეება აღბოშში. თუ წინათ ლალი და ამეთვისტო ბრწყინავდნენ ამ ხატების მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან წმინდათა ნიშნების ირგვლივ და მათს ოქროვან სამოსელებზე, ამიერიდან მათ გიორგი ჩუბინაშვილის ანალიზის სფეროში გადაინაცვლეს ადგილი: საკულტო მნიშვნელობა დაჰკარგეს, მაგრამ შეიძინეს ისტორიულ-ესთეტიკური ფუნქციები და ისიც არა ლოკალური სივრცით — მკვლევარის ნიჭმა ვრცელი მასშტაბით დაამშვენა ისინი გაუზუნარი ნიშნით.

აზებდითობისას გადაუტეხიათ მარტვილის ჩინებული გამოსასვენებელი ჯვარი, რომელზედაც იშვიათი ოსტატობითაა გამოყვანილი ჯვარცმულის სკულპტურული გამოსახულება. ამ ჯვარის საყოველთაოდ ცნობილი ისტორიულ-სტილისტური ანალიზი აგრეთვე გიორგი ჩუბინაშვილის კალამს ეკუთვნის.

ჯვარი კი ხელყოფილია.

დე, ნუ შესრულდება მესსა ამ ჯვრის წინაშე. გ. ჩუბინაშვილის მეცნიერული Missa solennis სავსებით კმარა.

ზემთ თქმულიდან ის მაინც უნდა ჩანდეს, რომ შესანიშნავი

თვისება გიორგი ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვანი შრომებისა იმაში-  
აც მდგომარეობს, რომ მართლაც სკრუპულოზურ სიზუსტესთან და-  
ვრცელი ფაქტობრივი მასალის (ისტორიულის, ეპიგრაფიკულის და სხვა)  
ანალიზთან ერთად, მათში დავიწყებული არაა მხატვრულ-სტილური  
ასპექტი, მხატვრული ძეგლების კვლევისას ეპოქის ფონისა და, რაც  
ნათვარია, თვითონ ეპოქის საერთო სულისა და სამყაროსადმი ხელო-  
ვანთა ინდივიდუალური დამოკიდებულების გათვალისწინებით. ეს მო-  
მენტი ხაზგასასმელია. ამიტომ, გიორგი ჩუბინაშვილს სრული უფლე-  
ბა აქვს თქვას იგივე, რასაც ჰაინრიხ ვიოლფლინი აზრობს: „მე არა-  
სოდეს მომსვლია თავში ფიქრად — ხელოვნების ისტორია დამეყვანა  
ფორმათა ჰერეტამდე, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ აუცილებელია  
ვეცადოთ გავიაზროთ ზოგადი ფორმა გარკვეული ეპოქის [მხატვრულ-  
ლი] ხილვისა, რადგან ასეთი გააზრების გარეშე მხატვრული ნაწარ-  
მოების სწორი შეფასება არასოდეს არაა შესაძლებელი. უამისოდ ყვე-  
ლაფერი დაემსგავსებოდა სიბნელეში ბოჩიალს. მაგალითები — რაჟ-  
დენიც გნებავთ“ („ხელოვნებათა ისტორიის ძირითადი ცნებები“, მე-4  
და მე-5 გამოც. შესავლიდან).

სხვათა შორის ვიოლფლინის სიტყვები ლიტერატურის ისტორიაზე-  
დაც შეიძლება გავავრცელოთ. და აქაც — „მაგალითები — რამდენიც  
გნებავთ!“

\* \* \*

გიორგი ჩუბინაშვილი მუსიკის მცოდნეა და პრაქტიკულადაც  
ფლობს ამ სფეროს. ამიტომ შემთხვევითად არ მიგვაჩნია ის ფაქტი,  
რომ მის ნაშრომებში ხშირად გვეხვები ერთგვარი „მუსიკალური პასა-  
ჟებიც“. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მისი „ბოლნისი“. სხვა  
რომ არაფერი დაეწერა გიორგი ჩუბინაშვილს, მისი პრესტიჟი,  
როგორც პირველხარისხოვანი ხელოვნებათმცოდნისა, ამითაც საშუ-  
ღამოდ გარანტირებული იქნებოდა.

ჩვენ თავს უფლებას არ ვაძლევთ ვრცლად და კომპეტენტურადაც  
ვიმსჯელოთ გიორგი ჩუბინაშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე. ეს  
ამოცანა სათანადო დარგის სპეციალისტების საქმეა. ვახტანგ ბერიძის  
მიერ სიყვარულით და თანაც სრული ობიექტურობით დაწერილ წიგ-  
ნიდან („გიორგი ჩუბინაშვილი“, 1968) ყველას შეუძლია გაითვალის-  
წინოს ჩვენი სასიკაძულო თანამემამულის ფასდაუდებელი სამსახუ-  
რი, გაწეული ქართული კულტურისათვის.

მაინც, ჩვენი მხრით, ერთი მომენტის აღნიშვნა აუცილებლად მი-  
გვაჩნია.

რამდენჯერმე გვქონდა შემთხვევა (ბეჭდურად) გიორგი ჩუბინა-  
შვილის გარეგნობა შეგვედარებინა ქართული ტაძრების ფრესკებიდან  
გამომზიარალი მოციქულებისათვის.

იგი ულამაზესი კაცია თავის 85 წლის ასაკშიაც.

თავიდანვე ოდნავ მხრებში მოხრილი, იგი გარეგნულად მყუდრო ადამიანი ჩანს. სახის ფაქიზი ნაკვთები აქვს, რომელთაც საშურველი პროპორციით შემკული წვერ-ულვაში და თხელი თმა ამკობენ. ყოველივე ეს ძალზე შთამაგონებელია.

საგანგებოდ არა, მაგრამ მუდამ ფაქიზადაა ჩაცმული, რაც ასე კარგად ეხამება მის ინტელექტუალურ სიწმინდეს. და ესეც შემთხვევითი როდია.

გიორგი ჩუბინაშვილი თვითონაა მონუმენტი, რომლის აღნაგობისა და სახის პლასტიკურ პროპორციებს (ასე რომ იზიდავს ჩვენს მხატვრებს!) დროის მსახვრალი ხელი საგრძნობლად არ შეჰხებია. და ეს მონუმენტი მისთვის შესაფერ ზნეობრივ ფუნდამენტზე დგას, რის გარეშე მისი ბრწყინვალე შრომებიც კი ფასს დაჰკარგავდნენ.

და როცა გიორგი ჩუბინაშვილი ქუჩაში მიაბიჯებს, შეუძლებელია არ შედგეთ და თვალი არ გააყოლოთ.

გიორგი ჩუბინაშვილი დიდი ინტელიგენტი და დიდი ქართველია. ამიტომ იწვევს იგი ყველას მხრით ღრმა პატივისცემას, მოწიწების გრძნობას და გულწრფელ სურვილს: კიდევ დიდხანს, დიდხანს შეენარჩუნებინოს მონუმენტს მის მაცქერალზე შთამაგონებელი შთაბეჭდილების მოხდენის ყველა თვისება, რომლებითაც იგი ასე უხვად დაუჩაიღოებია ბუნებას.

18. II. 70.

## სიმონ ჯანაშია

(მოგონებათა რამდენიმე ფურცელი)

მალალი იყო. მოთეთრო და ფაქიზნაკვთებიანი პირისკანი ჰქონდა. ხშირი წარბებიდან დაკვირვებით გამომზირალი მისი თვალები არასოდეს აკრთობდნენ თანამოსაუბრეს. ამ თავდაპირველ და ჰეშმარიტ ელევანტს, სისადავე რომ არ აკლდა, იმავე დროს შეეძლო ერთგვარად დასტანცია დაეცვა ყველასთან და ეს თანდაყოლილი თვისება ოდნავადაც არაფერს აკლებდა მისდამი სიმპათიას, ნაცნობსა და უცნობში რომ იწვევდა იგი. სიარულსა და მიმოხრაშიაც ეტყობოდა, რომ ჩინებულად აღზრდილი გახლდათ, ისედაც ცნობილი იყო, შესანიშნავი ოჯახური ტრადიციები მოსდგამდა. სიმონ ჯანაშიას დინჯი და საზღ-

ვარმიჩენილი თავშეკავება, რაც ასე ხელს უწყობდა სიხარული თუ გაჯავრება (ავრეთვე სიძულელი ან სიყვარული) თვალსაჩინოდ არ გამოეხატა, ახალგაჯანმრთლებულ კი მისდამი შინაგანი პატივისცემის გრძნობას აღძრავდა... ჩვენ იშვიათად გვინახავს ემოციის სფეროში ეგზომ დისციპლინირებული ადამიანი.

ამგვარი თვისებებით იყო აღჭურვილი საქართველოს აკადემიის ნაწიელი ვიცე-პრეზიდენტი, კეთილშობილი რაინდი და ყოველმხრივ ლამაზი...

სიმონ ჯანაშია პირველხარისხოვანი მეცნიერი იყო და ეს აზრი სპეციალისტების წრეში ერთხმად აღიარებული. ჩვენ უფლება არა გვაქვს მის ისტორიულ შრომებზე ვიმსჯელოთ. კომპეტენტური დამფასებლები სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო მემკვიდრეობას არასოდეს მოაკლდებიან. ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით მის ლიტერატურულ-ისტორიულ ძიებათა გამო.

\* \* \*

სიმონ ჯანაშიას მაგალითზე კარგად ჩანს უსაფუძვლობა ფლობერის პარადოქსისა „წიგნი ყველაფერია, ავტორი არაფერია“. ყოველ შემთხვევაში ფრანგი რომანისტის ამ ფორმულის აბსულუტიზაცია ნაადრავს მოკლებულია.

სიმონ ჯანაშიას პიროვნება ამშვენებდა მის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. უწინარეს ყოვლისა იგი შესანიშნავი ქართველი იყო, რომლისთვისაც მშობლიური კულტურის თითქმის ყველა სფერო ღრმა და უშუალო დაინტერესების საგანს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ხალხის ისტორიულ ფასეულობათა ხელყოფის ყოველგვარი გამოვლინება მის მხრივ აკადემიური, მაგრამ მასთან მობაკდინებელი კონტრშეტევის მიზეზი ხდებოდა.

ყველასათვის ცნობილია ის ფაქტები, რომელთაც ჩვენ ვგულისხმობთ. სიმონ ჯანაშია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის სადარაჯოზე იდგა. და ამ ფაქტს კაცს, გულის ტყვიის რომ უჩიოდა, ოქროს კალამი ეპყრა ხელთ და იმით იგერიებდა სამშობლოს მტრებს. და დიდ, მაგრამ სწეულ გულს რომ არ ეღალატნა მისთვის, ასე ადრე არ წაიქცეოდა დამცველი ქონგურების მისადგომებთან...

ამიტომაც სიმონ ჯანაშიას ნაადრევი გარდაცვალება ნამდვილად უბედურება აღმოჩნდა ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით.

ნარტოოდენ რისამე საუკეთესო სპეციალისტიც რომ იყო — არ კმარა. ზოგიერთი მზაკვრისა და მუხანათისათვის უმაღლესი ტიტულებიც კი ამაოა.

ცოდნა შეიძინება. სიმონ ჯანაშიას ხასიათის სიღიაღე კი — ბუნებაში უნდა გაჩქქოს.



\*

ყველას ფასი ზედმიწევნით იცოდდა, თუმცა ზოგჯერ ზედმეტ ნდობასაც უცხადებდა სხვის ნიქსა და შესაძლებლობებს. და თუ ვინმე მის იქედებს არ გაამართლებდა, მაინც მომთმენი რჩებოდა. მხოლოდ სულმდაბალი შეიძლება ყოფილიყო მისით უმადური.

ადამიანური უმადურობის მაგალითებს კი სიმონ ჯანაშია, რასაკვირველია, კარგად იცნობდა. ჩვენ თვითონ მოწმე ვყოფილვართ მისდამი უმადურობის შემთხვევისა, როცა მის მიერ ნალოლიავეები ერთი პიროვნებისაგან მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. მაგრამ სიმონ ჯანაშიამ შეინარჩუნა ის მაღალი სულგრძელობა, რომელიც უფრო მკაცრია თავისი ბუნებით, ვიდრე სამაგიეროს მიზღვა. სიმონ ჯანაშიამ მხოლოდ მოკლე და ძუნწი რეპლიკით განსაზღვრა ხასიათი ჩვენს მიერ ნაგულსხმევი უმადურობისა, რეპლიკით, რომელიც მარტო-ოღონე ზ ი ზ ლ ს გამოხატავდა. და უმალვე დაუსვა ფრაზას წერტილი და შერიგების ყოველგვარი ცდა რადიკალურად აღკვეთა.

სიმონ ჯანაშია სულიერი არისტოკრატიზმით იყო აღჭურვილი და ზაზღის მხოლოდ წამიერი გამჟღავნება ამგვარ ადამიანთა თვისებაა.

\*

1938 წელს მზადდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების აკადემიური გამოცემა. რედაქციამ სიმონ ჯანაშიას სთხოვა დაეწერა ნარკვევი ჩვენი დიდი ლირიკოსის წინაპართა გენეალოგიაზე.

სიმონ ჯანაშიამ თავის დროზე ჩააბარა რედაქციას ნაშრომი, რომლის სათაურია „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“. ეს ნარკვევი დაბეჭდა პოეტის თხზულებათა 1939 წლის გამოცემაში.

წყაროების ღრმა ცოდნა (რაც, ცხადია, ავტორისაგან მოულოდნელი არ იყო). იშვიათ ლინგვისტურ კულტურასთან შეხამებით, სიმონ ჯანაშიას მცირე მოცულობის გამოკვლევას კლასიკური სრულყოფილების ხასიათს ანიჭებს — ფაქტების ანალიზი მასში ბრილიანტის ელვარებით ბრწყინავს.

აღნიშნულ პრობლემაზე ამიერიდან უკეთესის დაწერა — წარმოუდგენელია.

\*

სიმონ ჯანაშიამ სოლიდური მონოგრაფია უძღვნა გიორგი შარვაშიძეს. ამ წიგნის მეშვეობით გაეცნო მკითხველი აფხაზთა მთავრების უკანასკნელი ნიქიერი ჩამომავლის პოეტურ მემკვიდრეობას, კერძოდ, გულის შემძვრელ „ვარადა“-ს.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე გიორგი შარვაშიძის რამდენიმე კარგად დაწერილი რუსული ლექსი.

შემდეგ სიმონ ჭანაშია მოთავე იყო გიორგი შარვაშიძის იუბილესი აფხაზეთში. მაშინ სიმონ ჭანაშიამ თბილისიდან სოხუმში დელეგაციის წევრებად წაიყვანა შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე და ამ. სტრეჩონების ავტორი.

საზეიმო სხდომა ქალაქის თეატრში გაიმართა.

ყველანი მოწმენი ვიყავით, თუ რაოდენ დიდი სიყვარულით იყო გარემოცული სიმონ ჭანაშია აფხაზი ხალხის მიერ. დელეგაციის მეთაური ლენოვს არ სვამდა და ლენო უხვად ისმებოდა გამორჩენილი მეცნიერის მისამართით.

იგივე განმეორდა მოქვეში, სადაც პოეტის საფლავი ვინახულეთ. როცა მოქვის ახლო მდებარე სოფლების გლეხობამ თბილისიდან იქ ჩასული დელეგაცია მიიპატიჟა ნადიმზე. დაოპონებისას ყველაფერი დაემსგავსა მისტერიას, რომლის მთავარი გმირი სიმონ ჭანაშია აღმოჩნდა. თუმცა იგი დინჯად იჯდა სუფრასთან და ბახუსის სიხარულს არ განუცდია.

თბილისში ერთხელ ჩამოვიდა ცნობილი რუსი ისტორიკოსი ევგენი ტარლე, რომელიც მაშინ თავის ვრცელ „ყიპჩინის ომზე“ მუშაობდა.

ჩვენ მაშინ ვმსახურობდით ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილებაში სიმონ ყაუხჩიშვილთან. სიმონ ჭანაშიამ თავის კობინეტში, მესამე სართულზე მიხმო. მას ტარლესათვის ურჩევია — ყიპჩინის ომში დაღისტენელთა პოზიციის შესახებ მასალებს ჩვენი ერთი თანამშრომელი გაგაცნობთ. ე. ტარლეს ჩვენ შეძლებისამებრ დავებმარეთ კიდევ.

ე. ტარლე პროპორციულად ჩასუქებული, ძალიან მაღალი კაცია იყო, არაჩვეულებრივად სადა, თანაც ფრანგულ ეპარის დიდი ოსტატი (როცა იცინოდა, მთელი მისი ტანი ზანზაზებდა თითქოს, სქელი ქუთუთოები მთლად უვიწროვდებოდა). ე. ტარლე ამატლებდა საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებას, რომ დიდი ცოდნა და ნიჭიერება ბრწყინვალეების გარეშე არ არსებობს. ე. ტარლე. მსოფლიო რეპუტაციის ისტორიკოსი, ამასთან შესანიშნავი სტილისტი და ნამდვილი ოქროპირი იყო.

მაგრამ გასაოცარი ის გახლდათ. რომ ვეება ერთდრტი ტარლე, ისიც ნამდვილი ელეგანცია აზბიტერ. სიმონ ჭანაშიასთან საუბრისას

ბევრს ჰკარგავდა ხასიათის სიდიადისა და ისტორიული პროცესების შორეული ძირების წვდომის თვალსაზრისით. და ამას სიმონ ჯანაშია აღწევდა თავის თავზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ე. ტარლედი დიდი გულსყურით უსმენდა ხოლმე მას.

სიმონ ჯანაშია ის ქართველი ინტელიგენტი იყო, რომელიც უმაღლესი ინტელექტუალური ელიტის გარემოცვაშიაც შინაურად გრძნობდა თავს და ყველას თავისადმი გულწრფელი პატივისცემით განმსჭვალავდა. რასაკვირველია, სიმონ ჯანაშია ისე წავიდა ჩვენგან, რომ თავისი ცოდნის ნახევრის გამომჟღავნებაც კი ვერ მოასწრო.

\* \*

აღამიანი სიკვდილში იცნობა.

სიმონ ჯანაშიას გამოტირება მასიური წუხილისა და სიმძიმის აღმონსტრაციად იქცა.

დაუვიწყარია მეცნიერის თბილისელი კოლეგების შეძრწუნებული სახეები, კოლხი ქალების ძაძები, აფხაზთა მიერ ყაბალახებისაგან თავების გამიშვლება და მოთქმა. და ცრემლები, ხალხისა და ჭირისუფლებისაგან ერთნაირი გულწრფელობით რომ მოედინებოდა.

ნაადრევად თვალდახუჭული ლამაზი კაცი იწვა კუბოში.

ჩვეულებრივ სიკვდილი ცხედარზე თავის ამაზრზენი ამბორით ზეიმობს ხოლმე და ოდესღაც მომხიბლავ სახეს უშნოს ხდის. უხილავ ჯალათს ამჯერად ბრძოლა წაეგო: გეგონებოდათ მიცვალებული ისევ გაახელდა თვალს...

ამ სტრიქონების ავტორმა მამის გარდაცვალების შემდეგ მეორედ იგრძნო დაობლება. ეს გრძნობა ახლაც, მოუშორებლივ თან მახლავს.

დიდი და უანგარო სიყვარულით ვარ გამსჭვალული ყოველმხრივ უმშვენიერესი, დაუვიწყარ ბატონ სიმონის ხსოვნისადმი, აღამიანისადმი, რომლის ამაგიტა და სიკეთით ყელამდე ვარ საესე.

და უფრო ღირსეული გვირგვინს მითანას სიმონ ჯანაშიას ხსოვნის კვარცხლბეკთან ჩვენ ვერ შევძლებთ.

ან კი, არსებობს სხვა, უფრო ფასეული გვირგვინი, ვიდრე გრძნობა აღამიანისადმი წარუშლელი მაღლიერებისა?

15 ივნისი. 1970

ეს სტრიქონები იწერებოდა მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ორმოცდაერთი წლის წინ, ათას ცხრაას ოცდაცამეტი წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში თბილისში პირველად ჩამოვიდა იური ნიკოლოზის ძე ტინიანოვი, გამოჩენილი რუსი მწერალი, ლიტერატურისპოეტი და კრიტიკოსი.

ტიციან ტაბიძემ წინასწარ მაცნობა, რომ მას ტინიანოვთან უსაუბრია ჩემზე. ამ პერიოდში ტინიანოვი მუშაობდა პუშკინის „არზრუმში გამგზავრების“ ტექსტის დადგენაზე და მის კომენტარებზე. როგორც კავკასიის ომის ისტორიის მცოდნეს, მე შემეძლო ჩაიბე მხრივ დავხმარებოდი მას. ამასთან ტინიანოვი შედიოდა რუსი მწერლების იმ ბრიგადაში, რომელიც თბილისში იყო ჩამოსული მოსკოვში ქართული ლიტერატურის დეკადის შზადებაში მონაწილეობის მისაღებად. თანაც იმჟამად ი. ტინიანოვი იყო წევრი მ. გორკის მიერ დაარსებული „კავკასიის ბიბლიოთეკის“ სერიის რედკოლეგიისა (გორკის სიკვდილის შემდეგ კი — თავმჯდომარე). ამ სერიით ქართველი რომანტიკოსების ლექსების რუსული თარგმანების კრებულის გამოცემა იყო განზრახული. ტინიანოვს ამ მხრივაც უნდა შევშველებოდი...

დღის პირველ საათზე მწერალთა სახლის ქვედა ვესტიბულში ტიციანს შევხვდი. მან მითხრა, რომ ტინიანოვი აქაა, მეორე სართულზე, და სადაცაა გამოჩნდებო.

იური ტინიანოვს, მეცნიერსა და მწერალს, კარგად ვიცნობდი პირად შეხვედრამდეც. მისი რომანები „კიუხლია“ და „ვეზირ მუხტარის სიკვდილი“, აგრეთვე მოთხრობა „პოდპორუჩიკი კიევი“, თანამედროვე რუსული ისტორიულ-ბიოგრაფიული პროზის ეს შედეგები, დიდი ხანია წაკითხული მქონდა, ხოლო მისი ლიტერატურისმცოდნეობითი და კრიტიკული შრომები „სალესო ენის პრობლემა“ (1924) და „არჯანსტაბი და ნოვატორები“ (1928) სპეციალურად მქონდა შესწავლილი. ორივე ჟანრის თხზულებებმა თავიდანვე მოუხვეჭეს ტინიანოვს ბრწყინვალე მწერლის და მეთოდოლოგის რეპუტაცია, რაც ამჟამადაც მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ფაქტია. ამ შეხედულებას კარგად გამოთქვამს ვ. შკლოვსკი, რომელიც წერს: «Он был великим исследователем. Он был великим теоретиком, еще не понятым до конца».

იური ტინიანოვს ეცვა ნაცრისფერი კოსტიუმი, ხელში ტროსტი ეპყრა და მარდად ჩამოდიოდა კიბეზე. მთელს მის გარეგნობასა და ხელჯობის მოხდენილ ტრიალში გამოსკვიროდა დაუკვირვებელი თვალისათვის შეუმჩნეველი, მაგრამ თითქოსდა შეგნებული მიდრეკილე-

ბა ელევანტობისადმი. ჩვენს წინ იდგა საშუალო სიმაღლის, ლამაზი, მშვენიერი შუბლის მქონე გიშრისფერთმიანი (ოდესღაც თურმე მას ამ მხრივ პუშკინსაც ამსგავსებდნენ), შავთვალა და ძალზე ფერმკრთალი სახის ინტელიგენტი, რომლის ბუნებრივი არტისტიზმისა და დისციპლინიზებული თავშეკავების მიღმა კარგად იგრძნობოდა მოსაუბრისათვის ასატანი ირონიული ჰუმორი. ტინიანოვი შესანიშნავად ფარავდა ამ თვისებას, საქიროების შემთხვევაში, ვითომც გაფანტული ყურადღებისა და ინდიფერენტულობის საბურველქვეშ.

და მაინც იგი პირველი გაცნობისთანავე ხიბლავდა ყველას და თავის ირგვლივ ღრმა სიმპათიას ბადებდა.

— ვფიქრობ, ჩვენი გაცნობა ორივესათვის სასარგებლო იქნება, ტინიანოვი უკვე მელაპარაკა თქვენზე!.. — მოთხრა ტინიანოვმა გაცნობისთანავე. მაშინ უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდა ასეთმა მომართვამ დამაბნია. მე ხმა არ გამიღია.

— დღეს შენ გაბარებ ჩვენს სტუმარს. ახლა კი გტოვებთ!.. — თქვა ტინიანოვმა და სასახლეს ზემო საართულზე ავიდა.

## 2

თავდაპირველად ი. ტინიანოვს შევთავაზე წავსულიყავით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც ერთი დეკაბრისტის მანამდე უცნობი მოგონების ხელნაწერი იყო დაცული. ტინიანოვი დიდად დაინტერესდა ხელნაწერით და უმაღლვე გავეშურეთ უნივერსიტეტისაკენ.

მაშინ ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე ჭერ კიდეც მუშაობდა ტრამვაი.

უნივერსიტეტის წიგნთსაცავი დაცული იყო შენობის ქვედა საართულში. ჩემი სტუდენტობის წლებში მისი დირექტორი იყო პროფესორი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერ-ელინისტი, ჩვენი თაობის ერთ-ერთი კერპი, ტინიანოვის ლექტორი პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1931 წელს იგი, ივანე ჯავახიშვილთან ერთად, საქართველოს მუზეუმში გადაიყვანეს, ამიტომ უნივერსიტეტში მისულებს ბიბლიოთეკაში იგი არ დაგვხვედრია. ხელნაწერი ტინიანოვს გასაცნობად გამოუტანა წიგნთსაცავის თანამშრომელმა, ჩემმა დიდი ხნის ნაცნობმა ელენე ბაქრაძემ, ფილოსოფოს კოტე ბაქრაძის დამ.

ტინიანოვი კინალამ დააკვდა ხელნაწერს და იქედან თავის ბლოგნოტში გადაიწერა მისთვის საინტერესო ადგილები. უნდა გამოვტყუდე, ამ დოკუმენტს შინაარსის შესახებ დღემდე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს.

უკან დაბრუნებისას ხალხით გაჭედილ ტრამვაიში მოვხვდით.

უცბად ტინიანოვმა მკერდთან ხელი მიიღო და საშინლად გაფორდა, მას საათი დაჰკარგოდა.

— ერთადერთი ნივთი, რაც დედაჩემის მიერ სახსოვრად დატოვებული ნივთებიდან დამჩა! — ღრმა დანანებით წარმოთქვა მან, მაგრამ უმაღლე თავს სძლია და ბაგეები მოკუმბა. ერთხელაც კრინტი არ დაუძრავს ვინმესთან ამ ფაქტის გამო, თბილისში ყოფნის დროს.

— სიციხეა... სუნთქვა კირს... ჩავიდეთ და ქვეითად გავიაროთ! — თქვა მან.

„ზემელის“ ახლოს ჩამოვხტით და პიონერთა სასახლეებზე ისე ვიარეთ, თითქოს ტინიანოვს არაფერი უსიამოვნებდა არ შემთხვევია. რუსთაველის პროსპექტის ყოველი საინტერესო შენობის შესახებ მეკითხებოდა, ამავე დროს ხელნაწერის ზოგიერთ საინტერესო პასაჟს იგონებდა. სამწუხაროდ, ისინი არ დამიხსომებია.

პიონერთა სასახლის წინ, ხეივანში შემოგვხვდა ირაკლი ანდრონიკაშვილი, მისი დიდი ხნის მეგობარი, რომელთანაც ტინიანოვი ბინად იყო თბილისში. რუსი მწერალი აღტაცებული იყო ირაკლის მამის, ივანე ჯავახიშვილის თანამოსაყმა და მასთან ერთად პეტერბურგში ნასწავლი დიდი ქართველი იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის პიროვნებით. ეს არ გამკვირვებია, რადგან ბევრთან ერთად კარგად მახსოვს ბ-ნ ლუარსაბის იშვიათი ცოდნით, ორატორული ხელოვნებითა და შთაბეჭდავი იმპროვიზაციით აღბეჭდილი საჯარო გამოსვლები და ლექციები. მისაუბრია კიდევ მასთან, ერთხელ — ტინიანოვთან ერთად მისულს მის ბინაში, ძნელადის ქუჩაზე, უფრო ადრე კი — იმავე ქუჩაზე მის ზემოთ მცხოვრებ ალექსანდრე ბარამიძესთან, როცა ჩვენი ლიტერატურის ცნობილი ისტორიკოსის დღეობაზე ვიყავი მიპატიებული. არ დამავიწყდება ბ-ნ ლუარსაბის სიტყვები ისტორიკოს ზურაბ ავალიშვილის პიროვნებაზე. ამ თემაზე საუბრისათვის მე გამოვიწვიე იგი მაგიდასთან მასთან ერთად ჯდომისას.

### 3

და აი, სამნი, ი. ტინიანოვი. ი. ანდრონიკაშვილი და მე საქართველოს მუზეუმში გავემართეთ გრიგოლ წერეთლის სანახაუდ. ეს შეხვედრა (ყოფილი მასწავლებლისა და ყოფილი შეგირდისა) მოკლედ აღწერილი მაქვს გრიგოლ წერეთელზე დაბეჭდილ მოგონებაში.

მათი შთამაგონებელი საუბარი გოეთესა და პუშკინზე — დაუვიწყარია. ამ საუბრის სიტყვა-სიტყვით აღდგენა ამჟამად უკვე აღარ შემიძლია.

მომდევნო დღეებში ტინიანოვი აგრეთვე ორჯერ მივიყვანე საქართველოს მუზეუმში, სხვადასხვა განყოფილებათა ექსპონატების დასათვალიერებლად. მას ჩინებულ ახსნა-განმარტებას აძლევდა ქართველი მეცნიერი, უდროოდ გარდაცვლილი ლევან მუსხელიშვილი.

როცა მესამე სართულზე ავედი, იქ მას გავაცანი პავლე ინგოროყვა, რომელმაც ტინიანოვს უცნობი მხატვრის მიერ დასურათებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი აჩვენა. ერთ მინიატურაზე სპარსულად მორთულ პერსონაჟს გრაგნილზე ასოები გამოჰყავდა.

— პოემის დამსურათებელი რომ ქართველი მხატვარია, იქედან ჩანს, რომ მის მიერ დახატული ვითომც მაჰმადიანი, ქართველივით მარჯვნიდან მარცხნივ წერს და არა პირიქით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო არაბულად წერის მცოდნისაგან!.. — განუმარტა სტუმარს ჩვენი მკვლევარმა.

ამ განმარტებამ ი. ტინიანოვზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. „დამკვირვებელ პალეოგრაფისტს შეეძლო ასეთი რამ შეენიშნა!“ — დაასკვნა მან, როცა მუზეუმიდან გამოვედი.

ტინიანოვის თბილისში ჩამოსვლიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ გაზეთ „სალიტერატურო გაზეთში“ (1933, 7 ოქტ.) დაბეჭდეთ პატარა ცნობა სათაურით „იური ტინიანოვი“, სადაც სხვათა შორის აღნიშნავდით, რომ „ი. ტინიანოვი თბილისში დარჩება 20 ოქტომბრამდე“, ხოლო წერილს ვამთავრებდით სიტყვებით: „ი. ტინიანოვი ამჟამად მუშაობს დიდ ბელეტრისტულ რომანზე პუშკინის შესახებ, აგრეთვე რედაქტორობს „პოეტის ბიბლიოთეკას“ ლენინგრადში“.

ტინიანოვი თბილისში უფრო დიდხანს დარჩა.

ტიციან ტაბიძეს უთარგმნია ტინიანოვისთვის ჩვენი წერილი და როცა რუს მწერალს გაზეთში დაბეჭდილი თავისი სურათი უნახავს (რედაქციის მხატვარს იგი ტუშით საშინლად გაუფუჭებია), გაღიმებულს უთქვამს:

— არც რუსულ პრესაში მალოლიავენებენ კარგი სურათებით. როცა მათ ვათვალიერებ, საშინლად უშნო მეჩვენება ჩემი თავი.

მთლად ასე არ ყოფილა. ტინიანოვის სიცოცხლეში არაერთი მისი კარგი პორტრეტი დაუბეჭდავს მოსკოვის და ლენინგრადის ჟურნალ-გაზეთებს.

ი. ტინიანოვმა მოკლედ და ჭენტლმენურად გადამიხადა მადლობა ლიტერატურული მისალმებისათვის.

ი. ტინიანოვს მეტწილად ვხვდებოდით დღისით, საღამოობით იგი ან ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ბინაზე იყო, ან სტუმრად ტ. ტაბიძესთან, ნიკ. შენგელაიასთან და ნატო ვაჩნაძესთან, ან კიდევე, რამდენადაც ვიცო, იურისტ გიორგი (ზოზო) ნანეიშვილის ოჯახში... თბილისის საზოგადოებამ გულჩათხრობილი ტინიანოვი თითქმის გამოაცოცხლა. „თანდათან თბილისელი ვხდები და აქაურ სიციხესაც ვეჩვევი“; — ზემორობით იტყოდა ხოლმე.

მწერალთა კავშირის ქვედა სართულში მაშინ სასადილო იყო მოთავსებული. შეთანხმებულამებრ, თითქმის ყოველდღე ერთმანეთს ვხვდებოდით აქ, შესავალთან და ზუსტად 4 საათზე.

აქ გავაცანი იგი გალაკტიონ ტაბიძესა და მიხეილ ჭავჭავიძეს. ეს უკანასკნელი კარგა ხანს ესაუბრებოდა ტინიანოვს ისტორიული რომანის პრობლემებზე. ქართველი ბელეტრისტი ქება-დიდებას ასახამდა ვალტერ სკოტის მეთოდს, რასაც ტინიანოვი არ იზიარებდა. მიხეილ ჭავჭავიძე დიდი ხანით იცავდა თავის აზრს.

პირველად მაშინ შევინიშნე, თუ როგორი უკომპრომისო იყო ტინიანოვი ისეთ ვითარებაში, როცა მისი შეხედულებების უარყოფას ვინმე კატეგორიული ფორმით შეუდგებოდა. „ვეზირ მუხტარის სიკვდილს“ ავტორი ავითარებდა იმ აზრს, რომ მეცნიერებასა და ისტორიულ პროზას შორის საზღვრები თანდათან იშლება და რომ ახალ ისტორიულ პროზაში ტრადიციულ იმპრესიონიზმს უპირისპირდება დოკუმენტური სიზუსტე მაშინაც კი, როცა სათანადო დოკუმენტო მწერალს ხელთ არა აქვს. ისტორიული პროზის ავტორს ევალება პოლემიკა აქამდე თითქმისდა ურყევ და საყოველთაო ქვეშაობადად მიჩნეულ ფაქტებთან, რადგან „ისტორიული ფაქტის“ ცნება შედარებითია. კარგად მახსოვს ტინიანოვის ფრაზა: მწერლის მოვალეობაა ვიჩვენოს არა მარტოოდენ ისტორიის სცენაზე მიმდინარე მოქმედ პირობა ურთიერთობის პერიპეტეიები, არამედ ამ სცენის მიღმა მათი გრიძობის პროცესი, რომლის შემდეგ „ისტორიული გმირები“ სახეცვლელნი გვევლინებიან. ახალი ისტორიული პროზის ერთ-ერთი დანიშნულებაა არა აღწერა, არამედ მოვლენათა შინაგანი კანონზომიერების ახსნა და „გმირებისათვის“ ნიღბების ჩამოხსნა, — ასე ვინდა ტინიანოვი.

ყველაფერი აქ მოკლედ აღნიშნული მხოლოდ სუსტი ასლია ბრწყინვალედ გამოთქმული თეორიული დებულებებისა, რომელთაც ი. ტინიანოვი ანვითარებდა ისტორიული პროზის თანამედროვე სტილისა და მეთოდის თავისებურებაზე. არსებითად კი იგი თავის შემოქმედებითს კრედიტს იცავდა.



ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზეპირი პოლემიკის დროსაც ტინიანოვი თავდაქერილი და ჭენტლმენი ჩჩებოდა.

ტინიანოვი გავაცანი „კიუხლიათი“ მოხიბლულ ჩემი თაობის მეგობრებსაც.

## 7

ჩვეულებრივ მხოლოდ ორნი ვუსხედით სასადილოში მაგიდას და ასე გაგრძელდა დაახლოებით 25 ოქტომბრამდე. ეს დღეები დაუვიწყარია.

ტინიანოვი ძალიან ერიდებოდა ღვინოს. ჩვეულებრივ იგი ორიოდე ჭიქას თუ სცლიდა. გვიან გავიგე, რომ იგი უკვე შეპყრობილი იყო განუკურნებელი სენით (გაფანტული სკლეროზით), მაგრამ არავითარი სიმპტომები ამ ავადმყოფობისა თბილისში ყოფნისას მას აბსოლუტურად არ გამოუძღვრებია. მხოლოდ მისი მშვენიერი სიფითრე მოწიბობდა, რომ ჭანმრთელობა შერყეული ჰქონდა.

არც ერთ წამს არ ღალატობდა სრულიად შეუდარებელი, განსაცვიფრებელი მეხსიერება. მის კოლოსალურ ერთდროეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ახალგაზრდა კაცი ერთგვარი შიშნარევი გრძნობით შევყურებდი მას და ტინიანოვი იშვიათი ტაქტით ცდილობდა ჩვენ შორის არსებული დისტანციის წაშლას. ან განა შეიძლებოდა ტინიანოვთან საუბრისას მრავალსიტყვაობისათვის მიმემართა? და ისიც ასე ახალგაზრდას?

დიდი მადლიერებით ვიგონებ ი. ტინიანოვის მხრივ თავისი კეთილშობილური თვისებების გამოვლინებას. ასეთ მომენტებში იმდენად საყვარელი და სულგრძელი ჩანდა იგი, რომ შთაბეჭდილების გაღმოცემა მიძნელებდა.

და მაინც, იგი დათმობაზე მიდიოდა მაშინ, როცა ჭირვეულად ვაძალებდი სასმელს. სახეშეფაკლული ტინიანოვი (მის პირის კანზე წითელი ლაქები იფეთქებდნენ ხოლმე) უცბად უჩვეულოდ ხალისიანი ხდებოდა და ხეტიალის სურვილი აღეძვრებოდა.

— კოლეგა! ქალაქში გავისეირნოთ! რომელი ადგილის მონახულებას შემომთავაზებთ?!

ასეთ მიმართვაში („კოლეგა“) რამდენადმე „არისტოკრატიული“ ნოტა ისმოდა, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ პუშკინისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიადაგზე ტინიანოვს ჭირისდღესავით სძულდა ყოველგვარი არისტოკრატიზმი და არისტოკრატია. ტინიანოვს შეეძლო ადვილად მოენახა ენა ყველასთან, ვისაც გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას შეამჩნევდა — ხანდაზმულთან თუ ახალგაზრდასთან.

ხელგოსს უფრო ენერგიულად ათამაშებდა და ნახევრად ფიქრებში წასული მოხდენილად მიაბიჯებდა ქუჩაში. თუ ფიქრს შეწყვეტდა, მხოლოდ ლიტერატურაზე ან თბილისზე გადაიტანდა სიტყვას. თბილისს, იგი, მგონი კიუხელბეკერისა და გრიბოედოვის თვალებით აყვირდებოდა.

მისი ხსოვნისადმი ღრმა პატრონისცემის გამო თავს ვეკავებ ამ საუბრების გადმოცემისას. საკმაოდ დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ. მთავარი, რაც მისი ნათქვამიდან დავიწესო, ის იყო, რომ რუსულ კლასიკურ ლიტერატურას იგი ერთ-ერთ უდრდეს ფენომენად თვლიდა მთელი კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში. ასევე ღრმად სწამდა ამ ლიტერატურის დიადი მომავალი.

ერთ-ერთი საუბრის დროს, უცბათ მან საყვედურის გამოძეგვილი თვალებით შემომხედა და თქვა:

— ტიციანს და თქვენ ერთი განზრახვა გამოძრავებთ: ღვინომ მიძლოს ბევრი ვილაპარაკო, და აი, მე ახლავე გადავიხდით საშაგეროს: ხვალაძე ჩემგან ვერაუერს გაიგონებთ! — და იქვე დაუშატა: — თუმცა... კოლეგავ! მე ხვალაც შევსვამ თქვენს მშვენიერ ღვინოს!

იგი ხმისამოუღებლად მივიდა ანდრონიკაშვილების ბინაძე.

საუბრიდან სრულ მდუმარებაზე ასეთი სწრაფი გადასვლებიც ი. ტინიანოვს ძალიან უხდებოდა. არსებობდა, იგი ზოგჯერ ჩინებულად თამაშობდა გამოგონილ როლს.

ზოგი მემუარისტი აღნიშნავს, რომ მას შეეძლო გესლიანი ფრაზია თქმაც. შეიძლება. მე კი მოხიბლული დავჩი მისი ხასიათის ხავერდისებური სიღბოთი. და არა მარტო მე, ეს თვისება შენიშნა მას სერგო კლდიაშვილმაც...

არ მახსოვს ერთი შეხვედრაც კი, რომ მას პუშკინზე რაიმე არ ეთქვას. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს „ბრინჯოს მხედრის“ გენიალურ ავტორზე ფიქრი მსკვალავდა მთელ მის არსებას, მისი ცხოვრების ყოველ წუთს და წამს. ერთხელ, როცა კომკავშირის ზივანში ვსვინობდით, სალამოსანს იგი ზეპირად და ბრწყინვალედ კითხულობდა პუშკინის ბალადას «На холмах Грузии лежит ночная мгла».

ამ ბალადის აღრესატად მან უფრო გვიან მწერალ კარამზინის მეუღლე აღიარა (გამოკვლევაში «Безымянная любовь»). ტინიანოვის პიპოთეზა არაა ყველას მიერ გაზიარებული, მაგრამ მისი არგუმენტაცია უაღრესად შთამაგონებელია. თბილისში ყოფნისას, ვფიქრობ, თავისი შეხედულება ტინიანოვს არავისთვის არ გაუზიარებია.

იგი გაკვრით ლაპარაკობდა თავის მასწავლებლებზე, აგრეთვე ლინგვისტ ბოდუენ დე კურტენეზე და სხვებზე, ბელისა და ზამიატინის პროზაზე, როზანოვის გენიალობაზე. ასეთივე შეხედულებითა იყო ზღებნიკოვზე, უყვარდა პასტერნაკი, დიდად აფასებდა ახმატოვას.

ტინიანოვი მეტწილად ლაკონიური და ერთგვარად ფრაგმენტულიც იყო მათი შეფასების დროს, ხოლო ვ. შკლოვსკის გამო მოკლედ დაასკვნა:

— Он гениален!

მეორედ კი ის აზრი განავითარა, თვით ტოლსტოი რომ გაცოცხლებულიყო, შკლოვსკი მასთან საუბრის დროსაც ალბათ ცოტა ირონიულად დაიწყებდა მშუშენასო.

— შკლოვსკის ამის უფლება აქვს, სხვას — არა! — დაასკვნა ტინიანოვმა.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ თავისი უფროსი მეგობარი არა მარტო ძალიან უყვარდა, არამედ ღრმა პატივისცემით იყო მისდამი გამსჭვალული. ამის შემდეგ მე არ გამკვირვებია, როცა ერთ მემუარისტთან წაივითხე: ტინიანოვის კუბოსთან შკლოვსკი გულამომჯდარი ქვითინებდაო. ეს ორი მწერალი, უეპველად, დიდი ინტიმური ძმობით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

ქართველი მეგობრებიდან კი ყველაზე ახლოს მასთან ირაკლი ანდრონიკაშვილი იყო, რომელსაც ლენინგრადში დაანლოვებია, ხოლო უფრო გვიან თბილისში გაცნობილთაგან — ტიცინ ტაბიძე.

## 10

ი. ტინიანოვის პროზაში ზოგჯერ სხვათა შორის აღნიშნული დეტალი მდიდარ დოკუმენტურ მასალას ემყარება, მაგრამ ავტორი განზრახ სდუმს დოკუმენტის ყველა მხარეზე. მაგ. გრიბოედოვმა უეპველია იცოდა ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ I მიერ „კავკასიის პროკონსულოებიდან“ გადაყენებული ა. პ. ერმილოვი მოსკოვში, თავის სახლში წიგნების დაკანვით ირთობდა თავს.

„ვეზირ მუხტარის სიკვდილში“ ტინიანოვი აღწერს გრიბოედოვის გამოთხოვებას ერმოლოვთან (გზად პეტერბურგიდან კავკასიისაკენ). დასაწყისში მწერალი მოგვითხრობს:

Слуга усадил Грибоедова и спокойно пошел вон.

— Они занимаются в переплётной, сейчас доложу.

— Что еще за переплётная.

— უაკირს გრიბოედოვს. მწერალი „ჩქმალავს“ იმას, რაც გრიბოედოვს კარგად უნდა სცოდნოდა და სრულიად განზრახ. ასეთი დამოკიდებულება მწერლისა ისტორიული ფაქტისადმი მხატვრული თვალსაზრისით გამართლებულია. თანაც: ტინიანოვი არ განმარტავს მსახურის ნათქვამს.

არც ერთი სხვა ბელეტრისტი გადმოცემის ამგვარ მეთოდს — ფაქტების შიშველი რეგისტრაციის საპირისპირო ხერხს — არ მიმართავდა.

როცა ტინიანოვს ვკითხვ, ამ „პერეპლიოტნიას“ შესახებ ცნობას ისტორიკოს პოგოდინის ერმოლოვზე დაწერილ შრომაში ხომ არ წააწყდით-მეთქი, მან მიპასუხა:

— დიახ! მაგრამ არა მარტო პოგოდინთან! — და გაკვირვებოა შემომხედა, ალბათ იმის გამო, რომ პოგოდინის ნაშრომი წაკითხული მქონდა.

## 11

— რითაა გამოწვეული, რომ თქვენ თარგმნეთ ჟოზე დიუამელა მონტრობების კრებული „ცივილიზაცია“?

ტინიანოვს ისიც გაუკვირდა, რომ მის თარგმანს ვიცნობდი.

— იგი დაიბეჭდა 1923 წელს. ეს იყო გამომცემლობის შეკვეთით შესრულებული სამუშაო და მეტი არაფერი. პონორარი გადამიხადეს.

— სხვა მისი ნაწარმოები თუ მოგწონთ?

— არც ერთი, უკაცრავად — ისინი არ წამიკითხავს, — თქვა ტინიანოვმა.

## 12

ი. ტინიანოვის განთქმულ თეორიულ შრომაში „სალექსო ენის პრობლემა“ (1924), რომელსაც პოეტური ენის სემანტიკის საკითხებზე დაწერილ გამოკვლევათა შორის დღემდე ბადალი არ მოეპოვება მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში, ავტორი ეხება ვუნდტის, პაულის, როზენლოვსკის, ნიროპის, როზენშტეინისა და სხვათა შრომებს, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობის პრობლემებისადმი მიძღვნილი. ტინიანოვი ასახელებს აგრეთვე მიშელ ბრეალს, ცნობილ ფრანგ არქეოლოგსა და სემასიოლოგს, რომლის შრომის ნაწყვეტის რუსულ თარგმანიც არსებობს. ამ ბრეალის ლექციებს ლიონში (საფრანგეთი) ისმენდა ოდესღაც ჩემი ბიძა და როცა სიტყვამ მოიტანა, ტინიანოვს გადაეცემა ნათესავის შთაბეჭდილებანი თავის ლექტორზე, აგრეთვე შეძლებისამებრ გამოვაჯავრე ბრეალი გაგონილის მიხედვით.

მემუარული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ი. ტინიანოვი თვითონ ჩინებული იმიტატორი ყოფილა ახლო მეგობართა შორის.

ამიტომაც ბრეალზე თხრობა ტინიანოვს მოეწონა და თვითონ მშვენიერად გამოაჯავრა ლიტერატურაში მისი ხელდამსმელი კ. ჩუკოვსკი, რომელთანაც ერთხელ ცირკში ყოფილა. ტინიანოვი ჩინებულად გადმოხსცემდა მანუეის ჯამბაზებსა და ღუროვის ცხოველებზე ცნობილი რუსი მწერლის რეაგირებას და ანტრაქტის დროს ბავშვებით გარშემორტყმული ჩუკოვსკის ხელების ფართო შლას, მისი ხმის ტემბრსაც კი ტინიანოვი დიდი ოსტატობითა და მასთან ღრმა სიყვარულით გამოხატავდა („კრუხლია“ კ. ჩუკოვსკის თხოვნით დაწერა ავტორმა).

ტინიანოვი-მწერლის პლასტიკური ნიჭი საყოველთაოდ ცნობილია. ასეთივე ნიჭით იყო დაჯილდოებული ცხოვრებაშიც.

### 13

თბილისში ი. ტინიანოვის ყოფნის დროს გაზ. „იზვესტიაში“ (1933, 20 ოქტ.) დაიბეჭდა ა. სტარჩაკოვის დიდი სტატია «Проза Тынянова». რამდენადაც ვიცი, ეს იყო ოფიციალურ პრესაში პირველი სერიოზული დაფასება ბრწყინვალე რუსი ბელეტრისტისა და იგი ერთგვარ სასიამოვნო დისონანსადაც კი გაისმა „ვეზირ მუხტარის სიკვდილის“ ავტორის შესახებ მანამდე გამოქვეყნებულ სტატიებს შორის. მ. გორკის მიერ ტინიანოვის პროზის და ლიტერატურისმცოდნეობითი მუშაობის არაერთგზისი მაღალი შეფასების მიუხედავად, ტინიანოვს ზოგჯერ განუცდია ლიტერატურული თავდასხმები. კარგ მოგონებად მრჩება იმის გახსენება, რომ მწერალთა კავშირში შეხვედრისას, სასადილოში, იმავე დღეს გადავეცი ტინიანოვს გაზეთის ის ნომერი, რომელშიაც ზემოთ დასახელებული სტატია იყო დაბეჭდილი. მან სწრაფად ჩაიკითხა ფელეტონი. არაფერი უთქვამს, მაგრამ მთელი დღე კარგ გუნებაზე იდგა.

სტარჩაკოვი თავის წერილში „გასაართობ ანეკდოტად“ მიიჩნევდა ტინიანოვის შედეგს „პოდპორუჩიკ კიე“ -ს. გამოთქვამდა სხვა, ამჟამად სრულიად მოუღებელ კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ საერთო ტონი წერილისა ტინიანოვის დიდი ნიჭიერებასადმი ღრმა პატივისცემას მოწმობდა. იური ნიკოლოზის ძე, ეტუობოდა, კმაყოფილი დარჩა ამ სტატიით.

თვით იური ტინიანოვსაც სჭირდებოდა ზოგჯერ გამამხნეველი სიტყვა პრესაში! ამჟამად ასეთი რამ ანაქრონიზმად უღერს. მაგრამ ტინიანოვს დაუმსახურებლად ეპყრობოდნენ გარდაცვალების შემდეგაც კი. მაგ. 1949 წ. 9 თებერვლის „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა ხელმოუწერელი წერილი *Серьезные ошибки издательства «Советский писатель»*, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამ გამომცემლობამ დაბეჭდა ზოგი მიუღებელი თხზულებათა და მაგალითად დასახელებული იყო ტინიანოვის რომანი გრიბოედოვზე!

ცნობილია, თუ როგორი დიდი აზრისა იყო მ. გორკი ი. ტინიანოვის ამ რომანზე, ან როგორ გაამართლა შემდგომმა ისტორიულმა ძეგლებმა „ვეზირ მუხტარის სიკვდილში“ მწერლის იშვიათი ისტორიულ-მხატვრული ალლოთი ნაწარადევი და აღწერილი სიტუაციები.

არ მოგვაქვს ტინიანოვზე უფრო მწკავე თაუდასხმების მაგალითები. როგორია თანამედროვე, ახლანდელი დამოკიდებულება ტინიანოვისადმი?

„რუსული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში (მოსკოვი, 1967), რომელშიაც 1920—1941 წ.წ. პერიოდის რუსული მწერლობა მიმოხილული, ი. ტინიანოვს ცალკე თავი აქვს მიძღვნილი. ამ თავის ავტორი წერს (გვ. 354): «Ю. Тынянов был не только прекрасным писателем. Он был чистым человеком, старавшимся писать так, как он считал нужным, а не так, как ему часто и настойчиво рекомендовали».

მართალი სიტყვებია!

უქრნალში «Вопросы литературы» ერთი ავტორი აღნიშნავდა: «В Толстом, Тынянове поражала крупная художественная самобытность, индивидуальность таланта!» («Вопросы литературы», 1974, № 1, გვ 76). მეორე ავტორი კი აცხადებს, რომ «За нами — богатый опыт классиков советской литературы: Толстого, Тынянова, Шншкова, Чапыгина, создавших вещи мирового значения» (იქვე, 80).

ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ მისი ლიტერატურულ-ისტორიული და თეორიული შრომების მაღალ დონეებს. მაგ. ერთი კრიტიკოსი აცხადებს: «Ю. Тынянов полвека назад писал, что рост новых поэтических явлений происходит только в те промежутки, когда перестает действовать инерция... Рассуждение это Тынянов заключал, однако, оптимистически: у истории тупиков не бывает, есть только промежутки» («Вопр. лит-ры», 1974, № 2, გვ. 49).

ი. ტინიანოვის გამოთქმას «Новое литературное зрение» ხაზს უსვამენ ლიტერატურაში „გარდამავალი ეპოქების“ დახასიათებისას (იქვე, გვ. 112), აღნიშნავენ იმასაც, რომ ლიტერატურისმცოდნეობაში ფორმულა „ლირიკული გმირის“ შემომტანი იური ტინიანოვია (ტინიანოვმა იგი იხმარა წერილში ბლოკის შესახებ): «Тынянов, обозначал эту новую категорию как *лирический герой*, выделив формулу курсивом»

ი. ტინიანოვის სახელს უკავშირებენ სტრუქტურალისმსაც. მაგ. ლოტმანი წერს:

«Семиотические методы изучения искусства, в основе которых лежат идеи Женевской лингвистической школы и её основателя Ф. де Соссюра, в 1920—1930 гг. получили дальнейшее

развитие в трудах ряда советских ученых (в первую очередь Ю. Н. Тынянова, В. Я. Пропа, М. М. Бахтина»). იხ. კრებული «Семантика и искусствоведение», 1972, გვ. 12).

ი. ტინიანოვს მიუძღვნა ქ. ტარტუს უნივერსიტეტმა მთელი კრებული ლიტერატურისმცოდნეობითი შრომებისა.

აქ არ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რამდენად სწორია ი. ტინიანოვის მონათვლა სტრუქტურალისტიად (ეს მორიგი მითია), მაგრამ თვითონ ფაქტი თავისთავად საგულისხმოა. და ბოლოს აღვნიშნავთ, რომ 1969 წელს „ლიტერატურნაია გაზეტა“-ში (№ 43, 22 ოქტომბერი) ნ. სტეპანოვი სავსებით მართებულად აღნიშნავდა ი. ტინიანოვის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით:

«Мысли о поэтическом слове, выказанные в статьях «Пушкин». «Архаисты и Пушкин», «Пушкин и Тютчев», вместе недавно переизданной книгой «Проблема стихотворного языка» явились основой для развития целого направления в нашей науке».

ამეთი განცხადებები რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღიარებულ ქეშმარიტებადაა მიჩნეული და მათი ჩამოთვლა შორს წავგიყვანდა. ამრიგად, კანონიზაცია ი. ტინიანოვის დამსახურებისა მწერლობასა და სალიტერატურო მეცნიერებაში, ჩვენში და საზღვარგარეთ, ექვემდებარებული ფაქტია.

„იზვესტიაში“ სტარჩაკოვის ზემოაღნიშნული წერილის გამოქვეყნების პერიოდში მთლად ასეთი ვითარება არ იყო და ი. ტინიანოვის მაშინდელი ფარული კმაყოფილება სავსებით გასაგებია.

#### 14

იური ტინიანოვის კალამს ეკუთვნის საინტერესო კრიტიკული წერილი «Литературное сегодня», რომელიც დაიბეჭდა 1924 წელს „Русский современник“-ის № 1-ში. სტატიაში განხილულია ავტორის თანამედროვე ძველი და ახალი თაობის პროზაიკოსთა ბოლო პერიოდის თხზულებანი.

სტატია — მხატვრული ანალიზის შესანიშნავი და თანაც სრულიად უკომპრომისო შეფასების საუკეთესო ნიმუშია. როცა ი. ტინიანოვს ვკითხვ, თუ რატომ არ შეიტანა იგი „არქაისტებსა და ნოვატორებში“ თავის ცნობილ კრიტიკულ სტატიასთან „Промежуток“-თან ერთად (ეს უკანასკნელი ავტორის თანამედროვე პოეტებს ეხება), მან ჩვეულებისამებრ ერთი სიტყვით მიპასუხა:

— მოძველდა!

#### 15

თბილისში ყოფნისას იური ნიკოლოზის ძეს პირადად ჩვენ ვთხოვეთ ლიტერატურული რედაქცია გაეკეთებინა სულხან-საბა ორბელი-  
256

ანის განთქმული იგავ-არაკების კრებულისათვის „სიბრძნე სიცრუისა“, და საკუთარი, ამ კრებულის რუსული, ალ. ცაგარლისეული თარგმანის ეგზემპლარი გადაეცემა მას. ეს თხოვნა ტინიანოვმა ბრწყინვალედ შეასრულა.

ი. ტინიანოვის მიერ რედაქტირებული ტექსტით, რომელიც ლენინგრადიდან მან გადმოუგზავნა „ზარია ვოსტოკას“ ლიტერატურულ განყოფილებას, დიდად კმაყოფილი იყო განსვენებული სოლომონ იორდანიშვილი, რომლის შენიშვნებით შემდეგ დაიბეჭდა იგი (იხ. Сулхан-Саба Орбелиანი, «Мудрость лжи», пер. с груз. А. Цагарели, ред. предисл. и комментарий С. Иорданишвили, литредакция Ю. Н. Тынянова, 1939).

ს. იორდანიშვილი გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ი. ტინიანოვმა შენიშნა რუსული თარგმანის რამდენიმე უხეში შეცდომა, რომლებიც შეუძლებელია ქართულ ორიგინალში ყოფილიყო. და ეს მაშინ, როცა შესანიშნავმა რუსმა მწერალმა ქართული არ იცოდა.

ს. იორდანიშვილს ჩვენს მიერ ი. ტინიანოვისათვის გადაცემული ტექსტი ეკვირა ხელთ.

აქვე უნდა დავძინო, რომ ტინიანოვზე ქართულად გამოქვეყნებულ ზოგიერთ სამეცნიერო მასალაში საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს საბას ტექსტის ტინიანოვისეული რედაქციის ინიციატივა სხვებს ეკუთვნოდეს (იხ. „მნათობი“, 1964, № 5, გვ. 171).

## 16

თბილისში პირველად ყოფნისას ი. ტინიანოვი აგროვებდა მასალას პუშკინის ცნობილი დღიურის „მოგზაურობა არზრუმში“ შენიშვნებისათვის. მან არა მარტო დიდხანს იმუშავა „მოგზაურობის“ ტექსტის დადგენაზე (1920—1930 წწ.), არამედ დაწერა სპეციალური სტატიაც, რომელშიაც ახსნილია ბევრი უცნობი დეტალი პუშკინის კავკასიაში მოგზაურობასთან დაკავშირებით და გაშუქებულია ის ფსიქოლოგიური მიზეზები, რომელთაც აიძულეს პოეტი 1828—1829 წლების რუსეთ-ირანის ომის დროს კავკასიაში ჩამოსულიყო და ომის ასპარეზიც მოენახულებინა. ი. ტინიანოვის ეს შრომა გამოქვეყნდა სამი წლის შემდეგ (1936 წ.) და იგი შევიდა „მოგზაურობის“ ტექსტის კომენტარებშიც, პუშკინის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში 1938 წ.

პუშკინის „მოგზაურობაში“ ასახულ ისტორიულ რეალიებზე მე არაერთხელ მისაუბრია ტინიანოვთან. როცა ვკითხე, ჰქონდა თუ არა მას გათვალისწინებული კრებული «Кавказская поминка о Пушкине», ცნობილი კავკასიისმცოდნის ევგენი ვეიდენაუშის რედაქციით გამოცემული თბილისში 1899 წელს, მან მიპასუხა:



— რასაკვირველია! ოღონდ დამავიწყდა თან წამომელო და მკირ-  
დება კი.

ტინიანოვს მეორე დღესვე ვათხოვე ეს კრებული, ამასთან სა-  
განგებოდ წავიყვანე საკ. მუზეუმში ვეიდენბაუმის არქივის, კერძოდ  
მისი „კავკასიის მოღვაწეთა ლექსიკონის“ გასაცნობად (ეს მდიდარი  
კოლექცია დაუბუქდავია), აგრეთვე ვაცნობე, რომ „მოგზაურობაში“  
პუშკინის მიერ ტფილისში მოსმენილი ქართული სიმღერა, პოეტის მიერ  
ტექსტში რუსული თარგმანით შეტანილი («Душа, рожденная в раю»),  
გ. ლეონიძის მიერ იყო უკვე განხილული სპეციალურად და რომ ამ სი-  
მღერის ქართული ტექსტი და ავტორი ჩვენმა პოეტმა დაადგინა (პუშ-  
კინს მოუსმენია დ. თუმანიშვილის „ახალ აღნაგო სულთა“).

ი. ტინიანოვმა ამის შემდეგ სთხოვა გ. ლეონიძეს წერილის ტექ-  
სტი და იგი დაიმოწმა კიდევ თავის სტატიაში პუშკინის „მოგზაურობის“  
შისახებ (შდრ. Ю. Н. Тынянов. Пушкин и его современники,  
1968, გვ. 207).

17

ი. ტინიანოვმა დიდი საქმე გააკეთა თავის დროზე „პოეტის ბიბ-  
ლიოთეკის“ დიდ სერიაში „ქართველი რომანტიკოსების“ თხზულება-  
თა რუსული თარგმანების გამოცემით. ტ. ტაბიძემ მოხოვა ამ საქმე-  
ში ტინიანოვს აქტიურად დავხმარებოდრი და მე შეძლებისამებრ უნა-  
რი და ენერგია არ დამიშურებია. ეს კრებული ლენინგრადში დაიბეჭ-  
და 1940 წელს, ი. ტინიანოვისა და ნ. ტიხონოვის რედაქციით (გრ. ორ-  
ბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლექსების შენიშვნები მე მეკუთვინის.  
აღ. ჭავჭავაძის და ვ. ორბელიანისა კი — ე. ვირსალაძეს, რომელიც მა-  
შინ ლენინგრადში იმყოფებოდა).

ი. ტინიანოვს სრულიად არ აკმაყოფილებდა კერძოდ ნ. ბარათა-  
შვილის ლექსების ადრინდელი რუსული თარგმანები (თ. ხორევეცკის,  
ვ. გაფრინდაშვილის...), ზოგიერთ მათგანს დედნის „უსუსურ“ და „ანე-  
მიურ“ ასლებს უწოდებდა.

— თქვენი დახასიათება ბარათაშვილის ლირიკისა სრულიად არ  
ეთანხმება ამ თარგმანებს! — მითხრა ერთხელ ტინიანოვმა. განსაკუთ-  
რებით არ მოსწონდა მას „მერანის“ არსებული რუსული თარგმანება..

— გამიკეთეთ ამ ლექსის მეტრული სქემები, რომლის მიხედვით  
მიხეილ ლოზინსკი შესძლებს ტექსტის რიტმის თავისებურების გად-  
მოცემას! — დასძინა ტინიანოვმა.

ეს დავალებაც მას უმაღვე შევეუსრულე.

როცა ი. ტინიანოვი გაეცნო გრ. ორბელიანზე ჩვენს შენიშვნებს,  
თქვა:

— ასეთი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე მწერალზე შეიძლება  
მთელი რომანი დაიწეროს.

საქართველოში ორჯერ ჩამოსვლამ (მისი მეორედ ჩამოსვლის დროს თბილისში არ ვიყავი) და ქართველ მწერლებთან ურთიერთობამ იური ტინიანოვს უფრო შეაყვარა ჩვენი ქვეყანა, გამსჭვალა იგი ამ ქვეყნის კულტურისადმი ღრმა პატივისცემით. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა ლიტერატურულადაც, აგრეთვე ქართველ მწერლებთან ნიშნულად...

ი. ტინიანოვმა არამარტო შესანიშნავი რომანი დაწერა კიუხელბეკერზე, არამედ მთელი რიგი გამოკვლევები უძღვნა მის შემოქმედებას, ბრწყინვალედ გამოსცა პოეტი-დეკაბრისტის თხზულებანი. 1938 წელს ლენინგრადში მისი რედაქციითა და შესავალი წერილით გამოვიდა კიუხელბეკერის ლექსად დაწერილი ტრაგედია „Проконий Ляпунов“, ხოლო 1939 წელს მისი რედაქციით და შესავალი წერილით გამოქვეყნდა პოეტის „ლექსები“ („პოეტის ბიბლიოთეკის“ მცირე სერია), აგრეთვე იმავე წელს — „ლექსები და პოემები“ („პოეტის ბიბლიოთეკის“ დიდი სერია) ვრცელი შესავალი წერილითა და შენიშვნებითურთ. ამ წიგნის I ტომში, სხვათა შორის, დაბეჭდილია კიუხელბეკერის პოემა „იური და ქსენია“ (1832), რომლის ეპილოგის გამო ი. ტინიანოვი წერს შესავალ წერილში (იგი გაზრცობილი ვარიანტია „მცირე სერიით“ გამოცემული წიგნის შესავალი სტატიისა): «В эпилоге — воспоминание о Грибоедове и «прекрасном Гурджистане» (გვ. 6.) თვითონ კიუხელბეკერის ფრაზა კი ასე უდერს (გვ. 356): «Опять я гость твой, Гурджистан прекрасный».

აღსანიშნავია, რომ კიუხელბეკერი სხვაგანაც ახსენებს საქართველოს ამ ორიენტალური ფორმით. მაგ. ფრაგმენტში «Начало поэмы о Грибоедове» ნათქვამია: «Сопровождал Сардара (იგულ. ბაბახანი, ა. გ.) он с ним приехал из Гурджистана». ეს ორიენტალური ფორმები გასაკვირი არაა, კიუხელბეკერი თვითონ გრიბოედოვის სახელსაც ამგვარი ფორმით გადმოგვცემს—Исандер, რაც „ისკანდერ“-ს ანუ „ალექსანდრეს“ უდრის, — პოეტი იცავს აღმოსავლურ კოლორიტს. კიუხელბეკერი, რომელიც 1821 — 1822 წ.წ. მსახურობდა თბილისში ერმოლოვთან, კარგად იცნობდა საქართველოს და მის გეოგრაფიას. მაგ. იმავე ფრაგმენტში პოეტი წერს:

Там где Эдем чрез утас(?) ада.

Арагу катит Кашаур (-კაშაურს.ა. გ.)

ლექსში „А. С. Грибоедову“ მას დასახელებული აქვს „ანანური“ და ა. შ.

ი. ტინიანოვი დეკაბრისტი კიუხელბეკერის ლიტერატურული და ზოგრაფიული ტრაგედიის გამო წერს:

«Пребывания Кюхельбекера в Грузии, давшие ему новые творческие силы, закончились, впрочем, скоро».

ტინიანოვმა კარგად გვიჩვენა კიუხელბეკერის საქართველოში ყოფნის პერიოდი, მისი ურთიერთობა ქართულ ინტელიგენციასთან (მაგ. ქავჭავაძეებთან და სხვ.) არა მარტო თავის განთქმულ რომანში, არამედ სპეციალურ გამოკვლევებშიაც კიუხელბეკერზე.

19

ჩემს წინ დევს „ლიტერატურნაია გაზეტა“-ს ნომერი 1937 წლის 26 დეკემბერის თარიღით. იგი მიძღვნილია რუსთაველის იუბილესადმი. პირველ გვერდზე დაბეჭდილია იური ტინიანოვის წერილი „მსოფლიო მნიშვნელობის თარიღი“. აი, მისი ქართული თარგმანი.

„საბჭოთა ქვეყანამ ამ წელს იზეიმა ასი წლის ხსოვნა პუშკინისა. ამჟამად იგი იზეიმებს მეორე დიდ იუბილეს — შოთა რუსთაველის 750 წლისთავს. ამ დღეებში ჩვენი ქვეყანა მსოფლიო მნიშვნელობის თარღებს დღესასწაულობს. დიადმა ქართულმა ეპოსმა საუკუნეებიდან ჩვენამდე მოიტანა მთელი თავისი ძალა, სიცოცხლე და მომზიბვლელობა.

მსოფლიო პოეზიაში მე არ ვიცი უფრო მარადიული, უფრო უქნობი: ქალური სიტყვები, ვიდრე ნესტან-დარეჯანის წერილი თავისი რაინდისადმი, ვიდრე იაროსლავნას ტირილი პუტილოვ-გრაფში ქალაქის ქონგურზე, ვიდრე ტატიანას წერილი ონეგინისადმი.

წარსულში რუსულ ლიტერატურას არ შეეძლო მჭიდროდ დააბლოებოდა დიად პოემას, შეეცნო იგი.

მართალია, წარსულში იყო ცდები, მაგრამ გაუბედავი: ძველი რუსი პოეტები უახლოვდებოდნენ არა თვით პოემას, არამედ ლეგენდებს მასზე და მის შემოქმედზე (ასეთია, მაგალითად, პოლონსკის ლექსი „თამარი და მისი მომღერალი შოთა რუსთაველი“. 1851 წლისა).

მხოლოდ ახლა, ჩვენს ეპოქაში, რომელმაც კავშირის ხალხებისთვის აღმოაჩინა მათივე სიმდიდრე, რუსთაველი შედის რუსული ლიტერატურის სისხლსა და ხორცში.

ოდესღაც პუშკინის მეგობარი დეკაბრისტი წერდა რუსულ ენაზე, რომ იგი „უმდიდრესი და საამურია ყველა ევროპულ (ენათა) შორისა“, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეპოქის მეშვეობით გადაიქცა ჩვენი ენა მსოფლიო ენად. რუსი პოეტების წინაშე, მთელი საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დგას საპატიო და სასიხარულო მოვალეობა დიდი ქართველი პოეტის სრულყოფილად თარგმნისა.

დე, ნესტან-დარეჯანი იქცეს იაროსლავნასა და ტატიანას დად.

ი უ რ ი ტ ი ნ ი ა ნ ო ვ ი ი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ი. ტინიანოვს 1933 წელსაც აინტერესებდა რუსთაველის ქმნილების რუსულად თარგმანის საკითხი და ამის თაობაზე მას თბილისელ მეგობრებთან არა ერთხელ ჰქონია საუბარი. ვიცი, რომ ამ საქმისათვის ყველაზე ღირსეულ პირად მას მიხეილ ლოზინსკი მიაჩნდა, რომელიც მზად იყო კიდევაც პოემის თარგმნას შესდგომოდა. რატომ შეფერხდა ეს საქმე — ჩემთვის უცნობია.

ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი დეტალიც მოვიგონო.

ტ. ტაბიძისაგან გაეგო ტინიანოვს, რომ მე ქართული ლექსის პრობლემებზე ვმუშაობდი. ჩვენი პოეტი პირადად დაესწრო ჩემს მოხსენებას ქართული ვერსიფიკაციის შესახებ 1929 წელს, მწერალთა სასახლეში (სხდომას თავმჯდომარეობდა ს. ჩიქოვანი). თვითონ ი. ტინიანოვი ლექსის პრობლემის შეუღარებელი მცოდნე და თეორეტიკოსი იყო, მეტიც — ამ პრობლემებით დაინტერესება მას სიკვდილამდე გაჰყვა (30 წლისა იგი უკვე პროფესორი იყო, როგორც პოეზიის ინტორიკოსი და თეორეტიკოსი). ვ. შკლოვსკი იგონებს, რომ ღრმა ავადმყოფობის დროსაც, სარეცელზე მიჯაჭვული, ცნობიერების დაფერფლის პერიოდში, ტინიანოვი მაინც ამ საკითხებზე ფიქრობდა:

«Сознание возвращалось. Он начинал говорить о теории стиха» (კრებული «იური ტინიანოვი», 1966, გვ. 71).

ტინიანოვი — მთარგმნელი კარგად იყენებდა თავის თეორიულ ცოდნას: «Версификатором он был превосходным. Это видно по его переводам из Гейне» — წერს კორნეი ჩუკოვსკი (იქვე, 118).

მაგრამ ტინიანოვს ხალხით შეგებო საუბარი ამ საკითხებზე მხოლოდ მცოდნესთან. და როცა იგი იწყებდა პუშკინის ოთხტერფიან იამბში პეონების როლის დახასიათებას, მას სიამოვნებას ჰგვრიდა ის გარემოება, რომ მისი მსჯელობის სფერო ჩენთვის არ წარმოადგენდა terra incognita-ს. აქი ილია ერენბურგი იგონებს:

«Меня сердило, что Юрий Николаевич ссылался на какие-то «синкопические пэоны», а я не знал что это значит и боялся показать свое невежество». (იხ. იმავე კრებულის გვ. 183).

მე ბედნიერება მქონდა მრავალჯერ მესაუბრა მასთან ქართულ ლექსზე, ამ ლექსის მეტრული სქემის ერთ-ერთ ტერმზე, პეონზე და ისიც რუსთაველის პოემასთან და ნ. ბარათაშვილის „მერანთან“ დაკავშირებით. იგი კი ზშირად იმეორებდა, რომ საჭირო იყო ყველაფერი ეს წინასწარ გაეგო მ. ლოზინსკის, რომელმაც შემდეგ „მერანის“ თარგმანში მართლაც დაიცვა აღნიშნული მეტრული ნორმა იმ სქემების მიხედვით, რომელიც ტინიანოვს გადავეცი (ხოლო ვეფხისტყაოსნის თარგმნა კი, როგორც ვთქვი, ვერ განახორციელა ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო).

ტინიანოვის შეხედულებანი ლექსის შესახებ ერთ-ერთი საფუძვე-

ლია ჩვენი „ქართული კლასიკური ლექსის“ (1953) მეთოდოლოგიური ნაწილისა. ლექსის არც ერთი თეორეტიკოსისაგან არა ვარ ისე დიდად დავალებული, როგორც მისგან.

## 20

1939 წელს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ მე-7 ნომერში დაიბეჭდა ჩემი ვრცელი წერილი „იური ტინიანოვი“. შემდეგ ის გადაიბეჭდა ჩვენს კრებულებში „წიგნები და ავტორები“ (1941) და „ჩვეული ნაწერები“ (ტ. I, 1962).

წერილი ტინიანოვის პროზას ეხებოდა. იგი ქართულ ენაზე ერთადერთი ნაშრომია მწერლის შემოქმედებაზე. მისი არსებობა ტინიანოვმა იცოდა.

და რამდენი სიყვარულია სტატიაში გამოქვეყნებული დიდი რუსი მწერლისადმი, რომელმაც 50 წლის ასაკსაც ვერ მიაღწია...

იური ტინიანოვი გარდაიცვალა განუკურნებელი სენისაგან 1943 წლის 20 დეკემბერს მოსკოვში. ეს დიდი დანაკლისი აღნიშნა „ლიტერატურნაია გაზეტამ“ 1943 წ. შესანიშნავი ნეკროლოგი უძღვნა მას ვ. შკლოვსკიმ («Памяти Юрия Тынянова». «Знамя», 1944, № 1 გვ. 210). დეკემბრის თვეშივე დაწერილი ჩვენი ნეკროლოგი დაიბეჭდა 1944 წლის გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნება-ს“ 7 იანვრის ნომერში. ამ სტრიქონების ავტორის მაშინდელი მწუხარება მასში მხოლოდ მიახლოებით იყო გადმოცემული. განცდილი კატასტროფის მნიშვნელობა კი გაცილებით ღრმა იყო და დღესაც ასეთად რჩება: ჩვენ მოკლებული ვართ სიხარულს — იური ტინიანოვის მიერ პუშკინის საქართველოში ყოფნის პერიოდის მხატვრულად ასახული პასუხების წაკითხვისა.

თავისი ცხოვრების მთავარი მიზანი — რომან „პუშკინის“ დამთავრება — იური ტინიანოვს განუხორციელებელი დარჩა.

1974

## უკვდავება

(ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო)

რამდენიმე მომენტის გახსენება მამბეღინებს ზაქარია ფალიაშვილის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავ იუბილეთან დაკავშირებით ორიოდ ჩიტყვის თქმას. ის — რამდენიმე მომენტი — მგონი ნა-

262

წილობრივ მაინც გეისურათებს დიდი ქართველი კომპოზიტორის მნიშვნელობას მთელი ჩვენი თაობისათვის.

1922 წელს სოფლიდან ჩამოსული ყმაწვილი აღმზრდელმა ბიძამ შემოიყვანა შეგირდად ყოფილ მეორე გიმნაზიაში. აქ ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა პეტრე მირიანაშვილი, ცნობილი ლიტერატორი და „აბესალომ და ეთერი“ ლიბრეტოს ავტორი. იგი ხშირად გვიანბობდა მოწაფეებს ზაქარიასთან თავისი მუშაობის ცალკეულ ეპიზოდებს, ხაზს უსვამდა მუსიკოსის ჰირვეულ ხასიათს, თუმცა ჩვენთვის მთლად ცხადად არ ჩანდა, ვინ იყო ნამდვილი ჰირვეული — კომპოზიტორი თუ ლიბრეტოს ავტორი. ამდენი გაგების უნარი არ გვქონდა და მოსმენილი უნდა დაგვეჩვენებინა. ყოველ შემთხვევაში პეტრე მირიანაშვილი ამაყობდა, რომ გენიალური ქმნილებებს შექმნაში ეგზომ მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა შეტანილი და გვიჩვენდა „აბესალომ და ეთერი“ უეჭველად ყველას მოგვესმინა.

ოციანი და ოცდაათიანი წლების თბილისის ქართული საზოგადოება ზაქარია ფალიაშვილის ჰანგებით იყო დატკბობი. ახალგაზრდობა მასობრივად ეტანებოდა მის ოპერებს და ამ სტრაქონების ავტორსაც, მაშინ სრულიად ყმაწვილს, მალე აუხდა ოცნება: „აბესალომ და ეთერი“ მოვისმინე იმავე 1922 წლის საოპერო სეზონში. ეს კი ჩემთვის თავისებურად სასიამოვნო ვითარებაში მოხდა.

\* \* \*

ჩვენ ვცხოვრობდით ყოფილი ანასტასიევის (ახლანდელი პეროვსკაის) ქუჩის № 7-ში. ბიძასთან ხშირად იკრიბებოდნენ მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები. თავშესაქცევად ხშირად ქალაქს თამაშობდნენ. მათ შორის დაინახვდით ერთს ჩემს მოგვარეს და ცნობილ მეღვინეს, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის დიდ თაყვანისმცემელს, რომელიც ბიძასთან თითქმის ყოველ საღამოს შემოვივლიდა. იგი მდიდარი მემამულე მაგნატის შვილი იყო. აგრონომიული განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული. უკვე ხანდაზმული გახლდათ, მაგრამ ძალიან იმპოზანტური გარეგნობა ჰქონდა. ტიპური კომ ილ ფო. ზონარიანი სათვალე დიდად უხდებოდა. ჰუმანიტარული ცოდნის სფეროშიაც ჩინებულ განსწავლულობას ამჟღავნებდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მოუსმენია (მგონი ქ. ლიონში) ცნობილი აჩქეოლოგისა და ენათმეცნიერის მიშელ ბრეალის ლექციები (ამ მეცნიერის ვინაობა გვიან შევიტყვე, სხვათა შორის მისი ასული რომენ როლანის პირველი მეუღლე ყოფილა). „ო, მიშელ ბრეალ!“ — წარბეზის აწევით წარმოთქვამდა ხოლმე და ამით მიგვახვედრებდა, რომ ვილაც დიდ კაცს პირადად იცნობდა.

და აი, ერთხელ, სალამოთი, როცა ჩემს მოგვარეს სათამაშო ქალღმერთის ნაკრები ეჭირა ხელთ და მათ გრაციოზულად შლიდა ლამაზი ფრინველის ფერადოვან ბოლოსავით (თანაც სათვალესთან ახლოს მიქონდა ისე მოხდენილად, გეგონებოდათ, კარმენიკ ვერ დაიჭერდა უფრო კარგად მარაოს!), ანაზღეულად ჩემსკენ გადმოიხარა (სათვალეს ზონარი ლაწვზე მომხვდა) და ოდნავ გასაგონად ჩამიჩურჩულა: თუ ამ სალამოსაც მოვიგებ, ყველას შენ გაჩუქებ და ოპერაში წადი, ასე რომ ოცნებობო!

ჩემმა მოგვარემ (ისიც არაპირდაპირი შტოთი ბიძად მერგებოდა) იმ სალამოსაც მოიგო. რამდენიმე დღის შემდეგ კი სოფლელი ყმაწვილი ოპერის თეატრის პარტერის მეფხუთმეტე რიგში ვიჯექი (კარგად მახსოვს) და „აბესალომ და ეთერს“ ვისმენდი. ასე ადრე ვეზიარე ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ჰანგებს. რა თქმა უნდა, გაოგნებული ვიყავი. ან ვის არ მოაჯადოებდა სარაჯიშვილისა და ინაშვილის სიმღერა.

\*

კარგად მახსოვს „დაისის“ პირველი დადგმაც, ხოლო როცა ვანო სარაჯიშვილის სამგლოვიარო კორტეჟი მივაცილეთ მწერალთა კავშირიდან ოპერამდე, შენობის აივნიდან გაისმა ეთერის როლის შესანიშნავი შემსრულებლის, პოპოვას სამგლოვიარო არია მაროსი — „მწუხრი დაიწყო“. ამ არიის ავტორთან ერთად მთელი თბილისი იყო შეძრული ზაქარია ფალიაშვილის ოპერების მთავარი როლებს ეოკალური და სცენური მხრივ უბადლო განმასახიერებლის უდროოდ დაკარგვით.

ვიგონებ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ 1925 წლის 19 აპრილს (ე. ი. 46 წლის წინათ) მაშინდელი განათლების კომისარიატის მიერ დაარსებულ მოწაფეთა განათმობის დაეპქდე სტატია „ზაქარია ფალიაშვილი (მისი საქმიანობა ასპარეზზე 30 წ. მოღვაწეობის განმავლობაში)“. ადვილი წარმოსადგენია იმ წერილის „პროფესიული დონე“. მაგრამ ეს ბავშვური ტიტინი დიდი კომპოზიტორისადმი მაშინდელი მოწაფეების საყოველთაო სიყვარულისა და აღფრთოვანების თუნდაც უმწეო გამოხატულებას წარმოადგენდა. ამასთან, ხელოვნების ყოველი დიადი ქმნილება, თვით ყმაწვილობის პერიოდშიაც, ისევე ეუფლება არაპროფესიონალ მსმენელს, როგორც მაგალითად, გენიალური ლექსი — ვერსიფიკაციის კანონების არმცოდნეს!

და ბოლოს, აღმზრდელი ბიძის ბინაში ერთხელ შემთხვევით შემოიარა თვითონ ზაქარია ფალიაშვილმა პროფესორ ღამბარაშვილთან ერთად, რომელიც ჩვენი ოჯახს ერთი ავადმყოფი წევრის გასასინ-

ჯად იყო მოწვეული. კომპოზიტორი სკამზედაც არ დამჯდარა (მას და-  
დამბარაშვილს სადღაც მიეჩქარებოდათ). უჩვეულოდ მოძრავი და  
თითქოს მბორგავი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. შემდეგაც  
სულ ასეთისათვის მომიკრავს თვალი რუსთაველის გამზირზე. ეს ის  
დრო იყო, როდესაც ხსენებულ გამზირზე დაინახავდით ვასილ  
ბარნოვსა და დავით კლდიაშვილს, ზაქარია ფალაშვილსა და ვანო სა-  
რაჯიშვილს, ივანე ჭავჭავაძის შვილსა და გრიგოლ წერეთელს, სუმბათა-  
შვილ-იუჟინსა და მიხეილ ჩეხოვს, გალაკტიონ ტაბიძესა და ანდრეი  
ბელის, სტანისლავსკისა და კაჩალოვს, სტეფანე კუზნეცოვსა და მარია  
ბაბანოვას... ამ სახელთა ჩამოთვლაც კმარა.

ისტორიამ იცის პერიოდები, როცა იგი უნიკიერესთა რთველია  
ათრობს უმაღლეს ნექტარზე დაწაფებულთ, თუმცა ისტორიას მომ-  
ხიბლავი ფეიერვერკებით განათებული არემარის უნიათო პეიზა-  
ჟით შეცვლაც სჩვევია (როცა მოცარტისა არაფერი ისმის, ხოლო მეტ-  
წილად სალიერები ხმაურობენ და ზემობენ).

• \*

ზაქარია ფალაშვილის ცხოვრების გზა არ ყოფილა ია-ვარდით  
მოფენილი. თავის დროს მასაც გამოუჩნდნენ მტრები და გასაკვირი ამა-  
ში არაფერია, — არავის ისე გააფთრებთ არ ებრძვიან, როგორც ნი-  
კიერებს (ფლობერა: „უნიკო ნაწარმოებზე პაროდია არასოდეს არ  
დაწერილა, რადგან იგი თვითონაა პაროდია“). ჩვენ არაერთხელ მო-  
გვისმენია ზოგიერთ „მუსიკოსსაგან“ „აბესალომ და ეთერის“ გენე-  
ალური მესამე მოქმედების გამო: „ეს მღვდლების შესაფერი საეკლე-  
სიო მუსიკაა“; (თითქოს ეკლესიაში ლიტურგიას არასოდეს არ ახლდა  
ამაღლებული მუსიკა!); მაჩინის ცნობილ არიაზე ყბედობდნენ: „ეს  
რუბული კამერული რომანსების იმიტაციაა“; ერთი ეპეატონი დაე-  
ნებით გაიძახოდა „დაიას“ უვერტოლბის გამო: „ეს ჩამორჩენილო-  
ბაა, პრიმიტივია!“ და ა. შ. ამ „სექვტოკსებს“ არაფრით გაუხარებო-  
ათ ქართველი ხალხი. ზ. ფალაშვილის გამარჯვება მათ წინაშე იმი-  
თაც გამოიხატა (და ეს გარემოება ერთხელ ნიკიერმა ვიქტორ დოლი-  
ძემ კონსერვატორიის ტრიბუნლიდან იწინასწარმეტყველა!); რომ ყველა  
ისინი სამარის კარამდე სწორედ ზაქარია ფალაშვილის „თავო ჩე-  
მოს“ მელოდიით გააცილეს მექიანურეთა მცირე გუნდებმა.

კულტურის ყველა სფეროში ცნობილია: სადაც ერთი ნიკიერია,  
იქვე მისი ანტიპოდია ატუზული, თანაც — თანმიმდევრულად „სასტი-  
კი“ ანტიპოდი! დეაწლ მოსილიხ მხარდამხარ დეარძლ მოსი-  
ლი მოგზაურობს; ქრისტეს გვერდით — იუდაა, მოცარტის გვერდით  
კი — სალიერი; ივანე კარამაზოვის უკანონო ძმა — სმერდიაკოვია და  
ასე დაუპარულებლად.



ბევრს ახლავს როგორ უმწეოდ იცავდა თავს ჩვენი დიდებული ზაქარია ფალიაშვილი გარშემოსულ მტრებისგან. ანალოგიური მოვლენები ციკლიურად მეორდებიან ყველგან და ყოველ დროს, რადგან სხვისი ნიჭიერებით გახარება რჩეულთა თვისებაა. მოშურნეთა მიზანი მხოლოდ ერთია — ღირსეულთ გუნება გაუფუჭონ.

\*

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკამ ქართული პოეზიის შედეგები კონკრეტული მუსიკალური ინტერპრეტაციის მასალად აქცია. ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ გრანდიოზული ქორალივით ეღერს; ხოლო ვაჟს „დამისხი, დამალევი“ — ვაჟკაცობის შეუდარებელი ვოკალური დემონსტრაციაა.

უმაღლესი მუსიკალური ხარისხი შესძინა ზაქარია ფალიაშვილმა აკაკი წერეთლის მელოდიურ პოეტურ ქმნილებებს, რომელნიც „ნათელ ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას გასდევნენ“ (ლ. დონაძე), ქართული პოეზია უსახლეროდ ბევრითაა დავალებული „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ ავტორისაგან.

ს. ტანუაშვილის მოწაფე, რომელთანაც იგი კონტრაპუნქტის ხელოვნებას ეუფლებოდა, თვითონ აღმოჩნდა ქართული ხალხური პოლიფონიური მუსიკის შეუდარებელი რეალიზატორი და კონტრაპუნქტის ხელოვანი. მან ერთბაშად აიყვანა მსოფლიო მუსიკალური კულტურის დონეზე ქართული საოპერო ხელოვნება. ჩვენი მუსიკისმცოდნეები სწორად აღნიშნავენ, რომ ზ. ფალიაშვილმა პირველმა დასძლია „ეთნოგრაფიზმი და ეკლექტიზმის ეპიგონური ფორმები“. ამჟამად ელემენტარულ ჰემმარიტიბადაა ქცეული ის აზრიც, რომ ქართული გუნდური სიმღერების კულტურას შეეძლო წარმოეშვა ისეთი საკვირველი რამ, როგორცაა „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება; ისიც მართალია, რომ ვოკალური ხელოვნების კომპოზიტორი — ვირტუოზი, რომელსაც გამოჩენილმა რუსმა მუსიკოსმა გუბერმა „ხმების ბეთპოვენი უწოდა“, სიმფონიზმის სფეროშიც სწორედ თავის ოპერებში აღწევს უმაღლეს მწვერვალებს: „დაისის“ უვერტიურის მოსმენა ხომ ყოველდღიურად შეიძლება, თანაც იგი ყოველთვის ემოციურად გამდიდრებთ.

ზ. ფალიაშვილის ოპერები, ეგზომ ხალხური და ამასთან უმაღლესი პროფესიონალიზმით აღბეჭდილნი, უაღრესად „ზოგადკაცობრიული აღმოჩნდნენ თავისი ჰუმანიზმით“, რის გამოც ისინი „მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებათა რიცხვში შედიან“ (ლ. დონაძე).

მაგრამ ზ. ფალიაშვილის ოპერების სტრუქტურულ-მუსიკალური სტილის ანალიზი მუსიკათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება და მასზე საუბარი ჩვენი მხრით უხერხულია. ზ. ფალიაშვილს ისევე გამოუჩნდება ალბერტ შვაიცერი, როგორც იოჰან სებასტიან ბახს გამოუჩნდა იგი.

ქართულ ხელოვნებაში ვაჟა-ფშაველას შემდეგ მხოლოდ ზაქარია ფალიაშვილის მუსიკამ აამბეკველა ჩვენი ხალხის მითიური ლეგენდების უძველესი პლასტები და ზაქარია ფალიაშვილი ისევე დიადია თავისი მუსიკალური ენოსით, როგორც ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძლითა“ და „ალულა ქეთულაურით“.

XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაში არც ერთი ძეგლი არ ამართულა ისე მაღლა, როგორც „აბესალომ და ეთერი“. ამ ეპოქის არც ერთ დარგში არ მოეძებნება მას ბადალი.

არც ერთ დარგში!

„აბესალომ და ეთერი“ — ჩვენს დროის სვეტიცხოველია!

რადგან ჩვენს დროში არაფერი შექმნილა „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ უფერტიურის მსგავსად, — ისინი ქართველი ხალხის მარაგობაში უკვდავების პასპორტებად გამოდგებიან.

სანწუხბაროდ, ფრესკებიც ზუნდებიან და ყველა ქვა-კირითა და ფილადით ნაგებ შენობებსაც დახრავს დრო.

ვენეცია იძირება ეროზიის გამო, და ვინჩის „ჯოკონდა“ ოდესმე მთლად გაშავდება.

„აბესალომ და ეთერს“ პლანეტის აღსასრულამდე არ უწერია ასეთი ეროზია, მის კედლებსაც ვერაფერი შემუსრავს, არც ერთი ორნამენტი არ მოსწყდება ამ ოპერის ფასადს ან მის გუმბათს.

„აბესალომ და ეთერის“ ინტერიერში არც ერთი ბოძი არ წაიქცევა. იქ არც ერთი ფრესკა არ გახუნდება.

ერთი ქართველიც თუ დარჩება დედამიწაზე, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა მოაგონებს მას, თუ როგორი დიდი კულტურის მატარებელი იყვნენ მისი წინაპრები.

ზაქარია ფალიაშვილის გაუხუნარი სილიადის საწინდარიც ესაა.

ეს წერილი, ისევე როგორც ჩემი მოგონება ვანო სარაჯიშვილზე (1944), მეორე გამოჩენილ ქართველ მომღერალს შეეხება და გარდასულ მოგონებათა და შთაბეჭდილებათა აღდგენის ცდას წარმოადგენს.

• •

შორიდან უნდა დავიწყო.

1922 წელს პირველად ჩამოვედი თბილისში სასწავლებლად.

ჩვენს ოჯახში თეატრის ნამდვილი კულტი იყო გამეფებული. დედაჩემი თვითონ იყო მსახიობი, იგი ქ. ფოთში გამოდიოდა სცენაზე და თავის დროს (1910-იან წლებში) მაცურებელთა პატივისცემა და უწყაახურებია. ყოველივე ამან სიყრმიდანვე ჩამინერგა მსიყვარული ხელოვნების ამ დარგისადმი და დედაქალაქში მოხვედრის უმაღლეს თბილისის საოპერო და რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრებს მუდმივი მაცურებელი გავხდი.

ამ ხანებში, 1924—1925 წლებში, თბილისში იბეჭდებოდა გაზეთი „მოწაფის ხმა“, რომელსაც განათლების კომისარიატი სცემდა. ამ გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი-მოწაფე მეც ვიყავი და საგანგებო სტატიებით გამოვეხმაურე, მაგალითად, ზაქარია ფალიაშვილისა და ნინო ჩხეიძის მოღვაწეობის საიუბილეო თარიღებს.

არასოდეს დამავიწყდება პირველი მოსმენა „აბესალომ და ეთერისა“ 1923 წელს. ოპერას დირიჟორობდა თვითონ ავტორი, სპექტაკლში მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, პოპოვა და სხვები.

ეს იყო 40 წლის წინათ...

მარადი მადლობა ზაქარია ფალიაშვილს! მისი ოპერა სვეტიცხოველივითაა აღმართული ქართული კულტურის ისტორიაში.

მარჯანიშვილის გამოჩენამდე კი რუსთაველის თეატრში ვნახე „ვიდრე ხვალ უფალო“ და ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“. 1925 წელს მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლებს ვესწრებოდი, შემდეგ კი — მეორე სამხატვრო, მცირე, თაიროვისა და მეიერხოლდის თეატრების სპექტაკლებს. მოკლედ: წარმოდგენებით გატაცება დიდხანს შემრჩა და ახლაც დიდი სიამოვნებით ვიგონებ ნ. ჩხეიძის მედეას, სუმბათაშვილ-იუჟინის ოტელოს, სტანისლავსკის კრუტიცკის, კაჩალოვის, მოსკვინის, უნიჰიერესი სტეფანე კუზნეცოვისა და მიხეილ ჩეხოვის, მარია ბაბანოვას, ჩებანისა და ძმები ადელგეიმების მიერ განსახიერებულ სცენურ სახეებს, აგრეთვე საკვირველი იან კუბელიკის ვიოლინოს და სობინოვის სიმღერას...

როგორც ხედავთ, იმ ბედნიერ თაობას ვეკუთვნით, რომელიც სცენის ამ შესანიშნავ მოღვაწეთა პლედის სრული დავაუკაცების და, სამწუხაროდ, დაფერფვლისა და გარდასვლის მოწმე ყოფილა.

ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა სცენის ფარდა გრძნეულად ირხეოდა ჩვენს თვალწინ და როცა ქაბუჯის მიამიტ და მეოცნებე გონებას ათასგვარი ფანტასმებით დასახლებულ ქვეყნად მიაჩნდა რამბის გაღალმნა მხარე.

\* \*

20-იან წლებში თბილისის ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას ჰყავდა სათაყვანებელი მომღერალთა შორის. ეს იყო ვანო სარაჯიშვილი. იგი ყველას პირველი სიყვარულით გვიყვარდა და ვერ წარმოგვედგინა თუ ოდესმე ვინმე მის მაგივრობას გასწევდა ოპერის სცენაზე. ამიტომ ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალება ნამდვილად თავზარდამცემი აღმოჩნდა იმათთვის, ვინც მისგან დამტკბარი და შთაგონებული იყო.

უამრავ ხალხთან ერთად მეც გადავიტანე სარაჯიშვილის სამგლოვიარო კორტეჟის მთელი სიმძიმე: ახლო მივდევდი მის კუბოს და მაინც ლამის არ გავისრისე. ახლაც ყურში მიწივის პოპოვას მიერ შესრულებული მაროხ გამოსათხოვარი არია „დაისიდან“, ოპერის აივნიდან ნამღერი.

ყველას გვეგონა, რომ საოპერო სცენა სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით დაობლდა და ყოველგვარი ფიქრი იმაზე, რომ აუდიტორია მალე შეურიგდებოდა ვანო სარაჯიშვილის მთავარი როლების ახალ შემსრულებელს — სრულიად გამორიცხული იყო.

მაგრამ საკვირველი რამ მოხდა, რის მიზეზიც ნიკო ქუმსიაშვილი გახლდათ.

\* \*

ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, სულ ათიოდე დღე თუ იქნებოდა გასული, რომ აფიშებმა აუწყეს საზოგადოებას ახალი მომღერლის გამოსვლა „დაისში“.

მე კარგად მახსოვს, თუ როგორ სულგანაბული ელოდა ხალხი ნიკო ქუმსიაშვილის გამოჩენას მალხაზის როლში. შესძლებდა კი იგაეს-ესაა მიწას მიბარებული ბულბულის შეცვლას?! ასეთ სექსტიციზმს ხომ საკმაოდ დიდი საფუძველი ჰქონდა, განსაკუთრებით იმ დიდი გლოვის შემდეგ, რაც ვანოს უდროოდ დაკარგვამ გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში და, საერთოდ, იმ ლეგენდარული სახელისა და დიდების

გამო, რითაც მოსილი იყო ფალიაშვილის ოპერების უბადლო შემსრულებელი.

და ყველანი სასწაულის მოწმენი გავსდით: ნიკო ქუმსიაშვილმა უცბად დაიპყრო აუდიტორია, რომელმაც აღტაცებით მიიღო მისი პირველივე გამოსასვლელი სიმღერა „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ“, ხოლო დიდი სითბოთი ნამღერი „თავო ჩემო“ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

მსგავსი რამ, ვფიქრობ, ქართული ოპერის ისტორიამ საერთოდ არ იცის.

იგივე განმეორდა აბესალომში ნიკო ქუმსიაშვილის გამოსვლის დროსაც.

ზაქარია ფალიაშვილმა მაშინ ალბათ შეგებით ამოიხუნთქა — მისი ქმნილებების ვოკალური გახმინების საქმე გულარჩენილად ჩათვალა! თანაც აძკარა იყო, რომ ახალგაზრდა მომღერალი წინ წავიდოდა და თავისი სიმღერის კულტურასა და სტილს უფრო დახვეწდა და სრულყოფილს გახდიდა.

ნ. ქუმსიაშვილის გამარჯვებას ჩემს მიერ ზემოთ მოხსენებული გაზეთი „მოწაფის ხმა“ გამოეხმაურა.

\*

ნიკო ქუმსიაშვილს მდიდარი ხმა ჰქონდა, ფართო დიაპაზონის ლირიკულ-დრამატული ტენორი, სრულიად განმჯივრვალე დიქციითა და ფრაზირებით, რაც ასე იშვიათია ხოლმე. მე არ მაცხოვს რომელიმე მუსიკალური პიესა სიტყვების რელიეფის მიჩქმალვით ემღეროს ნიკო ქუმსიაშვილს, რაც ხშირად მიგრძნია მშვენიერი bel-canto-ს მქონე მომღერლების მოსმენის დროს. ამასთან სრულიად მართებულად აღნიშნავენ, რომ ნიკო ქუმსიაშვილი ჩინებულად ფლობდა მაღალ ნოტებზე ფილირების ოსტატობას, რაც მომღერლის თავისთავზე საფუძვლიან მუშაობას მოწმობდა. ყოველივე ამან გაუადვილა მას რუსულ და უცხოურ რეპერტუარში წარმატებით გამოსულიყო შემდეგში.

ერთ-ერთი შესანიშნავი თვისება ნიკო ქუმსიაშვილის ვოკალური ხელოვნებისა იმამაც მდგომარეობდა, რომ იგი სრულიად ბუნებრივი ძალოვნების დემონსტრაციას ახდენდა: არასოდეს არც მომღერალს შეშინებია, არც მის მსმენელს, იგი თვითონ ფლობდა ყოველგვარ ნოტს და არა პირიქით. ნ. ქუმსიაშვილის სიმღერის სტიქიურ ძალას უშუალოდ მიჰყავდით და იგი არასოდეს ჰბადებდა თქვენში სუბიექტურად ნავარაუდები შიშის მოლოდინს რომელიმე მუსიკალური ფრაზის ღირსეულად დამთავრების გამო. მომღერლის ძლიერი მკერდი და

ვოკალური შესაძლებლობანი საამისო სრულ გარანტიას წარმოადგენდა.

და, მაინც, ჩემთვის, არა პროფესიონალი მსმენელისა და უბრალო მაყურებლისათვის, ნ. ქუმსიაშვილის სიმღერაში მიმზიდველი იყო უმთავრესად მისი ხმის ტემბრის ქართულობა, ამ ხმის თავისებური, ჩვენებური კოლორიტი, რომლითაც იგი ძირითადად ვ. სარაჯიშვილის გზის გამგრძელებლად მოევიდნა ოპერას. ნიკო ქუმსიაშვილი სახელდობრ ქართველი მომღერალი იყო, ამ ცნების სპეციფიური გაგებით: მას ბუნებისაგან ჰქონდა მიმადლებული ისეთი ხმის სიმები, რომლებიც ქართული იერის ვიბრაციას გამოსცენდნენ.

ნიკო ქუმსიაშვილი თვითონაც ტიპური ქართველი იყო, აღჭურვილი მისი ხალხის საუკეთესო და კეთილშობილური თვისებებით, მოკლებული ყოველგვარ პოზას და ბევრი თეატრალისათვის დამახასიათებელ და ნეტწილად უსაფუძვლო, ამბიციას (თუმცა საფუძვლიანი ამბიციაც გულისანრევია ყოველთვის!).

ნ. ქუმსიაშვილს ოდნავ ჯმუხი, შეიძლება ითქვას ანტიარტიკული ვარეგობა ჰქონდა. ნატიფი ელემენტობისაგან შორს იყო. ამიტომ აკლდა მის სცენურ სახეებს მოჩვენებითი ბრწყინვალეობა, რომელიც ძალიან ხშირად ვოკალური სიღარიბის კომპენსაციად გვეცხადება სცენაზე. ნ. ქუმსიაშვილის გერმანი, მაგალითად. არისტოკრატიული დარდიმანდობით ვერ დაიკვეხნიდა. მაგრამ ნ. ქუმსიაშვილს ჰქონდა ხმის ნიჭი და მომხიბველობა, რომლის ბადალი შემდეგ აღარ გვინახავს.

ნ. ქუმსიაშვილი საქართველოს იმ კუთხის წარმომადგენელი იყო, სადაც დაიბადა ვაჟა-ფშაველა, რომელიც თავისი გლახური უშუალობითა და სტიქიური ტემპერამენტით სულეტი არისტოკრატიზმის უმაღლეს მწვერვალებამდე ამაღლდა ქართულ და მსოფლიო პოეზიაში.

ნიკო ქუმსიაშვილი ქართულ ხელოვნებაში მოიყვანა ხალასმა ნიჭმა. არავითარი პროტექციონიზმის ჩრდილი არ იფარავდა მას, თვი-ოონაც მიხვეულ-მოხვეული საშუალებებისათვის არ მიუმატავს და თვითრეკლამისათვის არ უზრუნვია.

ქეშმარიტი ქართველი იყო და ქეშმარიტი შემოქმედი.

და ჩვენი ხალხი სამუდამოდ შეინახავს მის სახელს სამშობლოს წინაშე ვალმოხდილთა გალერეაში.

„უცნობი სათვალეებიანი ადამიანი თუ მიახლოვდება, უმაღვე გუ-  
ნება მეცვლება და მე ვერაფერი მომიხერხებია ამისათვის... ჩემზე ეს  
სტოვეებს რალაც არათავაზიანობის შთაბეჭდილებას, თითქოსდა უცხო  
ადამიანმა პირველი გაცნობისთანავე უხეში რამ მითხრა; ყოველთვის  
მგონია, რომ სათვალეებიანი ადამიანი მე მხდის თავისი გულმოდგინე  
შენსწავლის საგნად... იმ დროს, როცა მას შეუძლია მე ასე შემისწავ-  
ლოს, ირღვევა ბუნებრივი წონასწორობა ჩვენს შორის... მართლაც-და-  
როგორ უნდა დავაკვირდე ადამიანს, რომელსაც არ შემიძლია ვუცქი-  
რო თვალებში მისი ლაპარაკის დროს, ადამიანს, რომლის სულის სარკე  
ჩემგან დაფარულია ორი ბრჭყვიალა მინით“.

გოეთეს მიერ ეკერმანთან თქმული ეს სიტყვები სავალდებულო  
ქეშმარიტებას მინც არ შეიცავს, — რამდენის სახეს ასე კარგად ამ-  
კობს (ან არ ამკობს!) სათვალე და ორი მოლაპლაპე მინის მიღმაც კარ-  
გად გამოსტყვივის ხოლმე ბევრი მათგანის სული.

იშვიათად მინახავს ადამიანი, ვისი სახეც ისე ყოფილიყო დამშ-  
ვენებული სათვალეებით, როგორც ილია აგლაძისა.

მინების იმ წერტილის ახლოს, საიდანაც ორი ზონარი მიემართე-  
ბოდა საფეთქლებისაყენ, ზედ თვალთა უბეებთან, თავს იყრიდნენ ღრმა  
ნაოქები. ისინი უფრო შემკიდროვდებოდნენ ღიმილის დროს ან უკ-  
ვალოდ ქრებოდნენ რაიმე განცვიფრების ეამს, — ილია აგლაძე იცი-  
ნოდა ბროლივით გამკვირვალე სიცილით, ან სახტად რჩებოდა დიდი  
და მიამიტი ბავშვივით.

ხშირი და თეთრი თმა ლომის ფაფარით ეყარა კეფაზე, მაღა-  
ლი, ბრგე და ჭანმრთელი კაცი იყო. მამასავით კაცი. და შესაფერ  
ხელჯოხსაც ატარებდა...

დაუფიქარია ილია აგლაძის ღვაწლი ქართული მწერლობის წინა-  
შე. ჩინებული მოქართულე იყო, მრავალი წლის მანძილზე იგი თავისი  
დიდი სეხნის, ილია ჭავჭავაძის რედაქციის თანამშრომელი გახლდათ  
და ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა ლევ ტოლსტოის გრანდიოზული  
ეპოსის, აგრეთვე პუშკინის, კნუტ ჰამსუნისა და სხვა მწერალთა პრო-  
ზის პირველხარისხოვანი თარგმანებით. ლიტერატორების რამდენ თა-  
ობას არ გაუვლია მისი გულისხმიერი მზრუნველობის ქვეშ, ვის არ  
დახმარებია თავისი რჩევით, რამდენი არ უხსნია მკითხველთა თვალ-  
ში მათი ნაწერების სტილურად დახვეწის მეოხებით.

თაფლივით ტკბილი კაცი იყო, ისეთი, ვისაც ყოველი შეხვედრი-  
სას გინდა ეამბორო ხოლმე. ეს ხომ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილთა

ხვედრია ამ ქვეყნად. ხანდახმულობის ეამსაც ილია აგლაძე სულიერ და ფიზიკურ სიწმინდეს ავრცელებდა თავის ირგვლივ.

ილია აგლაძის, როგორც ძველი თაობის წარმომადგენლს, ხასიათის აუცილებელ და თავისთავად საგულისხმებელ თვისებებს კეთილშობილება და ზნეობრივი სისპეტაკე შეადგენდნენ. იგი მყუდრო, უმფოთველი ადამიანი იყო და, რასაკვირველია, საკუთარი სინდისის უღმობელი სამსჯავროს წინაშე არასოდეს არ მდგარა.

იგიც უეჭველია, რომ ილია აგლაძეს ყველა სულმნათის მკაარი ძილით ეძინა მთელი ცხოვრების მანძილზე.

მაგრამ ილია აგლაძე პირდაპირი და მოურიდებელიც იყო და ენის საკითხში კომპრომისი არ სჩვეოდა. მიუხედავად ამისა, მისი ჯიუტი ხასიათი, რომელიც, ალბათ, „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის სამწერლო ქურაში გამოიჭედა, ყოველთვის გასაზიარებელი, ასატანი და, ასე გასინჯეთ, სასიამოვნო იყო. იმიტომ რომ მისი ჯმუხი და ენერგიული თითები სიღბოსაც იცნობდნენ. საერთოდ კი ილია აგლაძე ვერ იწყნარებდა გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს, ქართული ენის იდიომური ქსოვილის შებლაღვას, სტილურ ქაოსს. ვინიმე ცუდი ხელრთვაც კი ბრახს ჰკვრიდა. „ვეფო, სულ არ იცის წერა. აუტანელია ჩემმა მზემ — ან ჩვენ რად გვაწვალებს, ან ენასა!“ — ასეთი იყო უმაღლესი განაჩენი, მისი ბაგეები რომ გამოსცემდნენ ამათუ იმ მთხვეელის მისამართით.

ილია აგლაძე კლასიკურ მწერლობაზე აღიზარდა. ილია ქავქავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას თანამედროვეს „ომი და მშვიდობის“, „პანისა“ და „ვიქტორიას“ ავტორთა მხატვრობის სიტკბო უგემნია. იგი მოკლებული იყო ყოველგვარი სუროგატითა და მოდური „მიღწევებით“ აღფრთოვანების უნარს სიტყვაკაზმულ მწერლობაში, რაც მის მსჯელობას პირველი შეხედვით ერთგვარი „რეტროგრადობის“ დაღს ასვამდა.

დრო უღმობელი მსაჯულია. ილია აგლაძეს მშვიდ ღიმილს ჰკვრადნენ გაფუყული და ამბიკური ადამიანები. „ცდილობს, ვეფო, ცდილობს. ვინძლო ჩვენ მაინც არ დაუჭყროთ!“ — ამის მეტს არას იტყოდა ყველა იმათზე, ვისაც თავის თავი შეეთხზა და გამოეგონა.

ილია აგლაძის ადამიანურ ვნებათა შორის ერთ-ერთი მთავარი ვნება იყო — თევზი და საუბარი თევზის ჯიშებზე. ამ საკითხებში მუდამ პირვეულობდა, დაობდა, არავის არაფერს უთმობდა.

„ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში, სადაც ილია აგლაძე მთავარ სტილისტად მუშაობდა მრავალი წლის მანძილზე, არაერთხელ



მოუცდენიათ იგი თავისი საქმისაგან: თევზზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას და ილიაც თავგამოდებით ეღავებოდა „დემაგოგებს“. რედაქციაში ყველამ იცოდა მისი გატაცება ორაგულით, ჩაუსაფრდებოდნენ და საკანათოდ იწვევდნენ.

რედაქციის ერთი მხატვარი-თანამშრომელი მაინც ძალიან შეუჩნდა ილია აგლაძეს, არაერთხელ შეედავა ხრამულის გამო, რომელსაც ილია მდინარე ხრამის ორაგულად სთვლიდა. ბოლოს, მესამედ მასთან მისულს კამათში გამოწვევის მიზნით, ილია მიუხვდა ემბაკობას, მოთმინების ფიალა აევსო და, ალბათ, თავის დიდ ზელჯონსაც მომპარვებდა, რომ იგი უცბად არ განეიარაღებინათ: ილიას მაგიდაზე ანახდელად ცოცხალი ორაგული აფართხალდა! (მხატვარს იგი ზურგს უკან, წყლით სავსე პატარა კასრში ჰქონია დამალული).

„ვეჟო, ამას დამიხედეთ!“ — წასცდა ილიას. მან უმალვე მოიშორა სათვალე, სახე ახლოს, სულ ახლოს მიიტანა ლაყუჩებდაბერილ და სულთმობრძავ თევზთან, რომელიც სველ კუდს სცემდა მას სახეში.

როგორი მომხიბლავი იყო ამ წუთებში ილია აგლაძე, ქართული ფაუნის შესანიშნავ წარმომადგენელზე უსაზღვროდ შეყვარებული!

\*

მე ადვილად შევერიგდები სიკვდილის იდეას, თუ უფალი საიქიოში თამბაქოს მოწვევის ნებას დამრთავსო, სწერდა ვ. როზანოვი.

რა ჭურის ვნებანი არ არჩევენ ადამიანის ცხოვრების ნავს. ან რომელ ძეხორციელს დაუშოშმინებია ისინი?

დიდი ხანია ილია აგლაძე მარადიული ღუმლის ქვეყანაშია გადასახლებული. იქ არავინ არაფერზე დაობს და ყველა ვნების აფრები დამცხრალა.

თვითონ აფრებიც არ ჩანან.

და მინდა ერთხელ კიდევ აქედან გამოვაჯავრო და იმ მხატვარივით შევეკითხო:

— ჩვენო ბატონო ილიავ, ახლა მაინც როგორ ფიქრობთ, ხრამული იგივე ორაგულია თუ სხვა ჯიშის თევზია ბოლოს და ბოლოს?!

და მეჩვენება, რომ ილია აგლაძე ისევ შეპყრის ნაოჭებს თვალის უბებთან ან უკვალოდ გააქრობს მათ თავისი ზონარიანი სათვალის მინებ ქვეშ.

მოსე ზოგიზარიაშვილმა 1930 წელს, ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის პერიოდში, როდესაც იგი ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო. არსებითად მ. ზოგიზარიაშვილმა თვითონ აღგენდა ჟურნალის გეგმას, არჩევდა მასალას და რედაქტორს მხოლოდ N-ის დაბეჭდვას უთანხმებდა.

არ ვიცი, მაშინ სად იყო მოთავსებული ჟურნალის რედაქცია. მ. ზოგიზარიაშვილმა თავად იყო ნამდვილი „მოსიარულე რედაქცია“: ვეება პორტფელს დაატარებდა, შიგ საჟურნალო მასალა ეწყო, ბევრი ლიტერატორი მას ქუჩაში შეხვედრისას გადასცემდა ხოლმე თავის ნაწარმოებს. მ. ზოგიზარიაშვილმა საკმაოდ „ელასტიურად“ ეპყრობოდა იმას, რომელთა თხზულებანი არასდროს არ იხილავდნენ ჟურნალის ფურცლებს. „რედაქციას“ დაწესებული ჰქონდა შემდეგი კანონი. ხელნაწერი დაწუნების შემთხვევაშიაც არ დაუბრუნდებოდა ავტორს. მ. ზოგიზარიაშვილმა მხოლოდ ამ პირობით იბარებდა ამა თუ იმ მასალას.

ერთხელ ასეთი შემთხვევის მოწმე გახლდით ოპერის შენობის პარდაპირ: ერთი ნაყოფიერი მოღუქსე შეხვდა მ. ზოგიზარიაშვილს და შეეკითხა — როდის დაბეჭდავდა პოემას, რომელიც 5 თვის წინ გადაეცა ავტორს მისთვის. მოსემ უთხრა, რომ თქვენი პოემა ვერ მიპოვნია, უამრავ მასალაში ჩამეკარგა ალბათ. მინდოდა კი დამეჭებოდა. ძალიან ვწუხვარო. — ამაზე ნუ იწუხებ, ჩემო მოსე, აგერ მაქვს მზად მეორე პოემა და ეს გაუშვი მის მაგიერო, — და პოეტმა ახალი ვეება ეპიური ქმნილება უმაღლესად მიაწოდა ჟურნალის მდივანს. ბ-მა მოსემაც ზნაგაუცემლად გადაუშვა იგი თავის პორტფელში იმ მიზნით, რომ იმასაც პირველის ბედი გაეზიარებინა.

ასე იგერიებდა მოსე წუნის მკეთებელთა ლიტერატურაში.

1931 წელს მ. ზოგიზარიაშვილმა დაბეჭდა ჩემი რეცენზია განსვენ. ს. გორგაძის წიგნზე „ქართული ლექსი“. ამის შემდეგ დავიწყე სისტემატური თანამშრომლობა ჟურნალში.

მ. ზოგიზარიაშვილმა პირდაპირ ალტაცებით შეეგება გრ. ორბელიანის „წვრილებს“ ორი ტომის გამოცემას. მე დიდად ვაფასებდი და ახლაც მაღლიერების გრძნობით ვიგონებ იმ სიტყვებს რომელიც მაშინ მოვისმინე მისგან. უფლებას არ ვაძლევ ჩემ თავს, აქ მოვიტანო ისინი (ბეჭდურად არ ყოფილა გამოთქმული).

1936 წლიდან ვმუშაობდი სახელგამში მთავარ სტილისტად. მ. ზოგიზარიაშვილმა მოიტანა თავისი „ფილოსოფიის ისტორიის“ I ტომი. ამ წიგნზე მე დიდხანს ვიმუშავე, მარქსიზმის კლასიკოსთა ყველა ციტატა ჩვენს მიერაა თარგმნილი, ზოგი არსებითი შენიშვნა ავტორმა დიდად

ყოფილებით მოისმინა და გაიზიარა. მ. გოგიბერიძე არ იყო ჭირვეული, იგი ხედავდა თუ როგორი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოვეცილე მის შრომას, რომელიც საერთოდ ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. არც ერთ მეცნიერს ჩვენში არ დაუწერია უკეთესი ისტორია ფილოსოფიისა.

„ფილოსოფიის ისტორია“ გამოვიდა 1941 წელს.

წიგნზე მუშაობის პერიოდში მე ხშირად ვყოფილვარ მ. გოგიბერიძის ოჯახში (კობის ქუჩაზე). მ. გოგიბერიძე და მისი შესანიშნავი ოჯახი კარგი მასპინძლები იყვნენ. თვითონ ბ-ნი მოსე ჩინებული კულნარი გახლდათ. ამასთან, ერუდიტი და გონებამახვილი მოსე გოგიბერიძე მომხიბლავი მოსაუბრე იყო, ფართო განათლების კაცი, სელაჟნების მრავალი დარგის მცოდნე. იმ ხანებში მისი ხშირი სტუმრები ვიყავით: კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე ქუთელია და მე. ამათგან ფილოსოფიაში ყველაზე ნაკლებ განაჯღებულს დიდ სიამოვნებას მგვრიდა მათი კამათი ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხებზე.

თვითონ მოსე გოგიბერიძე არასდროს არ ყოფილა დოქტრინიორი, არასოდეს არ მსჯელობდა შესანიშნავი კონიუნქტურის შესაბამისად. ნაწილობრივ ეს აირეკლა მის „ფილოსოფიის ისტორიაშიც“, სადაც მან ასე ბრწყინვალედ გადმოსცა პლატონის იდეათა სისტემა, ხოლო თავის სათაყვანებელ სოკრატეს პიროვნების ღვთაებრივ სიდიადეს შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა...

დამავიწყდა მეტყვა, რომ მ. გოგიბერიძეს, როგორც მწერალს, ვიცნობდი მოწაფეობიდანაც. ჯერ კიდევ 1924 წელს ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა მისი შრომა აინშტაინის რელატივიზმის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა (ეს წიგნი ამჟამადაც ჩემთან ინახება). 1925 წელს მ. გოგიბერიძემ დაბეჭდა თავისი მოგონება დიდ გერმანელ ფიზიკოსზე ე. „დროში“, რომელშიც მკითხველებს მოუთხრო იმაზე, თუ როგორი ობსტრუქცია მოუწყო აინშტაინის ანტისემიტურად განწყობილმა გერმანელმა სტუდენტობამ ბერლინის უნივერსიტეტში. აინშტაინის თავისი ხშირი თემები გადმოშლია შუბლზე, პორტფელი აუღია და შემდეგ არ ასულა უნივერსიტეტის კათედრაზე.

ანდრია რაზმაძისა და მოსე გოგიბერიძის შრომებით ეცნობოდა 30-იან წლებში ჩვენი ახალგაზრდობა მეცნიერებაში მომხდარ გრანდიოზულ აღმოჩენას.

მ. გოგიბერიძე შედარებით გვიან შეუღდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესწავლას. მისი შეხედულებანი ამ სფეროში ყოველგვარი უნიადაგო ჰიპოთეზებისაგანაა განტვირთული. მა-

გალითად, მ. გოგიბერიძის ანალიზი იოანე პეტრიწის თეოლოგიური დებულებებისა უაღრესად ობიექტურია და საკმაო დამაჯერებლობით ითვალისწინებს ისტორიულ პერსპექტივას.

მ. გოგიბერიძეს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ყოველგვარი ნებისმიერი (ან სურვილისმიერი) პრეზუმპცია შორსაა ჭეშმარიტი მეცნიერებისაგან.

\* \*

მ. გოგიბერიძე დიდად საჭირო მოღვაწე იყო ქართული კულტურისა.

იგი ადრე მოაყლდა ჩვენი მეცნიერების სარბიელს. სუსხიან წლებში მან ყური არ ათხოვა ეპიკურეს რჩევას: „ციხოვრე უჩინრად!“

მ. გოგიბერიძეს არ სწყალობდა დუმილის ღმერთი, როგორც არ სწყალობდა იგი ჩვენი ნიჭიერი მოაზროვნის მუზის ღმერთს — სოკრატეს.

მინდა აღვნიშნო, რომ მ. გოგიბერიძის ოჯახმა გმირობა გამოიჩინა მისი ხსოვნის დაფასებაში.

ამჟამად კი მთელი ქართული ინტელიგენცია აფაჩებს მ. გოგიბერიძეს, როგორც ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს.

1968 წ.

## ქართული მეცნიერების პატრიარქი

აი, დაისვენეს კორნელი კეკელიძის ხელებმაც. რომელთაც ასე ბრწყინვალედ მოიხადეს ვალი ქართული კულტურის სასახელოდ.

დაუღალავ შრომას მიჩვეული ეს ხელები, იმავე დროს, თავისებურად ლამაზნიც იყვნენ — კ. კეკელიძე მათ მიჰზიდველად და მშვენივრად ამოქარავებდა ხოლმე მოხსენების ან კამათის დროს.

კ. კეკელიძეს ახასიათებდა ჭაბუკური ვნებიანობა და შინაგანი დისციპლინა, დუმილი ოქრო რჩეული და ბრძნული დაღადისი საჭიროების დროს. ამ საპირისპირო თვისებათა ბედნიერ სიმბიოზს წარმოადგენდა მისი პიროვნება.

საქვეყნოდ ცნობილია მისი დამსახურებანი და არაერთხელ თქმულის განმეორება ტრივიალობა იქნებოდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ კ. კეკელიძე ჩვენს დროში ისეთივე ფანატიკური სიყვარულით ემსახუ-

რებოდა ქართული მწერლობის საქმეს, როგორც მრავალი საუკუნის წინ ექვთიმე ათონელი და გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი. ამ ბატისფრთით აღჭურვილთა ღვაწლი აღაფრთოვანებდა მათი ცხოვრებისა და მემკვიდრეობის შეუღარებელ მკვლევარსაც.

კ. კეკელიძემ მონუმენტური, ბიბლიის მსგავსი შრომები დააწყო ქართული კულტურის ანალოგზე, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე დარჩებიან მანიშნებლად ჩვენი ხალხის გონებრივი და სულიერი სიმდიდრისა. კ. კეკელიძეზე არ კმარა ითქვას, რომ იგი ჩინებული მკვლევარი, ფილოლოგი ან ისტორიკოსი იყო. ეს სახელწოდებანი ვერ ამოხსურავენ მის სრულიად განსაკუთრებულ როლს ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. კ. კეკელიძე თვითონ იყო გამოხატულება ქართველი ერის ჰუმანიტარული კულტურისა საზოგადოდ და ივანე ჯავახიშვილთან ერთად იგი ამ კულტურის ერთ-ერთ პასპორტად დარჩება მარადისობაში.

გასაოცარი იყო კ. კეკელიძის ერუდიცია. იგი ეკუთვნოდა იმ სვებედნიერთა რიცხვს, რომელნიც თავის მენსიერებაში, როგორც შეკუმშულ ეტიუდში, მთელი კაცობრიობის სულიერი განვითარების ისტორიასაც იტყვენ.

და რაოდენ შთამაგონებელი იყო კ. კეკელიძის გონების ფიზიკური სამყოფელიც: მკიდრო, სხივოსანი თმებით დაფარული თავი, ფართო შუბლი და ჭკვიანი თვალები.

მოხუცებულობაში აბრეშუმისებრი სითეთრე ეწვია მის თმასა და წვერ-ულვაშს, ხოლო პერგამენტის გამჭვირვალობა — მის პირისკანს. ასე ნომხიბლავად ბერდებიან სულმნათნი.

საშინელ გულისტკივილს იწვევს გარდაცვალება ადამიანისა, რომელიც მოკრძალებისა და განცვიფრების გამომწვევი ჯაფის შემდეგაც თავისთავის ქანდაკების მსგავსად იდგა მკითხველთა თუ მაცურებელთა წინაშე.

მაგრამ უღმობელი ჯალათი კ. კეკელიძემ სხვაშრივ დაამარცხა.

კ. კეკელიძემ პირველად გახადა ცნობილი ჩვენთვის ძველი ქართული თარგმანი იოანე დამასკელის შემზარავი ლექსისა სიკვდილზე, სადაც ნათქვამია, რომ ამოებობს მსახვრალი ხელი ყოველივეს აჩრდილივით უჩინარს ჰყოფს ხოლმე.

თურმე მწარედ სცდებოდა ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი. ამოებობს და ყრუ სიჩუმის დემონი სირცხვილეული იხვეს უკან კ. კეკელიძის უკვდავი ღვაწლის წინაშე და არაა ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩააქროს ნალვერდალი, ქართული მეცნიერების პატრიარქის საცეცხლურში რომ ღვივის.

გერონტი ქიქოძეს თავისი ცხოვრების ბოლო წლებში ხშირად უფიქრია სინამდვილესა და სიზმარს შორის მსგავსებაზე. სიცოცხლესთან გამოთხოვების წინ დაბეჭდილ თავის დიალოგებში იგი „ფარდის დაშვების“ წინათგარძნობასთან ერთად გადმოსცემდა პასკალის აზრს ზემოთ აღნიშნულ საპირისპირო საწყისთა ერთიანობაზე. ეს იყო გარდუვალ ფინიშთან მიახლოების აღიარება, მაგრამ აღსაყვებელი ბრძენის არსებობიდან გადმოსული მყუდრო რიტმით. მის უკანასკნელ სტრაქონებში ნატამალიც არაა იმ „არზამასის საშინელებისა“, ოცდაათი წლის მანძილზე რომ აშფოთებდა იასნაია პოლიანას უღიადეს მკვიდრს.

თუ მართლა ყველაფერი ეფემერულია, ერთადერთი გამოსავალი ის რჩება, რომ გახელილი ან ნახევრად გახელილი თვალებით გვეძინოს, მაშინ ფარდის დაშვების წინ თვალების საბოლოოდ დახუჭვა უკანასკნელი აქტი იქნება სიზმარეულთან ჩვენი ცნობიერების შერიგებისა. გ. ქიქოძე მართლაც მოკუტეული თვალებით დადიოდა ჩვენი შორის და მეჩვენება, რომ მისი სქელი ქუთუთოების მთლიანად შეკვრამ უდრტვიწველად დაასრულა შესანიშნავი პიროვნების როლი იმ „ადამიანურ კომედიასში“, რაზედაც სიკვდილის წინ გარშემოცრებილთ ესაუბრებოდა რომის პირველი იმპერატორი.

ღრმა სექსისი უძევს საუფიქლოდ ცხოვრების ასეთ ფილოსოფიას და მისი სათავე ის თვალსაზრისია, რომლის მიხედვით თითქოს ყველაფერი იწყება კვამლით და მთავრდება ფერფლით. ოღონდ ასეთი აზრი არ ითვალისწინებს დასაწყისსა და დასასრულს შორის არსებულ შუალედს, რომელიც ცეცხლის ალთა ელვარებითაა მოცული და ცხოვრებას ხშირად ვეება ხანძრის გიზგიზს ამსგავსებს. ამიტომ ავგუსტუსის გლობალური ირონიით შეფერილი რეპლიკისა და გ. ქიქოძის სექსისის გაზიარება არ შეიძლება.

ერთი ხომ საკითხავია: ვინ როგორ ასრულებს როლს ან როგორ მიღის იგი ფინიშთან — დაშვებულს, ძონძებ ამარა თუ სრულიად შიშველი?! თავისი თავის წინაშე გ. ქიქოძეს ეს კითხვა არასოდეს დაუსვამს, რადგან ამის საჭიროება არ წარმოშობილა, მეტიც: მას გულწრფელად სჯეროდა, რომ მარადისობის სანაპიროსთან პეშვით აღებულის სილა — ცხოვრების მცირე მონაკვეთი — თითებიდან გაბნეოდა და ისიც უშედეგოდ.

ერთადერთი შეცდომა გ. ქიქოძის შესანიშნავი აზროვნების მარგალიტების შიძევში!

თუ ადამიანი სარკმლებშიხურულ მონადასავით უმოწყალოდაა გადასროლილი სამყაროში, მას მაინც უზღდება შეჯახება სხვა მონადებ-

თან, საგნებთან და მოვლენებთან. და ჭეშმარიტი მწერლის დანიშნულება ისაა, რომ მან სრულყოფილი გამოთქმის მეშვეობით ყველა მათ რეალური არსებობისა და პოზიტიური ღირებულების მნიშვნელობა მიანიჭოს.

გ. ქიქოძის მთელი მოღვაწეობა, წინააღმდეგ მისი სკეპსისა, აზრის ჩინებული დადასტურებაა. ჩვენი მწერლის კალამი გრძნეულ კვერთხს მიაგავდა, გაუხუნარ მოზაიკად რომ აქცევდა ნაფიქრსა და განცდილს. გ. ქიქოძის ეროვნული ღვაწლი ფასდაუდებელია. იგი თავისი პიროვნებითაც ამშვენებდა არა მარტო ქართულ მწერლობას, არამედ დედაქალაქის ლანდშაფტსაც.

საერთოდ გ. ქიქოძე ყოველმხრივ დამშვენებული მივიდა ფინიშთან.

ნუ გაგვიკვირდება, რომ ზოგი ბანალური გამოთქმა კარგად გადმოსცემს დაუჭერებელს: გ. ქიქოძეს ამჟამადაც ცოცხალს ვუმზერო და ვუსმენო, იგი ფარდის გადმოღმა, ჩვენს შორისაა და მის სახეს არასოდეს მიადგება ჩრდილი სიზმარეულისა.

და ქართველი ხალხი მუდამ დატყდება გ. ქიქოძის ქართულის ნექტარით, რომელიც ოლიმპოს ღმერთების სასმელადაც გამოდგებოდა.

1971

## გამოთხოვება მეგობართან

ვიქტორ გაბესკირია ზნეობრივი სისპეტაკისა და მამულიშვილობის განსახიერება იყო, ყელამდე აღსავსე კეთილშობილებითა და ადამიანების სიყვარულით.

მსურს ყველგან იყოს სიკეთე,  
ვით ვარდი ბაღში რგული,  
ცოტნეს ქვეყნიდან მოვსულვარ,  
ჩემი მართალი გულით!

ასე გალობდა მისი ქნარი.

რაინდული სულის პატრონი, თავისი ქვეყნის სიხარულისა და ხვაშვიადის თანაზიარი და მეგობრული წავიდა ჩვენგან.

მთელი თავისი არსებით, უფაქიზესი სულიერი თვისებებით შემკული ვიქტორ გაბესკირია მშობელი ერის საუკეთესო ძეთა შორის

ირიცხებოდა. თავდაპირველი და ზოგჯერ ფიცხი, სადა და მოკრძალებული, ღრმა და ფარული ემოციების ადამიანი, ძმობისა და მეგობრობის რაინდი ქართველი პოეტი მუდამ მართალი იდგა სინდისის ულმობელი სამსჯავროს წინაშე.

კოლხური წვიმების მოტრფიალე, შავი ზღვის მიჯნური, საქართველოს მთა-ბარისა და ზურმუხტოვანი სანახების მხატვარი ჩინებულად გრძნობდა ჩვენი ხალხის გმირულ წარსულსა და აწმყოს. თავის ასაკთან შედარებით ადრე დადინჯებული და ამასთან უაღრესად სათუთი კაცი დაშნასავით ბასრიც იყო სულმდაბალთა მიმართ. და მისი ნახევრად დახურული თვალები შემოქმედის გულთამხილაობით იცქირებოდნენ ადამიანის სულში.

ქართული პოეზიის გვირგვინში ვიქტორ გაბესკირიას ლირიკა ციმციმებს, ვითარცა ერთ-ერთი თვალი პატიოსანი. პატიოსნებით არის აღბეჭდილი მისი ცხოვრებაც.

მომხიბლავი იყო ამ უაღრესად მგრძნობიარე ადამიანის სულიერი სტოიციზმი. მას თითქოს სიყრმიდანვე დაუხსომებია მარკ ავრელიუსის ბრძნული შეგონება: „ხასიათის სრულყოფილება ის არის, რომ ყოველი დღე შენი ცხოვრების უკანასკნელ დღესავით გაატარო და მოერიდო ფუსფუსს, უმოქმედობასა და პირფერობას“.

ვიქტორ გაბესკირიამ ღირსეულად მოიხადა ვალი ქართული კულტურის წინაშე. როგორც ადამიანი კი — უღრტეინველად დაუხვდა სიკვდილს.

თუ სიკვდილი ზოგჯერ დროული და საჭიროა, ქართული პოეზიის ბალის ამ ზამბახის მიმართ იგი ვერაგული და საშინლად ნადრევი აღმოჩნდა.

4 სექტემბერი, 1964

## განუხილველი პიროვნება და უემოქმედი

(აასუხავი გაზეთის კორესპონდენტის უაქითხუვაზი)

კ ი თ ხ ვ ა: როდის გაიცანით პირადად გალაკტიონ ტაბიძე და რა შეიძლება გვითხრათ მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე?

პ ა ს უ ხ ი: ვიცნობდი სიყრმიდან, 1926 წლიდან, მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის დროიდან. 1936 წლიდან კი განმტკიცდა ჩვენი ახლო ურთიერთობა მასთან, აღბეჭდილი პოეტის პიროვნებისა



და შემოქმედებისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. საამა-  
ყოდ მიმანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ 1938 წელს მწერალთა  
კავშირში მოწყობილ მის საიუბილეო საღამოზე მთავარი მოხსენე-  
ბა ჩვენ წავიკითხეთ. ეს მოხსენება იმავე წელს დაიბეჭდა „მნა-  
თობში“ და ყველა ჩემს კრებულში (უკანასკნელად „რჩეული  
ნაწერების“ I ტომში 1962 წელს). საქართველოს მეცნიერე-  
ბათა აკადემიაში მისი აზრების დღეებში აქტიური მონაწილეობა მი-  
ვიღე აკადემიკოს ს. ჯანაშიას დავალებით, რასაც თვითონ გალაკტი-  
ონი დიდად აფაჩებდა (ამ ფაქტის დეტალების დაწვრილებით გადმო-  
ცემა საჭირო არაა), ხოლო გალაკტიონთან ჩვენი ხშირი შეხვედრები-  
სა და საუბრების გამო, მკითხველს მოვუთხრეთ მგოსნის გარდაცვა-  
ლების წლისთავზე დაბეჭდილ მოგონებებში „ლერწამი და გობელე-  
ნი“. იგი გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1960 წლის  
1 ივლისის ნომერში და ჩვენი „რჩეული ნაწერების“ იმავე I ტომში.  
„ლერწამი და გობელენი“ შეტანილია პოეტისადმი მიძღვნილ სხვადა-  
სხვა კრებულში, ნაწყვეტები დაიბეჭდა საზღვარგარეთაც. ამიტომ  
ჩვენს მოგონებაში ნათქვამს ახალსა და საინტერესოს ვერაფერს მივუ-  
მატებ. საერთოდ: მისი დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი, და ასეთად  
დავრჩი.

დავუმატებთ მხოლოდ, რომ საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ ზო-  
გიერთ ჩვენს წერილში აგრეთვე ღრმა პატივისცემის გამომხატველი  
სტრიქონები ვუძღვევით მის პოეზიას (მაგ, იხ. გერმანიის სამეცნიე-  
რო აკადემიის ჟურნალი „ზინ უნდ ფორმ“. 1970, № 6). არაერთხელ  
შევეხეთ გალაკტიონს სერიაში „დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“  
(დაიბეჭდა 1969—1970 წ. წ.).

კ ი თ ხ ვ ა: თუ გამოუხატავს გალაკტიონს თქვენდამი მაღლობის  
გრძნობა, რაც ასე ახასიათებდა უმცროსი მეგობრების მიმართ.

პ ა ს უ ხ ი: გალაკტიონმა თავისი ლექსების 1945 წლის გამოცე-  
მას ასეთი წარწერა წაუმძღვარა:

„ამ წიგნის პირველი ეგზემპლარი — ჩვენს ძვირფასს, ჩვენს უკე-  
თილშობილესს, ჩვენს საყვარელ აკაცს — ნიშნად უსაზღვრო პატივის-  
ცემისა.

1945 წ. გალაკტიონი“.

ჩვენ არ ვაპირებდით ამ მიძღვნის გამოტანას პრესაში; პოეტების  
მეორე წარწერებით წიგნების მიძღვნა ვისმესადმი — ჩვეულებრივი მოუ-  
ღვანაა. მაგრამ, რა რიც გადაჭარბებულადაც უნდა მოგვეჩვენოს იგი,  
პირადად მე დიდად ვაფასებ იმ თუნდაც წამიერ და გულწრფელ სუ-  
ლიერ მოძრაობას, რომელმაც აქ მოტანილი სტრიქონები დააწერინა

ჩვენს დიდ ლირიკოსს. ეს ჩემი ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი კარგი საჩუქარია.

კითხვა: რას თვლით ტაბიძის ლირიკის უმთავრეს ნიშნებად?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა — ესაა უზარმაზარი ემოციური თრთოლვის შერწყმა უნაკლო პოეტურ მუსიკალურ სტიქიასთან... გალაკტიონის ლირიკული შედეგები პირდაპირ უბიძგებენ მკითხველს მათი ზეპირად წარწოთაქმელად. ეს მოწინააღმდეგეობა მემოდიური თვალსაზრისით ერთნაირი სიტყვების განმეორებებს მუსიკალური ვარიაციების შსგავსად. ვინ არ დაუხსომებია, მაგალითად, ტაბიძის:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,  
ღოღღები მჰქრიან ქარ და ქარ!  
ხეთა რიგს, ხეთა ჭარს, რკალად ხრის,  
საღა ხარ, საღა ხარ, საღა ხარ.

ან

ატმის რტოო, დაოდუო რტოო,  
ატმის რტოო, სიმწვდუა შორი.

შემდეგ: გ. ტაბიძე ერთ-ერთი ბრწყინვალე კოლორისტია ქართულ პოეზიაში, შეიძლება ითქვას, რომანტიკოსებისა და ვეფხისტყაოსნის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო კოლორისტი. გავიხსენოთ მისი სტრიქონები:

სალამო იწა ხავერდის ყდამი  
ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი.

ასეთი კოლორიზმითაა აღბეჭდილი მისი რითმებიც (1919 წელს დაბეჭდილ „არტისტულ ყუვილებში“), რომელნიც პირდაპირ ლივლივებენ. ამასთან მან დააკანონა ვაჟური რითმაც. ჯერ კიდევ 1938 წელს ვწერდით გ. ტაბიძის ნოვატორულ როლზე ამ სფეროში: „მეორე წიგნში პოეტმა სრულიად შესცვალა ეს ინტონაცია. „მე მოლაღატან ძველმა რითმებმა!“ აცხადებს გალაკტიონ ტაბიძე“. 1959 წელს გამოცემულ „ქართულ კლასიკურ ლექსში“ კი აღვნიშნავდით: „უახლოეს ქართულ პოეზიაში ვაჟური რითმები პირდაპირად გვხვდება (კ. მაყაშვილი, გ. ტაბიძე)... კარგად იყენებს ვაჟურ რითმას გ. ტაბიძე: სანი-მუშოდ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

პატარა ხალი კოცნის შემდეგ რომ  
დაჩნდა სახეს და წაშალა დრომ.

ან კიდევ:

იმ ვარდისფერ ატმებს ივონებ კვლავ...  
იმგვარადვე მღევ... იმგვარადვე მკლავ.  
ო, როგორ მომწყურდი! მწუხარა დღე.  
იმგვარივე ცა, იმგვარივე ხე.

ერთ ამ მაგალითთაგანი მოტანილია 1938 წელს დაწერილ წერილშიც.

ე. ი. ტაბიძის მიერ ვაჟური ე. წ. ერთმარცვლოვანი ზუსტი რითმის გამოყენების ფაქტი აღნიშნული გვაქვს 35 წლის წინათ. ასევე: გალაკტიონის ლექსის გამო ვწერდით 1960 წელს: „რითმა ზოგჯერ მისი ლექსის თემადაც კია გადაქცეული და იგი სათაურშივეა გამოხატული, ასე: „სილაში ვარდი ანუ სილაყვარდე“... იგი ხატოვანია და მუსიკალურიც ერთდამივე დროს, მთელი ლექსის გასწვრივ ძირითად მოტივად ისმის, თანაც ფარშევანგის ბოლოსავით იშლება“ („ლერწაში და გობელენი“).

კითხვა: თქვენ მსჯელობდით გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის კოლორიზმზე, მისი რითმის „ფერადოვნებაზე“. სხვა რა ნიშნებს ატარებენ გალაკტიონის რითმა და რიტმი?

პასუხი: სარიტმო მახვილი ქართულ ლექსში თავს უყრის კლავუშულაში შემავალ მარცვლებს და იგი მოუდის პირველ ხმოვანს ორმარცვლიან თუ სამმარცვლიან რითმებში. ქართული რითმა ემყარება ხმოვნიანი მარცვლების ან ერთმარცვლიანი სიტყვების ელიმინაციას ერთი მახვილის ქვეშ. ეს მოვლენა გალაკტიონ ტაბიძის აბსოლუტურ მუსიკალურ სმენას ერთი წამითაც არ გამოპარვია.

კიდევ რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

ეს აიხსნება ქართული ლექსის წმინდა სილაბურ-ტონური ხასიათით, რადგან ქართულ ლექსს განსაზღვრავს არა „სილაბურ ოდენობათა“ „შეფარდებანი“ თუ „ურთიერთმიმართებანი“ (ეს ფორმალისტურ-სტრუქტურალისტური პოეტის ტერმინებია და გულისხმობენ ლექსიდან მისი არსის, სუბსტანციის ანუ ხმირების გამოთიშვას, გამომშრალ სქემებს და მეტს არაფერს), არამედ მახვილთა სისტემატური ანუ კონფიგურაციული განმეორებების სტატუსით.

ქართული ლექსი მახვილთა კონფიგურაციის გარეშე არ არსებობს, ხოლო ასეთი რამ არც ერთ სილაბურ ლექსთაწყობას არ ახასიათებს. მაგრამ ამ საკითხებზე (სხვა საკითხებთან ერთად) — დაწვრილებით სხვა დროს.

მასასადამე, გ. ტაბიძის დამსახურება ქართული ლექსის რიტმული კონსტრუქციის გამდიდრების სფეროში ძირითადად გამოიხატა: ზუსტი ვაჟური რითმის დაკანონებაში, აგრეთვე ქართულ რითმაში კოლორიზმის შეტანით და დაქტილური საზომის დახვეწაში, რასაც მანამდე სპორადულად მიმართავდა დ. გურამიშვილი.

გ. ტაბიძესთან ეს საზოგადოებრივი ბრწყინვალედ უღერს. მაგ.

ანგლოზსიქიარა გრძელი პერ: გამენტი  
მწუხარე თვალბითი მირას + და: ყურებდა  
მშერლობით, მშერლობითი მაოლი და გენდ  
ქლვარე სსლამოვიანლას სა: ყურეთა.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ძირითადი ნიშნები მშობლიური ენის საუკეთესო ტენდენციების პოეტურ მობილიზაციას ეფუძნება და იგი მშობლიური ენის ფონეტიკურ ბუნებასთანაა ორგანულად შეხამებული, თუმცა სალექსო რიტმი არასოდეს არაა ჩაჩენილი ენაში, იგი კონსტრუქციურია, ამ ენიდანაა ამოსული, აქვე დავძენთ, რომ ოთხ — ან ხუთმარცვლიან რითმას ქართულ ლექსში არ ვხვდებით (ესინი ძალიან მცირე გამოჩვენების ან ექსპერიმენტების სახით გვხვდება სხვა სალექსო-ტონურ ლექსებშიაც).

ომონიშები (ე. წ. „მაჯაშები“) ატარებენ დაქტილურ რითმებს და „ოთხ“ — ან „ხუთმარცვლიან რითმებად“ მათი მიჩნევა — უხეში შეცდომაა. საბედნიეროდ ასეთი „რითმებით“ გ. ტაბიძეს არასოდეს არაფერი დაუწერია.

კითხვა: კვლავ გალაკტიონის კოლორიზმზე... ხომ არ აპირებთ ამ საკითხებზე სპეციალური სტატიის დაწერას?

პასუხი: არა, რადგან ამ თემას სპეციალურად ამუშავებს, რამდენადაც ვიცი, პოეტი ქალი ლია სტურუა.

კითხვა: რას იტყობით გალაკტიონის პოეზიის იდეურ სამყაროზე?

პასუხი: ამ საკითხზე წინათ ჩვენც გვიწერია, შენდგ ჩვენი უკეთ — სხვებს. ამიტომ არ მინდა ტრივიალური შესვლადანი გავიწერო. მე მოგახსენებ რამდენიმე სიტყვა პოეტის შემოქმედების ზოგიერთ იმ სპეციფიკურ ნიშნებზე, რომლებიც განაპირობებენ გ. ტაბიძის სრულიად განსაკუთრებულ ადგილს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ეს ის ნიშნებია, რომლებიც აგრეთვე უზრუნველყოფენ მკითხველის მჭიდრო კონტაქტს გალაკტიონის ლირიკასთან: როცა ჩვენი საყვარელი პოეტის ლირიკულ შედეგებს კითხულობთ, თქვენ მთლიანად ხართ ჩართული მისი ემოციების დინებაში. ამ პროცესში მთაბეჭდილობათა გონებრივი განსჯის მანძილი სრულიად მოხსნილია. გალაკტიონის პოეტური მეტყველების ზეგავლენას მკითხველზე ახასიათებს ერთგვარი გრძნეულობა და გრძნეულობისგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია.

/გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973, 25 /10/.

ადგილი, სადაც თბილისის უნივერსიტეტი აღმართული, საქართველოს ტერიტორიის უზნიშვნელოვანეს პუნქტადაა მიჩნეული.

საერთოდ ყველა ხალხის საცხოვრისის მრავალი თვალსაჩინო კუთხე ან ადგილი ერთნაირად როდია მიშვიდველი, გარკვეული თვალსაზრისით უმთავრესად ის გეოგრაფიული წერტილებია საყურადღებო, რომლებიც ერის მეხსიერებაში სასახარულო ან მწვავე ფიქრებს აღძრავენ.

მართონი და სალაშინი ძველ ელინელებს სიამაყის გრძნობით ავსებდნენ, პელოპონესი ან სოფელი ქერონე კი — კლასიკური პოლისის დაცემის ბძიმე განცდით.

მდინარე რუბიკონი იულიუს კეისრის გამხედლობასა და მის ცნობილ ამოძახილს ახსენებს კაცობრიობას, რომის ფორუმში კი სილიადესთან ერთად სირცხვილსაც, — აქ გამოაფინეს ციცერონის მოქრალი თავი.

რუსი ვერ დაივიწყებს კულიკოვოს ველს, რომელიც ჩვენს დროში კიდევ ერთხელ უკვდავყო ბლოკმა. ვერც იასნაია პოლიანას სილიადესა და ასტაპოვოს დრამას, — აქ დახუჭა თვალები რუსეთის უწვევრსალურმა გენიამ.

დიდგორისა და შამქორის გვერდით ჩვენ გვახსოვს კრწანისისა და წიწაპურის ტრაგედიაც. როგორც ვხედავთ, გამონაკლისს არც ქართული მიწაწყალი წარმოადგენს.

ეს ჩვენი ისტორიაა.

ხოლო ამ ისტორიის ქორონიკონის ერთ-ერთი დიადი და სასახარულო თაჩილია ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსების მომენტი.

მიშვიდველია ის ადგილიც, სადაც თბილისის უნივერსიტეტი თეთრი გედევით ყელამართული დგას.

ამ ტაძარს ბრწყინვალე ქურუმები ამშვენებდნენ.

მთავარი ქურუმი იყო ჩვენი ხალხის დიდი მემატრიანე, თავისი პერგამენტივით გამჭვირვალე პირისკანითა და მაღალი შუბლით: ივანე ჯავახიშვილი.

ამ სახლის დერეფნებსა და ვესტიბიულებში დინჯად დადიოდა მწიგნობართუხუცესი, რომელმაც გულანივით მძიმე ტომები დააწყო ქართული ლიტერატურის ისტორიის ანალოგზე: კორნელი კეკელიძე.

აქ კითხულობდა ლექციებს ქართული ფსიქოლოგიის მამამთავარი, რომლის უმაღლესი ეთიკური ღირსებანი მის იშვიათ ჭკუას შესაბამებოდნენ: დიმიტრი უზნაძე.

ვის არ დაუნახავს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი, რომელიც ახლაც გვანცვიფრებს დაუღალავი გონებით და ქართული ფრესკებიდან გაცოცხლებული მოციქულის მომხიბლავი გარეგნობით: გიორგი ჩუბინაშვილი.

კიდევ რამდენიმე სახელია ჩამოსათვლელი, მაგრამ ერთი გიგანტის სილუეტია ჩემ წინ ატუხული და იცე მაჩქარებს.

\*

დიდი ხანია ათენის პართენონის ფრიზები მთლიანი სახით აღარ გამოიყურებიან.

უნივერსიტეტის მშვენებათა შორის ყველა არ აღმოჩნდა სვებედნიერი.

იყო ერთი განუმეორებელი და შეუდარებელი, რომელს ბედის გახსენება შანთივით დაღავს გონებას.

იგი უდიდესი ელენისტი იყო, სულის დიდი არისტოკრატი, ნამდვილი სინაყე ჩვენი უნივერსიტეტისა. ასეთად სთვლიდა მას თვითონ ივანე ჯავახიშვილი.

იგი ძველი ონელის დიალექტზე წარმოსთქვამდა ხოლმე „ილიადას“ იმ სიმღერას, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მისდევს აქილევსი ალაცხაფჩაქეტილი ქალაქის კედლის გასწვრივ ტროელთა მხედართმთავარ ჰექტორს, რომელმაც ზურგი არ უჩვენა მტერს და შუბით განგმირული დაეცა.

გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს ჰექტორის ხვედრი არგუნა ბედმა. არც ის აღმოჩნდა მხდალი.

ასეთი გმირი მოღვაწეობდა ჩვენს უნივერსიტეტში.

ათენს ამშვენებს პართენონი: ვერავინ დაივიწყებს შხამის იმ ფილასაც, რომელიც სიკვდილის წინ ხელთ ეპყრა სოკრატეს (ამ ფაქტს გუსტავ ფლობერი მიუტყევებელ დანაშაულად უთვლის არა მარტო ათენის დემოკრატიას, არამედ მთელს კაცობრიობას).

ჩვენი უნივერსიტეტის ფრიზებს შორის ერთი გიგანტის დამსხვრეული ბარელეფია შერჩენილი.

ისტორია არაა საზეიმო კორტეჟი და ქართული უნივერსიტეტის ანალებშიც ზოგი საბჭუსხარო ეპიზოდითაა ჩაწერილი.

ქარიშხალი მაღალი მუხების ზემო ტოტებს ეჯახება ხოლმე.

შაგრამ ჩვენი ხალხისა და მისი მესვეურების წყალობით ქართული უნივერსიტეტი ყველა ქარიშხალს გადაურჩა და იგი ამჟამად ამაყად დგას.

ამ უნივერსიტეტმა აღზარდა საბჭოთა საქართველოს შესანიშნავი ინტელიგენცია.

იგი ჩვენი ინტელიგენციის აღზრდის ცენტრია დღესაც.

ამიტომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი მთელი ქართული კულტურის დღესასწაულია.

შესანიშნავია მისი აწმყო, უფრო შესანიშნავი ყოფილიყოს მისი მომავალი.

15 10. 1968

## ნინო ანანიაშვილის ხსოვნისათვის

ყველაფერი ამშვენებდა მას: ქალური სინაზე, იშვიათი გემოვნება, თავაზიანობა და შემწყნარებლობა.

გაკვირვებანარევი სიცილი იცოდა, სახელდობრ — გაკვირვებანარევი სიცილი. იგი ხმის თბილი ტემბრითა და მიმტევებელი ღიმილით იგერიებდა ვისმეს სულელურ ფრაზას, წაკითხულსა და გაგონილს: „გასაოცარია!“ — ყოველთვის ეს სიტყვა მოწყდებოდა ბაგიდან, ორივე ხელის გულს მკერდთან მიიტანდა, გეგონებოდათ პეშვით ეპყრა სხვისი გონების სიმჩატე.

თანაც — მოხდენილად და ყოველგვარი ირონიის გარეშე!

ჩვენ ერთად დავამთავრეთ თბილისის უნივერსიტეტი 1932 წელს. შემდეგ ნინო ანანიაშვილის ოჯახი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის თავშესაყარი ადგილი იყო. აქ ხშირად ნახავდით, მაგალითად, გერონტი ქიქოძეს, ლეო ქიაჩელს, გიორგი ლეონიძეს, პეტრე ქავთარაძეს და სხვებს.

ნინო (ნუცა) ანანიაშვილი ჩვენი თაობის ღირსეული წევრი იყო, ყველა ჭეშმარიტად ნიჭიერი ახალგაზრდის მეგობარი. ჭკუის კოლოფსა და ფუსფუსელას მყუდროება და სიმშვიდე არ დალატობდა, არა-

სოდეს არ წარმოუთქვამს არც ბანალური, არც საჩოთირო თუ ზედმეტად ორიგინალური რამ.

არც ერთი უქკუო ნაბიჯი არ გადაუდგამს ცხოვრებაში.

შესანიშნავი მთარგმნელი იყო ეს ქართული ქალი. იგი დიდხანს ამუშავებდა თვითნებულ წინადადებას, ამიტომაც ხელხვევიათი არ ყოფილა. სამაგიეროდ, რაც გააკეთა ყველაფერი აღბეჭდილია მშობლიური ენის აბსოლუტური ცოდნით, იდიომებით მდიდარი და კრისტალურად წმინდა მეტყველებით.

ჩოგორი მშვენიერი ქართულით ელურტულებდა ჩემი დაიკო!

ჩუხულისა და ფრანგულის მცოდნეს, თარგმანებში არასოდეს გაპარვია ჩვენი ენისათვის შეუფერებელი მცირეოდენი ხიწიც კი და ლამაზად და მუსიკალურად აკეთებდა თავის საქმეს. ამის მკვერმეტყველური ნიმუშია თუნდაც „ტარტარენ ტარასკონელის“ ანანიაშვილასეული საუკეთესო ქართული თარგმანი.

ჩვენ ერთად გავუკეთეთ რედაქცია დოსტოევსკის „დანაშაულ და სასჯელის“ ქართულ თარგმანს. ახლაც დიდი სიამოვნებით ვიგონებთ იმ დროს, როცა ერთმანეთს ვედავებოდით მთარგმნელების (ახალშენისელების) ცალკეული გამოთქმების გამო.

კამათისა და დავის ბოლოს კი ნუცა ანანიაშვილი აღმოჩნდებოდა მართალი.

მაინც გულმოსასვლელია ის გარემოება, რომ ძალზე გადაჭარბებულმა თვითმომთხოვნელობამ შეუშალა ხელი ნინო ანანიაშვილს კიდევ უფრო მეტი გაეკეთებინა ქართულ ლიტერატურაში.

ხელოვნების შედეგების გაგების სფეროში, ნინო ანანიაშვილი უაღრესად ფაქიზი ნიუანსების წვდომის უნარით იყო აღჭურვილი. ასეთივე იყო პირად ურთიერთობაშიც. მაღალი ინტელექტის უმცირესი ხარვეზიც კი უმალვე აირეკლებოდა მის ცნობიერებაში.

ძალიან მიყვარდა ჩემი სიყრმისა და ხანდაზმულობის მოწმე ეს კობხა ქალი.

და მას უნდა ვავეცილებინე იმ ქვეყნად. ცოტა ასლუკუნდებოდა, შეწუხებული აფუსფუსდებოდა და სამგლოვიარო კორტეჯს დაამშვენებდა. და გულის სიღრმემდე შემძრა ლალატმა: აქეთ გადმომილოცა ცრემლი და სიმძიმელი.



მიმდინარე წლის თებერვალში, ერთ კვირა დილით, მესტუმრა შე-  
დარებით აპალგაზრდა, მომცრო ტანას ქალი, შავი, ნიქიერი თვალე-  
ბით, იწვითად მოკრძალებული ოქრომკედელი მანაბა მაგომედოვა.

გაცნობამდე მასზე არაფერი გამეგონა. მხოლოდ მწერალ თინა  
დონჟაშვილის თხოვნით შედგა ჩვენი შეხვედრა.

...სტუმარს ხელთ პატარა ჩანთა უპყრია. იგი მშვიდად ზის სკამ-  
ზე. მე ვეუბნები, რომ ბევრი მსმენია ყუბაჩელთა ოსტატობაზე, წამი-  
კითხავს ეთნოგრაფიული ნარკვევები დალისტნის განთქმულ აულზე,  
ვუსახელებ ლიტერატურას, რომელსაც იგი თურმე კარგად იცნობს.

მანაბა ამბობს, რომ მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ჩეხოა-  
ლოვაკიაში, დასავლეთ გერმანიაში, ბელგიაში, ავსტრიაში, ამერიკას  
შეერთებულ შტატებში... იგი უფრო ბუტბუტებს, ვიდრე თავს იქებს.  
შეიძლება ყოველივე ეს იმითაა გამოწვეული, რომ უნდა წინასწარ  
ნდობით განმაწყოს თავისი ნამუშევრებისადმი.

მანაბას ამოაქვს ჩანთიდან თავისი ზოგიერთი ოქრომკედლური  
ნაწარმოები, აგრეთვე საჩუქრად მიძღვნის ალბომს, რომელშიაც და-  
ბეჭდილია ფერადი რეპროდუქციები ნატიფად შესრულებული სამა-  
ჯურების, ბეჭდების, წიგნების ყდების, ისტორიული პირებისა და მწერ-  
ლების პორტრეტებისა, მაჩვენებს შამილის ინკრუსტირებულ სურათ-  
საც, რომელსაც აქვს წარწერა რუსულად: Тот не храбрец, кто думает  
о последствиях!

ასეთი წარწერა ჰქონდა იმ ორდენებს, რომლითაც დალისტანის  
იმამი ასაჩუქრებდა გულად ნაიბებს.

თვალთა პატიოსანთა ლივლივი და ოქროს ელვარება თვალსა  
სკრის, ხოლო ნამუშევართა ფაქიზი ოსტატობა მნახველს უმაღვე კე-  
თილად განაწყობს ჩინებული ნივთების შემქმნელისადმი.

მანაბა მაწუდის თავის წიგნსაც „ტრადიციების კვალდაკვალ“, რო-  
გელიც გემოვნებით დაუბეჭდავს გამოცემლობა „ხელოვნებას“ ქარ-  
თულად (1971 წ.). წიგნი ინტერესით იკითხება. კარგად აგვიწერს ავტორი  
მშობლიურ აულში ჩასვლას, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებსა და ადა-  
თებს, ხოლო უფრო ვრცლად — ჩამოსხმისა და დაყალიბების, მონტი-  
რების (გამოყვანის), გრავირებისა და სევადის, კედურობის, ფილიგ-  
რანის, ძვალზე მოჩუქურთმების და მომინაქრების ხელოვნებას, აგ-  
რეთვე ქართველ და დალისტნელ ოქრომკედელთა შემოქმედებითს  
ურთიერთობებს, შეხვედრებს ჩვენს დიდ მხატვარ ლადო გუდი-  
აშვილთან, რომლის რჩევებს მისთვის კარგი ნაყოფი მოუტანია და  
სხვ. ყველაფერი მოთხრობილია სადად და უპრეტენზიოდ.

მშვილად ზის ეს ყუბაჩელი ქალი და ახარებს მოწონება, რომელსაც მისი მარჯვენის ნაამაგარი იმსახურებს.

გაოცებული შეეცქერი ამ მართლაც ნიჭიერ ქალს. მან კარგად იცის შემოქმედების ბუნება. „ხერხი“, რომლითაც ხელოვნების ქვეშაირი ნაწარმოები იქმნება, მუდამ ამ ნაწარმოების სიღრმეშია და მალული და ჩონჩხივით გაშიშვლებული არაა. ჩონჩხი საერთოდ არავითარ წარმოდგენას არ იძლევა თვითონ ქმნილების სილამაზეზე. „ხელოსანთა“ მთავარი ნაკლი სწორედ ესაა. ლიტერატურისა და ხელოვნების უღიადესი ქმნილებანი ამ მოსახრების უტყუარ ილუსტრაციებს წარმოადგენენ. „მონა ლიზას“ ღამილი აბსოლუტურად განუშკვირვალეა და თითქმის ყველაფერი, რაც მასზე დაწერილა (მაგ. მერეჟკოვსკისა და ვოლინსკის ვეება ოპუსები) — მარტოდენ არქიბუტაფორაა. ლეონარდოს განუქმელა sfumato (პაეროვანი ნისლოვნება, дымычатость) იმდენად გაუშიფრავია, რომ ერთი გამოჩენილი ევროპელი მკვლევარი იძულებული გახდა აღენაშნა: „ლეონარდოს „მონა ლიზას“ ერთადერთი გამგები და მკვრეტელი იყო... თვითონ ლეონარდო“! ამ გიგანტის sfumato ყველა მნახველში ინსტიქტურად მაინც იწვევს ესთეტიკური თვალსაზრისით „თავზარდამცემ“ გაორებას, რადგან „მონა ლიზაში“ იმდენივე სატანურია, რამდენიც ღვთაებრივი. ასეთი ჰერეტის დროს არავინ ფიქრობს სურათის პროპორციებზე ან ტილოს ოთხკუთხედ ჩარჩოზე, რაზედაც თეორეტიკოსები მსჯელობენ, როგორც სურათის „დამატებით“ მხატვრულ ატრიბუტზე (ოთხკუთხედისაგან გამოწვეული გეომეტრიული „სიმშვენიერე“ ახასიათებს ასანთის კოლოფს, ჩემოდანს და სხვა ნივთებსაც, რასაც ცნობილი მათემატიკოსის ბიფონაჩის რიცხვებიც ითვალისწინებს!). ამიტომ სასაცილოა ფიქრი იმაზე, თითქოს მხატვრობაში პერსპექტივის მათემატიკური კანონების გაცნობით (რასაც ლეონარდო იდეალურად ფლობდა) შესაძლებელია ჯოკონდას ღამილას აზრის გაგება. ეს ღამილი პირდაპირ „აწამებს“ მაყურებელს და „მონა ლიზას“ სიღიადეც ამაშია.

მხატვრული ნაწარმოები „ჩონჩხი“ არაა. სადა და ნიჭიერმა ყუბაჩელმა ქალმა ეს იცის. ზოგიერთმა კი ეს არ იცის, რაც გასაკვირი არაა და ამიტომ სავსებით მისატყვებელია.

ერთი მხრივ, ეგვიპტური კამეების, ბერძნული პატარა ტერაკოტების, იპონური ლარნაკებისა და მინიატურების, ხოლო, მეორე მხრივ, ფიდიასის ან სკოპასის გრანდიოზული ქმნილებების სილამაზეს მათი ავტორების განუზომელი ნიჭიერება ჰქმნიდა. ამ ქმნილებათა „მიკროანალიზი“ ვერაფერს გვეტყვის, თუ ჩვენი სული ვერ აივსება მათგან მომდინარე ემოციური შთაბეჭდილებებით.

\* \*

ამულეტები, ასე მომხიბლავად რომ ციმციმებენ; ქალთა საგარდერობო ნივთები და განსაკუთრებით სარკე, რომლის ხელში აღებას რომელიმე მარჯიზის ასულიც არ ითაკილებდა; დოქი, ფიალა და ყანწი, ყველა უფლისწულის მაგიდას რომ დაამშვენებდა ძველად; სამაჯურები, ბეჭედი და საყურე, რომელთაც ყველა სიბარიტი ქალბატონი ინატრებდა; თამარის, რუსთაველის და ვაჟას პორტრეტები, რომელნიც სხვა ხელოვანთა მიერ შექმნილ ანალოგებს არაფრით დაუფარდებიან, — აი მანაბას ნახელავი!

წიგნში დაბეჭდილია კიდევ სხვა ნივთების რეპროდუქციები. მშვენიერია გულსაკიდები, განსაკუთრებით ერთი ვეებათვლიანი ბეჭედი (№ 62). ლალნი, ზურმუხტნი და ამეთვისტონი ზეიმობენ ოსტატურად ჩამოსხმულ ბორდიურებში. მანაბას შემოქმედება აღბეჭდილია ხალხურობითა და არტიზიმით.

\* \*

მანაბა იმ ქვეყნიდანაა, რომელსაც ოდესღაც ვორონცოვები არბეუდნენ, მაგრამ ვორონცოვების პომპეზური ქანდაკებანი (ერთი მათგანი დღევანდელი მარქსის მოედანზე იყო წამოჭიმული!) ისტორიამ სანაგვე ყუთში გადაისროლა.

და აი, წარსულში ვორონცოვების სამხედრო ექსპედიციებისაგან დარბეულ და ამჟამად ავტონომიურ რესპუბლიკიდან მოვიდა ხელოვანი ქალი, რომლის ამულეტების „დარბევა“ არ შეიძლება. აგრესიული სახელმწიფოები ბოლოს უფსკრულში ინთქმებიან, ხალხი და მისი შემოქმედება კი უკვდავია.

\* \*

ბევრი ჩვენგანი დამტკბარა ძველი ქართული მინანქრებისა და იბერიის ერისთავთა საარკოფაგებში ნაპოვნი გემებისა და კამეების ნახვით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უნიკალურ სიმდიდრესა რომ შეადგენს.

ოქრომჭედლობისა და მინანქრის ასეთი შედეგები ზიბლავდა ტეოფილ გოტიეს და მათ შთააგონეს ფრანგ პარნასელს შეექმნა განთქმული ლირიკული კრებული „მინანქრები და კამეები“, შეუღარებელი ოსტატობით რომ თარგმნა რუსულად ნიკ. გუმილიოვმა (მაგრამ ეჭვიმას როდი ნიშნავს, თითქოს ტ. გოტიეს ლექსები თვითონაც ხედვითს

ანუ ვიზუალურ ასოციაციებს იწვევდეს, — ლექსის ფორმას ასეთი რამ არ ახასიათებს).

ჩვენი ჯაეაირჩის მანაბას სახელი კი მართლაც ციმციმებს. და დღევანდელი მისალმება გვინდა მან ჩათვალოს ლიტერატურულ ამულეტად, რომელსაც საჩუქრად ვუგზავნით მისი მშვენიერი ძღვენის სამაგიეროდ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რამდენიმე სიტყვა პოეზიაზე

5

I. მონოგრაფიები

-გრიგოლ ორბელიანი  
ნიკოლოზ ბარათაშვილი

13  
111

II. ლიტერატურული წერილები

ნიკოლოზ ბარათაშვილი  
პიენი ქართულ ლექსს  
ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი  
დოსტოევსკი  
სანა აბმატოვა  
მუხა და მისი ფესვები  
ლექსი, როგორც საკმელი  
დაყოვნებული წამი

175  
189  
190  
201  
208  
216  
222  
227

III. პორტრეტები. მოგონებანი.

აკაკი შანიძე  
გიორგი ჩუბინაშვილი  
სიმონ ჯანაშია  
შეხვედრები იური ტინიანოვთან  
უკვდავება  
რამდენიმე სიტყვა ნიკო ქუმსიაშვილზე  
ილია აგლაძე  
ორიოდე სიტყვა მოსე გოგიბერიძეზე  
ქართული მეცნიერების პატრიარქი  
ფარდის გადმოდმა  
გამოთხოვება მეგობართან  
განუმეორებელი პიროვნება და შემოქმედი  
დამსახურებული დითირამბი და ერთი ელევგიის გამოძახილი  
ნინო ანანიაშვილის ხსოვნისათვის  
ლიტერატურული ამულეტი

233  
236  
240  
245  
262  
268  
272  
275  
277  
279  
280  
281  
286  
288  
290

რედაქტორი რ. შიმინოვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ტ. მეზურიშვილი  
მხატვარი ჟ. ყავლაშვილი  
მხატვრ. რედაქტორი სპ. ცინცაძე  
ტექნორედაქტორი თ. შამფორია  
კორექტორები: რ. ლოლაძე, ნ. ლომაძე

ჩაბარდა წარმოებას 20.7.1978; ხელმოწერილია საბეჭდად 15.12.1978;  
უე 00467; ფორმატი 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი საბეჭდო № 1; გარნიტურა. ჩვეულებრივი;  
ბეჭდვა მაღალი; პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 18,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
ფურცელი 15,81; ტირაჟი 3000 ეგზ.; შეკვეთა 2437

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მერანი“. რუსთაველის 42  
თბილისი. 1978

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19